

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სტუდენტთა 75-ე საუნივერსიტეტო საექსპონენტო კონფერენციის
ძიხსენებათა კრებული



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედაქტორები:

რევაზ გოგობია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ნინო ფარესაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორები: იური ანანიაშვილი, სიმონ გელაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მექვა-
ბიშვილი, ეთერ ხარაიშვილი

ასოცირებული პროფესორი: ნინო აბესაძე, ლელა ბახტაძე, ინეზა გაგნიძე, მაია გოგობია,
გულნაზ ერქომაიშვილი, ნაზირა კაკულია, ნადეჟდა კვატაშიძე,
დავით სიხარულიძე, რამაზ ფუტკარაძე, გიული ქემელაშვილი,
შოთა შაბურიშვილი, მარინა ჩავლეიშვილი, მერაბ ჯულაყიძე,
მერაბ ხმალაძე

ასისტენტ-პროფესორები: დავით ასლანიშვილი, მანანა ლობჯანიძე, რუსუდან სეთურიძე,
ლეილა ქადაგიშვილი, მანანა ხარხელი

ტექნიკური რედაქტორი ნანა ბუაძე

გარეკანის დიზაინერი ნინო ებრალიძე

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015

ISSN 2346-8033

ISBN 978-9941-13-451-7

წინასიტყვაობა

სტუდენტთა მოხსენებათა კრებულში წარმოდგენილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მიერ 2015 წლის 75-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე მოხმენილი მოხსენებები.

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია სტუდენტებისათვის სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა, რისთვისაც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი მუდმივად ცდილობს სტუდენტებისათვის დამოუკიდებელი აზროვნების პარალელურად შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მსოფლიოს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, აუცილებელია სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების გაძლიერება.

პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მიზანია სტუდენტების მობილიზება, მომზადება და ღირსეულად წარდგენა ადგილობრივ, თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ სტუდენტებისათვის სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შექმნა ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მათთან მომუშავე პროფესორების წინაშე დგება უმთავრესი ამოცანა – სტუდენტებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების პარალელურად სპეციალიზებული განათლების დონის ამაღლება. ამდენად, ჩვენი აზრით, სტუდენტის მკვლევარად მომზადება რთული და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელიც თავისთავში მოიცავს რამდენიმე ასპექტს: მათთვის სათანადო ლიტერატურის მიწოდებას, მეცნიერ-ხელმძღვანელთან ერთად ამ ლიტერატურის გაანალიზებას, თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების სწორად მოხმარებას, რაც თავისთავად გულისხმობს მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმებისა და სხვა ინფორმაციასთან ანალიტიკური შედარების უნარის გამომუშავებას, ასევე ლოგიკური აზროვნების განვითარებასა და დასკვნების გაკეთებას, მიღებული თეორიული ცოდნის შერწყმას პრაქტიკულ სამუშაოსთან და ზემოაღნიშნული როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებას. ყოველივე ეს წარმოუდგენელია სასწავლო პროგრამებში კვლევითი ელემენტების ჩართვის გარეშე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სისტემური და ფუნდამენტური ცოდნის დაუფლებას.

სამეცნიერო კრებულში კარგადაა ასახული სტუდენტთა თვალთ დანახული მსოფლიოსა და საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ვფიქრობთ, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემს მათ თავიანთი იდეების გენერირებისა და ინოვაციური მიდგომების უნარ-ჩვევების ამაღლებისათვის.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი თეიმურაზ ბერიძე

სარჩევი

1. აბესაძე ანა, საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია პოსტსაბჭოთა პერიოდში	6
2. ბარბაქაძე თამარი, სიღარიბის დაძლევის ღონისძიებები საქართველოში	12
3. ბახუაშვილი შოთა, ინფლაციური პროცესების ასახვის თავისებურებები დიფუზიის ინდექსის საშუალებით	20
4. ბეჟანიძე ინგა, „ბიზნეს-ანგელოზები“	26
5. ბურდული დავითი, წულაია მალხაზი, კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში	33
6. გაფრინდაშვილი ლევანი, მონაცემთა განზოგადებული წარმოდგენა და ანალიზი დინამიკური ცხრილების გამოყენებით	48
7. გელაშვილი ნინო, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტატისტიკური ანალიზი	56
8. გელაშვილი სოფიო, ხორვატიის ინტეგრაცია ევროკავშირში	63
9. გიორბელიძე მაია, სოციალური საწარმოების ეკონომიკის განვითარებაზე ზეგავლენის ანალიზი	69
10. გოგოლაძე ანა, საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე საქართველოში	74
11. დარჯანია მარიამი, საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის გზები	81
12. დაუშვილი კახა, საქართველოს სამხედრო ხარჯების გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე	88
13. დვალისხვილი მარიამ, წულუკიძე მარიამი, ინფლაციის თარგეთირება: საერთაშორისო მიმოხილვა და საქართველო	92
14. ერგემიძე ალექსანდრე, საპენსიო რეფორმის მაკროეკონომიკური ეფექტი	105
15. ვარდიაშვილი ნინო, ლიდერობის არსი, თეორიები და მისი როლი ორგანიზაციის მართვაში	112
16. თვალავაძე სულიკო, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA) და საქართველო	119
17. თოდუა ნია, მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი და მისი ხელშეწყობის სისტემა საქართველოში	129
18. კაპანაძე სალომე, ქართული ფირმების ინტერნაციონალიზაცია და საგარეო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიები	134
19. კერესელიძე ნინო, სამთავრობო პროგრამები სოფლის მეურნეობაში - ეფექტიანი ეკონომიკური ღონისძიება თუ უარყოფითი საზოგადოებრივი დანახარჯები	142
20. კვიციანიძე მარიამ, საქართველოს საფონდო ბირჟა	147
21. კოკოპინაძე ხატია, სავალუტო კრიზისის მექანიზმი და საქართველო	155
22. ლომოური ანი, ეთიკური კაპიტალის როლი მდგრადი ფერმერული მეურნეობების განვითარებაში	161
23. მაისურაძე ალექსანდრე, ვაგნერის კანონი და მისი ემპირიული შემოწმება საქართველოს მაგალითზე	166

24. მარდია ცოტნე, გაცვლითი კურსის გავლენა ინფლაციაზე.....	174
25. მელიქიძე მარიამ, კაპიტალის ბაზრის პრობლემები და მისი გადაჭრის გზები საქართველოში.....	185
26. მერკვილაძე ანი, თამაშთა თეორიის გამოყენება ეკონომიკაში.....	190
27. მინაშვილი ელენე, ოლიგოპოლია საქართველოში - ფარმაცევტული ბაზარი	195
28. მიქელაძე გვანცა, სტატისტიკის როლი მარკეტინგულ კვლევებში საქართველოში მინერალური წყლების მომხმარებელთა გამოკვლევის მაგალითზე	203
29. მჭედლიძე ნადია, ტალიკაძე ნინო, რიგების მართვა და მომავალი თაობის ტექნოლოგიები	209
30. ოდილავაძე თინათინ, კლიენტების ლოიალობის პროგრამების აღრიცხვის საკითხები	215
31. ჟენტი ცოტნე, სუვერენული ვალუტის და მონეტარული პოლიტიკის როლი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში - ტრანსფორმაციის პროცესი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.....	224
32. სეთურიძე ელენე, ბიზნეს-პროცესების მართვის სრულყოფა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით კომპანია „APEX“-ის მაგალითზე	231
33. სიჭინავა თამთა, საქართველოს სადაზღვევო ბაზარი, რეალობა და პერსპექტივები	236
34. ჩხაიძე ანა, უძრავი ქონების ბაზრის გავლენა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე.....	243
35. ჭანტურია მარიამი, სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა	252
36. ხასაია გიორგი, ტრანსნაციონალური კომპანიების როლი ეკონომიკის გლობალიზაციაში.....	261
37. ხვისტანი თამარი, ორგანიზაციული ცვლილებები და ორგანიზაციული განვითარება	268
38. ხიდუშელი ნანა, უცხოური ინვესტიციების როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში	273
39. ხუროძე ერეკლე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საოპტიმიზაციო მოდელი	277
40. ხუციშვილი გიორგი, საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება.....	286
41. ჯიმშელიშვილი ილია, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ მაგალითზე.....	295

საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია პოსტსაბჭოთა პერიოდში

ანა აბესაძე

მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მერაბ ხმალაძე

თანამედროვე, მზარდი გლობალიზაციის პირობებში, სულ უფრო აქტუალური ხდება მიგრაციული პროცესები. 2002 წელს, გაეროს შეფასებით მსოფლიოში 175 მლნ. მიგრანტი იყო. მსოფლიო ბანკის ანგარიშში¹ აღნიშნულია, რომ დღეისათვის მსოფლიოში 230 მლნ. საერთაშორისო და 740 მლნ. შიგა მიგრანტია. 2040 წლისათვის პროგნოზირებენ საერთაშორისო მიგრანტების ზრდას 400 მილიონამდე². ცხადია, ასეთი მასშტაბის მიგრაციის დროს მნიშვნელოვანია საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესწავლა, ანალიზი და რეგულირება, რათა თავიდან ავიცილოთ საფრთხეები, რისი გამომწვევი მიზეზიც შეიძლება გახდეს მიგრაცია.

საქართველოში მიგრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე საგანგაშო დემოგრაფიული პროცესების გამო. საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რღვევის შემდეგ, საქართველო საკმაოდ სერიოზული პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დადგა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა იყო მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია, რომელიც დღემდე გადაუჭრელ საკითხად რჩება.

საერთაშორისო მიგრაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში. 1990-იან წლებში, სამოქალაქო ომებმა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მოსახლეობის ფართომასშტაბიანი მიგრაცია. ოფიციალური სტატისტიკით, 1990-2000 წლებში უარყოფითი მიგრაციული სალდო შეადგენდა 840 ათას კაცს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროს განსაკუთრებით მაღალი იყო არალეგალური მიგრაცია და არ არსებობდა მიგრაციის აღრიცხვის სრულყოფილი მექანიზმი (ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმებამ კიდევ უფრო გაართულა მიგრაციის აღრიცხვის შესაძლებლობა), შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაქტობრივი ემიგრაცია გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე ეს ოფიციალურ სტატისტიკაში აისახა. 1992-2002 წლებში საქართველო დატოვა მილიონზე მეტმა ადამიანმა (1095,9 ათასი კაცი), რაც მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 1/5-ს შეადგენდა. ემიგრაციის განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობით ხასიათდება 1992-1996 წლები, მხოლოდ 1994 წელს უარყოფითი მიგრაციული სალდო 142.7 ათას კაცს უდრიდა.

მოგვიანებით, 1990-იანი წლების ბოლოდან ემიგრაციის ძლიერი ნაკადი შედარებით შემცირდა, თუმცა, ემიგრანტთა რიცხოვნობა დღემდე, თითქმის ყოველ წელს აღემატება იმიგრანტების რაოდენობას.


დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, პირველად, 2004-2005 წლებში დაფიქსირდა დადებითი მიგრაციული სალდო. ოფიციალური სტატისტიკით, მიგრაციული სალდო დადებითია 2009-2011 წლებშიც (იხ. დიაგრამა 1). თუმცა 2014 წლის საყოველთაო აღწერის

¹ მსოფლიო ბანკის ანგარიში - Migration and Development Brief 21.

² Peter Sutherland – “Migration is Development”, 2013.

წინასწარი მონაცემებით, 2002-2014 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა 14.68%-ით შემცირდა, ამავე პერიოდში ყოველწლიურად დაბადებულთა რიცხვი აღემატებოდა გარდაცვლილთა რიცხვს, შესაბამისად, მოსახლეობის კლება ემიგრაციას უნდა გამოეწვია, რაც ექვეყნეშ აყენებს ბოლო 12 წლის განმავლობაში მიგრაციული სალდოს დადებით მაჩვენებელს (31,9).

დიაგრამა 1



მიგრაციული სალდო საქართველოში 1990-2012 წლებში (ათასი კაცი)

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2004 წლიდან სტატისტიკა ვერ ასახავს რეალობას და მიგრაციასთან ერთად სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლებიც თავიდანა გასაანგარიშებელი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2012 წლიდან მიგრანტებს აღრიცხავს გაეროს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიით, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ემიგრანტებისა და იმიგრანტების აღრიცხვა მოქალაქეობის, ასაკისა და სქესის მიხედვით.

ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოს მიგრაციული სალდო ისევ უარყოფითია (-30 670), ემიგრანტთა 72% კი საქართველოს მოქალაქეა (იხ. ცხრილი 1). აღსანიშნავია, რომ უარყოფითი მიგრაციული სალდო განპირობებულია მთლიანად საქართველოს მოქალაქეების ემიგრაციით, რადგან ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეთა იმიგრაცია მეტია ემიგრაციაზე. ეს მაშინ, როცა ქართველები პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის გამოირჩეოდნენ ყველაზე დაბალი მიგრაციული მობილურობით. 1990-იან წლებში, საქართველოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ ემიგრაციაშიც ძირითადად არაქართველი მოსახლეობა მონაწილეობდა. ქართველების წილი 24%-29%-ია იმ მილიონ ადამიანში, რომელმაც 90-იან წლებში დატოვა ქვეყანა.¹ ცხადია, მოქალაქეობით ვერ ვიმსჯელებთ ეროვნებაზე, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მოქალაქეებს შორის ბევრია ეროვნებით ქართველი.

ცხრილი 1

მოქალაქეობა	ემიგრანტი (ერთეული)	ემიგრანტი (%)	იმიგრანტი (ერთეული)	იმიგრანტი (%)	მიგრაციული სალდო
საქართველო	196 964	71.79	124 958	51.28	-72 006
სომხეთი	19 401	7.07	21 623	8.87	2 222
რუსეთის ფედერაცია	15 567	5.67	27 594	11.32	12 027
თურქეთი	14 934	5.44	21 638	8.88	6 704
აზერბაიჯანი	4 095	1.49	7 257	2.98	3 162

¹ მ. ხმალაძე, დემოგრაფია, თბ., 2009.


უკრაინა	3 293	1.20	5 015	2.06	1 722
აშშ	2 300	0.84	3 521	1.44	1 221
ინდოეთი	1 664	0.61	2 427	1.00	763
ჩინეთი	947	0.35	1 143	0.47	196
ირანის ისლამური რესპუბლიკა	649	0.24	1 905	0.78	1 256
საბერძნეთი	371	0.14	997	0.41	626
ერაყი	333	0.12	1 777	0.73	1 444
სხვა ქვეყნის მოქალაქე	13 448	4.90	23 269	9.55	9 821
არ არის ნაჩვენები	203	0.07	308	0.13	105
მოქალაქეობის არმქონე პირი	183	0.07	250	0.10	67
სულ:	274 352	100%	243 682	100%	-30 670

საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია მოქალაქეობის მიხედვით 2012-2014 წლებში მიგრაციულ მატებაში ყველაზე მაღალია რუსეთის მოქალაქეთა წილი, შემდეგ მოდის თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და უკრაინის მოქალაქეთა წილი. მაშასადამე, საქართველოში იზრდება ჩვენი მეზობელი ქვეყნების მოქალაქეთა რიცხვი, საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად.

2014 წლის აღწერამ აჩვენა, რომ სახეზე გვაქვს დემოგრაფიული ვაკუუმი, ანუ მოსახლეობის უკმარისობა. ისტორიულად ვაკუუმის შევსება ხდებოდა სხვა ქვეყნებიდან მოსახლეობის შემოსვლის ხარჯზე.

რაც შეეხება სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, მიგრანტთა 47% ქალია, ხოლო 53% - კაცი. ემიგრანტთა უმეტესობის ასაკი კი 15-დან 34 წლამდეა, რომლის წილი მთლიან ემიგრაციაში 2014 წელს 50,88%-ია (იხ. დიაგრამა 2), ხოლო 35-54 წლის ემიგრანტების წილი მთლიან ემიგრაციაში - 25,60%.

დიაგრამა 2




საქართველოს მოსახლეობის ემიგრაცია ასაკის მიხედვით (2014 წ.)

შიგა და იძულებითი მიგრაცია საქართველოში. საერთაშორისო მიგრაციასთან ერთად ყურადღება უნდა გამახვილდეს შიგა და იძულებით მიგრაციაზე.

1990-იან წლებში სამოქალაქო ომებმა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, წარმოშვა იძულებითი მიგრანტების ნაკადები. ამ პერიოდში იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 350 000 ადამიანს.¹ 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული ომის შედეგად სამაჩაბლო იძულებით დატოვა 150 000-მა ადამიანმა.²

საქართველოში განსაკუთრებით მაღალია მოსახლეობის გადაადგილება სოფლიდან ქალაქში. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის წინასწარი მონაცემებით მთლიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი 57,4% ცხოვრობს ქალაქში (3 729,6 ათასიდან 2 140,1 ათასი - ქალაქში, 1 589, 5 ათასი- სოფლად). თბილისის მოსახლეობა 2002 წლიდან დღემდე გაიზარდა 3,4%-ით. 2002 წელთან შედარებით, სოფლის მოსახლეობა შემცირდა 23,8 %-ით, ხოლო ამავე პერიოდში ქალაქის მოსახლეობა შემცირდა 6,3 %-ით. ერთი მხრივ, სოფლის მოსახლეობის ასეთი კლება გამოწვეულია საერთაშორისო მიგრაციით, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია შიგა მიგრაციის გავლენაც. სოფლად განსაკუთრებით მაღალია თვითდასაქმებულთა რაოდენობა, შესაბამისად, უფრო მეტი ადამიანი გადადის ქალაქში საცხოვრებლად იმ იმედით, რომ დასაქმდება და მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება.

დიაგრამა 3



საქართველოს მოსახლეობის დინამიკა (%) 2014 წელს 2002 წელთან შედარებით რეგიონული ჭრილით

ყველაზე მეტად შემცირდა მოსახლეობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 37,4%-ით. მაღალმთიანი რეგიონები საქართველოში ფაქტობრივად იცლება.

საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის მიზეზები. ემიგრაცია საქართველოდან ძირითადად გამოწვეულია მძიმე ეკონომიკური პირობებით, დასაქმების პრობლემებითა და ცხოვრების დონის გაუარესებით. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, ემიგრანტთა 78,4% ემიგრაციის მიზეზად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ასახელებს.³ 2008 წელს საქსტატის მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევით გამოკითხულთა 75.5% საზღვარგარეთ გაემგზავრა სამუშაოდ.⁴ ამავე კვლევით საზღვარგარეთ გაემგზავრებამდე ემიგრანტთა 66% იყო უმუშევარი, ხოლო 8% დაბალ ანაზღაურებად სამუშაოზე იყო

¹ Caucasus Research Resource Center – Migration and Return in Georgia: Trends, Assessments and Potential, 2007.

² ხმალაძე მ, დემოგრაფია, თბ., 2009.

³ მოსახლეობის მიგრაცია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი III, ნაწილი II, თბ., სსსდ, 2004, გვ. 147.

⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დასაქმებული. ფაქტობრივად, ემიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა შრომითი ემიგრანტია.

მნიშვნელოვანი ფაქტორია შრომის დაბალი ანაზღაურება საქართველოში. ემიგრანტთა ოჯახები გამოირჩევიან დაბალი შემოსავლებით, 51%-ის საშუალო თვიური შემოსავალი 200 ლარზე ნაკლებია, რაც საბოლოო ჯამში საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმზე¹ დაბალია. შრომით ემიგრაციას დადებითი მხარეებიც აქვს: მცირდება უმუშევრობა ქვეყანაში და ამასთან, საზღვარგარეთ მყოფი მოსახლეობის ფულადი გზავნილები ხშირად ემიგრანტთა საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრების ძირითადი საარსებო წყარო.

ემიგრაციის მიზეზებიდან უნდა გამოვყოთ მოსახლეობის მიგრაცია განათლების მიღების მიზნით (საქსტატის სპეციალური გამოკვლევის მიხედვით - ემიგრანტთა 12%). ცხადია, ქვეყნის განვითარებისთვის მთავარი გასაღები განათლებული მოქალაქეებია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ადამიანები ვერ ახერხებენ მიღებული განათლების გამოყენებას, ამიტომ საზღვარგარეთ განათლების მიღების შემდეგ, სტუდენტი შეიძლება დარჩეს იმავე ქვეყანაში და აღარ დაბრუნდეს საქართველოში. ხშირ შემთხვევაში, მაღალი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე მოსახლეობაც ტოვებს ქვეყანას, რადგან აქ ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. 2008 წლის საქსტატის სპეციალური გამოკვლევის შედეგებით, ემიგრანტთა 41%-ს საშუალო, ხოლო 32.9%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა. ე.წ. „ტვინების გადინება“ საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

ვინაიდან ემიგრაციის 80% გამოწვეულია ეკონომიკური ფაქტორით, აუცილებელია, ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება, შრომის ბაზრის მოწესრიგება და სამუშაო ადგილების შექმნა, რათა მოსახლეობის ცხოვრების დონე გაუმჯობესდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შიდა მიგრაციას. თანდათან იცლება საქართველოს სოფლები და მოსახლეობა დიდ ქალაქებში გადადის საცხოვრებლად. სოფლის მოსახლეობა 2002 წლიდან 2015 წლამდე თითქმის განახევრდა. მძიმე მდგომარეობაა მაღალმთიან რეგიონებში. ამიტომ აუცილებელია გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რომელიც სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობებსა და ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ასეთი ვითარება დიდხანს შენარჩუნდება, კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოდან ემიგრაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსახლეობის მიგრაცია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი III, ნაწილი II, თბ., სსსდ, 2004.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
3. ტუხაშვილი მ., მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში, 2003, გვ. 5.
4. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები.
5. ხმალაძე მ., დემოგრაფია, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009.
6. ხმალაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011.
7. Caucasus Research Resource Center – Migration and Return in Georgia: Trends, Assessments and Potential, 2007.

¹ საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 2015 წლის მაისში 269.3 ლარს შეადგენს.

8. Sutherland Peter (Special Representative of the UN Secretary-General for International Migration and Development) – „Migration is Development“, 2013.
9. World Bank Report - Migration and Development Brief 21.

რეზიუმე

ემიგრაციის ინტენსივობა განსაკუთრებით სახიფათოა ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1992-2014 წლებში საქართველო დატოვა 1865,9 ათასმა ადამიანმა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა თითქმის მესამედით, 31%-ით შემცირდა და 2014 წლის აღწერის წინასწარი მონაცემებით, დღეისათვის 3 729,6 ათას კაცს შეადგენს. გაეროს პროგნოზით, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისათვის 3, 3 მლნ.-მდე შემცირდება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ დღემდე არსებულ ტენდენციებს (24 წელში 31%-იანი კლება), არსებითი ღონისძიებების გატარების გარეშე 2050 წელი საქართველოსთვის გაცილებით უფრო მძიმე იქნება.

არსებობს პრობლემები მიგრაციის აღრიცხვასთან დაკავშირებით. სხვადასხვა კატეგორიის (შიგა, საერთაშორისო, იძულებითი, არალეგალური..) მიგრანტების შესახებ რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის დაზუსტებული, მიახლოებითი ციფრია ან საერთოდ არ გვაქვს მონაცემი. ამიტომ, უნდა შეიქმნას მოსახლეობის მიგრაციული სტატისტიკის შემცველი ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მიგრაციული პროცესების სრულყოფილად შესწავლა, გაანალიზება და შემდეგ შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება.

2002 წელს ქართველების ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში 83,8%-ს შეადგენდა, რაც ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით ქვეყნისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. მართალია, მოქალაქეობის მიხედვით დაზუსტებით ვერ ვიმსჯელებთ ეროვნულ შემადგენლობაზე, თუმცა, ბოლო წლების მიგრაციული ნაკადების ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილის გადასვლა საზღვარგარეთ, სხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში იმიგრაციის ფონზე, დროთა განმავლობაში შეცვლის საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას. ამიტომ უნდა შემუშავდეს მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც დაარეგულირებს როგორც ემიგრაციას, ისე იმიგრაციას და გააუმჯობესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას.

სიღარიბის დაძლევის ღონისძიებები საქართველოში

თამარ ბარბაქაძე

ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტი,
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ნაზირა კაკულია**

სიღარიბის ფენომენის შესწავლა საინტერესოა სხვადასხვა მიზნით. თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესი უფრო სიღარიბის როგორც პოლიტიკური პრობლემისადმი მიმართული. პოლიტიკური რეაქცია საზოგადოებრივ ინტერესზე გამოიხატება სიღარიბის დაძლევის პროექტებში.

სიღარიბე ისეთი ეკონომიკური მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანებს არ შეუძლიათ იმ მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელიც აუცილებელია სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად. სიღარიბე შედარებითი ცნებაა და დამოკიდებულია მოცემულ საზოგადოებაში ცხოვრების დონის ზოგად სტანდარტზე.

არსებობს ორი სახის სიღარიბე: *აბსოლუტური* სიღარიბე და *შედარებითი* სიღარიბე. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული საზომია შემოსავლის დონე: როდესაც ადამიანის, ან ოჯახის შემოსავალი გარკვეული დონის, ნორმალური ცხოვრების სტანდარტისათვის მიჩნეული აუცილებელი მინიმუმის ქვემოთაა, ასეთი პიროვნება ან ოჯახი ღარიბად ითვლება. შედარებითი სიღარიბის ქვეშ კონკრეტული ჯგუფის სტატუსი განისაზღვრება და იზომება სხვებთან შედარებით იგივე გარემოში, საზოგადოებაში ან ქვეყანაში. შესაბამისად, მას, ვინც ღარიბად ითვლება განვითარებულ ქვეყანაში, შეიძლება ჰქონდეს უფრო მაღალი შემოსავალი, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში შეძლებულად მიჩნეულ ადამიანს. სიღარიბის მნიშვნელობა დამოკიდებულია მსოფლიოს თითოეული ქვეყნის ან რეგიონის ტრადიციებზე, სტანდარტებსა და ფასეულობებზე.

მსოფლიო ბანკი აბსოლუტური სიღარიბის ზღურბლად თვლის 1,25 ამერიკულ დოლარზე ნაკლებ დღიურ შემოსავალს (კურსი გაიანგარიშება მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით).

სიღარიბეზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული გარემო, განათლება, ავადმყოფობა, უმუშევრობა, ომი და კონფლიქტები და სხვ. სიღარიბის როგორც სოციალური მოვლენის წარმოშობისა და კვლავწარმოების რამდენიმე ახსნა არსებობს:

კულტუროლოგიური ახსნა. ამ მიდგომის ჩარჩოში ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა სიღარიბის კულტურა. ამტკიცებენ, რომ ღარიბებისათვის დამახასიათებელია თავიანთი განსაკუთრებული კულტურა, რომელსაც საფუძვლად უდევს მორჩილება, მომავლის მოწყობის უუნარობა და ფატალიზმი.

სტრუქტურული ახსნა. ამ მიმართულების თეორიები სიღარიბის არსებობას აკავშირებენ საზოგადოების სტრუქტურულ ცვლილებებთან, რომელიც დაფუძნებულია სოციალურ სტრატეგიკაციაზე, ეკონომიკურ უთანასწორობაზე და ა.შ.

სიღარიბე დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა, რაც განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში. მიუხედავად მსოფლიო


გლობალიზაციის მაღალი ტემპებისა, ცხოვრების დონის მიხედვით მსოფლიოს რეგიონები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. პროცენტულად, სიღარიბის ყველაზე მაღალი დონეა საჰარის სამხრეთ და სამხრეთ აზიის ქვეყნებში. შედარებით დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ევროპის, კერძოდ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები.

2004 წლიდან საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები გამოითვლება მხოლოდ მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ და არც ერთი მაჩვენებელი არ გაიანგარიშება საარსებო მინიმუმის მიმართ, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ საქართველოში რეალურად არ გვაქვს ღარიბი მოსახლეობის რაოდენობისა და სიღარიბის დონის ამსახველი ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლები.

ცხოვრების დონის საერთაშორისო შედარებისათვის ხშირად მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელს (მყიდველობითუნარიანობის პარიტეტი, ანუ PPP) იყენებენ. ეს არის საზომი სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების დონის შესადარებლად 2011 წლის მდგომარეობით, საქართველო, რომლის მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ის მაჩვენებელი 1850.82 დოლარს შეადგენდა, 111-ე ადგილზე იყო 181 ქვეყანას შორის, 2014 წელს კი 2156,9 დოლარი იყო.¹

ეს მაჩვენებელი ბევრად ჩამოუვარდება მსოფლიოს საშუალო GDP-ს მოსახლეობის ერთ სულზე, რაც ამჟამად 10,700 დოლარის ტოლია. ამიტომ, საქართველოში ცხოვრების დონე მსოფლიოს საშუალო სტანდარტზე დაბალია.²

დიაგრამა 1



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სოციალური მომსახურების სააგენტოს წყაროზე დაყრდნობით გვთავაზობს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის ხვედრით წონას საშუალოწლიური მოსახლეობის რიცხოვნობაში, რასაც 2007-2013 წლებში შემდეგი სახე აქვს.


სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე

¹ <http://www.tradingeconomics.com>

² <http://www.worldbank.org>

შეფარდებითი მაჩვენებლები 2013 წელს, 2007 წელთან შედარებით, გაზრდილია. საარსებო მინიმუმი საზომი საშუალებაა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის წარმართვა, საარსებო მინიმუმის დათვლა კი ზუსტი პოლიტიკის გატარებაში წარმატების პირველი საფეხურია. საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათას საფუძველზე. პირველ რიგში, ხდება მინიმალური სასურსათო კალათას საკვები პროდუქტების მთლიანი შემადგენლობის ღირებულების დათვლა საქართველოს 5 ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი) გასაშუალოებული ფასების შეწონილი საშუალოს დათვლით. მიღებული ფასები წარმოადგენს თითოეული პროდუქტის საშუალო ფასს ქვეყანაში. საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით. 2015 წლის დასაწყისში საარსებო მინიმუმი 160 ლარს შეადგენს.¹

დიაგრამა 2



საქართველოს მეზობელ ქვეყნებში სიღარიბის დონე (საარსებო მინიმუმის მიმართ) 2013 წელს შემდეგ სურათს იძლევა: აზერბაიჯანში სიღარიბის დონემ 6.0% შეადგინა, სომხეთში – 32.4%, ხოლო რუსეთში - 11.0%.²

პოსტსაბჭოთა სივრცეში სიღარიბის ყველაზე დაბალი დონე ბალტიისპირეთის ქვეყნებშია, შემდეგ - აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ხოლო სიღარიბის ყველაზე მაღალი დონე ცენტრალური აზიის ქვეყნებშია დაფიქსირებული.

მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა არ არსებობს სიღარიბის გარეშე, თვით აშშ-ში სიღარიბის მიღმა მოსახლეობის 15.0% ცხოვრობს. ევროსტატის მონაცემებით, 2012 წელს სიღარიბის რისკის ზონაში ბელგიაში ცხოვრობდა მოსახლეობის 14.8%, გერმანიაში - 16.1%, ნორვეგიაში - 10.1%, ფინეთში - 13.2%, შვედეთში - 14.2%, ლიტვაში - 18.6%, ლატვიაში - 19.4%, ესტონეთში - 17.5%. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სიღარიბის პროცენტულმა მაჩვენებელმა 20.0%-ს გადააჭარბა მათ შორის: ხორვატიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, ესპანეთსა და საბერძნეთში.³

სიღარიბის მაჩვენებლების მიხედვით, არსებობს ფართო ეკონომიკური უთანასწორობა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. ყველაზე ფართოდ რეგიონული სიღარიბის მაჩვენებელში გამოიყენება: მთლიანი რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე

¹ www.geostat.ge.
² www.ebrd.com.
³ www.worldbank.org.

(GRP). ზოგადად სიღარიბე განისაზღვრება მოხმარების საფუძველზე, ხოლო სიღარიბის დონე ფასდება როგორც შინამეურნეობის ერთ სულზე საყოფაცხოვრებო მოხმარების ნორმის ქვემოთ მითითებული მოხმარება პროცენტებში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

რეგიონული სიღარიბის მაჩვენებლების ვარიაციები

	ვარიაციის კოეფიციენტები			
	GDP/მოსახლეობის 1 სულზე	HH მოხმარება	ზომიერი სიღარიბე	ძალიან ღარიბი
პოლონეთი	0.22	0.07	0.19	0.27
ბულგარეთი	0.26	0.07	0.14	0.33
რუმინეთი	0.42	0.1	0.15	0.37
რუსეთი	0.58	0.18	0.16	0.39
თურქეთი	0.88	0.25	0.24	0.55
ყაზახეთი	0.8	0.24	0.26	0.58
ტაჯიკეთი	NA	0.22	0.04	0.22

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვარიაციის კოეფიციენტების მიხედვით ყველაზე მაღალი GDP მოსახლეობის ერთ სულზე აქვს რუსეთსა და ყაზახეთს. მოხმარების მხრივ აღნიშნული ქვეყნები ლიდერობენ, რომლის ვარიაცია მერყეობს საშუალოდ 0.07-0.10-მდე.¹

არსებობს ამ მონაცემების რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვები. მოხმარება ასახავს მხოლოდ მოხმარების ნივთების ქვეჯგუფს, ამიტომ, სამი მოხმარების ხარჯი გამოირიცხება გაანგარიშებიდან. ესენია: საბინაო (გარდა კომუნალური), სამომხმრებლო და ჯანდაცვის ხარჯები. შედეგად, სიღარიბის მაჩვენებელში დომინირებს კვების ხარჯი. ბულგარეთში რუმინეთსა და რუსეთში საყოფაცხოვრებო ხარჯების 55% მოდის კვებაზე, თურქეთსა და პოლონეთში ის დაახლოებით 40%-ია. საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 45,2%-ია.² მიუხედავად იმისა, რომ ამ მაჩვენებელში გამოირიცხება საცხოვრებელი, სამომხმარებლო და ჯანდაცვის ხარჯები, ეს არ ამახინჯებს სიღარიბის მაჩვენებელს ძალიან ღარიბ ქვეყნებში.

რატომ არიან ადამიანები ღარიბები რეგიონების მიხედვით? შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული სიღარიბის კონცენტრაცია, რამდენადაც ის არსებობს, ასახავს ეკონომიკური შესაძლებლობების არარსებობას. ამ თვალსაზრისით, სიღარიბე, სავარაუდოდ გამოწვეულია უმუშევრობის მაღალი დონით ან შრომის ანაზღაურების სიმცირით. ასეთ ვითარებაში გამართლებულია სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ღარიბ რეგიონში სამუშაო ადგილების შექმნას. რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს ახასიათებთ განათლების დაბალი დონე და სამუშაო ძალაში ძირითადად შედიან ახალგაზრდები ან მოხუცები. ასეთ ვითარებაში ძალისხმევა მიმართულია, რომ ღარიბ რეგიონში ხელფასები გაიზარდოს და ადგილობრივ მაცხოვრებლებს ჰქონდეთ მცირე შეღავათები. მაგ. თურქეთში უმუშევარი მოსახლეობის 13% არის ღარიბი, ეს მაჩვენებელი მდებარეობს დაქირავებით მომუშავეთა რიცხვსა (12%) და

¹ <http://www.worldbank.org>.

² www.worldbank.org.

თვითდასაქმებულებს შორის (21%), იმ ქვეყნებში, სადაც დაბალია სოციალური უსაფრთხოების დონე დაბალპროდუქტიული დასაქმება ასრულებს შემოსავლის მიღების უკიდურეს წყაროს.¹

სიღარიბის აქვს სხვადასხვა მიზეზი სხვადასხვა რეგიონში. რესტრუქტურისაციის დასაწყისში, 1990 წლებიდან მოყოლებული, უმეტეს სახელმწიფოებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია უმუშევრობის ზრდა, დაბალი განათლების მქონე მომუშავეები აქტიურად ეძებდნენ სამსახურს, რადგან ბევრი მათგანი დარჩა უმუშევარი.

რა არის საჭირო რეგიონის განვითარებისთვის? როგორ შეიძლება გაიზარდოს დასაქმება ღარიბ რეგიონებში? ანგარიშში ნათლად ჩანს ორი ფაქტორი: განათლების დონე და საყოფაცხოვრებო ნორმა. ასე რომ, უმუშევრობა გამოწვეულია სამუშაო ძალის მახასიათებლებით. დიდი რიცხოვნობის სამუშაო ძალა აქტიურად ეძებს სამუშაოს, თუმცა დასაქმების შესაძლებლობები მცირეა, ან მუშახელი არაპროდუქტიული და არაკვალიფიციურია. უმუშევრობის მნიშვნელობას რთული ინტერპრეტაცია აქვს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა გეოგრაფიული ფაქტორით.²

საბჭოთა პერიოდში, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მხრივ, ყაზახეთი დამოკიდებული იყო სსრკ-ზე. 1991 წელს მიღებულმა დამოუკიდებლობამ მას მიანიჭა სუვერენული სტატუსი. ყაზახეთს სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა აქვს. ყაზახეთის რესპუბლიკა მდიდარია მინერალური რესურსებით, დიდი სამეურნეო დანიშნულების მიწებით, კვალიფიციური პერსონალით. მას გააჩნია მნიშვნელოვანი სამრეწველო პოტენციალი. დღესდღეობით, ქვეყანაში განვითარებულია საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ემყარება არა სახელმწიფო, არამედ კერძო საკუთრებას, თავისუფალ არჩევანს, ქვეყნისათვის მთავარი წყარო დიდი პოტენციალის მქონე რესურსების ექსპლუატაციაა. ბოლო 15 წლის განმავლობაში, ენერგეტიკის განვითარებაში 100 მლრდ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. სწორედ ამიტომ შეძლო პოსტსაბჭოთა რესპუბლიკამ სწრაფი ეკონომიკური ზრდა.

რუსეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, რუსეთის ჩრდილოვანი ეკონომიკა მშპ-ის 40%-ს შეადგენს, ხოლო თუ ცხოვრების დონის შესაფასებლად მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს გამოვიყენებთ (\$17 884), მსოფლიოს ეს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა (მოსახლეობა - 146 მლნ) რეიტინგში 58-ე ადგილზე ინაცვლებს. მსოფლიოში ნავთობისა და ბუნებრივი აირის 20%-ს რუსეთი აწარმოებს და ამ რესურსების მნიშვნელოვანი რეზერვებსაც ფლობს. მეტიც, ქვეყანას გააჩნია თითქმის ყველა სამრეწველო მინერალიც. სწორედ ამ რესურსებიდან გამომდინარე, მშპ-ის \$2.6 ტრილიონიანი მაჩვენებლით რუსეთის ეკონომიკა მე-6 ადგილს იკავებს მსოფლიო რეიტინგში.³

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ბულგარეთი მართლაც ძალიან შეიცვალა - პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობით საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ბულგარეთი მიიღეს ნატო-ში, 2007 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირის წევრიც გახდა. კაპიტალდაბანდების თვალსაზრისით საინტერესო ქვეყანა იმითაც არის, რომ მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. იგი, ფაქტობრივად, აღმოსავლეთ და

¹ www.worldbank.org.

² www.worldbank.org, „Poverty and Regional Development in Eastern Europe and Central Asia“.


³ www.worldbank.org.

დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი ხიდია. ქვეყნის GDP 54.446 მლრდ დოლარია, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე - 7,582. ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ბულგარეთს ჰქონდა. მაგალითად, 2007 წლის 1 იანვრისათვის, როდესაც რუმინეთი და ბულგარეთი კლუბის წევრები გახდნენ, ბულგარეთის GDP 25-წევრიანი ევროკავშირის საშუალო GDP-ის 40% იყო. რაც შეეხება პოლონეთს, 2009 წლამდე ეკონომიკური ზრდა ყოველწლიურად დაახლოებით 5%-ს შეადგენდა, კერძო მოხმარების ზრდის, კორპორაციული ინვესტიციების და ევროკავშირის დაფინანსების წყალობით, თუმცა, ერთ სულზე GDP (\$513 934 მლრდ.) კიდევ ბევრით ჩამორჩება ევროკავშირის საშუალოს, რომელიც 15%-ს უდრის.¹

ბოლო წლების მონაცემებით, საქართველში სიღარიბის დონე უთანაბროდაა განაწილებული რეგიონების მიხედვით. უმუშევართა რაოდენობის 40.8% მოდის თბილისზე; რომელსაც მოსდევს აჭარა (14.2%) და იმერეთის რეგიონი (12.8%). სიღარიბის მოცემული ზღვრის მიმართ შიდა ქართლი (24.9 %), კახეთი (23.7 %), მცხეთა-მთიანეთი (22.9 %) ყველაზე ღარიბი რეგიონებია. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მსოფლიო ბანკის შეფასებითაც ანალოგიური შედეგი დაფიქსირდა. თუმცა, მსოფლიო ბანკის მიერ შეფასებული სიღარიბის დონის მაჩვენებლები განსხვავებულია, რაც მეთოდოლოგიური სხვაობით შეიძლება აიხსნას.²

სიღარიბის მაჩვენებელს ქალაქსა და სოფლად შემდეგი სახე აქვს:

დიაგრამა 3



საქართველოში სიღარიბის სტატისტიკური ანალიზი შემდეგ სურათს გვაძლევს. 2004 წლამდე საქართველოს მოსახლეობის ნახევარი სიღარიბეში ცხოვრობდა, ხოლო ამ პერიოდში სიღარიბის ყველაზე მაღალი დონე 2003 წელს - 54.5% დაფიქსირდა.

სიღარიბის ყველა ზღვრისა და ინდექსის გათვალისწინებით, სიღარიბის პრობლემა გაცილებით მწვავეა სოფლად, სადაც ცხოვრობს ღარიბი მოსახლეობის 55%-ზე მეტი. 2007-2008 წლებთან შედარებით მაჩვენებლები გაზრდილია. სოფელში სიღარიბის მნიშვნელოვანი

¹ www.intermedia.ge.

² www.geostat.ge.

დეტერმინანტია მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო სამეურნეო რესურსების დეფიციტი.¹

მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის სტატუსი მჭიდროდაა დაკავშირებული სიღარიბის მაჩვენებლებთან. უმუშევართა რაოდენობამ 2008 წელს შეადგინა 315,8 ათასი ადამიანი. 2013 წელს კი 291.8 ათასამდე შემცირდა. ქალაქებში არსებული უმუშევრობა შეადგენს მთლიანად ქვეყნის უმუშევრობის 75.3%-ს. უმუშევართა რაოდენობის ზრდის ტემპით განსაკუთრებით გამოირჩევა სამეგრელო, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი. 2005-2008 წლების პერიოდში უმუშევართა რაოდენობის პროცენტულად შესამჩნევი შემცირება აღინიშნა მხოლოდ ქვემო ქართლსა და გურიაში.² უმუშევრობის დონის ზრდა, უმუშევართა რაოდენობის ზრდასთან ერთად, განაპირობა აქტიური მოსახლეობის ცვლილებამ. 2004 წელთან შედარებით, სიღარიბის დონე, ოფიციალური სიღარიბის ზღვრის მიმართ, ქვეყნის მასშტაბით თითქმის არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო რეალური მოხმარება ერთ შრომისუნარიან მამაკაცზე 10.8%-ითაა გაზრდილი.

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, სახელმწიფომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, პირველ რიგში, ქვეყანაში არსებული სიღარიბის მწვავე პრობლემის გადაჭრით უნდა დაიწყოს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სიღარიბის განმსაზღვრელი ფაქტორების დეტალურ შესწავლასა და მათ აღმოსაფხვრელად ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. სიღარიბის დაძლევა უნდა წარიმართოს ორი მიმართულებით - სოციალური და ეკონომიკური სიღარიბის დაძლევით. სოციალური სიღარიბის დასაძლევად სახელმწიფომ უნდა შემოიღოს მოქნილი საპენსიო სისტემა და უზრუნველყოს პენსიონერების, უმწეო ოჯახებისა და სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის დახმარება. ეკონომიკურ სიღარიბეში ძირითადად ერთიანდებიან უმუშევრები. ამ კატეგორიის სიღარიბის დასაძლევად კი უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და მოხდეს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმება ან შემუშავდეს მეთოდოლოგიურად უმუშევართა კატეგორიებად დაყოფა და მათი მატერიალური უზრუნველყოფა უმუშევრობაზე დახმარების მიმართულებით.

მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს სერიოზულად ეხმარება საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტების შექმნასა და სრულყოფაში. ამ დახმარების მექანიზმი მრავალფეროვანია (გრანტები, საჩუქრები, შეღავათიანი კრედიტები, კადრების მომზადება).

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) 2006 წლიდან ეხმარება საქართველოს მთავრობას ეკონომიკური რეფორმის პროგრამის განხორციელებაში, რომლის რესურსები მიმართულია სიღარიბის დაძლევისა და ცხოვრების (GRA) დონის ამაღლების პროგრამასა (PRGF) და საერთო სახსრების ანგარიშზე. 2004 წელს საქართველო შეიყვანეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP),

ორმხრივი ურთიერთობები ევროკომისიასა (EC) და საქართველოს შორის დამყარდა 1992 წელს, საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს (EU) შორის ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის და (EU) თანამშრომლობის პროგრამების კოორდინაციის განხორციელების მიზნით. ENP სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება პოლიტიკური, გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების თვალსაზრისით, რასაც პრიორიტეტების გვერდით, როგორცაა: საგარეო პოლიტიკა;

¹ www.ontermedia.ge.

² www.geostat.ge.

იუსტიცია; ენერგეტიკა; ტრანსპორტი; მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიღარიბის დაძლევის ღონისძიებებში.

ევროკავშირი კვლავ რჩება საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს სოციალურ ინვესტორად, თუმცა, სასურსათო უსაფრთხოების სფეროში ინვესტირებაზე თავს იკავებს. დღეისათვის კი, USAID-მა საგრძნობლად შეამცირა პროგრამების განხორციელება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეეხო მშვიდობიანობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის სფეროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მინდორაშვილი მ., ჰუმანური განვითარების ინდექსი: ისტორია და რეალობა, ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, 2011, №5.
2. მარშავა ქ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, თბ., 2011.
3. ლეკაშვილი ე., საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები, თბ., 2011.
4. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., სოციალური სტატისტიკა, თბ., 2013.
5. გელაშვილი ს., მუჩიაშვილი მ., მაისურაძე მ. მაკროეკონომიკური სტატისტიკა, თბ., 2012.
6. მაკალათია ი., საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური კვლევა, თბ., 2012 .
7. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2009.
8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში, თბ., 2013.
9. ჩიქავა ლ., დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2012.
10. Olivier Blanchard – Macroeconomics 2010.
11. www.geostat.ge.
12. www.worldbank.org.
13. www.ebrd.com
14. <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/109997/>
15. <http://www.iset.ge/blog/?p=3349>
16. <http://www.opentext.org.ge/index.php?m=21&y=2006&art=1106>

რეზიუმე

სიღარიბის დაძლევა და დასაქმების უზრუნველყოფა მთავრობის მიერ მომზადებული სხვადასხვა რანგის სტრატეგიულ დოკუმენტში პრიორიტეტულ მიმართულებად არის მოხსენიებული. ფისკალური წესრიგის დამყარებამ მთავრობას სოციალურ სფეროზე ხარჯების გაზრდის საშუალება მისცა, მაგრამ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ არასაკმარისია. სიღარიბის შემცირების სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში გამოიყოფა: წარმოების ზრდისათვის პირობების შექმნა და შესაბამისად, მოსახლეობის ფულადი შემოსავლის გადიდება; მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა (მხარდაჭერა); ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება; შრომის ანაზღაურების მინიმალური სიდიდის დაწესება; სოციალური პროგრამების და მათი რეალიზაციის მექანიზმის დამუშავება.

დღეისათვის კი, განსაკუთრებით მძიმეა უკიდურესად ღარიბი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში, რის გამოც სიღარიბესთან ბრძოლა კვლავაც რჩება სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად.

ინფლაციური პროცესების ასახვის თავისებურებები დიფუზიის ინდექსის საშუალებით

შოთა ბახუაშვილი

IV კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

ინფლაცია არის გარკვეულ პერიოდში ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილება და იგი გამოითვლება ფასების ინდექსის, ყველაზე ხშირად სამომხმარებლო ფასების ინდექსის (Consumer Price Index) ცვლილებაზე დაყრდნობით. ინფლაციის ტემპი არის დროის პერიოდში ფასების ინდექსის ცვლილების პროცენტული მაჩვენებელი. საცალო ფასების ინდექსი (Retail Price Index), რომელიც CPI ინდექსთან შედარებით უფრო ფართოა და მოიცავს მეტი რაოდენობის საქონელსა და მომსახურებას, ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ინფლაციის გასაზომად. ინფლაციის გასაზომად RPI გამოიყენება მაგალითად გაერთიანებულ სამეფოში.

CPI და RPI გარდა ინფლაციის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ინდექსები:

- მწარმოებელთა ფასების ინდექსი (producer price index);
- სასაქონლო ფასების ინდექსი (Commodity Price Index);
- საბაზო ინფლაციის ინდექსი (Core price index);
- მთლიანი შიგა პროდუქტის დეფლატორი (GDP deflator).

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი), როგორც ინფლაციის დონის დამახასიათებელი მაჩვენებელი, ზომავს ფასებისა და ტარიფების საშუალო ცვლილებას იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც შეიძენს მოსახლეობა პირადი მოხმარების მიზნით. იგი გაიანგარიშება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ყოველთვიური პერიოდულობით. სფი მოიცავს 12 სასაქონლო ჯგუფს, საერთაშორისო კლასიფიკატორის „ინდივიდუალური მოხმარება მიზნების მიხედვით“ (COICOP¹) შესაბამისად. 295 დასახელების საქონლისა და მომსახურების ფასები², რომლებიც გამოიყენება ყოველთვიური სფი-ის გამოსათვლელად, გროვდება ქვეყნის 5 ქალაქში განლაგებულ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში – მაღაზიებში, ბაზრებში, ბაზრობებზე, ბენზინგასამართ სადგურებში, კლინიკებში და ა.შ. სამომხმარებლო კალათას წონები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას. ვინაიდან დროთა განმავლობაში ხდება მომხმარებელთა დანახარჯების სტრუქტურის ცვლილება, სფი კალათა ექვემდებარება განახლებას. საქართველოში აღნიშნული კალათას გადახედვა ხდება ყოველწლიურად.

აღსანიშნავია, რომ ინფლაციის შესაფასებლად გამოყენებულ CPI ინდექსს ახასიათებს გარკვეული ცდომილება (გვიჩვენებს უფრო მაღალ ინფლაციას, ვიდრე რეალურადაა), რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

¹ Classification of Individual Consumption according to Purpose. United Nations Statistics Division.

² www.Geostat.ge - საქსტატი.

1. CPI ინდექსი არაპირდაპირ აფასებს სამომხმარებლო ხარჯების ცვლილებას, არამედ ეყრდნობა საშუალო მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული კალათას ღირებულებას. აქედან გამომდინარე, ვერ იქნება გათვალისწინებული მომხმარებლის მიერ გაძვირებული პროდუქციის სანაცვლოდ მისი საქონელჩამნაცვლებლის გამოყენება.
2. დროთა განმავლობაში ხდება საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მასზე ფასის მატება შეიძლება ამით იყოს განპირობებული. თუმცა, ხარისხის ცვლილებით გამოწვეული ფასის მატება შეუძლებელია სრულყოფილად გამოიყოს სამომხმარებლო ფასის ინდექსის გამოთვლისას.
3. ბაზარზე მუდმივად გამოდის ახალი პროდუქცია, რომელიც ჩაანაცვლებს სამომხმარებლო კალათაში შეტანილს. ამის ასახვა კი ხდება დროში დაყოვნებით.

ინფლაციურ პროცესებზე დაკვირვება ინფლაციის ინდექსის გარდა შესაძლებელია ასევე დიფუზიის ინდექსის საშუალებით. ინფლაციის დონე გვიჩვენებს პერიოდში (მაგ.: წელიწადში) ფასების საშუალო დონის ცვლილებას, რომელიც, თავის მხრივ, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებით გამოითვლება (CPI).

წლიური ინფლაცია გაიანგარიშება როგორც სფი-ის პროცენტული ცვლილება მოცემული თვის სამომხმარებლო ფასების ინდექსისა წინა წლის შესაბამისი თვის ანალოგიური მაჩვენებლის მიმართ, თვიური - როგორც პროცენტული ცვლილება წინა თვის მიმართ, ხოლო საშუალო წლიური ინფლაცია - როგორც პროცენტული ცვლილება ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციისა წინა 12 თვის საშუალო ინფლაციასთან.

ფასების სტაბილურობა არის ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც აუცილებელია მაღალი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. მაღალი ინფლაცია კი, რომელიც ამავდროულად დიდი რყევებითაც ხასიათდება, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერიოდში. აუცილებელია ფასების ზრდის დინამიკის შემცირება საშუალოვადიან პერიოდში იმ დონემდე, რომელიც არ მოახდენს უარყოფით გავლენას ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე.

საქართველოს სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დიდი წილი, დაახლოებით 30%, უჭირავს სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებს.¹ სურსათის წილის ასეთი მაღალი მაჩვენებელი დამახასიათებელია დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის და მათ ინფლაციებს უფრო მგრძობიარეს ხდის საკვები პროდუქტების ფასების ცვლილებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სურსათი ხასიათდება მერყევი ფასებით, რაც ფასების საერთო დონის ზრდის ტენდენციის სურათს ამახინჯებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინფლაციურ პროცესებზე დაკვირვება შესაძლებელია ინფლაციის დონისა და დიფუზიის ინდექსის მეშვეობით. დიფუზიის ინდექსი, თავის მხრივ, გვიჩვენებს თუ რა ტენდენციურობით ხასიათდება სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასების ცვლილება და განმარტების მიხედვით, კონკრეტული დროის პერიოდისთვის გამოითვლება ამ პერიოდში გაძვირებული პროდუქციის რაოდენობას გამოკლებული ამავე პერიოდში გაიაფებული პროდუქციის რაოდენობა. ამ ორი ინდექსის ერთდროული გამოყენება, რომლებიც გვაწვდიან ქვეყანაში ფასების დინამიკის ორ ალტერნატიულ ხედვას, გვაძლევს საშუალებას განვახორციელოთ უფრო ზუსტი ანალიზი და

¹ www.nbg.gov.ge - საქართველოს ეროვნული ბანკი.


მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს ეხმარება უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში. ინფლაციის ტემპის გაანგარიშებისას შეიძლება მოხდეს ისე, რომ პროდუქტების პატარა ჯგუფის ფასის ზრდამ ან შემცირებამ, რომელთაც ჯამში დიდი წონა აქვთ (მაგ.: პური და ბენზინი), გამოიწვიოს ინფლაციის გადამეტებული ზრდა ან კლება, რაც დაგვიმახინჯებს რეალურ სურათს. სწორედ აქ გვჭირდება დიფუზიის ინდექსის გამოყენება. დიფუზიის ინდექსის შემცირება გვიჩვენებს, რომ ფასგაზრდილი პროდუქტების წილი CPI-ში მცირდება, ეს მოვლენა შემცირებადი ინფლაციის პირობებში შეიძლება ჩვეულებრივი მოვლენა იყოს, მაგრამ როცა ინფლაცია მცირდება და ამასთანავე იზრდება დიფუზიის ინდექსი, ვაწყდებით ზევით დასახელებულ პრობლემას და ინფლაციის შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს რამდენიმე პროდუქტზე ფასების დიდი ნახტომით შემცირება, რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი ბოლო პერიოდში, როცა მცირდებოდა ნავთობის ფასი და, შესაბამისად, ბენზინის ფასი, რომელიც CPI-ში წონის მიხედვით მეორე ადგილზეა ხორბლის პურის შემდეგ. მართალია, ბოლო სამი თვეა ბენზინის ფასი იზრდება წინა თვესთან შედარებით, მაგრამ თუ შევხედავთ წინა წლის იმავე თვეების მონაცემებს, ვნახავთ, რომ ბენზინი მნიშვნელოვნადაა გაიაფებული.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ინფლაციასთან ერთად დიფუზიის ინდექსის განხილვა. აღსანიშნავია, რომ ცალკე მხოლოდ დიფუზიის ინდექსის განხილვა არაფერს მოგვცემს, თუ არ გავანალიზებთ ინფლაციასთან დამოკიდებულებაში. როგორც ზევით აღვნიშნე, დიფუზიის ინდექსი კონკრეტული დროის პერიოდისთვის გამოითვლება ამ პერიოდში გაძვირებული პროდუქტების რაოდენობას გამოკლებული ამავე პერიოდში გაიაფებული პროდუქტების რაოდენობა. მაგრამ, თუ არ გავითვალისწინებთ იმ პროდუქტთა რაოდენობას, რომელთა ფასიც არ შეიცვალა, კვლავ ავცდებით რეალობას. აქვე გასათვალისწინებელია, რამდენადაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი თითოეულ პროდუქტზე ფასების ცვლილება და რა დროს შეიძლება ჩაითვალოს ფასის ცვლილება იმდენად უმნიშვნელოდ, რომ შევიყვანოთ პროდუქტი უცვლელი ფასის მქონე პროდუქტთა რიგში. რომელიმე A თვისთვის თუ X პროდუქტის $P_t > P_{t-12}$, ამ პროდუქტს ვანიჭებთ მნიშვნელობას 1-ს, თუ $P_t < P_{t-12}$ 0-ს, ხოლო თუ $P_t = P_{t-12}$, 0.5-ს. სადაც P_t და P_{t-12} X პროდუქტის ფასების ინდექსებია, შესაბამისად, აღებული თვისა და წინა წლის იმავე თვისათვის. ასე მოვიქცევით CPI-ში შემავალი ყველა 295 პროდუქტისთვის, შემდეგ გამოვთვლით საშუალო მნიშვნელობას და გავამრავლებთ 100-ზე. მივიღებთ A თვის დიფუზიის ინდექსს პროცენტებში¹.

მეთოდოლოგია, ალბად გასაგებია. ამიტომ, დავუბრუნდები ზევით მოყვანილ პრობლემას, ფასების ცვლილების მნიშვნელოვნობის შესახებ. აუცილებელია დაწესდეს კრიტერიუმი (მაგ. K), რომელიც იქნება ზღვარი და თუ $-K < \frac{P_t - P_{t-12}}{P_{t-1}} * 100 < K$, მაშინ პროდუქტს მიენიჭება მნიშვნელობა - 0.5, თუ $\frac{P_t - P_{t-12}}{P_{t-1}} * 100 > K$ მიენიჭება -1, ხოლო თუ $\frac{P_t - P_{t-12}}{P_{t-1}} * 100 < -K$ ავიღოთ მნიშვნელობა 0. შემდეგ ვიმეორებთ ზევით აღწერილ პროცედურებს დიფუზიის ინდექსის საპოვნელად. K კრიტერიუმის არჩევა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე და ექვემდებარება ექსპერტულ შეფასებას. ჩემი შეფასებით K-ს ავიღებ 1%-ის ტოლად.

¹ www.conference-board.org. „How to compute diffusion index”.

ამ მეთოდის გამოყენებისას ჩნდება შემდეგი პრობლემა: უსამართლობა იქნება თუ CPI-ში შემავალი ყველა პროდუქტისთვის ავიღებთ თანაბარ ზღვარს. ამ პრობლემის გადასაჭრელად გამოვიყენებ სტანდარტულ გადახრებს (standard deviation), რომლებიც გვიჩვენებენ მონაცემების გაფანტულობას მათი საშუალოს ირგვლივ. სტანდარტული გადახრა გამოითვლება ფორმულით: $\sigma = \sqrt{\frac{1}{n} \sum_{i=1}^n (x_i - \bar{x})^2}$. იმისათვის, რომ შედეგი არ დაემახინჯებინა იმის პერიოდის მოვლენებს, ჩემს მოდელში სტანდარტულ გადახრებს ვიკვლევ 2009-2015 წლის მონაცემების საფუძველზე და შემდეგ განვავრცობ მთლიან მონაცემთა ბაზაზე. ზევით აღწერილი კრიტერიუმის საპოვნელად შემომძიქვს შემდეგი პირობა: $\frac{\sigma_i}{\bar{\sigma}} = \frac{K_i}{r}$, სადაც σ_i -იური პროდუქტის სტანდარტული გადახრაა, $\bar{\sigma} = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n \sigma_i$, ხოლო r გვიჩვენებს იმ პროცენტს, რომელზე მეტადაც ცვლილების შემთხვევაში შეიძლება ეს ცვლილება ჩაითვალოს სტატისტიკურად მნიშვნელოვნად. აქედან $K_i = \frac{\sigma_i}{\bar{\sigma}} * r$ არის ზევით აღწერილი კრიტერიუმი და იგი განსხვავებული იქნება ყველა პროდუქტისთვის. r -ის არჩევა დამოკიდებულია მრავალ გარე ფაქტორზე, მაგალითად, თუ რამდენად მაღალია ინფლაციის დონე, რაც უფრო მცირეა ინფლაცია, მით უფრო მნიშვნელოვანია სტატისტიკურად კონკრეტული პროდუქტის ფასის ზრდა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ინფლაციის დონე საკმაოდ დაბალ დონეზეა შენარჩუნებული 2011 წლის ბოლო თვეებიდან მოყოლებული, (2015 წლის მაისში ინფლაციამ შეადგინა 3,5) მიზანშეწონილად მივიჩნევ $r=1\%$ დონის არჩევას. ამგვარად, გამოთვლილი დიფუზიის ინდექსის დინამიკა CPI ინდექსით გამოთვლილ ინფლაციასთან ერთად წარმოდგენილია გრაფიკზე (იხ. გრაფიკი 1).




როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2005 წლის დეკემბრიდან 2015 წლის მარტამდე, დიფუზიის ინდექსმა თავის მინიმალურ მნიშვნელობას 35%-ს მიაღწია 2010 წლის იანვარში, ხოლო მაქსიმალურ 81.5%-ს 2015 წლის მაისში. აქედან ვასკვნი, რომ ჩემს მიერ აღებულ ინტერვალში პროცენტულად ყველაზე ნაკლები რაოდენობის პროდუქტი (CPI-ში შემავალი) გაძვირდა 2010 წლის იანვარში, ხოლო ყველაზე მეტი 2015 წლის მაისში. 2015 წლის მაისამდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა 2011 წლის მაისში - 79%. ამასთანავე, 2011 წლის მაისში ინფლაციის მაჩვენებელიც იყო საკმაოდ მაღალი - 14%. აქედან გამომდინარე, ორივე

მაჩვენებელი გვაწვდიდა მსგავს ინფორმაციას. ამისაგან განსხვავებით 2015 წლის მაისში გვაქვს ინფლაციის ისტორიულად ყველაზე მაღალი დონე ინფლაციის საკმაოდ დაბალ 3.5%-იან მაჩვენებელთან ერთად, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ინფლაციის ინდექსის არასრულყოფილებაში. ზოგადად ყველაზე სასურველ დონედ მიჩნეულია დიფუზიის ინდექსის 50%-იანი მნიშვნელობა. ჩვენს შემთხვევაში გამოთვლილი დიფუზიის ინდექსების 80% მეტია 50%-ზე.

ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პროცესებიდან გამომდინარე (ლარის გაუფასურება) მნიშვნელოვანია განვიხილოთ დიფუზიის ინდექსი ცალ-ცალკე, იმპორტირებული, ადგილობრივი და შერეული პროდუქციისათვის. თუ ზევით აღწერილ პროცედურას გავიმეორებთ ახლა უკვე სათითაოდ წარმომავლობის მიხედვით დაყოფილი ცხრილებისთვის და მიღებული დიფუზიის ინდექსების დინამიკებს გავაერთიანებთ გრაფიკ 2-ზე, მივიღებთ შემდეგს:

გრაფიკი 2



სხვადასხვა წარმომავლობის დიფუზიის ინდექსის დინამიკა დროში

როგორც ჩანს, ინფლაციური პროცესები ისტორიულად უფრო შეიმჩნეოდა ადგილობრივი პროდუქციის ჯგუფში, რაც გამოიხატება ყოველი პერიოდისთვის სხვა ჯგუფებთან შედარებით მაღალი დიფუზიის ინდექსითა და, შესაბამისად, პროცენტულად უფრო მეტი გაძვირებული პროდუქციით. ბოლო პერიოდში დოლარის მიმართ ვალუტის გაუფასურებამ იმპორტირებული პროდუქტების ჯგუფში დიფუზიის ინდექსის სწრაფი ზრდა გამოიწვია და 2006 წლის შემდეგ იმპორტირებულმა დიფუზიის ინდექსმა 2014 წლის დეკემბერში პირველად გადააჭარბა ადგილობრივი დიფუზიის ინდექსს და ბოლომდე ასეთ ტენდენციას ინარჩუნებს.

რაც შეეხება ვაჭრობადი და არავაჭრობადი პროდუქციის დიფუზიის ინდექსების დინამიკას, ტენდენცია იმგვარია, რომ არავაჭრობადი დიფუზიის ინდექსი ბევრად უფრო სტაბილურია ვაჭრობასთან შედარებით. ვაჭრობადობა არის თვისება, რომელიც გვიხსნის, თუ რამდენად შეიძლება გაიყიდოს საქონელი ან მომსახურება იმ ადგილისაგან შორს, სადაც მოხდა მისი წარმოება. პროდუქტი, რომლის გაყიდვა წარმოების ადგილიდან მოშორებით არაა შესაძლებელი არავაჭრობადი პროდუქტია. სხვადასხვა პროდუქტს აქვს ვაჭრობადობის

სხვადასხვა დონე. მაგრამ ახლა განვიხილავთ მხოლოდ ორ ჯგუფად: ვაჭრობადი და არავაჭრობადი. საქართველოს CPI-ში არის 228 ვაჭრობადი და 67 არავაჭრობადი პროდუქტი. არავაჭრობადია მაგალითად: ასლის გადაღება, ხინკალი სახინკლეში, ლუდი ბარში, უმაღლესი სასწავლებლის გადასახადი და ასე შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოლივიე ბლანშარი, მაკროეკონომიკა, თსუ., გამომცემლობა, 2010.
2. www.geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
3. www.nbg.gov.ge საქართველოს ეროვნული ბანკი, მეთოდოლოგიები, პუბლიკაციები: თვის მიმოხილვა, ინფლაციის მიმოხილვა.
4. www.conference-board.org, „How to compute diffusion index“.
5. www.tcmb.gov.tr. Central bank of the republic of Turke.
6. www.bcrp.gob.pe. Central reserve bank of Peru.
7. www.nbp.pl. „Methodology of calculating core inflation measures published by Narodowy Bank Polski“.

რეზიუმე

დასკვნის სახით შეძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანია დიფუზიის ინდექსის განხილვა ინფლაციის ინდექსთან ერთად, რადგან იგი გვიჩვენებს პროცენტულად რა რაოდენობის პროდუქციაზე გაიზარდა ფასი, ეს არ არის შეწონილი სიდიდე, შესაბამისად, მაღალწონიანი პროდუქტების ფასების მერყეობა, რომელიც გვიმახინჯებს ინფლაციის ინდექსს, ვერაფერს აკლებს დიფუზიას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ცალკე მხოლოდ დიფუზიის ინდექსი არაფერს გვაძლევს. ამ ორი ინდექსის ერთდროული გამოყენება, რაც გვაწვდის ქვეყანაში ფასების დინამიკის ორ ალტერნატიულ ხედვას, გვაძლევს საშუალებას განვახორციელოთ უფრო ზუსტი ანალიზი, რაც მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს ეხმარება უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ბოლო თვეებში (2015 წლის მაისამდე) მაღალი და ზრდადი დიფუზიის ინდექსი გვიჩვენებს, რომ ინფლაცია მოდებულია CPI- ში შემავალი პროდუქტების დიდ ნაწილში. ამ მაჩვენებლის შეუსაბამობა ინფლაციის ინდექსის დაბალ დონესთან, ინფლაციის ინდექსის ზევით აღწერილი პრობლემების ნათელი გამოვლინებაა. ამასთანავე, ბოლო პერიოდში, ასე თუ ისე ლარი საშუალებას იძლევა დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ დიფუზიის ინდექსმა მაისში მიაღწია თავის პიკს და მომავალში დაიწყებს კლებას - იმპორტირებული დიფუზიის ინდექსის კლების ზეგავლენით.

ბიზნეს-ანგელოზები

ინგა ბეჟანიძე

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

ბიზნეს-ანგელოზების საქმიანობა არ წარმოადგენს ახალ მოვლენას, რადგან შედარებით მცირე, სარისკო პროექტებში ინვესტირება თითქმის ყველა დროში ხორციელდებოდა და ზოგიერთი საკმაოდ შემოსავლიანიც იყო. თანამედროვე ბიზნეს-ანგელოზების საქმიანობის ძირითად პრინციპებთან მიახლოებულ კლასიკურ გარიგებებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი: 1878 წელს ამერიკელმა მეწარმეებმა ჯ.პ. მორგანმა და ს. ტრასკმა დააფინანსეს ტ. ედისონის გამოგონება ელექტროენერგეტიკის სფეროში; ტ. სანდერსმა და გ. ხაზარდმა 1874 წელს დააფინანსეს ბელის საწარმო, რომელიც სპეციალიზებული იყო მსოფლიოში პირველი ტელეფონის შექმნაზე; სტენფორდის უნივერსიტეტის ვიცე - პრეზიდენტმა და სილიკონის ველის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ფრედ ტერმანმა თავისი ჯიბიდან 538 დოლარი დააბანდა სტუდენტების ჰიულეტის და პაკარდის მიერ ოსცილიატორის შექმნაში.

XX საუკუნის შუა პერიოდში აშშ-ში სამომხმარებლო საზოგადოების განვითარებამ და სამხედრო დანახარჯების გადიდებამ განაპირობა მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე, პირველ რიგში კი მანქანებზე, მოწყობილობებზე, კომპიუტერებზე მოთხოვნის ზრდა, რაც ადრეული სტადიის მაღალრისკიანი ინვესტიციების გააქტიურებაში აისახა. სათესლე კაპიტალის მოცულობის ზრდამ ხელი შეუწყო ინვესტირების შესაძლებლობების გაერთიანებას, კაპიტალდაბანდების ფორმების გაერთიანებასა და ინფრასტრუქტურის შექმნას. ამ სფეროში მოხდა მსხვილი ინსტიტუციური ინვესტირების ჩართვა - ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, კორპორაციები. შედეგად, ჩამოყალიბდა ვენჩერული ინდუსტრია, მისი თანამედროვე გაგებით, ჯერ აშშ-ში, ხოლო შემდეგ ევროპაში. სწორედ ვენჩერულმა ბიზნესმა იკისრა რისკიანი საწარმოების განვითარების ფინანსური ძრავის ფუნქცია. ვენჩერული კაპიტალის წყალობით დაფინანსება მიიღეს ისეთმა ფირმებმა როგორცაა: Intel, Microsoft, Apple და ა.შ.

ბიზნეს-ანგელოზები ფიზიკური და იურიდიული პირებია, რომლებიც საკუთარ სახსრებს ინოვაციურ საწარმოებსა და ადრეული, „თესვის“ სტადიის პროექტებში აბანდებენ. დაფინანსება ხდება გრძელვადიანი პერსპექტივით, ხშირად ყოველგვარი გარანტიის მოთხოვნის გარეშე. ბიზნეს-ანგელოზების ინვესტიციის მოცულობა ერთ პროექტში ძირითადად რამდენიმე ათასიდან ერთ მლნ. დოლარამდე მერყეობს. ბიზნეს-ანგელოზის, როგორც ინვესტორის, ძირითადი მიზანია დაფინანსებული საწარმოს ღირებულების დაჩქარებული ზრდის შედეგად მაღალი მოგების მიღება. ძირითადად შემოსავალს ისინი „გასვლისას“ იღებენ, როდესაც ხდება საწარმოში წილის გაყიდვა. ამ დროს მათი წილის ღირებულება უკვე მნიშვნელოვნად აღემატება საწყის ინვესტიციებს. საინვესტიციო რისკების შემცირება კი ხდება ერთდროულად რამდენიმე საწარმოში ფულის დაბანდებით, პროექტების კომპლექსური შესწავლითა და ბიზნეს-ანგელოზის მართვაში მონაწილეობით, სადაც ისინი ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

ფინანსური კონტექსტით ტერმინი - „ანგელოზი“ ამერიკული შოუ-ბიზნესიდან შემოვიდა, სადაც ის აღნიშნავდა სპონსორს, რომელიც პროექტებს საქველმოქმედო საწყისებზე აფინანსებდა და წარმატების შემთხვევაში, მოგების განაწილებაშიც იღებდა მონაწილეობას. თანდათან ეს მიდგომა ინოვაციების და მაღალი ტექნოლოგიების სფეროშიც გავრცელდა. პირველ რიგში ეს შეეხო სილიკონის ველს, სადაც მდიდარმა ადამიანებმა საწყის სტადიაზე მყოფი ინოვაციური პროექტების დაფინანსება დაიწყეს. ხშირ შემთხვევაში, ეს პროექტები უკავშირდებოდა თვით ინვესტორის ბიზნესს, ან მის მეგობრებს, ყოფილი კოლეგების და სამეცნიერო თანამოაზროვნეების იდეებს წარმოადგენდა.

ვენჩერული ფირმებისაგან განსხვავებით, ბიზნეს-ანგელოზების საქმიანობა გაცილებით დიდი რისკის შემცველია. როგორც წესი, საწარმოებს განვითარების საწყის ფაზაზე აფინანსებენ, როდესაც პრაქტიკული წარმატებისათვის მათ ჯერ არ მიუღწევიათ და არა აქვთ საშუალება მოახდინონ საკუთარი ბიზნეს- მოდელის დემონსტრირება. ხშირად ისინი მხოლოდ იდეებში ახდენენ ინვესტირებას. როგორც წესი, ასეთი საქმიანობის შედეგად ბიზნეს-ანგელოზები იღებენ მნიშვნელოვან მოგებას. ამა თუ იმ ფორმით ბიზნეს-ანგელოზები აქტიურები არიან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მართალია მათ ახასიათებთ გარკვეული ნაკლოვანებები, მაგრამ უპირატესობები გაცილებით მეტია:

- ინოვაციურ ფირმებში ფულის დაბანდება მათი განვითარების ადრეული თესვის სტადიაზე - მიუხედავად დაბანდებული კაპიტალის დაკარგვის მაღალი რისკისა, ბიზნეს-ანგელოზები არ უფრთხიან დააფინანსონ მაღალტექნოლოგიური ინოვაციური ფირმები;
- ფორმალური ინვესტორების მხრიდან უყურადღებოდ დატოვებულ სფეროებში შესვლით ბიზნეს-ანგელოზები ავსებენ სიცარიელეს კაპიტალის ბაზარზე;
- ბიზნეს-ანგელოზები კაპიტალს ნებისმიერ სფეროში აბანდებენ - კონკრეტული დარგის მიუხედავად მათ იზიდავს ფირმები ზრდის დიდი პოტენციალით;
- ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას ბიზნეს-ანგელოზები ავლენენ დიდ მოთმინებასა და მოქნილობას, ვიდრე ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები;
- ბიზნეს-ანგელოზების უმრავლესობას გააჩნია სამეწარმეო საქმიანობის დიდი გამოცდილება, რომელსაც უანგაროდ უზიარებს თესვის სტადიაზე მყოფ ფირმებს, რითაც ეხმარება ფეხზე დადგომაში. უფასო რჩევები და დახმარება ინვესტორის მხრიდან, რომელსაც სამეწარმეო საქმიანობის დიდი გამოცდილება გააჩნია, შეუფასებელია დამწყები მეწარმისათვის;
- ბიზნეს-ანგელოზები ასრულებენ კატალიზატორის როლს, რადგან ახლად შექმნილი ფირმა, რომელმაც მიიღო გარკვეული დაფინანსება, უფრო სოლიდურად გამოიყურება ფორმალური ინვესტორების თვალში;
- საწარმოში დაბანდებული ფულადი სახსრების პარალელურად ბიზნეს-ანგელოზები გამოდიან თავდებად საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე;
- ფორმალურ ფინანსურ ბაზრებთან შედარებით, ბიზნეს-ანგელოზების მოქმედების გეოგრაფიული არეალი გაცილებით ფართოა.

ევროპისა და ამერიკის საქმიან სამყაროში გავრცელებულია მარტივი ფორმულა:

A Business Angel = Heart and Money + Brain

ანგელოზების მიერ წარმატებით განხორციელებული ინვესტიციების მაგალითები მრავლად მოიძებნება

ცხრილი 1¹


„ანგელოზების“ მიერ წარმატებით განხორციელებული ინვესტიციების მაგალითები					
საფირმო სახელწოდება	„ანგელოზი“	ბიზნესის სახე	წილის შეძენის ფასი მლნ დოლარი	წილის გაყიდვის ფასი მლნ დოლარი	გაყიდვის ფასი / შეძენის ფასი
Apple Computer	Mike arkkula	კომპიუტერული ტექნიკა	91,0	154	1,692
Amazon.com	Thomas Alberg	ინტერნეტ-მაღაზია	0,1	26	260
Blue Rhino	Andrew Filipowski	პროპანის ცილინდრების შეცვლა	0,5	24	48
Lifeminders.com	Frans Kok	ინტერნეტ e-mail შეხსენების მომსახურება	0,1	3	30
Body Shop	Ian McGlinn	სხეულის მოვლის საშუალებები	4,0	42	10,5
ML Laboratories	Kevin Leech	თირკმლის მკურნალობა	50,0	71	1,42
Matcon	Ivan Semenenko	სატვირთო კონტეინერები	0,0150	2.5	166

ევროპის ბიზნეს-ანგელოზთა ქსელი განსაკუთრებით ბოლო წლებში აფართოებს ინვესტირების საქმიანობის არეალს. საწყისი სტადიის ევროპის საინვესტიციო ბირჟა შეფასებულია 7,5 მლრდ ევროდ. მათ შორის ბიზნეს-ანგელოზთა წილი კი 5,5 მლრდ ევროა, რაც ყველაზე მეტი წილია.

დიაგრამა 1²

ევროპის საინვესტიციო მიმართულებების სამი ძირითადი სფერო

7,5 b€ European Early Stage Investment
5,5b€ Business Angels
2b€ Early Stage VCs
80 m€ Equity Crowdfunding




¹ www.fd.ru.

² www.eban.org.

EBAN-ის მონაცემების მიხედვით, ევროპაში ბიზნეს-ანგელოზთა ინვესტიციები 2013 წელს 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 5,5 მლრდ ევროთი, რაც 8,7% შეადგენს. ბაზარი იზრდება ყველა ელემენტის მიხედვით.

გრაფიკზე ასახულია ბიზნეს-ანგელოზთა რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ BAN-ში საერთო რაოდენობასთან შედარებით.


დიაგრამა 2



საშუალოდ 17%-ით გაიზარდა ბიზნეს ანგელოზთა ქსელი ბოლო 10 წლის განმავლობაში. აქტიური ქსელების რაოდენობამ 469-ს მიაღწია.

დიაგრამა 3

ბიზნეს ანგელოზთა აქტიურობა ბიზნეს-ანგელოზთა ევროპულ ქსელში¹



დიდი ბრიტანეთი აგრძელებს ლიდერობას ბიზნეს-ანგელოზთა ბაზარზე. მისი ინვესტიცია ამ ქსელში შეადგენს 84,4 მილიონ ევროს. ასევე მსხვილი მოთამაშეები არიან ესპანეთი, რუსეთი და საფრანგეთი.

¹ დიაგრამა აგებულია ბიზნეს-ანგელოზთა ევროპული ქსელის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით. www.eban.org.

ბიზნეს-ანგელოზთა ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით¹

	BA	BAN	კომპანიის ფინანსები	BA ინვესტიციები 2013	პროენტული მონაცემები	BA ინვესტიციები 2012	კომპანიის საშ. ინვესტიციები	BA საშ. ინვესტიციები	BAN-ის საშ. ინვესტიციები
დიდი ბრიტანეთი	4350	38	535	84,4	24%	68,3	2354	157.757	19.402
ესპანეთი	2520	63	454	57,6	-8%	62,5	1485	235.102	22.857
რუსეთი	220	13	165	41,8		n.a.	808	253.030	189.773
საფრანგეთი	4320	83	376	41,1	0%	40,9	1807	109.176	9.502
გერმანია	1510	37	185	35,1	26%	27,9	916	189.838	23.258
ფინეთი	490	12	208	26,4	-7%	28,4	916	175.909	53.776
შვედეთი	762	11	110	19,4	-17%	23,2	506	240.984	25.394
თურქეთი	450	10	61	14,7	40%	10,5	400	189.000	32.667
პორუგალია	611	13	73	13,8	19%	11,6	497	302.273	22.581
შვეიცარია	424	7	44	13,3	15%	11,6	130	222.966	31.368
ირლანდია	480	6	59	13,2	9%	12,1	286	115.882	27.406
დანია	155	5	102	11,8		n.a.	539	149.254	76.258
ბელგია	350	6	67	10	96%	5,1	332	230.233	28.571
იტალია	760	11	43	9,9	-10%	11	282	169.310	13.026
ჰოლანდია	810	11	58	9,8	-3%	10,1	281	173.158	12.123
პოლონეთი	160	4	38	6,6		n.a.	233	56.108	41.125
ესტონეთი	52	1	83	4,7		n.a.	457	222.105	89.558
ნორვეგია	152	3	19	4,2		n.a.	88	121.000	38.364
ავსტრია	240	2	24	2,9		n.a.	132	121.00	12.100

საქართველოში იმ ინვესტორთა რიცხვი, რომლებიც საკუთარ თავს ბიზნეს-ანგელოზის პოზიციაზე განიხილავენ, ძალზედ მცირეა - დაახლოებით 50-60. ესენია - ბიზნესმენები, ეკონომისტები, ინჟინრები, ექიმები, იურისტები, მეცნიერები და უცხოეთში წარმატებით მოღვაწე ქართველები. ამასთან, გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოში ფუქციონირებად ყოველ მეხუთე საწარმოს არაფორმალურ ინვესტორთან აქვს ურთიერთობა, ანუ ასეთი ინვესტორების რიცხვი შეიძლება ბიზნეს-ანგელოზის ფორმატში განვიხილოთ. მეწარმეები, რომლებმაც დაფინანსება ბიზნეს-ანგელოზებისაგან მიიღეს თვლიან, რომ საქართველოში მფარველი „ანგელოზის“ პოვნა ძალზედ რთულია. იმის უნივერსალური აღწერა, თუ როგორია ქართველი ბიზნეს-ანგელოზი რა თქმა უნდა, შეუძლებელია. თუმცა, ჩატარებული კვლევა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ძირითადი ნიშნები.

ქართველი ბიზნეს-ანგელოზების საშუალო ასაკი დაახლოებით 45 წელია. „ანგელოზ“ ინვესტორთა 17% ქალები არიან, 83% კი - მამაკაცები. ბიზნეს-ანგელოზების 80% უმაღლესი განათლებითაა, 10% - სპეციალური პროფესიული, 10% -საშუალო. მათგან 94%-ს ადრეც აქვთ დაწყებული ბიზნესი და მხოლოდ დარჩენილი 6%-ისათვის „ანგელოზური“ დაფინანსება წარმოადგენს პირველ სამეწარმეო გამოცდილებას.

თანხა, რომელსაც ქართველი ბიზნეს-ანგელოზები პერსპექტიულ პროექტში ახანდებენ, საშუალოდ 50000 ლარს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბიზნეს-ანგელოზების ინვესტიციების ყველაზე ხშირად განმეორებადი დიაპაზონი 10000-20000

¹ www.eban.org.

ლარია. მოგება, რომელსაც „ანგელოზები“ ინვესტიციებიდან ელოდებიან, საშუალოდ 30%-ს შეადგენს. ინვესტირებული კაპიტალის უკან დაბრუნებას კი დაახლოებით 3 წელიწადში ვარაუდობენ. ფინანსების გარდა ანგელოზები რეციპიენტ საწარმოს აქტიურად უზიარებენ ცოდნას, გამოცდილებას, სასარგებლო კონტაქტებსა და უწევენ კონსულტაციას.

ქართველი ბიზნეს-ანგელოზები პერსპექტიული პროექტების შესახებ ინფორმაციას პირადი ძიებით და მეგობრებისაგან იღებენ. ფულს ძირითადად ნათესავებისა და მეგობრების ბიზნესში აბანდებენ.

ერთმნიშვნელოვანი არ არის „ანგელოზთა“ მამოძრავებელი მოტივები, თითოეულ მათგანს განსხვავებული ინტერესები აქვს. არსებული მონაცემების საფუძველზე ისინი ძირითადად ორიენტირებულნი არიან:

- პირადი შემოსავლების ზრდა - 54%;
- მეგობრებისა და ნათესავების დახმარება - 18%;
- საწარმოს მართვაში მონაწილეობა - 14%;
- საკუთარი სამუშაო ადგილის შექმნა - 12%;
- სოციალური პასუხისმგებლობის განცდა - 2%;

ბიზნეს-ანგელოზების უმრავლესობა თავიდანვე აცნობიერებს თუ რა სურს მიიღოს კონკრეტული პროექტიდან, შესაბამისად, მათ მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული ინვესტირების კრიტერიუმები:

- მომგებიანობა - 44%;
- ნაცნობი ბაზარი - 20%;
- სრულყოფილი ბიზნეს-გეგმის არსებობა - 13%;
- სწრაფი ზრდის პერსპექტივა - 10%;
- საწარმოს სიახლოვე საცხვრებელ ადგილთან - 7%;
- ინოვაციურობა - 6%.

ქართველი ბიზნეს-ანგელოზების 50% აქტიურ მონაწილეობას იღებს რეციპიენტი საწარმოს მართვაში, 27% სისტემატურად აკონტროლებს, 20% -უწევს რეკომენდაციებს, ხოლო 3% საერთოდ არ ერევა მის საქმიანობაში. ამასთან უნდა ითქვას, რომ მათი 40% ერთი თვის განმავლობაში დაფინანსებულ ფირმაში 24 საათზე მეტს ატარებს, 30% - 6-დან 12-ს, 17% - 12-დან 24-ს, ხოლო 13% 1-დან 6 საათს.

თესვის და სთარტ-აფ დაფინანსების ეტაპზე ყველაზე მაღალია რისკის ფაქტორი, ამიტომ ინვესტორები ცდილობენ რისკების მინიმიზებას რაც, ხშირ შემთხვევაში, თანადაფინანსებითაა შესაძლებელი. გამოვლენილია, რომ ქართველი ბიზნეს-ანგელოზების 34% ყოველთვის სხვებთან ერთად ახორციელებს დაფინანსებას, 46% - ზოგჯერ მარტო, ხოლო 20% კი დამოუკიდებლად, ყოველგვარი დახმარების გარეშე.

თუ განვაზოგადებთ და გავამარტივებთ საქართველოში არსებულ სიტუაციას, შეიძლება ითქვას, რომ ფორმირების სტადიაზე მყოფი ბიზნეს-ანგელოზების სექტორისათვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებურებები:

- ფრაგმენტულობა - ცალკეული ინვესტორები ან ბიზნეს-ანგელოზების მცირერიცხოვანი ჯგუფები სუსტად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან;
- გაურკვევლობა - საქმიანი წრეების მიერ არ ხდება ბიზნეს-ანგელოზების, როგორც ინვესტორების დამოუკიდებელი კატეგორიის, იდენტიფიცირება. მცირე ინოვაციური

საწარმოების მოქმედი ინვესტორების გარკვეული ნაწილი თავს არ თვლის ბიზნეს-ანგელოზად, არ ერთიანდება შესაბამის ქსელში, არ უზიარებს გამოცდილებას და არ იმაღლებს პროფესიულ ცოდნას. პოტენციური ბიზნეს-ანგელოზები საერთოდ არ არიან ინვესტირებით დაკავებულნი ან ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობის გამო ეკონომიკის სხვა დარგების პროექტებს აფინანსებენ;

- ფინანსური უკმარისობა - რისკისა და სექტორის განუვითარებლობის გამო, ბიზნეს-ანგელოზების მიერ შეთავაზებული ინვესტიციების მოცულობა ძალიან მცირეა და არასაკმარისი თესვის სტადიის პროექტებისათვის.

ამ სამი პრობლემის საფუძველია ინფორმაციის ნაკლებობა, რაც იწვევს ნეგატიურ შედეგებს:

- ინვესტორს უჭირს მომგებიანი პროექტის მოძებნა;
- ის და ინვესტიციების მამიებელი სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, არ ენდობიან ერთმანეთს, არ იციან როგორ მიაღწიონ ორივე მხარისათვის მისაღებ შეთანხმებას;
- ნაკლებია ურთიერთობები ბიზნეს-ანგელოზებს შორის - არ იცვლება ინფორმაცია და ინვესტირების პოზიტიური გამოცდილება.

ბიზნეს-ანგელოზების რიგები საგრძნობლად შეივსო უკანასკნელი წლების განმავლობაში და ეს პროცესი გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებშიც კი არ შენელებულა. ეკონომიკური არასტაბილურობის გამო ბანკები და სხვა ფორმალური ინსტიტუტები ერიდებიან სესხების გაცემას, ანგელოზები კი ჩვეული რეჟიმით განაგრძობენ საქმიანობას. ბიზნეს-ანგელოზების დაფინანსებამ თესვის სტადიასთან ერთად მოიცვა სტარტაფი და ბიზნესის განვითარების უფრო გვიანი ფაზებიც.

ორიენტაციის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ სამი ტიპის ბიზნეს-ანგელოზი:

1. „ტრადიციული“ ბიზნეს-ანგელოზები - გამოცდილი მეწარმეები, რომელთა ქონება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა. ისინი ყოველთვის რეციპიენტი საწარმოს გვერდით დგანან. მათი აქტივები დივერსიფიცირებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულ და სხვა კერძო ფირმების აქციებში. ამის გარდა, ისინი ფლობენ უძრავ ქონებას და ინვესტირებას ახორციელებენ პრაქტიკულად ყველა დარგში. მათი საქმიანობის სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ მაღალტექნოლოგიური დარგებით. ისინი რეციპიენტი საწარმოს კარგი მფარველის როლში შეიძლება მოგვევლინონ.
2. მაღალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ბიზნეს-ანგელოზები - ადამიანები ხშირად შედარებით მცირე სამეწარმეო გამოცდილებით და, ამავე დროს, გარისკვის დიდი სურვილით გამოირჩევიან. მათ ასევე გააჩნიათ თანამედროვე ცოდნა მაღალტექნოლოგიური ბიზნესის განვითარების პერსპექტივებზე. მათი საინვესტიციო პოტენციალი დამოკიდებულია იმ მაღალტექნოლოგიური ფირმების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებშიც მათ თავის დროზე ფული დააბანდეს და რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა საკმაოდ მერყეობდეს. ამ ტიპის ბიზნეს-ანგელოზები, როგორც წესი, დიდ სიამოვნებას იღებენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, მაგრამ ბიზნესის მართვის რუტინულ პროცესში ჩაბმა არ სურთ.
3. ROI-ზე ორიენტირებული ბიზნეს-ანგელოზები - არიან ინვეტორები, რომელთათვისაც გადაწყვეტია მაღალი მოგების მიღება. ინვესტორების სურვილი დამოკიდებულია მხოლოდ მოგების რაოდენობაზე, ამდენად, რეციპიენტ საწარმოს განვითარების რთულ

პერიოდში მათი მოცულობა შესაძლებელია შემცირდეს. ასეთი ტიპის ბიზნეს-ანგელოზები ინვესტირების პროცესს განიხილავენ როგორც საკუთარი აქტივების პორტფელის დივერსიფიკაციის საშუალებას და არ აინტერესებთ საწარმოს მართვაში მონაწილეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შაბურიშვილი შ., ბიზნეს-ანგელოზები - არაფორმალური ინვესტიციების მოძიების ქართული გამოცდილება, „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
2. www.eban.org.
3. www.lookinvestment.ru.
4. www.businessangelseurope.com.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია არაფორმალური ინვესტორების საქმიანობის თავისებურებები, რომლებსაც ბიზნეს-ანგელოზებს უწოდებენ. ისინი არიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები, რომლებიც თავიანთ სახსრებს აბანდებენ სარისკო პროექტებში, რომელთა მოცულობა 1 მლნ დოლარს არ აღემატება. განსაკუთრებით ბოლო წლებში იმატა ბიზნეს-ანგელოზთა ინვესტიციებმა. ამას ცხადყოფს ბიზნეს-ანგელოზთა ევროპული ქსელის უკანასკნელი მონაცემები. ყურადღება გამახვილებულია ქართველ ბიზნეს - ანგელოზებზე, საიდანაც ჩანს თუ რა თავისებურებებია დამახასიათებელი ქართული სექტორისათვის და არსებული პრობლემების საფუძველზე რა ნეგატიური შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის ნაკლებობამ. თუმცა, არსებული პრობლემების მიუხედავად, იგი სწრაფმზარდი სექტორია, საქართველოში მისი ფართოდ განვითარების წინაპირობაა.

კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში

ბურდული დავითი, წულაია მალხაზი

ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტები,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ინეზა გაგნიძე**

ადამ სმიტისეული მიდგომით, ბაზარს „უხილავი ხელი“ არეგულირებს და უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებას. მისი აზრით, ბაზრის რეგულირება გარე ძალების მიერ გამოიწვევს საბაზრო პრინციპების დარღვევას და საბოლოოდ უარყოფითად აისახება მთლიანად ეკონომიკაზე. ისტორიამ აჩვენა, რომ სმიტისეული მიდგომა არ წარმოადგენს აქსიომას და ზოგჯერ სახელმწიფოს მიერ ბაზარზე ზემოქმედება დადებით შედეგებს იძლევა, მთლიანად ეკონომიკის განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას უწყობს

ხელს. თუმცა, ამით არ უნდა უარყოფთ სმიტისეული მიდგომა და არ უნდა მოვახდინოთ ბაზარზე პირდაპირი კონტროლის დაწესება, არამედ უნდა შეირჩეს ისეთი მეთოდები, რომელიც აღმოფხვრის ბაზრის უუნარობას, გადაცდენებს და მისცემს სმიტისეულ „უხილავ ხელს“ ბაზრის ეფექტიანად რეგულირების საშუალებას.

სმიტისეული მიდგომა დამყარებულია კონკურენტულ ბაზრებზე. რეალობაში სრულყოფილი კონკურენტული ბაზრების არარსებობამ ხელი შეუწყო სმიტისეული მიდგომის „კრახს“. ლოგიკურია, რომ თუ სახელმწიფო შეძლებს ბაზარი გახადოს კონკურენტული, ეს ავტომატურად აამოქმედებს სმიტისეულ „უხილავ ხელს“ და მიიღწევა მაქსიმალური საზოგადოებრივი სარგებლიანობა. ე.ი. ნებისმიერი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ სასიცოცხლო მიმართულებად კონკურენციის პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს.

კონკურენცია არის ბაზარზე სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სუბიექტების მრავალმხრივი საქმიანობა, რომლებიც საკუთარ მიზნებს კონკურენტების შევიწროების ხარჯზე ანხორციელებენ. ის გულისხმობს კონკურენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებასა და ეკონომიკურ მეტოქეობას.

კონკურენციას მიაკუთვნებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, კერძოდ:


1. კონკურენცია ეკონომიკაში შეზღუდული რაოდენობის საწარმოო ფაქტორებს მოთხოვნის მიხედვით ანაწილებს;
2. ისჯება ან კოტრდება;
3. კონკურენცია ხასათდება თვისებით, რომ ფაქტორების განაწილება ბაზრებზე შემოსავლის შედეგების შესაბამისად განხორციელდეს.
4. სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების გამო ენიჭება უპირაკონკურენცია ახალი პროდუქტებისა და ხარისხის შექმნას უწყობს ხელს;
5. კონკურენცია „ზრუნავს“ იმაზე, რომ ბაზარზე ეკონომიკური ძალაუფლების პოზიცია ხანგრძლივი არ იყოს;

კონკურენციას აქვს სანქციის ფუნქცია, გამრჯე ადამიანი მოგებით ჯილდოვდება, ის კი ვინც მენეჯმენტში შეცდომას დაუშვებს - დანაკარგებით ტესობა კონკურენტული ბაზრების შექმნის მექანიზმს. მონოპოლიური ბაზრები ხასიათდებიან საზოგადოებრივი დანაკარგებით, რომელიც ნახაზზე წარმოდგენილია ABC სამკუთხედით (იხ. ნახაზი 1). მთავრობებმა ძალღონე არ უნდა დაიშურონ კონკურენციის პოლიტიკის სწორად შემუშავებასა და მის რეალურად განსახორციელებლად.

კონკურენციის პოლიტიკა მიმართულია ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოს ფორმირებითა და მისი შესრულების მეთვალყურეობით, მიაღწიოს ეფექტიან კონკურენციას. იგი ხორციელდება: კონკურენციისთვის ხელის შეწყობით, კონკურენციის დაცვით და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე ზედამხედველობით.

სწორედ ზემოთქმული მიზეზების გამო, გადავწყვიტეთ გავცნობოდით ქართულ რეალობას კონკურენციის პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში. საქართველო ცდილობს დაუახლოვდეს ევროპის განვითარებულ ქვეყნებს და მნიშვნელოვანია გავარკვიოთ რა საკანონმდებლო აქტებით ხდებოდა და ხდება ამჟამად კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში.

მონოპოლიური საზოგადოებრივი დანაკარგები



დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოს მთავრობა ცდილობდა, ფორმალურად მაინც, მიეღო ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფდა ჯანსაღ კონკურენციას ქართულ ეკონომიკაში.

კონკურენციით ხორციელდება ზეწოლა საწარმოებზე, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს საწარმოთა მცდელობა, თავი აარიდონ კონკურენციას ან შეზღუდონ ის. ისინი ხშირად ახერხებდნენ ზემოქმედებას მთავრობაზე და ზღუდავდნენ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

კონკურენციის შეზღუდვის მძლავრ ფორმას წარმოადგენს მონოპოლიები და ოლიგოპოლიურ ფირმათა გაერთიანებები, რომელთა ნაკლებობა საქართველოში არც წარსულში დაფიქსირებულა და არც ამჟამად არის.

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება შემოიღეს 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით - „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“. 1996 წელს მიიღეს „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც გაუქმდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით 2005 წელს.

საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ მიიღეს კონკურენციის პოლიტიკის რეფორმის ფარგლებში. აღნიშნული კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა კორუფციის საფრთხის შემცირება „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესში და შედეგად, ბაზრის მონაწილეთათვის თანაბარი პირობების შექმნა. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ძირითადად ორიენტირებული იყო სახელმწიფო დახმარებაზე. სახელმწიფო დახმარება განიმარტება როგორც ნებისმიერი ფორმის ერთჯერადი დახმარება, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ეს კანონი მიიღეს გარდამავალი პერიოდისათვის და არ წარმოადგენდა სრულყოფილ კანონს.

2010 წელს, საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი კანონმდებლობის ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, საქართველოს მთავრობამ შექმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც

შესაბამის სამინისტროებსა და ინსტიტუტებთან თანამშრომლობით შეიმუშავა სტრატეგიის პროექტი.

სტრატეგიის მომზადების პროცესში უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა:

- ✓ შეისწავლა და გააანალიზა საქართველოს კანონმდებლობა კონკურენციის სფეროში;
- ✓ შეისწავლა და გააანალიზა საერთაშორისო და ევროპული გამოცდილება/მოთხოვნები კონკურენციის სფეროში;
- ✓ განსაზღვრა საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის პრიორიტეტები და პრინციპები;
- ✓ გააანალიზა საქართველოს კანონმდებლობის ნაკლოვანებები;
- ✓ კოორდინაცია გაუწია სტრატეგიის იმპლემენტაციისათვის აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს;
- ✓ უზრუნველყო სამთავრობო ინსტიტუტების მონაწილეობა სტრატეგიის შემუშავების პროცესში. აქტიურად თანამშრომლობდა დაინტერესებულ მხარეებთან, დონორ ორგანიზაციებსა და შესაბამის ინსტიტუტებთან.

სტრატეგიის პროექტზე მუშაობის პერიოდში უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს დახმარება გაუწია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფმა. პროცესს უძღვებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველები.

2010 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ დოკუმენტში - „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, აისახა უწყებათაშორისი კომისიის მიერ განხილული საკითხები და სამოქმედო გეგმა. არსებული მდგომარეობის ანალიზმა ცხადყო, რომ მოქმედი კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ შეიცავდა რიგ ნაკლოვანებებს, რომლებიც უნდა აღმოფხვრილიყო. ამ სტრატეგიის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი რეფორმის შედეგად:

- პირველი, შეუძლებელი იყო არსებული კანონი მიჩნეულიყო „ჩარჩო კანონად“. გამომდინარე იქიდან, რომ იმ დროს მოქმედი კანონი არ შეიცავდა კონკურენციის სფეროსათვის დამახასიათებელ ძირითად დეფინიციებს, პრინციპებსა და პროცედურებს;
- მეორე, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ძირითადად ეხებოდა სახელმწიფო დახმარებას, სახელმწიფო დახმარება და მისი გაცემის პროცედურები არ იყო სათანადოდ განმარტებული;
- მესამე, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს არ გააჩნდა საკმარისი დამოუკიდებლობა და კომპეტენცია. სააგენტო წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, მას თითქმის არავითარი კომპეტენცია არ გააჩნდა კონკურენციის სფეროში, გარდა სახელმწიფო დახმარების რეგულირებისა. ეს ინსტიტუტი დაარსდა გარდამავალი პერიოდისათვის. ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით 2012 წლის ივნისში მიიღეს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. კანონის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. ეს კანონი ადგენდა თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლობიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. ამ კანონით განისაზღვრებოდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის არამართლობიერად შემზღუდველი ქმედებები, თავისუფალი ვაჭრობისა და

კონკურენციის დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები და უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენცია .

ამჟამად, საქართველოში კონკურენციის პოლიტიკაში „ჩარჩო კანონს“ წარმოადგენს 2014 წელს დამტკიცებული კანონი „კონკურენციის შესახებ“, რომელიც არის 2012 წელს მიღებული კანონის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, შესწორებული ვერსია. კანონში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები და მიახლოებულია ევროპულ მოთხოვნებთან. მას ქვემოთ განვიხილავთ დაწვრილებით. უკვე აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან შეუდგა კონკურენციის „ჩარჩო კანონის“ შემუშავებისა და სრულყოფის პროცედურებს. თავდაპირველად, მიღებული საკანონმდებლო აქტები და სამთავრობო დადგენილებები იყო საკმაოდ ზოგადი და მხოლოდ ე.წ. „კანონი კანონისთვის“ ფუნქციას ასრულებდა. ასევე პრობლემები იყო კანონის აღსრულების პროცესში. მაღალი კორუფცია და საწარმოებზე ზეწოლა კონკურენტული გარემოს შექმნას შეუძლებელს ხდიდა.

უფრო კონკრეტულად განვიხილოთ საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წელს მიღებული კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ძირითადად ორიენტირებული იყო სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დახმარებაზე. კანონი განსაზღვრავდა სახელმწიფო დახმარების შემდეგ ფორმებს:

- გადასახადებისაგან გათავისუფლება ან გადასახადის გადახდის გადავადება;
- ვალების ჩამოწერა;
- რესტრუქტურისაცია;
- შეღავათიანი (კონცესიური) სესხების გაცემა;
- სარფიანი სასესხო გარანტიები;
- განსაკუთრებული პირობების შეთავაზება უძრავი ქონების შესაძენად;
- სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უპირატესი (შეღავათიანი) პირობები;
- მოგების გარანტიები;
- სხვა ექსკლუზიური უფლებების მინიჭება რიგი ეკონომიკური აგენტებისათვის ან/და საქონლის წარმოებისათვის.

იკრძალებოდა სახელმწიფო დახმარების ნებისმიერი ფორმა, რომელიც აფერხებდა კონკურენციას, ან ქმნიდა მისი შეფერხების საფრთხეს, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როგორცაა: ფორსმაჟორული გარემოებები, სახელმწიფოს მონაწილეობა რიგი ეკონომიკური საქმიანობის ან ეკონომიკური ზონის განვითარებაში ან/და კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში.

2004 წლიდან განხორციელებული რეფორმების შედეგად შემოიღეს საქონლისა და მომსახურების იმპორტზე დაბალი ტარიფები და მნიშვნელოვნად შემცირდა არასატარიფო ბარიერები. შედეგად, საქართველოს ეკონომიკა გახდა მნიშვნელოვნად ღია. შემცირდა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მოპოვების და მისი ბოროტად გამოყენების რისკიც. თუმცა, საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ არ მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა კონკურენციის სფეროში არსებული დეფინიციები, პრინციპები და რეგულაციები. ზემოთ ხსენებული ნაკლოვანებების გამო, აუცილებელი იყო ცვლილებები ქართულ კანონმდებლობაში. უნდა მიგვეღო ისეთი „ჩარჩო კანონი“, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ევროკავშირისა და საერთაშორისო პრაქტიკასთან. ცვლილებებზე

მუშაობა ინტენსიურად 2010 წელს დაიწყო. ამ წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა სამინისტროებისა და ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები. მათ განიხილეს არსებული მდგომარეობა და შეიმუშავეს კონკურენციის სტრატეგია.

კონკურენციის სფეროში ევროკავშირის ნორმატიული ბაზის ძირითადი პრინციპების უკეთ გაგების მიზნით უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა ევროპის კავშირის ფუნქციონირების სადამფუძნებლო ხელშეკრულება (TFEU), კონკურენციის სფეროში არსებული ევროკავშირის რეგულირებები და დირექტივები, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მოდალური კანონი კონკურენციის შესახებ, მწვანე წიგნი ევროკავშირის ანტიმონოპოლიური წესების დარღვევისა და ზიანის შესახებ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონკურენციის შეფასების ინსტრუმენტი, სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, კონკურენციის კანონმდებლობა და საუკეთესო პრაქტიკა. პარალელურად, კონსულტაციები გაიმართა ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) მიერ მოწვეულ საერთაშორისო ექსპერტებთან. კონკურენციის სტრატეგიის შესაბამისად, 2012 წელს მიიღეს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. მიღებული კანონი შეიცავდა რიგ დეფინიციებს, პრინციპებსა და რეგულირებებს კონკურენციის სფეროში. კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით მოხდა კანონის გადახედვა.

ამჟამად, კონკურენციის პოლიტიკის „ჩარჩო კანონს“ წარმოადგენს საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“. ეს კანონი მიიღეს 2014 წლის 21 მარტს და წარმოადგენს 2012 წელს მიღებული კანონის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, შესწორებულ ვერსიას. 2014 წელს შეტანილი ცვლილებებით აღმოიფხვრა ნაკლოვანებები და მიღებული კანონი მიუახლოვდა ევროპულ სახელმწიფოებში მოქმედ კანონებს. განვიხილოთ ამ კანონის ზოგიერთი ასპექტი.

2012 წელს მიღებული კანონისგან განსხვავებით, მოქმედი კანონის რეგულირების ერთ-ერთი სფერო ფასწარმოქმნაა, რომლის შესწავლაც მნიშვნელოვანია ფირმების ძალაუფლების დასადგენად. კანონით „აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ – შეთანხმება), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. თუმცა ამჟამად მოქმედ კანონში ეს აკრძალვა გავრცელდა უფრო დაბალი პროცენტული წილის მქონე ხელშეკრულებებზე. მაგალითად, ეს შეზღუდვა მოქმედებს შესაბამის ბაზარზე ჰორიზონტალური ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი წილის 10 %-ზე მეტი პროცენტული წილის მფლობელ კომპანიებზე, ხოლო მანამდე მოქმედი კანონმდებლობით, შეზღუდვის ქვედა ზღვარი შესაბამის ბაზარებზე 25% იყო“.

ცნობილი ეკონომისტები შალვა გოგიაშვილი და სლავა ფეტელავა ერთ-ერთ ნაშრომში, დომინანტურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აღნიშნავენ, რომ: „ეკონომიკური თვალსაწიერით, დომინირებულ მდგომარეობად ითვლება, თუ ეკონომიკური აგენტი ფლობს განსახილველი ბაზრის დიდ წილს და შეუძლია იმოქმედოს ამ ბაზარზე ძირითადად კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად. ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად

გამოყენების საწინააღმდეგო ღონისძიებები შეტანილია მრავალი ქვეყნის საკონკურენციო კანონმდებლობაში. დომინირებული მდგომარეობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების ეფექტიანობის ანალიზი საჭიროებს: 1. განსახილველი ბაზრის განსაზღვრას; 2. ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის დადგენას; 3. დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ მისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენას“.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონში ცვლილებების მიხედვით მუხლი 3, პუნქტით „ი“ განისაზღვრება **„დომინირებული მდგომარეობა“** – შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40%-ს არ აღემატება. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

- არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ია;
- არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ა“;

მოქმედ კანონში 2014 წელს აისახა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მუხლი, „ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა“. ამ მუხლში ჩამოწერილია არაკეთილსინდისიერი ქმედებები, რომლებიც ეკრძალება საქართველოში მოქმედ ყველა ფირმას. მათ შორის მნიშვნელოვანია:

- ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;
- ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;
- გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;
- დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება.

და სხვ .


მოქმედი კანონმდებლობით კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ

მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა. სააგენტოს გადაწყვეტილებების, ინსტრუქციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტებისათვის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სააგენტო თავისი საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დამოუკიდებელია. ასევე კანონში კონკრეტულადაა გაწერილი სააგენტოს თავმჯდომარის არჩევის წესი და კანდიდატურისთვის წაყენებული მოთხოვნები. ასევე სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები.

არსებული კანონის აღმასრულებლად გვევლინება „კონკურენციის სააგენტო“. კონკურენციის სააგენტო დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ - მინისტრის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა მოცემულია სქემაზე 1. კონკურენციის სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საზოგადოების წინაშე.

სქემა 1

კონკურენციის სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა



სააგენტოს მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კერძოდ:

- ა) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;
- ბ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა;
- გ) ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა;

- დ) ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა;
- ე) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა;
- ვ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტებისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც იწვევს კონკურენციის არამართლობიერ შეზღუდვას;
- ზ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

საჯარო კონკურსების საფუძველზე მოხდა სათანადო კვალიფიკაციის (პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი) კადრების შერჩევა და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოში დასაქმდა 22 თანამშრომელი.

2014 წელს სსიპ კონკურენციის სააგენტოს საბიუჯეტო (არასრული) დაფინანსება შეადგენდა 510095 ლარს.

2014 წლის განმავლობაში სააგენტომ დაიწყო რამდენიმე მოკვლევის წარმოება:

- ✓ ნავთობპროდუქტების ბაზრის (ბენზინი, დიზელი, ნავთი) მოკვლევა,
- ✓ წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლის ბაზრის მოკვლევა,
- ✓ „ჯორჯია ტრანს ექსპედიცია ფოთი“-ს განცხადების საფუძველზე საქმის მოკვლევა,
- ✓ ფქვილის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტის მოკვლევა,
- ✓ შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია“-ს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევა და განახორციელა ყავის ბაზარზე მონიტორინგი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯერჯერობით სააგენტოს არც ერთი მოკვლევის შედეგები არ გაუსაჯაროებია და კონკურენციის მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ნაბიჯები არ გადაუდგამს. მხოლოდ ყავის ბაზრის მონიტორინგის შედეგები გახდა ცნობილი. როგორც სააგენტოში აცხადებენ, შემოსავლების სამსახურიდან და სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყავის ბაზარზე მოქმედებს ათეულობით კომპანია, რომელთაგან 10%-ზე მეტი წილი პრაქტიკულად არც ერთ კომპანიას არ გააჩნია. დაბალია ასევე ამ ბაზარზე კონცენტრაციის დონე, რაც წინასწარი ვარაუდით, უნდა მიანიშნებდეს, რომ ბაზარზე პრობლემა არ არსებობს.

მიმდინარე პროექტების მიუხედავად ჯერჯერობით სააგენტოს ეფექტიან მუშაობაზე საუბარი ნაადრევია და ვერ ვიტყვით, რომ კონკურენციის კანონის აღსრულება მასშტაბურად მიმდინარეობს. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონკრეტულად ნავთობპროდუქტების ბაზრის მოკვლევის შედეგების გამოქვეყნებას მალე უნდა ველოდოთ.

ზემოთ აღინიშნა, რომ არაკონკურენტული ბაზრების ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენენ მონოპოლიები და ოლიგოპოლიები. მონოპოლიების არსებობა უფრო ძნელად დასადგენი და გამოსააშკარავებელია, ამიტომ შევეცდებით წარმოვადგინოთ ოლიგოპოლიური ბაზრის მაგალითი ქართულ ეკონომიკაში, რომელიც ერთი თვალის შევლებით იკვეთება. ასეთი ბაზრები უამრავია ქართულ ეკონომიკაში: სატელეკომუნიკაციო ბაზარი, კინოთეატრების ბაზარი, ნავთობპროდუქტის ბაზარი, ფარმაცევტული ბაზარი და სხვ.

შევეცდებით უფრო დაკონკრეტდეთ ნავთობპროდუქტების ბაზარზე და ავხსნათ მისთვის არაკონკურენტული ბაზრის სტატუსის მინიჭების საბაზი.

ნავთობპროდუქტები ამოწურვად ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება და ისინი ფართოდ გამოიყენება როგორც წარმოებაში ასევე ინდივიდუალური მოხმარებისას. როგორც ვიცით, საქართველოში ნავთობპროდუქტები არ მოიპოვება და ქართული ბაზარი მთლიანად დამოკიდებულია იმპორტირებულ პროდუქტზე. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს ჩვენი დაინტერესება ამ ბაზრით. გაგვიჩნდა სურვილი მოგვეძიებინა ინფორმაცია ნავთობპროდუქტების ბაზრის სუბიექტებზე, დაგვედგინა ბაზრის ტიპი, შეგვესწავლა ფასწარმოქმნა და ბაზარზე არსებული ბარიერები. ამ მიზნით დეტალურად შევისწავლეთ არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ ნაშრომი „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემები, სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები და შევეცადეთ შეგროვებული ინფორმაციის თავმოყრას და საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზრის გამოკვლევას.

მსჯელობას გავაგრძელებთ იმ ძირითადი მიგნებების შესახებ, რომლებმაც კვლევის პროცესში იჩინა თავი:

- ✓ ფორმალური ბარიერების სიმცირის მიუხედავად, დღეისათვის ნავთობპროდუქტების ბაზარზე ჩამოყალიბებულია ოლიგოპოლიური სტრუქტურა;
- ✓ შეინიშნება, ერთი მხრივ, ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობის შემცირების და, მეორე მხრივ, ფასების ზრდის ტენდენცია.
- ✓ ქართულ ბაზარზე საწვავის ფასების დინამიკას ერთგვარი ანომალია ახასიათებს – როდესაც ნავთობზე მსოფლიო ფასი იზრდება, საქართველოშიც ნავთობზე ფასების ზრდა ფიქსირდება, თუმცა მსოფლიო ფასის შემცირების შემთხვევა რადიკალურად განსხვავებულია და საქართველოში ფასების შემცირებას ან საერთოდ არ იწვევს, ან ფასების შემცირება „დროში არის გაწელილი“.
- ✓ ბაზარზე მოქმედი ყველა კომპანიის ფასების დინამიკა მკვეთრად ანალოგიურია – შეინიშნება არსებითი პარალელიზმი როგორც სხვადასხვა კომპანიის მიერ დაწესებულ ფასებს შორის, ისე ამ ფასების ცვლილების დროს;
- ✓ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკვირვებისას გამოვლენილი ტენდენციები არსებით გავლენას ახდენს სექტორის კონკურენციის დინამიკაზე და შეიძლება მიუთითებდეს შესაბამისი კომპანიების ანტიკონკურენტულ ქმედებებზე, რომლებიც უარყოფითად აისახება როგორც მომხმარებელზე, ისე ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე და კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ქმედითი სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებას საჭიროებს;
- ✓ ბაზრის ამ სეგმენტის ერთ-ერთი პრობლემაა გამჭვირვალობის არარსებობა, რაც ართულებს უფრო სიღრმისეული ანალიზის განხორციელებას;
- ✓ იტალიის საბაჟო სამსახურისა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ რეგისტრირებულ იმ მონაცემებს შორის, რომლებიც იტალიიდან საქართველოში საწვავის იმპორტს ეხება, მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. მსგავს სურათს იძლევა ბულგარეთის საბაჟო სამსახურისა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მონაცემების შედარებაც.

კონკურენტული ბაზრები ხასიათდებიან მრავალი გამყიდველითა და მყიდველით, ბაზარზე ბარიერების არარსებობით, ფასის საბაზრო რეგულირებით და სხვა ფაქტორებით.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ თუ რა მდგომარეობა გვაქვს საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული ბარიერების კუთხით.

საქართველოში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბაზარი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით და რამდენიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით რეგულირდება.

ამ ბაზარზე შესვლისა და საქმიანობის დასაწყებად კანონმდებლობა საქმიანობის ლიცენზიის მხოლოდ ორ სახეობას ითვალისწინებს:

ა) ნავთობის გადამამუშავების ლიცენზია;

ბ) ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზია.

ვინაიდან აღნიშნული ლიცენზიები ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებზე („ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ სფეროზე) ვრცელდება, ხოლო საქართველოში ნავთობპროდუქტებით საცალო ვაჭრობის სეგმენტზე მხოლოდ იმპორტირებული საწვავი (ბენზინი, დიზელი) მოიხმარება, ამ სეგმენტზე შესვლისა და საქმიანობის დაწყებისათვის კანონმდებლობა სპეციალური ლიცენზიის აღებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ბაზარზე შესვლისა და საქმიანობის დაწყების ლეგალური (ფორმალური) ბარიერები არ არსებობს. ამასთან დაკავშირებით, უდავოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს არაფორმალური ბარიერების შესაძლო არსებობა. ეს იმას გულისხმობს, რომ ბაზარზე შესვლის ლეგალური ბარიერების არარსებობის მიუხედავად, საწვავით საცალო ვაჭრობის სეგმენტზე შესვლისა და საქმიანობის დაწყების მსურველი მეწარმე სუბიექტი არაფორმალურ ბარიერებს აწყდება, ანუ ბაზარზე დამკვიდრებული სუბიექტების გარდა სხვა სუბიექტის ბაზარზე შესვლა და მის მიერ საქმიანობის დაწყება შეუძლებელია. რაც შეეხება ბაზრიდან გამოსვლის ბარიერებს, მიუხედავად დიდი კაპიტალური აქტივების ფლობისა, კომპანიებს არ გასჭირვებიათ ბაზრიდან გასვლა და აქტივების გაყიდვა, ამაში მათ ხელი შეუწყვეს, ერთის მხრივ, ბაზარზე უკვე მოქმედმა კომპანიებმა, მეორეს მხრივ, ბაზარზე შემოსვლის მსურველმა კომპანიებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობპროდუქტები აქციზური საქონლის სიას მიეკუთვნება და მისი იმპორტი იბეგრება აქციზის გადასახადით: 1 ტონა ბენზინი - 250 ლარით, ხოლო 1 ტონა დიზელი - 150 ლარით (გადასახადის გაზრდის სურვილიც კი გამოთქვეს კომპანიებმა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი). რაც შეეხება ბაზრის სტრუქტურას, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში საწვავით საცალო ვაჭრობის ბაზრის სტრუქტურაზე დაკვირვება ბაზრის ამ სეგმენტზე მოქმედ სუბიექტთა გამსხვილების ტენდენციაზე მიუთითებს. კერძოდ, თუ „ვარდების რეგულაციამდე“ საწვავით საცალო ვაჭრობის ბაზარზე რამდენიმე ათეული ეკონომიკური აგენტი მოქმედებდა, ბოლო პერიოდში მათი რაოდენობა არსებითად შემცირდა და დღეს ბაზარზე 5 ფირმა დომინირებს. აღსანიშნავია, რომ ფარული (კარტელური) შეთანხმების და შეთანხმებული ქმედების ალბათობა მით უფრო დიდია, რაც უფრო ცოტა ეკონომიკური აგენტი მოქმედებს შესაბამის ბაზარზე და რაც უფრო მაღალია ბაზრის კონცენტრაციის ხარისხი. გარდა ამისა, შეინიშნება ბაზრის ამ სეგმენტზე მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვის წილის კლება და მსხვილ საწარმოთა ბრუნვის წილის არსებითი ზრდა. მაგალითად 2012 წელს მსხვილ

კომპანიებს ბაზრის 93% ეჭირათ, ხოლო საშუალო და მცირე კომპანიებს შესაბამისად 4% და 3%.

დღეისათვის ნავთობპროდუქტების ქართულ ბაზარზე დაახლოებით 50-მდე კომპანია მოქმედებს. მათი უმეტესობა ბაზრის უმნიშვნელო წილს ფლობს. რეალურად კი, 5 კომპანია - „ვისოლი“, „სოკარი“, „ლუკოილი“, „რომპეტროლი“ და „გალფი“ დომინირებს. 2012 წელს დომინანტი კომპანიების ბენზინგასამართი სადგურების რაოდენობამ მთელ საქართველოში შეადგინა: „ლუკოილი“ - 60, „გალფი“ - 130, „სოკარი“ - 92, „ვისოლი“ - 75 და „რომპეტროლი“ - 51. ეს კომპანიები ნავთობის იმპორტს აზერბაიჯანიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და იტალიიდან ახორციელებენ. მათგან ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყანა აზერბაიჯანია. ამ ქვეყნიდან ნავთობპროდუქტების იმპორტით აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია“ დაკავებული, რომელიც დღეისთვის საქართველოს სადილერო ქსელის ნავთობის 72%-ს, ხოლო დიზელის 61%-ს ფლობს. რაც შეეხება სადისტრიბუციო ბაზარს და მასზე არსებულ საბაზრო ძალაუფლებას - კომპანია „ვისოლი“ ლიდერობს. თუმცა ჯამში, საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე ამინდს სწორედ ეს ხუთი კომპანია ქმნის. ეს სფერო ერთ-ერთი იმათაგანია, რომელსაც კრიზისი, მოთხოვნის დაცემა და პროდუქციის მალფუჭებადობა არ ემუქრება. შესაბამისად, ამ ბიზნესში ჩართული კომპანიებიც საკმაოდ მაღალრენტაბელურნი არიან.

ნავთობპროდუქტების ბაზარზე ყველაფერი რიგზე რომ ვერაა, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია კომპანია „სოკარი“. „სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია“ 2006 წელს დაფუძნდა და ქართულ ბაზარზე შემოსვლისთანავე აქ არსებული თამაშის წესებით დაიწყო მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია თავადაა მწარმოებელი და, შესაბამისად, საწვავზე ფასსაც თავად ადგენს, იგი ნავთობპროდუქტებზე ისეთივე ფასებს აწესებს, როგორსაც საწვავის ევროპიდან შემომტანი კომპანიები. კომპანია „სოკარს“ საქართველოში საწვავის საკმაოდ დიდი რეზერვები აქვს და როგორც მწარმოებელს, მსოფლიოში საწვავის ფასის შემცირების დროს მასაც შეუძლია შეამციროს ფასი. მითუმეტეს, მას საწვავი მეზობელი ქვეყნიდან, აზერბაიჯანიდან შემოაქვს, მაგრამ იგი ამას არ აკეთებს და მისი ქმედება კარტელური გარიგების შესახებ არსებულ ეჭვს კიდევ უფრო ამძაფრებს.

რაც შეეხება საქართველოში საწვავზე არსებულ მოთხოვნას და მის მახასიათებლებს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბაზარზე იყიდება ბენზინი „რეგულარი“ (ა-92), „პრემიუმი“ (ა-95), „სუპერი“ (ა-98) და დიზელი. ყველაზე დიდი მოთხოვნაა „რეგულარზე“, რომლის წილი ბენზინის მთლიან ბრუნვაში 73,7%-ია. მისი იმპორტი ძირითადად ბულგარეთიდან („რეგულარის“ ტიპის საწვავის ბრუნვის 35%), აზერბაიჯანიდან („რეგულარის“ ტიპის საწვავის ბრუნვის 26%) და რუმინეთიდან („რეგულარის“ ტიპის საწვავის ბრუნვის 27%) ხორციელდება. „პრემიუმის“ (ბენზინის მთლიანი ბრუნვის 23,6%) იმპორტით პირველ ადგილზეა ბულგარეთი („პრემიუმის“ საწვავის ბრუნვის 44%); მას მოჰყვება რუმინეთი („პრემიუმის“ საწვავის ბრუნვის 29%) და იტალია („პრემიუმის“ საწვავის ბრუნვის 24%). რაც შეეხება „სუპერს“, მასზე მოთხოვნა საქართველოში შედარებით მცირეა (ბენზინის მთლიანი ბრუნვის 2,7%), ხოლო იმპორტიორი ქვეყნები არიან ბულგარეთი, საბერძნეთი და რუმინეთი.

კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ ქართულ ბაზარზე იტალიური კომპანია „აპის“ ფალკონარა მარიტიმას ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის საწვავის იმპორტს ახორციელებს. მის ავტოგასამართ სადგურებზე იყიდება: „აპი სუპერი“, „აპი პრემიუმი“ და „აპი დიზელი“.

საყურადღებოა, რომ იტალიის საბაჟო სამსახურისა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 2009–2011 წლების განმავლობაში იტალიიდან საქართველოში ბენზინ „სუპერის“ იმპორტი რეგისტრირებული არ არის. თუ კომპანიის ავტოგასამართ სადგურებზე „აპი სუპერის“ სახელწოდებით გაყიდული ბენზინი არ შეესაბამება „აპი სუპერის“ მახასიათებლებს, ეს მომხმარებლის უფლებების დარღვევა და უკანონოდ ნიშანდებული საქონლის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანაა.

ასევე მნიშვნელოვანია იტალიისა და ბულგარეთის საბაჟო სამსახურების ნავთობპროდუქტების აღრიცხულ ექსპორტსა და საქართველოს შემოსავლების სამსახურში იმპორტის მოცულობებს შორის აღმოჩენილი სხვაობა, რაც ეჭვს ბადებს ქართულ ბაზარზე არალეგალური ნავთობის არსებობაზე. როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2011 წელს იტალიის საბაჟოში აღირიცხა საქართველოსკენ მომავალი 36,07 მლნ. ლიტრი ბენზინი, ხოლო საქართველოს საზღვარი იმავე პერიოდში გადმოკვეთა მხოლოდ 33,61 მლნ. ლიტრმა ბენზინმა. იგივე სიტუაციაა ბულგარეთიდან იმპორტირებულ ბენზინთან მიმართებითაც: ბულგარეთში ფიქსირდება 298,33 მლნ. ლიტრი ბენზინის ექსპორტი, საქართველოში შემოდის მხოლოდ 152,92 მლნ. ლიტრი.

საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარზე სხვადასხვა კომპანიის მიერ მიწოდებული საწვავის ფასებზე დაკვირვება მათი პარალელიზმის მკვეთრად გამოხატულ ტენდენციას ავლენს. გარდა ამისა, ვინაიდან ბაზარზე მხოლოდ იმპორტირებული საწვავი მოიხმარება, მისი ფასების დინამიკა საერთაშორისო ბაზრებზე საწვავის ფასების დინამიკაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ამ დინამიკაზე დაკვირვებისას შეიძლება ლოგიკურად ყოფილიყო მიჩნეული მსოფლიო ფასებისა და ქართულ ბაზარზე საწვავის ფასების მკვეთრად გამოხატული კორელაციის არსებობა. მიუხედავად ამისა, ქართულ ბაზარზე საწვავის ფასების დინამიკას ერთგვარი ანომალია ახასიათებს – მათზე დაკვირვება ავლენს, რომ მსოფლიო ფასების ზრდას ქართულ ბაზარზე საწვავის ფასის მომატება მოსდევს, თუმცა მსოფლიო ფასების კლება, უმეტეს შემთხვევაში, ქართულ ბაზარზე საწვავის ფასის შემცირებაზე არ აისახება. ამავე დროს, ბაზრის ყველა სუბიექტის ფასების დინამიკა მკვეთრად ანალოგიურია – შეინიშნება არსებითი პარალელიზმი როგორც სხვადასხვა ფირმის მიერ დაწესებულ ფასებს შორის, ისე ამ ფასების ცვლილების დროს.

კიდევ ერთ საეჭვო გარემოებას ქმნის ასეთი ფაქტი: მოგეხსენებათ, რომ საქართველოში საკმაოდ ხშირია ავტომანქანების ბუნებრივ გაზზე გადაყვანა (ეს მომხმარებლისთვის ბევრად უფრო იაფი საშუალებაა), ამან ქვეყანაში გაზარდა მოთხოვნა გაზზე და ნავთობკომპანიებმაც არ დააყოვნეს, ჩადეს ინვესტიციები და ბენზინგასამართ სადგურებთან ერთად გაზგასამართი სადგურები აამოქმედეს, როგორც ჩანს ეს საქმიანობა საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა მათთვის და ბენზინზე შემცირებული მოთხოვნით გამოწვეული დანაკარგები ამ მეთოდით აინაზღაურეს. კარტელურ შეთანხმებაზე და ნავთობკომპანიების დომინანტურ მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ნავთობზე მსოფლიო ფასების მკვეთრად შემცირებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2014 წლის ბოლოს და 2015 წლის დასაწყისში, გამოიწვია ბენზინზე ფასების შემცირება საქართველოშიც. ამ ფაქტმა „შეაწუხა“ დომინანტი ნავთობკომპანიები და თხოვნით მიმართეს ფინანსთა მინისტრს აქციზის გადასახადის გაზრდასთან დაკავშირებით. ამ ფაქტის ახსნა ერთადერთია, ბენზინზე ფასების შემცირებამ შეამცირა გაზზე მოთხოვნა და როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ პერიოდში ნავთობკომპანიებმა

დიდი ინვესტიციები ჩადეს ამ უკანასკნელში. ისინი ბაზრის გადასახადებით დამახინჯებას ითხოვდნენ მოგების გასაზრდელად და, ამისთვის, თავიანთი დომინანტური მდგომარეობის გამოყენებას ცდილობდნენ.

სწორედ ეს განხილული ფაქტები ბადებს ეჭვს ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებულ არასრულყოფილ კონკურენციაზე, აღნიშნულ ბაზარზე არსებული სხვადასხვა ნიშნები მიუთითებენ ბაზარზე დომინანტური ფირმების არსებობასა და მათ შორის შესაძლო შეთანხმებაზე. სწორედ ამიტომ ჩვენი აზრით, აღნიშნული ბაზარი შეიძლება ჩაითვალოს ოლიგოპოლიურ ბაზრად. იქმნება იმის აუცილებლობა, რომ „კონკურენციის სააგენტომ“ უნდა ჩაატაროს ნავთობპროდუქტების ბაზრის სიღრმისეული კვლევა და გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც აღმოფხვრის ბაზარზე არსებულ ნაკლოვანებებს და ბაზარს გახდის კონკურენტულს. აღნიშნული ბაზრის მოკვლევა, პრემიერის ინიციატივით, გასულ წელს დაიწყო „კონკურენციის სააგენტომ“, თუმცა ჯერჯერობით მოკვლევის შედეგები არ გასაჯაროებულა და, შესაბამისად, ბაზარზე შექნილი რეალური მდგომარეობა ჩვენთვის უცნობია.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავს ეროვნულ ეკონომიკაში კონკურენტული გარემოს შექმნა წარმოადგენს. ამისთვის, სახელმწიფოში აუცილებლად უნდა გატარდეს კონკურენციის სწორი პოლიტიკა. კონკურენციის პოლიტიკის უმთავრეს ელემენტს კი „ჩარჩო კანონი“ წარმოადგენს, რომლის ეფექტური განხორციელება ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შექმნის საწინდარია.

ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დრო და დრო იხვეწებოდა კანონმდებლობა და შესაბამისად კონკურენციის პოლიტიკის გატარების ეფექტურობა საქართველოში, თუმცა რეალური შედეგით ჯერჯერობით ვერ ვიამაყებით. არსებობს დიდი მოლოდინი, რომ მოქმედი კანონის სრულად ამოქმედებისთანავე დაიწყება ძირეული ცვლილებები ქართულ ეკონომიკაში და გაუმჯობესდება კონკურენტული გარემო. ამის მისაღწევად აუცილებელია ახლახან შექმნილი კონკურენციის სააგენტოს ეფექტური მუშაობა, რომელიც კონკურენციის პოლიტიკის ერთ-ერთი მძლავრი გამტარებელია. ჯერჯერობით არ გადადგმულა კონკრეტული ნაბიჯები, რადგან კონკურენციის სააგენტო მხოლოდ კვლევის პროცესშია. ვიმედოვნებთ უახლოეს მომავალში მოხერხდება ქვეყანაში არსებული არაჯანსაღი კონკურენტული დარგების, ფირმების გამოვლენა და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ თემაში განხილული ნავთობპროდუქტების ბაზრის მახასიათებლები, კერძოდ, ბაზარზე არსებული ბარიერები, ბაზრის სტრუქტურა, საბაზრო მოთხოვნა და საწვავის ფასების დინამიკა, სერიოზულ ეჭვს ბადებს განხილული ბაზრის არაკონკურენტულობაზე.

ჩვენი აზრით, ნავთობპროდუქტების ბაზარზე კონკურენციის დონის ასამაღლებლად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ღრმა სამეცნიერო კვლევის წარმოება. ასევე მნიშვნელოვანია აღმოჩენილი დარღვევების აღმოფხვრა ეფექტიანი ღონისძიებების გატარებით. ჩვენი აზრით, ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ზემოთგანხილული შემთხვევა, როცა ერთმანეთს არ ემთხვევა ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის რაოდენობა შესაბამისი ქვეყნების ექსპორტის რაოდენობას,

რაც ექვს ბადებს ბაზარზე ნავთობის არალეგალურად მოხვედრაზე, რაც დანაშაულია. ამ მხრივ ჩვენი აზრით, უნდა მოხდეს ინფორმაციის გადამოწმება და დაზუსტება ქვეყნების შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელების დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, თბ., 2014.
2. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, თბ., 2005.
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის №1551 განკარგულება - „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“.
4. გაგნიძე ი., კეთილდღეობის ეკონომიკა, რიდერი, თემა 4, თბ., 2012 .
5. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, გამ-ბა „უნივერსალი“, თბ., 2008 .
6. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, გამ-ბა „ინოვაცია“ თბ.,2009.
7. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., ბაზარზედომინირებული მდგომარეობის ნეგატიური ასპექტები, ჟურნ., „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, №4, თბ., თსუ ; გვ. 27-42
8. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ - „საქართველოს კონკურენციის პოლიტიკა“, თბ., 2012 .
9. <http://competition.ge/ge/index.php>
10. <http://geostat.ge>
11. <http://rs.ge>
12. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1659450&publication=1
13. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1659450
14. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2294894
15. http://studentresearch.iliauni.edu.ge/images/pdf/Kgabunia_Njanjalashvili_Dtabadze.pdf

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კონკურენციის უპირატესობები. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში ჩამოყალიბებიდან დღემდე; საკანონმდებლო ბაზაში არსებული ნაკლოვანებები და ცვლილებები; კონკურენციის პოლიტიკის უმთავრესი გამტარებელი- „კონკურენციის სააგენტო“. ასევე გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე აქტუალური თემა-ნავთობპროდუქტების ბაზარი. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს კონკურენციის უპირატესობები და ქართულ რეალობაში არსებული არაკონკურენტული ბაზრისთვის, კონკრეტულად კი ნავთობპროდუქტების ბაზრისთვის დამახასიათებელი უარყოფითი ეფექტები.

მონაცემთა განზოგადებული წარმოდგენა და ანალიზი დინამიკური ცხრილების გამოყენებით

ლევან გაფრინდაშვილი

ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი **რუსუდან სეთურიძე**

ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების შეღწევა შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. კომპანიებმა, რომლებმაც დროულად შეძლეს გაეცნობიერებინათ ინფორმაციული რესურსებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების როლი, მოახერხეს არა მარტო საქმიანობის ოპტიმიზაცია, არამედ შეიძინეს კონკურენტული უპირატესობანი. ორგანიზაციებისა და კომპანიების წინაშე ხშირად დგას ისეთი სახის პრობლემა, როდესაც ისინი ფლობენ მონაცემებს დაულაგებელი, ქაოტური ფორმით და ძნელია შეუსაბამონ არსებული მონაცემები დასმულ ამოცანებს. ამ პრობლემის ლიკვიდაციისთვის საჭიროა მონაცემთა სისტემატიზაცია და ჯეროვანი სელექცია, გამოუსადეგარი მონაცემების თავიდან მოშორება, გამოსაყენებელი მონაცემების ორგანიზება სხვადასხვა ფორმით და შემდეგ მისი ეფექტური გამოყენება. მარტივად რომ ვთქვათ, აუცილებელია მონაცემების დაყოფა, რათა გამოვკვეთოთ დიდი მოცულობის მონაცემებიდან უფრო მნიშვნელოვანი და შემდგომ მარტივად მოვახდინოთ ანალიზი. რაც უფრო დიდი მოცულობის ინფორმაციაა მოწოდებული, ცხადია, მეტი შესაძლებლობაა ემპირიულ მონაცემებზე მსჯელობით რეალური დასკვნები გამოვიტანოთ.

ცხრილი 1

წელი	თვე	მაღაზია	ჯგუფი	პროდუქტი	რაოდენი	შემოსავალი
2007	აგვისტო	ისანი	რძის პრი	არაჟანი	805 \$	3 187,80
2007	მარტი	ისანი	ნაყინი	თოლია	992 \$	3 412,48
2007	იანვარი	ვაკე	რძის პრი	მაწონი	712 \$	1 808,48
2006	მარტი	საბურთა	ნაყინი	თოლია	904 \$	2 260,00
2006	იანვარი	ისანი	ნაყინი	თოლია	647 \$	2 076,87
2005	სექტემბერი	სამგორი	ხილი	ქლიავი	739 \$	1 707,09
2006	მარტი	ვაკე	რძის პრი	არაჟანი	974 \$	2 181,76
2007	ივნისი	საბურთა	ხილი	ვაშლი	615 \$	1 894,20
2007	ივლისი	სამგორი	ხილი	ალუბალი	714 \$	1 856,40
2006	მაისი	ისანი	პურეულ	ფუნთუშ	703 \$	1 553,63
2005	ივნისი	სამგორი	ნაყინი	თოლია	528 \$	2 064,48
2006	ოქტომბერი	ვაკე	პურეულ	კრუასანი	644 \$	1 809,64
2005	ივნისი	ისანი	ხილი	ყურძენი	919 \$	2 196,41

ვირტუალური სასურსათო კომპანიის მონაცემები


ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა Microsoft Excel-ის მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი დინამიკური (კრებსითი) ცხრილი PivotTable. დინამიკური ცხრილი ინტერაქტიული საშუალებაა, რომელიც შეიძლება მიიღო მონაცემების რამდენიმე წყაროდან

(დიაპაზონიდან, Excel-ის ცხრილიდან, გარეგანი მიერთებით) და მისი სხვადასხვაგვარი დამუშავების და ანალიზის საშუალებას იძლევა. გარეგანი მიერთება შესაძლებელია იყოს მაგალითად, მონაცემთა ბაზიდან, კუბებიდან OLAP და ტექსტური ფაილებიდან.

აღნიშნული ინსტრუმენტის საშუალებით შესაძლებელია გადაწყდეს შემდეგი სახის პრობლემები:


- ✓ გაყიდვების ანალიზის ჩატარება კონკრეტული პერიოდისათვის (წლის, კვარტლის, თვის ან ჩვენს მიერ შერჩეული ინტერვალის მიხედვით) თითოეული მომხმარებლისთვის, თითოეული პროდუქტის კატეგორიისთვის. მაგალითად, შესაძლებელია მაღაზიისთვის სწრაფად განისაზღვროს:
- ✓ თითოეულ მაღაზიაში ერთი წლის განმავლობაში თითოეულ პროდუქტზე დანახარჯების რაოდენობა;
- ✓ მთლიანი დანახარჯები მაღაზიათა ქსელის თითოეულ ფილიალზე;
- ✓ თითოეული წლის დანახარჯები;
- ✓ შესყიდული პროდუქტების მიხედვით ყველაზე მსხვილი 10 მომხმარებლის ამორჩევა;
- ✓ ყველაზე პოპულარულ პროდუქტების შესახებ საშედეგო ფორმის მომზადება;
- ✓ განკურნებული და ფატალური შედეგით დასრულებული ავადმყოფების შესახებ მონაცემების ცოდნის შემთხვევაში, იმის დადგენა, თუ რომელი საავადმყოფოა საუკეთესო მაგალითად, გულის დაავადებების სამკურნალოდ;

და ა.შ.



სურ. 1. დინამიკური ცხრილის ველების ჩამონათვალი

დინამიკური ცხრილების ფუნქციის ეფექტიანობის ნათელსაყოფად განვიხილოთ მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის სხვადასხვა პრაქტიკული ვარიანტები ოთხი ფილიალით წარმოდგენილი ვირტუალური სასურსათო კომპანიის მონაცემების მაგალითზე (იხ.ცხრილი1). თავდაპირველად დინამიკური ცხრილის შესაქმნელად საჭიროა მივიტანოთ კურსორი ცხრილზე, დავაჭიროთ Insert-ის Table ჩანართში განთავსებულ PivotTable-ს. გაიხსნება Create PivotTable დიალოგური ფანჯარა და მოინიშნება მონაცემების დიაპაზონი. Use An External Data Source-ის საშუალებით შესაძლებელია მივუთითოთ სასურველი მონაცემების დიაპაზონი. PivotTable Field List-ის ფანჯრის (იხ. სურ.1) გამოსვლის შემდეგ საჭიროა PivotTable Field List-ში სათაურების გადატანით სათანადო განყოფილებების შევსება. ეს გახლავთ მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც შემდგომ განსაზღვრავს თუ როგორ ხდება შექმნილი ცხრილი თქვენთვის სასურველ ცხრილად.



სურ. 2. დინამიკური ცხრილის განყოფილებების

დავაზუსტოთ, თუ რა იგულისხმება ნახსენებ განყოფილებებში. ამ დიალოგურ ფანჯარაში გვხვდება ოთხი განყოფილება შემდეგი სახელწოდებებით: Column Labels; Row Labels; Values; Report Filter (იხ.სურ.2). განყოფილების სათაურები აღნიშნავენ კრებსითი ცხრილის თუ რომელი ელემენტები უნდა განთავსდეს. კრებსითი ცხრილის მაკეტის უბანში სათაურებით Column Labels - სვეტების მინდვრები და Row Labels სტრიქონების მინდვრები, უნდა მოხდეს გადატანა იმ მინდვრებში, რომელთა მნიშვნელებმა უნდა შეადგინონ კრებსითი ცხრილის სვეტები და სტრიქონები. ხოლო განყოფილებაში სათაურით Report Labels - მონაცემთა ელემენტები - ცხრილის მინდვრები, რომლებშიც მონაცემები უნდა გაანალიზდეს.

Row Labels	Sum of რაოდენობა	Sum of შემოსავალი	წელი	ჯგუფი	პროდუქტი	მაღაზია	Sum of რაოდენობა	Sum of შემოსავალი
2005	243228	728218,68	2005	ნაყინი	ესკიმი	ვაკე	2426	6545,14
ნაყინი	56518	174378,59				ისანი	4531	13825,92
ესკიმი	14344	43596,27				საბურთალო	5696	17427,46
ვაკე	3561	11993,2				სამგორი	1691	5797,75
ისანი	8682	26027,07			ესკიმი Total		14344	43596,27
საბურთალო	4196	13937,8			თოლია	ვაკე	3561	11993,2
სამგორი	4366	13517,58				ისანი	8682	26027,07
თოლია	20805	65475,65				საბურთალო	4196	13937,8
ვაკე	3561	11993,2				სამგორი	4366	13517,58
ისანი	8682	26027,07			თოლია Total		20805	65475,65
საბურთალო	4196	13937,8			ჯენიო	ვაკე	5834	19607,9
სამგორი	4366	13517,58				ისანი	5830	16823,66
ჯენიო	21369	65306,67				საბურთალო	5410	18174,2
ვაკე	5834	19607,9				სამგორი	4295	10700,91
ისანი	5830	16823,66			ჯენიო Total		21369	65306,67
საბურთალო	5410	18174,2						
სამგორი	4295	10700,91						

სურ. 3. კრებსითი ცხრილი შეკუმშული ფორმით

სურ. 4. კრებსითი ცხრილი ცხრილური ფორმით

წელი	ჯგუფი	პროდუქტი	მაღაზია	Sum of რაოდენობა	Sum of შემოსავალი
2005	ნაყინი			243228	728218,68
	ესკიმი			14344	43596,27
		ვაკე		2426	6545,14
		ისანი		4531	13825,92
		საბურთალო		5696	17427,46
		სამგორი		1691	5797,75
	თოლია			20805	65475,65
		ვაკე		3561	11993,2
		ისანი		8682	26027,07
		საბურთალო		4196	13937,8
		სამგორი		4366	13517,58
	ჯენიო			21369	65306,67
		ვაკე		5834	19607,9
		ისანი		5830	16823,66
		საბურთალო		5410	18174,2
		სამგორი		4295	10700,91

სურ. 5. კრებსითი ცხრილი სტრუქტურის ფორმით

მონაცემთა კრების ცხრილის შექმნის შემდეგ, რომელიც გაჩემებით არის Show in compact form (იხ.სურ.3) ტიპის ფორმა, შესაძლებელია მოვახდინოთ მისი ვიზუალური კორექტირება. ჩვენთვის სასურველი ფორმატის ასაგებად კურსორი მიგვაქვს ცხრილზე, Design ჩანართის Layout-ის ჯგუფში, დავაჭერთ Report Layout-ს და ავირჩევთ შემდეგი ვარიანტებიდან: Show in outline form (იხ.სურ.5) ან Show in Tabular form (იხ.სურ.4). ხოლო თუ გვსურს შევცვალოთ მთელი სვეტის ფორმატი, ორჯერ დავაჭიროთ სვეტის სათაურზე და Value Field setting-ის დიალოგური ველიდან მოვნიშნოთ ჩვენთვის სასურველი გრაფა. ნებისმიერ უჯრაზე დგომის დროს, შეგვიძლია PivotTable styles-დან ამოვირჩიოთ სასურველი დიზაინი.

Row Labels	Sum of რაოდენობა
2005	243228
ნაყინი	56518
ესკიმო	14344
თოლია	20805
ჯენიო	21369
პურეული	63689
კრუსასანი	35797
ორცხოზილა	11163
ფუნთუშა	16729

სურ. 6. კრების ცხრილების ჯგუფების შეკუმშვა-გაფართოება

ზოგჯერ თვით დინამიკური ცხრილებიც დიდი მოცულობისაა და გარკვეული შემთხვევისათვის არასასურველ მონაცემებს შეიცავს. ჩვენ შეგვიძლია მათი შეკუმშვა ან გაფართოება (-) და (+) ნიშნებზე მოქმედებით. ჩვენ ასევე შეგვიძლია შევკუმშოთ ან გავაფართოვოთ მთლიანი ჯგუფი (სათაური) Expand Entire Field და Contract EntireField ღილაკებით (იხ.სურ.6). შერჩეული ფორმატის ცხრილებში პროდუქტის ანბანის მიხედვით დასალაგებლად, დახარისხების ვარიანტებიდან ავირჩიოთ Sort Z to A და პროდუქტის ჯგუფები ავტომატურად დალაგდება ალფაბიტის კლების მიხედვით (იხ.სურ.7). თუ გვსურს მონაცემები დავალაგოთ პროდუქტის ჯგუფის შემოსავლის კლების მიხედვით უნდა ავირჩიოთ Sort largest to smallest ბრძანება (იხ.სურ.8). საწარმოს მენეჯერის მიერ 10 ყველაზე მოთხოვნიანი პროდუქტის დადგენისთვის. ავირჩევთ top 10 ბრძანებას. ფილტრაციის გაუქმება შესაძლებელია clear filter-ის საშუალებით.


Row Labels	Sum of რაოდენობა
ჯენიო	70086
ყურძენი	44721
ყველი	43285
ქლიავი	49252
ფუნთუშა	46324
ორცხოზილა	40957
კრუსასანი	87568
თოლია	60223
არაქანი	55692
ალუბალი	41919
Grand Total	540027

სურ. 7. დახარისხება ალფაბიტის კლების მიხედვით

2005	243228
ნაყინი	56518
ჯენიო	21369
ვაკე	5834
ისანი	5830
საბურთალო	5410
სამგორი	4295
თოლია	20805
ვაკე	3561
ისანი	8682
საბურთალო	4196
სამგორი	4366
ესკიმო	14344

სურ. 8. დახარისხება პროდუქტის ჯგუფის შემოსავლის კლების მიხედვით

დავუშვათ, გვსურს გამოვაკლინოთ ტენდენცია მაღაზიაში საკვების თითოეული ჯგუფის საცალო გაყიდვებზე. ამისათვის Pivot Chart-ით ავაგებთ დიაგრამას, რაც მონაცემის ვიზუალური ანალიზის შესაძლებლობას მოგვცემს. სურათზე (იხ.სურ.9) მოცემულია შესაბამისი ხაზოვანი დიაგრამები. მონაცემთა ობიექტური წარმოდგენა და ანალიზი ბევრად მარტივია, მაშინ როდესაც ცხრილებს ვიზუალურად გაფორმებული დიაგრამები ახლავს. მონაცემთა ვიზუალიზაცია განსაკუთრებულ დატვირთვას იღებს პროგნოზების გაკეთების ეტაპზე. კრებსითი ცხილებისთვის მისი აგება და დამუშავება კი შესაძლებელია PivotChart-ის გამოყენებით. მონაცემთა PivotChart-ში გადასატანად ჯერ უნდა შევასწოროთ სათაურები (ჯგუფები) მათი გაფართოებით ან შემცირებით.



სურ. 9. საქონლის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით გაყიდვების მოცულობის ცვლილების ტენდენციის კრებსითი დიაგრამა

სურათიდან 9 ირკვევა, რომ 2005 წლის გაყიდვებში პურეული და რძის პროდუქცია დომინირებდა, ხოლო 2007 წელს ხილზე მოთხოვნა გაიზარდა. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ კომპანია სტაბილურად ფუნქციონირებს და საფრთხეები უახლეს პერიოდში არ ემუქრება.

ზოგჯერ საჭიროა ერთ-ერთი ჯგუფის ინტერვალების გამსხვილების და მისი ცალკეულ ჯგუფად წარმოდგენის მხრივ დინამიკური ცხრილების კორექტირება. მათგან, მაგალითად, საწარმოს მენეჯერს სურს რეალიზებული პროდუქციის რაოდენობის გაანგარიშება იანვარი-ივნისის პერიოდის განმავლობაში. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია Report Filter-ის დახმარებით. ამ მეთოდს გააჩნია ერთი ნაკლი, კერძოდ, ჩვენ ვერ ვხედავთ თუ რომელი თვეების მონაცემებია შეჯამებული ცხრილში. ამ პრობლემას მარტივად წყვეტს Slicer (დამნაწევრებელი). სურათზე 10 წარმოდგენილი მონაცემის მისაღებად Slicer-ში ვირჩევთ „თვე“-ს და „პროდუქტს“ (იხ. სურ.10). თვეებს ავიღებთ იანვრიდან ივნისამდე, „პროდუქციას“ კი არ ვეხებით. ამის შემდეგ შეგვიძლია Slicer-ს მივცეთ სასურველი ფორმატი.

Row Labels	Sum of რაოდენობა	თვე	პროდუქცია
2005	126609	იანვარი	ალუბალი
ხილი	27909	თებერვალი	არაქანი
ყურძენი	11675	მარტი	ესკიმო
ვაკე	2904	აპრილი	ვაშლი
ისანი	2427	მაისი	თოლია
საბურთალო	3991	ივნისი	კრუასანი
სამგორი	2353	ივლისი	მაწონი
ქლიავი	4120	აგვისტო	ორცხოხილა
ისანი	1633		
საბურთალო	955		
სამგორი	1532		
ვაშლი	6335		
ვაკე	1229		

სურ. 10. კრებსითი ცხრილი, სადაც Slicer პარამეტრის მეშვეობით ჯამდება იანვარ-ივნისის გაყიდვები

შუალედურ ჯამებს შორის ცარიელი სვეტის ჩასამატებლად თითოეულ ჯგუფს შორის ავირჩევთ insert blank line after each item (იხ. სურ. 11), ხოლო შუალედური ჯამების დამალვისთვის - Do not Show Subtotals (იხ. სურ. 12), შუალედური ჯამების დამალვა საკმაოდ მოსახერხებელია პირობითი ფორმატირებისთვის ცხრილის მოსამზადებლად.

Row Labels	Sum of რაოდენობა	Sum of შემოსავალი
2005	243228	728218,68
ნაყინო	56518	174378,59
ესკიმო	14344	43596,27
ვაკე	2426	6545,14
ისანი	4531	13825,92
საბურთალო	5696	17427,46
სამგორი	1691	5797,75
თოლია	20805	65475,65
ვაკე	3561	11993,2
ისანი	8682	26027,07
საბურთალო	4196	13937,8
სამგორი	4366	13517,58

სურ. 11. კრებსით ცხრილში სტრიქონის ჩამატება

Row Labels	Sum of რაოდენობა
2005	
ყურძენი	
ვაკე	4811
ისანი	6268
საბურთალო	4865
სამგორი	4061
ქლიავი	
ვაკე	2216
ისანი	4587
საბურთალო	1515
სამგორი	6106

სურ. 12. კრებსითი ცხრილი შუალედური ჯამების გარიშხი

დავუშვათ, გვსურს მონაცემებს გაუყუკეთოთ პირობითი ნიშნები (იხ. სურ. 13) მათი პარამეტრების მოცულობის თვალსაჩინოებისათვის. ჩვენ პრობლემას შეგვიქმნის ის ფაქტი, რომ შუალედურ ჯამებს დიდი შემზღვეველი ნიშნები ექნებათ, ხოლო ჩვეულებრივ მონაცემებს ზედმეტად პატარა. ფორმატირება მხოლოდ რეალიზებული პროდუქციის რაოდენობას დავადოთ და თავიდან ავიცილოთ ზემოხსენებული უხერხულობა, ამისათვის, კურსორი უნდა მივიტანოთ პროდუქტის შემცველ სვეტზე და ავირჩიოთ „Sum of რაოდენობა“-ის მონაცემთა შემცველი სვეტი. All cells showing „Sum of რაოდენობა“ და Values for „პროდუქცია“ მონიშნით კი დავრწმუნდებით, რომ შეზღვევები მხოლოდ პროდუქციის გაყიდვებს შეეხება.

Row Labels	Sum of რაოდენობა
2005	243228
ხილი	60047
ყურძენი	20005
ვაკე	4811
ისანი	6268
საბურთალო	4865
სამგორი	4061
ქლიავი	14424
ვაშლი	14535
ალუბალი	11083


სურ. 13. კრებსითი ცხრილის პირობითი ფორმატირება

მონაცემების დამუშავებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხრილის მოქნილობას და დროში ცვლადობის უნარს, რათა ყოველი პერიოდისთვის ავტომატურად მოვახდინოთ მისი განახლება. PivotTables ეს ფუნქციაც გააჩნია. ახალი მონაცემების შემთხვევაში მაუსის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით და Refresh-ის ბრძანების არჩევით მოხდება საწყისი მონაცემების შეცვლა. თუ გვსურს ჩამატებული მონაცემები ავტომატურად შევიდეს დინამიკური ცხრილის გამოთვლებში, როცა მას განვაახლებთ, უნდა დავარქვათ სახელი საწყის მონაცემებს. კრებსითი ცხრილების შექმნისათვის გამოყენებული დიაპაზონის შესაცვლელად, უნდა ავირჩიოთ Change Data Source, Option ჩანართში. ასევე შეგვიძლია ცხრილის გადატანა სხვა ადგილას Move PivotTables საშუალებით. ეს ფუნქციები კარგად მეტყველებს ცხრილის მოქნილობასა და რაციონალურობაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დინამიკური ცხრილები Excel-ის მეტად ელასტიკური და პრაქტიკული ფუნქციაა. მისი გამოყენება ეფექტური ეკონომიკური ანალიზის ჩატარების საშუალებას გვაძლევს, ამარტივებს რა ინფორმაციის დამუშავება-ანალიზის პროცედურებს. PivotChart-ები უნიკალური შესაძლებლობაა ტენდენციების გამოვლენისა და ინდუქციის მექანიზმით სიტუაციის პროგნოზირებისათვის. სწორედ ამ უპირატესობების გამო, იგი არის Excel-ის ის განყოფილება, რომელსაც ემყარება მრავალი ფირმისა თუ სისტემის მმართველობითი მექანიზმი.

კრებსითი ცხრილების როლსა და მნიშვნელობაზე მეტყველებს მისი გავრცელებისა და გამოყენების მასშტაბები. მათგან საყურადღებოა ERP სისტემები. მასში ჩაშენებულ სხვადასხვა ფუნქციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - კრებსითი ცხრილების გამოყენების ფაქტია. ERP არის ინფორმაციული სისტემა, რომელიც ქმნის ერთიან ფუნქციონალურ გარემოს და საშუალებას აძლევს მენეჯმენტს მართოს კომპანია მსოფლიოში საუკეთესო ბიზნეს-პრაქტიკების და სტანდარტების გამოყენებით. იგი ერთიან უწყვეტ ჯაჭვში აერთიანებს ფინანსური მენეჯმენტის, ბუღალტერიის, წარმოების, მატერიალური მარაგების, დაგეგმარების, გაყიდვების, შესყიდვების, დისტრიბუციისა და სხვა ბიზნეს-ერთეულების პროცესებს. ამიტომ იგი ფართოდ გამოიყენება მსხვილი ორგანიზაციების მიერ.

კრებსითი ცხრილების მნიშვნელოვანი თვისებების გამო იგი ჩაშენებულია APEX ERP სისტემაში. სურათზე მოყვანილია კომპანია APEX-ის მიერ დანერგილ ERP სისტემაში, თუ როგორი სახით არის გამოყენებული კრებსითი ცხრილები (იხ. სურ. 14).



სურ. 14. APEX ERP სისტემაში ჩამოწმებული კრებსითი ცხრილი

აშშ-ში, კორპორაცია Microsoft-ში მნიშვნელობიდან გამომდინარე, დინამიკური (კრებსითი) ცხრილი რეგისტრირებულია კონკრეტული სასაქონლო ნიშნით. აღსანიშნავია, რომ ეს ცხრილები გამოიყურება, ისევე როგორც ზოგიერთი გამარტივებული OLAP (ონლაინ ანალიტიკური დამუშავება, ანალიტიკური პროცესი რეალურ დროში) კონცეფცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დინამიკური ცხრილების მნიშვნელოვნებაზე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- ✓ დინამიკური ცხრილები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რასაც გააჩნია გამოყენების ფართო დიაპაზონი, როგორც პირდაპირი, ასევე სხვა სისტემებთან კომბინირებული ფორმატით;
- ✓ ნებისმიერი ორგანიზაციის, საწარმოს წარმატების საწინდარია დინამიკური (კრებსითი) ცხრილების შესაძლებლობების გამოყენება;
- ✓ რაც უფრო დიდი მოცულობის ინფორმაციაა მოწოდებული, ცხადია, მეტი შესაძლებლობაა ემპირიულ მონაცემებზე მსჯელობით, რეალური დასკვნები გამოვიტანოთ და შესაბამისი გზები დროულად განვახორციელოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტიკიშვილი მ., Excel 2007 ეკონომიკასა და ბიზნესში, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2012.
2. ლაგვილავა ე., გოგიჩაიშვილი ვ., ჩალიგავა თ., MS Excel 2007 თეორიული საკითხები, პრაქტიკული სავარჯიშოები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2012.
3. Wayne L. Winston- Microsoft Excel 2010: Data Analysis and Business Modeling.
4. Paul McFedries, Excel PivotTables and PivotCharts: Your visual blueprint for creating dynamic spreadsheets, Wiley Publishing, USA, 2010.
5. <https://support.office.com/en-sg/article/Overview-of-PivotTable-and-PivotChart-reports-00a5bf71-65cb-49f9-b321-85bb7b0b06c2>

რეზიუმე

ხშირად, ორგანიზაციებისა და კომპანიების წინაშე დგას ისეთი სახის პრობლემა, როდესაც ისინი ფლობენ მონაცემებს დაულაგებელი, ქაოტური ფორმით. ამ დროს ძნელია შევუსაბამოთ არსებული მონაცემები დასმულ პრობლემურ საკითხებს. ამ პრობლემების ლიკვიდაციისთვის საჭიროა მონაცემთა სისტემატიზაცია და ჯეროვანი სელექცია, გამოუსადეგარი მონაცემების თავიდან მოშორება, გამოსაყენებელი მონაცემების ორგანიზება სხვადასხვა ფორმით და შემდეგ მისი ეფექტური გამოყენება. ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა Microsoft Excel-ის მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი - დინამიკური (კრებსითი) ცხრილი PivotTable.

ნაშრომში დინამიკური ცხრილების ფუნქციის ეფექტიანობის ნათელსაყოფად განხილულია მონაცემების განზოგადებული წარმოდგენისა და ანალიზის სხვადასხვა პრაქტიკული ვარიანტი ოთხი ფილიალით წარმოდგენილი ვირტუალური სასურსათო კომპანიის მონაცემების მაგალითზე.

კრებსითი ცხრილების როლსა და მნიშვნელობაზე მეტყველებს მისი გავრცელებისა და გამოყენების მასშტაბები. მათგან საყურადღებოა ERP სისტემები. მასში ჩაშენებულ სხვადასხვა ფუნქციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - კრებსითი ცხრილების გამოყენების ფაქტია. ასევე, აშშ-ში, კორპორაცია Microsoft-ში დინამიკური (კრებსითი) ცხრილი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, რეგისტრირებულია კონკრეტული სასაქონლო ნიშნით.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტატისტიკური ანალიზი

ნინო გელაშვილი

ბაკალავრიატის II კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი *ნინო აბესაძე*

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ნებისმიერი ქვეყნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს მთლიანი შიგა პროდუქტის ფორმირებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოვაციების დანერგვაში. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მათ. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს.

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა ფორმირების პროცესი ატარებს რთულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს, რაც განპირობებულია მრავალი მიზეზით: ბაზრის არასრულყოფილებით, საინვესტიციო და საკრედიტო მიზიდველობის დაბალი დონით, მონოპოლისტი საწარმოების მხრიდან ზეწოლით, მოსახლეობაში არსებული კერძო დანაზოგების სიმწირით, დაბალი პროფესიონალიზმითა და სხვ. დღეს, როდესაც საქართველოში უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია, როდესაც ქვეყანას ძალიან სჭირდება უფრო მეტი წარმოებული პროდუქცია და მომსახურება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რაც იმის საშუალებაა, რომ ადამიანები დასაქმდნენ და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო შემწეობებსა და სხვა სახის დახმარებებზე. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის შექმნისა და ამოქმედების გარეშე.

მცირე და საშუალო ბიზნესის სტატისტიკის მიმოხილვა. მცირე და საშუალო ბიზნესი განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სიძლიერეს და წარმოადგენს სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროს. მცირე ბიზნესის ფორმირების უმთავრესი ფაქტორია ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო გარემო. უკანასკნელ წლებში საქართველოში რადიკალური რეფორმების შედეგად, სწრაფად იზრდება ქვეყანაში დარეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რიცხვი და 2014 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით - 588 782 - ს გაუტოლდა, საიდანაც აქტიურია 113 017¹-ია. სუბიექტი. მუდმივად იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის ხვედრითი წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში, 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 17,7%-ს გაუტოლდა, ეს მაჩვენებლები 2012 წელს - 17,0%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე რეფორმების მიუხედავად ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია იმ ხელშემშლელ ფაქტორთა რიცხვი, რაც აფერხებს მცირე ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში. აღნიშნული შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრა ძალზედ მიშვნელოვანი ამოცანაა, რათა დროულად იქნეს დაძლეული მცირე ბიზნესის სექტორულ და გეოგრაფიულ ჭრილში დღეისათვის არსებული დისპროპორციები. კერძოდ, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროების უპირობო დომინირება ტრანსპორტის, კომუნიკაციების, მშენებლობის და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროებში პოზიციების დათმობის ხარჯზე. დღეისათვის მცირე და საშუალო ბიზნესის აქტივობა თითქმის მთლიანად კონცენტრირებულია თბილისში, იმერეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წვრილი მეწარმეობის განვითარება მყარ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებს შექმნის ქვეყანაში. მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა სწორედ მცირე მეწარმეობის უპირატესი განვითარებით, კარგად ორგანიზებული ე.წ. მცირე ეკონომიკის შექმნით დაიწყო. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ეკონომიკური ზრდის საიმედო გარანტიას მხოლოდ ასეთი მიმართულება უზრუნველყოფს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო ბიზნესზე, რომელსაც საქართველოს ეკონომიკური დოვლათის შექმნაში ძალიან მცირე - მხოლოდ 19%-იანი წილი უდევს, მაშინ, როცა მეზობელ სომხეთში ეს მაჩვენებელი 42%-ია.

მსოფლიო ბანკის კვლევებში ხაზგასმულია, რომ მსოფლიოში ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან 9-ს კერძო სექტორი ქმნის და მსოფლიო მასშტაბით ყველა ფირმის 90%-ს სწორედ


¹ ბიზნეს რეგისტრი სტატისტიკა; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge.

მცირე, საშუალო და მიკრობიზნესი წარმოადგენს. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი მშპ-ის დაახლოებით 60% ქმნის და საექსპორტო შემოსავლების ძირითადი წყაროა. შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სიღარიბის შესამცირებლად. საქართველოში ბიზნესის დაწყების მიზეზად 63%-მა ის დაასახელა, რომ ვერ იშოვა სხვა სამსახური. მცირე და საშუალო კომპანიების დამფუძნებელთა 31,8%-ს ტექნიკური განათლება აქვს მიღებული, მაშინ როცა მეზობელ სომხეთში ეს მაჩვენებელი 3,6%-ია, აზერბაიჯანში კი 7,7%. სამაგიეროდ, მაგისტრის ხარისხის მქონე მცირე ბიზნესის დამფუძნებელი საქართველოში 17,7%-ია, სომხეთში - 75,3%, აზერბაიჯანში კი 26,6%.

საქართველოში ბიზნესს ფლობს მოსახლეობის 4%, მაშინ, როცა ევროპაში ეს მაჩვენებელი 6%-ია, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - 15%. მართალია, საქართველოში მაღალია დარეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა, მაგრამ მიკრო, საშუალო და მცირე ფირმების რაოდენობა არ იზრდება. მეტიც, ბევრი ფირმა არსებობის პირველსავე წელს გამოდის ბაზრიდან. ფირმების უმეტესობა არ არის ინოვაციური და ხასიათდება დაბალი პროდუქტიულობით. ბიზნესის წინაშე არსებულ სირთულეებს შორის სახელდება ფინანსებზე წვდომა, მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობა, მუდმივად ცვალებადი საგადასახადო რეგულაციები და მაღალი გადასახადები. მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ჩვენთან ნაკლებად იზრდება ექსპორტი - დაახლოებით 21,2% ბოლო ხუთ წელიწადში, მაშინ, როცა იმავე პერიოდში სომხეთმა ექსპორტი 35,9%-ით გაზარდა, ხოლო აზერბაიჯანმა - 31,8%-ით. საქართველოში ნაკლებად ვითარდება ახალი, ინოვაციური სექტორები, ადამიანებიც არ გადადიან სამუშაოდ ახალ სექტორებში.

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 248557 საწარმოა რეგისტრირებული. საწარმოთა უდიდესი ნაწილი რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო-სვანეთის რეგიონებში (იხ. დიაგრამა 1).

საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები რეგიონების მიხედვით (2014 წელი)¹



¹ ბიზნესის რეგისტრი რეგიონების მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

საინტერესოა საქართველოში ახლად დარეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა ეკონომიკის ცალკეული სექტორებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით. თუ გავანალიზებთ ოფიციალურ სტატისტიკას 2014 წლის მონაცემებით, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მეტი რაოდენობა დარეგისტრირებულია ვაჭრობაში, ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ნაწარმის რემონტში (21,1 %). შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა (4,8%) და ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარა (3,9%). იმავე წელს ყველაზე მცირე რაოდენობის საწარმოები რეგისტრირებულია მეთევზეობაში (0,1%) და ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილებაში (ასევე 0,1%).

ქვემოთ მოცემული ცხრილი ნათლად აჩვენებს ამ მიმართულებით საქართველოში არსებულ თანამედროვე მდგომარეობას:

2014 წლის მდგომარეობით, საქართველოში საქმიანობის სახეების მიხედვით რეგისტრირებული საწარმოები¹

საქმიანობის სახე	სუბიექტთა რაოდენობა	აქტიური	%
სულ:	588 782	113 017	100
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	5396	1004	0.9
თევზჭერა, მეთევზეობა	369	123	0.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1222	478	0.2
დამამუშავებელი მრეწველობა	28216	8904	4.8
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	537	143	0.1
მშენებლობა	13578	4524	2.3
ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	124082	50358	21.1
სასტუმროები და რესტორნები	10623	3892	1.8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	16813	6179	2.9
საფინანსო საქმიანობა	3460	1690	0.6
ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარა	23117	10321	3.9
სახელმწიფო მმართველობა	1820	170	0.3
განათლება	6303	2438	1.1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	5298	2513	0.9
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	18829	3033	3.2
სხვა საქმიანობა (დაუზუსტებელია)	329119	17247	55.9

¹ ბიზნესის რეგისტრი საქმიანობის სახეების მიხედვით; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

მცირე მეწარმეობის სფეროში საქმიანობა დიდ რისკთან, გარკვეულ სირთულესა და წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მცირე ბიზნესის საწარმოები მსხვილ საწარმოებთან შედარებით ნაკლები სტაბილურობით გამოირჩებიან. ისინი მეტად სუსტ თავდაცვით უნარს ავლენენ კონკურენციის პირობებში. დიდია პროდუქციის წარმოებაზე, ბაზრის შესწავლაზე, რეკლამასა და სხვა საწარმოო საქმიანობაზე მათ მიერ გაწეული დანახარჯები. ამასთან, რაც უფრო მცირეა კომპანია, მით უფრო საგრძნობია სააქციო კაპიტალთან პროცენტულ ფარდობაში მის მიერ გაღებული დანაკარგები. ამიტომ საწარმოთა დიდი ნაწილი გაკოტრებით ამთავრებს თავის საქმიანობას. ბევრი მცირე საწარმო ქრება თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე. კერძოდ, იაპონიაში პირველი 5 წლის მანძილზე 10 მცირე საწარმოდან 6-7 საწარმო წყვეტს არსებობას, დიდ ბრიტანეთში კი ყოველი მეხუთე. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ახლადშექმნილი 600 ათასი საწარმოდან მხოლოდ ნახევარი აღწევს 18 თვემდე და მხოლოდ ხუთიდან ერთი – 10 წლამდე. აქ მცირე საწარმოებზე მოდის გაკოტრებულთა 85%.

საწარმოთა ასეთი დაბალი სიცოცხლის „ხანგრძლივობის“ მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს საწარმოს შექმნის სიმარტივე. ფაქტობრივად, უფრო ადვილია საქმის დამოუკიდებლად დაწყება, ვიდრე სამუშაოს მომწოდებლის შოვნა. არც ერთი კანონი არ უკრძალავს ადამიანს ჰქონდეს საკუთარი საქმე, ყველას შეუძლია ამოირჩიოს მეწარმეობის ნებისმიერი მიმართულება, რომელიც მას მოსწონს. მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამ დარგში მუშაობის სტაჟი, არის მილიონერი თუ ღარიბი. კვალიფიკაციის მიუხედავად არჩევანის თავისუფლება აძლევს მას საწარმოს შექმნის უფლების გარანტიას. როგორც ხშირად აღნიშნავენ ეკონომისტები, არჩევის თავისუფლება ნიშნავს არა მარტო წარმატების თავისუფლებას, არამედ წარუმატებლობის თავისუფლებასაც. ამ რეალობის გააზრების უუნარობას ხშირად შეუძლია ადამიანთა სტრესამდე, ტრაგედიამდე და დრამატულობამდე მიყვანა. ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის პროფესორი ალბერტ შაპირო წერს: „არავინ იცის შექმნილი საწარმოების რიცხვი ან წარუმატებლობის რიცხვი. ფაქტობრივად ჩვენ არ ვიცით, რას აღნიშნავს წარუმატებლობა. გვაქვს კი ჩვენ მხედველობაში გაკოტრება? მაგრამ ბევრი ადამიანი გამოდის საქმიდან გაკოტრებამდე – მიდის ისე, რომ მუშაობს დაუზოგავად, რათა დაფაროს ნებისმიერი დავალიანება“. სხვა საწარმოები კი იხურება იმიტომ, რომ მათი მფლობელები საპენსიო ასაკის არიან და არ ჰყავთ ვინმე, ვისაც გადასცემდნენ თავიანთ კომპანიას. ზოგიერთი წყვეტს თავის მოღვაწეობას იმიტომ, რომ მათ ეს მოსწყინდათ. განიცადეს ამ საწარმოებმა წარუმატებლობა? წარმოადგენს კი ნამდვილად წარუმატებლობა მარცხს? ბიზნესის მრავალი გმირი ერთხელ მაინც გამხდარა წარუმატებლობის მსხვერპლი. ჰენრი ფორდმა ორჯერ განიცადა მარცხი თავის საქმეში: რამდენჯერმე საქმის მოსინჯვამ და დამარცხების მოთმინებით გადატანამ შეიძლება საუკეთესო სამეწარმეო განათლება შესძინოს მეწარმეს, ვიდრე ბიზნესის სკოლაში სწავლამ, სადაც თითქმის არაფერს ამბობენ მცირე ბიზნესსა და მეწარმეობაზე“.¹ შეიძლება თუ არა მეწარმეობის ტესტირება, ვიდრე ბაზარი განახორციელებდეს თავის არჩევანს? ჩემი აზრით, არა. არჩევანის უფლება ამერიკის ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტშია. ამ უფლების გარეშე ინიციატივა და გამომავლიზებული მიზეზები მალე გამოილეოდა და ამერიკული თავისუფალი მეწარმეობის

¹ Сирополисы М.К. Управление малым бизнесом. Руководство для предпринимателей. Пер. с англ. М.: Дело 1997.

სისტემა დაკარგავდა თავისუფლებას. რაში მდგომარეობს მრავალი ახლად შექმნილი საწარმოს „სიკვდილის“ საიდუმლო? მსხვილი ექსპერტები, როგორცაა, მაგალითად „Dun & Bradstreet“ – დან, საწარმოთა წარუმატებლობის მიზეზად ასახელებენ ცუდ მმართველობას. ფირმა „Dun & Bradstreet“ ფლობს საწარმოთა ფინანსურ სიჯანსაღეზე ინფორმაციის მიწოდების საუკუნოვან გამოცდილებას. ამ ფირმამ შეადგინა მონაცემების კარტოთეკა ამერიკის შეერთებული შტატების 9 მილიონ საწარმოზე, წარუმატებლობისა და ახალ საწარმოთა შექმნის ტენდენციების უზრუნველყოფის მიზნით. ფირმამ გამოავლინა, რომ საწარმოები განიცდიან მარცხს წლიდან წლამდე ერთი და იგივე მიზეზების გამო.

პირველი ჯგუფის 4 მიზეზს მივყავართ ცუდ მმართველობამდე – ზუსტად მასზეა დამოკიდებული მარცხის 92% საქმიანობაში. ფირმა „Dun & Bradstreet“ მონაცემებით, ცუდი მმართველობა ხშირად გამოვლინდება ისეთ პრობლემებში, როგორცაა: დიდი საექსპლუატაციო ხარჯები და კლიენტების მიერ გადასახადის დაკავება, არახელსაყრელი ადგილმდებარეობა ან დაბალი კონკურენტუნარიანობა, სასაქონლო მატერიალური მარაგის გამო სიძნელეები ან ჭარბი ძირითადი აქტივები. ხშირად მცირე საწარმოები განიცდიან მარცხს იმიტომ, რომ არ შეუძლიათ გაუმკლავდნენ გაზრდილ მმართველობით ხარჯებს. დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება მათ მართვასთან დაკავშირებული სირთულეებიც. 10–კაციანი მაღაზიის შემთხვევაში მეწარმე ახერხებს ვიზუალურ კონტროლს ყველაზე, მაგრამ როგორც კი მათი წარმოება 100 დასაქმებულს გადააჭარბებს, მეწარმე უნდა გადავიდეს თავისი საქმის დაგეგმვისა და კონტროლის უფრო რთულ საშუალებებზე. მსხვილი კორპორაციების პრეზიდენტები პროფესიონალი ხელმძღვანელები არიან. მათ ჭირდებათ როგორც გამოცდილება, ასევე თანამედროვე მენეჯმენტის სხვადასხვა თეორიების ცოდნა, რათა შეძლონ ეფექტურად გამოიყენონ დასაქმებულთა შესაძლებლობები.

ახლადწარმოქმნილ საწარმოთა „დაღუპვის“ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებს გარდა, არსებობს კიდევ მრავალი მიზეზი, რომლიც გარკვეულწილად მოქმედებენ საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობაზე. მაგალითად, შეიძლება დასახელდეს გასაყიდი საქონლის მცირე მოცულობა, მუშახელის მოზიდვის პრობლემა მუშაობის სტაჟის განუსაზღვრელობის გამო, სოციალური უზრუნველყოფის მცირე გარანტია, ფინანსური სიძნელეები, დაბალი მგრძობიარობა ეკონომიკური ცვლილებებისადმი, პერსონალური პასუხისმგებლობა, აუცილებელი მუდმივი კონტროლი ვალდებულებების შესრულებაზე, ექსპერტული პოტენციალის დაბალი დონე, ნაკლებად ოპერატიულობა და ა.შ.¹

მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი ასპექტები, სადაც მეწარმეებს სირთულეები ხვდებათ, შემდეგია: 1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; 2. საგადასახადო სისტემა; 3. ბიზნეს-გარემო და ღია სავაჭრო პოლიტიკა; 4. ბიზნეს-განათლება, კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი; 5. მეცნიერული კვლევები ბიზნეს-გარემოზე; 6. ბიზნეს-კრედიტები და რესტრუქტურირება.

იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება შედარებით დიდ რისკთანაა დაკავშირებული, მათთვის რთულია დაფინანსების წყაროების მოძიება. მაშინ, როდესაც ბიზნესი იწყებს ფუნქციონირებას, მას აქვს მცირე კაპიტალი, ხოლო

¹ ხუსკივაძე მ., მცირე ბიზნესის განვითარება დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობაში, დისერტაცია, ქუთაისი, 2010.

ბანკიდან სესხის აღება არის საკმაოდ ძვირი. ძირითადად ბიზნესის დაწყება ხდება პირადი დანაზოგებით, ნათესავებისა და მეგობრებისგან მოზიდული სახსრებით. იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ბიზნესის დაფინანსება ხდება ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან. მხოლოდ გარკვეული გამოცდილებისა და კაპიტალის დაგროვების შემდეგ ეძლევათ შესაძლებლობა მწარმოებლებს აიღონ ბანკებისგან სესხი. თუმცა, ამ ეტაპზე, როცა ბიზნესის შემოსავლები შედარებით მცირეა, მათ სესხის მაღალი პროცენტი მიმე ტვირთად აწვება. აღნიშნული საკითხის გამოსაკვლევად ევროკომისია ყოველწლიურად ატარებს კვლევას და ადგენს სხვადასხვა ქვეყანაში ორგანიზაციებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემებს. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემატიკაზე 2009 წლის ივნის-ივლისში ევროკომისიის დაკვეთით The Gallup Organization Hungary-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის (ევროპის 27 ქვეყნისა და ხორვატიის, ისლანდიისა და ნორვეგიის კომპანიების მენეჯერები) მიხედვით, ფინანსებზე წვდომის საკითხი მეორე რიგის პრობლემად დასახელდა გამოკითხული კომპანიების მენეჯერთა 16%-მა. რიგით პირველი დასახელდა მომხმარებლის პოვნა – 29%. ქვეყნების მიხედვით ეს პრობლემა ყველაზე უფრო მწვავედ იჩენს თავს საბერძნეთსა (გამოკითხულ საწარმოთა 39%) და ხორვატიაში (35%); ბელგიაში, ფინეთსა და მალტაში, აგრეთვე ნორვეგიაში, ეს პრობლემა გამოკითხულთა მხოლოდ 8-9 %-ს აწუხებს.

აღნიშნული საკითხები განსაკუთრებით მწვავეა საქართველოში, რაც მოწმობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ჯერ კიდევ მრავალი სხვადასხვა პრობლემების სირთულეზე, რომელთა გადაჭრის გარეშე სასურველი ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეუძლებელია. იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიაშვილი ო., მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, ქუთაისი, 2013.
2. მექვაბიშვილი ე., მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა, თბ., 2010.
3. ჯაფარიძე დ., საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი, თბ., 2012.
4. ხუსკივაძე მ., მცირე ბიზნესის განვითარება დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშა-ვებელ მრეწველობაში, დისერტაცია, ქუთაისი, 2010.
7. Сирополиς М.К., Управление малым бизнесом, Руководство для предпринимателей, Пер. с англ. М.: Дело, 1997.
8. 2013 SMEs' Access to Finance survey – European commission, Analytical Report, 2013.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge.
6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: <http://www.economy.ge>.
9. The World Bank and the International Finance Cooperation. Ease of Doing Business in Georgia: <http://doingbusiness.org/data/exploreconomies/georgia#starting-a-business>.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოში ბიზნესის წინაშე არსებული სირთულეები, დახასიათებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფორმირების პროცესი. მსოფლიო ბანკის კვლევებისა და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია

საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობრივი მახასიათებლები რეგიონების, ეკონომიკის სექტორებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით. გამოვლენილია საწარმოთა „სიცოცხლის ხანგრძლივობის“ მიზეზები და მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობის ხელისშემშლელი ფაქტორები.

ხორვატიის ინტეგრაცია ევროკავშირში

სოფიო გელაშვილი

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე

ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი 12 წელი და 4 თვე გაგრძელდა. „ჩვენ გამოვიყენეთ ეს დრო, რათა აგვეშენებინა კარგი ინსტიტუციური სისტემა და ქვეყანას სტაბილურობა მოეპოვებინა“ - აცხადებს ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვესნა პუსიჩი. ამ გაფართოვების შედეგად ევროკავშირი სერბეთს, მონტენეგროს და ბოსნია-ჰერცეგოვინას მეზობელი ხდება. ევროკავშირის თანამდებობის პირები იმედოვნებენ, რომ ამ გაფართოვებით დასავლეთ ბალკანეთი საგრძნობლად გაძლიერდება და უფრო სტაბილური გახდება.

სარეფერენდუმო აგიტაციაში ხორვატიის მთავრობა, პრეზიდენტ ივო იოსიპოვიჩისა და პრემიერ ზორან მილანოვიჩის მეთურობით, სრულად იყო ჩართული. მიერთების მომხრეთა რიგებს ამაგრებდა ყოფილი პრემიერი და ამჟამად ოპოზიციის ლიდერი იადრანკა კოსორიჩ. ამომრჩევლის სრულფასოვნად ინფორმირებისათვის დაიბეჭდა და გამოქვეყნდა მიერთების მოლაპარაკებების დოკუმენტები და მასთან დაკავშირებული მთავრობის ანგარიშები, ხელშეკრულების სრული ვერსია და სხვა აქტუალური ინფორმაცია. ოფიციალური ცნობით ამ სააგიტაციო ღონისძიებებზე 640 ათასი ევრო დაიხარჯა.

საპარლამენტო პარტიებიდან ანტიინტეგრაციული პოზიცია მხოლოდ ანტე სტარჩევიჩის, ხორვატიის სამართლის პარტიამ დააფიქსირა. გადაწყვეტილების მიზეზად პროცესის გაუმჭვირვალობა და ინფორმაციის სიმწირე დაასახელა. 2011 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიამ ანტი-ინტეგრაციონალთა ნიშა დაიჭირა, თუმცა ამან ვერ გაამართლა და პარტიას ამომრჩეველთა მხოლოდ 3%-მა მისცა ხმა.

საბოლოოდ რეფერენდუმმა ამომრჩეველთა არცთუ მაღალი აქტივობა აჩვენა. მასში მონაწილეობა 1960231 ამომრჩეველმა მიიღო რაც ელექტორატის მხოლოდ 43,51% შეადგენს. აქედან 11733 ბიულეტენი (0,6%) ბათილად იქნა ცნობილი. 1299008 ამომრჩეველმა (66,27%) მხარი დაუჭირა ქვეყნის ევროკავშირში შესვლას, ხოლო 1/3, უფრო ზუსტად კი 649 490 ამომრჩეველი (33,13%) ინტეგრაციის წინააღმდეგი გამოვიდა. ყველა კმაყოფილი იყო შედეგებით, მაგრამ არა ამომრჩეველთა აქტიურობით. საგარეო და ევროპის საქმეთა მინისტრმა ვესნა პუსიჩმა აღნიშნა, რომ შედეგები დადებითი მოვლენა და სტიმულია ევროპისათვის, რომელსაც ამჟამად გარკვეული შიგა პრობლემები აქვს. ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობა,

პარლამენტის ექს-სპიკერმა ვლადიმერ სეკსმა, გარე ფაქტორებით ახსნა. სკეპტიკოსების ვნებათა ღელვა, რომლებიც თავიდანვე ნეგატიურად აფასებდნენ ინტეგრაციულ პროცესს, არც რეფერენდუმის გამართვის შემდეგ ჩამცხრალა. „მოდრაობა ხორვატიისთვის - არა ევროკავშირს“ აქტივისტები 22 თებერვალს სასამართლოში გაასჩივრებენ ქვეყნის ევროკავშირში შესვლის საჭიროებასთან დაკავშირებული რეფერენდუმის შედეგებს. ამის შესახებ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ჯარენ კელემინეცმა განუცხადა ჟურნალისტებს. ევროკავშირში შესვლას ხმა რეფერენდუმის მონაწილეთა 66%-მა მისცა ხმა. მიუხედავად ამისა, კელემინეცი ამტკიცებს, რომ პლებესციტი არ შეიძლება ჩაითვალოს შემდგარად, ვინაიდან მასში მონაწილეობა დარეგისტრირებული ამომრჩევლების 50%-ზე ნაკლებმა მიიღო. გარდა ამისა, მოძრაობის აქტივისტებმა ქვეყანაში ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაც მოითხოვეს, ვინაიდან „შედეგებმა აჩვენა, რომ მმართველმა კოალიციამ ხალხის ნდობა დაკარგა“.

2007 წლის შემდეგ ეს ევროკავშირის პირველი გაფართოვებაა. ხორვატიის ევროკავშირში მიღების შედეგად ევროკავშირის მოსახლეობა 4,2 მლნ ადამიანით გაიზარდა.

არსებობს მოსაზრება, რომ ხორვატიას არ გაუმართლა და ევროკავშირს ცუდ დროს შეუერთდა, რადგან დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებსაც კი ფინანსური კრიზისის პირობებში განვითარება უჭირთ. მიუხედავად ამისა, ხორვატიის მოსახლეობის უმრავლესობა მაინც დიდი ენთუზიაზმით ხვდება ევროკავშირში შესვლას და ამ ფაქტს ბოლო ათწლეულის მთავარ მიღწევას უწოდებს. 2012 წლის იანვარის რეფერენდუმში მოსახლეობის 66%-მა მხარი დაუჭირა ხორვატიის ევროკავშირში ინტეგრაციას. თუმცა, არიან სკეპტიკოსებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია ბევრი ფინანსური ვალდებულების აღებასთან ასოცირდება, რასაც შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. ასევე პრობლემაა ისიც, რომ როდესაც ქვეყანა ევროკავშირში წევრიანდება, როგორც წესი, ფასები ყველაფერზე იმატებს, ინტეგრაციიდან რამდენიმე წელში კი ეკონომიკა ბევრად მყარი და გამართული ხდება.

ხორვატიაში არსებობს მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ევროკავშირის შესახებ საერთოდ არ არის ინფორმირებული. ამა წლის მარტს ერთ-ერთმა ხორვატიელმა საკუთარი სახლის წინ ევროკავშირის დროშა გამოკიდა. ამან მისი ბევრი მეზობლის დაინტერესება გამოიწვია და ბევრი კითხულობდა, თუ რომელი ისლამური ქვეყნის იყო ყვითელვარსვლავებიანი ლურჯი დროშა. ადგილობრივმა გაზეთმა გამოძიებაც კი ჩაატარა იმის შესახებ, კანონიერი იყო თუ არა ევროკავშირის დროშის აღმართვა სახლის წინ. მეორე მხრივ, ევროკავშირის მოსახლეობაც არ არის საკმარისად ინფორმირებული ხორვატიის ისტორიისა და კულტურული ფასეულობების შესახებ.

ხორვატიის მიმართ ისმის ბევრი კრიტიკა და უამრავი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება - განსაკუთრებით, კორუფციასთან დაკავშირებული საკითხები და ურთიერთობა სერბეთთან. ბოლო ხანებში ასევე აქტუალურია ტრეფიკინგის გახშირებული შემთხვევებიც. ხორვატიის პრემიერ-მინისტრი ზორან მილანოვიჩი აცხადებს, რომ სურს პოზიტიური ურთიერთობების დამყარება სერბეთთან და იმედს იტოვებს, რომ სერბეთიც მალე შეუერთდება ევროპის კავშირს. 1991 წელს ომის დაწყებამდე ხორვატიის მოსახლეობის 14%-ს ეთნიკურად სერბებს შეადგენდნენ. დღეს მათი რიცხვი 4%-მდეა შემცირებული. მოსახლეობის ნაწილი ომის მსხვერპლი გახდა, დანარჩენისთვის კი ზეწოლის პირობებში გაუსაძლისი გახდა ხორვატიაში

ცხოვრება და სერბეთში დაბრუნდა. ეს ციფრები და სტატისტიკა ხორვატიის სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ხორვატიამ გადაიტანა ომი და იწვნია მისი შედეგები, ამას მოყვა ინფრასტრუქტურის თავიდან მშენებლობა, ტურიზმის მასიური განვითარება და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა. გასულ წელს ხორვატიას ქვეყნის არსებობის ისტორიაში ყველაზე ბევრი, 10 მილიონამდე ტურისტი ესტუმრა, განსაკუთრებით პოპულარულია ქალაქები ზადარი, დუბროვნიკი და სპლიტი, რომლებიც ულამაზესი სანაპირო ზოლით და ლამაზი არქიტექტურული ნაგებობებით გამოირჩევა.

მიუხედავად ამისა, ხორვატიას, ისევე როგორც ევროზონის ყველა სახელწიფოს, ეკონომიკური რეცესიის პრობლემა ბოლო 5 წელია აწუხებს. უმუშევრობა იზრდება და ექსპერტთა დასკვნით, წლევანდელ წელს უმუშევართა რიცხვი მოსახლეობის 20%-ზე მეტს შეადგენს, ახალგაზრდების უმუშევრების დონე კი ბევრად უფრო მაღალია და 50%-მდე აღწევს. ხორვატიას ასევე ადანაშაულებენ იმაში, რომ სოფლის მეურნეობის რესურსს სათანადოდ არ იყენებს - ამ სფეროს განვითარებას კი დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკურ ზრდაზე. ასევე მცირდება ინვესტიციების რაოდენობაც, 2008 წელთან შედარებით ინვესტიციების რაოდენობამ ხორვატიაში 80%-ით იკლო. ამ ყველაფრის მიუხედავად, ოფიციალური ბრიუსელი იმედოვნებს, რომ ხორვატია მზად არის ევროკავშირის წევრობისათვის და ქვეყნის მიღწევებზე უთითებს, რომელთა შორისაა: წარმატებული თანამშრომლობა იუგოსლავიის ტრიბუნალთან ჰააგაში და შედეგად ტრიბუნალში დაგროვილი საქმეების საგრძნობი შემცირება; უმცირესობათა უფლებების დაცვის გაუმჯობესება. თუმცა ასევე არსებობს შიში, რომ ხორვატიამ, შესაძლოა ბულგარეთის და რუმინეთის მსგავსი გზა აირჩიოს და ევროკავშირში გაწევრიანებისთანავე შეწყვიტოს რეფორმების პროცესი. რომელიც დღემდე ინტენსიურად მიმდინარეობს. კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, რათა ქვეყნის შიგა სამართალი შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის სამართლებრივ სტანდარტებთან. თუმცა სწრაფი ცვლილებები ყოველთვის პოზიტიური არ არის - ბევრი ექსპერტი შიშობს რომ სწრაფი ცვლილებები კანონების ხარისხიანობას შეამცირებს, არ იარსებებს საკმარისი პრაქტიკა და ამით კანონის არასწორ ინტერპრეტაციას შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

კორუფცია ხორვატიაში დღემდე დიდ პრობლემას წარმოადგენს. გასულ წელს ხორვატიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ივო სანადერს, ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს უნგრულ ელექტროენერჯის კომპანიასა და ავსტრიულ ბანკთან კორუფციულ გარიგებაში შესვლის გამო. ამის შედეგადაც ქვეყნის ბიუჯეტმა 5 მილიონი ევრო იზარალა. ასევე გახმაურდა საქმე, თუ როგორ აძლევდა ქრთამს აფთიაქების ქსელი „ფარმალი“ ექიმებს, რათა პაციენტებისათვის „ფარმალის“ პრეპარატები გამოეწერათ.

მიუხედავად დიდი კორუფციული საქმიანობების გამოვლენისა და დასჯისა, როგორც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები იუწყებიან, კორუფციას ხორვატიაში მაინც ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ისჯებიან გამოვლენილ კორუფციულ გარიგებებში მონაწილე პირები, თუმცა არ ხდება ქონების სათანადო კონფისკაცია. როგორც ევროკომისარი, გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე აცხადებს, რომ „ხორვატიის ევროკავშირში ინტეგრაცია უნდა გახდეს კიდევ ერთი მიზეზი რეფორმების

პროცესის გაგრძელებისათვის. ჩვენ ველით ხორვატიისგან უფრო მეტ ნაბიჯს კანონის უზენაესობის გასამყარებლად და კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

2012 წლის აგვისტოს შემდგომ ხორვატიის მთავრობამ შეიმუშავა ახალი გეგმა, სტრუქტურული რეფორმებისთვის, რათა თავიდან დაეწყოთ ეკონომიკური ზრდა. პროგრამის მთავარი მიზანია განავითაროს ბიზნეს-კლიმატი და საშუალება მისცეს მას ჩაერთოს ინვესტიციებში და განავითაროს მეწარმეობა. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საპენსიო და ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემა. დამატებით, უნდა აღადგინოს GDP-ის დეფიციტი, რომელიც 2012 წლამდე 5.2%-ს წარმოადგენდა და დაიყვანოს უახლოეს მომავალში 4%-მდე. გათვლები ფოკუსირებულია სუბსიდიებზე, მომსახურებასა და პროდუქტზე და ასევე გააუმჯობესოს საგადასახადო სისტემა.

ევროკავშირთან „დაახლოების მექანიზმი“ არ მუშაობს. Financial Times-ის ფურცლებზე ერთ-ერთმა სერიოზულმა ევროპელმა, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა ასეთი რამ განაცხადა: მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოა ევროკავშირის ყველაზე ახალგაზრდა წევრის ხორვატიის გამოცდილება, რომელმაც ევროკავშირის წევრობაზე სერიოზული მოლაპარაკება 2005 წელს დაიწყო, ამ წლის ივლისში კი ბლოკის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მსოფლიო სავალუტო ფონდის და ევროსტატის მონაცემთა ბაზაში არსებულ ცხრილებს თუ გადავხედავთ, არანაირი „დაახლოება“ არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, მე ის ნამდვილად ვერ შევნიშნე.

2013 წელს, ხორვატიის მშპ 2005 წლისაზე ოდნავ ნაკლებია. არანაირი ზრდა არ არის, დაახლოებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ევროკავშირთან სერიოზული ინტეგრაციის დაწყების შემდეგ ხორვატია განვითარებული ბაზრების ტრაექტორიას აცდენილია და ამ ბაზრებთან მიმართებით ის კი არ მდიდრდება, არამედ უფრო ღარიბდება.

ძნელია იმის მტკიცება, რომ თითქოს ევროინტეგრაცია ხორვატიული პრობლემების მიზეზი გახდა. მაგრამ თუ შევხედავთ ამ საშინელ ეკონომიკურ შედეგებს, ცხადია, ევროკავშირმა ეს პრობლემები ვერ გადაწყვიტა. მაშ, რით შეიძლება აიხსნას ის, რომ ხორვატია ვერ უახლოვდება ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებს? ანალიტიკოსი ლუკა ორესკოვიჩი, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტში ევროპულ და ბალკანურ საკითხებზე მუშაობს, ხორვატიასთან დაკავშირებულ ყველა თემაზე ყველაზე ინფორმირებული და კომპეტენტური ექსპერტია. ორესკოვიჩი ამ სუსტ მაჩვენებლებში მთლიანდ ხორვატიის პოლიტიკურ სისტემას ადანაშაულებს და ასკვნის, რომ ქვეყანას არ გააჩნია უნარი ბოლომდე მიიყვანოს ეკონომიკის რესტრუქტურისაციის მნიშვნელოვანი რეფორმები: „პოლიტიკური პარტიები ძალიან არიან დამოკიდებული სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ ამომრჩევლებზე, ამიტომ მათი რიცხვი განაგრძობდა ზრდას და თითქმის 700 000 ადამიანს მიაღწია (ხორვატიის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 1 700 000). იმავდროულად, კერძო სექტორმა 2009 წლიდან 200 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი დაკარგა და ახლა იქ მილიონზე ნაკლები ადამიანია დასაქმებული.


ხორვატიულ ეკონომიკას ინარჩუნებს ის, რომ იქ რეფორმები არ ტარდება. მათ არავინ ატარებდა არც მანამდე და არც ევროკავშირში გაწვრიანების პროცესში. სამუშაო ძალის ბაზარი ნაკლებად მოძრავია და ხელს უშლის მოქნილ დასაქმებას (როგორც არსებობს წარმატებულ გერმანულ მოდელში). ეს კი უმუშევრობის მასშტაბური ზრდის მიზეზია ახალგაზრდებს შორის. უფლებათა ნორმის სფეროში გაუმჯობესებაა, თუმცა საგადასახადო კანონმდებლობასა და ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაჩვენებლებში ასეთი გაუმჯობესება არ არის.

რეფორმების არაეფექტურობის და მათი არარსებობის თვალსაჩინო მაგალითია ის ფაქტი, რომ 2008 წელს პირდაპირი საგარეო ინვესტიციების მოცულობა 4 მლრდ ევროს უტოლდებოდა, ხოლო 2012 წელს ის 600 მლნ ევრომდე შემცირდა.

ხორვატია არ დაუხლოვდა და არც დაუახლოვდება განვითარებულ ეკონომიკებს, რადგან მისი ეკონომიკა არ არის ექსპორტული, ასევე მას არ გააჩნდა შესაძლებლობა ესარგებლა იაფი კრედიტებით სახელმწიფო და კორპორატიული სექტორისათვის ისეთი მოცულობით, რომელმაც უზრუნველყო ზრდის თვალსაზრისით ბუმი რუმინეთსა და იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირის წევრები 2004 წელს გახდნენ. იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირში ადრე გაწევრიანდნენ, იოლად შეეძლოთ კაპიტალის მიღება იმ ვარაუდით, რომ ევროკავშირში და მის ეკონომიკურ სავალუტო კავშირში რისკები თანაბრად გადანაწილდებოდა მის ყველა წევრს შორის. მაგრამ საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ეს ასე არ არის“.

სხვა ექსპერტებმა პირველ პლანზე შეიძლება სხვა ფაქტორები წამოწიონ, მაგალითად, ის, რომ ევროკავშირი უპირატესობას ანიჭებს შეზღუდულ კრედიტებს მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ან ხორვატიის ფინანსური ბაზრის განსაკუთრებულ თავისებურებებს. მაგრამ იმის მიუხედავად, თუ ვის დავაკისრებთ პასუხისმგებლობას, ძალიან თვალსაჩინოა ის, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციამ სასწაული ვერ მოახდინა, ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყვიტა ხორვატიის ყველა ეკონომიკური პრობლემა და ვერ დააყენა ის დასავლეთთან სწრაფი დაახლოების გზაზე.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის, რომ ხორვატია ხმელთაშუაზღვისპირეთის პატარა ქვეყანაა, 4 - მილიონიანი მოსახლეობით და ისეთი მაღალგანვითარებადი ბაზრების გვერდით მდებარეობს, როგორცაა იტალიის და ავსტრიის ბაზრები. ხორვატიის მოცულობის და კლიმატის გათვალისწინებით, ლოგიკური იქნება ვივარაუდოდ, რომ ის შეძლებს ტურიზმისა და დასვენების ინსდუსტრიაზე დაფუძნებული, წარმატებული განვითარებადი ეკონომიკის შექმნას. უკრაინა კი ბევრად უფრო დიდია: მოსახლეობის რიცხვი 45 მილიონს აღწევს და მისი კლიმატიც გაცილებით უხეშია. ამიტომ, ყველაზე ოპტიმისტი ანალიტიკოსებიც კი ასკვნიან, რომ უკრაინის გზა აყვავებისა და კეთილდღეობისაკენ გაცილებით რთული იქნება, ვიდრე ხორვატიისა.



ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ ევროპა ცუდია, ან უკრაინა უნდა შეეფუოს თავის ევრაზიულ ბედს. თუკი უკრაინელებს უნდათ ევროპაში ყოფნა, ისინი უნდა იყვნენ იქ. მაგრამ იმის ხაზგასმა მინდა, რომ ძალიან იოლად შეიძლება ისეთი სურათის წარმოდგენა, სადაც უკრაინა ევროკავშირში ინტეგრირდება, მისი ეკონომიკა კი მაინც სუსტი რჩება. თუკი შევხედავთ ევროკავშირის ახალი წევრების ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს ბოლო რვა წლის განმავლობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროინტეგრაციის გზაზე უკრაინის ეკონომიკის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

მართლაც, ხორვატიის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, რომელსაც უბადლოდ უნდა ემუშავა ევროკავშირში შესვლის შემდეგ, რეალურად არც ისე ეფექტური აღმოჩნდა როგორსაც ელოდნენ. მიუხედავად ევროინტეგრაციისა ხორვატიაში მაინც მაღალია უმუშევრობის დონე და არც ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით შეცვლილა ბევრი რამ. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აღიარებს, რომ მიუხედავად მათი ქვეყნის განვითარებისთვის გაცემული მრავალი გრანტისა, რასაც ხელი უნდა შეეწყოს კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მათ სამწუხაროდ არ გააჩნიათ რესურსი იმისა, რომ განახორციელონ ეს პროექტები და პროდუქტიულად გაწერონ ბიუჯეტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Paul R. Krugman, Maurice Obstfeld. International Economics: Theory & Policy, Publisher: Pearson, Addison Wesley; 8th edition, 2009.
2. Robert J. Carbaugh, International Economics, 13th Edition, South-Western Publishers, 2011.
3. Robert C. Feenstra, Alan M. Taylor, International Economics, 2008 W. H. Freeman;
4. პ. კრუგმანი, მ. ობსტფელდი, საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, თბ., 2000.
5. International economics : theory & policy/Paul R. Krugman, Maurice Obstfeld, Marc J. Melitz.—9th ed.
6. John H. Mutti, International Economics, 7ed. 2009 Taylor & Francis.
7. Marrewijk, Charles van et al. International Economic, 2007, Oxford University Press.
8. Henry Thompson, International Economics, Global Markets And Competition 2ed. 2006 World Scientific Publishing.
9. Dominick Salvatore, International economics. 9ed. 2007, Wiley.
10. Овчинников Г.П., Международная экономика. – СПб.: Издательство Михайлова В.А., 2000.
11. Пугель Т.А., Линдерт П.Х., Международная экономика, М., 2003.
12. <http://bookstore.piie.com>.
13. <http://www.wto.org>.
14. <http://data.worldbank.org/indicator/AG.LND.IRIG.AG.ZS/countries/HR-7e-GE?display=graph>.
15. <http://www.worldbank.org/en/country/croatia/overview#2>.
16. <http://www.tepsa.eu/wp-content/uploads/2014/07/Visnja-Samardzija-TEPSA-Policy-Paper-July-2014-Final.pdf>.
17. <http://ec.europa.eu/eurostat/tgm/refreshTableAction.do?tab=table&plugin=1&pcode=tps00001&language=en>.
18. [http://europa.eu/rapid/press-release MEMO-13-629_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-13-629_en.htm).
19. http://www.dzs.hr/default_e.htm.

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკაში ხორვატიის ინტეგრაციის შესწავლა საინტერესოა, იგი ევროკავშირის ბოლო 28-ე წევრი ქვეყანაა, ხორვატია არის ასევე ნატოს წევრი. ხორვატიის

ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი 12 წელი და 4 თვე გაგრძელდა. „ჩვენ გამოვიყენეთ ეს დრო, რათა აგვეშენებინა კარგი ინსტიტუციური სისტემა და ქვეყანას სტაბილურობა მოეპოვებინა“, - აცხადებს ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვესნა პუსიჩი. ამ გაფართოვების შედეგად ევროკავშირი სერბეთს, მონტენეგროს და ბოსნია-ჰერცეგოვინას მეზობელი ხდება.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ რეფერენდუმმა ამომრჩეველთა არცთუ მაღალი აქტივობა აჩვენა. მასში მონაწილეობა 1960231 ამომრჩეველმა მიიღო რაც ელექტორატის მხოლოდ 43,51% შეადგენს. აქედან 11733 ბიულეტენი (0,6%) ბათილად იქნა ცნობილი. 1299008 ამომრჩეველმა (66,27%) მხარი დაუჭირა ქვეყნის ევროკავშირში შესვლას, ხოლო 1/3, უფრო ზუსტად კი 649 490 ამომრჩეველი (33,13%) ინტეგრაციის წინააღმდეგი გამოვიდა.

2007 წლის შემდეგ ევროკავშირის პირველი გაფართოვებაა. ხორვატიის ევროკავშირში მიღების შედეგად ევროკავშირის მოსახლეობა 4,2 მლნ ადამიანით გაიზარდა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ხორვატიამ გადაიტანა ომი და იწვნია მისი შედეგები, ამას მოყვა ინფრასტრუქტურის თავიდან მშენებლობა, ტურიზმის მასობრივი განვითარება და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა. გასულ წელს ხორვატიას ქვეყნის არსებობის ისტორიაში, ყველაზე ბევრი, 10 მლნ-მდე ტურისტი ეწვია.

სოციალური საწარმოების ეკონომიკის განვითარებაზე ზეგავლენის ანალიზი

მაია გიორბელიძე

დოქტორანტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **დავით სიხარულიძე**

თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად მიდის მსჯელობა სოციალური მეწარმეობის საკითხებზე, კერძოდ თუ ვინ რას მოიაზრებს ამ ტერმინში და როგორია სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოების წარმატებული მაგალითები. თუმცა, ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი მიდგომა და განმარტება თავად ცნებისა „სოციალური საწარმო“/„სოციალური მეწარმეობა“. იგი განსხვავდება ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში. მაგალითად, აშშ-ში ტერმინი „სოციალური მეწარმეობა“ ბაზარზე ორიენტირებულ ორგანიზაციებთან ასოცირდება, კერძოდ „ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც ახორციელებს სოციალურ მისიას სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით“. ხოლო, დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტი შემდეგნაირ განმარტებას გვთავაზობს „სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომლის უპირველესი მიზანიც სოციალური ხასიათისაა და ახდენს მოგების რეინვესტირებას თემში ან ბიზნესში, ამ სოციალური მიზნების მისაღწევად. მისი მამოძრავებელი არ არის მოგების ზრდა მეწილეებისა და მფლობელებისათვის“. ევროპაში 1996 შეიქმნა ევროპული კვლევითი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური მეწარმეობის ირგვლივ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის

ბაზის შექმნას. ცენტრმა შეიმუშავა სოციალური და ეკონომიკური კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმო. ესენია:

ეკონომიკური კრიტერიუმები:

- ✓ საქონლის ან მომსახურების უწყვეტი წარმოება / მიწოდება;
- ✓ დამოუკიდებლობის ხარისხი;
- ✓ ეკონომიკური რისკის გარკვეული ხარისხი;
- ✓ დამოკიდებულება ანაზღაურებადი სამუშაოს მიმართ.

სოციალური კრიტერიუმები:

- ✓ ნათელი მიზანი, რომელიც ფოკუსირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე;
- ✓ ინიციატივას მხარს უნდა უჭერდეს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი;
- ✓ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება არ უნდა ეფუძნებოდეს კაპიტალის მფლობელობას;
- ✓ საერთო გარემო, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მაღალ ჩართულობას;
- ✓ მოგების შეზღუდული განაწილება.

მსოფლიო მასშტაბით 40 მლნ ადამიანი დასაქმებული სოციალური მეწარმეობის სექტორში. ევროკავშირის ქვეყნებში 2 მლნ-ზე მეტი სოციალური საწარმოა რეგისტრირებული (სულ რეგისტრირებულ ბიზნესთა 10%). უკანასკნელი მონაცემებით, ევროპაში 14.5 მლნ ადამიანი, დაახლოებით სამუშაო ძალის 6.5% დასაქმებულია სოციალურ ეკონომიკაში. აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია ევროპის ძველ წევრებში, როგორცაა შვედეთი, ბელგია, იტალია, საფრანგეთი და ჰოლანდია და დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი აღნიშნულ სექტორში მერყეობს 9% -11%-ს შორის (მონზონ, 2012:46)¹. ჰარვარდის სკოლის ეკონომისტი მაიკლ პორტერი სოციალურ მეწარმეობას აღწერს როგორც ეკონომიკური სისტემის ცვლილების მამოძრავებელ ძალას (კატალიზატორს) იმ მიმართულებით, რომელიც განაპირობებს სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებას². საინტერესოა უცხოური ქვეყნების ჩატარებული კვლევების გამოცდილება და ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალური საწარმოების როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

განვიხილოთ 2014 წელს სერბეთში ჩატარებული კვლევა, რომელიც მოიცავდა 1785 სოციალურ საწარმოს. კვლევის მიზანი - კორელაციის დადგენას სოციალური საწარმოებსა და ქვეყნის ეროვნულ ერთეულებს (მთლიანი დამატებული ღირებულება) შორის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ, რომელიც სხვაობაა წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულებათა ჯამის (გამომშვების) სხვაობაა და წარმოების პროცესში სრულად გამოყენებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებების ჯამია, შეადგინა 65 მლნ დოლარი, რაც უტოლდებოდა სერბეთის რესპუბლიკის მთლიანი შიგა პროდუქტის 0.2%-ს.

დიდ ბრიტანეთში, 2014 წელს ჩატარდა სოციალური საწარმოების კვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ:

- სულ რეგისტრირებულია 180,000 მცირე და საშუალო ზომის სოციალური საწარმო, რაც წარმოადგენს რეგისტრირებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების 15%-ს;

¹ http://webrzs.stat.gov.rs/WebSite/userFiles/file/Aktuelnosti/Social%20enterprises_eng.pdf .

² Michaela Driver, 2012, [An Interview With Michael Porter: Social Entrepreneurship and the transformation of Capitalism](#). Academy of Management Learning & Education, 2012, Vol. 11, No. 3, 421-431.

- სექტორში დასაქმებულია 2 მლნ ადამიანი, მათ შორის ნახევარი მლნ ინდემწარმეა;
- სოციალური საწარმოების წლიური შემოსავალი შეადგენს 163 მლრდ ფუნტ სტერლინგს და მათ მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება ეკონომიკაში უტოლდება 55 მლრდ ფუნტ სტერლინგს.¹

2014 წელს აშშ-ში ჩატარდა კვლევა, რომელმაც შეაჯამა სოციალური საწარმოების მიერ შექმნილი ეკონომიკური ღირებულება. შედეგები ასე გამოიყურება:

- სოციალურ საწარმოების მიერ ყოველი დახარჯული 100000 დოლარი ქმნის 223000 დოლარის ღირებულების სარგებელს საზოგადოებისათვის;
- გადასახადის გადამხდელები ყოველ დახარჯულ 100000 დოლარის სანაცვლოდ იღებენ 131000 დოლარის ექვივალენტ სარგებელს, რომელიც გამოიხატება შემცირებულ კრიმინალსა და მთავრობის ტრანსფერებში.²

ესპანეთში 51500 სოციალური საწარმო ფუნქციონირებს, სადაც დაახლოებით 2.4 მლნ ადამიანია დასაქმებული, რაც ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 25%-ია. 2010 წლის მონაცემებით სოციალური ეკონომიკის საწარმოების მაჩვენებლებია: მშპ-ის 7% და ჯამური ბრუნვა დაახლოებით 87 მლრდ ევრო. ესპანეთის და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოციალური ეკონომიკის საწარმოა მონდრაგონი (მონდრაგონ ჩოოპერატიონ ჩოოპერატივა), რომელიც შემოსავლის მომტან საქმიანობებს 1956 წლიდან ახორციელებს, 22,3 მლრდ-ის აქტივები გააჩნია და მასში დაახლოებით 83 600 ადამიანია დასაქმებული.

ზემოაღნიშნული ასახავს კონკრეტულ მაგალითებს, თუ რა მასშტაბითაა განვითარებული სოციალური მეწარმეობა თითოეულ ქვეყანაში და რა როლს ასრულებს იგი ეკონომიკის განვითარებაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ტიპის სოციალური საწარმოები გვხვდება, მაგალითად **უშუალო დამსაქმებელი** (თავისი ფორმით სოციალური საწარმო შეიძლება იყოს უშუალოდ დამსაქმებელი და მისი ფუნქციაც როგორც სოციალური საწარმო, ამ შემთხვევაში არის მარგინალური ჯგუფების დასაქმება), **მარგინალური მოსახლეობის ჯგუფების წარმოებული პროდუქციის მომხმარებელი** (არიან სოციალური საწარმოები, რომლებიც თავის თავს ხედავენ როგორც მარგინალური ჯგუფების მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებლად. ამით ისინი ეხმარებიან ამგვარ ჯგუფებს წარმოებული პროდუქციის გასაღებაში), **დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის პროდუქციის/სერვისის გამყიდველი** (სოციალური საწარმოები ეხმარებიან დაბალშემოსავლიან მოსახლეობასა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებლამდე სათანადო ფორმით მიტანაში), **დამხმარე ორგანიზაცია** (მალიან ხშირად საზოგადოებრივი ორგანიზაციები აფუძნებენ დამხმარე ორგანიზაციას ან საწარმოს, რომლის სამართლებრივი ფორმაც შესაძლებელია იყოს ნებისმიერი, რაც იმ ქვეყნის, სადაც ეს ორგანიზაცია ფუნქციონირებს, კანონმდებლობის ფარგლებში თავსდება და ამ დამხმარე ორგანიზაციის საშუალებით აწარმოებს საკუთარ, ეკონომიკურ საქმიანობას, ხოლო მიღებულ მოგებას მოახმარს ორგანიზაციის ძირითად მიზნებს), **ორგანიზაციაში დამხმარე საქმიანობა** (შესაძლებელია საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ შიგნით აწარმოოს რაიმე სახის ეკონომიკური საქმიანობა, რომლის უპირველესი


¹ <https://www.gov.uk/government/publications/g8-factsheet-social-investment-and-social-enterprise/g8-factsheet-social-investment-and-social-enterprise>.

² <http://www.trustedemploymentsolutions.org/2015/02/09/social-enterprises-positive-economic-impact>.

მიზანი იქნება ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა და მისი დამოუკიდებლობა. ამ შემთხვევაშიც, მიღებული მოგება მოხმარდება ორგანიზაციის მიზნებსა და მისიას). ილუსტრაციისათვის, ყოველივე ზემოაღნიშნული გამოვსახოთ ნახაზის სახით, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სოციალური საწარმოების როლს განურჩევლად მათი ფორმისა და პოზიციონირებას ქვეყნის ეკონომიკაში.

ნახაზი 1

სოციალური საწარმოების როლი ეკონომიკაში



წყარო: პესტოფუ (1998 & 2005)

სოციალური საწარმოების უმრავლესობა საფუძველს იღებს მესამე სექტორიდან და ისინი ამ ცხრილზე მდებარეობენ ე.წ. გამყოფ ხაზთან. ერთი მხრივ, საწარმოები ორიენტირებული არიან მოგების მაქსიმიზაციაზე და მეორე მხრივ, სოციალური მისიისა და დემოკრატიული ღირებულებებისაკენ მიისწრაფვიან. რა თქმა უნდა, სოციალური საწარმოები ბაზარზე ორიენტირებულეზია, თუმცა, მათთვის უმთავრესი სოციალური მიზანია. ნახაზის ცენტრში გამოსახულ ერთ-ერთ წრეს წარმოადგენს სოციალური საწარმოს ტიპი - კოოპერატივი, რომელიც ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა. მისი წევრები ეწევიან სასოფლო - სამეურნეო საქმიანობას და საერთო ეკონომიკური ინტერესი აერთიანებთ. დღესდღეობით საქართველოში რეგისტრირებულია 3497 კოოპერატივი, რომელიც ამუშავებს 20000 ჰა მიწას. ჯერჯერობით აღნიშნული კოოპერატივები საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ 1 წელია, ამიტომ მათი ეკონომიკური შედეგის შეფასება ნაადრევია.

თუმცა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე ვასკვნით, რომ 2014 წელს კოოპერატივების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება 20000 ლარია.

ამრიგად, სოციალური საწარმოები ეკონომიკური შედეგი გამოიხატება ახალი პროდუქტისა და სერვისის შექმნაში, დასაქმების სტიმულირებაში (ხშირად მოწყვლადი ჯგუფებისათვის), კონკურენტული გარემოს და მეწარმეობის განვითარების წახალისებაში, ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებაში. სასურველია, დაიგეგმოს სიღრმისეული კვლევა, რომელიც უფრო ზუსტად განსაზღვრავს სოციალურის საწარმოების როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გზამკვლევი-სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო - 2014.
2. სოციალური მეწარმეობა საერთაშორისო გამოცდილება ათი ქვეყნის მაგალითზე - სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - 2010.
3. A map of social enterprises and their eco-systems in Europe - European Commission - 2014 .
4. Economic Impact of Social Enterprises in the Republic of Serbia- Statistical Office of the Republic of Serbia – 2014 .http://webzrs.stat.gov.rs/WebSite/userFiles/file/Aktuelnosti/Social%20enterprises_eng.pdf
5. Michaela Driver, 2012, [An Interview With Michael Porter: Social Entrepreneurship and the transformation of Capitalism](#), Academy of Management Learning & Education, 2012.
6. The EMES approach of social enterprise in a comparative perspective - Jacques Defourny Marthe Nyssens WP no. 12/03 -http://www.emes.net/site/wp-content/uploads/EMES-WP-12-03_Defourny-Nyssens.pdf
7. The socio-economic impact of cooperatives and mutual- Institut de recherche et d'éducation pour les coopératives et les mutuelles de l'Université de Sherbrooke
8. Social enterprise: a new model for poverty reduction and employment generation- An Examination of the Concept and Practice in Europe and the Commonwealth of Independent States- UNDP Regional Bureau For Europe and the Commonwealth of Independent States – 2008.
9. Social Enterprises, Economic Self-Sufficiency, and Life Stability – REDF 2011 <http://redf.org/wordpress/wp-content/uploads/2015/02/REDF-MJS-Final-Report-Brief.pdf>.
10. <http://www.thebrokeronline.eu/Articles/Social-enterprises-catalysts-of-economic-transition>.
11. <http://www.csrwire.com/blog/posts/942-creating-local-impact-connecting-social-business-with-economic-development>.
12. https://ccednet-rcdec.ca/sites/ccednet-rcdec.ca/files/ccednet/pdfs/inspiring_innovation-social_enterprise_in_ontario_by_ccednet-pgs.pdf.
13. <http://www.slideshare.net/amitgpt/role-of-entrepreneurship-in-national-economic-development>.
14. <http://www.trustedemploymentsolutions.org/2015/02/09/social-enterprises-positive-economic-impact>.
15. <https://www.gov.uk/government/publications/g8-factsheet-social-investment-and-social-enterprise/g8-factsheet-social-investment-and-social-enterprise>.

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად მსჯელობენ სოციალური მეწარმეობის საკითხებზე, კერძოდ თუ ვინ რას მოიაზრებს ამ ტერმინის უკან და როგორია სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოების წარმატებული მაგალითები. მსოფლიო მასშტაბით 40 მლნ ადამიანია დასაქმებული სოციალური მეწარმეობის სექტორში. ევროკავშირის

ქვეყნებში 2 მლნ-ზე მეტი სოციალური საწარმოა რეგისტრირებული (სულ რეგისტრირებულ ბიზნესთა 10%). უკანასკნელი მონაცემებით, ევროპაში 14.5 მლნ ადამიანი, სამუშაო ძალის დაახლოებით 6.5%, დასაქმებულია სოციალურ ეკონომიკაში. სოციალური საწარმოების ეკონომიკური შედეგი გამოიხატება ახალი პროდუქტისა და სერვისის შექმნაში; დასაქმების სტიმულირებაში (ხშირად მოწყვლადი ჯგუფებისათვის); კონკურენტულ გარემოსა და მეწარმეობის განვითარების წახალისებასა და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებაში.

საგადასახადო პოლიტიკის გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე საქართველოში

ანა გოგოლაძე

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობა შეზღუდულია. კონკურენტული კაპიტალისტური ეკონომიკა უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ამდენად ის არ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან სხვა სახის რეგულირებას და ხშირად სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი ჩარევა შესაძლებელია უკუეფექტის მომტანი იყოს. ამასთან, ვინაიდან ბაზარი არ არის სრულად თვითრეგულირებადი სისტემა, სახელმწიფოს „ბაზრის ფიასკოს“ აღმოფხვრის ფუნქცია აკისრია.¹

ხელისუფლების რამდენიმე მნიშვნელოვანი ბერკეტიდან, უმთავრესი ინსტრუმენტი, რომლითაც ხდება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედება, არის ბიუჯეტი. ბიუჯეტი არის გეგმა, რომელიც ასახავს მოსალოდნელ შედეგებს და გასანაწილებელ რესურსებს რაოდენობრივი ფორმით². ბიუჯეტი ორი ნაწილისაგან – შემოსავლებისა და ხარჯებისაგან შედგება. მისი ორივე ნაწილი აქტიურად ზემოქმედებს ეკონომიკაზე. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, როგორც წესი, საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები აყალიბებს (იხ. ცხრილი 1).

სახელმწიფო, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების დაწესებით, ახორციელებს ხაზინაში შემოსავლების მობილიზებას, რათა გადაჭრას მის წინაშე არსებული ამოცანები. ამრიგად, საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან მიმართულია საკუთარი ფუნქციების შესრულების მატერიალური უზრუნველყოფისკენ. ხელისუფლების უპირველესი ამოცანაა გადაწყვიტოს დაბეგვრის როგორი

¹ ნ. ხადური, მაკროეკონომიკური პოლიტიკა (ლექციების კურსი), ლექცია 3, თბ., 2012.

² გ. შუბლაძე, ბ. მდებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, მენეჯმენტის საფუძვლები (სახელმძღვ. უმაღლ. სასწ. სტუდ.), თბ.: უნივერსალი, 2008. გვ. 288.

წესი, როგორი განაკვეთი იქნება მაღალეფექტიანი წარმოებისა და ზოგადად ეკონომიკის გაჯანსაღებისა და განვითარებისათვის.

ცხრილი 1

საქართველოში 2004-2014 წლებში სახელმწიფო შემოსავლების და მათ შორის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა (მლნ ლარი)

წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014*
სულ შემოსავლები	1,732	2,213	3,293	4,293	5,517	4,917	5,421	6,388	7,058	6,839	7,434
საგადასახადო შემოსავალი	0,975	1,407	2,130	3,010	4,561	4,161	4,592	5,801	6,311	6,287	6,846
საგადასახადო შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში	56,3%	63,6%	64,7%	70,1%	82,7%	84,6%	84,7%	90,8%	89,4%	91,9%	92,1%

*გეგმური მაჩვენებელი

თეორიულად და პრაქტიკულად გააზრებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ გადასახადებსა და საგადასახადო სისტემამ ეროვნულ ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს, აღმოფხვრას ნეგატიური შედეგები. აუცილებელია გადასახადების მეშვეობით მოხდეს ინვესტიციებისა და ექსპორტის წახალისება, სამამულო წარმოების საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა საწარმოო დანახარჯების შემცირებით და რეინვესტირების ხელშეწყობით. ამისათვის, აუცილებელია ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და შენარჩუნება, საგადასახადო ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესება, საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტურად განხორციელება.¹

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მეწარმეობის განვითარებაა, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველია. საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. აღნიშნული სექტორის განვითარება საშუალო ფენის ფორმირებას, პოლიტიკური სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორი და მოქნილი საგადასახადო პოლიტიკაა.

საგადასახადო სამართალი სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთათვის ხელშემწყობი სამართლებრივი გარემოს ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. ასეთი გარემოს ჩამოყალიბებისთვის კი აუცილებელია, ქართული საგადასახადო სამართალი სამართლიან, ცხადად

¹ იმედაშვილი გ., საგადასახადო საქმე, თბ., 2010, გვ., 5-6.

და ადვილად აღსაქმელ პირობებს სთავაზობდეს გადასახადის გადამხდელებს¹. საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაეყარა 1991-1992 წლებში, როდესაც ქვეყანამ ჯერ მიიღო ბრუნვის და გაყიდვებიდან გადასახადები, ხოლო შემდგომ დღე (დამატებული ღირებულების გადასახადი) და აქციზი. აღნიშნული პერიოდის შემდგომ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ და სისტემამ რამდენჯერმე განიცადა არსებითი ცვლილება.

საქართველოში მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის დახვეწისა და სრულყოფის პროცესი. საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2005 წელს შეტანილმა ცვლილებებმა მთლიანად შეცვალა ქვეყნის ფისკალური ლანდშაფტი. ახალი სისტემა ისეთი დაბალი დაბეგვრის დონით ხასიათდება, რითაც საქართველო მსოფლიო რეიტინგში მე-4 ადგილზეა². დროთა განმავლობაში რამდენიმე ცვლილებისა და დამატების მიღების შემდეგ საგადასახადო კოდექსი დღევანდელი ფორმით შემდეგ გადასახადებს და საგადასახადო განაკვეთებს აწესებს:

- საშემოსავლო გადასახადი – 20%;
- მოგების გადასახადი – 15%;
- დამატებული ღირებულების გადასახადი – 18%;
- აქციზი – განაკვეთი მერყევა;
- იმპორტის გადასახადი – 0%, 5% ან 12%;
- ქონების გადასახადი – ქონების თვითღირებულების 1%.

აღნიშნული გადასახადებიდან პირველი ხუთი მიეკუთვნება საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს. ისინი დაწესებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით და მათი გადახდა სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ხოლო რაც შეეხება მეექვსე - ქონების გადასახადს, იგი ადგილობრივი გადასახადია და მის შემოღებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი განაკვეთების ფარგლებში. მისი გადახდა სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.³

2005 წლის შემდეგ საგადასახადო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები და საგადასახადო განაკვეთების საკმაოდ ფართომასშტაბიანი შემცირება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სამქიმიანი მიდგომის ერთ-ერთი კომპონენტია. დანარჩენი ორი კომპონენტი გადამხდელთა ბაზის გაზრდასა და საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების გაუმჯობესებას გულისხმობს. რესტრუქტურირაციამ, კადრების გადამზადებამ და ინოვაციების დანერგვამ (მაგალითად, გადასახადების ელექტრონულად გადახდამ), საგადასახადო ორგანოების ერთ კალაპოტში მოქცევას და მათი ეფექტიანობის გაზრდას შეუწყო ხელი. თავის მხრივ, ამან გადასახადის გადამხდელებს ცხოვრება მნიშვნელოვნად გაუმარტივა. გადასახადების გადახდის მარტივმა წესმა (ამ მხრივ საქართველო მსოფლიოში 38-ე ადგილზეა⁴) და მომხიბვლელად დაბალმა საგადასახადო განაკვეთებმა გააადვილა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ

¹ ნადარია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2012, გვ. 11.

² საგადასახადო სიდუხჭირისა და რეფორმების 2009 წლის ინდექსი, ჟურნალი „ფორბსი“, 2009 წლის 13 აპრილი, www.forbes.com/global/2009/0413/034-tax-misery-reform-index.html.


³ შემოსავლების სამსახური, <http://www.rs.ge/4771>.

⁴ გადასახადების გადახდა 2015, გლობალური სურათი, მსოფლო ბანკი. <http://www.doingbusiness.org/reports/thematic-reports/paying-taxes>

შემოთავაზებული საფინანსო პოლიტიკის ტრიუმვირატის მესამე ასპექტის განხორციელება, რომელიც გადამხდელთა ბაზის გაზრდას გულისხმობდა.

მსოფლიოში არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, უცხოელი ინვესტორების ყურადღებას უმთავრესად მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა იპყრობს. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სტაბილურობას, ღია და კონკურენტუნარიანი ბაზრების ჩამოყალიბებას. საერთო ეკონომიკური რეფორმების ფონზე პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყანაში ინვესტიციების ხელშეწყობა და ამისათვის, საჭირო ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ამ მხრივ, საქართველოში გადაიდგა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები. კერძოდ: საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, ჩვენი ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია ევროპაში¹. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნადაა შემცირებული როგორც გადასახადების რაოდენობა (21-დან 6-მდე), ასევე საგადასახადო განაკვეთები.

**საგადასახადო შემოსავლების დინამიკა საქართველოში
2004-2014 წლებში (მლნ. ლარი).**



2007 წელს გაერთიანდა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციები და შეიქმნა შემოსავლების სამსახური, რომელიც ახორციელებს ამ ორი სამსახურის უფლებამოსილებას. აღნიშნულმა ინსტიტუციურმა რეფორმამ არა მხოლოდ დაზოგა ადმინისტრაციული რესურსები, არამედ დააჩქარა გარდაქმნის პროცესები და ჰარმონიზაცია. 2011 წლიდან ძალაშია ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც გააერთიანა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები.

აღსანიშნავია რეფორმები, რომლებიც ლიბერალური საგარეო ვაჭრობის განვითარებისთვის განხორციელდა. კერძოდ, 2007 წლამდე იმპორტი იბეგრებოდა 16 სხვადასხვა ტარიფით 0%-დან 30%-მდე განაკვეთით, დღეისათვის მოქმედებს 3 სატარიფო განაკვეთი 12%, 5% და 0%; ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმპორტირებული საქონლის 80% ნულოვანი ტარიფით იბეგრება. 2005 წლამდე იმპორტის პროცედურისათვის აუცილებელი იყო 54 დოკუმენტი, რაც იწვევდა მრავალ სიძნელეს იმპორტიორისათვის და კორუფციულ გარემოს ქმნიდა, 2009 წლიდან დღემდე იმპორტის პროცედურისათვის საჭიროა მხოლოდ 2 დოკუმენტი. აღნიშვნის ღირსია TAX FREE მომსახურება, რომელიც გულისხმობს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის

¹ ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 37.

თანხის დაბრუნებას განსაზღვრულ ვადაში ქვეყნის დატოვების შემდეგ. ეს მომსახურება ამოქმედდა 2011 წლიდან და მისი მიზანია ქართული ბაზრის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და სტიმულირება. მან მალევე მოიპოვა გამოხმაურება კერძო სექტორის მხრიდან და ამჟამად მრავალ მაღაზიაშია შესაძლებელი TAX FREE მომსახურების მიღება. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოში შეძენილ საქონელზე დღგ-ის თანხა უბრუნდებათ.

2010 წელს კერძო სექტორისათვის შეთავაზებულ იქნა დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს, რომ იმპორტიორს, რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით დეკლარირებული და ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის თანხა გადააჭარბებს 200 000 ლარს, უფლება აქვს გადავიდეს იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალურ წესზე. სპეციალური რეჟიმი, იმპორტიორს აძლევს შეღავათით სარგებლობის უფლებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იმპორტიორი დღგ-ის თანხას იხდის არა იმპორტის განხორციელებისას, არამედ მაშინ, როდესაც მოახდენს იმპორტირებული საქონლის მიწოდებას. აღნიშნული სპეციალური წესი შემოიღეს კერძო სექტორის ხელშეწყობის მიზნით, რაც სახელმწიფოს მხრიდან იმპორტიორისათვის გაწეულ უპროცენტო კრედიტად უნდა იქნეს განხილული - იმპორტის მომენტიდან საქონლის მიწოდებამდე პერიოდისათვის და რაც ასევე, სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორში განხორციელებული ინვესტიციის ტოლფასია.

საგადასახადო სისტემის ფორმირების პროცესში ახალმა საგადასახადო კოდექსმა მკაფიოდ განსაზღვრა მიკრო და მცირე ბიზნესის დეფინიციები და დაადგინა შეღავათიანი და მარტივად ადმინისტრირებადი გადასახადის განაკვეთები მცირე ბიზნესისათვის (ბრუნვის 3% ან 5% -ით დაბეგვრა). მიკრო-ბიზნესი გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან. ასევე მათ არ აქვთ საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება. ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია აწარმოოს გამარტივებული ბუღალტერია. მიკრომეწარმე, რომლის წლიური ბრუნვა 30 ათას ლარს არ აღემატება, გათავისუფლებულია გადასახადებისგან, მაგრამ იგი არ უნდა იყენებდეს დაქირავებულ შრომას. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წახალისებულია ის ბიზნესი, რომელიც სამუშაო ადგილებს ქმნის. ამ შემთხვევაში კი, ხელი ეწყობა იმ ბიზნესს, რომელიც სამუშაო ადგილებს არ ქმნის და მეწარმე წარმოგვიდგება როგორც ერთადერთი თვითდასაქმებული. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა წახალისების მიზნით ახალი საგადასახადო კოდექსით 100000 დან 200000 ლარამდე გაიზარდა საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე პირველადი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავლების ზღვარი, რომლის პირობებშიც გადამხდელი გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან (ფიზიკური პირების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადისაგან).¹

ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტს ბიზნესმენებმა პირველი მოსმენით „რეგულაციური“ უწოდეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობისათვის გაწეული შეღავათებით ბიუჯეტს რაც დააკლდება, მსხვილმა ბიზნესმა უნდა აანაზღაუროს. ასეთებად ის ბიზნესები ითვლება, რომლებიც „ზემოგებაზე“ მუშაობენ. კერძოდ, მობილური კომპანიები, სპორტიანი სასმელების ბიზნესი, სამედიცინო აპარატურის იმპორტიორები და ასევე უმაღლესი სასწავლებლები. თუმცა ბოლო ორი მათგანი ამ ეტაპზე დღგ-თი არ

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახურის რეფორმები, 2011.

დაიბეგრება. გაიზრდება აქციზის გადასახადი როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე, ისე შავი და ფერადი ლითონების ჯართზე. აქციზის გადასახადის გაორმაგება განსაკუთრებით სპირტიანი სასმელების ადგილობრივ მეწარმეთა მდგომარეობას გააუარესებს, რადგან აღნიშნული პროდუქციის იმპორტიორებს საბაჟო გადასახადს უმცირებენ. მეწარმეთა აზრით, აქციზის ზრდის გამო მათ დღგ-ის სახითაც მეტი თანხის გადახდა მოუწევთ, ამიტომ პროდუქციის თვითღირებულება თითქმის სამჯერ გაეზრდებათ. შესაბამისად, 50-70%-ით გაიზრდება სპირტიანი სასმელების საცალო ფასი.

ახალი საგადასახადო კოდექსით საგადასახადო ტვირთი საშუალო ბიზნესსაც ეზრდება. საშუალო ბიზნესი, რომლის წლიური ბრუნვა 200 ათასს ლარზე მეტია, საქონლის მცირე მეწარმეებისგან შესყიდვის დროს დღგ-ს ვერ ჩაითვლის. მას ხარჯი გაეზრდება და 18%-ის ნაცვლად დღგ-ის განაკვეთი ფაქტობრივად 36%-მდე გაეზრდება. ამით მცირე ბიზნესს მოესპობა მოტივაცია გაიზარდოს და საშუალო ბიზნესად იქცეს.¹

რეფორმების განხორციელების პროცესში დაინერგა „კეთილსინდისიერების პრინციპი“ („პატიოსნება/Good Faith), რომელიც ითვალისწინებს სანქციისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, როცა გადასახადის გადამხდელის ქმედება გამოწვეულია შეცდომით/არცოდნით და მიზნად არ ისახავს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას. პატიოსანი გადასახადის გადამხდელის წახალისება მოტივაციას უქმნის კანონმორჩილ გადასახადის გადამხდელი იყოს და სთავაზობს სხვადასხვა დამატებითი მომსახურებითა თუ შეღავათებით სარგებლობას.²

წინადადებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 2011 წლიდან საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის ამოქმედება. მისი მეშვეობით ხორციელდება ურთიერთობა მეწარმეებსა და სახელმწიფოს შორის. საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადების გადამხდელთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ მას გაუჭირდება იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელსაც ახალი კოდექსი წარმოშობს. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიკრობიზნესად დარეგისტრირებული პიროვნება გადასახადებისგან თავისუფლდება, ხოლო მასზე ნაკლები შემოსვლის მქონდე მოქალაქე 20%-იან საშემოსავლო გადასახადს იხდის.

ძალზე საინტერესოა თავად მეწარმეთა აზრი საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებით. კითხვაზე თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას საქართველოში მეწარმეობის განვითარების შეფერხებაზე, 15% დაასახელა მაღალი საგადასახადო განაკვეთები. ხოლო კითხვაზე თუ რა გავლენას ახდენს არსებული საგადასახადო სისტემა მეწარმეობის განვითარებაზე, პასუხები ასე გადანაწილდა:

- მდგომარეობა უცვლელია - 18%;
- ზღუდავს ბიზნესის განვითარებას - 32%;
- ასტიმულირებს ბიზნესის განვითარებას - 10%;
- არსებული სისტემა შედარებით ახალია და თავს იკავებენ შეფასებისგან - 38%;

¹ ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013, გვ. 41.

² საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შეოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული რეფორმები, 2011.

➤ სხვა პასუხი - 2%.¹

გამოკითხვების შედეგებმა ცხადყო, რომ მეწარმეთა უდიდესი ნაწილის აზრით, რეფორმირებულმა საგადასახადო სისტემამ არსებითად ვერ შეცვალა არსებული მდგომარეობა. ხელისშემშლელი ფაქტორებიდან მეწარმეები ასახელებენ ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობას, ქვეყნის არასტაბილურობას, მმართველი და მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან ბიზნესში ზედმეტად ჩარევას, გადასახადების სიდიდეს და სხვ. საგადასახადო სისტემის არსებით ნაკლოვანებად მეწარმეები თვლიან მის არასტაბილურობასა და არარეგულირებადობას. კანონში ძალიან ხშირია შესწორება ფინანსური წლის განმავლობაში, რაც გაუგებრობების მიზეზი ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბ., 2012.
2. ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.
3. იმედაშვილი გ., საგადასახადო საქმე, თბ., 2010.
4. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წიგნოვანი ფ., მენეჯმენტის საფუძვლები (სახელმძღვ. უმაღლ. სასწ. სტუდ.), თბ.: უნივერსალი, 2008.
5. ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2012.
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2012.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული რეფორმები, 2011.
8. ხადური ნ., მაკროეკონომიკური პოლიტიკა (ლექციების კურსი), ლექცია 3, თბ., 2012;
9. ყუფარიძე გ., საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, თბ., 2013.
10. <http://www.doingbusiness.org/reports/thematic-reports/paying-taxes>;
11. გადასახადების გადახდა 2015, გლობალური სურათი, მსოფლიო ბანკი.
12. www.forbes.com/global/2009/0413/034-tax-misery-reform-index.html;
13. საგადასახადო სიდუხჭირისა და რეფორმების 2009 წლის ინდექსი, ჟურნალი „ფორბსი“, 2009 წლის 13 აპრილი.
14. www.mof.ge, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
15. www.rs.ge, შემოსავლების სამსახური.
16. www.geostaat.ge, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

რეზიუმე

წარმოდგენილი და არარეალურია ისეთი საგადასახადო სისტემის არსებობა, რომლითაც კმაყოფილი იქნება თითოეული მეწარმე. გამომდინარე გადასახადის იძულებითი ბუნებიდან, მეწარმეები ყოველთვის მიისწრაფიან იმისკენ, რომ გადაიხადონ რაც შეიძლება მინიმალური გადასახადი მინიმალური განაკვეთებით. თუმცა, მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადასახადები სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების

¹ ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.

შესრულებისათვის აუცილებელი შემოსავლების უმნიშვნელოვანესი წყაროა. არასწორად განხორციელებულმა საგადასახადო პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს მეწარმეობისა და შრომითი სტიმულების შემცირება, ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდა, სახელმწიფო შემოსავლების შემცირება და სხვა ბევრი ნეგატიური შედეგი. ასე რომ, საგადასახადო პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ისეთი ოქროს შუალედით, რომ გადასახადებმა არ შეამციროს შრომითი და სამეწარმეო სტიმულები და, ამავდროულად, ის იქცეს სახელმწიფოსთვის შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის გზები

მარიამ დარჯანია

ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **მიხეილ ჩიკვილაძე**

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მხოლოდ გამართული საგადასახადო სისტემის ფორმირების პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, წარმოების განვითარება და ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

საგადასახადო სისტემის სრულყოფა ყოველთვის დარჩება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკვანძო საკითხად. გადასახადების ოდენობის, მისი სახეების განსაზღვრა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სამართლიანობისა და ეფექტურობის გათვალისწინებით, ყველა დროის ცნობილ მოაზროვნეთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა.

წინამდებარე კვლევის მიზანია საგადასახადო პოლიტიკის გაანალიზება, რომელიც ადვილად შეეწყობა ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციას და დროის კონკრეტულ მომენტში ქვეყნის ეკონომიკური მიზნების გათვალისწინებით მეტ ეკონომიკურ ეფექტს მივიღებთ.

კვლევის მასალებიდან ჩანს, რომ ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა, რაც სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებსა თუ ბიზნესის წარმომადგენლებს შორის მუდმივი დავისა და განხილვის საგანია.

საგადასახადო სისტემის მეშვეობით, ერთი მხრივ, უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის ძირითადი ნაწილის ფორმირება, ხოლო, მეორე მხრივ, საგადასახადო სისტემამ სტიმული უნდა მისცეს სამეწარმეო აქტივობასა და ინვესტიციების მოზიდვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მთავარ საგნად ჩავთვალო საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შესწავლა და ამის გამო საგადასახადო შემოსავლების შემცირების ტენდენციების ანალიზი; წარმოვადგინე საგადასახადო

განაკვეთების შემოღებისა და ცვლილებების აუცილებლობის არგუმენტებისა და მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი პრობლემების დაძლევის ჩემბური ხედვა.

გადასახადების წარმოშობა და მათი თეორიული საფუძვლები. გადასახადების წარმოშობას უძველესი ისტორია აქვს და ცნება „გადასახადი“ თავისი ფესვებით საუკუნეების სიღრმიდან მოდის. გადასახადები ჯერ კიდევ საზოგადოებრივი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შემოიღეს, როგორც კი მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება გაჩნდა. კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის ეტაპზე ფილოსოფოსები გადასახადებს განმარტავდნენ როგორც საზოგადოებისათვის აუცილებელ და სასარგებლო მოვლენას. თავდაპირველად გადასახადები მოსახლეობიდან იკრიბებოდა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში, ხოლო შემდგომ - სახელმწიფო ჯარისა და მუდმივად მზარდი ჩინოვნიკური აპარატის შენახვის აუცილებლობამ მოითხოვა ფულადი საშუალებების უწყვეტი ნაკადი, რომლის შედეგადაც გადასახადები დროებითიდან სახელმწიფო შემოსავლების მიღების მუდმივ წყაროდ გადაიქცა. საგადასახადო სისტემა კი შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო.

სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალდაკვალ შემოიღეს ცალკეული გავლენიანი პირების (მთავრების) სასარგებლო გადასახადები. ასეთი პრაქტიკა ასეული წლების განმავლობაში არსებობდა ძველ ეგვიპტესა და შუა საუკუნეების ევროპაში.

გადასახადების შემოღებამ სახელმწიფოებს საშუალება მისცა სახსრები მიემართათ დაქირავებული არმიის შესანახად, ქვეყნის დედაქალაქის ირგვლივ ციხე-სიმაგრეების, ეკლესიების, წყალგაყვანილობის, გზების და სხვა დამხმარე სისტემების ასაშენებლად, დღესასწაულების მოსაწყობად, ღარიბთა და უძმეოთათვის პროდუქტების დასარიგებლად.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადები დაწესებული იყო უძველესი დროიდან, მისი ოდენობა და მთლიანად საგადასახადო სისტემა, ხშირ შემთხვევაში, იმ დროს არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს არ შეესაბამებოდა. სახელმწიფოებს არ გააჩნდათ გადასახადების აკრეფის ადმინისტრირების ჩამოყალიბებული მექანიზმები. გადასახადებს კრეფდნენ სპეციალურად მოწვეული სახელმწიფო მოსამსახურეები ან რიგითი მოქალაქეები, რომელთაც არ გააჩნდათ შესაბამისი კვალიფიკაცია.

სახელმწიფოები ხშირად აწესებდნენ ისეთ გაუმართლებელ გადასახადებს, რომლებსაც უარყოფითი შედეგი მოჰქონდა როგორც მოსახლეობისათვის, ასევე სახელმწიფოსათვის. ამის მაგალითია მე-17 საუკუნეში დიდ ბრიტანეთში დაწესებული გადასახადი ბინის ფანჯრებზე, რამაც აიძულა მოსახლეობა, მაქსიმალურად შეემცირებინათ ფანჯრების რაოდენობა და დაეზნელებინათ თავიანთი საცხოვრებლები.

მოგვიანებით საფუძველი ჩაეყარა გადასახადების დაწესებისა და აკრეფის სახელმწიფო სისტემას, ჩამოყალიბდა გადასახადების ახალი თეორიები. ამ პერიოდის ცნობილი ფილოსოფოსი და რელიგიური მოღვაწე თომა აქვინელი (1225-1274) გადასახადებს განმარტავდა, როგორც „ქვეყნის ნებადართულ მარცვას“.

საგადასახადო დაბეგვრის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელს ადამ სმიტს (1723 - 1790 წ.წ.) 1776 წელს გამოცემულ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხის სიმდიდრისა, ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, ჩამოყალიბებულია საგადასახადო პოლიტიკის თეორიული საფუძვლები და საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები.

XIX და XX საუკუნეების გასაყარზე მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ეკონომისტმა **ჯონ მენარდ კეინსმა** წამოაყენა „ეფექტური მოთხოვნის“ თეორია და დაასაბუთა, რომ გადასახადები ეკონომიკურთან ერთად, სოციალური ურთიერთობების რეგულირების მძლავრი ინსტრუმენტია და მისი მთავარი ამოცანაა მაკროეკონომიკური წონასწორობის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. კეინსის მთავარი დამსახურება მდგომარეობს შემდეგი დებულების წამოყენებასა და დასაბუთებაში: „რაც მაღალია ეროვნული შემოსავლის მოცულობა, მით უფრო მეტი გადასახადი უნდა აიკრიფოს და პირიქით“. გარდა ამისა, კეინსმა მის მიერ შემუშავებული ე. წ. „ჩასმული სტაბილიზატორის“ თეორიის თანახმად დაასაბუთა, რომ, რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო არასტაბილური და მერყევი საგადასახადო ბაზა. მანვე დაამტკიცა, რომ გადასახადების შემცირება ასტიმულირებს შემოსავლების ზრდას და, შესაბამისად, მატულობს მოხმარება და, საბოლოო ჯამში, იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის ფაქტორს წარმოადგენს.

კეინსის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენაა გადასახადების „ფსიქოლოგიური კანონი“, რომლის თანახმად სამეურნეო ერთეულს მიდრეკილება აქვს შემოსავლის ზრდის პარარელურად გაზარდოს მოხმარება, მაგრამ შედარებით ნაკლები მასშტაბით, ვიდრე შემოსავლები იზრდება. ეს, თავის მხრივ, იწვევს დაზოგვის (დაგროვების) გადიდებას, ხოლო ამ უკანასკნელის შესამცირებლად საჭიროა საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთების დაწესება, რის შედეგადაც გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, შესაბამისად, მეტი თანხა წარიმართება ინვენსტირებისათვის, შემცირდება უმუშევრობის დონე და სტიმული მიეცემა ეკონომიკურ აღორძინებასა და განვითარებას.

საგადასახადო პოლიტიკა და მისი შეფასების კრიტერიუმები. გადასახადები წარმოადგენს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შემოსავლების ძირითად წყაროს. იგი ემსახურება ქვეყნის სახელმწიფო ფინანსების-საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების ფორმირებას და გამოყენებას. ქვეყნის საფინანსო პოლიტიკა თავისთავში მოიცავს საგადასახადო პოლიტიკას. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა დაფუძნებულია ყველა დონის ბიუჯეტების ურთიერთქმედებაზე, რაც ხორციელდება საშემოსავლო წყაროების რეგულირებით, გადანაწილებით და რეალიზდება ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.

საგადასახადო პოლიტიკა-ესაა გადასახადების ასაკრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ტარდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, წარმოების მოცულობისა და მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით.

საგადასახადო პოლიტიკის რეალიზება წარმოებს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღების საფუძველზე, რომელიც ადგენს ქვეყანაში ასაკრეფი გადასახადის სახეებს, საგადასახადო შეღავათებს, გადამხდელთა პასუხისმგებლობას, გადასახადების განაწილებას ბიუჯეტის დონეებს შორის.

სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის ამოცანებია:

1. სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;
2. ქვეყანაში სამეურნეო რეგულირებისათვის პირობების შექმნა;
3. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის შემოსავლების დონის უთანაბრობის აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

საგადასახადო პოლიტიკის მიზანია შეიმუშაონ და მიიღონ მმართველობითი გადაწყვეტილებები საგადასახადო დაბეგვრის სფეროში.

სახელმწიფო სექტორში ფინანსურ ურთიერთობათა სრულყოფა და განვითარება შეუძლებელია ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შემუშავების გარეშე. საგადასახადო სისტემების შეფასების კრიტერიუმებზე მეცნიერ - ეკონომისტთა შორის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. მაგალითად, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის ცნობილია საგადასახადო სისტემის 5 ძირითადი კრიტერიუმი:

1. **ეკონომიკური ეფექტიანობა.** საგადასახადო სისტემა წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს რესურსების ეფექტიან განაწილებასთან;
2. **ადმინისტრაციული სიმარტივე.** ადმინისტრაციული სისტემა უნდა იყოს მარტივი და გამოსაყენებლად შედარებით იაფი;
3. **მოქნილობა.** შეეძლოს ცვალებად ეკონომიკურ პირობებზე სწრაფი რეაგირება;
4. **პოლიტიკური პასუხისმგებლობა.** საგადასახადო სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ადამიანებს სჯეროდეთ, რომ ისინი იხდიან იმიტომ, რომ პოლიტიკურ სისტემას შეეძლოს ზუსტად გამოხატოს მათი უპირატესობა;
5. **სამართლიანობა.** საგადასახადო სისტემა სამართლიანი უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრის მიმართ.

საქართველოს საგადასახადო სისტემის გადასახადების სტრუქტურა. საქართველოს საგადასახადო სისტემის გადასახადების სტრუქტურა საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების დღიდან გამუდმებით განიცდიდა ცვლილებებს და თვისობრივად ახლებურად ყალიბდებოდა. საზოგადოდ ცნობილია, რომ რაციონალური საგადასახადო სისტემის ფორმულირების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის, განსაკუთრებით კი მეწარმეთათვის, მარტივი, გასაგები და მისაღები უნდა იყოს. არ შეიძლება უგულებელყოფა იმისა, რომ გადასახადები განსაკუთრებული მნიშვნელობის ბერკეტია და მისი თეორიულ-მეცნიერული არგუმენტების გარეშე, მექანიკური გამოყენებით სუსტდება ფინანსები, ფული და საერთოდ, ეკონომიკა. იგი ხდება წარმოებისა და საბოლოო ანგარიშით კი, ეკონომიკის დამამახრუჭებელი ფაქტორი.

საქართველოს საგადასახადო სისტემა სხვადასხვა სახის გადასახადებს მოიცავს. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს. გადასახადები იყოფა **პირდაპირ და არაპირდაპირ** გადასახადებად. პირდაპირი გადასახადები უშუალოდ შემოსავალზე, ან ქონებაზე (დაბეგვრის პირდაპირი ფორმა) წესდება. არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება ისეთი გადასახადები, რომელიც შედის საქონლის ფასში ან მომსახურების ტარიფებში. საქონლის მფლობელს ბიუჯეტში მისი რეალიზაციიდან მიღებული გადასახადი შეაქვს(დაბეგვრის პირდაპირი ფორმა).

გადასახადები, მათი გამოყენების მიხედვით, შეიძლება დაიყოს: **საერთო და სოციალურ(მიზნობრივ)** გადასახადებად. საერთო გადასახადი წარმოადგენს ზოგად გადასახადს და სახელმწიფო ხაზინაში შედის. სოციალურ (მიზნობრივ) გადასახადებს გარკვეული მიზნობრივი დანიშნულება გააჩნია და სხვადასხვა ბიუჯეტგარეშე ფონდებში ჩაირიცხება.

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არსებითი მნიშვნელობა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობას ენიჭება. იგი განვითარებულ ქვეყნებში

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: აშშ-ში, იაპონიაში, კანადასა და ინგლისში პირდაპირი გადასახადები სჭარბობს, ხოლო საფრანგეთში – არაპირდაპირი, გერმანიასა და იტალიაში ამ მხრივ, არსებული მდგომარეობა შედარებით დაბალანსებულია. ბევრი, ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნის საგადასახადო სტრუქტურაში ასეთი თანაფარდობა ფიქსირდება: გადასახადები შემოსავლიდან და მოგებიდან შეადგენს 37,4%-ს, არაპირდაპირი გადასახადები - 31,3%-ს, სოციალური დაზღვევის ფონდებში შენატანები - 22,2%-ს, სხვადასხვა გადასახადები კი - 9,1%-ს. არსებობს საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი სახის გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, იმპორტის გადასახადი. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები დაწესებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი გადასახადია ქონების გადასახადი. ადგილობრივი გადასახადის შემოღებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი განაკვეთების ფარგლებში, რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

**საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები
2009-2015 (მლნ.ლარი) და პროცენტული წილი მშპ-თან მიმართებით**

2009	4389,9	24,40%
2010	4867,4	23,50%
2011	6134,8	25,20%
2012	6671	25,50%
2013	668	24,70%
2014	7230	24,60%

წყარო: www.mof.ge

საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის გზები. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა და სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის გამართულობასა და სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკაზე. გამომდინარე იქედან, რომ გადასახადები სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკური საფუძველი და ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა, ფისკალურ დანიშნულებასთან ერთად, გადასახადები ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მძლავრ მექანიზმად გამოიყენება. ახდენს რა ერთობლივი შიგა პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის განაწილებას, გადასახადები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს, ასევე ეკონომიკური საქმიანობის ცალკეულ სახეობებს შორის პროპორციებზე,

საზოგადოებრივი კვლავწარმოების სტრუქტურაზე, სოციალურ სფეროზე, კაპიტალის დაგროვების პროცესზე, მოსახლეობის მოხმარებასა და გადახდისუნარიან მოთხოვნილებაზე.

ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკა ხელს შეუწყობს ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ამოცანის წარმატებით განხორციელებას. ეს კი მაშინ მიიღწევა, როდესაც საგადასახადო პოლიტიკა ერთიანი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული ნაწილი გახდება.

საგადასახადო სისტემის სრულყოფა სწორად ჩამოყალიბებული საგადასახადო პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია, რომლის მიზანია: ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და ფინანსური უსაფრთხოების დაცვა; ბიზნესის სტიმულირება, მშპ-ის ზრდა და ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის განვითარება; გადასახადების სტაბილურობა; გადასახადების დადგენისა და ამოღების წესის გამარტივება, სამართლიანობის პრინციპის დაცვა; დაუსაბუთებელი საგადასახადო შეღავათების გაუქმება, ქვეყნის ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრება.

ქვეყნის საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური პროცესების რეგულატორი უნდა იყოს. აუცილებელია უზრუნველყოფით საგადასახადო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების რეალიზება და შეთანაწყობა. ისევ უნდა გაგრძელდეს საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების პროცესი და ჩამოყალიბდეს საგადასახადო სისტემის როგორც ეკონომიკურად მაღალფუნქციური მექანიზმის მიმართ ერთიანი კონცეპტუალური მიდგომა, რომელსაც შეეძლება გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

1. საგადასახადო შემოსავლების სრულად მობილიზება;
2. ეკონომიკაში კონკურენტულ ძალთა აქტივიზაცია;
3. წარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის პროცესების რეგულირება;
4. მეწარმეთა საინვესტიციო აქტივობის რეგულირება;
5. საზოგადოებაში სოციალური სტიმულირების უზრუნველყოფა;
6. წარმოების ეკოლოგიზაცია.

უახლესი საგადასახადო ცვლილებები, რომელიც განხორციელდა საგადასახადო კოდექსში:

- საგადასახადო ხანდაზმულობის ვადა 6 წლიდან 3 წლამდე შემცირდა;
- სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო სფეროში რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება;
- წლიური 6000 ლარამდე შემოსავლის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდნენ;
- მცირე ბიზნესისათვის 5000 ლარამდე საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურირაცია ყოველივე უზრუნველყოფის გარეშე შესაძლებელია;
- საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა ყველა პირი, რომელიც მკურნალობის თანხებს იღებს ნებისმიერი საქველმოქმედო ფონდიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი, თბ., 2009.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ. საგადასახადო საქმე, თბ., თსუ, 2007.

3. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ. გადასახადები და დაბეგვრა, თბ., თსუ, 2011.
4. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2004.
5. ჩანტლაძე ვ., ფინანსური მეცნიერების საფუძვლები, თბ., თსუ, 2004.
6. ჩიკვილაძე მ., საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და მისი სრულყოფის მიმართულებები საბაზრო მეურნეობის პირობებში, თბ., 1999.
7. www.mof.ge.
8. www.geostat.ge.
9. www.parlament.ge.
10. www.rs.ge.
11. <http://www.pmcg-i.com/publications/newsletter/item/612-31-2014>.
12. <http://commersant.ge/old1/?menuid=11&id=16719&lang=1>.
13. <http://forbes.ge/news/380/saqarTvelos-saxelmwifo-biujetis-mimoxilva>.

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს წლიური კანონები.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული აქტები.

რეზიუმე

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას. ამასთან, საქართველოში დღემდე არ არსებობს საგადასახადო პოლიტიკის გატარების მწყობრი კონცეფცია, რის გამოც მუდმივი ცვლილებები, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობაში შედის, ხშირად კონიუნქტურულ ხასიათს ატარებს, რომელიც ქვეყანაში წარმოების დაქვეითების, სოციალური პოლიტიკის გატარებაში ნეგატიური ეკონომიკური შედეგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია.

საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის მიზანშეწონილია: გადასახადების განაკვეთების დიფერენცირება შემოსავლების მიხედვით; გადასახადების ვადების ამოღების ზუსტი დაცვა; საგადასახადო სისტემის მაქსიმალურად გამარტივება; საგადასახადო განაკვეთების გონივრული შემცირება; საქონელმწარმოებლებზე, მომხმარებლებსა და კაპიტალზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება.

საქართველოს სამხედრო ხარჯების გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე

კახა დაუშვილი

მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია


ქვეყნის ეკონომიკის განვითარება კომპლექსური საკითხია, რომელზეც სხვადასხვა ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, მათ შორის სახელმწიფო დანახარჯები და მისი სტრუქტურა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. განვითარებადი ქვეყნის მიერ ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მისაღწევად საჭიროა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. მთლიანი შიგა პროდუქტის გამოთვლის ერთ-ერთი ფორმულა არის $Y=C+I+G+NX$, სადაც C გამოხატავს მოხმარების მოცულობას, I გამოხატავს ინვესტიციების მოცულობას, G გამოხატავს სახელმწიფო ხარჯების მოცულობას, ხოლო NX წმინდა ექსპორტის მოცულობას. სახელმწიფოს გავლენა მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდაზე ძირითადად გამოიხატება G კომპონენტით. რაც უფრო მეტია სახელმწიფო დანახარჯებში ინფრასტრუქტურული და წარმოების წახალისებაზე ორიენტირებული ხარჯების წილი მით უფრო კარგია მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. სახელმწიფო ბიუჯეტი მთავრობის მიერ დეკლარირებული პოლიტიკის განხორციელების ერთგვარი ფინანსური გეგმაა. 2004 წელს საქართველოში გატარებული სხვადასხვა რეფორმების შედეგად გაიზარდა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები. ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური ზრდა საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდა, თუმცა ისმის კითხვა შეიძლება თუ არა უფრო კარგი შედეგების მიღწევა. სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ განვითარებასა და მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში ძალიან მნიშვნელოვანია, გარდა კერძო ინვესტიციებისა, სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს ფულს სხვადასხვა პროექტებზე, რაც ზრდის და წახალისებს ქვეყნის ეკონომიკას. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ტიპის დანახარჯები განსხვავებულად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდაზე. როგორც აღვნიშნეთ, თუკი სახელმწიფო გასწევს დიდ სოციალურ ხარჯებს, ეს უფრო ნაკლებად წახალისებს ქვეყნის ეკონომიკას, ვიდრე ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში იმოქმედებდა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურა. ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ 2004 – 2013 წლებში საქართველოს ბიუჯეტიდან გაწეულ სამხედრო ხარჯებს, შევაფასებთ მის გავლენას ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე.

სამხედრო ხარჯების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. 2004 წლიდან საქართველოს მთავრობამ ქვეყნის ძირითად პრიორიტეტად ქვეყნის უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის დაცვა გამოაცხადა, რომელმაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა საქართველოს სამხედრო დოქტრინაში და ბიუჯეტის დოკუმენტში¹. ამავ წელს, საქართველოს მთავრობამ გაზარდა სამხედრო დანახარჯები და დაიწყო საქართველოს არმიის რეორგანიზება.

¹ http://www.mof.ge/budget/by_year/2004/

საქართველოს მთავრობამ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიად ცალსახად აირჩია ძლიერი არმიის ფორმირება. არმიის რეორგანიზებისა და გაძლიერების ფარგლებში მოხდა როგორც სტრუქტურული გადახალისება, ასევე ახალი იარაღისა და სამხედრო დანიშნულების პროდუქციის შესყიდვა. სამხედრო დანახარჯები თანამედროვე პირობებში რამდენიმე ნაწილად იყოფა: პირადი შემადგენლობა, სამხედრო აღჭურვილობა, სამხედრო ტექნიკა და სხვ. საქართველოს მთავრობა ყველა ამ მიმართულებით აქტიურად ზრდიდა დანახარჯებს. გრაფიკი 1 ასახავს 2004-2013 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ გაწეულ სამხედრო დანახარჯებს.


გრაფიკი 1



საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი 2004-2013 წლებში (მლნ დოლარი)¹

მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის თანახმად, ქვეყნის სამხედრო ხარჯების ოქროს შუალედი მშპ-ის 1,5-2% - ის ფარგლებში მერყეობს². თუმცა, აღნიშნული მონაცემი საქართველოს შემთხვევაში 2004-2013 წლების საშუალო მაჩვენებლით 4,5 %-ია. იგი ორი სხვადასხვა ფორმით ახდენდა ნეგატიურ გავლენას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. პირველ რიგში, თანხების ის მოცულობა, რომელიც ზედმეტად იხარჯებოდა აღნიშნულ პერიოდში, შესაძლოა სხვა მიმართულებით დახარჯულიყო. სამხედრო დანახარჯები იმ დანახარჯთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც არ ქმნის რეალურ პროდუქტს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სამხედრო მრეწველობაზე დახარჯული სახსრები, რაც საქართველოში დღემდე განუვითარებელი დარგია. 2004-2013 წლებში საქართველოს არმიის საშუალო რიცხოვნობა 30000 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენს, რაც 4 - მილიონიანი ქვეყნისთვის საკმაოდ დიდი ჯარია. ევროპული პრაქტიკის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა საშუალოდ მოსახლეობის 0,15%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში კი 0,8 პროცენტია. გრაფიკი 2 ასახავს საქართველოს სამხედრო ბიუჯეტის ფარდობას მშპ-თან 2004-2013 წლებში, სადაც კარგად ჩანს, თუ რამდენით აღემატება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი ევროპულ პრაქტიკას.

გრაფიკი 2




საქართველოს სამხედრო ბიუჯეტის ფარდობა მშპ-თან 2004-2013 წლებში (%)

¹ http://www.mof.ge/budget/by_year/2004.

² <http://data.worldbank.org/indicator/MS.MIL.XPND.GD.ZS>.

გრაფიკზე კარგად ჩანს, რომ საქართველოს სამხედრო ბიუჯეტის ფარდობა მშპ-თან მიმართებით, ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე 2%-ი. თუკი დავუშვებთ, რომ ყოველწლიურ სამხედრო დანახარჯებში 2% ზე მაღალი დანახარჯი არაეფექტიანი ან გაუმართლებელი ხარჯია, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველომ, 2004-2013 წლების განმავლობაში არაეფექტიანად დახარჯა 2,665 მლნ დოლარი. ამ თანხების უდიდესი ნაწილი, კერძოდ კი 1478 მილიონი დოლარი, დახარჯულია 2007-2008 წლებში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ხარჯების უფრო ეფექტური გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს შეეძლო უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. გრაფიკი 3 ასახავს 2004-2013 წლებში საქართველოში მშპ-ის რეალურ ზრდას. 2006-2007 წლებში მაღალი ეკონომიკური ზრდით მიღებული სარგებლის საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ სამხედრო ბიუჯეტის ზრდას მოხმარდა.

გრაფიკი 3



მშპ-ის რეალური ზრდა საქართველოში (%)

ჩვენს მიერ განხილული გრაფიკები და სახელმწიფო დანახარჯები წარმოადგენს პირდაპირ დანახარჯებს, რაც სახელმწიფომ გასწია სამხედრო მიმართლებით. გარდა ამისა, არსებობს ირიბი დანახარჯები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს არმიის საშუალო მოცულობა 30,000 ჯარისკაცს შეადგენს, რომლებიც სრულად არიან გამოთიშული ეკონომიკურ საქმიანობას. რა თქმა უნდა, არ უგულვებელყოფთ ჯარისკაცების საქმეს და არ ვთვლით, რომ ჯარის არსებობა გაუმართლებელია. შესაბამისად, თუკი დავეყრდნობით მოსახლეობისა და ჯარისკაცების ფარდობის ევროპულ სტანდარტს, ვნახავთ, რომ ქართული არმია მინიმუმ 2-ჯერ აღემატება აღნიშნულ სტანდარტს. შესაბამისად, დაახლოებით 15,000 ადამიანი გამოთიშულია ეკონომიკურ საქმიანობას და არ ქმნიან დოვლათს.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სამხედრო ბიუჯეტისა და მშპ-ის ფარდობა 2004-2013 წლებში საშუალოდ 4.5%. სამხედრო დანახარჯების პირდაპირ ეფექტზე უკვე ვიმსჯელებთ, თუმცა, მას გაააჩნია კიდევ ერთი საგარეო ეფექტი, რაც ქვეყნის საგარეო იმიჯის განსაზღვრაზე მოქმედებს. ცნობილია, რომ ეკონომიკის განვითარებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ინვესტიციების მოცულობა. რომ არა უცხოური ინვესტიციების დიდი მოცულობა ბოლო წლების საშუალო ეკონომიკური ზრდის მიღწევა წარმოუდგენელი იქნებოდა. ნებისმიერი ინვესტორისთვის მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ნაკლებ რისკიან და მომგებიან

ბაზარზე შესვლა. ამასთან, არც ერთი ინვესტორისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. საქართველოს მთავრობა მუდმივად აცხადებდა, რომ მას არ სურდა აღნიშნული ტერიტორიების დასაბრუნებლად სამხედრო გზების გამოყენება, თუმცა, ბიუჯეტის ანალიზური მონაცემები სხვას მეტყველებდა, რადგან 2004-2008 წლებში საქართველოს მთავრობის სამხედრო დანახარჯების ფარდობა მშპ-თან საშუალოდ 5,6%-ს შეადგენდა, რაც რამდენჯერმე აღემატება დასავლურ ნორმებს. არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ სამხედრო ხარჯების პერმანენტული ზრდა ინვესტორების მხრიდან აღქმული იყოს როგორც არასტაბილურობის ერთ-ერთი ფაქტორი, რაც ბუნებრივია, ნეგატიურად იმოქმედებდა საქართველოს ეკონომიკაზე.

სამხედრო დანახარჯების კუთხით საქართველოს მონაცემებს თუ შევადარებთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონაცემებს, მათი დანახარჯები დინამიკურია და აბსოლუტურად შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს, როგორც XXI 90-იანი წლების დასაწყისში, ასევე 2004-2013 წლებში. გრაფიკი 4 გვიჩვენებს საქართველოსა და ლატვიის სამხედრო დანახარჯების ფარდობას ამავე ქვეყნების მშპ-თან. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, კერძოდ ლატვია, თითქმის იგივე გამოწვევების წინაშე დგას, როგორც საქართველო, მათი სამხედრო ხარჯები კლებადი ტენდენციით ხასიათდება.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის გარემოება, თუ ვინ არის საქართველოს მტერი, რომელიც ახორციელებს სამხედრო აგრესიას. ჩვენი ჯარი ვერასდროს შესძლებს სამხედრო ძლიერებით შეაკავოს ძლიერი მოწინააღმდეგე. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მოხდეს რესურსების სწორი გადანაცვლება და ქვეყნის განვითარების დაჩქარება. ხშირად საქართველოში გაიგონებთ, რომ თავდაცვისთვის ძლიერი ჯარია საჭირო. აღნიშნული გარემოება კარგადაა დარეგულირებული ბალტიისპირეთში, სადაც სამხედრო დოქტრინის¹ თანახმად, ქვეყნის საჯარისო ნაწილების მიზანია 8 საათის განმავლობაში შეაჩეროს აგრესორი, სანამ დედაქალაქს აიღებს და საკომუნიკაციო საშუალებებს გაანადგურებს. აქედან გამომდინარე, მათ შესაბამისი დაფინანსება გამოუყვეს სამხედრო ძალებს და საქართველოსავით უტოპიურად და უმიზნოდ არ გაუზრდიათ დანახარჯები.

გრაფიკი 4



საქართველოსა და ლატვიის სამხედრო ბიუჯეტების ფარდობა მშპ-სთან 2004-2013 წლებში (%)

¹ https://www.princeton.edu/~achaney/tmve/wiki100k/docs/Military_of_Latvia.html

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის სტაბილური განვითარებისა და უსაფრთხოების მთავარი გარანტორია ევროინტეგრაცია. ინტეგრაციის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს კი ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Geostat.ge (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო).
2. <http://mof.gov.ge/4544> (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო).
3. MOD.gov.ge (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო).
4. Mod.LAT.ge (ლატვიის თავდაცვის სამინისტრო).
5. <http://www.globalsecurity.org/military/world/europe/lv-budget.htm>.
6. <http://data.worldbank.org/indicator/MS.MIL.XPND.GD.ZS>.
7. http://www.mof.ge/budget/by_year/2004/ (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო).
8. https://www.princeton.edu/~achaney/tmve/wiki100k/docs/Military_of_Latvia.html.

რეზიუმე

საბოლოო ანგარიშით, აუცილებელია ითქვას, რომ საჭიროა მიმდინარე სამხედრო ხარჯების და სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის ოპტიმალური შემცირება, რათა გამოთავისუფლებული ხარჯები მოხმარდეს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას და მეტი ინვესტიციის მოზიდვას. 2004-2013 წლების მანძილზე საქართველოს მთავრობის მიერ გაწეულმა გადამეტებულმა სამხედრო ხარჯებმა, ქვეყანას საშუალოდ 2 მლრდ დოლარიანი არაეფექტიანი ხარჯები მოუტანა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პოლიტიკა შეიცვალოს და ძირითადი აქცენტები ეკონომიკის განვითარებაზე გაკეთდეს. ამისთვის საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: შემცირდეს საქართველოს არმიის რიცხოვნობა ეტაპობრივად და, შესაბამისად, მათზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები; გამოთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრები მოხმარდეს ინფრასტრუქტურული და წარმოების წახალისების პროექტების დაფინანსებას.

ინფლაციის თარგეთირება: საერთაშორისო მიმოხილვა და საქართველო

მარიამ დვალისვილი, მარიამ წულუკიძე

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტები,
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტყარაძე

ინფლაციის თარგეთირება არის რეჟიმი, რომელსაც დღეს უამრავი განვითარებული და განვითარებადი ქვეყანა მონეტარული პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტად იყენებს. ვიდრე უშუალოდ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის განხილვაზე გადავალთ, საჭიროა აღვნიშნოთ,

რა არის ინფლაცია, რატომ არის ის უარყოფითი მოვლენა და რატომ ხდება მისი აქტიურად გაკონტროლება. ინფლაცია არის ფასების საშუალო დონის ზრდა იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელიც იწარმოება და იყიდება ეკონომიკაში. ინფლაციის ნეგატიური ეფექტები არ გამოიხატება მხოლოდ ფასების ცვლილებით, იგი დანაზოგებს აუფასურებს, ინვესტიციებს ამცირებს, კაპიტალის გადინებას (უცხოურ აქტივებში, ძვირფას ლითონებში ანდა არაპროდუქტიულ უძრავ ქონებაში) უწყობს ხელს, აფერხებს ზრდას, ართულებს ეკონომიკის დაგეგმვას და თუ უკიდურესი ფორმითაა წარმოდგენილი, სოციალურ და პოლიტიკურ დესტაბილიზაციასაც იწვევს. ინფლაცია უარყოფითად აღიქმება საზოგადოების მხრიდანაც. მაღალ ინფლაციასთან დაკავშირებული ასპექტებია: ხარჯების ზრდა, რაც ძლიერ დარტყმას აყენებს მთლიანად საზოგადოებას და განსაკუთრებით, დაბალშემოსავლიან ოჯახებს; ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის კლება; ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში; რეალური მოგების კლება ბიზნესში; ინვესტიციებზე ამონაგების შემცირება; საპროცენტო განაკვეთების მატება, რაც კრედიტს ამცირებს; ამავე დროს, თუ ინფლაციის დონე ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტულობა ეცემა, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას. დაბალი და სტაბილური ინფლაცია აუცილებელი პირობაა მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის, რაც თავის მხრივ, წინაპირობაა მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის, დაბალი საპროცენტო განაკვეთებისა და მაღალი დასაქმებისთვის. სწორედ ამიტომ, ინფლაციის ნეგატიური შედეგების შესაბამისად, მთავრობები ცდილობენ მის დასაშვებ დონემდე შეკავებას მდგრადი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარებით. რაც უფრო ეფექტიანია მონეტარული პოლიტიკა, მით უფრო დაბალი საზოგადოებრივი დანახარჯითაა შესაძლებელი ფასების სტაბილურობის მიღწევა. შესაბამისად, ცენტრალური ბანკები მუდმივად ზრუნავენ მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისთვის.

მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება ინფლაციის კონტროლირების სამი ძირითადი რეჟიმი: ფიქსირებული კურსი, მონეტარული თარგეთირება და ინფლაციის თარგეთირება.

ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემთხვევაში ცენტრალური ბანკი ახორციელებს სავალუტო კურსების კონტროლს. ის ირჩევს მიზნობრივ მაჩვენებელს, შედეგად ნომინალური სავალუტო კურსის ფიქსაციის პროცესში რეალური სავალუტო კურსის საშუალოვადიანი მნიშვნელობის უცვლელობის შესანარჩუნებლად მიმდინარეობს ადგილობრივი ფასების ცვალებადობა, ხოლო ფასების ცვლილების მთავარი მექანიზმია დასაქმებულთა ხელფასებზე ზემოქმედება, ეს პროცესი კი მტკივნეულად აღიქმება საზოგადოების მხრიდან.

რაც შეეხება მონეტარულ თარგეთირებას, მასში იგულისხმება ფულადი მასის თარგეთირების პოლიტიკა. ფულის მასის ზრდის მიზნობრივმა ორიენტირმა მრავალ ქვეყანაში ვერ მიაღწია დადებით შედეგს, ვინაიდან ფულზე მოთხოვნის ფუნქცია არ იყო სტაბილური. ეს არასტაბილურობა წარმოადგენდა დერეგულაციებისა და ფინანსური ინოვაციების, ასევე ფულადი აქტივების ახალი სახეების წარმოშობისა და საბანკო სისტემის როგორც ფინანსური ურთიერთობის როლის შესუსტების შედეგს. დროთა განმავლობაში დაიკარგა მყარი კავშირი ფულის მასასა და ინფლაციას შორის, ამის შედეგად, არჩევანი შეჩერდა ინფლაციის თარგეთირებისა და მცურავი კურსების სტრატეგიაზე როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალ რეჟიმზე. ინფლაციის თარგეთირება, რომელიც მონეტარული

პოლიტიკის შედარებით ახალი რეჟიმი, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში.

განვითარებადი ქვეყნებისთვის ინფლაციის თარგეთირების სარგებელი განსაკუთრებით დიდია, მათ შორისაა:

- გრძელვადიან პერიოდში ინფლაციური მოლოდინების შეუქცევადი შემცირება;
- საპროცენტო განაკვეთების შემცირება;
- ეკონომიკური მერყეობის შემცირების (მშპ, უმუშევრობა) შედეგად, შემცირებული რისკპრემიუმი და ქვეყნებისთვის მაღალი საკრედიტო რეიტინგი;
- ინვესტიციის ზრდა;
- მაღალი ეკონომიკური ზრდა.

პირველად იგი 1990 წელს გამოიყენა ახალი ზელანდიის ცენტრალურმა ბანკმა. შემდგომ კი - კანადამ (1991 წ.), დიდმა ბრიტანეთმა (1992 წ.), შვედეთმა, ფინეთმა და ავსტრალიამ (1993 წ.). ინფლაციის თარგეთირება წარმოადგენს არა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კანონთა კრებულს, არამედ რეჟიმს ჩარჩო პრინციპების სისტემას. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს წინასწარ ცხადდება საშუალოვადიანი პერიოდისთვის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი - ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონე. ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია, შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიზანს სწორი ინფლაციის მოლოდინის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ეს არის რეჟიმი, რომელიც დაფუძნებულია შემდეგ პოსტულატებზე:

- ფასების სტაბილურობა უპირობოდაა აღიარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარ მიზნად;
- მიზნობრივი ინფლაციის დონე ქვეყნდება საჯაროდ;
- ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დაფუძნებულია ინფორმაციის ფართო სპექტრზე, რომელიც ასევე მოიცავს ინფლაციის პროგნოზს;
- უზრუნველყოფილია გამჭვირვალობა;
- არსებობს ანგარიშგების მკაფიო მექანიზმები.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

- ინფლაციის თარგეთირება არის მკაცრი რეჟიმი, რომელიც ხასიათდება გადაჭარბებული მოქმედების თავისუფლებით, მან შესაძლოა გამოიწვიოს გამოშვების არასტაბილურობა, რაც ეკონომიკის ზრდას აფერხებს;
- მცირდება ცენტრალური ბანკის პასუხისმგებლობა;
- იქმნება ინტერესთა კონფლიქტის საშიშროება მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას შორის;
- ინფლაციის თარგეთირება მოითხოვს მცურავი გაცლითი კურსის არსებობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური არასტაბილურობა;
- გაცვლითი კურსისა და ფულადი აგრეგატებისგან განსხვავებით, ინფლაციის დონე არ არის ადვილად კონტროლირებადი ცენტრალური ბანკის მიერ, რადგან ინფლაციური პროცესების უარყოფითი შედეგები ვლინდება დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ;

➤ დოლარიზაციის მაღალმა მაჩვენებელმა შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციის თარგეთირების მოქმედების მექანიზმის მოშლა.

სწორედ ამიტომ საჭიროა ამ რეჟიმის წარმატებულად გასატარებლად გასათვალისწინებელია მისი ძირითადი პრინციპები და წინაპირობები, რომელსაც დეტალურად განვიხილავთ ქვემოთ.

ინფლაციის თარგეთირების ძირითადი პრინციპები და წინაპირობები. იმისთვის, რომ ინფლაციის თარგეთირება წარმატებით განხორციელდეს, საჭიროა გაანალიზდეს ის ძირითადი პრინციპები, რომელზედაც დაფუძნებულია არსებული მონეტარული პოლიტიკა.

ინფლაციის თარგეთირების პრინციპებია:

- მონეტარული პოლიტიკის მთავარი მიზანია ინფლაციის მოლოდინების ღუზის როლი შეასრულოს და პოლიტიკის სხვა მიზნები იყოს თავსებადი მის ძირითად მიზანთან;
- გადაწყვეტილებებში ინტერესთა კონფლიქტის დროს ცენტრალური ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს ცალსახა პრინციპებით და ჰქონდეს საკმარისი დამოუკიდებლობა, რომ ერთგული დარჩეს თავისი ძირითადი მიზნის;
- რადგან მონეტარული პოლიტიკის გადაცემას აქვს ლაგი, შეუძლებელია ინფლაციის ყოველთვის სამიზნეზე შენარჩუნება. ამდენად, ინფლაციის თარგეთირება დაიყვანება ინფლაციის პროგნოზის თარგეთირებაზე;
- ცენტრალურ ბანკს უნდა ჰქონდეს ეკონომიკის მონიტორინგის და ანალიზის ეფექტიანი ინსტრუმენტები, რომ პოლიტიკის გადაწყვეტილებები, რომლებიც პროგნოზებზეა დაფუძნებული, იყოს სწორი და სასურველი შედეგის მომტანი;
- ინფლაციის თარგეთირების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია აგრეთვე ფისკალური, ფინანსური სექტორისა და სხვა ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

რაც შეეხება ინფლაციის თარგეთირების ხელშემწყობ წინაპირობებს, მასში იგულისხმება:

- შესაბამისი ლეგალური და ინსტიტუციონალური გარემოს არსებობა, რომელშიც მოიაზრება საკანონმდებლო მანდატი ინფლაციის თარგეთირებისათვის და დამოუკიდებლობა ინსტრუმენტების გამოყენებაში. ეს ნიშნავს, რომ ინფლაციის თარგეთირების ეფექტიანობის მიღწევა ხდება მონეტარული პოლიტიკის ფისკალურ ინტერესებზე უარის თქმით და ცენტრალური ბანკი მოქმედებს რეალურ ეკონომიკაზე თავისი მონეტარული პოლიტიკით;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტაბილური საფინანსო სექტორი და განვითარებული ფინანსური ბაზრები;
- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემის შემუშავება. იგი მოითხოვს ინფლაციაზე მოქმედი უამრავი ფაქტორების და პირობების სიღრმისეულ ანალიზს, განსაზღვრებას, ეკონომეტრიკული და სხვა სახის მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებას, თარგეთის გამოყენებისას დაუშვებელია მხოლოდ ინერციული, პასიური მიდგომების გამოყენება. ამასთან ერთად, საჭიროა აქტიური, დინამიკური მეთოდები. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს ეროვნული ბანკის სტრუქტურაში მძლავრი კვლევითი სამსახურის შექმნას;
- დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცენტრალური ბანკის შიგნით ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს მონეტარული

პოლიტიკის კომიტეტების არსებობას, ფუნქციების და პასუხისმგებლობის გადანაწილებას და ეფექტიან კოორდინაციას მუშაობის პროცესში;

- აუცილებელია შემუშავდეს კომუნიკაციის სტრატეგია და შეიქმნას ნდობის მოსაპოვებლად საჭირო პირობები;
- ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის შიგნით მცურავი სავალუტო კურსების არსებობას და ინტერვენციების ნაკლებობას ცენტრალური ბანკების მხრიდან;
- საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისთვის საჭიროა არსებობდეს დოლარიზაციის პროცესის მაკონტროლებელი მექანიზმი. დოლარიზაცია უარყოფით მოვლენად აღიქმება ცენტრალური ბანკის მხრიდან, რადგან მცირდება მონეტარული პოლიტიკის არეალი და მისი ეფექტიანობა იკლებს, იგი ასევე ზრდის ფინანსური სექტორის რისკებს.

ინფლაციის თარგეთირების საერთაშორისო მიმოხილვა. როგორ მუშაობს ინფლაციის თარგეთირება იმ ქვეყნებში, რომლებმაც ეს რეჟიმი მიიღეს? ფრედერიკ მიშკინმა და ადამ პოსენმა გამოიკვლიეს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი იმ სამი ქვეყნის მაგალითზე, რომლებმაც პირველებმა გადაწყვიტეს აღნიშნული პოლიტიკის გატარება. ეს ქვეყნებია: ახალი ზელანდია, კანადა, გაერთიანებული სამეფო.

ახალი ზელანდია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ფორმალურად დაწერა აღნიშნული რეჟიმი 1990 წელს. განსაკუთრებით წარმატებული იყო ის ამ ქვეყნისთვის, რადგან ახალი ზელანდიისთვის დამახასიათებელი იყო მაღალი და მერყევი ინფლაცია. ამ გამოცდილების საფუძველზე მან მიაღწია ეკონომიკურ ზრდას დაბალი ინფლაციის პირობებში. თუმცა, ახალი ზელანდიის მაგალითიდან შეიძლება ითქვას, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი მოქცეულია ვიწრო სპექტრში. იგი იწვევს პოლიტიკური ინსტრუმენტების არასასურველ მოძრაობას. ამას შედეგად მოყვება მოლოდინების მექანიზმის გაუარესება ინფლაციის ძირითადი ტრენდის შენარჩუნების პირობებშიც.

კანადის გამოცდილება გვკარნახობს, რომ ინფლაციის თარგეთირება ნაკლებად ხისტი ინსტიტუციონალური სტრუქტურითაა წარმატების გარანტი. მოცემულმა რეჟიმმა კანადა უზრუნველყო დაბალი და სტაბილური ინფლაციის მაჩვენებლით, მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობა ამ მხრივ ენიჭებოდა საზოგადოებას და არა მთავრობას სპეციალური კონტრაქტების საფუძველზე. ახალი ზელანდიის მსგავსად წარმატების მთავარი საწინდარი იყო გამჭირვალობის შენარჩუნება და მონეტარული პოლიტიკის გამტარებლების საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარება. ამ სტრატეგიის ნაწილი იყო კანადის ბანკის განცხადება, რომელიც გულისხმობდა, რომ ინფლაციის თარგეთირება ახალანსებდა ბიზნეს - ციკლების მერყეობას, რადგან შენარჩუნებული იყო სამიზნე ინტერვალის როგორც ზედა ასევე ქვედა ზღვარი.


დიდმა ბრიტანეთმა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის გატარება 1992 წელს დაიწყო, მას შემდეგ რაც განიცადა უცხოური გაცვლითი კურსების კრიზისი. 1997 წლის მისამდე ინფლაციის თარგეთირების პროცესი მიმდინარეობდა მკაცრი პოლიტიკური შეზღუდვების პირობებში. ეს გულისხმობდა ისეთი სისტემის არსებობას, რომელშიც მთავრობა და არა ცენტრალური ბანკი განკარგავდა მონეტარულ ინსტრუმენტებს. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, ბრიტანეთში ინფლაციის თარგეთირებამ მაინც უზრუნველყო დაბალი და სტაბილური ინფლაციის მიღწევა, რაც აიხსნებოდა ბრიტანეთში გამჭირვალობის მაღალი

მაჩვენებლით. ინგლისის ბანკი დღესაც ინოვაციურ მეთოდებს ეძებს, რათა ეფექტური კომუნიკაცია დაამყაროს საზოგადოებასთან, სწორედ ამ მიზნით ქვეყნდება მუდმივად ინფლაციის მიმოხილვა და ანგარიშები.

მიშკინმა და პოსენმა დაასკვნეს, რომ ინფლაციის თარგეთირების მეთოდის არჩევა ხდება კონსენსუსის გზით, რაც გულისხმობს დამკვიდრებული პრაქტიკის გამოყენებას და ძველი მიდგომების უარყოფას. გამჭირვალობა და მოქნილობა შესაბამისად ბალანსირებული ოპერაციულ სქემაშია, ამიტომ იგი წარმოადგენს მონეტარული სტრატეგიის საფუძველს, რომელიც ემსახურება ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას.

არ არსებობს არანაირი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ინფლაციის თარგეთირებას რეალურ ეკონომიკაზე აქვს არასასურველი ეფექტი გრძელვადიან პერიოდში, პირიქით, იგი უზრუნველყოფს ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესებას.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი საქართველოში. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადასვლა 2009 წელს მოხდა. აღნიშნული რეჟიმი ითვალისწინებს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას და ინსტრუმენტების მართვას იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს ინფლაციის მიზნობრივი დონე საშუალოვადიან პერიოდში. ეროვნული ბანკის ინფლაციის გრძელვადიანი მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საქართველო წარმოადგენს მზარდ ეკონომიკას და მსგავსი ტიპის ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპი, 2015-2016 წლებისთვის ეროვნულმა ბანკმა მიზნობრივი ინფლაცია განსაზღვრა 5 პროცენტით, 2017 წლისათვის კი - 4 პროცენტით. გრძელვადიან პერიოდში, საქართველოს ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებთან დაახლოების პარალელურად, ეტაპობრივად შემცირდება ინფლაციის ოპტიმალური დონე და შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შემცირდება მის გრძელვადიან დონემდე.



აღნიშნული რეჟიმი ითვალისწინებს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას და ინსტრუმენტების მართვას იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს ინფლაციის მიზნობრივი დონე საშუალოვადიან პერიოდში. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ერთ-ერთ უპირატესობას მისი გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან წინასწარ დადგენილი ერთი მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას

იმლევა ზუსტად განისაზღვროს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი და შეიქმნას სწორი მოლოდინები მონეტარული პოლიტიკის მიმართულების შესახებ. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა ხდება ყოველწლიურად, შემდგომი სამწლიანი პერიოდისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ. ეროვნული ბანკის მიზანი - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა - დამოუკიდებელია მთავრობის სხვა მიზნებისაგან, რაც საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონითაა უზრუნველყოფილი.

ფასების სტაბილურობის მნიშვნელობა. ფასების სტაბილურობა ფუნდამენტური ფაქტორია, რომელიც აუცილებელია მაღალი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. მაღალი ინფლაცია კი, რომელიც ამავდროულად დიდი რყევებითაც ხასიათდება, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერიოდში. ეროვნული ბანკის მიზანია ფასების ზრდის დინამიკის შემცირება საშუალოვადიან პერიოდში იმ დონემდე, რომელიც არ მოახდენს უარყოფით გავლენას ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე. ქვეყანაში ფასების დონის ცვლილების შესაფასებლად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) ცვლილება. (სფი) ინდექსის შეფასება ხდება სამომხმარებლო კალათას მიხედვით, რომელიც მოიცავს საშუალო მომხმარებლის მიერ შეძენილ საქონელსა და მომსახურებას. შესაბამისად, კალათაში შესულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასების მატება იწვევს ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას.

რატომ ირჩევს ეროვნული ბანკი 5%-იანი ინფლაციის დონეს და არა უფრო მაღალ ინფლაციის მაჩვენებელს მაგ. 30%-იანს? მთავარი მიზეზი ისაა, რომ 5%-იანი ინფლაციის პირობებში ფასების საერთო დონის ცვლილება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მერყეობს 4%-დან 6%-მდე, რომლის საშუალო მნიშვნელობაც 5%-ია. სამომხმარებლო კალათაში შესულ პროდუქტთა ფასები დროთა განმავლობაში შედარებით სტაბილურია. დავუშვათ, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა განხორციელებინა 30%-იანი თარგეთირების პოლიტიკა, მოცემულ შემთხვევაში ფასების ვარირება იქნებოდა დაახლოებით 20%-დან 40%-მდე და სამომხმარებლო პროდუქტის ფასების ცვალებადობაც მკვეთრად განსხვავებული აღმოჩნდებოდა, რაც არასწორ მოლოდინებს შეუქმნიდა როგორც მომხმარებლებს, ასევე ინვესტორებს, რომლებიც ფასებზე დაკვირვების შედეგად იღებენ გადაწყვეტილებას საინვესტიციო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით. შედეგად, ფასების არასტაბილურობამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის არაეფექტიანობა, მწარმოებლები თვლიან, რომ ფასების ზრდა განპირობებულია ბაზარზე არსებული ჭარბი მოთხოვნით, სინამდვილეში კი წარმოშობილია ინფლაციური პროცესებით. შეიძლება ითქვას, რომ მიწოდების მეტობა მოთხოვნასთან შედარებით იწვევს დისბალანსს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე და არღვევს წონასწორულ მდგომარეობას. არაეფექტიანი წარმოების პირობებში მწარმოებლები განიცდიან დიდ დანაკარგებს, რაც ხელს უშლის მათი შემდგომი საქმიანობის განვითარებას. ასეთი შემთხვევების სიმრავლის პირობებში ქრება საინვესტიციო ინიციატივა და წარმოების ყველა სფერო კრიზისულ პერიოდში შედის.

თუ საქსტატის მონაცემებს დავეყრდნობით, საქართველოში ინფლაციის წლიური მაჩვენებელი ბოლო სამი წლის განმავლობაში იყო საკმაოდ დაბალი. 2014 წლის განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებელი 2-4 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა და, შესაბამისად, ჩამორჩებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელს. 2013 წელს

დაფიქსირებული დეფლაციური პროცესების შემდგომ, 2014 წლის დასაწყისში ფასების საერთო დონის ცვლილების ინდიკატორი მატების ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში ინფლაციის მაჩვენებელი კვლავ შემცირდა, რაც საწყის ეტაპზე მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორების უარყოფითი ზეწოლიდან მომდინარეობდა. ამასთან, გაზაფხულზე გეოპოლიტიკური რისკები გამოიკვეთა, რომელთა შემდგომმა რეალიზაციამ ნეგატიური გავლენა მოახდინა საგარეო მოთხოვნაზე და უარყოფითი ასახვა ჰპოვა შიგა მოთხოვნაზეც. ამაზე მიუთითებდა საბაზო ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკა, რომელიც წლის განმავლობაში დაბალ დონეზე იყო შენარჩუნებული.

ქვემოთ მოცემულია ბოლო სამი წლის ინფლაციის მაჩვენებელი:



ინფლაციის თარგეთირება, როგორც ფასების სტაბილურობის მიღწევის საშუალება.

ფასების სტაბილურობის ანალიზისას აუცილებელია განვიხილოთ, როგორც მიმდინარე, ასევე მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებლები. ინფლაციის ტემპის ცვლილებას, როგორც ვიცით, აღწერს ფილიპსის მრუდის განტოლება $\Pi = \Pi^e - a(u - u_n)$. ცენტრალურ ბანკს მიმდინარე ინფლაციაზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია, ერთი მხრივ, მოლოდინების კონტროლით, რომელიც პროგნოზირებული ინფლაციის მაჩვენებლით აღიწერება და მეორე მხრივ, უმუშევრობის ფაქტორივი დონის ცვლილებით. ფილიპსის თავდაპირველ მოდელში იგულისხმებოდა, რომ მოსალოდნელი ინფლაცია დამოკიდებული იყო წარსულ ინფლაციაზე ანუ განიხილებოდა რეტროსპექტული მოლოდინები. აქედან გამომდინარე, ინფლაციის სასურველი დონის მისაღწევად საჭირო იყო გარკვეული მსხვერპლის ნორმის გაღება, რომელიც გამოიხატება უმუშევართა რაოდენობის ზრდით. ცენტრალურ ბანკს მონეტარული შეზღუდვის გზით შეუძლია შეამციროს გამოშვების რაოდენობა, რაც გულისხმობს უმუშევრობის დონის ამაღლებას. ფაქტორივი უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან დადებითი გადახრა მოგვცემს შედარებით დაბალ ინფლაციას, თუმცა მოცემულ პოლიტიკას მივყავართ უფრო სავალალო შედეგებამდე, რადგან საშუალოდ ერთი უმუშევრის უკან დგას სამი დაუსაქმებელი ადამიანი და, აქედან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის გაუარესება ხდება უფრო დიდი პროპორციით, ვიდრე უმუშევრობის ფაქტორივი დონეა.

დღესდღეობით, ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის საფუძველი არის საზოგადოების რაციონალური მოლოდინების მართვა. ამ შემთხვევაში ინფლაციის პროგნოზირებულ მაჩვენებელზე ზემოქმედებას ახდენს ეროვნული ბანკი, რის შედეგადაც

საჭირო არ ხდება უმუშევრობის ცვლილება, იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი. პროგნოზირებული მაჩვენებლის მკვეთრად განსაზღვრულობისთვის, საჭიროა საზოგადოებაში ნდობის მოპოვება.

ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები. მოცემულ განაკვეთში იგულისხმება რეფინანსირების განაკვეთი, რომელსაც ადგენს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი და ამტკიცებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. რეფინანსირების ანუ იგივე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებზე გაცემულ ერთკვირიანი სესხების მინიმალურ საპროცენტო განაკვეთს. მოცემული განაკვეთი პირდაპირ ზემოქმედებს ბანკთაშორის განაკვეთებსა და კორპორაციული ბანკების მიერ მსესხებლებისთვის დაწესებულ განაკვეთზე. იმისთვის, რომ მოხდეს მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა, საჭიროა მკვეთრი პოლიტიკის გატარება საპროცენტო განაკვეთების სპეციალურ ნიშნულზე დაფიქსირებითა და შედეგად, გამოშვების რაოდენობაზე ზემოქმედების მოხდენით. ამ პროცესის ასახსნელად უნდა განვიხილოთ IS განტოლებისა და ფილიპსის მრუდის მოდელის დამოკიდებულება, IS განტოლებაში მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები ზემოქმედებენ გამოშვების რაოდენობაზე. ხოლო ფილიპსის მრუდის განტოლებაში უმუშევრობის მაჩვენებლები შეიცვლება მისი ამხსნელი გამოშვების მნიშვნელობებით. მონეტარული პოლიტიკის მიზანია მიმდინარე ინფლაცია განპირობებული იყოს პროგნოზირებული ინფლაციის საშუალებით, რომლის მიღწევაც შესაძლებელია ფაქტობრივი უმუშევრობის ბუნებრივთან მიახლოებით. პროცენტის საშუალებით ეროვნული ბანკი ცდილობს უმუშევრობის დონეზე იმოქმედოს ისე, რომ დააკმაყოფილოს არსებული პირობა, ამასთან, უნდა მოხდეს პროგნოზირებული მნიშვნელობის საზოგადოების მხრიდან აღიარება, რაც პირდაპირ დამოკიდებულია რამდენად მიზანმიმართულად მოქმედებს ცენტრალური ბანკი განსაზღვრული შედეგის მისაღწევად და აქვს თუ არა კომუნიკაცია მას საზოგადოებასთან.


მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი. მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მონეტარული პოლიტიკის ცვლილებები აისახება ეკონომიკაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანის - მიზნობრივი ინფლაციის მისაღწევად გადამწყვეტ როლს თამაშობს გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობა, რომლის საშუალებითაც მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნასა და შემდგომ ინფლაციაზე. მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ერთობლივ მოთხოვნაზე სხვადასხვა არხებით ზემოქმედებს. საქართველოში საპროცენტო განაკვეთების გადაცემის არხებია:

- ✓ საკრედიტო არხი;
- ✓ გაცვლითი კურსის არხი;
- ✓ საპროცენტო განაკვეთების არხი;
- ✓ მოლოდინის არხი.

საკრედიტო არხი. ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ცვლილება ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე კრედიტების მიწოდების ცვლილების საშუალებით. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი) ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია. პოლიტიკის განაკვეთის აწევა

თავდაპირველად გადაეცემა ფულად ბაზარს და აისახება მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე, შემდგომ კი გავლენას მოახდენს გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების პირობებში რთულდება კრედიტის ხელმისაწვდომობა, მცირდება კარგი საკრედიტო პროექტების რაოდენობა, რაც იწვევს ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობის შემცირებას. საბოლოოდ კი, ეს ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნასა და ფასების დონეზე.

ამასთანავე, საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად მატულობს კომპანიების მიერ „მორალური რისკის“ (Moral Hazard) წარმოქმნის საფრთხე, ვინაიდან მათ უჩნდებათ დაინტერესება ჩაებან უფრო სარისკო საინვესტიციო პროექტებში, რათა მიიღონ დიდი შემოსავლიანობა. აქედან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთების ზრდა არის სიგნალი ბანკებისათვის, რომ ეკონომიკაში გაიზარდა რისკები და შესაბამისად, მკაცრდება სესხის გაცემის პირობები. ამავდროულად, გაზრდილი საპროცენტო გადასახადების ფონზე იზრდება სესხის მომსახურების მოცულობის თანაფარდობა მთლიან შემოსავლებთან, რაც ბანკების უფრო კონსერვატორულ საკრედიტო პოლიტიკაზე გადასვლას განაპირობებს. აღნიშნულის შედეგად, მცირდება ბანკების მხრიდან ეკონომიკის დაკრედიტება, ხოლო შემცირებული დაკრედიტების ფონზე კლებულობს ერთობლივი მოთხოვნა და ფასების დონე. პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას კი საპირისპირო შედეგი აქვს, იწვევს დაკრედიტების ზრდას და ინვესტიციების წახალისებას, რის შედეგად იზრდება ერთობლივი მოთხოვნა და ფასების დონე.



მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს შერბილებული, გამკაცრებული ან ნეიტრალური. ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობისას, როდესაც ეკონომიკა არ განიცდის შოკებს მიწოდების და მოთხოვნის მხრიდან, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მის ნეიტრალურ დონეზეა, ამ დროს მონეტარული პოლიტიკა არც შერბილებულია და არც ექსპანსიური, გამოშვება მის პოტენციურ დონეზეა და ინფლაციაც სტაბილურია. პოლიტიკის განაკვეთის გადახრა ნეიტრალური დონიდან განპირობებულია ეკონომიკური ციკლებით - რეცესიებითა და ბუმებით, რაც მონეტარული პოლიტიკის ცვლილების საჭიროებას იწვევს. შესაბამისად,

საპროცენტო განაკვეთები სცილდება ნეიტრალურ მაჩვენებელს: ბუმის დროს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ნეიტრალურ დონეზე მაღლაა, რეცესიის დროს კი - პირიქით. გრძელვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი საშუალოდ ნეიტრალური განაკვეთის ტოლი იქნება.

2015 წლიდან, ინფლაციის 5-პროცენტოანი მიზნობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით, საქართველოსთვის ნეიტრალური საპროცენტო განაკვეთი 6-7 %-ს შეადგენს. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, პოლიტიკის განაკვეთი შეიძლება მასზე მეტი ან ნაკლები იყოს. ისტორიულად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი საშუალოდ 7%-ია, ხოლო მისი მაქსიმალური განაკვეთი 2008 წელს 10 %-ს შეადგენდა. რეფინანსირების განაკვეთი ზემოქმედებს ბანკთაშორის ბაზარზე არსებულ განაკვეთებზე. ბანკთაშორისი სადეპოზიტო/საკრედიტო ბაზარი წარმოადგენს ფულად ბაზარს, სადაც ბანკები ვაჭრობენ მოკლევადიანი ჭარბი ლიკვიდობით. აღნიშნულ ბაზარს გადაძვვები როლი აქვს მონეტარული გადაცემის მექანიზმის ფუნქციონირებაში.

ვალუტის კურსი. საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. ქვეყანა წარმოადგენს მცირე ზომის ღია ეკონომიკას, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ნაწილია და არ გააჩნია ოპტიმალური სავალუტო სივრცე პარტნიორ ქვეყნებთან, რის გამოც მსოფლიო ეკონომიკური რყევები აისახება საქართველოს ეკონომიკაზეც. ფიქსირებული კურსის რეჟიმი ხელს უწყობს გარე (ეგზოგენური) ინფლაციის იმპორტირებას ქვეყანაში და კიდევ უფრო ამწვავებს ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეულ კრიზისებს, მაშინ როდესაც მცურავი გაცვლითი კურსი ასრულებს შოკების მშთანთქავ ფუნქციას, რადგან საგარეო შოკის შემთხვევაში გაცვლითი კურსის ცვლილება ასუსტებს აღნიშნული შოკის გავლენას რეალურ ეკონომიკაზე - კერძოდ, ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციაზე. მაგალითად, საქართველოში 2010 წელს დაფიქსირებული ფასების მატება, რაც ძირითადად გარე მიწოდების ფაქტორებით იყო გამოწვეული, კიდევ უფრო გამწვავდებოდა ფიქსირებული კურსის არსებობის პირობებში. შესაბამისად, საქართველოსთვის და სხვა მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი არის ყველაზე ოპტიმალური. ხოლო, ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი შეიძლება გახდეს ეკონომიკის ზრდის შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორი და, შესაბამისად, არასასურველია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

გაცვლითი კურსიდან მომდინარე რისკების მნიშვნელობა ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონითაა განპირობებული. კერძოდ, საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია კრედიტორებისთვის გაცვლითი კურსის შეუსაბამობით გამოწვეულ რისკებს წარმოშობს. კურსის გაუფასურება თან ახლავს ეკონომიკის რეცესიას. შესაბამისად, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება ზრდის უცხოური ვალუტის სესხის მომსახურების ტვირთს მაშინ, როდესაც კრედიტორის გადახდისუნარიანობა ეკონომიკური რეცესიის ფონზე ისედაც შემცირებულია. შესაბამისად, საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია ფინანსური სექტორის სტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების საგანია.

ერონული ბანკის სავალუტო პოლიტიკა ითვალისწინებს ინტერვენციას სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონების საშუალებით მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ჭარბი კაპიტალის დროებით შემოდინებას, რომელიც კურსის მოკლევადიან რყევას გამოიწვევს საერთაშორისო რეზერვების შესავსებად და სახელმწიფო საგარეო

ოპერაციების დასაბალანსებლად. 2014 წლის განმავლობაში სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციების განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენდა სავალუტო აუქციონების მექანიზმი. სულ წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა 18-ჯერ განახორციელა სავალუტო ინტერვენცია. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით სავალუტო ბაზრის განვითარების პარალელურად ინტერვენციების სიხშირე შემცირდა გრძელვადიან პერიოდში. ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს სავალუტო ინტერვენციების კიდევ უფრო შემცირებას და საბოლოო გაუქმებას.

საპროცენტო განაკვეთი. ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის ზრდა პირდაპირ აისახება საბანკო სექტორის მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე. მოკლევადიანი განაკვეთების ცვლილება გადაეცემა უფრო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს და, საბოლოო ანგარიშით, საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი იწვევს დანაზოგების ზრდას და ამცირებს ფირმების ინვესტიციებსა და სამომხმარებლო დანახარჯებს. სხვა თანაბარ პირობებში, აღნიშნული პროცესი ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას და შედეგად ფასების დონის შემცირებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის გამო აღნიშნული არხის მოქმედება შეზღუდულია მხოლოდ ლარის სესხებისთვის და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებით ეროვნული ბანკი ვერ მოახდენს გავლენას უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთებზე.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტით ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით სესხების წახალისება. აღნიშნული ტიპის სესხების პოპულარიზაციამ ხელი შეუწყო ეროვნული ვალუტით სესხების გაცემას, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა სესხების ლარიზაციის მაჩვენებელი. თუმცა საქართველოში ცვლადი საპროცენტო განაკვეთით სესხების წილი მთლიან სესხებში ჯერ კიდევ ძალიან მცირეა, მაშინ როცა სხვა განვითარებულ და ზრდადი ეკონომიკის ქვეყნებში საკმაოდ პოპულარულია. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ტიპის სესხების შემთხვევაში ბანკი დაცულია საპროცენტო განაკვეთის რისკისგან, რაც მას განაკვეთების შემცირების საშუალებას აძლევს, ისინი ასევე არ შეიცავს ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეულ საკრედიტო რისკებს (ისევე როგორც ეროვნული ვალუტის სხვა სესხები), რაც დამატებით ამცირებს ვალის მომსახურების ინფლაციასა და საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებობს კავშირი და რაც უფრო მაღალია ეს კორელაცია, მით უფრო ეფექტიანი იქნება გატარებული მონეტარული პოლიტიკა. მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ხდება ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გათვალისწინება, ვინაიდან გატარებული პოლიტიკის შედეგი ეკონომიკაზე აისახება დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. თუ პროგნოზირებული მაჩვენებელი აღემატება ინფლაციის მიზნობრივ დონეს, ეროვნული ბანკი აწევს საპროცენტო განაკვეთს, რათა მომავალში შეზღუდული იყოს ფასების დონის მატება. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც ერთობლივი მოთხოვნაა დაბალი და ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი ნაკლებია მიზნობრივ დონეზე, ეროვნული ბანკი შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს.

მოლოდინის არხი. გარდა განხილული არხებისა, ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური აგენტების მოლოდინის ფაქტორი. როდესაც ქვეყანაში მოსალოდნელი ინფლაციის დონე აღემატება მიზნობრივ მაჩვენებელს და ეროვნული ბანკი ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას ერთობლივი მოთხოვნის შესაბოჭად, საზოგადოებაში

შეიძლება წარმოიშვას ორგვარი მოლოდინი. ერთი მხრივ, ხალხს შეიძლება გაუჩნდეს დადებითი მოლოდინი, რომ მომავალი უარყოფითი ფაქტორები იქნება განეიტრალებული, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა წარმოიშვას მოსაზრება, რომ ეკონომიკური სიტუაცია არის უფრო ცუდი ვიდრე ელოდნენ. თუ მაღალია ხალხის ნდობა მონეტარული პოლიტიკისადმი, მოლოდინები იქნება დადებითი და შემცირდება მოლოდინების მხრივ გამოწვეული ზეწოლა ფასების დონეზე. რაც უფრო დიდია ნდობა მონეტარული პოლიტიკისადმი, მით უფრო ეფექტური ხდება აღნიშნული არხი.

კომუნიკაციის როლი. საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია მისი ძირითადი ამოცანების, მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების და გატარებული ღონისძიებების საზოგადოებასთან კომუნიკაცია. ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის გასატარებლად, კომუნიკაციის არსებული არხების განვითარებითა და ახალი გზების დანერგვით, ეროვნული ბანკი მოახდენს საზოგადოებაში ნდობის ამაღლებას და ინფლაციური მოლოდინების მართვას. ამ მიზნით განხორციელდა ეროვნული ბანკის პუბლიკაციების სტრუქტურის გადახედვა, ვებ-გვერდის მონეტარული ნაწილის განახლება და კომუნიკაციის ახალი სტრატეგიის შემოღება. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მუდმივად ხდება მიღებული გადაწყვეტილებისა, თუ ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული ოპერაციის, ან სავალუტო ინტერვენციის შესახებ ინფორმაციის პრესრელიზის სახით გამოქვეყნება უმოკლეს ვადებში. ახალი საკომუნიკაციო ციკლის თანახმად, კვარტალში ერთხელ, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შეხვედრების შემდეგ, ტარდება პრესკონფერენციები და ანალიტიკოსებთან შეხვედრა, ინფლაციის მიმოხილვის გამოქვეყნებისას. პრესკონფერენცია და აღნიშნული შეხვედრა წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტიან საშუალებას, სადაც ეროვნული ბანკი შეძლებს ანალიტიკოსების გუნდს დეტალურად გააცნოს ის ძირითადი საკითხები და პრობლემები, რომელიც წარმოიშვა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შეხვედრაზე და აუხსნას მიღებული გადაწყვეტილების მიზეზები. საზოგადოებაში ეკონომიკური ცოდნის ზრდისა და ეროვნული ბანკისადმი ნდობის ამაღლების მიზნით, მომავალში ასევე გაგრძელდება პრეზენტაციები და სემინარების სერიები მიმდინარე აქტუალური საკითხების შესახებ, როგორც ფინანსური ბაზრების ოპერაციების მონაწილეთათვის, ასევე საზოგადოების სხვა წევრებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პოლ კრუგმანი, საერთაშორისო ეკონომიკა, თბ., 2000.
2. www.nbg.gov.ge/index.php?m=2.
3. www.imf.org/external/pubs/ft/fandd/basics/target.htm.
4. www.en.wikipedia.org/wiki/Inflation_targeting
5. www.bankofengland.co.uk/MONETARYPOLICY/Pages/framework/framework.aspx.
6. www.geostat.ge/?action=page&p_id=124&lang=geo.
7. Olivier Jean Blanchard-Macroeconomics (6th edition).
8. Friedman M., Schwartz A. Money and Business Cycles. Cheltenham, U.K. and Northampton, Mass.: Elgar, 1999.
9. Боди Зви, Мертон Роберт К. Финансы. Москва. Санкт-Петербург. Киев. Изд. «Вильямс», 2004.

10. Masson, Paul R., Savastano, Miguel A. and Sharma, Sunil. „The Scope for Inflation Targeting in Developing Countries“, IMF Working Paper 97/130, October, 1997.

რეზიუმე

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მონეტარული პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან რეჟიმზე - ინფლაციის თარგეთირების სახით. ის შედარებულია აქამდე დამკვიდრებულ ტრადიციულ მონეტარული თარგეთირების რეჟიმთან და დადგენილია მისი ძირითადი უპირატესობები. ავტორთა პოზიციიდან ახილია მისი მოქმედების მექანიზმი და ამ რეჟიმის გატარების გზები. არის მსჯელობა მოცემული რეჟიმის გამტარებელ, წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე და ახსნილია ინფლაციის თარგეთირების მნიშვნელობა ეკონომიკის ზრდის პროცესში.

საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკის როლი სწორი მონეტარული პოლიტიკის არჩევის საშუალებით ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევაში, სწორედ ესაა ინფლაციის თარგეთირების მთავარი მიზანიც. აღვნიშნეთ რა წინაპირობები, რომელიც ხელს უწყობს ამ რეჟიმის წარმატებით განხორციელებას, მივედით დასკვნამდე, რომ საქართველოს ეკონომიკა ქმნის სასურველ გარემოს თავისუფლად განხორციელდეს არსებული რეჟიმი, მთავარია საზოგადოებაში განმტკიცდეს ნდობა ცენტრალური ბანკის მიმართ და ჩამოყალიბდეს მყარი ორმხრივი კომუნიკაცია.

საპენსიო რეფორმის მაკროეკონომიკური ეფექტი

ალექსანდრე ერგეშიძე

დოქტორანტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

ბოლო წლებში აქტიური დისკუსია და განხილვა მიმდინარეობს ახალი საპენსიო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. ამჟამად საქართველოში მოქმედებს უნივერსალური საპენსიო სისტემა, რომელიც მოიცავს საპენსიო ასაკში მყოფ მოსახლეობას. არსებული მოდელის მნიშვნელოვანი ნაკლია მისი მზარდი ტვირთი სახელმწიფო ბიუჯეტზე, რაც განპირობებულია საქართველოს მოსახლეობის დაბერების ტენდენციით. არსებულ საპენსიო სისტემაში პენსიონერთა ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ბიუჯეტიდან. შესაბამისად, მოსახლეობის დაბერება და სამუშაო ძალის შემცირება მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს არსებული სისტემის მდგრადობისთვის. აქედან გამომდინარე, მთავრობა გეგმავს დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნას, რომელიც პენსიონრებს უზრუნველყოფს ადეკვატური, ხელმისაწვდომი და მდგრადი სარგებლით. აღნიშნული საკითხი უკვე ასახულია

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში „საქართველო 2020“. საპენსიო რეფორმას, გარდა მოსახლეობის ადეკვატური პენსიით უზრუნველყოფისა, აქვს პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე. არსებული ლიტერატურის და ემპირიული მონაცემების თანახმად, საპენსიო ფონდის შექმნა ხელს უწყობს გრძელვადიან პერიოდში დანაზოგების ზრდას, ფისკალური ტვირთის შემცირებას, ფინანსური ბაზრების განვითარებას, შრომითი ბაზრის ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპის დაჩქარებას. ამ კვლევის მიზანია განიხილოს და რაოდენობრივად შეაფასოს საქართველოში დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტები და განსაზღვროს დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფისკალური ტვირთი. საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა შენატანებზე დაფუძნებული სისტემის ამოქმედებაზე, რომელშიც 2-2%-ს შეიტანენ დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო. შენატანები, თავის მხრივ, გათავისუფლდება გადასახადისაგან. საპენსიო სისტემის საბოლოო სქემა ჯერ არ არის ცნობილი, თუმცა, განხილვა მიმდინარეობს სავალდებულო და ჰიბრიდულ სქემებს შორის. სავალდებულო საპენსიო სისტემის შემთხვევაში ყველა ოფიციალურად დასაქმებული (თუ გარკვეული ასაკობრივი კატეგორიებისთვის გამონაკლისი არ იქნა დაშვებული) ვალდებული იქნება შენატანი განახორციელოს სისტემაში, ხოლო ჰიბრიდიული საპენსიო სქემა გულისხმობს, რომ დასაქმებულები ავტომატურად ჩაერთვებიან საპენსიო სისტემაში, თუმცა შეეძლება შემდეგ სისტემიდან გამოსვლა.

ჩვენი მიზანია შევაფასოთ ჰიბრიდული და სავალდებულო საპენსიო სისტემის ეფექტი საქართველოს ეკონომიკურ გარემოზე. კვლევის ფარგლებში შეიქმნა მოდელი, რომელიც დემოგრაფიული და ეკონომიკური ცვლადების პროგნოზზე დაყრდნობით აფასებს საპენსიო რეფორმის ეფექტს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ორივე (სავალდებულო და ჰიბრიდული) საპენსიო სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს დანაზოგების წილის ზრდას, რასაც, თავის მხრივ, დადებითი ეფექტი ექნება მშპ-ს ზრდაზე. თუმცა, სავალდებულო საპენსიო სისტემის ეფექტი, გამომდინარე დასაქმებულების მაღალი ჩართულობიდან, აღემატება ჰიბრიდული მოდელის ეფექტს. ასევე, კვლევის ფარგლებში შეფასდა საპენსიო რეფორმის ფისკალური ტვირთი. ჩვენი გათვლებით დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვას საბიუჯეტო შემოსავლების 1.5%-დან 3.5%-მდე ხარჯი დასჭირდება. ჰიბრიდული საპენსიო სისტემის დანერგვის შემთხვევაში, საბიუჯეტო ხარჯები მნიშვნელოვნად ნაკლებია სავალდებულო სქემასთან შედარებით, რაც გამომდინარეობს დასაქმებულების ნაკლები ჩართულობიდან. მთლიანობაში ორივე საპენსიო სისტემის ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად მოკლევადიანი საბიუჯეტო ხარჯისა, დაგროვებითი საპენსიო რეფორმას მნიშვნელოვანი გრძელვადიანი სარგებელი აქვს.

საპენსიო რეფორმის საჭიროება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) პროგნოზის თანახმად, საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას ზრდის ტენდენცია აქვს, ხოლო შობადობის კოეფიციენტი მცირდება. შედეგად, 2050 წელს საქართველოს მოსახლეობის 25%-ს პენსიონრები შეადგენენ. ასევე, მნიშვნელოვნად იზრდება 65 წელს ზევით მყოფი მოსახლეობის დამოკიდებულების კოეფიციენტი 15-64 წლამდე მოსახლეობაზე. გაეროს პროგნოზით, აღნიშნული მაჩვენებელი 2050 წელს 2015 წელთან შედარებით 19 % პუნქტით გაიზრდება და 41%-ს შეადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად

გაიზრდება საპენსიო ხარჯების ფისკალური ტვირთი, რაც საპენსიო სისტემის მდგრადობის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს. გარდა ფისკალური ტვირთისა, უნივერსალური საპენსიო მოდელი ვერ უზრუნველყოფს შემოსავლის ჩანაცვლების მაღალ მაჩვენებელს. შესაბამისად, პენსიაზე გასვლის შემთხვევაში პენსიონრების საშუალო შემოსავალი მნიშვნელოვნად მცირდება. ასევე, არსებული კვლევების უმეტესობის მიხედვით დაგროვებით საპენსიო სისტემას აქვს დადებითი ეფექტი გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებაზე. შესაბამისად, დაგროვებითი საპენსიო სისტემის არარსებობა გარკვეულწილად ეკონომიკური ზრდის წახალისების ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა. ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, საჭიროა დაგროვებით საპენსიო სისტემაზე დროული გადასვლა, რათა გრძელვადიან პერიოდში შემცირდეს ფისკალური ტვირთი, პენსიონრებს ჰქონდეთ მათი საპენსიო შენატანების შესაბამისი პენსია და, ამავდროულად, ხელი შეეწყოს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის ეკონომიკური ეფექტები. საქართველოს მსგავსად, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ და შობადობის კოეფიციენტის შემცირებამ, საფრთხე შეუქმნა შენატანებისგან დამოუკიდებელ საპენსიო სისტემებს მრავალ ქვეყანაში, რის გამოც, უმეტესობამ ჩაატარა საპენსიო რეფორმა და შემოიღო სრულად ან ნაწილობრივ შენატანებზე დაფუძნებული საპენსიო მოდელი. შენატანებზე დაფუძნებული საპენსიო მოდელს რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს შენატანებისგან დამოუკიდებელ საპენსიო სისტემასთან შედარებით:

1. საპენსიო სისტემა უფრო მდგრადია მოსახლეობის დაბერების შემთხვევაში;
2. მოსახლეობა მიიღებს სამუშაო გამოცდილების და შენატანების ადეკვატურ პენსიას;
3. მცირდება ფისკალური ვალდებულებები გრძელვადიან პერიოდში;
4. უმჯობესდება შრომის ბაზრის ეფექტიანობა;
5. საპენსიო სისტემა ხელს უწყობს დანაზოგების ზრდას და კაპიტალის ბაზრის განვითარებას;
6. მცირდება საპენსიო სისტემის პოლიტიზება.

საპენსიო რეფორმის ეკონომიკური ეფექტი ფართოდაა განხილული მკვლევარების მიერ. ერთ-ერთი მათგანია იუვეი (Yuwei 2005), რომელმაც ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ საპენსიო ფონდის აქტივების მოცულობას აქვს დადებითი ეფექტი მშპ-ს ზრდაზე. ასევე, მიზეზ-შედეგობრივი შეფასების გამოყენებით კვლევა აჩვენებს, რომ საპენსიო ფონდის ზრდა იწვევს ფინანსური ბაზრის განვითარებას. დავისის (Davis 2004), ვოლკერისა და ლეფორის (Walker and Lefort 2002) კვლევებმა აჩვენა, რომ საპენსიო ფონდს დადებითი ეფექტი ჰქონდა ევროპის და სწრაფად განვითარებადი ქვეყნების კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე.

ასევე, სილრმისეულად არის შესწავლილი საპენსიო ფონდის ეფექტი დანაზოგებსა და მშპ-ს ზრდაზე. ტაპიამ (Tapia 2008) შეაფასა საპენსიო რეფორმის ეფექტი რამდენიმე ქვეყანაში. კვლევა აჩვენებს, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემის (ნებაყოფლობითი და სავალდებულო) დანერგვამ ჩილეში ხელი შეუწყო ადგილობრივი ინვესტიციების დონის ზრდას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. საპენსიო რეფორმის შემდეგ დანაზოგების მშპ-სთან ფარდობა გაიზარდა 5%-დან 25%-მდე და დაჩქარდა უძრავი ქონების ბაზრის განვითარება (გრძელვადიანი ფულის გაჩენის გზით). აღნიშნულმა რეფორმამ ხელი შეუწყო კაპიტალის ბაზრის განვითარებას და საწარმოების პორტფელში აქციების და ობლიგაციების

წლის ზრდას. კვლევამ ასევე შეაფასა შერეული საპენსიო რეფორმის ეფექტი პოლონეთის ეკონომიკაზე. ავტორის შეფასებით საპენსიო რეფორმის დანერგვამ ხელი შეუწყო არაფორმალური დასაქმების 10%-ით და ჩრდილოვანი ეკონომიკის 2 პროცენტული პუნქტით შემცირებას (28%-დან 26%-მდე). კვლევა ხაზს უსვამს, რომ არაფორმალური სექტორის სიდიდე ზღუდავს საპენსიო რეფორმის ეფექტურობას. როგორც ემპირიულმა ანალიზმა აჩვენა, ქვეყნებში შედარებით დაბალი არაფორმალური სექტორის წილით საპენსიო რეფორმის ეფექტურობა უფრო მაღალი იყო, რადგან საპენსიო სისტემა მოსახლეობის დიდ ნაწილს ფარავდა. ლათინური ამერიკის ქვეყნებში, (კულუმბია, მექსიკა, პერუ) მაღალი არაფორმალური სექტორის გამო, დაგროვებითმა პენსიამ საშუალოდ სამუშაო ძალის მხოლოდ 25% მოიცვა. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოშიც არაფორმალური სექტორის წილი დიდია, მოსახლეობის დაბალი ჩართულობა საპენსიო რეფორმის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

მეთოდოლოგია. მოცემული კვლევის ფარგლებში შეიქმნა მოდელი დაგროვებითი საპენსიო რეფორმის ეკონომიკური ეფექტის შესასწავლად. მოდელში გათვალისწინებულია დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური ცვლადების პროგნოზები. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით მოდელში მოსახლეობა დაჯგუფებულია ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით და განსაზღვრულია თითოეული ასაკობრივი კატეგორიის მთლიანი შემოსავალი. მოდელი ასევე ითვალისწინებს დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებას თითოეული ასაკობრივი ჯგუფის სიკვდილიანობის და ბუნებრივი მატების ბოლო 5 წლის საშუალო სტატისტიკაზე დაყრდნობით. მაკროეკონომიკური დაშვებები მოიცავს ინფლაციის, რეალური უკუგების, რეალური მშპ-სა და ხელფასების ზრდის პროგნოზებს. ინფლაცია 2017-2027 წლებში შეადგენს 4%-ს და შემდეგ შემცირდება 3%-მდე. მშპ-ს რეალური ზრდა პირველი 10 წლის განმავლობაში შეადგენს 5%-ს, 2028-2037 წლებში მცირდება 4%-მდე, ხოლო შემდეგ უტოლდება 3%-ს. ხელფასების ზრდა ტოლია ნომინალური მშპ-ს ზრდის, ხოლო აქტივების რეალური უკუგება, საპენსიო ფონდის მართვის ხარჯების გათვალისწინებით, შეადგენს 3%-ს მთლიანი პერიოდის მანძილზე (იხ. ცხრილი).

მაკროეკონომიკური დაშვებები

	2017-2027 წლები	2028-2037 წლები	2038-2050 წლები
ინფლაცია	4.0%	3.0%	3.0%
მშპ-ს რეალური ზრდა	5.0%	4.0%	3.0%
რეალური უკუგება	3.0%	3.0%	3.0%
ხელფასების ზრდა	9.0%	7.0%	6.0%

ჰიბრიდული საპენსიო სისტემის გასაანალიზებლად მოდელში გათვალისწინებულია სქემაში მონაწილეთა რაოდენობა. მოდელი ეყრდნობა დაშვებას, რომ 2017-2027 წლების განმავლობაში ფორმალურად დასაქმებული მოსახლეობის 60% მიიღებს მონაწილეობას აღნიშნულ სქემაში, შემდეგი 10 წლის (2028-2037 წლები) განმავლობაში მონაწილეთა რაოდენობა 80%-მდე გაიზრდება, ხოლო 2038-2050 წლებში საპენსიო სქემაში მონაწილეთა წილი ფორმალურად დასაქმებულების 90%-ს მიაღწევს. ხოლო სავალდებულო საპენსიო

სისტემის შექმნის შემთხვევაში, სქემაში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს ფორმალურად დასაქმებულების 100%-ს. აღსანიშნავია, რომ მოდელი არ ითვალისწინებს არაფორმალური დასაქმების შემცირებას. იმ შემთხვევაში, თუ გაიზრდება ფორმალური დასაქმება და საპენსიო სისტემაში მონაწილეთა რაოდენობა, დაახლოებით იგივე პროპორციით გაიზრდება საპენსიო რეფორმის ეფექტი ეკონომიკურ გარემოზე.

იმისათვის, რომ გავანალიზოთ საპენსიო რეფორმის გავლენა მშპ-ს ზრდაზე, ვეყრდნობით სოლოუს მოდელს, რომლის მიხედვითაც ერთ დასაქმებულზე მწარმოებლურობის წონასწორული დონე დამოკიდებულია დანაზოგის წილზე.


$$y^* = A(k^*)^\alpha = A \left(\frac{sA}{n+d} \right)^{\alpha/(1-\alpha)}$$

მოცემულ ტოლობაში, y^* აღნიშნავს მწარმოებლურობის წონასწორულ დონეს, A - ტექნოლოგიურ პროგრესს, s - დანაზოგების წილს, n - მოსახლეობის ზრდის ტემპს და d - კაპიტალის ცვეთას.

გამოკვლევის შედეგები. გამომდინარე იქედან, რომ შენატანების პროცენტი შედარებით დაბალია (6%) სხვა ქვეყნებთან შედარებით, თანხების აკუმულირება ნელი ტემპით ხდება. საწყის წლებში წლიური შენატანი შეადგენს დაახლოებით 250 მლნ ლარს. მოდელის შეფასებით 2050 წლისთვის საპენსიო ფონდში შეგროვებული თანხა შეადგენს მშპ-ს 29%-ს. იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო ფონდში შენატანი თანხა გაზრდის დანაზოგებს და არ მოხდება კერძო დანაზოგების ჩანაცვლება, დანაზოგების წილი მშპ-ში გაიზრდება 1 პროცენტული პუნქტით და შეადგენს 18%-ს. დანაზოგების წილის ზრდას, თავის მხრივ, ექნება დადებითი ეფექტი მშპ-ს ზრდაზე. სოლოუს მოდელზე დაყრდნობით მშპ დაახლოებით 4%-ით უფრო მაღალი იქნება გრძელვადიან პერიოდში.

დიაგრამა 1

მთლიანი აქტივების ფარდობა მშპ-სთან
(ჰიბრიდული სქემის შემთხვევაში)




აღსანიშნავია, რომ მოკლევადიან პერიოდში გაიზრდება ფისკალური ტვირთი, რადგან მთავრობამ უნდა შეიტანოს 2% თითოეული მონაწილესათვის, დამატებით 2% საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის და ასევე მცირედით შემცირდება საგადასახადო შემოსავლები

კონტრიბუციების დაბეგვრისგან გათავისუფლების შედეგად. ფისკალური ტვირთი პერიოდის განმავლობაში მერყეობს მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლების 1.5%-დან 2.5%-მდე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემის არსებობის შემთხვევაში, მთავრობას ნაკლები ზეწოლა ექნება მინიმალური პენსიის გაზრდაზე. თუ დავუშვებთ, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემის არარსებობის შემთხვევაში მთავრობა გაზრდიდა მინიმალურ პენსიას ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპით, ხოლო დაგროვებითი საპენსიო სისტემის არსებობის შემთხვევაში გაზრდის მხოლოდ ინფლაციის ტემპით, მაშინ მთავრობა შეძლებს დაზოგოს მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლების 0.5%-დან 1%-მდე. გარდა ამისა, საპენსიო სისტემაში ჩართული მოსახლეობისათვის ნაკლები სოციალური ხარჯი იქნება საჭირო და ასევე მშპ-ს ზრდის შედეგად გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლები. შესაბამისად, მიუხედავად მოკლევადიან პერიოდში გაზრდილი საბიუჯეტო ტვირთისა, გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული საპენსიო რეფორმა ბიუჯეტის ტვირთს შეამცირებს და საპენსიო სისტემას მდგრადს გახდის.

იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო სისტემაში ჩართვა სავალდებულო იქნება ოფიციალურად დასაქმებულთათვის, მაშინ საპენსიო ფონდში შეგროვებული თანხა მიაღწევს მშპ-ს 35%-ს. გარდა ამისა, ჩართულობის ზრდას დადებითი ეფექტი ექნება დანაზოგების წილის ზრდაზე და, შესაბამისად, მშპ-ს ზრდაზე. სოლოუს მოდელზე დაყრდნობით მშპ გაიზრდება დაახლოებით 6%-ით. თუმცა, მაღალი ჩართულობა გამოიწვევს მთავრობის ხარჯების 1 პროცენტული პუნქტით გაზრდას და მიაღწევს საბიუჯეტო შემოსავლების 2.5%-დან 3.5%-მდე.

დიაგრამა 2

**მთლიანი აქტივების ფარდობა მშპ-სთან
(სავალდებულო სქემის შემთხვევაში)**



საპენსიო რეფორმას, ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი ეფექტის (დანაზოგების ზრდის ეფექტი) გარდა, შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირი ეფექტებიც. არაპირდაპირი ეფექტები მოიცავს: კაპიტალის ბაზრის განვითარებას, არაფორმალური დასაქმების და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებას. როგორც კვლევებმა აჩვენა (Levin და Zervos (1998), Rousseau და Wachtel (1998), და Lefort და Walker (2002) საპენსიო რეფორმას აქვს დადებითი გავლენა კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე, რადგან ბაზარს აწვდის გრძელვადიან ფულად რესურსს

და ხელს უწყობს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას. დაგროვებითი საპენსიო რეფორმის შემოღებამ ხელი შეუწყო პოლონეთში არაფორმალური დასაქმების და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებას. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საპენსიო რეფორმის დადებითი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე შესაძლოა უფრო დიდი აღმოჩნდეს.

ამრიგად, ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შევაფასეთ ჰიბრიდული და სავალდებულო საპენსიო სისტემის ეფექტი საქართველოს მაკროეკონომიკურ გარემოზე. კვლევის ფარგლებში შეიქმნა მოდელი, რომელიც ეყრდნობა პროგნოზს დემოგრაფიული და ეკონომიკური ცვლადების შესახებ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ჰიბრიდული საპენსიო სისტემის დანერგვის შემთხვევაში საპენსიო ფონდის აქტივები მიაღწევს მშპ-ს 29%-ს 2050 წელს. აღნიშნული სისტემის დანერგვის შემთხვევაში, თუ საპენსიო ფონდში შენატანი თანხა გაზრდის დანაზოგებს და არ მოხდება კერძო დანაზოგების ჩანაცვლება, სოლოუს მოდელზე დაყრდნობით, მშპ გრძელვადიან პერიოდში 4%-ით გაიზრდება. ასევე კვლევის ფარგლებში შეფასდა საპენსიო რეფორმის ფისკალური ტვირთი. ჩვენი გათვლებით, ჰიბრიდული საპენსიო სისტემის დანერგვის შემთხვევაში მთავრობის ხარჯი შეადგენს მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლების 1.5%-დან 2.5%-მდე 2050 წლამდე პერიოდში. თუმცა, გრძელვადიან პერიოდში ბიუჯეტის სარგებელი გაზრდილი მშპ-დან და მინიმალური პენსიის გაზრდაზე ნაკლები ზეწოლისგან, აღემატება ბიუჯეტის მოკლევადიან ხარჯებს.

სავალდებულო საპენსიო სისტემის შემოღების შემთხვევაში, საპენსიო ფონდის აქტივები 2050 წელს მშპ-ს 35%-ს მიაღწევს. ასევე, დანაზოგის ზრდის შედეგად გრძელვადიან პერიოდში მშპ 6%-ით გაიზრდება. თუმცა, ჰიბრიდულ საპენსიო სისტემასთან შედარებით სავალდებულო საპენსიო მოდელს საბიუჯეტო შემოსავლების 1 პროცენტული პუნქტით მეტი საბიუჯეტო ხარჯი დაჭირდება.

გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისა, დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედებას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ეფექტი კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე, არაფორმალური დასაქმების და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებაზე. შემდგომი კვლევებია საჭირო ამ ეფექტების საქართველოსთვის ზუსტად შესაფასებლად. ამ კვლევიდან ცხადია, რომ მიუხედავად მოკლევადიანი საბიუჯეტო ხარჯისა, დაგროვებით საპენსიო რეფორმას მნიშვნელოვანი გრძელვადიანი სარგებელი აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. „საქართველო 2020“, თბ., 2013 .
2. Corbo, Vittorio, and Klaus Schmidt-Hebbel. „Macroeconomic effects of the pension reform in Chile“. Pension Reforms: Results and Challenges (2003): 241-329.
3. Davis, E. Philip, and Yu-Wei Hu. „Does funding of pensions stimulate economic growth?“, Journal of Pension Economics and Finance 7, no. 02 (2008): 221-249.
4. Davis, E. Philip. „Financial development, institutional investors and economic performance“. ed CAE Goodhart“, „Financial Development“, Palgrave (2004).
5. Holzmann, Robert. „Pension reform, financial market development, and economic growth: preliminary evidence from Chile“, 1996: 1-52.
6. Hu, Yu-Wei. „Pension reform, economic growth and financial development-an empirical study“, (2005).

7. Lefort, Fernando, and Eduardo Walker. „Pension reform and capital markets: are there any (hard) links“, World Bank Social Protection Discussion Paper 201 (2002).
8. Levine, Ross and Sara Zervos, „Stock Markets, Banks, and Economic Growth“. The American Economic Review, June, 1998, pp. 537-558.
9. Murphy, Pablo Lopez, and Alberto R. Musalem. Pension funds and national saving. Vol. 3410. World Bank Publications, 2004.
10. Rousseau, Peter L., and Paul Wachtel. „Financial intermediation and economic performance: historical evidence from five industrialized countries“, Journal of money, credit and banking, 1998, 657-678.
11. Tapia, Waldo. Description of private pension systems. 2008.

რეზიუმე

ბოლო წლებში საქართველოში აქტიური დისკუსია და განხილვა მიმდინარეობს ახალი საპენსიო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. არსებული საპენსიო მოდელის მნიშვნელოვანი ნაკლია მისი მზარდი ტვირთი სახელმწიფო ბიუჯეტზე, რაც გამოწვეულია მოსახლეობის დემოგრაფიული ტენდენციებით. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა გეგმავს ახალი დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვას, თუმცა, საპენსიო მოდელის ზუსტი ფორმა ჯერ უცნობია. ამ კვლევის მიზანია შეაფასოს დაგროვებითი საპენსიო სისტემის ეფექტი დანაზოგებზე, მშპ-ის ზრდასა და ფისკალურ ხარჯზე. კვლევის ფარგლებში შეიქმნა მოდელი, რომელიც დემოგრაფიული და ეკონომიკური ცვლადების პროგნოზზე დაყრდნობით აფასებს საპენსიო რეფორმის ეფექტს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ მიუხედავად მოკლევადიანი საბიუჯეტო ხარჯისა, დაგროვებით საპენსიო რეფორმას მნიშვნელოვანი გრძელვადიანი სარგებელი ექნება.

ლიდერობის არსი, თეორიები და მისი როლი ორგანიზაციის მართვაში

ნინო ვარდიაშვილი

ბაკალავრიატის II კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი **მანანა ხარხელი**

„ინოვაცია განასხვავებს ლიდერს მიმდევარისაგან!“

სტივ ჯობსი

ლიდერობა - ეფექტური ხელმძღვანელობის აუცილებელი კომპონენტია. ის გვხვდება ყველგან, სადაც ხალხის სტაბილური (მდგრადი) გაერთიანებაა. თვით სიტყვა „ლიდერი“ აღნიშნავს „წამყვანს“. ლიდერი ჯგუფის ქცევისა და ადამიანებზე გავლენის სიმბოლოა. იგი ვრცელდება თანმიმდევრულად და გულისხმობს მიმდევრების სიმრავლეს ჯგუფში. ლიდერობის როლი ორგანიზაციის მართვაში ბადებს კითხვას, თუ როგორ ახდენს გავლენას

ლიდერი მიმდინარე მოვლენებზე. ლიდერის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა შექმნას და მართოს ორგანიზაციული კულტურა. იგი არა მარტო ქმნის ორგანიზაციულ კულტურას, არამედ წარმოადგენს ამ კულტურის პროდუქტს. ლიდერის როლი პერსონალის მართვის საკითხში განისაზღვრება მისი ძალისხმევით შეარჩიოს ღირსეული კანდიდატები. ლიდერის უნიკალური როლი მდგომარეობს ცვლილებების განხორციელების უნარში, რისთვისაც ის მუდმივად ეძებს ახალ იდეებს, აყალიბებს ხედვას და მისიას ინოვაციებთან მიმართებაში. იგი პროგრესული გარდაქმნების ინიციატორია.

ლიდერობის საკითხით უძველესი დროიდან იყვნენ დაინტერესებულები. ამ ტერმინთან დაკავშირებით უამრავი ვერსია არსებობს, თუმცა გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

- ლიდერობაში ყოველთვის იგულისხმება გავლენის არსებობა - აქ ვგულისხმობთ არა იძულებას, არამედ გავლენას. ეს არის ზემოქმედება, რომელსაც ერთი ადამიანი, ანუ ლიდერი ახდენს მიმდევრებზე;
- ლიდერობა გულისხმობს მიზნების მიღწევას - ადამიანები საკუთარი ხედვის საფუძველზე მიისწრაფიან დასახული მიზნების მიღწევისკენ;
- ლიდერობა ხდება ჯგუფში, ანუ ადამიანი თავის თავის ლიდერი ვერ იქნება. ლიდერობის პროცესისათვის აუცილებელია ორი მხარის არსებობა: უნდა იყოს ლიდერი და მას უნდა ჰყავდეს მიმდევრები, თუნდაც ერთი ადამიანი.

ამ საკითხით დიდი ხნის წინ დაინტერესდნენ და დღესაც აქტიურია ლიდერობის ფენომენის კვლევა. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი თეორია და უამრავი მიმართულება არსებობს ლიდერობის კვლევაზე, შეგვიძლია გამოვყოთ ლიდერობის 5 ფუძემდებლური თეორია. ესენია:

- პირადი თვისებებით ლიდერი;
- ქცევითი (ბიჰევიერისტული) თეორია;
- სიტუაციური თეორია;
- ქარიზმატული ლიდერობა;
- ტრანსფორმაციული ლიდერობა.

ამერიკელმა მეცნიერმა ჰენრი მინცბერგმა თავის ნაშრომებში გამოყო ლიდერის 10 როლი, რომელსაც ლიდერი მიიღებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხარისხით. ის ახდენს ამ როლების დაჯგუფებას სამ დიდ კლასად: ინტერპერსონალური, ინფორმაციული და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული.

ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ლიდერი კარგად აცნობიერებდეს იმ საფრთხეებს, რომლებსაც შეუძლიათ მისთვის როგორც ლიდერისთვის და მისი ორგანიზაციისათვის ზიანის მიყენება.

მთავარი საფრთხეა უპირობო ლიდერობა. ხშირ შემთხვევებში, ადამიანები შინაგანად არ ეთანხმებიან მათი ლიდერის პოზიციას, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, განსხვავებული აზრის ხმამაღლა დაფიქსირებისაგან თავს იკავებენ.

კრიტიკის აცილება მეორე ძალიან მნიშვნელოვანი და ყურადსაღები რისკია. იგი აუცილებლად უნდა დათრგუნოს საკუთარ თავში ლიდერმა, რათა შეძლოს სხვისი განსხვავებული აზრის მოსმენა, გააზრება და სასარგებლოდ გამოყენება.

წინა ორთან შედარებით ყველაზე ვერაგი მესამე საფრთხეა, ვინაიდან მისი შემჩნევა და გააზრება საკუთარ თავში საკმაოდ რთულია. ეს არის ბრძოლა ყველა სხვა ლიდერთან.

სინამდვილეში, პოტენციური ლიდერების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა ნებისმიერი ორგანიზაციისათვის მისი გაძლიერებისა და წინსვლის კარგი ინსტრუმენტია.


აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვიკვლიე ისეთი ქართული კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ ლიდერებს თავის დარგში, რათა შემესწავლა სტრატეგიული ლიდერობის საკითხები. გამოვიკითხე ხუთი კომპანია.ეს კომპანიებია:

1. „ბორჯომი“.1890 წლიდან „ბორჯომის“ მინერალური წყლის საწარმოო ჩამოსხმა დაიწყო. მან სტრატეგიული ლიდერობის გასამტკიცებლად დაისახა საშუალოვადიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კომპანიის შესვლას კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში;
2. „საქართველოს ბანკი“. კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 1903 წლიდან. მისი მისიაა პროფესიონალიზმით, თავდადებითა და მუდმივი ინოვაციებით მხარი დაუჭიროს მომხმარებლებს, ინვესტორებს, თანამშრომლებსა და საზოგადოებას, რათა შეუქმნას მათ წარმატებული მომავალი;
3. შპს „ბარამბო“. ქართული შოკოლადისა და ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია, რომელსაც ანალოგი არა ჰყავს ამიერკავკასიაში, დაარსდა 2009 წლის 11 მარტს. კომპანიას ლიდერის პოზიცია უკავია ბაზარზე. 2010 წელს ბარამბო ISO 9001:2000 სერტიფიკატის მფლობელი გახდა.
4. ქართული ღვინის კომპანია „თბილღვინო“. ამ საწარმოს ისტორია XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. მისი ძირითადი არსია, რომ „თბილღვინო“ იყოს პასუხისმგებელი საწარმოს მიერ ჩამოსხმულ თითოეულ ბოთლზე, ვენახიდან – მომხმარებლამდე, თვალყური ადევნოს ღვინის წარმოების ყოველ ეტაპს, რათა აწარმოოს ხარისხიანი ღვინო.
5. „ნატახტარი“- 2005 წლის სექტემბერში სააქციო საზოგადოება „ლომისმა“ თი-ბი-სი ბანკისა და EBRD-ის უპრეცედენტო ინვესტიციების მოზიდვის შედეგად ააშენა და ამჟამა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლუდსახარში – ნატახტარი. სოფლის დედაქალაქთან სიახლოვე და ნატახტარის წყლის უნიკალური თვისებები შესანიშნავ პირობებს ქმნიდა წარმატებული საწარმოს შესაქმნელად. კომპანიამ მართლაც უმოკლეს ვადაში მოახერხა ლიდერის სახელის მოპოვება. დღესდღეობით იგი ახორციელებს ექსპორტს საბერძნეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ამერიკაში, უკრაინაში, პოლონეთსა და ლატვიაში.

ლიდერის წარმატებას განაპირობებს მისი თვისებები და უნარ-ჩვევები. ამიტომ, შევეცადე დამედგინა ქართული კომპანიის მენეჯერებს რა ძირითადი თვისებები გააჩნდათ. კითხვარით შეთავაზებული იყო 10 ძირითადი თვისება, რომელიც ლიდერისათვისაა დამახასიათებელი და რესპოდენტს ამ ჩამონათვალიდან უნდა მოენიშნა ის თვისებები, რომელიც მას გააჩნდა. შედეგები ასე გადანაწილდა (იხ. ცხრილი 1).


ამ შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კომპანიის მენეჯერების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ძირითადად 3 თვისება: მოსმენის უნარი, ინიციატივიანობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. მენეჯერთა შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობა თვლის, რომ აუცილებელია ექსტრავერტულობა და ქარიზმა.

ცხრილი 1




კითხვაზე - რა არის კომპანიის სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობა, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2



შედეგები ცხადყოფს, რომ კომპანიათა უმეტესობას არ ესმის კონკურენტული უპირატესობის არსი. როგორც წესი, კომპანიას კონკურენტული უპირატესობა არ შეიძლება ჰქონდეს ყველა მიმართულებით. ამასთან, საბანკო სფეროში მოქმედი კომპანიების ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობად კომპანიის სანდოობა განიხილება. ამ კომპანიებიდან გამოვარჩევი კომპანია ბარამბოს, რომელსაც უნიკალური სადისტრიბუციო ქსელი აქვს. ხოლო ბორჯომი და საქართველოს ბანკი გამოირჩევიან ბრენდის ცნობადობით, მაღალი რეპუტაციითა და პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხით. რაც შეეხება „თბილღვინოს“ იგი გამოირჩევა პროდუქციის დიზაინით და ახასიათებს სავაჭრო ნიშნის ცნობადობა და პროდუქციის მაღალი ხარისხი. „ნატახტარის“ კონკურენტული უპირატესობა კი სანდოობის მაღალ ხარისხსა და ბრენდის ცნობადობაში გამოიხატება.


კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ლიდერები ცვლილებების პროცესს. მათ ცვლილებების პროცესი უნდა დაეყოთ სამ ნაწილად: ძალიან მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი. პროცენტულ გამოსახულებაში კი შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი 3) .



მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცვლილებების საჭიროება თითქმის ყველა კომპანიაში მაღალია. მეორე მხრივ, კომპანიათა უმეტესობა თვლის, რომ ცვლილებები ან ძალიან მნიშვნელოვანია, ან მნიშვნელოვანია კომპანიის მომავალი განვითარებისათვის. ამის მიზეზი შეიძლება იყოს კომპანიებში არსებული გამოწვევები, ან გარე გარემოში მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ ადაპტური მოქმედებები. ცვლილებების საჭიროების რეიტინგი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. კომპანია „ბორჯომი“ (დადებითი შეფასება 80%);
2. ბარამბო (დადებითი შეფასება 75%);
3. თბილღვინო (დადებითი შეფასება 75%);
4. საქართველოს ბანკი (დადებითი შეფასება 70%);
5. ნატახტარი (დადებითი შეფასება 70%).

მხოლოდ მოტივირებულ ადამიანებს შეუძლიათ შექმნან ყველაზე ფასეული რამ ორგანიზაციისათვის. სწორედ ამიტომ, კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა იმის დაზუსტება თუ როგორ ცდილობენ კომპანიები მოტივაციის გაზრდას. მე შევთავაზე კომპანიებს მოტივაციის ზრდის 6 ძირითადი აპრობირებული მეთოდი და ვთხოვე აზრის დაფიქსირება, თუ რომელ მეთოდს იყენებენ ყველაზე ხშირად. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ შედეგები ძალიან საინტერესოა, რომელიც მრავალმხრივი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ ჯერ გავეცნოთ შედეგებს გრაფიკული ფორმით. კითხვაზე: როგორ გაზრდით თანამშრომლების მოტივაციას?– გაცემული პასუხებიდან მივიღეთ შემდეგი სურათი.



კვლევაში მონაწილე 5 კომპანიიდან თითოეულ მათგანს უნდა აერჩია შეთავაზებული 6 მეთოდიდან მხოლოდ 2 მათგანი. ხოლო თითოეულ მეთოდს მინიჭებული ჰქონდა ქულები (1-

დან 6-მდე), თუმცა ამ ქულების შესახებ კომპანიებმა არ იცოდნენ. შედეგად მიღებული გრაფიკი გვაჩვენებს რეიტინგს თუ სად არის ყველაზე მაღალი მოტივაციის ხარისხი. ამრიგად, რეიტინგი შემდეგნაირად დალაგდა:

1. საქართველოს ბანკი ($6 + 4 = 10$);
2. ბარამბო ($3 + 5 = 8$);
3. ბორჯომი ($3 + 4 = 7$);
4. თბილღვინო ($4 + 3 = 7$);
5. ნატახტარი ($3 + 2 = 5$).


მიმაჩნია, რომ აღნიშნული მეთოდებიდან ყველაზე რთულად მისაღწევი და ყველაზე დიდი მოტივაციის მიმცემია ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის შეფასების სისტემის დანერგვა. ეს პროცესი საბანკო სფეროში მონაწილე ბანკებისათვის, სადაც ყოველი დღის ბოლოს ხდება თითოეული თანამშრომლის დღიური სამუშაოს შეფასება, ამარტივებს თანამშრომლების ინდივიდუალურ შეფასებას, რაც თავისთავად გაცემულ პრემიებში აისახება. სწორედ ამიტომ, საქართველოს ბანკი აღმოჩნდა ლიდერი ჩვენს რეიტინგში, მისი ლიდერობა იმანაც განაპირობა, რომ თითოეულ თანამშრომელს მუშაობა უწევს კომფორტულ გარემოში.

ყველაზე საინტერესო მაჩვენებელი აქვს კომპანია ბარამბოს. ანაზღაურების ზრდა და დაწინაურების სისტემა განსაზღვრავს მისი ლიდერობის პოზიციას. მენეჯერები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ თანამშრომლების მუშაობის პროცესი წარიმართოს სასიამოვნო გარემოში და კომპანიის შემოსავლების კვალდაკვალ მიიღოს თანამშრომელმა გაზრდილი ანაზღაურება. ეს კი, თავის მხრივ, ბარამბოში მომუშავე ადამიანებს უზრდის მოტივაციას, იმუშაონ კიდევ უფრო მეტი მონდომებით.

ასევე აღსანიშნავია კომპანია „ნატახტარი“, რომელიც აწყობს წამახალისებელ და გასართობ ღონისძიებებს თანამშრომლებისთვის.

გამოკითხული კომპანიები მთავარ საფრთხეებად ასახელებენ რამდენიმე მათგანს.

ცხრილი 5




აქ ჩანს, რომ კომპანიათა უმეტესობა თვლის, რომ პოტენციურ საფრთხეებში მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე არასასურველი პროცესები და ახალი კონკურენტის გამოჩენა სახელდება. ამასთან, სახელმწიფოს პოლიტიკა ითვლება ნაკლები საფრთხის შემცველად, ხოლო მომხმარებელთა მოთხოვნების ზრდა არც ერთ კომპანიას არ მიაჩნია საფრთხის შემცველად და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთ შემთხვევაში კომპანიებს შესწევთ უნარი დააკმაყოფილონ მომხმარებელთა გაზრდილი და მრავალფეროვანი მოთხოვნილებები.

ყოველი ორგანიზაცია ცდილობს წინასწარ ჩამოაყალიბოს სტრატეგიული ხედვა, თუ რისი გაკეთება მოუწევს კომპანიას მომავალში. ლიდერის ძირითადი უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ჰქონდეს ნათელი ხედვა თუ რისი გაკეთება შეუძლია და მოახდინოს გავლენა თანამშრომლებზე იმისათვის, რომ მიაღწიონ დასახულ მიზანს.

ლიდერობის კვლევის პროცესში გამოვლინდა 9 ძირითადი მიმართულება, რომლის განვითარებასაც აპირებენ კომპანიები უახლოეს მომავალში.

ცხრილი 6



გამოკვლეული კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა მოცემული მიმართულებებიდან აპირებს 4 და მეტი განვითარების შესაძლებლობების გამოყენებას. ეს იმაზე მიუთითებს, რომ არც ერთ კომპანიას დღეისათვის ყველა რესურსი არა აქვს ათვისებული და ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, შესწევს უნარი შეიძინოს ახალი რესურსები და უნარები.

დასახელებული კომპანიებიდან საბანკო სფეროს წარმომადგენლისათვის ძირითად მიმართულებად რჩება სიახლე და ინოვაცია, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები და თანამშრომელთა მოტივაცია.

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდასა და არსებული სიმძლავრეების მაქსიმალურ გამოყენებას აპირებს ბარამბო, ნატახტარი, თბილღვინო და ბორჯომი.

პროდუქციისა და მომსახურების გაფართოებას გეგმავს ბარამბო, ნატახტარი და საქართველოს ბანკი, ხოლო მოტივაციის ზრდის შესაძლებლობები კვლავაც რჩება ყველა კომპანიის მთავარ გამოწვევად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლიდერობის ხელოვნება, „სტრატეგია და ორგანიზაცია“, საუკეთესო სტატიების კრებული, თბ., პალიტრა L 2012.
2. მართვის ახალი გეომეტრია, „სტრატეგია და ორგანიზაცია“, საუკეთესო სტატიების კრებული, თბ., პალიტრა L 2012.
3. მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის, „სტრატეგია და ორგანიზაცია“, საუკეთესო სტატიების კრებული, თბ., პალიტრა L 2012 .
4. ჟვანია ი., კიკნაძე გ., ლიდერი და ლიდერობა, თბ., 2011.
5. ხომერიკი თ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008.
6. თევდორაძე მ. ნასყიდაშვილი ნ, ნ. ლოლაშვილი ნ., ზაზაშვილი, თ. პატიაშვილი ნ.. მენეჯმენტი (ზოგადი მენეჯმენტი), I ნაწილი, თბ., 2009.

7. <http://bankofgeorgia.ge/>.
8. <http://www.borjomi.com/ge/history/>.
9. <http://barambo.ge/ge/about>.
10. http://www.tbilvino.ge/index.php?page=home&hl=ge_GE.
11. http://natakhtari.ge/?action=page&page_id=31&pageon=31&lang=geo.

რეზიუმე

პრობლემები, რომლებიც სტატიის შესრულების პროცესში გამოვლინდა, ასე გამოიყურება: თანამშრომლები მოტივირებულნი არიან შეასრულონ მხოლოდ მინიმალური მოთხოვნები, რათა მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, არ ხდება მათი პოტენციალის სრულად შეფასება და გამოყენება.

შედეგად მიღებული დასკვნები და მსოფლიოში მენეჯმენტის მიდგომებისადმი არსებული აპრობირებული მეთოდი საშუალებას გვაძლევს კომპანიებს შევთავაზო რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია: ყურადღება დაუთმეთ ახალი თანამშრომლების აყვანას; დაუთმეთ საკმარისი დრო თანამშრომლებთან ურთიერთობას; იმოქმედეთ საერთო და წინასწარ შეთანხმებული წესებით; ორიენტაცია აიღეთ თანამშრომლების კმაყოფილებაზე.

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA) და საქართველო

სულიკო თვალაძე

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **რამაზ ფუტყარაძე**

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია არის თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაცია ოთხ ქვეყანას შორის: ისლანდია (Iceland), ლიხტენშტეინი (Liechtenstein), ნორვეგია (Norway) და შვეიცარია (Switzerland). მისი ძირითადი მიზანია წევრ-ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. მათ შორის გაუქმებულია ყველანაირი ბაჟი, მაგრამ საგარეო სავაჭრო ტარიფები მესამე ქვეყნებთან შენარჩუნებულია.

ევროპული ვაჭრობის ასოციაცია შეიქმნა 1960 წელს, 3 მაისს სტოკჰოლმის კონვენციის საფუძველზე. EFTA-ში შევიდა თავდაპირველად 7 ქვეყანა: ავსტრია, დანია, ნორვეგია, შვედეთი, პორტუგალია, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო (მათ ხშირად მოიხსენიებენ როგორც „გარე შვიდეული“ (Outer seven)). ფინეთი ასოცირებული წევრი გახდა 1961 წელს და სრული წევრი გახდა 1986 წელს. 1970 წელს შეუერთდა ისლანდია. 1972 წელს კი გაერთიანებული სამეფო და დანია შეუერთდა ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას (EEC) და შესაბამისად აღარ იყვნენ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრები. 1985 წელს პორტუგალიამ დატოვა EFTA, ხოლო 1995 წელს ავსტრია, ფინეთი და შვედეთი შეუერთდა ევროკავშირს და დატოვეს EFTA . 1991 წელს კი ლიხტენშტეინი გაწევრიანდა EFTA-ში. EFTA

აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყანასთან და ცდილობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უფრო მეტად გაღრმავებასა და გამარტივებას. იგი ასევე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამჟამად EFTA-ს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული მსოფლიოს 35 ქვეყანასთან (მათ შორისაა: კანადა, ჩილე, ეგვიპტე, მაკედონია, ისრაელი, მექსიკა, სინგაპური, თურქეთი და სხვ.). მოლაპარაკებები დღეისთვისაც მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

ევროპის ეკონომიკური ზონა (EEA – European Economic Area) დაარსდა 1994 წლის 1 იანვარს EFTA-ს სამ წევრი ქვეყნის - ისლანდიის, ლიხტენშტეინის, ნორვეგიის - და ევროკავშირის (EU) მიერ. ევროპის ეკონომიკური ზონის შექმნის მიზანი იყო საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა. ეს არის EU და EFTA-ის მოქმედებათა ჯაჭვის კოორდინაციის ორგანო. EEA-ს სტრუქტურაში არის ორი მნიშვნელოვანი ორგანო: ევროპის ეკონომიკური ზონის საბჭო - ეს არის უმაღლესი პოლიტიკური ორგანო და ევროპული ეკონომიკური ზონის გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც მიმდინარე საქმიანობებზე აგებს პასუხს.

შვეიცარია არ არის EEA-ს წევრი, მაგრამ აქვს მთელი რიგი შეთანხმებები ევროკავშირთან.

EFTA-ის ძირითადი მმართველობითი ორგანოებია: ასოციაციის საბჭო, სამდივნო და მუდმივი კომიტეტები.

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის საბჭო უმაღლესი ორგანოა. საბჭო, როგორც წესი, იკრიბება წელიწადში რვაჯერ ელჩების დონეზე და წელიწადში ორჯერ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. საბჭოს შეხვედრებზე წყდება სხვადასხვა პოლიტიკური საკითხი, რომელიც შეეხება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას. თითოეულ წევრ-აახელმწიფოს ჰყავს თავისი წარმომადგენელი და თითოეულს აქვს ერთი ხმა, თუმცა გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. საბჭო განიხილავს არსებით საკითხებს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის განვითარებასთან მესამე ქვეყნებთან ურთიერთობასთან და მის მართვასთან. საბჭოს სტრუქტურაში შედის: საპარლამენტო, საკონსულტაციო, ეკონომიკური, მესამე ქვეყნებთან ურთიერთობის, აუდიტორთა, საბიუჯეტო და სხვა კომიტეტები.

სამდივნო ახორციელებს EFTA-ის ყოველდღიურ საქმიანობას. სამდივნოში დასაქმებულია დაახლოებით 100 თანამშრომელი. სათაო ოფისი მდებარეობს ჟენევაში, სადაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების შესახებ და დახმარებას უწევს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის საბჭოს.

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სტატისტიკური ოფისი მდებარეობს ლუქსემბურგში. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სტატისტიკური ოფისი (ESO) მდებარეობს Eurostat-ის შენობაში.

	მიერთება	მოსახლეობა (1 იანვარი, 2014)	ფართობი (კმ ²)	დედაქალაქი	მშპ ერთ სულ მოსახლეზე
ისლანდია	1 იანვარი, 1970	325.671	103.000	რეიკიავიკი (Reykjavík)	39.223

ლიხტენშტეინი	1 იანვარი, 1991	37.129*	160	ვადუცი(Vaduz)	98.432
ნორვეგია	3 მაისი, 1960	5.109.056	384.802	ოსლო(Oslo)	53.470
შვეიცარია	3 მაისი, 1960	8.136.689*	41.285	ბერნი (Bern)	45.417

ეთვა-ის მონაცემებით (2015 წელი)

ისლანდია - ევროპის, ატლანტის ოკეანეში, შუა ატლანტიკურ ქედზე არსებული კუნძულოვანი ქვეყანაა. მისი ოფიციალური სახელწოდებაა ისლანდიის რესპუბლიკა რაც „ყინულოვან ქვეყანას ნიშნავს“.


- სახელმწიფო სისტემა - საპარლამენტო რესპუბლიკა
- სახელმწიფოს მეთაური - პრეზიდენტი (Olafur Ragnar GRIMSSON, 1996-დან)
- საკანონმდებლო ორგანო - ერთპალატიანი პარლამენტი (63 წევრი)
- ადმინისტრაციული დაყოფა - 23 რეგიონი და 14 ქალაქი
- მოსახლეობა - 98,3%-ისლანდიელები
- ვალუტა - ისლანდიური კრონა

ძირითად რესურსებად მოიაზრება თევზი, ჰიდროენერგია, გეოთერმული ენერგია, დიატომიტი. ახორციელებს თევზის, ალუმინის, რკინის და ა.შ ექსპორტს.

შემოსავალი ერთ სულზე - 24.950\$.

ისლანდიას აქვს შერეული ეკონომიკა, თავისუფალი ვაჭრობის მაღალი დონე და მთავრობაც ერევა ქვეყნის ეკონომიკის დარეგულირებაში. თუმცა, ხელისუფლების ხარჯი უფრო ნაკლებია, ვიდრე სკანდინავიის სხვა ქვეყნებში. 1990 წელს ისლანდიაში გატარდა თავისუფალი საბაზრო რეფორმები, რომელმაც თავდაპირველად ძლიერი ეკონომიკური ზრდა გამოიწვია. შედეგად, ისლანდია შეფასდა, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალი ეკონომიკური თავისუფლების დონის მატარებელი ქვეყანა. 2006 წლიდან, ისლანდიას შეექმნა ეკონომიკურ პრობლემები, კერძოდ კი - მიდმინარეობდა ინფლაციური პროცესები და ქვეყანას ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. შემდგომი რეფორმებით იგი გაუმკლავდა ფინანსურ კრიზისს. იგი იძულებული გახდა მიეღო დაფინანსება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რიგი ევროპული ქვეყნებისაგან.

ინფლაციის დონე



- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობა - 10% (2005 წ.)
- ჯინის კოეფიციენტი - 28 (2006 წ.)
- სამუშაო ძალა - 184,900 (2013 წ.) მომსახურება - 73%, მრეწველობა - 22%, სოფლის მეურნეობა - 4.8% (2008 წ.)

უმუშევრობის დონე



მთლიანი შიგა პროდუქტი - 10074 მლნ. ევრო (2011 წ.)


მთავარი საექსპორტო პარტნიორები არიან: ნიდერლანდები - (30,18%), გერმანია - (12,59%), გაერთიანებული სამეფო - (9,37%), აშშ - (4,63%), ნორვეგია - (4,57%), საფრანგეთი - (4,35%) და სხვა (34,305).

მთავარი საიმპორტო პარტნიორები: ნორვეგია, აშშ, გერმანია, ჩინეთი, ბრაზილია, ნიდერლანდები და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

Foreign Direct Investment


Units: Millions of kronur



- ლიბტენშტეინი - მას დასავლეთით ესაზღვრება შვეიცარია, ხოლო სამხრეთით ავსტრია
- სახელმწიფო სისტემა - კონსტიტუციური მონარქია

- სამუშაო ძალა - სოფლის მეურნეობა - (0,8%), მრეწველობა - (39,4%), მომსახურება -(59.95%) (2010 წ.)
- უმუშევრობა - 2,5% (2011წ.)
- ვალუტა – შვეიცარიული ფრანკი

ინფლაციის დონე



უმუშევრობის დონე




ლიხტენშტეინი, შესაძლოა, ძირითადად ცნობილია როგორც ფინანსური ცენტრი, მაგრამ უდიდესი წილი მის ეკონომიკაში წარმოებს უჭირავს. იგი სთავაზობს მსოფლიოს მაღალ სამრეწველო და ტექნოლოგიურ პროდუქციას. ქვეყანა აქტიურად უერთდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას. იგი არის ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, როგორცაა: გაერო (1990წ.), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (1995წ.) და ა.შ.

მთლიანი შიგა პროდუქტი - 3860 მლნ. ევრო (2011 წ.)

წორვეგია - წორვეგიის სამეფო მონარქიული სახელმწიფოა.

სამუშაო ძალა - 2,645 მლნ; სოფლის მეურნეობა - (2,9%), მრეწველობა - (21,1%), მომსახურება - (76%) (2008 წ.)

უმუშევრობის დონე




ძირითადი ინდუსტრია - ნავთობი და ბუნებრივი აირი, ქაღალდის პროდუქტები, ლითონები და ა.შ.

მთავარი საექსპორტო პარტნიორები: გაერთიანებული სამეფო (25,6%), გერმანია (12,6%), ნიდერლანდები (12%), საფრანგეთი (6,7%) და ა.შ (2011წ.)

მთავარი იმპორტიორი პარტნიორები: შვედეთი (13,6%), გერმანია (12,4%), ჩინეთი (9,3%) და ა.შ

ინფლაციის დონე



ნორვეგია გამოირჩევა ცხოვრების მაღალი დონით, რასაც ადასტურებს Big Mac ინდექსი და სხვა მაჩვენებლები.

- ჯინის კოეფიციენტი - 25 (2008 წ.)
- მთლიანი შიგა პროდუქტი - 352 858 მლნ. ევრო (2011 წ.)

შვეიცარია - შვეიცარიის კონფედერაცია საპარლამენტო რესპუბლიკაა. მისი ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ეკონომიკაა. ქვეყანაში იღებს მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროებიდან საკმაოდ მაღალ შემოსავალს. აქ ვხვდებით უმუშევრობის დაბალ დონესა და დაბალანსებულ ბიუჯეტს.

- ვალუტა - შვეიცარიული ფრანკი
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობა - 7,9% (2010 წ.)
- ჯინის კოეფიციენტი - 29,6 (2010 წ.)


- სამუშაო ძალა - 4,91 მლნ. (2012 წ.) მათ შორის: სოფლის მეურნეობა - (3,4%), მრეწველობა - (23,4%), მომსახურება - (73,2%) (2010 წ.)

შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა ფარმაცევტულ, მანქანების, საათების წარმოების, საბანკო და სადაზღვეო სექტორებით და ა.შ.


მთავარი საექსპორტო პარტნიორები : გერმანია (19,8%), აშშ - (11,1%), იტალია (7,2%), საფრანგეთი და ა.შ (2012წ.)

მთავარი იმპორტიორი პარტნიორები: გერმანია (29,7%), იტალია (10,2%), საფრანგეთი (8,4%) და ა.შ (2012 წ.).

ინფლაციის დონე



უმუშევრობის დონე



მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ასოციაცია, იგი აწარმოებს შეთანხმებებს მთელ მსოფლიოში. მისი მიზანია უზრუნველყოს მესამე ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობა და მხარი დაუჭიროს ევროპის ქვეყნების ინტეგრაციას. ვაჭრობის მოცულობით იგი მე-12 ადგილზეა, ხოლო EFTA-ს ქვეყნების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1,3 ტრილიონ აშშ დოლარს აღწევს.

ასევე 28 ივნისს, 2012 წელს შვეიცარიის ერთ-ერთ ქალაქში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის დეკლარაციას თანამშრომლობის შესახებ. დეკლარაცია ითვალისწინებს საქართველოსა და EFTA-ს შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარებას. იგი ასევე გულისხმობს ერთობლივი

კომიტეტის ჩამოყალიბებას, რომელიც იმუშავებს ეკონომიკური ურთიერთობების შემგომი გაღრმავებისა და დეკლარაციის მიზნების მიღწევის მიმართულებით. საქართველოს წარმოადგენდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. ხელმოწერის შემდეგ გაიმართა ქართველი მინისტრის შეხვედრები ასოციაციის წევრი ქვეყნების - ისლანდია, ლიხტენშტეინი ნორვეგია და შვეიცარიის - საგარეო საქმეთა და ვაჭრობის ინდუსტრიის მინისტრებთან. ნორვეგიის სამეფო აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. ნორვეგიის სამეფოს თავისი წვლილი შეაქვს საქართველოში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში, გარემოსდაცვით პროექტებსა და ჰუმანიტარულ საქმიანობაში. საქართველოსა და შვეიცარიას შორის მიმდინარეობს თანამშრომლობა ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და ფინანსურ სფეროებში.

2014 წლის 29 სექტემბერს ქალაქ ჟენევაში გაიმართა საქართველოსა და EFTA-ს შორის თანამშრომლობის ერთობლივი კომიტეტის პირველი შეხვედრა, სადაც ქართული მხარის მიერ შეთავაზებული იყო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების დაწყება. EFTA-ს მიერ 2014 წლის 17 ნოემბერს ჟენევაში გამართულ EFTA-ს მინისტრიალზე მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება საქართველოსთან შესაბამისი მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე. 2014 წლის მონაცემებით საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 75,22 მლნ. აშშ დოლარი.

2015 წლის 4 თებერვალს ქ.თბილისში გაიმართა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის თანამშრომლობის ერთობლივი კომიტეტის მეორე სხდომა. საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ბ-ნი მიხეილ ჯანელიძე, ხოლო EFTA-ს მხრიდან ნორვეგიის ვაჭრობის, მრეწველობისა და თევზის რეწვის სამინისტროს სავაჭრო პოლიტიკის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი იან ფარბერგი. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორმა ბ-მა იოსებ ნანობაშვილმა.

„EFTA-ს შეთანხმებები თითქმის ყველა იმ საკითხს მოიცავს, რასაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება ითვალისწინებს. EFTA-ს წევრი სახელმწიფოები აწარმოებენ საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქციის იმპორტს, როგორცაა მინერალური და მტკნარი წყლები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, კარტოფილი და სხვა ბოსტნეული, თხილი და კაკალი, კენკროვანი ხილი და სხვ. EFTA-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შედეგად საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას გაეხსნება კიდევ ერთი მაღალმსყიდველუნარიანი ბაზარი, რომელიც 4 ქვეყანასა და 12 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. თავისთავად ცხადია, რომ საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდას, ასევე ეტაპობრივად ახალი საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეს იქნება პირველი საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც საქართველო ლიხტენშტეინსა და ისლანდიასთან გააფორმებს“ - განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

სხდომაზე მხარეები შეთანხმდნენ, საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბების შეთანხმების შესახებ, მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართოს ქ.თბილისში. მხარეებმა განიხილეს მოლაპარაკებების გამართვის პროცედურული საკითხები და დააფიქსირეს შეთანხმების მიმართ მხარეთა პირველადი პოზიციები.


EFTA-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება იქნება ყოვლისმომცველი შეთანხმება, რომელიც დაფარავს როგორც საქონლით ვაჭრობის სატარიფო ლიბერალიზაციის საკითხებს, ასევე არასატარიფო ბარიერების გადალახვის შესაძლებლობას. საქართველოს EFTA-ს ქვეყნებთან თავისუფალი სივრცის ჩამოყალიბება უზრუნველყოფს ქვეყნის საქონლისა და მომსახურების პრეფერენციულ დაშვებას მნიშვნელოვან ბაზარზე და შესაბამისად, ხელს შეუწყობს ორმხრივი ვაჭრობის ზრდას. ასევე, ამ ქვეყნებში გაზრდის საქართველოს როგორც საინვესტიციო დანიშნულების ქვეყნის მიმზიდველობას.


საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების გადაწყვეტილება EFTA-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ 2014 წლის 17 ნოემბერს მიიღო. აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინირებული მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის ჩათვლით, ბუნებრივად შექმნა ურთიერხელსაყრელი ფონი საქართველოსა და EFTA-ს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გასაღრმავებლად. საქართველო EFTA-სთან თანამშრომლობას განიხილავს როგორც მორიგ მნიშვნელოვან ნაბიჯს, ევროპის სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის მიმართულებით.

EFTA-ს სამდივნო ახორციელებს ასევე ტექნიკური დახმარების პროექტებს, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია საექსპორტო დახმარებას უწევს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს.

1. EFTA – GEORGIA: EVOLUTION OF TOTAL MERCHANDISE TRADE





Note: Merchandise trade data for Liechtenstein are included in the data for Switzerland.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფუტკარაძე რ., საქართველო – ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი, „უნივერსალი“, 2010.
2. Altmann, Jörn/Kulesa, Margaliete (Hrsg.): Internationale Wirtschaftsorganisationen. Ein Taschenlexikon. Stuttgart, 1998.
3. Annual Report of the European Free Trade Association, 2011,EFTA, March 2012.
4. Annual Report of the European Free Trade Association, 2012. March 2013.
5. Bakker A. F. P. International Financial Institution, New York, 1996.
6. McIntosh D., Holmes M, Personal Injury Awards in EU and Efta Countries, 2003.
7. This is EFTA 2013, Gramme SA, Belgium, 2013.
8. This is EFTA 2012, Drifosett, Brussels. 2012.
9. <http://europa.eu>.
10. <http://www.wto.org>.
11. <http://www.efta.int>.
12. <http://www.efta.int/eea>.
13. <http://www.mfa.gov.ge>.
14. <http://www.weforum.org>.
15. <http://www.efta.int/sites/default/files/publications/this-is-efta/this-is-efta-2014.pdf>.
16. http://en.wikipedia.org/wiki/European_Free_Trade_Association.
17. http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Iceland.
18. http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Norway.
19. http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Liechtenstein.
20. http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Switzerland.
21. <http://www.inflation.eu/inflation-rates/norway/historic-inflation/cpi-inflation-norway.aspx>
22. <http://www.efta.int/media/documents/free-trade/trade-statistics/Georgia.pdf>.
23. The Impact of the European Community's Internal Market on the EFTA Volume 17, Issue 8.

რეზიუმე

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაციაა ოთხ ქვეყანას შორის: ისლანდია (Iceland), ლიხტენშტეინი (Liechtenstein), ნორვეგია (Norway) და შვეიცარია (Switzerland). წევრი ქვეყნები საკმაოდ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენენ.

მისი ძირითადი მიზანია წევრ-ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. მათ შორის გაუქმებულია ყველანაირი ბაჟი, მაგრამ საგარეო სავაჭრო ტარიფები მესამე ქვეყნებთან შენარჩუნებულია.

EFTA აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან და ცდილობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უფრო მეტად გაღრმავებასა და გამარტივებას. იგი ასევე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამჟამად EFTA-ს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული მსოფლიოს 35 ქვეყანასთან (მათ შორისაა: კანადა, ჩილე, ეგვიპტე, მაკედონია, ისრაელი, მექსიკა, სინგაპური, თურქეთი და სხვ.). მოლაპარაკებები დღეისთვისაც მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. EFTA-ს ქვეყნების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1,3 ტრლნ დოლარს აღწევს.

2012 წლის 28 ივნისს შვეიცარიაში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის დეკლარაციას თანამშრომლობის შესახებ. დეკლარაცია ითვალისწინებს საქართველოსა და EFTA-ს შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარებას. იგი ასევე გულისხმობს ერთობლივი კომიტეტის ჩამოყალიბებას, რომელიც იმუშავებს ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისა და დეკლარაციის მიზნების მიღწევის მიმართულებით.

2014 წლის მონაცემებით, საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 75,22 მლნ დოლარი. ასევე მზარდია ასოციაციის წევრ სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები. მნიშვნელოვანია აღნიშნული ქვეყნების გამოცდილების გამოყენება ჩვენი ქვეყნისათვის.

მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალი და მისი ხელშეწყობის სისტემა საქართველოში

ნია თოდუა

ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი **ლეილა ქადაგიშვილი**

მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ ინოვაციები წინააღმდეგობების გადაჭრისა და კრიზისების დაძლევის მძლავრი ბერკეტია. ამიტომ, თანამედროვე პირობებში საწარმოს ინოვაციური აქტიურობა კონკურენციულ ბრძოლაში მისი გადარჩენის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ითვლება. მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ქვეყნის, დარგის და თუნდაც ცალკეული ორგანიზაციის ინოვაციური პოტენციალი ინოვაციების დაგროვებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქციად და მომსახურებად, მის სწრაფ გარდაქმნასა და ბაზარზე მიწოდებაზე [1], ანუ სიახლის კომერციალიზაციის სისწრაფეზე. ამის უნარი აქვს მცირე ინოვაციურ მეწარმეობას, მეცნიერებატევად მცირე ბიზნესს. დღეს ევროკავშირი აღიარებს იმ დიდ როლს, რომელსაც მცირე ბიზნესი

თამაშობს ევროპულ ეკონომიკაში. მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ არა მარტო ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებას და პროდუქციის მოცულობის გაზრდის ხერხს, არამედ ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს [2].

მცირე ბიზნესის საწარმოებს, რომლებიც ინოვაციური სუბიექტები არიან, არსებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ წარმოების მოწინავე სფეროების ტექნიკურ განვითარებაში. ახალი ეკონომიკის პირობებში, ვენჩურული კაპიტალის მეშვეობით მცირე ბიზნესის ჩართვა ინოვაციურ პროცესებში აქტიურად ხდება. მცირე ფირმების ინოვაციური საქმიანობა მეცნიერებატევად საფუძველზე მთელი ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის საშუალებას იძლევა. მცირე ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის შეფასებისას უნდა გვახსოვდეს, რომ იგი თავისი ბუნებით ინოვაციურია. ამას ხელს უწყობს მისი შემდეგი მახასიათებლები: მოქნილობა, მობილურობა და აქტიურობა; ინოვაციური საქმიანობისადმი მოტივაცია; შემოქმედებითი ძიების ვიწრო სპეციალიზაცია; საბოლოო შედეგზე ორიენტაცია; გადაწყვეტილების მიმღებ მმართველ პერსონალთა სიმცირე; გუნდის შეკრულობა; მოთხოვნის ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირება; ყველა სახის რესურსისა და, უპირველესად, ინტელექტუალური რესურსის გამოყენებისას საბოლოო შედეგზე ორიენტირება და ა.შ. მრავალი საქონელი, რომელიც დღეს მსოფლიო ტექნოლოგიური მიღწევების დონეს განსაზღვრავს, მაგალითად კომპიუტერები, მობილური ტელეფონები და სხვ. ძირითადად მეცნიერებატევადი მცირე ბიზნესის ინოვაციური აქტივობის შედეგია.

მსხვილ ფირმებთან შედარებით მცირე ფირმები გამოირჩევა მაღალი წარმოებრივი აქტივობით, კარგად აწყობილი კომუნიკაციებით, გადაწყვეტილებათა მიღების სისწრაფით, ფუნქციათა შეთავსებადობით და მრავალი სხვ. მცირე საწარმოთა ხელმძღვანელები თანამშრომლებს სარისკო პროექტებზე საძიებო სამუშაოთა ჩატარებისათვის ანაზღაურებად დროს აძლევენ. მეცნიერებატევადი დარგები მცირე ფირმების საქმიანობის პრიორიტეტული სფეროა. აშშ-ი ახალი საქონლის 55% მცირე ფირმებში იწარმოება. ამჟამად, წარმოებაში მეცნიერებატევად დარგებს მიეკუთვნება: აეროკოსმოსური მრეწველობა, კომპიუტერების წარმოება, კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებათა წარმოება და ფარმაცევტული მრეწველობა. რაც შეეხება მომსახურების სფეროს მასში თანდათანობით იზრდება ისეთი მეცნიერებატევადი დარგების მოცულობა, როგორცაა: განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კავშირის თანამედროვე საშუალებები, ფინანსური მომსახურება და ბიზნეს-მომსახურება. მსოფლიო პრაქტიკით მეცნიერებატევად კომპანიებს მიეკუთვნება ისეთი კომპანიები, რომელთა პროდუქციის (მომსახურების) მოცულობაში ინოვაციებზე დანახარჯების ხვედრითი წონა 4,5%-ზე მეტია.

საქართველოში სამკუთხედის: ბიზნესის უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობა ძალიან დაბალ დონეზეა, რაც განაპირობებს კვლევებისა და განვითარების არაადამაკმაყოფილებელ დონეს. ამგვარი ვითარება განაპირობებს ტექნოლოგიური ტრანსფერის სფეროში არსებულ ვაკუუმს, რაც მცირე ბიზნესის ტექნოლოგიურ აღჭურვას და შესაძლებლობის განვითარებას აფერხებს. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და ინოვაციური განვითარება მწირი მაჩვენებლებით ხასიათდება, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებებსა და რეიტინგებში [3]. ინოვაციის გლობალურ ინდექსში 2013 (GII), საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (IGI) საქართველოს 44-ე ადგილი უკავია 131 ქვეყანას შორის. გლობალური

კონკურენტუნარიანობის (GGI) 2013-2014 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს: ინოვაციების განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი - 118 ადგილი; კომპანიების დანახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე (R&D) - 128-ე ადგილი. არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისათვის, საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა.

საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის დიდი რესურსი გააჩნია. ინფორმაცია სამეცნიერო საწარმოთა ხვედრითი წონის შესახებ მცირე ბიზნესში საქართველოში არ ქვეყნდება. არც საწარმოთა კლასიფიკატორშია სამეცნიერო საწარმოები ავტონომიურად აღრიცხული. ამ მიზეზების გამო საქართველოში ვერც მცირე სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების რაოდენობას დავასახელებთ და ვერც მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობას. სხვა ქვეყნებში კი, მაგალითად, ა.შ.შ. განხორციელებულ ინოვაციებში მცირე საწარმოთა ხვედრითი წონა 5%-ია, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში და ფინეთში 10%. საქართველოში ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს. საბჭოურ პერიოდში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და საკონსტრუქტორო ბიუროების 90% გაუქმდა. ქვეყნის მეცნიერების ინტელექტუალური პოტენციალი გამოუყენებელი დარჩა. ამჟამად, ამ ინტელექტუალური რესურსის რეზერვი შემორჩენილია და თუ მთავრობის მხრიდან იქნება ფინანსური მხარდაჭერა, ისინი დიდი ენთუზიაზმით ჩაებმებიან ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარებაში. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერების (მათ შორის, გამოყენებითი მეცნიერების) განვითარებას და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. სწორედ იგი უნდა იყოს შუამავლის როლში ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ეფექტური ურთიერთობის ორგანიზების საქმეში, სტიმულს აძლევდეს საწარმოებისა და უნივერსიტეტების აქტიურ თანამშრომლობას.

სამწუხაროდ, ბიზნესის დაიტერესება ინოვაციური საქმიანობით ძალიან შეზღუდულია როგორც ცალკეულ დარგებსა და ქვედარგებში, ასევე კონკრეტულ სფეროებში, რომელშიც ესა თუ ის კომპანია მუშაობს. ამდენად, აუცილებლობა ჩნდება ინოვაციებით დაინტერესდეს სახელმწიფო. მან თავისი რესურსები და ბერკეტები უნდა მიმართოს ფინანსური სახსრების აკუმულაციაზე სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციური რეფორმებისათვის, ინოვაციების სტიმულირებისა და კოორდინაციის პროცესზე, ინოვაციების საკადრო უზრუნველყოფაზე, ინოვაციური პროცესების სამართლებრივი რეგულირების საკითხებზე და სხვ. პრიორიტეტულია ინოვაციური პროცესების საერთაშორისო ვექტორის რეგულირება და ინოვაციური საქმიანობის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლება განსაკუთრებით ევროინტეგრაციის ფონზე [4].

დღემდე საქართველოში ერთიანი ინოვაციური პოლიტიკის არგუმენტირებული ორიენტირი არ შემუშავებულა. მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციების გარეშე ეკონომიკის განვითარებაზე არავინ კამათობს, ინოვაციების წახალისების პრაქტიკული მექანიზმი ჯერჯერობით არ არსებობს. მხოლოდ 2014 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“, რომლის მიზანია საქართველო გახდეს ტრადიციულ და ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული საყოველთაო კეთილდღეობის ქვეყანა. ბიზნესის დაბალი კონკურენტუნარიანობის აღმოსაფხვრელად სტრატეგიით განსაზღვრულია ინოვაციებისა და თანამედროვე

ტექნოლოგიების ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: კვლევისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა; ინოვაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება; ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა; თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

საქართველოში მცირე ბიზნესის მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური მიმართულების განვითარება და მხარდაჭერა უნდა დაიწყოს მეცნიერული იდეების დაფინანსებით და დამთავრდეს მისი კომერციალიზაციის (ანუ მზა პროდუქტად და მომსახურებად გარდაქმნის) დაფინანსებით. რაც არ უნდა ტრივიალური იყოს, ინოვაციების განვითარების საკითხებში მთავარი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. ინოვაციური მრეწველობის განვითარებას სახელმწიფომ ხელი სხვადასხვა მეთოდებით უნდა შეუწყოს, იქნება ეს სუბსიდიები, საგადასახადო სტიმული, კანონმდებლობა, კოორდინაცია, ცალკეული მნიშვნელოვანი პროექტები თუ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა. ასეთი ნაბიჯებით განავითარეს ინოვაციური მცირე მეწარმეობა ფინელემბა, დანიელემბა, სინგაპურელემბა, კორეელემბა და სხვებმა. ამ ქვეყნებში პირველი ნაბიჯი მთავრობამ გადადგა. კორეა, რომელიც 60-იან წლებში ცხოვრების დონით განას დონეზე იყო, ამჟამად აზიის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა. არაფერს ვამბობთ ფინეთზე და დანიაზე, რომლებიც ცხოვრების დონით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველები არიან. ზემოთ დასახელებულმა ქვეყნებმა ინოვაციური მიმართულების მცირე მეწარმეობის განვითარება ტექნოპარკების, ბიზნეს-ინკუბატორებისა და ტექნოპოლისების განვითარებით დაიწყეს. ისინი იქმნებოდნენ უნივერსიტეტებთან, სადაც პოულობდნენ საინტერესო იდეების მქონე ადამიანებს, რომელ იდეებზეც მთავრობის დაფინანსებით იქმნებოდა პროექტები. ინოვაციური ცენტრები, ანუ რომელსაც ხშირად ინკუბატორებს უწოდებენ, ხელს უწყობენ მცირე და საშუალო მეწარმეობას, ქმნიან პირობებს კონკურენტუნარიანი ფირმების ფუნქციონირებისათვის, ქმნიან ვენჩურული კაპიტალის ფონდებს. ამ ბოლო პერიოდში დასავლეთის ქვეყნების მსგავსად ასეთი ინოვაციური ცენტრები იქმნება სხვა ქვეყნებშიც, განსაკუთრებით კი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონებში. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში 300-მდე ტექნოპოლისია. მათგან ყველაზე უმსხვილესია ე.წ. „სილიკონის ველი“ (აშშ., კალიფორნიის შტატი), სადაც 17 კონცერნი და 3000 მეცნიერტევადი მცირე საწარმოა განლაგებული, რომელთა წლიური დაფინანსება 5 მლრდ. დოლარია. სილიკონის ველი სანფრანცისკო ბეის სამხრეთ ნაწილს წარმოადგენს (ჩრდ. კალიფორნია) და მოიცავს მთელ სანტა კლარას ველს. ეს რეგიონი წლების განმავლობაში იქცა მსოფლიოს უდიდესი ტექნოლოგიური კორპორაციების სამშობლოდ. ტერმინი „სილიკონის ველი“ ამერიკის მაღალტექნოლოგიური სექტორის სინონიმად იქცა .დღეისათვის, სილიკონის ველზე განთავსება სტრატეგიულ მიზნად იქცა მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომპანიებისათვის. აქ თავს იყრის ისეთი კომპანიები, როგორცაა Facebook, Google, Cisco, Yahoo!, Oracle, Apple, Adobe Systems, eBay, Intel, Twitter და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის ინოვაცია სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. საქართველო ასე თუ ისე ინარჩუნებს მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, კვალიფიციურ სამეცნიერო და საინჟინრო კადრებს, აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები, ფლობს მეწარმეთა მაღალ პოტენციალს, საჭიროა ამ

რესურსებს შორის კავშირის გამყარება, ინოვაციების დონის ამაღლება და შედეგად ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია. ამ საქმეში დიდ როლს შეასრულებს 2014 წელს დაწყებული ახალი სამთავრობო პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება, უძრავი ქონებით უზრუნველყოფა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მასში ჩართულია სამინისტროს სისტემაში შემავალი შემდეგი ორგანიზაციები: „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“, „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“. კერძოდ, მათ მიერ განხორციელებული საგრანტო კონკურსები (ჰაკათონი, მეიქათონი, კრეათონი). საგრანტო კონკურსი სააგენტოს მიერ მეორედ ჩატარდება. მისი მიზანია ინოვაციური იდეების შემუშავებისა და განხორციელების კონკურსების რაოდენობის ზრდა და მათ ბაზაზე კომპანიების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ იმ ფიზიკურ პირს თუ არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელსაც სურვილი აქვს ჩაატაროს ჰაკათონის, მეიქათონის ან კრეათონის ტიპის ღონისძიება. თითოეული მიმართულებით გამოვლინდება ერთი გამარჯვებული. გრანტის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 5,000 ლარს. ასევე აღსანიშნავია ტექნო პარკების მშენებლობა. ტექნო პარკის მშენებლობა ოქროყანაში ზაფხულში დასრულდება. მთლიანი ფართი 3600 კვ. მ-ია. აქ იქნება საკონფერენციო დარბაზები, მაღალი დონის ლაბორატორიები, ინკუბატორები (იდეის საბოლოო დონემდე მიყვანის ყველა რგოლი) და აქსელატორები (საბოლოო დონემდე მიყვანილი პროდუქტის ბაზარზე გატანის დაჩქარების მექანიზმები). ამ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციებზე ორიენტირებული საწარმოებისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პრეფერენცია და ფინანსური მხარდაჭერა, რაც იქნება დამატებითი სტიმული ქართველი მეწარმეებისათვის. პროგრამის რეალიზაციის მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს აგრეთვე ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომლის თანახმად ტარიფებისა და კვოტების გარეშე თავისუფლად შევა ქართული პროდუქცია ევროპის ბაზარზე. ყოველივე ეს სტიმულს მისცემს ქართველ მეწარმეებს განავითარონ ინოვაციებზე ორიენტირებული ბიზნესი და გაზარდონ კონკურენტუნარიანი საექსპორტო საქონლის წარმოების მოცულობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე დ. საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი. თბ. 2012 http://abg.org.ge/docs/sme_support_policy.pdf
2. Горфинкель Б. Я. Малый Бизнес. М., 2011. с.30.
3. John Sloman and Kevin Hinde. Economics for Business. Fourth Edition, 2010, p. 273.
4. Eastern Partnership and Socio-Economic Policy of Georgia. Tbilisi, 2012 http://ciesr.org/files/15%2007%202012%20%20%20EaP_CIESR-Ge.pdf

რეზიუმე

ინოვაციები წინააღმდეგობების გადაჭრის და კრიზისების დაძლევის მძლავრი საშუალებაა. თანამედროვე პირობებში საწარმოს ინოვაციური აქტიურობა კონკურენციულ ბრძოლაში მისი გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. საქართველოს ინოვაციური წარმოების განვითარების დიდი შესაძლებლობა გააჩნია, მაგრამ იგი სათანადოდ არაა გამოყენებული. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს განსაკუთრებით მცირე ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის ინოვაცია სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

ქართული ფირმების ინტერნაციონალიზაცია და საგარეო ბაზარზე შეღწევის სტრატეგიები

სალომე კაპანაძე

მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **დავით სიხარულიძე**

მულტინაციონალური კომპანიების საერთაშორისო საქმიანობის ასახსნელად, თავდაპირველად, რამდენიმე საკვანძო თეორიაა გამოყენებული. მაგალითად, **ინდუსტრიულ-ორგანიზაციული თეორია** (ჰიამერი, 1960; კინდლბერგერი, 1969; ქეივსი, 1971; აგმონი და ლესარდი, 1977), **ინტერნაციონალიზაციის თეორია** (ქოუსი, 1937; პენროუზი, 1959; ბაკლი და ქესონი, 1976; რაგმენი, 1981), **ტრანსაქციული დანახარჯების თეორია** (ვილიამსონი, 1970, 1975; ჰენარტი, 1982). ერთ-ერთი წინააღმდეგობით ნაბიჯი იყო დანიინგის **ეკლექტიკური თეორია**, რომლის მიზანი უფრო დიდი იყო და გულისხმობდა ვაჭრობას, როგორც უცხოური ბაზრების დასაპყრობად განხორციელებული ინვესტიციის ალტერნატივას (დანიინგი, 1977, 1979). უფრო ადრეულ თეორიებში გარემო მოცემული პირობების სახითაა აღებული. სკანდინავიურ თეორიებში გარემო ქვეყნის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. სკანდინავიურმა სკოლამ შემოგვთავაზა ორივე: **უფსალას ინტერნაციონალიზაციის მოდელი** (იოჰანსონ და ვალნე, 1977, 1990; იოჰანსონი და ვეიდერშეიმი-პოლი, 1975) და **კავშირის თეორია** (პენროი, 1959; იოჰანსონი და მატსონი, 1988). ორივე მათგანი დაფუძნებულია ჩრდილოეთის მულტინაციონალურ კომპანიებზე განხორციელებულ დაკვირვებებზე და იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ სხვა მრავალ რეგიონში მცირე და საშუალო საწარმოების ქვეყნის ასახსნელად გამოიყენება.

ინკრემენტალური თეორიის (რომელიც გულისხმობს კომპანიების საერთაშორისო ბიზნესში ნაბიჯ-ნაბიჯ ჩართულობას) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოდელია უფსალას თეორია (Johanson & Wiedersheim-Paul, 1975; Zahra, 2005), რომლითაც დიდი ინდუსტრიული კომპანიები განვითარებული ქვეყნებიდან ბაზრებს დაბალი ფსიქოლოგიური დისტანციის

მიხედვით (Child, Rodrigues, & Frynas, 2009) ირჩევენ. ფსიქოლოგიური დისტანციის კონცეფცია დაკავშირებულია მშობლიური ქვეყნისაგან ისეთ განსხვავებებში, როგორებიცაა: ენა, კულტურა, პოლიტიკური სისტემები, ბიზნესის პრაქტიკა, ინდუსტრიული განვითარება და საგანმანათლებლო სისტემები (Johanson and Vahlne 1977). უფსალას მოდელში ფირმები უფრო მეტად შეისწავლიან სპეციფიკურ ბაზარს, ახდენენ რა მასში უფრო მეტი რესურსების ინვესტირებას. შესწავლის საფეხურზე ფირმები პროგრესირებენ ინტერნაციონალიზაციის შემდეგი ეტაპების გავლით: არარეგულარული ექსპორტი, ექსპორტი აგენტების საშუალებით, საზღვარგარეთ გაყიდვების დეპარტამენტის დაარსება და საზღვარგარეთ წარმოება (Johanson and Wiedersheim-Paul 1975). თითოეული თეორია განვითარდა სპეციფიკური საგარეო კონტექსტის ფარგლებში, რათა აეხსნა დაკვირვების ქვეშ მყოფი ფირმების ქცევები. თუმცა, კონტექსტი იცვლება და თითოეული თეორიის შესაძლებლობა ახსნას დაკვირვების ობიექტის ქცევები, მნიშვნელოვნად მცირდება.

თეორიების განვითარება და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ახალ ეტაპზე გადასვლა. ბევრ ფირმას, 1980- იან წლებში, შეცვლილი პირობების გამო, გაუჩნდა ახალი, უფრო დაჩქარებული საერთაშორისო ბაზრებზე შესვლის სტრატეგიების საჭიროება. მოცემული სტრატეგიები განსხვავდებოდა ინკრემენტალურისგან. ეს ფირმები იგნორირებას უკეთებდნენ წინა საერთაშორისო შეზღუდვებს და მსოფლიოს თავიანთი სწრაფი ინტერნაციონალური შესაძლებლობებით აოცებდნენ (Knight & Cavusgil, 1996; Rennie, 1993).

ვეიშფელდერის ნაშრომში წარმოდგენილია ინტერნაციონალიზაციის თეორიის 50-წლიანი განვითარება. ლაუდანის კრიტერიუმის საშუალებით შესაძლებელია მოცემული თეორიების სტატუსის შემოწმება. ეს კრიტიკული ანალიზი არის სინთეზა და მიმოხილვაზე მეტი. ის აგრეთვე არის ერთგვარი „მოსაწვევი“ - თეორიების გასაუმჯობესებლად.

რიალფი გვთავაზობს ჰოლისტიკურ შეხედულებას იმისთვის, რათა მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის განმარტებამ მოიცვას შეღწევის კონცეფციების ინტეგრაცია. ბარეტო და როჩა ფოკუსირებას ახდენენ გლობალურ ეკონომიკაში დამწყები კომპანიების შეღწევის სტრატეგიებზე. ისინი გვთავაზობენ მრავალფეროვან ქეისებს მოცემული ჩარჩოების ფარგლებში. შენ ეტ-ი ფოკუსირდება ოკეანეთში მოღვაწე მაღალტექნოლოგიური ფირმების ბაზარზე შეღწევისა და ტექნოლოგიურ ტრანსფერებს შორის არსებულ კავშირზე. მათი მიგნებები ერთგვარი გამოწვევაა ტრადიციული თეორიებისათვის სხვადასხვა ჭრილით.

როსენცვაიგი და შანერი ხაზგასმით აღნიშნავენ განსხვავებას ინტერნაციონალიზაციის საყოველთაოდ მიღებულ ხედვასა და თანამედროვე ხედვას შორის, რომელიც ხასიათდება შეღწევის ხერხების მრავალგვარობით, შესაძლებლობების მცირე სპექტრით და მცირე და საშუალო საწარმოების მხრიდან საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდული რესურსების მონაწილეობით, ხაზს უსვამენ მამოძრავებელ ძალებს და უცხოური ინვესტიციებისთვის ახალ მოტივაციებს გვთავაზობენ.

ლი-ს ნაშრომში შესაწავლილია ინტერნაციონალიზაციის ხარისხსა და ფირმებს შორის მოქმედების კავშირი. ეს კვლევა ცხადყოფს, რომ ჩინურ ფირმებს სჭირდებათ გარკვეული საზღვრის მიღწევა, რათა მთლიანად მიიღონ სარგებელი თავიანთი საქმიანობის დადებითი ეფექტებიდან. შეუძლებელია ყოველთვის საქმიანობის დასაწყისიდანვე მოსალოდნელი იყოს გაზრდილი მოგება.

ტრადიციული თეორიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა მიღებულია იმ ტიპის ფორმების (განსაკუთრებით ახლადშექმნილი) საქმიანობიდან, რომლებიც განსაკუთრებით სწრაფად ახდენენ ინტერნაციონალიზაციას. მკვლევრებმა მოცემულ ფენომენს „გლობალისტებად დაბადებულები“ ან „ახალი საერთაშორისო ვენჩურები“ უწოდეს (Liesch, Weerawardena, Sullivan Mort, Knight, & Kastekke, 2007; Mele'n & Nordman, 2009; Oviatt & McDougall, 1994) და განსაზღვრეს, როგორც „ბიზნეს-ორგანიზაციები, რომლებიც დასაწყისიდანვე ეძებენ და მოიპოვებენ კონკურენტულ უპირატესობას მრავალ ქვეყანაში რესურსების გამოყენებით და გამოშვებული პროდუქციის გაყიდვით“ (Oviatt & McDougall, 1994: 49). მაგრამ, კუივალანენი, სუნდქვისტი და სერვაისი (2007) გვახსენებენ, რომ განსხვავება არა მხოლოდ იმ ფორმებს შორის არსებობს, რომლებიც იყენებენ ინტერნაციონალიზაციის განსხვავებულ ფორმებს, არამედ გლობალისტებად დაბადებულებს შორის, მაგალითად, ისინი, რომლებიც მხოლოდ ახლომდებარე ბაზრებში ახდენენ თავიანთი საქონლის თუ მომსახურების ექსპორტს და მეორეები („გენიოსები“), რომლებიც შორეულ ბაზრებზე და მრავალ რეგიონში მოქმედებენ.

ზოგადად, მოცემული საკითხების კვლევა დაიწყო გარემოს და ფორმებს შორის ურთიერთობის ანალიზით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გლობალური მოქმედების და სტრატეგიების ფორმულირების პროცესში არანაკლები გავლენა აქვს ისეთ გარეგან ფაქტორებს, როგორცაა: მეწარმის ხედვა, მენეჯერების საერთაშორისო გამოცდილება ან შესაძლებლობების სწრაფად გამოყენება (Crick, 2009).

„გლობალისტებად დაბადებულების“ გავრცელების მიზეზებად მეცნიერებს რამდენიმე მიზეზი მოყავთ. მადესნ და სერვაისი (1997, გვ. 565) მიუთითებენ ბაზრების ახალ პირობებზე, წარმოების პროცესში, ტრანსპორტირებასა და კომუნიკაციებში ტექნოლოგიების გამოყენებაზე; მსგავსი კომპანიების დამაარსებლებისა და მეწარმეების უფრო მეტ გამოცდილებასა და უნარებზე. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ახალი ზელანდიის კომპანიები, რომლებიც 1984 წლამდე ტრადიციულ ინტერნაციონალიზაციის პროცესს მისდევდნენ, ხოლო 1984 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკა შეიცვალა, მოხდა სამუშაო ძალის, საქონლის ბაზრების დერეგულაცია და გამარტივდა სავაჭრო ბარიერები, კომპანიები გახდნენ უფრო მეტად ახლოს „გლობალისტებად დაბადებულების“ ფენომენტთან.


ოვიატი და მკდუგალი (1997) ფიქრობენ, რომ კულტურული ჰომეგენურობის გლობალურ მიზნებად გადაქცევამ, სოციალურმა ცვლილებებმა და ფორმების სტრატეგიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა. ისეთი გარემო პირობები, როგორცაა ინდუსტრიის ცვლილება, საბაზრო პირობები და ინდუსტრიების კონკურენტულობის ინტერნაციონალიზაცია, „გლობალისტებად დაბადებულთათვის“ იდეალურ კოტექსტს ქმნიან.

ნაითი და კავუსგილი (1996, გვ. 11) „გლობალისტებად დაბადებულებს“ განსაზღვრავენ როგორც პატარა, ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ კომპანიებს, რომლებიც მოქმედებენ საერთაშორისო ბაზრებზე თავიანთი საქმიანობის დაწყებიდანვე. ისინი ახასიათებენ მსგავს ფორმებს როგორც მცირე კომპანიებს, რომელთაც 500 დასაქმებულზე ნაკლები ჰყავთ, ყოველწლიური ბრუნვა \$100 მლნ და ტექნოლოგიებს აქტიურად იყენებენ. მსგავსი ფორმები აწარმოებენ მაღალტექნოლოგიურ საქონელს საერთაშორისო ბაზრების განსაზღვრულ ნიშაში. ისინი მსოფლიოს ერთ ბაზარს განიხილავენ და არც ერთ კონკრეტულ ქვეყანას არ მიაკუთვნებენ თავს. მათ შეიძლება ჰქონდეთ მცირე მშობლიური ბაზარი, ან საერთოდ არ ჰქონდეთ.

მიუხედავად იმისა, რომ „გლობალისტებად დაბადებულები“ -ს მიდგომები ხაზს უსვამს ფირმების სურვილს გარისკონ და არ შეუშინდნენ საერთაშორისო ბაზრებს, მათ ისევე როგორც ტრადიციულ კომპანიებს სჭირდებათ გარკვეული გამოცდილება და ცოდნა ახალ ბაზრებზე წარმატებულად შესასვლელად. „გლობალისტებად დაბადებულებისთვის“ ინტერნაციონალიზაციის მაქსიმუმი დრო მათი დებეტიდან მერყეობს 2 წლიდან (McKinsey and Co. 1993), 6 წლიდან (Zahra, Ireland, and Hitt 2000), შვიდი წლიდან (Jolly, Alahuhta, and Jeannet 1992), რვა წლიდან (McDougall, Shane, and Oviatt 1994). ნაითი და კავუსგილი (1996) თვლიან, რომ მსგავს კომპანიებს თავიანთი ფორმირებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში სულ მცირე 25% ეწევა ექსპორტს. მაგრამ, McKinsey and Co. (1993) თვლის, რომ კომპანიებს დასაწყისიდან 2 წლის განმავლობაში ექსპორტზე თავიანთი წარმოების 75% გააქვთ.


საქართველოს ექსპორტის მიმოხილვა. 2000 წლიდან, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი საქართველოში დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა და \$2.91 მილიარდს მიაღწია, ხოლო 2013 წელს - \$2.98 მილიარდს. მომსახურების ექსპორტიც 2000 წლიდან პოზიტიურ ტრენდს აწვითარებს ყოველწლიური 18%-იანი ზრდის განაკვეთით. ამასთან, ბოლო ათწლეულში, საქართველო მომსახურების ნეტ-ექსპორტიორი გახდა. 2006 წელს ექსპორტის შემცირება გამოწვეული იყო რუსეთის მიერ ქართულ პროდუქტებზე ემბარგოს დაწესებით, რომელსაც მოჰყვა 2007 წლის 32 %-იანი ზრდა ქართული საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის შედეგად. შემდეგი მნიშვნელოვანი ვარდნა დაფიქსირდა 2009 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ 2008 წელს, რომელსაც მოჰყვა 2010 და 2011 წელს 48 %-იანი და 31%-იანი ზრდა. 2014 წელს უკრაინის კრიზისმა და რუსეთის რუბლის დევალვაციამ შეამცირა საქართველოს ექსპორტი. თუმცადა, ახლახანს ხელმოწერილმა ღრმა და ყოვლისმომცველმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ ევროკავშირთან, უნდა გაზარდოს საქართველოს ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების საგარეო ბაზარზე შეღწევის ალბათობა და მომავალში მოახდინოს ექსპორტირებული საქონლისა და მომსახურების დივერსიფიცირება. 2014 წლის მიხედვით, საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია: ავტომანქანები 18%, რკინის შენადნობები 10%, სპილენძის მადანი და კონცენტრატები 9%, თხილი 6%, ღვინო ან ყურძენი 6%. მნიშვნელოვანი წილი ექსპორტირებულ პროდუქციაში სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოდის.

ძირითადი აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი (მლნ.დოლარი)



2014 წლის მიხედვით, ძირითადი საექსპორტო ბაზრების ხუთეულში შედის: აზერბაიჯანი (19%), სომხეთი (10%), რუსეთი (10%), თურქეთი (8%), აშშ (7%).

სოფლის მეურნეობის პროდუქტების საექსპორტო ბაზრების წილი კი შემდეგნაირადაა გადანაწილებული:



წყარო: საქსტატი

ტოპ საექსპორტო ბაზრები იცვლება წლიდან წლამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო ახდენს თავისი საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა დიდ ძალისხმევას იჩენს, რათა დაეხმაროს ქართულ კომპანიებს გააფართოვონ თავიანთი პოტენციური არსებულ და ახალ ბაზრებზე.

ქართული კომპანიების ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ქართული კომპანიების უმრავლესობა, რომელთა პროდუქციაც საექსპორტოა, ინკრემენტალური თეორიის მიმდევრები არიან. ისინი ფსიქოლოგიურად მინიმალური დისტანციის მქონე ქვეყნებს ირჩევენ და თავიანთი ბაზრების იდენტიფიცირებას ამ გზით ახდენენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს თავისი საქონელი, თავისი პროდუქცია ბაზარზე ისტორიული ურთიერთკავშირების და ძველ გამოცდილების გათვალისწინებით გააქვს, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხეკშეკრულების გაფორმების შემდეგ, კომპანიებისთვის სავაჭრო ბარიერები ევროპაში შემცირდა და, შესაბამისად, მათ უფრო მეტი მოტივაცია გაუჩნდათ ამ მხრივ თავიანთი შემოსავლების მიღების და ბაზრების გაფართოებისა. რამდენიმე კომპანიას თავისი საქონელი აზიაში და ამერიკაშიც გააქვს, თუმცა ისინი ინტერნაციონალიზაციის პროცესის დაბალ საფეხურებზე დგანან და ძირითადად საექსპორტო პარტნიორებით, დისტრიბუტორებით შემოიფარგლებიან, არ გააჩნიათ ერთობლივი საწარმოები და ცალკეული ფილიალები. ეს ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ დაბალია ქართული საქონლის ცნობადობის დონე, ხშირ შემთხვევაში, ისინი ვერ უწევენ ხარისხობრივ/საფასო კონკურენციას სხვა უცხოურ კომპანიებს, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი სტანდარტების დაცვით და სავაჭრო მარკით. ქართული კომპანიების ინტერნაციონალიზაციის პროცესი შეგვიძლია ღვინის კომპანიის მაგალითზე განვიხილოთ. დღესდღეობით, საქართველოში ღვინის 180 კომპანია ფუნქციონირებს, რომელთაგანაც 94 ექსპორტს ახორციელებს. ძირითადი მწარმოებლები ექსპორტზე არიან ორიენტირებულნი და მათი ექსპორტი მთლიანი წარმოების 80-95%-ს შეადგენს. 2006-2012 წლებში ემზარგომდე რუსეთი ქართული ღვინის ყველაზე დიდი იმპორტიორი იყო. მიუხედავად ამისა,

საქართველომ დაიწყო საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება და ექსპორტის მონაცემები იქამდე გაიზარდა, ვიდრე ემზარგო მოიხსნებოდა.

ამჯერად, კომპანიების უმრავლესობა განახლებული მოწყობილობებითაა აღჭურვილი და ISO/HACCP სერტიფიკატები აქვთ, გააჩნიათ აკრედიტებული ლაბორატორიები აუცილებელი კონტროლის განხორციელებისთვის. რამდენიმე ღვინის კომპანიამ სერტიფიცირებული ბიოღვინის წარმოებაც დაიწყო. 2014 წელს, ქართული ღვინის ექსპორტი გაიზარდა 41%-ით 2013 წელთან შედარებით და 182.6 მლნ დოლარს მიაღწია. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია რუსეთი (61%), უკრაინა (11%) და ყაზახეთი (9%). თუმცა, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შემდეგ და 2014 წელს ბარიერების გაუქმების შემდეგ, ევროკავშირში ექსპორტის ზრდას ელოდებიან. ქართული ღვინის ექსპორტის წარმატება განაპირობა შემდეგმა კონკურენტულმა უპირატესობებმა: ღვინის დამზადების უნიკალური ტრადიცია; ნედლეული მასალის მაღალი ხარისხი; ფასი/ხარისხის უპირატესი კორელაცია; 50-ზე მეტ ქვეყანაში 0%-იანი საბაჟო ტარიფი.

გორის საკონსერვო ქარხანა „კულა“. გორის საკონსერვო ქარხანა „კულა“ 2009 წელს შეიქმნა, 1918 წელს დაარსებული გორის საკონსერვო ქარხნის რეზერვინგის შედეგად. კომპანია, თავდაპირველად, ორ ბრენდს მოიცავდა -ხილის და ბოსტნეულის ეკოლოგიურად სუფთა წვენებს ბრენდ „Kula“-ს სახელით აწარმოებდა, ხოლო საბავშვო ნატურალურ წვენებს, მეორე ბრენდის - „Kula Baby“-სახელწოდებით. ბრენდი „კულა“, ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ, უამრავ ჯილდოსა და სერტიფიკატს ფლობს. კომპანიამ პირველივე წელს მოიპოვა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მწარმოებლის სახელი და გახდა ლიდერი საქართველოში ნატურალური წვენების წარმოებაში.

2010 წლის ბოლოსთვის, კომპანია აწარმოებდა 150-ზე მეტი დასახელების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას. კომპანიის აქცენტი გაკეთებულია არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე და ნატურალურობაზე. პროდუქცია 100%-ით ნატურალურია და არ შეიცავს რაიმე დანამატებს. გორის საკონსერვო ქარხანა პროდუქციის დივერსიფიკაციას ახდენს სხვადასხვა ბრენდების სახელით პროდუქციის წარმოების საშუალებით. შიგა ბაზარზე „კულას“ პროდუქციით მარაგდება: თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, აჭარა და იმერეთი. „კულა“ მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში გადის. მათ შორისაა: აშშ, კანადა, რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, გერმანია, პოლონეთი, ჩეხეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ისრაელი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი. კომპანია მიმართავს დიფერენცირების სტრატეგიას. თავდაპირველად, იგი ორიენტირებული იყო პრემიუმ სეგმენტზე, აწარმოებდა რა თავის პროდუქციას მხოლოდ მინის ქილებში, რის გამოც პროდუქციას გააჩნდა პრემიუმ ხარისხიც და ფასიც. ახლა კი მან ნაწარმის გამოშვება დაიწყო მუყაოს შეფუთვებში, რაც შესაბამისად ამცირებს დანახარჯებს და ფასსაც. თავისი პროდუქციის დიფერენციაციას ახდენს ნატურალურობაზე და ხარისხიანობაზე განაცხადის და პოზიციონირების საშუალებით და ითვისებს ისეთ სეგმენტებს, როგორცაა: ბავშვთა კვება, სამარხვო პროდუქციის მომხმარებლები, ბიო პროდუქცია და ქეშერული. აპირებს ხორცის კონსერვის წარმოებასაც.

პორტერის ხუთი მამოძრავებელი ძალის მიხედვით თუ განვიხილავთ დარგს, შემდეგ სურათს მივიღებთ: მოცემულ დარგში, ახალი მოთამაშეების საფრთხე ნაკლებია, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ახორციელებს ისეთ მხარდამჭერ პროექტებს, როგორცაა: „აწარმოე

საქართველოში“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „აგროდაზღვევა“ და ა.შ. მასშტაბის ეკონომიის საჭიროების, დაბალი მწარმოებლურობის და უკვე არსებული, ცნობადი ბრენდების არსებობის გამო, რთული იქნება ახალი მოთამაშეებისთვის ბაზარზე ადგილის დამკვიდრება, მითუმეტეს, რომ ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებელ დარგში აუცილებელია ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხნების არსებობა, რაც საკმაოდ დიდ ინვესტიციასთანაა დაკავშირებული. საფრთხე სუბსტიტუტების მხრიდან საკმაოდ დიდია, რაც გამოწვეულია შედარებით დაბალი ფასით და შესაბამისად, მომხმარებლის მიერ სუბსტიტუტებზე გადართვის ხარჯებით. ეს განსაკუთრებით ეხება წველების ხაზს, რომელიც შეიძლება ჩანაცვლდეს გაზიანი სასმელებით და წყლებით. მიუხედავად იმისა, რომ სუბსტიტუტის ხარისხი შეიძლება ნაკლები იყოს და, ამ შემთხვევაში, ნაკლებად სასარგებლო ჯანმრთელობისთვის მისი ცნობადობის გამო, იგი შეიძლება უმტკივნეულოდ ჩანაცვლდეს. სუბსტიტუტს წარმოადგენს აგრეთვე ცოცხალი ხილი და ბოსტნეული, რომელიც უფრო იაფია და სასარგებლო.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ნედლეული პროდუქტის ბევრი მიმწოდებელი და მათი შეცვლის დანახარჯებიც ნაკლებია, მწარმოებლურობის დაბალი დონის და სასათბურ მეურნეობების განუვითარებლობის გამო, მიმწოდებლების ძალის დეტერმინანტები დიდ გავლენას ახდენს კომპანიაზე. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია თვითონ არ აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტს და დამოკიდებულია ფერმერებზე, ამიტომ ფასის მიმართ სენსიტიურია. მყიდველების ძალის დეტერმინანტების გავლენა საკმაოდ დიდია, ვინაიდან ისინი მგრძობიარენი არიან ფასის მიმართ, არსებობს სუბსტიტუტების მნიშვნელოვანი რაოდენობა და აგრეთვე კონკურენცია როგორც ადგილობრივი, ამავე დროულად, იმპორტული საქონლის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქცია დიფერენცირებულია, მომხმარებელი მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულია ამ დარგში და ხშირად ახორციელებს შესყიდვებს.

კონკურენცია საკმაოდ დიდია, ვინაიდან არსებობს მრავალი იმპორტული საქონელი და შედარებით ნაკლები ადგილობრივი მოთამაშე (ძირითადად ორი მათგანი გამოიკვეთება პირდაპირ კონკურენტად). ფიქსირებული ხარჯები დიდია და დარგი ნელა იზრდება. კონკურენტებს დაახლოებით ერთნაირი საბაზრო წილი აქვთ. ბრენდის ლოიალურობა სხვა კონკურენტების მიმართ მაღალია. კონკურენტები სტრატეგიულად განსხვავებულები არიან იმით, რომ ზოგიერთი მათგანი ორიენტირებულია იმპორტჩანაცვლებაზე, ხოლო ზოგიერთი - საგარეო ბაზრებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯამაგიძე ლ., გლობალიზაციის ეკონომიკური არსის გავებისათვის, ეკონომიკის აქტუალური საკითხები, XVII, თბ., 2001.
2. Cavusgil, S. T. (1980). On the internationalization process of firms. *European Research*, 8:273–281.
3. Child, J., Rodrigues, S. B., & Frynas, J. G. (2009). Psychic distance, its impact and coping modes. Interpretations of SME decision makers. *Management International Review*, 49: 199–224.
4. Dunning, J. H. (1977). Trade, Location of Economic Activity and the Multinational Enterprise: a Search for an Eclectic Approach. In: B. Ohlin, P. O. Hesselborn & P. J. Wijkman (Eds), *The International Allocation of Economic Activity*. London: Macmillan.

5. Hymer, S. A. (1960). The International Operations of National Firms: A Study of Foreign Direct Investment. Ph.D. Dissertation, Department of Economics, Massachusetts Institute of Technology, 1960. Published in 1976 by MIT Press.
6. Johanson, J., Wiedersheim-Paul, F., The Internationalization of the Firm – Four Swedish Cases, The Journal of Management Studies, October, 1975, pp. 305–322.
7. Lavie, D., & Rosenkopf, L. (2006). Balancing exploration and exploitation in alliance, formation. Academy of Management Journal, 49: 797–818.
8. Matthyssens, P., & Pauwels, P. (1998). Dogmas and Paradoxes in Internationalization and Globalisation Theories: A Portfolio Perspective. ITEO Research Paper 98/01, Limburg University (Belgium).
9. McDougall, Patricia P. and Benjamin M. Oviatt (2000), „International Entrepreneurship: The Intersection of Two Research Paths“, Academy of Management Journal, 43 (5), 902–906.
10. Mascarenhas, B., Order of Entry and Performance in International Markets. Strategic Management Journal, 1992, Vol. 13, No 7, pp.499–510.
11. Rennie, Michael W. (1993), „Born Global“, The McKinsey Quarterly, 4 (4), 45–52.
12. Tradenz (1993), Stretching for Growth—Building an Export Strategy for New Zealand. Wellington: Trade New Zealand.
13. Welch, L. S., & Luostarinen, R. (1988). Internationalization: Evolution of a concept. Journal of General Management, 14(2): 34–55.
14. Welch, L. S., Luostarinen, R., Internationalization: Evolution of a Concept. Journal of General Management, 1988, Vol. 14, No 2, pp.34–55.
15. Zahra, Shaker A., Duane R. Ireland, and Michael A. Hitt (2000), „International Expansion by New Venture Firms: International Diversity, Mode of Market Entry, Technological Learning, and Performance“, Academy of Management Journal, 43 (5), 925–50.
16. www.apma.ge.
17. www.Geostat.ge.
18. www.investingorgia.org.
19. www.enterprise.gov.ge.

რეზიუმე

„გლობალისტებად დაბადებული“ კომპანიები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარების, არამედ გლობალიზაციის პროცესში. მათი რიცხვი განსაკუთრებით XX საუკუნის ბოლოს გაიზარდა, როდესაც გამარტივდა სავაჭრო ბარიერები და უფრო ინტენსიური გახდა ურთიერთანამშრომლობის პროცესი. მათი მახასიათებლების შესახებ მეცნიერებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, თუმცა ყველა მათგანი თანხმდება იმის შესახებ, რომ მათთვის არსებობს ერთი გლობალური ბაზარი და ადგილობრივი ბაზარი შეიძლება მხოლოდ მცირე სეგმენტით შემოიფარგლებოდეს. ამიტომ, მათი სტრატეგიები მნიშვნელოვნად განსხვავდება მეორე, ტრადიციული სახის კომპანიებისგან, რომლებიც თავიანთი ინტერნაციონალიზაციის პროცესს ეტაპობრივად ახორციელებენ.

რაც შეეხება ქართული კომპანიებს, მათი უმრავლესობა პირდაპირი/არაპირდაპირი ექსპორტით შემოიფარგლება. შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად საჭიროა ქართული ნაწარმის ცნობადობის გაზრდა და მწარმოებლურობის ამაღლება.

**სამთავრობო პროგრამები სოფლის მეურნეობაში - ეფექტიანი
ეკონომიკური ღონისძიება თუ უარყოფითი
საზოგადოებრივი დანახარჯები**

ნინო კერესელიძე

ბაკალავრიატის II კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **მარინა ჩავლეიშვილი**

საქართველო აგრარული ქვეყანაა. ნაყოფიერი მიწები, დაგროვილი ცოდნა, მრავალწლიანი კულტურები სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მნიშვნელოვან პერსპექტივებს იძლევა. შესაბამისად ლოგიკურია, რომ მთავრობა აქტიურად ერევა სოფლის მეურნეობის სექტორში, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მასზე სხვადასხვა პროგრამებით. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია შეღავათიანი კრედიტების პროგრამა. მიმდინარე წელს მთავრობის ინიციატივით დაფუძნდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი (1 მილიარდი ლარი), რომლის საფუძველზე დაიგეგმა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტისა“ და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ პროგრამების განხორციელება.¹

გონივრულად შედეგნილ, მართვად და განხორციელებად პროგრამებს შესაბამისად კარგი შედეგიც მოაქვს. თუმცა, ერთი შეხედვით, პოტენციურად წარმატებული პროგრამა შესაძლოა კრახით დასრულდეს, რაც საკმაოდ ხშირად ხდება. საკითხის აქტუალურობის გამო, კვლევის მიზნად დავისახეთ გაგვეანალიზებინა სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ზოგიერთი სამთავრობო პროგრამა, ამასთან, წარმოგვედგინა სამთავრობო პოლიტიკის მიკროეკონომიკური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ მიკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან როგორცაა ტარიფები, კვოტები წარმოებაზე, გადასახადები, სუბსიდიები და სხვ. ასევე, პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე ვეცადეთ დაგვედგინა თუ რა გავლენას ახდენენ ისინი როგორც პროგრამის ობიექტზე, ისე, მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობაზე. ყურადღება უმეტესწილად გავამახვილეთ სუბსიდიებზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში სუბსიდია განიხილება როგორც უარყოფითი გადასახადი. სუბსიდიიდან სარგებელს უპირატესად მომხმარებელი იღებს.²

სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია ეკონომიკური გარემო. ამიტომ, საბაზრო კონიუნქტურის ასპექტები ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი ირიბად აისახება თითოეული პროგრამის შედეგებზე.³ მისი ზეგავლენა სუბსიდირებაზე შეიძლება გამოვლინდეს როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებში.

¹ ჩავლეიშვილი მ., ფეტელავა ს., საინვესტიციო პროექტები საქართველოს აგრარულ სექტორში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგარდი განვითარება, შრომების კრებული, თბ., თსუ, 2013, გვ., 520.

² ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., მიკროეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ., 245.

³ ჩავლეიშვილი მ., ფეტელავა ს., საინვესტიციო პროექტები საქართველოს აგრარულ სექტორში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგარდი განვითარება, შრომების კრებული, თბ., თსუ, 2013, გვ., 519.

სუბსიდიის დადებითი მხარეები:

- ✓ საფინანსო ორგანოებისთვის მნიშვნელოვანია კლიენტთა რაოდენობა, რადგან ამ დროს ხდება რისკის გადანაწილება. საქართველოში ბევრი ფერმერული/საოჯახო მეურნეობაა და მათზე გაიცემა კრედიტები, შესაბამისად რისკიც ნაწილდება;
- ✓ სუბსიდიების მეშვეობით შეიძლება ბაზრის დაცვა დემპინგისგან. ადგილობრივ მეწარმეს საშუალებას აძლევს შეამციროს პროდუქტის თვითღირებულება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით;
- ✓ საქართველოს აგრარულ სექტორში არსებობს დიდი პოტენციალი, რომლის განვითარება და ხელშეწყობა შესაძლებელია;
- ✓ ადგილობრივ ფერმერებს სუბსიდირება საშუალებას აძლევს დროებით თავი დაიცვან ძლიერი ექსპორტიორი კონკურენტებისგან.

სუბსიდიის უარყოფითი მხარეები:

- ✓ ჩამოუყალიბებელი ფინანსური ბაზარი (განვითარებად ქვეყნებში);
- ✓ განუვითარებელი ინფრასტრუქტურა;
- ✓ ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე;
- ✓ საჭირო ინფორმაციის მიუწვდომლობა;
- ✓ მაღალი რისკი - კლიმატზე დამოკიდებულება, სექტორის არასტაბილურობა;
- ✓ კონკურენციაზე ზემოქმედება - სუბსიდიების გაცემა იწვევს ბაზრის მექანიზმის დეფორმირებას, ზღუდავს საერთაშორისო ვაჭრობას და ამცირებს ეკონომიკურ ეფექტიანობას.

დავიწყეთ, უშუალოდ პრაქტიკული მაგალითების განხილვით, საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი დარგია მევენახეობა, ასე რომ, ლოგიკურია მთავრობის მხრიდან მისი განვითარების ხელშეწყობა. 2013 წელს მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეიძენდნენ ყურძენს არანაკლებ ერთ ლარად, რაც მინიმალურ ფასს ნიშნავს. ამასთან, პარალელურად 2011-2013 წლებში ხდებოდა სოფლის მეურნეობის სუბსიდირება (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1¹

რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში გამოყოფილი სუბსიდია 2011-2013წწ.

		2011	2012	2013
რქაწითელი	ა. სუბსიდია (მლნ. ლარი)	3,1	9,4	21,8
	ბ. გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა (ათასი ტონა)	29,9	37,6	62
საფერავი:	ა. სუბსიდია (მლნ. ლარი)	5,6	5,2	6,4
	ბ. გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა (ათასი ტონა)	22,3	15	25,8


2008-2011 წლებში ყურძნის ფასი სტაბილურად მდგრადია (იხ. დიაგრამა 1). ტრენდი აღმავალი ხდება 2011 წლიდან, რაც გამოწვეულია სუბსიდირების ზეგავლენით. ფასები პიკს 2013 წელს აღწევს. ყოველივე ეს სუბსიდირებისა და მინიმალური ფასის დაწესების

¹ დამუშავებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, www.moa.gov.ge

კომბინირების შედეგია. ადგილი აქვს ფასების 70–90%-ით ზრდას. ეს ყოველივე კი იწვევს კეთილდღეობის დანაკარგებს როგორც მიმწოდებლის ისე მომხმარებლისთვის.

ოფიციალური წყაროები საქართველოში ყურძენზე სუბსიდირებას და მინიმალური ფასების დაწესებას დადებითად აფასებენ, თუმცა, თავად მევენახეები აღნიშნავენ, რომ ყურძნის დიდი რაოდენობა გაუყიდავი დარჩა, რაც პროგრამის ნაკლოვანებას წარმოადგენს.

დიაგრამა 1¹



განვიხილოთ კიდევ ერთი სამთავრობო პროგრამა, კონკრეტულად 2011-2012 წელს ჰიბრიდული სიმინდის იმპორტი. ნებისმიერი განხორციელებული პროგრამა ეფექტიანია მაშინ, როდესაც მიღებული სარგებლიანობა აჭარბებს გაწეულ დანახარჯებს. ჰიბრიდული სიმინდის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამამ არ გაამართლა. მოხდა 16.6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სიმინდის იმპორტი, ხოლო 12.5 მლნ აშშ დოლარის სიმინდის ექსპორტი, რაც უარყოფითად აისახა სავაჭრო სალდოზე - 4,1 მლნ.აშშ დოლარი.

საინტერესოა დანახარჯების ანალიზი, კერძოდ, 1 კილოგრამი ქართული სათესლე სიმინდი 3 ლარი ღირს, ამერიკული - 17 ლარი. გარდა ამისა, 1 ჰექტარის გასანაყოფიერებლად საჭიროა 18 კგ ქართული სიმინდი, ამერიკული - 22 კილოგრამი. აქედან ცხადია, რომ იმპორტირებული სიმინდი გაცილებით ძვირია. ჰიბრიდული სიმინდის თესლის დადებითი თვისებაა ის, რომ იგი მაღალმოსავლიანია, მაგრამ უარყოფითია ის, რომ მისი თესლად გამოყენება არ შეიძლება, ანუ მხოლოდ ერთხელ იძლევა მოსავალს. ამიტომ ფერმერი თუ მთავრობა ყოველ წელს, როდესაც სიმინდის დათესვას გადაწყვეტს, თესლი ისევ იმპორტიორი კომპანიისგან უნდა შეიძინოს. თავად ჰიბრიდული თესლის გამოყვანის პროცესი ძალიან რთულია და მას ფერმერი ვერ განახორციელებს. მოცემული ანალიზიდან ნათელია, რომ ჰიბრიდული სიმინდის პროგრამამ უფრო მეტი უარყოფითი საზოგადოებრივი დანახარჯები მოგვიტანა, ვიდრე სარგებლიანობა.


სუბსიდირების თვალსაზრისით საინტერესოა განვიხილოთ საქართველოში განხორციელებული ფასიანი ვაუჩერი, რომლიც გადაეცა ფერმერებს (საოჯახო მეურნეობებს). 2013 წელს საშუალოდ თითოეულმა ბენეფიციარმა 275 ლარის ვაუჩერი მიიღო. ერთი

¹ მონაცემები დამუშავებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

შეხედვით, სუბსიდირება უშუალოდ თანხის გადაცემით თეორიულად ეფექტიანია. ბევრ ეკონომიკურ ლიტერატურაში მეწარმის პროტექციონისტულ პოლიტიკებს შორის პირდაპირ თანხის გადაცემა საუკეთესო ალტერნატივად ითვლება, რადგან ამ დროს მინიმალურია სახელმწიფო დანახარჯები. თუ ამ თეორიულ მოდელს ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში გადმოვიტანთ განსხვავებულ შედეგს მივიღებთ. იმის გამო, რომ არ არსებობდა ბერკეტი, რომელიც ადამიანებს აიძულებდა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესაძენად გამოეყენებინათ ეს თანხა, ფარულად ვაუჩერი პირდაპირ ფულზე იცვლებოდა, რომელიც სულ სხვა მიზნით გამოიყენებოდა. გამომდინარე აქედან, ნათელია, რომ თანხა სრულიად არ ხმარდებოდა დასახული მიზნების მიღწევას, რაც მოცემული სუბსიდირების პროგრამის ნაკლოვანებაზე მიანიშნებს. სასოფლო-სამეურნეო ბარათებზე გაწეული ღირებულების ანალიზი (დანახარჯები) წარმოდგენილია დიაგრამაზე 2.

დიაგრამა 2'

სასოფლო-სამეურნეო ბარათების ღირებულება



განვიხილოთ ევროკავშირის მაგალითი კვოტებთან დაკავშირებით. 1997 წელს ევროკავშირში მიიღეს კანონი, რომელიც ითვალისწინებდა რძის პროდუქტების წარმოებაზე კვოტების შემოღებას. პროგრამა გაგრძელდა 2012 წლამდე. მისი სიდიდე პერმანენტულად იზრდებოდა წლიდან წლამდე, მაგალითად, 2011–2012 წლებთან შედარებით (15 143 მლნ ლიტრი) კვოტა 2013 წელს 149 მილიონი ლიტრით გაიზარდა. მიუხედავად კვოტების ზრდადი ტრენდისა, შემოსავლები კვოტების გავლენით უფრო და უფრო მცირდებოდა (იხ. დიაგრამა 3).

¹ დიაგრამა აგებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე. <http://factcheck.ge/article/710-athas-phermers-davekhmareth-da-500-lariani-vaucherebi-mivetsith/>

რძის მიწოდების ზედა/ქვედა კვოტა



როგორც ვხედავთ, კვოტებმა დადებითი შედეგი გამოიღო მხოლოდ პირველი სამი წლის განმავლობაში, 2006 წლიდან უკვე ადგილი აქვს მკვეთრ ვარდნას. 2015 წლის 31 მარტს ევროკავშირმა წარუმატებლობის გამო აღნიშნულ პროგრამაზე უარი თქვა. დასკვნა: შესაძლოა, მოკლევადიან პერსპექტივაში წარმოების შეზღუდვამ გაამართლოს, მაგრამ ეს სარგებელი ვერ ახდენს გრძელვადიანი დანაკარგების კომპენსირებას.

ამდენად, სამთავრობო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სუბსიდირება და სხვა სახის დახმარება მნიშვნელოვანია ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის, მაგრამ როგორც ანალიზმა დაგვანახა, აგრარულ სექტორში ჩვენ მიერ განხილულ პროგრამებს ახასიათებდა არაეფექტიანობა, ზოგჯერ იგი იწვევს დანახარჯებს და არ მოაქვს სასურველი შედეგი ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით. ზოგადად, სოფლის მეურნეობაში არაეფექტიანობის მიზეზები შეიძლება იყოს:

- ✓ სექტორში არსებული მაღალი რისკი;
- ✓ არასრულყოფილი ინფორმაცია; კერძოდ, სტატისტიკური ინფორმაციის არასრულყოფილება, არ არის სასოფლო-სამეურნეო აღწერა სრულყოფილი, აღირიცხება მხოლოდ საოჯახო და არა ბაზარზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობები, ისიც არასრულფასოვნად);
- ✓ მიკროეკონომიკური ანალიზის დაბალი დონე; კერძოდ, მსგავსი პროგრამების წარმატებულად დაგეგმვისა და რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანია სწორი მიკროეკონომიკური ანალიზი, რაც არსებულ პროგრამებთან მიმართებაში შეიძლება შევავსოთ უარყოფითად; დაბალია პროფესიონალი მეცნიერ-ეკონომისტებისა და შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობა.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბეთ შემდეგი დასკვნები:

- სამთავრობო პროგრამები სოფლის მეურნეობაში მიმართულია ეკონომიკური ზრდის ტემპების ასამაღლებლად, მაგრამ ხშირად ადგილი აქვს ეფექტიანობის დანაკარგებს;
- ნებისმიერი ჩარევა ბაზრის ფუნქციონირებაში, რომლის მოსალოდნელი შედეგებიც წინასწარ სათანადოდ არ არის შესწავლილი, ხელს უშლის ბაზრის ფუნქციონირებას და

¹<http://dairy.ahdb.org.uk/>

ეწინააღმდეგება უხილავი ხელის თეორიას, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის ერთ – ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს;

- შესაძლოა რაიმე პროგრამამ მოკლევადიან პერიოდში გაამართლოს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამახინჯებს ბაზარს და საბოლოოდ, უარყოფითად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., მიკროეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014.
2. ჩავლეიშვილი მ., ფეტელავა ს., საინვესტიციო პროექტები საქართველოს აგრარულ სექტორში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, შრომების კრებული, თბ., თსუ, 2013.
3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, www.moa.gov.ge.
4. www.ambioni.ge.
5. www.for.ge.
6. www.factcheck.ge/article/710-athas-phermers-davekhmareth-da-500-lariani-vaucherebi-mivetsith/.
7. www.dairy.ahdb.org.uk.
8. www.tabula.ge.

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში. განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ზოგიერთი სამთავრობო ღონისძიება, მისი ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ მიკროეკონომიკურ პარამეტრებთან - ტარიფები, კვოტები წარმოებაზე, გადასახადები, სუბსიდიები და სხვ. პირველადი აღრიცხვისა და პრაქტიკული მაგალითების მასალების ანალიზის საფუძველზე შეფასებული და შესწავლილია საინვესტიციო პროგრამების შედეგები, დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საქართველოს საფონდო ბირჟა

მარიამ კვიციანი

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **მაია გოგობია**

საფონდო ბირჟა ორგანიზებული ბაზარია, რომელიც მისი წევრი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემაში დაშვებულ (ლისტინგი) ფასიან ქაღალდებზე ვაჭრობისა და დადებული გარიგებების შესრულების ორგანიზებას

დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას. საფონდო ბირჟა, როგორც საჯარო ვაჭრობის ინსტიტუტი, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსებისა და მათი მიმოქცევის ორგანიზების გზით. საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საფონდო ბირჟას, რომელიც თავისი ფორმით წარმოადგენს ერთგვაროვანი საქონლით ვაჭრობის ადგილსა და წესს, ხოლო შინაარსით – მიწოდება-მოთხოვნის ორგანიზებულ ინფორმაციულ ბაზარს. ბირჟა ქვეყანაში სტაბილური ბაზრის და ამდენად, სტაბილური ეკონომიკის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია. ეფექტური საფონდო ბირჟა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზაზე. ყველა პროგრესული სახელმწიფო ცდილობს შექმნას ძლიერი საფონდო ბირჟა და გამოიყენოს იგი ეკონომიკური აქტივობის ამაღლების მიზნით. ამ მნიშვნელოვან როლს განაპირობებს საფონდო ბირჟის ფუნქციები:

- კაპიტალის ჩამოყალიბება (მოზიდვა) - კაპიტალი შეიძლება მოიზიდოს საფონდო ბირჟებზე განთავსებული აქციების გაყიდვის მეშვეობით;
- ხელს უწყობს კომპანიის ზრდას (განვითარებას) - შეიძლება მოხდეს კომპანიების შერწყმა, მოხდეს წარმოებული პროდუქტის ერთობლივი გასაღება ფართო ბაზრებზე;
- კაპიტალის თავმოყრა - ერთ სივრცეში განთავსებული აქციები შეიძლება ერთი პირიდან მეორეს გადაეცეს შესყიდვის გზით;
- ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება - ბირჟა ინვესტორებს აძლევს სხვადასხვა საწარმოს ჩართვის საშუალებას;
- უზრუნველყოფს სახსრების გაზრდას - შესაძლებელია აქციის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების განხორციელებით სწრაფი მოგების მიღება;
- ზრდის ქვეყნის კაპიტალს (შემოსავლებს) - ფასიანი ქაღალდების გაყიდვითა და ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი პროგრამების განხორციელებით.

საქართველოში 1999 წლის იანვარში დაარსდა „საქართველოს საფონდო ბირჟა“, ხოლო საბირჟო ვაჭრობები დაიწყო 2000 წლის გაზაფხულიდან. 2000 წლიდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებას ახორციელებდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, ხოლო 2008 წლიდან ამ ფუნქციას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ) არის ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, რომელიც ჩამოყალიბდა USAID-ის დახმარებით და მოქმედებს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში. საქართველოს საფონდო ბირჟის ფორმირება ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანი საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო მექანიზმის შექმნა და სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფა იყო, თუმცა, მისი საქმიანობა დღემდე დაბალი აქტივობით ხასიათდება.

მომგებიანია თუ არა საქართველოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა? არსებობს თუ არა საფონდო ვაჭრობის გამართული სისტემა და რამდენად მდგრადია ფინანსური ბაზრის გადანაწილების ქართული მოდელი? საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა დღეს საქართველოში წამგებიანია. ემიტენტებისთვის საფონდო ბირჟაზე კოტირებას არ მოაქვს ის ეფექტი, რაც იგივე მოვლენას აქვს კაპიტალის განვითარებულ ბაზრებზე. ფასიანი ქაღალდების ბაზარი დღეს

საქართველოში სრულიად არალიკვიდურია. ეს ბაზარი საინტერესოა მხოლოდ მათთვის, ვისაც ნომინალურად სურს ამ სფეროში რაღაც შექმნას. ამ სფეროს მიმართ ნამდვილი კომერციული ინტერესი არ არსებობს. ფინანსური ბაზარი უნდა იყოს დივერსიფიცირებული. სისტემური რისკების შერბილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ამ თვალსაზრისით, კაპიტალის ბაზარი რაც უფრო მალე განვითარდება, ჩვენი ფინანსური სისტემა მით უფრო სანდო იქნება. ქართველ ინვესტორებს კი დღეს არჩევანი პრაქტიკულად არ აქვთ. კომპანიებს ურჩევნიათ, რომ სესხი აიღონ, რადგან შედეგი არის იგივე და უკეთესი, სახსრების მოზიდვის პროცესი კი უფრო უმტკივნეულო და მორგებული მის ინტერესებს. ასევე არ არსებობს გაურკვეველობა და რისკები, რომ ფასიანი ქაღალდი ვერ განათავსო. თუ გადავხედავთ საქართველოს საფონდო ბირჟის ისტორიას მსგავსი დასკვნები საკმაოდ ლოგიკურია.

საქართველოს საფონდო ბირჟა არსებობის 15-წლიან გამოცდილებას ითვლის. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია და სადაო არაა ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს საფონდო ბაზარი გამოირჩევა ძალიან დაბალი აქტივობით. სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა“ საქართველოში ერთადერთი ლიცენზირებული საფონდო ბირჟაა, თუმცა აქ აღნუსხული გარიგებების მოცულობიდან გამომდინარე, ის საქართველოს საფინანსო სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე განუვითარებელი ინსტიტუტია. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გარიგებების შემცირება განსაკუთრებით სწრაფი ტემპით 2007 წლიდან შეიმჩნევა, ხუთი წლის განმავლობაში გარიგებების რაოდენობა საშუალოდ 28 პროცენტით მცირდებოდა, 2013 წელი კი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით დასრულდა. მეორადი ვაჭრობის მოცულობა 2008 წლის 70 მილიონი დოლარიდან 10 მილიონ დოლარამდე დაეცა, ლიცენზირებული საინვესტიციო ფირმების და რეგისტრატორების რაოდენობა კი განახევრდა. 2011 წელს საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგების მოცულობამ 2.5 მილიონი ლარი შეადგინა, 2012 წელს კი – 8.9 მილიონი ლარი, რომელიც საფონდო ბირჟის ყველაზე მაღალი აქტივობა იყო. სხვა წლებში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 4–5ჯერ დაბალი იყო და საქართველოს მშპ-ს 1 პროცენტს არ შეადგენდა. 2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, 129 კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული სსბ-ის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ 1.14 მლნ. დოლარს მიაღწია, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 3 255,42 ლარს. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, კვლავ რჩება ფუნდამენტური პრობლემები, რაც ხელს უშლის მას ეფექტურ ფუნქციონირებაში. პრივატიზაციის პროცესში ბირჟის როლი პრაქტიკულად 0-ზეა დაყვანილი.

რატომ „არ გვაქვს“ საფონდო ბირჟა და ვინ უქმნის მის ფუნქციონირებას საფრთხეს? პრობლემა ბევრია, თუ რატომ ვერ ამუშავდა ბირჟა საქართველოში. საქმე იმაშია, რომ საქართველო „მომხიბვლელი“ ფასიანი ქაღალდების დეფიციტს განიცდის. ყველაზე ხშირად რაც ჟღერდა იყო შემდეგი: საქართველო მეტად მცირე ბაზარია და საფონდო ბირჟის სტაბილურობის შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში მეტად რთული ამოცანაა. საქართველოს საფონდო ბირჟის ფუნქციონირებაზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას ბირჟების ქაოსურად ფორმირებამ, ქვეყნის დამაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, 2008 წლის გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ამავე წლის აგვისტოს მოვლენებმა. 2008 წლის მონაცემებით მთელი წლის განმავლობაში განხორციელდა 3 180 გარიგება, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის განახევრებულია, გაიყიდა 83150154

აქცია, სულ 256,6 მლნ ლარის ღირებულების. 2007 წელთან შედარებით აქციის რაოდენობაც ნაკლებია, მაგრამ მათი ღირებულება 2,5-ჯერაა გაზრდილი, რაც განაპირობა აქციების ფიქსინგის გზით რეალიზებამ (ფიქსინგი არის 2007 წლის 31 მარტის ცვლილების შედეგი „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ კანონში, რომლის თანახმადაც გარიგება საჯარო ფასიანი ქაღალდებით შესაძლებელია დაიდოს ბირჟაზე და მის გარეთაც, საბროკერო კომპანიების მონაწილეობით ან მის გარეშეც).

2009 წლისთვის საქართველოს საფონდო ბირჟაზე აღინიშნებოდა საგანგაშო მდგომარეობა, რადგანაც: ქვეყანა განიცდიდა საბირჟო აქტივების დეფიციტს, ადგილი ჰქონდა სავაჭრო სესიების ჩავარდნას, ფასიანი ქაღალდების კურსის კლებას, საბროკერო კომპანიების გაკოტრებას და საბირჟო ინდექსების სისტემურ ვარდნას.

მსოფლიო ინდექსები:

ინდექსი	ფასი	ცვლილება
G&T Index (GEL)	139.4	- 17.76%
RBC Comp	53.70	- 2.21%
NASDAQ	1299.59	- 4.00%
DJA	2238.15	- 4.73%
FTSE Eurotop 300	3529.86	- 3.18%
CAC 40	2569.63	- 3.96%
DAX	3695.49	- 5.02%
S&P 500	682.55	- 4.25%
SSMI	4390.18	- 1.65%
NIKKEI 225	7173.10	- 3.50%

აქ უკვე აშკარაა ქვეყნის პოლიტიკური დაძაბულობისა და „ფიქსინგის“ შედეგები და არა იმდენად გლობალური ეკონომიკური კრიზისი. ფიქსინგმა განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის საშუამავლო ინსტიტუტზე, რადგანაც ფასიანი ქაღალდების მფლობელები უკვე აღარ იყვნენ ვალდებულნი მაინცდამაინც შუამავლების მეშვეობით გაეყიდათ თავიანთი საფონდო აქტივები, მითუმეტეს, საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს კულტურა „შუამავალთა ინსტიტუტის“ შესახებ. მეორეც, საინტერესოა ვინ აკონტროლებს არასაბირჟო გარიგებების მოცულობას და ღირებულებას?

აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელი იყო:

- ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზება;
- საქართველოს მთავრობის მიერ გარკვეული პრიორიტეტის დასახვა გლობალური ფინანსური კრიზისის დასაძლევად;
- ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის გამოცოცხლება უცხოური ინვესტიციების მოზიდვით;
- საფონდო აქტივების მრავალფეროვნება;
- მიმოქცევაში ვადიანი კონტრაქტების დამკვიდრება;

- ეგრეთ წოდებული „ფიქსინგის“ გაუქმება;
- სსბ-ის კაპიტალის ზრდა უცხოური ინვესტიციებით;

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს საქართველოში არსებულ კულტურაზე. მაგალითად, ნიუ იორკში, უოლ სტრიტზე მდებარე საფონდო ბირჟა ამერიკის ერთ-ერთი მთავარი ღირშესანიშნაობაა. საოცარია, რომ ამ პატარა ქუჩაზე წყდება მსოფლიოს ბედი, ინგრევა ან შენდება უზარმაზარი ფინანსური იმპერიები, ასეულობით მილიონი ადამიანი კი ან უმუშევარი რჩება, ან პირიქით – წარმატებას აღწევს. ნიუ-იორკი ნიუ იორკია, მაგრამ ასეთი ბირჟები დასავლურ ქალაქებში სწორედ იმ ადგილებში ჩნდებოდა, სადაც ვაჭრობის ტრადიცია იყო. ესე იგი, როგორი გათანამედროვეებული და ტექნოლოგიურიც არ უნდა იყოს საფონდო ბირჟა, იგი მაინც იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელიც თავის დროზე ველურად აღიქმებოდა, მაგრამ თანდათანობით დაიხვეწა, რაფინირებული და მიმზიდველი გახდა. აქ არის გარკვეული პასუხი კითხვაზე თუ რატომ ვერ ჩამოყალიბდა საფონდო ბირჟა საქართველოში. არადა, კაპიტალისტური ეკონომიკაც გვაქვს, წარმატებული საწარმოებიც და შესაბამისი კანონებიც, რომლებიც ამ ურთიერთობებს არეგულიერებენ დასავლური სტანდარტების შესაბამისად. თბილისშიც გაჩნდა ბირჟა, მაგრამ შემდგომი მოვლენები, სამოქალაქო ომი და კრიმინალების თარეში ნამდვილად არ ქმნიდა პირობებს ამ ტრადიციის გაღრმავებისათვის. ერთი შეხედვით თითქოს უცნაურია, რომ საქართველოში არსებობს სააქციო საზოგადოებები, საკმაოდ მომგებიანი და წარმატებულიც, მაგრამ ბირჟა მხოლოდ ფორმალურად მუშაობს. განუვითარებლობის ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში შესაბამისი ტრადიცია და კულტურა ვერ ჩამოყალიბდა. დასავლეთში ეს კულტურა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. მაგალითად, რუსებმა უბრალოდ აიღეს და მოსკოვში უცვლელად გადმოიტანა საფონდო ბირჟა, მაგრამ მოსკოვის ბირჟას ის დაეხმარა, რომ რუსეთი ენერგომატარებლებით თუ სხვა რესურსებით ფანტასტიკურად მდიდარი ქვეყანაა. ამიტომ თვითონ რომ არ მოენდომებინათ, დასავლური კაპიტალი აიძულებდა და ასწავლიდა მათ. საქართველოს კი ასეთი სატყუარა არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ, საფონდო ბირჟის განვითარებისთვის საჭირო იყო გამჭვირვალობა, ბიზნესის ლიკვიდურობა, არაკორუმპირებულობა და სტაბილურობა. 1990 წლის შემდეგ არც ერთი მათგანი არ არსებობდა. ბიზნესის გამჭვირვალობა კი კვლავინდებურად პრობლემად რჩება.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდი გავლენა საფონდო ბირჟის ფუნქციონირებაზე კანონმდებლობის ცვლილებამ მოახდინა. 1998 წლამდე საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობა იყო ძალიან სუსტი იყო, რაც ნამდვილად ხელს უშლიდა მის განვითარებას. მაგრამ 1998 წელს საქართველოში მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, როდესაც აშშ-ს მთავრობის (USAID-ის) დახმარებით დაიწყო კაპიტალის ბაზრის განვითარების პროექტი. საყოველთაო შეფასებით, ეს იყო ძალიან ეფექტური პროექტი, რომელმაც ხელი შეუწყო ბაზრის განვითარებას. იმ მომენტისათვის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა რეგულირების საკითხი.

ეროვნულ ბანკს სურდა, რომ ის ყოფილიყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორი. ამერიკელი ექსპერტების პრინციპული პოზიციის შედეგად, ეს ასე არ მოხდა და შეიქმნა დამოუკიდებელი რეგულატორი – ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის

განვითარებისთვის. კარგმა კანონმდებლობამ მოგვიტანა ძალიან სწრაფი შედეგები უკვე 1 წელიწადში, 2000 წელს საქართველოში არსებობდა ლიცენზირებული საფონდო ბირჟა, ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარი, 38 ლიცენზირებული საბროკერო კომპანია და 8 ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ანუ ყველაფერი ის, რაც საჭიროა ინფრასტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. შედეგი ვაჭრობის თვალსაზრისითაც იყო: ბაზარმა თანდათან დაიწყო ნდობის მოპოვება და 2007 წლამდე ჩვენ მივიღეთ მზარდი ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. გაჩნდა ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები. კარგი მაგალითი გადამდები აღმოჩნდა და ბევრმა კომპანიამ დაინახა, რომ კაპიტალი შეიძლება მოიზიდოს არა მხოლოდ სესხის ადებით, არამედ ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, რაც გაცილებით იაფია. ინვესტორებმაც დაინახეს, რომ თუ აქამდე ინვესტირებისათვის არსებობდა ერთადერთი უალტერნატივო გზა – ბანკები, გაჩნდა ინსტრუმენტი, რომელშიც ასევე შესაძლებელი იყო ინვესტიციების განხორციელება – ფასიანი ქაღალდები. 2007 წელს ბაზარმა მიაღწია პიკს, მაგრამ 2007 წლის შემდეგ ბაზარი იწყებს კლებას, ქრება ლიკვიდურობა და მცირდება ბირჟაზე დადებული გარიგებების რაოდენობა“.

რა გახდა ამის მიზეზი? 2007 წელს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ ე.წ.ლიბერტიანიანელებმა შეიტანეს ცვლილება. მანამდე კანონში არსებობდა ფუნდამენტური ჩანაწერი – „ფასიანი ქაღალდები, რომელიც დაშვებულია სავაჭროდ ბირჟაზე, ანუ საჯარო სივრცეში, შეიძლება ივაჭრობდეს მხოლოდ ბირჟაზე“. ეს იყო ამ კანონის ფუნდამენტური პრინციპი. კანონში შევიდა ცვლილება და გაქრა ჩანაწერი „მხოლოდ საფონდო ბირჟაზე“. ამ ცვლილების მიზეზი რეალურად იყო ლობი, რომელიც ამის უკან იდგა. ფინანსურმა რესურსმა, რომელიც საფონდო ბაზრის ამუშავებამდე მხოლოდ ბანკებისკენ მიედინებოდა, იპოვა სხვა გზაც და იქ დაიწყო ფულადმა რესურსებმა მუშაობა. როგორც კი ეს საფრთხე გაჩნდა, ძალიან სწრაფად საკანონმდებლო ცვლილებებით იქნა იგი „ლიკვიდირებული“ და ამ ცვლილებების შემდეგ, გარიგებები იდება არასაბირჟო ე.წ. ნაცრისფერ ბაზარზე და ამით მოგებას იღებენ ის ფინანსური ინსტიტუტები, რომელთაც სულ არ სჭირდებათ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა.

ამავე დროს, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორი ხდება ეროვნული ბანკი, რითაც ფაქტობრივად შეწყდა სახელმწიფოებრივი მუშაობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე. ამის პარალელურად, სხვა კანონმდებლობაში შედის ცვლილებები. 2007-08 წლებში სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში შეტანილ ცვლილებებში, აკრძალვების მუხლში ხშირად ვკითხულობთ, რომ ეს აკრძალვა ეხება ყველა ფინანსურ ინსტიტუტს და იქვე ფრჩხილებში გვხვდება ჩანაწერი – „გარდა ბანკებისა“. გარდა ამისა, იგივე 2007 წელს კომერციული ბანკების შესახებ კანონში შედის საინტერესო ცვლილება, რომლის მიხედვითაც კომერციულ ბანკებს ეზრდებათ ფუნქციები და ისინი იღებენ ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციასაც კი.

განვითარებულ ქვეყნებში, საფონდო ბირჟებზე მეთვალყურეობისას ორგვარი მიდგომა გამოიყენება. ერთია გარე პირების უშუალო მონაწილეობა მის მეთვალყურეობაში, ხოლო მეორე- თავად ამ სფეროს მონაწილე კორპორატიული საფინანსო სტრუქტურების მიერ განხორციელებული ზედამხედველობა. საქართველოში უფრო მეტად მეორე მიდგომა გამოიყენება და საფონდო ბირჟის მეთვალყურეობაში ბანკების დომინანტური როლი იქედან გამომდინარეობს, რომ დღეს ყველაზე მეტად განვითარებულ ინსტიტუტებს ფინანსურ

სექტორში სწორედ ბანკები წარმოადგენენ. ის, რომ საფონდო ბირჟა ბანკების მიერ იმართება სულაც არ წარმოადგენს სიახლეს და ბოლო რამდენიმე წელია ტრადიციადაა ჩამოყალიბებული. ახლა კი, ეს უბრალოდ უფრო თვალსაჩინო გახდა. რამდენად მოუტანს სიკეთეს ბანკების ასეთი დომინანტური პოზიცია საფონდო ბირჟის განვითარებას? შექმნილი სიტუაცია საქართველოს საფინანსო სისტემის სტრუქტურულიდან გამომდინარე ბუნებრივია, მაგრამ ბანკების ასეთი გავლენა საფონდო ბირჟის საქმიანობაზე, მის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის. ლოგიკა ძალიან მარტივია - ეს ორი ინსტიტუტი საფინანსო სისტემის ორი სხვადასხვა რგოლია, დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ადამიანს, რომელსაც დანაზოგი აქვს, შეუძლია ბანკში ანაბარი გახსნას ან წავიდეს საფონდო ბირჟაზე და ფასიანი ქაღალდი შეიძინოს. შესაბამისად, საფონდო ბირჟის გამოცოცხლება და მისი როლის ზრდა ბანკებისთვის მომგებიანი არ იქნება, რადგან ეს გარკვეულწილად მათი დეპოზიტების შემცირების ხარჯზე მოხდება, რაც ბანკების ინტერესში ნამდვილად არ ჯდება. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობაში 2008 წლამდე არსებობდა ჩანაწერი, რომელიც ერთი რომელიმე საფინანსო ინსტიტუტის მხრიდან საფონდო ბირჟის მართვაზე კონტროლის დაწესების შესაძლებლობას ზღუდავდა, თუმცა ამ სფეროს ლიბერალიზაციის მიზნით ამ კანონის ცვლილება მოხდა. შესაბამისად, დღეს საფონდო ბირჟაზე ბანკების ასეთი მონოპოლიური მდგომარეობა აბსოლუტურად ლეგალურია. დღეს არსებული სიტუაციის გამოსწორება კი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზეა შესაძლებელი.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი – ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მისი გამართული ფუნქციონირება. ისეთი განვითარებადი ქვეყანა, როგორც საქართველოა, განიცდის საკუთარი სახსრების არარსებობას, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალება კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავებაა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა კი ორგანიზებული საფონდო ბაზრის და მისი ინფრასტრუქტურის (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი) მდგრადი ფუნქციონირებაა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი გლობალური ეკონომიკის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.

საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშავოს სტრატეგიული გეგმა და ისეთი კანონმდებლობა, რომელიც გათვლილი იქნება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციების დაბანდებას კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, რაც შემდგომში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი იქნება. საქართველოს განუვითარებელი ფინანსური ბაზარი ართულებს უცხოური პორტფელური ინვესტიციების მოზიდვას. ეკონომიკაში საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ფასიანი ქაღალდების მექანიზმის ამუშავება და ამ ბაზრის განვითარებაა. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, ეს ბაზარი ხელს უწყობს ფინანსური რესურსების აკუმულირებას და მათ ჩართვას ეკონომიკის განვითარების პროცესში.

აუცილებელია საფონდო ბირჟის ფეხზე დაყენება. ამას ძალიან დიდ წინააღმდეგობას უწევენ ბანკები, რადგან საფონდო ბაზარი არის ბიზნესის დაფინანსების საბანკო მექანიზმის

ალტერნატივა. დღესდღეობით, საფონდო ბირჟის სავალალო მდგომარეობის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მას მართავენ სწორედ კონკურენტები, რაც ნონსენსია. ამიტომ აუცილებელია ამ საქმის გამოსწორება. შემდეგ უკვე ამ გამჭვირვალე ორგანიზაციაში ინვესტორი მივა გაცილებით თამამად, გაცილებით მეტ ფულს ჩადებს და უფრო მეტიც, შიგა დაგროვების ნაწილი გადავა ინვესტირების ამ არხებში. ინვესტიცია თავისით მოვა მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს საფონდო ბირჟის სტრატეგიული პარტნიორი გახდება, მაგალითად, ისეთი საერთაშორისო საბირჟო ოპერატორი, როგორცაა NASDAQ OMX და ჩვენ ვიქნებით საერთაშორისო ბაზარზე ცნობილი და აღიარებული. თუ ამას არ გავაკეთებთ, არასდროს გვექნება ასპარეზი, შიგა ინვესტიცია ვაქციოთ ფულად, შიგა დაგროვება ინვესტიციად და გარე ინვესტიცია მივმართოთ საფინანსო-საპორტფელო ნაწილში. თუ ანალიზს გავაკეთებთ კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის საფუძვლების გამოცლა საკანონმდებლო დონეზე იმისათვის, რომ კონკურენტი დარგი არ განვითარდეს. შესაბამისად, ხელისუფლებას შეუძლია, აღადგინოს რამდენიმე საკანონმდებლო ნორმა (რომლებიც 2007-2008 წლებში „ლიბერტიანიელებმა“ გააუქმეს), რაც მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის, ამ ეტაპზე, საკმარისი იქნება და მის განვითარებას შეუწყობს ხელს. რაში გამოიხატება განვითარების ხელშემწყობი კანონმდებლობა? მან უნდა გაითვალისწინოს როგორც ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ასევე ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მდგომარეობა და ამის მიხედვით უნდა მოხდეს კანონმდებლობის მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლ., შონია ნ., ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თბ., თსუ, 2008.
2. <http://www.nplg.gov.ge>, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
3. <http://bfm.ge/> ბანკები და ფინანსები 2009–2015. Georgia.
4. <http://www.bpn.ge> business press news.
5. <http://www.radiotavisupleba.ge/> RFE/RI, Inc. ყველა უფლება დაცულია

რეზიუმე

სტატიაში ხაზგასმულია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებას უნდა ახორციელებდეს ორგანო, რომელიც შეიმუშავებს ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ წესებს, უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის მომზადებასა და ბაზრის ფინანსური მდგომარეობის კონტროლს, ამიტომ კარგი იქნებოდა საფონდო ბირჟას მართავდეს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.

ამრიგად, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ჩამოყალიბების პროცესში სახელმწიფოს დიდი როლი ეკისრება. აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რომელიც მოიცავს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და პროფესიონალთა ფართო წრის მონაწილეობით თანამედროვე სტანდარტების სამართლებრივი ბაზის შექმნას. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ბაზრის მონაწილეების საქმიანობის არეალის გაფართოებასა და მომსახურების გაუმჯობესებას,

უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამჭვირვალობა, გახსნილობა, ორგანიზებულობის ამაღლება და საიმედოობა.

სავალუტო კრიზისის მექანიზმი და საქართველო

ხატია კოკობინაძე

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

სავალუტო კრიზისის კვლევა სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ XX ს. 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო. მისი პიონერი იყო ამერიკელი ეკონომისტი, პოლ კრუგმანი, რომელმაც შეიმუშავა სავალუტო კრიზისის ე.წ პირველი თაობის მოდელი, რომელსაც სხვაგვარად კანონიკურ მოდელსაც უწოდებდნენ. მოდელი ეყრდნობოდა რამდენიმე თეორიულ აბსტრაქციას, კერძოდ:

- ქვეყანა, რომელშიც ვითარდება სავალუტო კრიზისი, იყენებს ფიქსირებული გასვლითი კურსის რეჟიმს ე.წ მიზნული კურსის სახით.
- ადგილი აქვს ბიუჯეტის დეფიციტს, რომელიც შეიძლება შეივსოს ან შიგა სახელმწიფო ვალის ზრდით, ან კიდევ ფულის ემისიით.

სახელმწიფოს არ შეუძლია ისარგებლოს დაფინანსების საგარეო წყაროებით. ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მოცემული ქვეყნის ხელისუფლება მიმართავს ნასესხობას ცენტრალური ბანკისაგან. დეფიციტის მონეტიზაცია ზრდის ფულად ბაზას, რაც წარმოშობს ინფლაციურ მოლოდინს. ეს კი იწვევს მოთხოვნის ჯერ საგრძნობ, ხოლო შემდეგ მკვეთრ ზრდას შიგა სავალუტო ბაზარზე, რომლის დაკმაყოფილება ხორციელდება ინტერვენციების გზით ცენტრალური ბანკის საერთაშორისო რეზერვების ხარჯზე. გარკვეულ მომენტში რეზერვების მოცულობა კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, ანუ იმდენად მცირდება, რომ ეკონომიკური სუბიექტები და ფიზიკური პირები რწმუნდებიან ნომინალური გაცვლითი კურსის ღრმად დაცემის გარდუვლობაში. სწორედ ამ მომენტში იწყება სპეკულაციური შეტევა უცხოური ვალუტის მიმართ, რაც შეიძლება დიდი მასის შესასყიდად ჯერ კიდევ ფიქსირებული კურსით, ყოველივე ეს კი იწვევს შიგა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების სრულ დეფორმაციას. ხელისუფლება იძულებული ხდება მოახდინოს დევალვაცია.

კანონიკური მოდელი გვთავაზობს კრიზისის კლასიკურ მექანიზმს, რომლის საყრდენი ელემენტებია:

- სავალუტო კრაზი;
- საერთაშორისო რეზერვების ამოწურვა;
- სპეკულაციური შეტევა.

განსხვავებული შეხედულება აქვთ კ. ფრენკელსა და ე. როუზის, რომლის თანახმადაც სავალუტო კრიზისი წარმოადგენს მხოლოდ სავალუტო კრაზს. მასში კი იგულისხმება

ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის დაცემა არანაკლებ წლიური 25-30%-ით, იმის გათვალისწინებით, რომ დაცემის ტემპი 10%-ით მაღალი იქნება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან. აღნიშნული ავტორები უყურადღებოდ ტოვებენ რეზერვების ამოწურვასა და სპეკულაციურ შეტევას, როგორც სავალუტო კრიზისის განვითარების ელემენტებს. ე.წ. პირველი თაობის მოდელების პარამეტრებით ამგვარი მიდგომა გაუმართლებელია, რადგან ამ დროს ამოსავალია ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმის არსებობა, რომლის შენარჩუნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტისას თავისთავად გამოიწვევს საერთაშორისო რეზერვების შემცირებას. რეზერვების კრიტიკულ დონემდე დაწევა კი სპეკულაციური შეტევის დაწყების სიგნალია. ასე, რომ სავალუტო კრაზი კანონიკური სქემის მიხედვით უბრალოდ ვერ განხორციელდება საერთაშორისო რეზერვების მკვეთრი კლებისა და სპეკულაციური შეტევის გარეშე. მაგრამ, თუ კრიზისულ მოვლენათა განვითარებას მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში განვიხილავთ, სავსებით დასაშვებია ისეთი სიტუაცია, როდესაც მინიმალური გაცვლითი კურსის ვარდნა ხდება რეზერვების რაიმე სერიოზული შემცირების გარეშე. ამიტომ სპეკულაციური შეტევა არსებითად წარმოადგენს კრიზისის კვანძის გახსნას და სავალუტო კრაზთან ერთად მისი აუცილებელი ატრიბუტია.


თანამედროვე კვლევებში სავალუტო კრიზისების შესახებ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები – ჯ. აზიზი, ფ. ქარამცა და რ. სალგადო, მართალია სათანადო როლს ანიჭებენ სპეკულაციურ შეტევას, თუმცა, კრიზისის მექანიზმის დანარჩენ ორ ელემენტს ერთმანეთის შესაძლო ალტერნატივად მიიჩნევენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო რეზერვების შემცირება არ წარმოადგენს კრიზისის აუცილებელ ატრიბუტს. მით უმეტეს, იგი ვერ იქნება მისი ერთადერთი მახასიათებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებული ავტორები სავალუტო კრაზის ნაცვლად დევალვაციის ცნებით სარგებლობენ. სავალუტო კრიზისის იდენტიფიკაციისათვის უმჯობესია ვისარგებლოთ სავალუტო კრაზის ცნებით. მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო კრიზისის მექანიზმი, როგორც წესი, იმეორებს ზემოთ განხილულ სქემას, კრიზისის ფორმები მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამის მიზეზია უშუალოდ კრიზისის მაპროვიცირებელი ფაქტორების მრავალფეროვნება. ჯ. აზიზი, ფ. ქარამცა და რ. სალგადო მიიჩნევენ, რომ სავალუტო კრაზი და საერთაშორისო რეზერვების ამოწურვა თავად სავალუტო კრიზისის ფორმებია. მათი იდენტიფიკაციისათვის ავტორები სარგებლობენ ე.წ. სავალუტო ბაზარზე სპეკულაციური დაწოლის ინდექსით, რომელიც სამ კომპონენტს მოიცავს:

- ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა;
- საერთაშორისო რეზერვების დონე;
- საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

ინდექსის ზღვრული სიდიდის მიღწევა ნიშნავს სავალუტო კრიზისის დაწყებას. თუ ამ სიდიდის მიღწევის მომენტში საკურსო კომპონენტის ხვედრითი წილი 75 %-ს შეადგენს, ადგილი აქვს სავალუტო კრაზს, ხოლო თუ სარეზერვო კომპონენტი მიაღწევს 75 %-ს, სახეზეა სარეზერვო კრიზისი. თვით ინდექსის შინაარსობრივი დატვირთვა კი ისაა, რომ ნათლად დაგვანახოს კრიზისის სიღრმე, როგორც დევალვაციის, ასევე რეზერვების ხარჯისა და საპროცენტო განაკვეთების აწევის ხარისხის თვალსაზრისით. აღნიშნული ეკონომისტების მიერ გამოვლენილი სავალუტო კრიზისის კომპონენტები ჩვენ გავანალიზებთ საქართველოს მაგალითზე.

1. ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა

დიაგრამა 1




დიაგრამა 1-დან ნათელია, რომ ლარის კურსი მკვეთრად დაეცა უკანასკნელი თვეების განმავლობაში. 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის მაისამდე ვარდნა 34 %-ს შეადგენდა ანუ ადგილი ჰქონდა სავალუტო კრაზს. თუ დავეყრდნობით კ. ფრენკელსა და ე. როუზის მოსაზრებას, რომლის მიხედვით სავალუტო კრიზისი გაიგივებულია სავალუტო კრაზთან, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა სავალუტო კრიზისს. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სავალუტო კრიზისი მხოლოდ სავალუტო კრაზით არ განისაზღვრება.

2. საერთაშორისო რეზერვების დონე. ეროვნულ ბანკს ვალუტის კურსის შენარჩუნების მიზნით არაერთხელ მოუწია სავალუტო ინტერვენციების განხორციელება, რის გამოც საქართველოს ოფიციალური სავალუტო რეზერვები 2014 წლის აგვისტოში 2,7 მლრდ დოლარიდან 2015 წლის მაისისათვის 2,43 მლრდ-მდე შემცირდა. შეიძლება თუ არა ეს ჩაითვალოს სავალუტო რეზერვების ამოწურვად, რაც სპეკულაციური შეტევის სიგნალი და სავალუტო კრიზისის უდავო მაჩვენებელი იქნებოდა.

დიაგრამა 2

საქართველოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების დინამიკა 2014-2015 წლებში²




¹ <http://www.lari.ge>.

² დიაგრამა აგებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით. www.nbg.gov.ge.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია უცხოური სავალუტო რეზერვები შეინარჩუნოს იმპორტის თვიური ღირებულების სამმაგ ოდენობაზე. თუ დავაკვირდებით უკანასკნელ მონაცემებს, რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვაწვდის, დავინახავთ, რომ 2015 წლის პირველ 3 თვეში, იმპორტის მოცულობა 1,77 მლრდ დოლარი იყო,¹ ანუ დაახლოებით 650 მლნ დოლარის გახარჯვა კიდევ შეუძლია ეროვნულ ბანკს, რათა არ გასცდეს სსფ-ის მიერ დაწესებულ ზღვარს, რაც გარკვეული თვალსაზრისით რეზერვების ამოწურვად შეიძლება მიგვეჩნია. ამრიგად, ამ კრიტერიუმით საქართველოში სავალუტო კრიზისს ადგილი არ ჰქონია.

3. სპეკულაციური შეტევა

დიაგრამა 3



თუ დავაკვირდებით სავალუტო კურსის ცვლილების დიაგრამას უკანასკნელი თვეების განმავლობაში, შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ადგილი ჰქონდა სპეკულაციურ შეტევებს ლარის კურსზე. ამაზე მეტყველებს ერთი კვირის განმავლობაში ლარის კურსის რამდენიმე ათას პუნქტიანი ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლარის ოფიციალური კურსი განისაზღვრება ბლუმბერგის სისტემით, სადაც ვაჭრობენ მხოლოდ მსხვილი ქართული ბანკები და ინფორმაცია განხორციელებული სავალუტო გარიგებების მოცულობასა და ხასიათზე დახურულია, ცალსახად იმის თქმა - ჰქონდა თუ არა ადგილი სპეკულაციურ შეტევას, შეუძლებელია.

ამრიგად, სავალუტო კრიზისის 3 კომპონენტიდან 2 გვაქვს სახეზე - სავალუტო კრაზი და სპეკულაციური შეტევა, თუმცა, ამ უკანასკნელზე დაბეჯითებით მსჯელობა არ შეგვიძლია, მაგრამ არსებული მდგომარეობა დამშვიდების საშუალებას მაინც არ იძლევა. ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნით სავალუტო კრიზისის მაპროვოცირებელი ფაქტორების კვლევა მათი დაჯგუფების გზით:

- ფაქტორთა პირველი ჯგუფი დაკავშირებულია ქვეყნის კონკურენტუნარიანობასთან. იგი უშუალოდ ზემოქმედებს ქვეყნის საგადაამხდლო ბალანსზე და უცხოური ვალუტის

¹ www.geostat.ge.

² <http://www.lari.ge>.

მოთხოვნა–მიწოდებაზე. ფაქტორთა ამ ჯგუფის მიერ პროვოცირებულ სავალუტო კრიზისს ორგანული ეწოდება.


- ფაქტორთა მეორე ჯგუფი დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით მაკროეკონომიკურ სირთულეთა გარკვეულ ტიპთან. ამიტომ მისი მიმართება საგადასახდელო ბალანსის რღვევასა და შიგა სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა–მიწოდების თანაფარდობასთანაა დაკავშირებული. ფაქტორთა ამ ჯგუფის მიერ პროვოცირებულ სავალუტო კრიზისს ენდოგენური ეწოდება.
- ფაქტორთა მესამე ჯგუფი, დაკავშირებულია ეკონომიკური რეალიების, უპირატესად ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციებთან. ამ ტიპის ფაქტორების მიერ პროვოცირებულ სავალუტო კრიზისს ეგზოგენური ეწოდება.

სავალუტო კრიზისის მექანიზმებიდან საქართველოში განვითარებული დღევანდელი მოვლენები ახლოსაა ორგანული კრიზისის სცენართან, რომლის სქემა შემდეგნაირია: ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, მოცემული ქვეყნის ხელისუფლება მიმართავს ფულის მართვადი ცურვის რეჟიმს, რომლის ფარგლებშიც ნომინალური გაცვლითი კურსი ნაკლებად იცვლება. ამ დროს ადგილი აქვს:

- ეროვნული ვალუტის რეალურ გაძვირებას, რაც იწვევს ქვეყნის ექსპორტის კონკურენტუნარიანობის შესუსტებას;
- საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის გაუარესებას, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში;
- შიგა ბაზარზე ხდება მოთხოვნა–მიწოდების დეფორმაცია, რაც საბოლოოდ მთავრდება საერთაშორისო რეზერვების შემცირებით, სპეკულაციური შეტევითა და სავალუტო კრახით.

დიაგრამა 4

საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი
2013-2014 წლებში¹



¹ დიაგრამა აგებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით. www.nbg.gov.ge.

ამრიგად, ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ სწორედ ორგანული სავალუტო კრიზისის სცენარით განვითარდა მოვლენები საქართველოში. არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი კი მოკლევადიან პერიოდში ვერ მოიძებნება, აუცილებელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებაზე ზრუნვა ექსპორტის სტიმულირების გზით, რაც ფაქტორული მწარმოებლურობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას მოითხოვს. მსგავსი ამოცანების გადაჭრა კი მხოლოდ ერთი სახელმწიფო ინსტიტუტის ფარგლებში (იქნება ეს ფინანსთა სამინისტრო თუ ეროვნული ბანკი) შეუძლებელია. აუცილებელია მთელი საჯარო და კერძო სექტორის კოორდინირებული მოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანგურიძე ო., დოდონაძე ი., ჭარაია ვ., საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემები და თანამედროვე გამოწვევები, თბ., „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2015.
2. გოცირიძე რ., ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბ., „ფავორიტი“, 1999.
3. კაკულია მ., სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, თბ., „სესპსკი“, 2001.
4. კრუგმანი პ., ოფსვილდი მ., საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, თბ., „ცისარტყელა“, 2000.
5. ლინდერტი პ., საერთაშორისო ეკონომიკა, თბ., „სიახლე“, 2001.
6. შაბურიშვილი შ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2004, N3, გვ.71–78
7. Goldstein M., Strengthening the International Financial Architecture: Where do we stand? Washington D.C.: Institute for International Economics, August, 2000, <http://www.iie.com/catalog/WP/2000/00-8.htm>.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სავალუტო კრიზისის მექანიზმები, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კანონიკურ მოდელს. იგი გვთავაზობს კრიზისის კლასიკურ მექანიზმს, რომლის საბაზო ელემენტებია: სავალუტო კრაზი, საერთაშორისო რეზერვების ამოწურვა და სპეკულაციური შეტევა. სავალუტო კრიზისის აღნიშნული კომპონენტები ჩვენ გავაანალიზეთ საქართველოს მაგალითზე. კვლევამ აჩვენა, რომ სავალუტო კრიზისის 3 ელემენტიდან საქართველოში ადგილი ჰქონდა სავალუტო კრაზს და სპეკულაციურ შეტევას, რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო რეზერვებს, ის კვლავ შენარჩუნებულია მდგრად დონეზე.

ეთიკური კაპიტალის როლი მდგრადი ფერმერული მეურნეობების განვითარებაში

ანი ლომოური

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,
მეცნიერ-ხელმძღვანელი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი

საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას მუდმივად განსაკუთრებული ადგილი ეკავა. თუმცა ფაქტია, რომ დღეს აღნიშნული დარგი ნელი ტემპით ვითარდება და მცირე ზომის ფერმები ვერ უზრუნველყოფენ მაღალეფექტიანობას. ქართველი ფერმერები წააწყდნენ სრულიად განსხვავებულ წინააღმდეგობებს, დაწყებული ბაზარზე იმპორტიორების მიერ დაბალფასიანი პროდუქციის შემოტანით დამთავრებული სოფლის მეურნეობის განვითარებელი ინფრასტრუქტურით, დაბალი კვალიფიკაციით, ტექნოლოგიებისა და სხვადასხვა რესურსების ნაკლებობით, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მოუწყობლობით. აღნიშნული პრობლემები ქმნის სკეპტიციზმის საფუძველს, შეუძლია თუ არა სოფლის მეურნეობას შეასრულოს სიღარიბის დაძლევის მთავარი როლი და გახდეს შინამეურნეობების შემოსავლების ზრდის წყარო.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის უმეტესობა, მაგრამ წარმოებული პროდუქტის წილი ერთობ მცირეა მთლიან შიგა პროდუქტში. ისტორიულად, ბევრი ქვეყნის განვითარების გამოცდილება მიუთითებს ამ სექტორში დასაქმებისა და დამატებული ღირებულების წილის გარდუვალ შემცირებაზე. თუმცა, საქართველოში ამგვარი სტრუქტურული ცვლილების მასშტაბები მოკრძალებულია და მხოლოდ სეზონური და მუდმივი შრომითი მიგრაციით შემოიფარგლება. ათწლეულზე მეტია, რაც სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა წილი 52-54%-ის ფარგლებში მერყეობს. დანარჩენი სამუშაო ადგილები ძირითადად მომსახურების სფეროშია წარმოდგენილი, ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო ნაკლებია სამრეწველო სექტორში. ამის საპირისპიროდ, სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტში ძალიან მცირეა, დაახლოებით 9.2-9.4%. შედეგად ვიღებთ დასაქმების მაღალ მაჩვენებელს ნაკლებდამწარმოებლურ დარგში.¹

აღნიშნული მონაცემების მიუხედავად, ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული შემდეგი მიზეზებითაა გამოწვეული:

- ქვეყანას ეკონომიკური განვითარების ბევრი ალტერნატივა არ გააჩნია. რთულია ახლადჩამოყალიბებული სამრეწველო და მომსახურების მიმწოდებელი ფირმების შენარჩუნება ღია გლობალურ ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი, კვალიფიციური და დისციპლინირებული სამუშაო ძალის ნაკლებობის პირობებში. ამასთანავე, სოფლის მეურნეობა არის სფერო, სადაც პროდუქტულობის ზრდა მოკრძალებული ფინანსური ინვესტიციების, ორგანიზაციული და პროცესუალური საკითხების დახვეწითაც მიიღწევა;

¹ http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo

- უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღმოსავლეთ აზიის ბევრმა ეკონომიკამ მაღალ ეკონომიკურ ზრდას საწყის ეტაპზე სწორედ სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებით მიაღწია;
- გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, მოთხოვნა ზრდადია სოფლის მეურნეობის დიფერენცირებულ (როგორც პირველად, ასევე გადამუშავებულ) პროდუქტებზე და სხვ.¹

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრიორიტეტულად არ უნდა იქცეს ნებისმიერი ტიპის სოფლის მეურნეობის განვითარება. გლობალურ მსოფლიოში ჰომოგენური პროდუქციის მასობრივ წარმოებას ნულოვან მოგებამდე მივყავართ, კარგად ათვისებულ გზებს ბევრის შემოთავაზება აღარ შეუძლია. ხშირად ქვეყნები დიდი რაოდენობის მოსავლის მიღებისა და დანახარჯების მინიმიზაციის მიზნით საკვებად უვარგის პროდუქტს აწარმოებენ. ამ ფონზე საქართველო დიდი გამოწვევის წინაშე დგას - გათვლა გააკეთოს მოკლევადიან შედეგზე, რაც მომავალში შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით.

ბიომეურნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი სისტემაა, რომელიც გამორიცხავს ქიმიური სასუქების, პესტიციდების, აგრეთვე გენური ინჟინერიის მეშვეობით მიღებული ორგანიზმებისა და პროდუქტების გამოყენებას; იგი კანონით რეგულირდება და გულისხმობს, რომ მეურნეობის მართვისა და საკვების წარმოების მეთოდები მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს შეესაბამება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა უმრავლესობა ტერმინს „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“ არამართობულად მიიჩნევს, შესაბამისად, მას პროდუქციის სისუფთავის აღსანიშნავად პრაქტიკულად აღარც გამოიყენებენ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს მისი კულტურა-ტრადიციებისგან და მსოფლიოში ცნობილიცაა აქ წარმოებული ხორბალი, ღვინო, ხილი თუ ბოსტნეული, რთული მთაგორიანი ლანდშაფტი და მიწის ფრაგმენტაცია ვერ ქმნის იმის პირობებს, რომ ქართველმა გლეხმა წარმოების გაზრდით მიიღოს მოგება და კონკურენტუნარიანი იყოს გლობალურ სასაქონლო ბაზარზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გაუჭირდება კონკურენცია გაუწიოს ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის საშუალებით წარმოებულ იაფ პროდუქტებს, რითაც გაჯერებულია მსოფლიო ბაზარი და რომელთა ფასიც, ხშირ შემთხვევაში, მათი წარმოების ფასზეც მნიშვნელოვნად დაბალია სხვა ქვეყნებში არსებული სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების ხარჯზე. სწორედ ამიტომ, ლოგიკურია ქვეყანამ კურსი აიღოს ბიობაზარზე თავის დამკვიდრების მიმართულებით, რადგან ბიობაზარი ერთადერთი ბაზარია მსოფლიოში, რომელიც განუხრელად იზრდება, ეკონომიკური კრიზისისა და სხვა ბაზრების შემცირების ფონზეც კი.

მეორე მიზეზი ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობის არის ის პოლიტიკური კურსი, რომელიც ქვეყანას აქვს არჩეული. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ევროკავშირთან

² www.iset.ge „შეიძლება თუ არა სოფლის მეურნეობა გადაიქცეს ინკლუზიური ზრდის მამოძრავებელ ძალად საქართველოში?“, 2014.

ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ვაჭრობასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში, რომელიც გულისხმობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბებას. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიგა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.¹

აღნიშნულისთვის აუცილებელია საქართველოში შეიქმნას ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ გზები თუ როგორ უნდა მოხდეს მდგრადი ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ამ მხრივ, აღსანიშნავია სხვადასხვა ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირებისა თუ კოოპერატივების როლი, რომლებიც სწორედ ამ საკითხზე იქნებიან ორიენტირებული.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტების ხელმისაწვდომება სოფლის მეურნეობაში ინვესტირების და, შესაბამისად, დარგის განვითარების აუცილებელი პირობაა, თუმცა, ეფექტიანი სამეურნეო დაფინანსების სისტემის შექმნა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც ფინანსური ბაზრები ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „კრედიტი ორპირი მახვილია, ეგ იმაზე არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია, ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი ისეთი ეკონომიკური ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა მნელად იგულისხმება.“²

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ თითოეული ინვესტირებული ლარი ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან განვითარებასა და რეალური შედეგის მიღებაზე. სწორედ ამ ფასეულობებზეა დაფუძნებული საკრედიტო კავშირის ეთიკკაპიტალის საქმიანობა, რომელიც 2010 წელს ჩამოყალიბდა, მისი მიზანია დაბალპროცენტიანი სესხის გაცემა მხოლოდ გრძელვადიან სარგებელზე ორიენტირებულ, საზოგადოებრივად სასარგებლო პროექტებზე, რომლებიც მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. ეთიკკაპიტალი ორიენტირებულია ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობაზე, ეკოლოგიურ წარმოებაზე, მდგრად განვითარებაზე, სოციალური სფეროსა თუ ალტერნატიული ენერჯის გამოყენების განვითარებაზე.

2013 წელს ეთიკკაპიტალის მიერ დაფინანსდა 25 პროექტი, გაცემული სესხების 55% (102.185 ლარი) მოდიოდა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე - 13% (39.617 ლარი) ეკოლოგიურ წარმოებასა და მდგრად განვითარებაზე, 20% (47.651 ლარი) სოციალურ სფეროზე, ხოლო 12% (12.011 ლარი) განათლებასა და კულტურაზე. სესხების

¹ „ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა“, საქართველო, 2012 წელი.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, თბილისი, 1970, გვ. 263.

საერთო მოცულობამ 2013 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით 201.464 ლარი შეადგინა, აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წლის დასასრულს 104.318 ლარი იყო.¹

სასოფლო-სამეურნეო კრედიტები კვლავაც რჩება საკრედიტო კავშირში პრიორიტეტულ მიმართულებად. დაფინანსებული პროექტების ყველაზე დიდი წილი 55% სწორედ აღნიშნულ დარგზე მოდის. თუ ამ მონაცემებს შევადარებთ 2012 წლის მონაცემებს, როდესაც სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხები მთლიანად გაცემული სესხების 51 %-ს შეადგენდა, აშკარაა ზრდის ტენდენცია, ანუ ეთიკაპიტალის საქმიანობა ეფექტიანია და სამომავლო ზრდის პერსპექტივა აქვს.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთს ლარში გაცემულ სესხებზე. თავდაპირველად ეს მაჩვენებელი იყო 7-9%, ხოლო უკანასკნელ პერიოდში დაკორექტირდა და გაიზარდა 11%-მდე, რის უმთავრეს მიზეზად ვალუტის გაუფასურება სახელდება, ხოლო დოლარში გაცემულ სესხებზე კი 7%. ეს მაჩვენებელია ბევრად უფრო ნაკლები, ვიდრე საქართველოში არსებული ბანკებისა თუ სხვა საკრედიტო კავშირების მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია და საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია გაცემული სესხის მოცულობასა თუ დაფარვის პერიოდზე, საქართველოს ბანკში დოლარში გაცემულ სესხებზე მინიმალური საპროცენტო განაკვეთი არის 14%, თიბისი ბანკში-11%-დან 13%-მდე მერყეობს, ხოლო პროკრედიტ ბანკში კი 15,5-18,5%.

ეთიკაპიტალის ვალდებულებები საფინანსო ორგანიზაციების მიმართ 2013 წლის მონაცემებით 217.477 ლარს შეადგენს. უცხოელი პარტნიორებისგან აღებული სესხები მისი საკრედიტო პორტფელის ძირითად ნაწილს ქმნის. ეთიკაპიტალის ძირითადი პარტნიორები არიან: ბაზელის სათემო თავისუფალი ბანკის ფონდი, შვეიცარიის ალტერნატიული ბანკის ინოვაციური ფონდი, ავსტრიული ფონდი „ჰერმესი“, Acacia ფონდი, გაერთიანება თანამშრომლობა განვითარებისთვის, შვეიცარია, ბაზელის სათემო თავისუფალი ბანკის ფონდი, ჰამბურგის სამეურნეო ფონდი.² რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, როგორც ეთიკაპიტალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა საუბრისას აღნიშნა, საკრედიტო კავშირი გეგმავს კვლავ გააგრძელოს სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროექტების აქტიურად დაფინანსება, რაც არსებული მოთხოვნითაა განპირობებული, ამის საფუძველს კი, უპირველეს ყოვლისა, მათი პარტნიორი KIVA აძლევს, რომელიც სავარაუდოდ საკრედიტო პორტფელს აღნიშნული მიმართულებით 2015 წლის ბოლომდე დაახლოებით ორჯერ გაზრდის. KIVA საკრედიტო კავშირის პარტნიორი 2014 წლიდანაა. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი საკრედიტო საქმის დაფინანსებაში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკაპიტალი სულ რამდენიმე წლის წინ დაარსდა, ამ დროის განმავლობაში, მან ათეულობით პროექტი დააფინანსა, მათ შორის აღსანიშნავია: ბიოლოგურად სუფთა ქვევრის ღვინის მწარმოებელი ფირმები, სასათბურე მეურნეობები, მეფუტკრეობა და სხვ.

ეთიკაპიტალის საქმიანობა აგებულია ალტერნატიული ბანკის მოდელზე. ზოგადად საბანკო სისტემის ფუნქციონირების პრინციპი მეტ-ნაკლებად ყველასათვის ცნობილია – ბანკი ანაბრების სახით ადამიანებისაგან იღებს ფულს და მას სხვებზე სესხის სახით გასცემს.

¹ <http://ethiccapital.eu/EC/Geo/Publikation.html> „წლიური ანგარიში 2013“.

² <http://ethiccapital.eu/EC/Geo/Publikation.html>, „წლიური ანგარიში 2013“.

მეანაბრების გასამრჯელო სარგებელია. მსესხებლები კი, თავის მხრივ, სარგებელს უზდიან ბანკს იმაზე მეტს, ვიდრე მეანაბრები იღებენ. ეს სხვაობა ბანკის მოგებას შეადგენს. როგორც წესი, ბანკი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი სარგებლით გასცეს სესხი, ძვირად გაყიდოს ფასიანი ქაღალდები და მაქსიმალური მოგება მიიღოს. მეანაბრებმა არ იციან ვისზე გაიცემა მათი ფული და არც ის, თუ რაში გამოიყენება ის. ეს ბანკისთვისაც სულერთია, სანამ მისი შემოსავლები მაღალი და გარანტირებულია. ეთიკკაპიტალის საქმიანობის ანალიზმა ამ ორგანიზაციის შემდეგი უპირატესობები გამოავლინა:

- ორიენტირებულია ბიომეურნეობის განვითარებაზე;
- გააჩნია დაბალი საპროცენტო განაკვეთი სესხზე;
- დაფუძნებულია ადამიანებისადმი ნდობის ფაქტორზე;
- მუშაობს ტრანსფარანტულობის პრინციპზე, რაც საკრედიტო საქმიანობის გამჭვირვალობას გულისხმობს.

ზოგადად ეთიკური ბანკები იმით გამოირჩევიან, რომ კრედიტის გაცემისას ეკოლოგიურ, სოციალურ და სხვა მსგავს ეთიკურ კრიტერიუმებს ითვალისწინებენ. სესხი მხოლოდ ისეთ ფირმებს ან კერძო პირებს ეძლევათ, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ბანკის ეთიკურ კონცეფციასთან შესაბამისობაში მოდის, მაგალითად, ფულს განახლებადი ენერჯის წყაროების დანერგვაში, ბიოლოგიურად სუფთა მეურნეობაში აბანდებენ. ამგვარად, მეანაბრემ იცის, რომ მისი ფულის ინვესტირება ეთიკური კრიტერიუმების შესაბამისად საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეში ხდება. ხშირად მეანაბრეს კონკრეტული კრიტერიუმის განსაზღვრაც კი შეუძლია (მაგ., ბიომეურნეობა, გარემოს დაცვა ა.შ). ასეთი ბანკები მაქსიმალურ მოგებაზე არ არიან ორიენტირებულები, შესაბამისად, მათ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებიც შედარებით დაბალია. ხშირად მეანაბრები ეთიკური პროექტის (სესხის) სასარგებლოდ უარსაც კი ამბობენ სარგებელზე.

ეთიკური ბანკების მუშაობა გამჭვირვალე და ღიაა, ისინი, ხშირ შემთხვევაში, გაცემულ კრედიტებს აქვეყნებენ. ამგვარად, მათმა მომხმარებელმა ზუსტად იცის, სად დააბანდა ფული. ამ ბანკების მთავარი ორიენტირი მდგრადი განვითარება და საზოგადოებრივი სარგებელია. ამგვარი საფინანსო ინსტიტუტები, თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, დიდ აღმავლობას განიცდის. საქართველოში ეთიკკაპიტალი განვითარების ფაზაშია. ის ღირებულებები, რასაც ალტერნატიული ბანკების საქმიანობა ეფუძნება, საქართველოს რეალობისთვისაც აქტუალური და მნიშვნელოვანია. ეს აისახება ეთიკკაპიტალის სამომავლო საქმიანობაზედაც.

ამრიგად, საქართველოს მდიდარი წარსულიდან, ტრადიციებისა და ჩვეულებებიდან გამომდინარე, ქვეყნის პრიორიტეტი მდგრადი ფერმერული მეურნეობის განვითარება უნდა იყოს, რადგან სწორედ ეს მოგვცემს საშუალებას დავიმკვიდროთ ადგილი საერთაშორისო ბაზარზე. აუცილებელია, თითოეულმა ფერმერმა გააცნობიეროს, რომ მნიშვნელოვანია არა ერთჯერადად მიღებული დიდი რაოდენობით მოსავალი, რომელიც დროთა განმავლობაში სრულიად გამოფიტავს სახნავ-სავარგულებს და შეუძლებელს გახდის პროდუქციის წარმოებას, არამედ გრძელვადიანი ხედვით, მაღალხარისხიანი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაა. ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს ეთიკკაპიტალი. უმნიშვნელოვანესია, რომ ამ საკრედიტო კავშირმა რაც შეიძლება ბევრ ფირმასა და კერძო პირს მიაწოდოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, იზრუნოს არეალის გაფართოებაზე,

განსაკუთრებით დამწყებ და მცირე მასშტაბის ფერმერული მეურნეობების განვითარების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კარბელაშვილი ზ., ბიომეურნეობის საფუძვლები, თბილისი, 2009.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, თბილისი, 1970.
3. ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველო, 2012.
4. www.iset.ge.
5. www.ethiccapital.eu.
6. www.geostat.ge.

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტენდენციები, დასაბუთებულია მდგრადი ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირების აუცილებლობა, გამოვლენილია არსებული პრობლემები და მოცემულია მდგრადი სოფლის მეურნეობების განვითარებისათვის ეთიკაპიტალის გამოყენების მნიშვნელობა. განხილულია ეთიკაპიტალის საქმიანობის სფერო და დაფინანსებული პროექტები, პირველადი აღრიცხვის მასალების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ეთიკაპიტალის გამოყენების უპირატესობები: ბიომეურნეობის განვითარებაზე ორიენტაცია; ნაკლები საპროცენტო განაკვეთი სესხზე; ადამიანებისადმი ნდობის ფაქტორზე დაფუძნება; ტრანსფარანტულობის პრინციპზე დამყარება და გამჭვირვალობა.

კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები მდგრადი ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის ეთიკაპიტალის გამოყენების აუცილებლობასა და ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ვაგნერის კანონი და მისი ემპირიული შემოწმება საქართველოს მაგალითზე

ალექსანდრე მაისურაძე

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი იური ანანიაშვილი

ნაშრომში მოცემულია ვაგნერის კანონის მრავალმხრივი ანალიზი, მისი განვითარების გზა, სისწორე და განხილულია ორი განსხვავებული მიდგომა, რომელიც იკვეთება

ეკონომიკურ ლიტერატურაში: ვაგნერის კანონი სრულდება და ვაგნერის კანონი არ სრულდება. ასევე განსაზღვრულია ე.წ. არმი-რანის წირის როლი ვაგნერის კანონის ზემოქმედების კონტროლსა და შეზღუდვაში. შესაბამისი მონაცემების საფუძველზე გაკეთებულია ზემოთ ხსენებული კანონის შემოწმება საქართველოს მაგალითზე. განხილულია ვაგნერის კანონის კავშირი სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საფუძვლიანად გადმოცემულია ისეთი ცნებები და მოვლენები, როგორცაა სკალის წერტილი და სიმდიდრის პარადოქსი, მოცემულია მოკლე ინფორმაცია ადოლფ ვაგნერის შესახებ .

ვაგნერის კანონი და მისი ფორმულირება. ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს უამრავი ცნება და განმარტება, რომლებსაც აქვთ ფუძემდებლური მნიშვნელობა ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებისთვის. მოცემულ ნაშრომში მიმოვიხილავთ ისეთ ნაკლებად ცნობილ საკითხებს, როგორცაა ვაგნერის კანონი, არმი-რანის წირი და მათთან დაკავშირებული სიმდიდრის პარადოქსი. ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად ფიგურირებს ვაგნერის კანონი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე ურყევ დამოკიდებულებად ეკონომიკაში. იგი პირველად ჩამოაყალიბა გერმანელმა ეკონომისტმა ადოლფ ვაგნერმა (Adolph Wagner) 1892 წელს.

ვაგნერის კანონი საერთო დინამიკაში განიხილავს კანონზომიერებას კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის. დღესდღეობით ჩვენ შეიძლება წავაწყდეთ ვაგნერის კანონის სხვადასხვა ინტერპრეტაციას, მაგრამ, სანამ გავეცნობოდით სხვა ეკონომისტების ფორმულირებებს, აუცილებელია მოვიყვანოთ ავტორისეული განმარტება: „მრეწველობის განვითარებასთან ერთად სახელმწიფო ხარჯების ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე წარმოების მოცულობის და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი. სხვა სიტყვებით, ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციას თან ახლავს სახელმწიფო ხარჯების წილის ზრდა მთლიან შიგა პროდუქტში“. თანამედროვე განმარტება კი გამოიყურება ასე: „მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას თან ახლავს სახელმწიფო ხარჯების ზრდა უფრო მაღალი ტემპით“. როგორც ვიცით, ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია თანაფარდობა ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის. ვინაიდან ვაგნერის კანონი სწორედ ამ თანაფარდობაში პოულობს ასახვას, სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რეალურად სრულდება თუ არა ეს კანონი .

მნიშვნელოვანია დავსვათ კითხვა: რატომ არსებობს საერთოდ ეს კანონი და რა მიზეზები განაპირობებს ეკონომიკური სისტემის ვაგნერისეულ განვითარებას? თავად ავტორი გამოყოფდა მიზეზების სამ ძირითად კატეგორიას, ესენია:


- სოციალურ-პოლიტიკური - ისტორიის მანძილზე ჩვენ ვაკვირდებით სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების მნიშვნელოვან გაფართოება (საპენსიო დაზღვევა, სოციალური დახმარებები და ჰუმანიტარული დახმარებები სტიქიური უბედურებების და კატასტროფების დროს);
- ეკონომიკური - სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი მოითხოვს სახელმწიფოსგან დამატებითი მატერიალური საშუალებების გამოყოფას მეცნიერებისთვის. არის სფეროები, რომლებიც სახელმწიფოსთვის ინვესტიციების განსახორციელებლად უფრო ნაკლებად რენტაბელურია, მაგრამ რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა (ჯანდაცვა, ეროვნული თავდაცვა, და ა.შ.);

- ისტორიული - შესაძლებელია წინა წლებში სახელმწიფოს მიერ გარკვეული მიზეზების გამო აღებული ვალი აგრძელებს ზრდას და იზრდება მასზე არსებული პროცენტები, ანუ სხვა სიტყვებით, ძვირდება სახელმწიფო ვალის მომსახურება.

დღესდღეობით, შეიძლება დავუმატოთ კიდევ რამდენიმე მიზეზი: მოსახლეობის მოთხოვნის ზრდა გამოწვეული ახალი სოციალური სტანდარტების დანერგვით, ბაზრების შეზღუდულობა, მძლავრი ბიუროკრატიული აპარატის არსებობა, რომლის შენახვა სახელმწიფოსგან საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს .

მათემატიკური ფორმალიზება. ვაგნერის კანონის მათემატიკური ფორმალიზებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა შემოვიღოთ შესაბამისი აღნიშვნები: X -იყოს მშპ-ის მოცულობა, ხოლო G - იყოს სახელმწიფო ხარჯების სიდიდე. ახლა გავიხსენოთ, თუ როგორ ჩამოვყალიბებთ ვაგნერის კანონი: „მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას თან ახლავს სახელმწიფო ხარჯების ზრდა“. მაშინ ვაგნერის კანონის მიხედვით ადგილი აქვს შემდეგ ხარისხოვან დამოკიდებულებას: $G = mX^\theta$ (1), სადაც m და θ უცნობი პარამეტრებია, თანაც $m > 0$, $\theta > 1$.

ამრიგად, ვაგნერის კანონი გამოსახავს ზრდად არაწრფივ დამოკიდებულებას სახელმწიფო ხარჯების სიდიდესა და მშპ-ს შორის . მარტივი დასანახია, რომ თუ $\theta \leq 1$, მაშინ ვაგნერის კანონი ავტომატურად ირღვევა. სხვა სიტყვებით, ვაგნერის კანონი ეკვივალენტურია იმის, რომ (1) დამოკიდებულებაში θ პარამეტრი იყოს მკაცრად მეტი ერთზე, $\theta > 1$. (1) დამოკიდებულება გრაფიკულად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ.



ნახ.1. დამოკიდებულება მშპ-სა და სახელმწიფო ხარჯებს შორის ვაგნერის კანონის შესაბამისად

ხარისხოვან ფუნქციას 1 ნახაზზე უწოდებენ ვაგნერის წირს. მოვახდინოთ ვაგნერის კანონის განსხვავებული ინტერპრეტაცია: ვიპოვოთ (1) დამოკიდებულებიდან შემდეგი გამოსახულების მნიშვნელობა: $(X/G)(\partial G/\partial X)$. ეს გამოსახულება ტოლია θ პარამეტრის. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ (1)-ს გავაწარმოებთ X -ით და მიღებულ წარმოებულს გავამრავლებთ (X/G) , სადაც G -ს მაგვირად უნდა ჩავწეროთ (1) გამოსახულების მარჯვენა მხარე, შინაარსობრივი თვალსაზრისით ვაგნერის კანონი გვეუბნება, რომ დროთა განმავლობაში სახელმწიფოს როლი იზრდება და მასთან ერთად იზრდება სახელმწიფო სექტორის მასშტაბებიც. აღსანიშნავია, რომ ეს თეზისი ზედმიწევნით კარგად შეესაბამებოდა რეალობას: 1 ცხრილში მოცემული მონაცემები გვიჩვენებს, რომ 120 წლიანი პერიოდის

მანძილზე არსებობდა სახელმწიფო ხარჯების ზრდის ტენდენცია, რაც ვაგნერის კანონის პირდაპირი შედეგია .

ცხრილი 1

ქვეყნები	სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში %		სახელმწიფო სექტორის წილი მთლიანად მომუშავეთა რაოდენობაში %	
	1870 წ.	1996 წ.	1870 წ.	1994 წ.
ავსტრალია	18,0	36,0	1,4	20,9
ავსტრია	10,0	52,0	1,9	22,4
საფრანგეთი	13,0	55,0	2,5	24,8
გერმანია	10,0	49,0	1,2	15,1
იტალია	14,0	53,0	2,6	16,2
იაპონია	9,0	36,0	1,0	6,9
ნორვეგია	6,0	49,0	2,2	30,6
შვედეთი	6,0	64,0	2,2	32,0
შვეიცარია	16,0	39,0	2,4	14,1
დიდი ბრიტანეთი	9,0	43,0	4,9	15,0
აშშ	7,0	32,0	2,9	14,5

ასეთი რეტროსპექტიული ანალიზის მიხედვით ვაგნერის კანონი შეიძლება მოგვეჩვენოს სრულიად ურყევ დამოკიდებულებად. მაგრამ აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ზრდის ყველა პროცესს გააჩნია ე.წ. „გაჯერების“ მომენტი, მითუმეტეს, თუ ეს ზრდა აგებულია სხვადასხვა პარამეტრების ურთიერთქმედებაზე. ცხრილ 1-ში ასახულია სახელმწიფო ხარჯების წილის ზრდადი ტენდენცია, მაგრამ აშკარაა რომ მას ზედა ზღვრად აქვს 100 %-ნი წილი და უფრო მეტიც, ისიც კი მიუღწევადია, რადგან შეუძლებელია, რომ ეკონომიკაში არ იარსებოს კერძო სექტორმა. შეიძლება ითქვას, რომ აქ სხვა კითხვა უნდა დაისვას: კერძოდ ის, თუ როდის წყვეტს ვაგნერის კანონი მოქმედებას.

ვაგნერის კანონის შემოწმება, გრძელვადიანი ელასტიკურობა. იმისათვის, რომ შევამოწმოთ ვაგნერის კანონის სისწორე, ან სამართლიანობა რომელიმე კონკრეტული ქვეყნისთვის, აუცილებელია მონაცემების შეგროვება. სტატიაში გამოყენებული მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს საიტიდან. ზოგადად იმისათვის, რომ (1)-ის მსგავსი დამოკიდებულებების შეფასება მოხდეს, იგება შემდეგი ტიპის ეკონომეტრიკული მოდელი:

$$\ln[G(t)] = a_0 + \sum_{i=0}^h b_i [\ln X(t-i)] + \sum_{j=1}^n c_j [\ln Y_j(t)] \quad (2),$$

სადაც, a_0 , b_i , და c_j არის მოდელის პარამეტრები, რომელიც შეფასდება სტატისტიკურად: t -დროის ინდექსია (წელი, ან კვარტალი);

Y_j - j -ური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ხარჯების დინამიკაზე.

მოვიყვანოთ რამდენიმე განმარტება. პირველი: აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს დამოკიდებულებას მთლიან შიგა პროდუქტსა და სახელმწიფო ხარჯებს შორის დროის გარკვეულ ინტერვალში, $(X(t-i))$. ლაგის ზომა შეიძლება აღწევდეს 5 წელს. მეორე: (2) მოდელში მთლიანი შიგა პროდუქტის გარდა, ფიგურირებს სხვა ფაქტორები Y_j , რომლებიც ახდენს ზეგავლენას სახელმწიფო ხარჯებზე. ასეთი ფაქტორების რაოდენობა შეიძლება 3-4-ც კი იყოს, მაგრამ ძალიან ხშირად სიმარტივისთვის სხვა ფაქტორები გაიგივებულია წინა წლის სახელმწიფო ხარჯებთან. მესამე: (2) მოდელში ყველა ცვლადი წინასწარ ლოგარითმდება, რათა შემდგომში უფრო მარტივი იყოს ელასტიკურობის კოეფიციენტის გამოთვლა. (2) მოდელით განსაზღვრული ელასტიკურობის კოეფიციენტი θ განისაზღვრება როგორც ცალკეული b_i კოეფიციენტების ჯამი, რომლებიც შეესაბამებიან ე.წ. წერტილოვან ელასტიკურობას, ანუ ელასტიკურობის კოეფიციენტს დროის გარკვეულ მომენტში. ამრიგად, გრძელვადიანი ელასტიკურობა θ^* განისაზღვრება როგორც რეგრესიის კოეფიციენტების ჩვეულებრივი ჯამი:

$$\theta^* = \sum_{i=0}^h b_i \quad (3)$$

θ^* კოეფიციენტი წარმოადგენს θ პარამეტრის შეფასებას და შემდგომში ისინი შეიძლება ერთმანეთთან გავაიგივოთ. საბოლოო ჯამში, ვაგნერის კანონის შემოწმება დაიყვანება შემდეგ პროცედურამდე: (2) მოდელის აგებამდე და (3) სიდიდის გამოთვლამდე.

Excel-ის დახმარებით ავაგეთ საქართველოს მონაცემების მიხედვით რამდენიმე მოდელი. კერძოდ, მოდელი, როცა ლაგი არ გვაქვს და არც დამატებითი ფაქტორი გვაქვს ჩართული; როცა ერთი წლის ლაგი გვაქვს და ერთი დამატებითი ფაქტორი გვაქვს წინა წლის სახელმწიფო ხარჯების სახით; მოდელი, რომელშიც ლაგი გათვალისწინებულია 2 წლისთვის გრძელვადიანი პერიოდის გასაანალიზებლად. შესაბამის მათემატიკურ ჩანაწერებს აქვს შემდეგი სახე:

$$\ln G(t) = a_0 + b_0 \ln X(t) + b_1 \ln X(t-1) + c_1 \ln G(t-1) \quad (5)$$

$$\ln G(t) = a_0 + b_0 \ln X(t) + b_1 \ln X(t-1) + b_2 \ln X(t-2) + c_1 \ln G(t-1) + c_2 \ln G(t-2) \quad (6)$$

მივიღოთ (5) განტოლების შეფასება .

$$\ln G(t) = a_0 + b_0 \ln X(t) + b_1 \ln X(t-1) + c_1 \ln G(t-1)$$

Excel-ში აგებული მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება :

მიღებული მოდელი ასე გამოიყურება:

$$\ln G(t) = -0.3634 + 0.6226 \ln X(t) - 0.022 \ln X(t-1) + 0.341 \ln G(t-1) \quad (5^*)$$

(3) ფორმულის თანახმად $\theta^* = \sum_{i=0}^h b_i$, ამიტომ $\theta^* = 0.6226 - 0.022 = 0.6006$

ახლა შევაფასოთ (6) :

$$\ln G(t) = a_0 + b_0 \ln X(t) + b_1 \ln X(t-1) + b_2 \ln X(t-2) + c_1 \ln G(t-1) + c_2 \ln G(t-2)$$

რეგრესიულ განტოლებას აქვს შემდეგი სახე :

$$\ln G(t) = -4.2834 + 1.8931 \ln X(t) - 0.5052 \ln X(t-1) + 0.4187 \ln X(t-2) + 0.1366 \ln G(t-1) - 0.7094 \ln G(t-2)$$

$$(6^*) DW=2,1$$

ანალოგიური გამოთვლებით ვიპოვოთ θ^* , გრძელვადიანი ელასტიკურობა : $\theta^*=1.8931-0.5052+0.4187=1.8066$. ბოლოს, იმისათვის, რომ მივიღოთ უფრო მტკიცე დასაბუთება ჩვენი შემდგომი მსჯელობისა, ავაგოთ კიდევ ასეთი მოდელი :

$$\ln G(t) = a_0 + b_0 \ln X(t) + b_1 \ln X(t-1) \quad (7) \text{ მივიღებთ :}$$

ანუ

$$\ln G(t) = -1,093 + 0.4312 \ln X(t) + 0.5427 \ln X(t-1) \quad (7^*)$$

გრძელვადიანი ელასტიკურობა ტოლია: $\theta^*=0.4312+0.5427=0.9739$

საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღეთ ასეთი მოდელები:

$$\ln G(t) = -2.2887 + 1.1076 \ln X(t) \quad (\theta^*=1.1076.)$$

$$\ln G(t) = -1,093 + 0.4312 \ln X(t) + 0.5427 \ln X(t-1) \quad (\theta^*=0.9739)$$

$$(\theta^*=1.8066) DW=2,1$$

ამ სამი განტოლებიდან ორში გრძელვადიანი ელასტიკურობის კოეფიციენტი აღემატება ერთს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოში ვაგნერის კანონი სრულდება, ანუ სახელმწიფო ხარჯების ზრდა უფრო მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდება, ვიდრე ეს მთლიან შიგა პროდუქტს აქვს .

ამრიგად, საქართველოს მონაცემების ანალიზმა 2006 წლის პირველი კვარტალიდან 2014 წლის მეოთხე კვარტალამდე გვიჩვენა, რომ ჩვენი ქვეყანა სავსებით აკმაყოფილებს მზარდი სახელმწიფო ხარჯების თეზისს.


დისკუსიები ვაგნერის კანონის შესახებ, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ახალი ეტაპი. 2008 წელს სერენა ლამარტინამ (Serena Lamartina) ევროპის ცენტრალური ბანკიდან და ანდრეა მაგინიმ (Andrea Zaghini) იტალიის ეროვნული ბანკიდან გამოაქვეყნეს თავიანთი კვლევის შედეგები. აქვე უნდა ითქვას, რომ მათმა გამოკვლევებმა საკმაოდ არაერთგვაროვანი შედეგები მოგვცა. მათ გამოიყენეს გრძელვადიანი ელასტიკურობის ორი განსხვავებული მეთოდი. ერთ-ერთი მათგანის შესაბამისად, 1997 წლიდან გრძელვადიანი ელასტიკურობა სახელმწიფო ხარჯების მთლიანი შიგა პროდუქტის მიმართ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (OECD) გახდა ერთზე ნაკლები ($\theta^* < 1$), მეორე მეთოდით, რომელიც იტალიელი ავტორების აზრით უფრო ზუსტია, მიღებული შეფასება მკაცრად ერთზე მეტი იყო, ე.ი. შეფასება დიდადაა დამოკიდებული მეთოდოლოგიაზე. თავად ლამარტინა და მაგინი ემხრობიან იმ აზრს, რომ ვაგნერის კანონი სრულდება. მაგრამ ისინი მაინც ამახვილებენ ყურადღებას არსებულ არაერთგვაროვნებაზე: ზოგიერთ ქვეყნებში გრძელვადიანი ელასტიკურობის მაჩვენებელი აშკარად ერთზე ბევრად ნაკლებია, ხოლო ზოგიერთ ქვეყნებში კი ერთზე მეტი. საბოლოო ანგარიშით, ლამარტინა და მაგინი ასკვნიათ: ბოლო პერიოდის მანძილზე მსოფლიოში ხდება ქვეყნების დაყოფა შემდეგი კრიტერიუმით: შედარებით ღარიბი, ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, სადაც ვაგნერის კანონი ჯერ კიდევ სრულდება და შედარებით მდიდარი ქვეყნები, სადაც ვაგნერის კანონი უკვე ირღვევა.

ამრიგად, 1980-იან წლებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ვაგნერის კანონმა თავისი ძალა დაკარგა. ეს ტენდენცია გრძელდება და ასეთი ქვეყნების რიცხვი იზრდება. აქ საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ძირითადი სირთულე, რომელიც ამ კანონის შემოწმებასთან დაკავშირებით არსებობს, არის ის თუ როგორი მონაცემებით უნდა შევავსოთ კანონზომიერება: უშუალოდ მთლიანი შიგა პროდუქტის და სახელმწიფო ხარჯების მონაცემებით, მათი ზრდის ტემპები წლების ან კვარტლების მიხედვით; ასევე საკამათოა ის, თუ რომელი აგრეგატი უნდა გამოვიყენოთ: მთლიანი შიგა პროდუქტი მუდმივ ფასებში თუ მიმდინარეში, ან მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე უნდა გამოვიყენოთ თუ არა.

არმი-რანის წირი და სკალის წერტილი. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვაგნერის კანონის დარღვევა პრაქტიკულად გარდუვალი მოვლენაა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო ხარჯების წილის ზრდას აქვს ზედა ზღვრად 100 %-ნი წილი.

ვაგნერის კანონის მიხედვით, მშპ-ის ზრდა გავლენას ახდენს სახელმწიფო ხარჯების ზრდაზე, ანუ ამით პირდაპირ კავშირს ამყარებს „ეკონომიკა-სახელმწიფო“ სისტემებს შორის. მაგრამ ამ სისტემებს შორის არსებობს შებრუნებული დამოკიდებულებაც. განვმარტოთ იგი. სახელმწიფოს მასშტაბი გავზომოთ სახელმწიფო ხარჯების წილით მთლიან შიგა პროდუქტში $g = \frac{G}{X}$ მაშინ, კავშირი სახელმწიფოს მასშტაბსა (g) და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპს ($\frac{\Delta X}{X}$) შორის გამოსახება ამოტრიალებული პარაბოლით, რომელსაც ბუნებრივია აქვს მისთვის დამახასიათებელი მაქსიმუმის წერტილი. ამ წირს ეწოდება არმი-რანის წირი რიჩარდ არმის (Richard Arme) და რიჩარდ რანის (Richard Rahn) პატივსაცემად. არმი-რანის წირის მაქსიმალური მნიშვნელობის შესაბამის სახელმწიფოს მასშტაბს კი უწოდებენ სკალის წერტილს ჯერალდ სკალის (Jerald Scully) პატივსაცემად.

არმი-რანის წირი გამოსახულია ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე :



ნახ. 2. არმი რანის წირი და სკალის წერტილი.

ამრიგად, არმი-რანის წირი არსებობს და მისი აპროქსიმაცია შესაძლებელია პარაბოლური ფუნქციით. წირის ზოგადი ჩანაწერი კი ასე გამოიყურება :

$$\frac{\Delta X}{X} = a \left(\frac{G}{X} \right) - b \left(\frac{G}{X} \right)^2$$

იგი წარმოქმნის სკალის წერტილს, რომელიც წარმოადგენს შესაძლო ეკონომიკური ზრდის მაქსიმუმს.

ბოლოს განვიხილოთ ისეთი საკითხი, როგორც სიმდიდრის პარადოქსია. ვაგნერის კანონის თანახმად სამართლიანია დამოკიდებულება:

$G = mX^\theta$, ხოლო სახელმწიფოს მასშტაბი g ჩვენ განვმარტეთ შემდეგნაირად $g = \frac{G}{X}$, ანუ აქედან შეიძლება დავწეროთ:

$$g = mX^{\theta-1} \quad (8)$$

დავუშვათ ვაგნერის კანონი სრულდება, მაშინ (8) ფუნქცია ზრდადია, მაგრამ ეს ზრდა იქნება უმტკივნეულო მანამ, სანამ არ იქნება გადაჭარბებული სკალის წერტილი g^* . როცა $g > g^*$, იწყება მშპ-ის ზრდის ტემპის შემცირება. თუ გავუტოლებთ (8) ფუნქციას g^* -ს, მივიღებთ მშპ-ის სიდიდის შემზღვეველ გამოსახულებას:

$$X^* = \sqrt[\theta-1]{g^*/m} \quad (9)$$

ეს გამოსახულება ადგენს მაქსიმუმს მშპ-თვის, რომლის შემდეგაც მისი ზრდა შეუძლებელია. სწორედ აქ ვაწყდებით ე.წ. „სიმდიდრის პარადოქსს“. ბუნებრივია ეს სამართლიანია მხოლოდ მაშინ, როცა ვაგნერის კანონი სრულდება. ამრიგად, ეს არის კიდევ ერთი არგუმენტი იმ აზრის სისწორისთვის, რომ ვაგნერის კანონი რაღაც მომენტში ირღვევა: მისი დარღვევის აუცილებლობა განპირობებულია თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარების ევოლუციით. ეს ნათლად ჩანს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, რომლებმაც უკვე განიცადეს მ ელასტიკურობის კოეფიციენტის ცვლილება $\theta > 1$ დან $\theta < 1$ ზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იური ანანიაშვილი., ეკონომეტრიკა, თბ., გამ. მერიდიანი. 2012.
2. O.Сухарев. Закон Вагнера и модели развития экономики :osukharev.com/art/a40.pdf
3. Lamartina S., Zaghini A. Increasing Public Expenditures: Wagner’s Law in OECD countries/ Universitad d’Salamanca, 2008.
4. <http://geostat.ge>.
5. www.worldbank.org.
6. www.mof.ge.

რეზიუმე

უკანასკნელი 150 წლის მანძილზე მსოფლიო ეკონომიკამ საკმაოდ დიდი ცვლილებები განიცადა, რაც განსაკუთრებით აისახა ურთიერთკავშირზე სახელმწიფოსა და კერძო სექტორებს შორის. ვაგნერის კანონის მიხედვით იზრდებოდა არა მარტო სახელმწიფოს ფინანსური სიმძლავრე, არამედ იზრდებოდა თვით სახელმწიფო სექტორი, მასში დასაქმებულთა რიცხვი, აკუმულირებული ძირითადი კაპიტალის სიდიდე, ინვესტიციების მოცულობა, წარმოების მოცულობა და ა.შ. მრავალი წლის მანძილზე სახელმწიფო სექტორი „ჩაგრავდა“ კერძო სექტორს, ზრდიდა რა საკუთარ წილს მთლიანად ეკონომიკაში. მაგრამ, ვაგნერის კანონის დარღვევამ და, შესაბამისად, მისი აღმწერი წირის დეფორმაციამ, ეს პროცესი შეაჩერა. დღეს განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა კონკურენციის ბაზაზე ორი სექტორის - კერძო და სახელმწიფო, - ურთიერთგანმსაზღვრელი განვითარების ტენდენცია. დინამიკის

თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო სექტორის წილმა შეწყვიტა მონოტონური ზრდა, იგი გადავიდა „რხევით“ რეჟიმზე. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, წინა პლანზე წამოიწია ისეთმა საკითხებმა, რაც დაკავშირებულია პრივატიზაციის ციკლთან: მის არსებობასთან ან არარსებობასთან, ხანგრძლივობასთან და ა.შ.

ამრიგად, ვაგნერის კანონის დარღვევა ნიშნავს სახელმწიფოს პოზიციების გაძლიერების და ექსპანსიის ხანგრძლივი პროცესის დასრულებას. ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზიდან ვასკვნით, რომ როგორც შედარებით ღარიბი და განვითარებადი ქვეყნისთვის - საქართველოსთვის ვაგნერის კანონი ჯერჯერობით სრულდება, სახელმწიფო ხარჯების ზრდის ტემპსა და მშპ-ის ზრდის ტემპს შორის ზრდადი ხარისხოვანი დამოკიდებულება არსებობს.

გაცვლითი კურსის გავლენა ინფლაციაზე

ცოტნე მარღია

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ნაზირა კაკულია**

ოპტიმალური გაცვლითი კურსის ასპექტით, დღესაც საკამათოა, ნომინალურ გაცვლით კურსსა და ფასებს შორის კავშირის არსებობა და თუ ეს არსებობს, რამდენად მჭიდროა ეს კავშირი, რადგან მასზე დიდწილად დამოკიდებულია მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა.

1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში პოპულარული გახდა ერთიანი ფასის კანონი(ცალკეული საქონლისთვის) და მყიდველობითუნარიანობის პარიტეტი (ფასების დონეები). ამ თეორიის თანახმად, სავაჭრო ბარიერების არარსებობის, მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმისა და სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, ერთი და იგივე საქონლის ღირებულება სხვადასხვა ქვეყანაში, გამოსახული ერთი ვალუტით, ერთმანეთის ტოლია. ანუ:

$$P=EP, *$$

სადაც, E - ნომინალური გაცვლითი კურსია, P და P* - შესაბამისად, ადგილობრივი და უცხოური ფასების დონეა.

აღნიშნული თეორიის მტკიცებით, შიგა ფასები, ფიქსირებული გარე ფასების პირობებში, იცვლებოდა გაცვლითი კურსის პროპორციულად ერთი-ერთში, მაგრამ არ ითვალისწინებდა რამდენიმე გარემოებას. პირველი, სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული საქონელი შეიძლება დიდად განსხვავდებოდეს ხარისხით. მეორე, აღნიშნული თეორია ძალაშია მხოლოდ ისეთი საქონლისთვის, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში ან დიდადაა დამოკიდებული საერთაშორისო კონკურენციაზე, ანუ იმპორტისა ან იმპორტმცვლელ საქონელზე. მაგრამ, არ არის აუცილებელი აღნიშნული პირობის შესრულება არავაჭრობადი საქონლისთვის, მაგალითად მომსახურება. მესამე, აღნიშნული

თეორია ეყრდნობა დაშვებას ბაზრების ინტეგრაციასა და სრულყოფილი კონკურენციის შესახებ, რაც, ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება ემპირიულ კვლევებს. სწორედ ამიტომ, უმეტესად აღნიშნული თეორია ვერ მტკიცდება. უფრო დეტალურად გაცვლითი კურსის გავლენა ფასების დონეზე განხილულია გადატანის კოეფიციენტის შესახებ თეორიაში (exchange rate pass-through). თავდაპირველად იგულისხმებოდა, რომ ერთიანი ფასის კანონი მოქმედებდა იმპორტირებულ საქონელზე, მაგრამ აღნიშნული ჰიპოთეზაც ვერ დადასტურდა ემპირიულად.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ფასის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება მარკეტინგული მომსახურებისგან, სადისტრიბუციო და საცალო ვაჭრობის ხარჯებისაგან, რაც შეადგენს არავაჭრობად საქონელს - მომსახურებას. ამიტომ, გაცვლითი კურსის ცვლილება მხოლოდ ნაწილობრივ აისახება იმპორტის ფასზე. სხვა მკვლევრებმა უარი თქვეს დაშვებაზე გარე ფასების უცვლელობის შესახებ, რის შემდეგადაც წარმოიშვა მოდელები, რომლებშიც გათვალისწინებული იყო არასრულყოფილი კონკურენციის არსებობა და დისკრიმინაციული ფასები საერთაშორისო ბაზარზე. ასეთ მოდელებში P^* არ არის ფიქსირებული, რადგან მწარმოებლის მიერ დაწესებული დამატებითი ღირებულება შეიძლება შეიცვალოს გაცვლითი კურსისა და მოთხოვნის ელასტიკურობის ცვლილების საპასუხოდ სხვადასხვა ეროვნულ ბაზარზე.

გადატანის კოეფიციენტის თეორიაში ცალკე ადგილი უკავია ფასებზე გაცვლითი კურსის გავლენის ასიმეტრიულობას. ფასები შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს უცხოური ვალუტის გამყარების შემთხვევაში, ხოლო გაუფასურების შემთხვევაში ფასები შეიძლება მცირედით შემცირდეს ან არ შეიცვალოს საერთოდ, რადგან ფირმებს არ ჩვევიათ ფასის შემცირება. დიდ გავლენას გადატანის ხარისხზე ახდენს ინფლაციური მოლოდინები. როდესაც ცენტრალური ბანკი უზრუნველყოფს დასახულ მიზანს, ინფლაციის შემცირებას, გადატანის ეფექტი ნაკლებად გამოვლინდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ გადატანის ეფექტი ასახავს ეკონომიკური აგენტების მოლოდინებს მონეტარული და სავალუტო შოკების გავლენას მომავალ მდგომარეობაზე, რადგან კონტრაქტები წესდება რამდენიმე პერიოდით წინ. როდესაც მონეტარული ხელისუფლება მკაცრად მიყვება თავის მიზანს, ცენტრალური ბანკის მიმართ ჩნდება ნდობა. ამიტომ ფირმების ქცევა შეიძლება შეიცვალოს და მათ შეიძლება არ გადაიტანონ სავალუტო ცვლილებები პროდუქციის ფასზე. შესაბამისად, დაბალი ინფლაციის შემთხვევაში გადატანის ეფექტი უნდა იყოს უფრო მცირე, რადგან ცენტრალურ ბანკს უკეთ შეუძლია ფასების შეკავება. გარდა ამისა, დაბალი ინფლაციის დროს, მონეტარული შოკები მცირეა და ასევე მცირეა მოსალოდნელი შოკების მოლოდინი. შესაბამისად, კავშირი მიმდინარე შოკებსა და მომავალში მოსალოდნელ ხარჯებს შორის მცირდება, რაც ამცირებს გადატანის ეფექტს. ვინაიდან მომენტალურად ადგენენ ფასებს რამდენიმე პერიოდისათვის, ამჟამინდელი შოკი იარსებებს დროის გარკვეულ ინტერვალში. გარდა ამისა, სავალუტო შოკი ვლინდება საქონლის იმ ნაწილში, რომელზეც ფასები დგინდება მიმდინარე პერიოდში. უფრო მცირე ინფლაციის დროს, ფასები ფიქსირდება უფრო ხანგრძლივი დროისთვის, ვიდრე მაღალი ინფლაციის დროს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ქვეყნებში მაღალი ინფლაციით გადატანის ეფექტი არა მარტო უფრო დიდი იქნება, არამედ უფრო სწრაფად აისახება ფასებში.

ახლა განვიხილოთ თუ რა საშუალებებით შეუძლია გაცვლით კურსს იმოქმედოს ფასებზე:

- პირდაპირი გავლენა იმპორტირებულ საქონელზე;
- სამამულო საქონლის ფასების ცვლილება იმპორტირებული შუალედური საქონლის კვალობაზე;
- იმ სამამულო საქონელზე ფასების ცვლილება, რომლებიც უშუალოდ კონკურირებენ საიმპორტო საქონელთან;
- ფასების საერთო დონის ცვლილება გამოწვეული ფულის ბრუნვის სიჩქარის გადიდებით/შემცირებით, დოლარიზაციის/დედოლარიზაციის შედეგად, ეროვნული ვალუტის გამყარება/გაუფასურების ფონზე.

დღეისთვის არსებობს მრავალი ნაშრომი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. როგორც წესი, შეფასების ეფექტი აჩვენებს, რომ გაცვლითი კურსის გავლენა ფასების დონეზე მცირეა. მხოლოდ იმპორტის ფასების გათვალისწინებისას, გადატანის ეფექტი შორსაა სრული გადატანის შემთხვევისაგან. მაგალითად, კამპასა და გოლბერგის მიერ ჩატარებულმა კვლევამ OECD-ის 25 ქვეყანაზე დაკვირვებით აჩვენა, რომ იმპორტის ფასის შეცვლა ერთ კვარტალში საშუალოდ შეადგენს ვალუტის გაუფასურების 60%-ს და გრძელვადიან პერიოდში 75%-ს. მაგრამ ქვეყნების დონეზე ეს ციფრები მნიშვნელოვნად განსხვავდება. აშშ-ში შეადგენს 25% და 40%-ს, ხოლო გერმანიაში, შესაბამისად, 60% და 80%.¹ ამავე ნაშრომში განხილულია კავშირი გაცვლით კურსსა და ფასების საერთო დონეს შორის. სხვა ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გადატანის ეფექტი დამოკიდებულია არა სამომხმარებლო ფასების დონეზე, არამედ მის ცვლილებაზეც. რაც მეტია ფასების სტანდარტული გადახრა, მით მეტია გადატანის ეფექტი.²

კამპა და გოლბერგი ამტკიცებენ, რომ დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყნებისთვის ეს ფაქტორი არსებით როლს არ წარმოადგენს. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ ბოლო წლებში გადატანის ეფექტის შემცირება OECD-ის ქვეყნებში დამოკიდებულია არა დაბალ ინფლაციაზე, არამედ იმპორტის სტრუქტურის შეცვლაზე. კვლევის მიხედვით ფასების ელასტიკურობა გადამამუშავებელი სფეროს პროდუქტსა და სასურსათო პროდუქტებზე ერთზე უფრო მცირეა, ვიდრე ელასტიკურობა ენერგეტიკაზე და ა.შ., რომელიც მიახლოებულია ერთეულთან. ამიტომ საკვები პროდუქტებისკენ გადაადგილება საშუალებას აძლევს შეამცირონ გადატანის ეფექტი.

ჩოულდრისა და ჰაკურას ნაშრომში გამოყენებულია 71 ქვეყნის მონაცემი, რომელიც დაიყო სამ კატეგორიად: ქვეყნები დაბალი, საშუალო და მაღალი ინფლაციებით. აღმოჩნდა, რომ დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყნებში გადატანის ეფექტი უფრო მცირეა, ვიდრე საშუალო და მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნებში (იხილეთ ცხრილი 1). ეფექტის სიდიდე დადებითადაა დამოკიდებული ინფლაციის საშუალო სიდიდეზე: ინფლაციის გადიდება 10%-ით იწვევს გადატანის ზრდას 5%-ით ერთი კვარტლის მანძილზე და 6%-ით 20 კვარტლის მანძილზე.³

აღმოსავლეთ ევროპის ცხრა ქვეყნისათვის ჩატარებული ემპირიული კვლევის თანახმად, გაცვლითი კურსის გადაცემა სამომხმარებლო ფასების ინდექსზე 6 თვის განმავლობაში 0-დან 0,35-მდე ინტერვალში იცვლება ქვეყნების მიხედვით. 4 წლის პერიოდში საშუალოდ 0,45-ს

¹ Campa J.M., Golberg L. Exchange Rate Pass-Trough into Import Prices: A Macro or Micro Phenomenon? // NBER Working Paper. 2002. ¹ 8934.

² Gagnon J.E., Ihrig J. Monetary Policy and Exchange Rate Pass-Through. Board of Governors of the Federal Reserve System // International Finance Discussion Papers. 2001. ¹ 704; 2002.

³ Choudhri E.U., Hakura D.S. Exchange Rate Pass-Through to Domestic Prices: Does the Inflationary Environment Matter? // IMF Working Paper. 2001. ¹ 194.

უტოლდება. ფიქსირებული გაცვლითი კურსის ქვეყნებში იგი 0,51-ს აღწევს, ხოლო მცურავი გაცვლითი კურსის ეკონომიკაში 0,39-ს უტოლდება.¹

ცხრილი 1

**სამომხმარებლო ფასების საშუალო ელასტიკურობა
გაცვლითი კურსის მიმართ**

	1 კვარტალი	4 კვარტალი	20 კვარტალი
ქვეყნები დაბალი ინფლაციით (10%-მდე წლიური)	0,04	0,14	0,16
ქვეყნები საშუალო ინფლაციით (10%-დან 30%-მდე წლიური)	0,09	0,33	0,35
ქვეყნები მაღალი ინფლაციით(30% და მეტი წლიური)	0,22	0,50	0,56

სომხეთის ეკონომიკისათვის ჩატარებულ კვლევაში შემოწმებულია ერთი ფასის კანონი და დადასტურებულია, რომ გაცვლითი კურსი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამომხმარებლო ფასების დინამიკაზე (ელასტიკურობის კოეფიციენტი ერთის ტოლია).²

ლ. კორხონენისა და პ. ვაჩტელის მიერ ჩატარებულმა კვლევამ დსთ-ს ქვეყნებზე 1999-2004 წლებში აჩვენა, რომ შიგა ფასები საკმაოდ სწრაფად ეგუებიან გაცვლითი კურსის ცვლილებას დოლართან მიმართებაში, თუმცა გაცვლითი კურსის გავლენა სამომხმარებლო ფასების ინდექსზე დსთ-ს ქვეყნებში გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა განვითარებად ქვეყნებში. ასევე აღმოჩნდა, რომ გადატანის ეფექტს ადგილი აქვს მხოლოდ დოლართან მიმართებაში, სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი გამოვიდა ევრო, განსხვავებით აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისგან, რომლებიც უფრო ევროზე არიან ორიენტირებულნი.³

ამრიგად, საჭიროა თითოეული ქვეყნისთვის ყურადღებით შევისწავლოთ ეს ეფექტი.

ინფლაციის დინამიკური მოდელის თეორიული არსი და დაშვებები. მოდელი, რომელიც გამოყენებულია შემდგომ გადატანის ეფექტის ხასიათისა და სიდიდის შესაფასებლად დაფუძნებულია მონეტარულ თეორიაზე. ჩვენი აზრით, ინფლაციის დონეზე დიდწილად გავლენას ახდენს უშუალოდ მონეტარული ინტერვენციები და შესაბამისი ფულადი აგრეგატების ცვლილებები, რომელიც შეტანილია მოდელის ფაქტორულ ცვლადებში. ასევე, ზოგი ცვლადის არსებობა განპირობებულია უკვე არსებული კვლევით საქართველოს ინფლაციის მოდელის შესახებ.⁴

ფულადი თეორიის საბაზისო განტოლება გულისხმობს წონასწორობას ფულის ბაზარზე და აქვს შემდეგი სახე:

$$\frac{M^D}{P} = f(Y, i),$$

სადაც, M^D - ფულადი მასა ეკონომიკაში; P - ფასების დონე; Y - ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი(მთლიანი გამოშვება); i - საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს

¹ Berine J., Bijsterbosch M., 2009, “Exchange Rate Pass-through in Central and Eastern European Member States”, ECB Working Papers No1120.

² Grigorian D., Khachatryan A., Sargsyan G., “Exchange Rate, Money, And Wages: What Is Driving Prices In Armenia?” IMF Working Paper No.04/229.

³ Korhonen L., Wachtel P. A Note on Exchange Rate Pass-through in CIS Countries / BOFIT Discussion Papers No 2. 2005.

⁴ Maliszewski W., Modeling Inflation in Georgia, IMF Working Paper, WP/03/212.

ფულის ფლობის ალტერნატიულ ღირებულებას.

დაშვებულია, რომ ქვეყნებში მაღალი დოლარიზაციით და საფინანსო ინსტიტუტების დაბალი განვითარებით (საფონდო ბირჟა), საპროცენტო განაკვეთი ადეკვატურად ვერ ასახავს ფულის შენახვის ალტერნატიულ ღირებულებას, ხოლო მის ფუნქციას ასრულებს უცხოური ვალუტა. ასევე მოდელში დაშვებულია, რომ ინფლაციური მოლოდინები ატარებენ ადაპტურ ხასიათს, რაც, ჩვენი აზრით, საქართველოს მაგალითისთვის კარგი მიახლოებაა.


ზემოთ მოყვანილი განტოლება წარმოადგენს ბაზისურ დამოკიდებულებას ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის. ასევე აღსანიშნავია, რომ მოკლევადიანი პერიოდის მოდელები არ არის აუცილებელი მკაცრად ემთხვეოდეს თეორიულ მოდელებს და, შესაბამისად, უფრო ლიბერალურნი არიან ჩასართავი ცვლადების მიმართ. ასე, მოდელში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ასევე სხვა ცვლადებიც, რომლებიც მოქმედებენ ფასების საერთო დონეზე ქვეყნის შიგნით. შესაბამისად, ინფლაციის დონე ეკონომიკაში განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

$$\pi_t = f(\pi_{t-1}; M_t; Y_t; E_t; P_0; i)$$

სადაც, E_t - ლარის ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსი t დროისთვის; π_{t-1} - ინფლაციის დონე %-ად წინა პერიოდში; M_t - ფულადი აგრეგატი M_3 t დროისთვის; Y_t - რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (საბაზისო წელი-1996) t დროისთვის; P_0 - ნავთობის საერთაშორისო ფასი (ერთ ბარელზე); i - მოკლევადიან დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთი.

ჩვენი მიზანია საქართველოს მაგალითზე დავადასტუროთ კავშირის არსებობა გაცვლით კურსსა და ინფლაციას შორის. თუ გრაფიკ 1-ს განვიხილავთ, შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ მათ დინამიკას შორის არსებობს გარკვეული კავშირი.

გრაფიკი 1




წლიური ინფლაციისა და ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსის ცვლილების დინამიკა

იმისათვის, რომ გავიგოთ ინფლაციასა და გაცვლით კურსს შორის არსებული კავშირისა და მიმართულების შესახებ, შეგვიძლია გამოვიყენოთ მარტივი წყვილური კორელაციის კოეფიციენტი. გაცვლითი კურსის დასახასიათებლად აღებულია ნომინალური ეფექტიანი

გაცვლითი კურსი¹, ხოლო ინფლაცია ასახავს სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტულ ცვლილებას. ჩვენი აზრით, ეფექტიანი გაცვლითი კურსის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, რადგან საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა და სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება იმპორტირებული საქონლისგან სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებთანაც, ხშირ შემთხვევაში, ვაჭრობა ხორციელდება არა დოლარის, არამედ შესაბამისი ქვეყნების ეროვნული ვალუტის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის შემდეგ ნაწილში გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს ეროვნული ვალუტის გამყარებას. კორელაციის კოეფიციენტი უდრის -0,5568-ს, რაც საშუალო სიდიდეა და მიგვანიშნებს არსებული კავშირის უარყოფითი მიმართულების შესახებ. ანუ, ლარის გამყარება იწვევს ფასების დონის შემცირებას, რაც იწვევს ინფლაციის შემცირებას.

ასევე შეგვიძლია ვნახოთ არსებული კორელაცია ინფლაციასა და ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსის წინა და მომავალ მნიშვნელობებს შორის. როგორც გრაფიკ 2-ზე ვხედავთ, კორელაცია უფრო მჭიდროა გაცვლითი კურსის მომავალ მნიშვნელობასთან, რაც ადასტურებს მოლოდინების მნიშვნელობას ეკონომიკაში.

გრაფიკი 2



რადგან კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ ზოგადი მახასიათებელია, რომელზეც მოქმედებს უამრავი სხვა ფაქტორი, შეგვიძლია გრეინჯერის ტესტის (Granger Test) ჩატარება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენაზე ორივე მიმართულებით. გრეინჯერის ტესტის ერთ-ერთი წინაპირობაა ფაქტორის სტაციონალურობა. ამიტომ საჭიროა დიკი-ფულერის ტესტის ჩატარება სტაციონალურობაზე (ADF test)². აღნიშნულმა ტესტმა დაადასტურა ინფლაციისა და გაცვლითი კურსის არასტაციონალურობა. ამიტომ გრეინჯერის ტესტის ჩასატარებლად საჭიროა მათი გარდაქმნა სტაციონალურ მაჩვენებლად. ამისათვის გამოვიყენოთ ცვლადების გადიფერენცირება. ცვლადების პირველადი გადიფერენცირება საკმარისი აღმოჩნდა სტაციონალურობის შესაქმნელად. ამას ადასტურებს როგორც ახლიდან ჩატარებული ADF-ტესტი, ასევე ლჯუნგ-ბოქსის სტატისტიკა (Ljung-Box statistic).

¹ წარმოადგენს ძირითადი საგარეო პარტნიორების მიმართ (ევროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, იაპონია) ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ინდექსების შეწონილ საშუალო გეომეტრიულს (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი).

² ყველა აღნიშნული გამოთვლა ჩატარებულია Eviews 8.1-ის მეშვეობით.

გრეინჯერის ტესტმა (Granger Test) გვაჩვენა, რომ ნომინალურ ეფექტიან კურსსა და ინფლაციას შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ოღონდ დროითი ლაგის დიდი მნიშვნელობის დროს (ლაგი = 8). ამ შემთხვევაში, გაცვლითი კურსის ცვლილება იწვევს ინფლაციის ცვლილებას, მაგრამ გრეინჯერის ტესტით საპირისპირო დამოკიდებულება არ მტკიცდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გრეინჯერის ტესტი (Granger Test), ჩატარებული დოლარის გაცვლით კურსსა და ინფლაციას შორის, გვიჩვენებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ლაგების ნაკლები რაოდენობის დროს (ლაგი=3).

ძირითად მეთოდად აღებულია მოდელები განაწილებული ლაგებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მრავალი ცვლადის ზემოქმედებით გამოვავლინოთ მოკლევადიანი შედეგები. პირველ ეტაპზე ჩატარებულმა იოჰანსენის ტესტმა (Johansen Test) დაადასტურა კონტეგრაციის არსებობა, რის გამოც ჩვენ გადავდით ვექტორული შესწორების კორექტირების მოდელზე (VECM). ასეთი ტიპის მოდელები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ინფორმაცია გრძელვადიანი წონასწორობის შესახებ და აღვწეროთ ცვლადების დინამიკა. გამოყენებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდი, რასაც თან მოყვება საჭირო ფუნქციის შერჩევის სირთულე. ამიტომ აგებულია ორი ტიპის მოდელი, რომლებშიც მოსწორება ხდება წრფივი და ხარისხობრივი ფუნქციებით.

წრფივი ფუნქცია:

ცხრილი 2

გრძელვადიანი ვექტორის წონასწორობის შეფასება (სტანდარტული შეცდომა) []			
	შეზღუდვის გარეშე	ფულის მასის გარეშე	გაცვლითი კურსისა და ნავთობის საერთაშორისო ფასის ეგზოგენურობის გათვალისწინებით
$\beta_{\pi(-1)}$	1	1	1
$\beta_{Y(-1)}$	-0.017752 [0.01318]	-0.001756 [0.00397]	0.009284 [0.00684]
$\beta_{M(-1)}$	-0.001393 [0.00146]		-0.001627 [0.00103]
$\beta_{NEER(-1)}$	0.075271 [0.10922]	-0.135756 [0.023388]	-0.151347 [0.025213]
$\beta_{P_0(-1)}$	0.331218 [0.11698]	0.042188 [0.013704]	0.048500 [0.014036]
$\beta_{i(-1)}$	-0.348740 [0.81998]	1.013733 [0.39307]	1.755434 [0.52041]
C	-16.16970	-12.25580	-32.89054
R^2	0.710865	0.624177	0.663466
\bar{R}^2	0.474992	0.521680	0.538091
Probability	0.000706	0.000000	0.000001

პირველ მოდელში არ გვაქვს გათვალისწინებული ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსისა და ბენზინის საერთაშორისო ფასის ეგზოგენურობა. ამ მოდელის მიხედვით ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსის ერთი ერთეულით ცვლილება იწვევს ინფლაციის 0.075271 ერთეულით ცვლილებას გრძელვადიან პერიოდში.

მეორე მოდელში არ ვითვალისწინებთ ფულად მასას ერთ-ერთ ფაქტორად. ამ დროს, გადატანის კოეფიციენტი უარყოფითია და უდრის -0.135756-ს. მეორე მოდელი საშუალებას გვაძლევს დავამტკიცოთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ენდოგენურობა გადატანის

ეფექტის მიმართ. ინფლაციის მონეტარული თეორიის თანახმად, ფულის მასის ზრდა იწვევს ფასების საერთო დონის ზრდას ეკონომიკაში. ამასთან ერთად, ზრდადი ფულადი მასა იწვევს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, რაც დამატებით ზრდის ფასების დონეს. მაგრამ როგორც რიგ კვლევაში¹ ნაჩვენებია, გაცვლითი კურსი, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის მიზნობრივ მახასიათებელს. აქედან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკა ენდოგენურია გაცვლით კურსთან მიმართებაში, ამიტომ გადატანის ეფექტის შეფასების დროს საჭიროა მისი გათვალისწინება. დ. პარსლეი და ჰ. პოპერმა² დაამტკიცეს, რომ შესაბამისი ცვლადის გამოტოვება იწვევს გადატანის ეფექტის „დამახინჯებას“, ხოლო გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს განვაცალკევოთ ეფექტები და მივიღოთ „წმინდა“ გადატანის ეფექტი. რიგი ქვეყნისთვის ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევამ დაადასტურა ეს ფაქტი და აჩვენა, რომ მონეტარული პოლიტიკის გარეშე, გადატანის კოეფიციენტი რეალურზე უფრო მცირეა. აღნიშნული დასკვნა მტკიცდება საქართველოს მაგალითზეც.

მესამე მოდელში გათვალისწინებულია გაცვლითი კურსისა და ბენზინის საერთაშორისო ფასის ეგზოგენურობა. შედეგად, გადატანის კოეფიციენტი გრძელვადიან პერიოდში უდრის - 0.151347-ს.

მოკლევადიან პერიოდში გავლენის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ვოლდის ტესტი (Wald test), რომელიც გაითვალისწინებს ერთი რომელიმე ცვლადის ყველა ლაგთან მნიშვნელობას. ამისათვის, უნდა დავუშვათ ნულოვანი ჰიპოთეზა ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსის ცვლადების ნულთან ტოლობის შესახებ. (იხილეთ ცხრილი 3).

ტესტმა უარყო ნულოვანი ჰიპოთეზა, რის შედეგადაც ვასკვნით, რომ ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსი არ ზემოქმედებს ინფლაციაზე მოკლევადიან პერიოდშიც. თუმცა, თუ განვიხილავთ აღნიშნულ ცვლადებს, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება მხოლოდ C(21), ანუ გაცვლითი კურსის მახასიათებელი 5-იანი ლაგით და ის უდრის -0.151631-ს.

ცხრილი 3


Wald Test:			
Test Statistic	Value	df	Probability
F-statistic	2.464904	(5, 38)	0.0498
Chi-square	12.32452	5	0.0306
Null Hypothesis: C(17)=C(18)=C(19)=C(20)=C(21)=0			
Null Hypothesis Summary:			
Normalized Restriction (= 0)	Value	Std. Err.	
C(17)	-0.021697	0.057445	
C(18)	-0.076325	0.053660	
C(19)	-0.038352	0.055586	

¹ Esanov A., Merkl Ch., de Souza V. Monetary Policy Rules for Russia // Journal of Comparative Economics. 2005. Vol. 33, No 3. P. 484–499; Vdovichenko A., Voronina V. Monetary Policy Rules and Their Application in Russia / EERC Working Paper No 4/9. 2004.
² Parsley D., Popper H. Exchange Rates, Domestic Prices and Central Bank Actions: Recent US Experience // Southern Economic Journal. 1998. Vol. 64, No 4.

C(20)	0.057076	0.055040
C(21)	-0.151631	0.055834
Restrictions are linear in coefficients.		


შოკების შედეგების შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ იმპულსის საპასუხო ფუნქცია (გრაფიკი 3). მაგალითად, დადებითი შოკი ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსისთვის 4 კვარტლის მანძილზე გამოიწვევს ინფლაციის შემცირებას, ხოლო მეხუთე კვარტლის მერე ინფლაციის დონე იზრდება. გადაცემა სრული ხდება შოკიდან 10-11 კვარტლის შემდეგ.

გრაფიკი 3



გრაფიკი 4

საქართველოში ინფლაციის VECM ტიპის მოდელის გრაფიკული წარმოდგენა



საინტერესოა, თუ რა შედეგს მივიღებთ, თუ ამავე მოდელში შევცვლით ნომინალურ ეფექტიან გაცვლით კურსს დოლარის კურსით (იგულისხმება ლარი გამოსახული დოლარში. ამ დროს კურსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას). ამ დროს, გრძელვადიან პერიოდში

გადატანის კოეფიციენტი უდრის -0.8827 -ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსის ეფექტს. ხოლო თუ მოდელში არ გავითვალისწინებთ მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს, გადატანის კოეფიციენტი გრძელვადიან პერიოდში გაუტოლდება -0.21347 -ს.

ასევე შევაფასეთ აღნიშნული მოდელი ხარისხობრივი ფუნქციით. ამ შემთხვევაში, გრძელვადიან პერიოდში მივიღეთ შემდეგი შედეგი: ფულადი მასის გარეშე მოდელში გაცვლითი კურსის 1% -ით ცვლილება იწვევს ინფლაციის $-9,584902$ პ.პ. ცვლილებას, ხოლო ფულადი მასის გათვალისწინებით გადატანის ეფექტი ტოლია $-4,97894$ პ.პ.-ის. საბოლოო მოდელზე გადასვლა კვლავ ადასტურებს მონეტარული პოლიტიკის ენდოგენურობას, რადგან აკაიკეს კრიტერიუმით მოხდა მოდელის გაუმჯობესება. ასევე, ჩატარებულმა ვოლდის ტესტმა (Wald Test) კვლავ დაადასტურა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა მოკლევადიან პერიოდში. ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია და ლაგის ამსახველი ცვლადები ერთად მოქმედებენ ინფლაციაზე. თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2 ლაგის ამსახველი ცვლადი და მისი 1% -ით ცვლილება იწვევს ინფლაციის ცვლილებას -4.351238 პ.პ. ცვლილებას. ასევე აღსანიშნავია, რომ იმპულსის საპასუხო ფუნქციამ მოგვცა იგივე შედეგი. გაცვლით კურსში მომხდარი დადებითი შოკი თავდაპირველად იწვევს ინფლაციის შემცირებას, ხოლო 4 კვარტლის შემდეგ ზრდას, რასაც მე-10 კვარტლის შემდეგ სტაბილური მცირე ზრდა მოყვება.

ზემოთ შევაფასეთ გაცვლითი კურსის გავლენა ინფლაციაზე საქართველოს მაგალითზე. გამოყენებული ორი მოდელიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ორივე მოდელი. მაგრამ, არაწრფივების შემთხვევაში გალოგარითმების დროს „დაკვარგეთ“ რამდენიმე დაკვირვების წერტილი, რომელიც ასახავდა ინფლაციას. რაც გარკვეულწილად „ამახინჯებს“ შედეგებს. ამიტომ, წრფივი მოდელის მიხედვით ინფლაციის გრძელვადიანი ელასტიკურობა გაცვლითი კურსის მიმართ -0.151347 -ს ტოლია, რაც საშუალებას გვაძლევს უარყოთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ჰიპოთეზა გრძელვადიანი დამოკიდებულებისთვის. გარდა ამისა, საქართველოსთვის ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევამ¹ დაამტკიცა, რომ გადატანის ეფექტი ასიმეტრიულია. ანუ, გაუფასურება უფრო მეტად ზრდის ინფლაციას, ვიდრე გამყარება ამცირებს მას.

ინფლაციის ინერტულობა შეიძლება იყოს არასრული გადაცემის ერთ-ერთი ფაქტორი. რეცესიის დროს ფასები არ იზრდება, ანუ გაცვლითი კურსის გაუფასურება ფასებზე არ გადაეცემა. კვლევებმა აჩვენა, რომ თუ რეალური გაცვლითი კურსი გამყარებულია (წონასწორულზე მაღალია), იგი მომავალში გაუფასურების მანიშნებელია. თუმცა არ არის სავალდებულო, რომ აღნიშნულმა გაუფასურებამ ინფლაცია გამოიწვიოს, თუ რეალური გაცვლითი კურსი წონასწორულ მდგომარეობას დაუბრუნდება. წონასწორობა აღდგება საქონლისა და მომსახურების ჯგუფებს შორის ფასების თანაფარდობით. არასრული გადაცემა ასევე შეიძლება აიხსნას განსხვავებული პრეფერენციებითა და ბაზრების სეგმენტაციით.

გაცვლითი კურსის ეგზოგენურობა ნიშნავს, რომ უცხოური ვალუტის ბაზარზე საბოლოო წონასწორობა მყარდება, მაგრამ არაწონასწორული მდგომარეობა შეიძლება შენარჩუნდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

¹ თამარ მდივნიშვილი-გაცვლითი კურსის გავლენა სამომხმარებლო ფასებსა და იმპორტის ფასებზე; ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი 2, 2014.

ფულადი მასის ენდოგენურობამ დაადასტურა, რომ ცენტრალურ ბანკს გააჩნია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გადატანის ეფექტის ცვლილებაზე ზემოქმედებისთვის. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი ვერ ახდენს გაცვლით კურსზე უშუალო ზემოქმედებას. თუმცა, ცხადია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკა გავლენას მოახდენს გაცვლითი კურსის დინამიკაზე. ამიტომ, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კვლევას. რადგან, მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესის პირობებში, შესაძლებელია ახალი აპარატის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს ცენტრალურ ბანკს მიზნობრივი ინფლაციის მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მდივნიშვილი თამარ-გაცვლითი კურსის გავლენა სამომხმარებლო ფასებსა და იმპორტის ფასებზე; ეკოლოგიე ბლანშარი-მაკროეკონომიკა, საუნივერსიტეტო გამომცემლობა თბ., 2010.
2. ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ., მაკროეკონომიკა ბაკალავრებისთვის, თბ., 2011.
3. ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი 2, თბ., 2014.
4. Exchange Rate and Inflation Dynamics-Eatzaz Ahmad and Saima Ahmed Ali-The Pakistan Development Review; Autumn 1994.
5. Campa J.M., Golberg L. Exchange Rate Pass-Trough into Import Prices: A Macro or Micro Phenomenon? // NBER Working Paper. 2002.
6. Gagnon J.E., Ihrig J. Monetary Policy and Exchange Rate Pass-Through. Board of Governors of the Federal Reserve System // International Finance Discussion Papers. 2001.
7. Choudhri E.U., Hakura D.S. Exchange Rate Pass-Through to Domestic Prices: Does the Inflationary Environment Matter? // IMF Working Paper. 2001.
8. Berine J., Bijsterbosch M., „Exchange Rate Pass-through in Central and Eastern European Member States“, ECB Working Papers No1120, 2009.
9. Grigorian D., Khachatryan A., Sargsyan G., „Exchange Rate, Money, And Wages: What Is Driving Prices In Armenia?“ IMF Working Paper No.04/229.
10. Korhonen L., Wachtel P. A Note on Exchange Rate Pass-through in CIS Countries / BOFIT Discussion Papers No 2. 2005.
11. Maliszewski W., Modeling Inflation in Georgia, IMF Working Paper, WP/03/212.
12. Шмыкова С.В., Сосунов К.А - Влияние валютного курса на потребительские цены в России - экономический журнал ВШЭ N 1, 2005.
13. Катаранова М. -Связь между обменным курсом и инфляцией в России.
14. <https://www.nbg.gov.ge>.
15. www.geostat.ge.
16. <https://research.stlouisfed.org>.

რეზიუმე

სტატიაში შეფასებულია გაცვლითი კურსის გავლენა ინფლაციაზე. აღწერილია თეორიული დებულებები და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები. გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომა და ტესტი კავშირის არსებობის დასამტკიცებლად და მისი სიმჭიდროვის შესაფასებლად. აგებულია რამდენიმე მოდელი ორი სახის ფუნქციის გამოყენებით გადატანის ეფექტის დასადგენად საქართველოს მაგალითზე. შედეგობრივ ცვლადად აღებულია უშუალოდ წლიური ინფლაცია და არა სამომხმარებლო ფასების ინდექსი როგორც ეს სხვა ნაშრომებშია. ასევე სტატიაში ყურადღება ექცევა გრძელვადიანი წონასწორობის დამყარების

თავისებურებებს გაცვლითი კურსის ეგზოგენურობისა და ფულადი მასის ენდოგენურობის კუთხით.

კაპიტალის ბაზრის პრობლემები და მისი გადაჭრის გზები საქართველოში

მარიამ მელიქიძე

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი **დავით ასლანიშვილი**

საქართველოს ეკონომიკა გარდამავალ ეტაპზეა, კაპიტალის ბაზარი კი - დაბალგანვითარებული. ბაზრის პრობლემატიკის განხილვის მიზნით დავაკონკრეტებთ, რომ კაპიტალის ბაზარი ესაა ბაზარი შედარებით გრძელვადიანი (დაფარვის საწყისი ვადა - ერთ წელზე მეტი) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის (მაგალითად, ობლიგაციები და აქციები). პრობლემების კონკრეტული გააზრებისთვის განვიხილავ „საქართველოს საფონდო ბირჟას“ (სსბ). სსბ დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს საბროკერო კომპანიების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების ინიციატივით. სსბ-ის პროცედურები და სისტემები შემუშავდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

მდგომარეობის მიმოხილვა: 2015 წლის 1 მაისის მდგომარეობით 128 კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული სსბ-ის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 0.877 მლრდ. დოლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 1529.72 ლარს. არც ერთი საწარმოს აქცია მაღალლიკვიდური არაა: ლიკვიდურთან ყველაზე უფრო მიახლოებულია „საქართველოს ბანკის“, „გალტ ენდ თავგარტ კაპიტალისა“ და „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის“ აქციები. მოგეხსენებათ, ლიკვიდური აქცია ნიშნავს იმას, რომ ყოველდღიურად დიდი რაოდენობით უნდა ხდებოდეს მისი ყიდვა-გაყიდვა. ლისტინგში 5 კომპანიაა: ლისტინგი A - კვლავ საქართველოს ბანკი, B საქართველოს სალიზინგო კომპანია, m2 უძრავი ქონება, ლიბერთი ბანკი, თელიანი ველი. ლისტინგს გარკვეული უპირატესობები გააჩნია. უცხოელი ინვესტორი ამა თუ იმ კომპანიის წარმატებულობას საზღვრავს იმის მიხედვით არის თუ არა ლისტინგში დაშვებული მისი აქციები. როგორც წესი, იმ ქვეყნებში, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს შეადგენს, წარმატებული კომპანიები თვითონ მისი წარაფიან მათი აქციების ბირჟის ლისტინგში განსათავსებლად, მიუხედავად იმისა, რომ ბირჟა მათ ძალიან მკაცრ პირობებს უყენებს და, ამავე დროს, გადასახადიც ძალიან დიდია. რაც შეეხება საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსს, მასზე არსებობს მონაცემები 2007 წლიდან დღემდე და გვიჩვენებს შემდეგ ტენდენციას - 2008 წლიდან 2009 წლის პერიოდები საკმაოდ მძიმეა და მისი მაჩვენებელი 200-დან 61-მდე ეცემა. ბოლო წლებში სტაბილურობა შეიმჩნევა, მაგრამ 2014 წლის ნოემბრის შემდეგ ინდექსი კვლავ სტაბილურად კლებადია. 2015 წლის ბოლო მონაცემით კი დაფიქსირდა - 0.14% კლება (წყარო: <http://www.gse.ge>).

საქართველოში სწორედ კომერციული ბანკები გვევლინება ძირითად მოთამაშეებად საფონდო ბაზარზე და ჩნდება ლოგიკური ეჭვი - ისინი მიზანმიმართულად ხომ არ უშლიან ხელს თავის კონკურენტ სფეროს განვითარებაში. ფინანსურმა რესურსმა, რომელიც საფონდო ბაზრის ამუშავებამდე მხოლოდ ბანკებისკენ მიედინებოდა, იპოვა სხვა გზაც და იქ დაიწყო მუშაობა, ე.ი ბანკებს კონკურენტი გამოუჩნდათ. მაგრამ მოხდა საოცრება - კონკურენტები თითქოს „სიმბიოზად“ იქნენ. ვნახოთ რა პოზიცია უჭირავთ კომერციულ ბანკებს საფონდო ბაზარზე. რაც ნაკლები ფინანსური რესურსი მოხვდება ფასიანი ქაღალდების სფეროში, მით მეტი მოხვდება საბანკო სექტორში. აქედან გამომდინარე, საბანკო სექტორი ნამდვილად არ იყო ამ დარგის განვითარებით დაინტერესებული. თავიდანვე გამოვყოთ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომელშიც ბანკები არიან ერთგვარი მონოპოლისტები. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობს მხოლოდ კომერციული ბანკები. არადა, ეს არაა კომერციული ბანკის ობლიგაცია. მეორად ბაზარზე ამ ინსტრუმენტებით ვაჭრობაც კომერციული ბანკების ხელშია და აქაც არაა ჩარეული საბროკერო კომპანიები. ანალოგიური ვითარება სუფევს კერძო კაპიტალის ბაზარზე, სადაც კომერციული საბანკო სისტემა მაქსიმალურად ცდილობს არ მისცეს გასაქანი ფულის რესურსის მოზიდვის მეორე მექანიზმს (რომელიც მთავარ კონკურენტად მიაჩნია) – საფონდო ინდუსტრიას.

ბანკებმა დაიკავეს საბროკერო კომპანიების მფლობელების პოზიცია. ქვეყანაში 42 საბროკერო კომპანია არსებობდა, ხოლო 2015 წლის მდგომარეობით არის მხოლოდ 5, რომლიდანაც 4 კომპანიის: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (მფლობელი საქართველოს ბანკი), შპს „თიბისი ბროკერი“ (თიბისი ბანკი), შპს „ქართუ ბროკერი“ (ქართუ ბანკი), შპს „ლიბერთი სიქიურითიზ“ (ლიბერთი ბანკი) 100%-იან წილს კომერციული ბანკები ფლობენ და სწორედ ისინია საფონდო ბირჟაზე. (წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა, www.gse.ge; საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.ge, საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი პლიუსი, www.investgroup.ge) წლების განმავლობაში ეს ტენდენცია შემდეგნაირად გამოიყურება: 2000 წელს - 42 საბროკერო კომპანია ფუნქციონირებდა, 2001 წელს - 38, 2002 წ. - 35, 2003 წ. - 26, 2004 - 16, 2005 წ. - 16, 2006 წ. - 17; 2007 წ. - 17; 2008 წ. - 16; 2009 წ. - 9; 2010 წ. - 8; 2011 წ. - 8; 2012 წ. - 7; 2013 წ. - 7. საფონდო ბირჟის აქციათა 58% უკვე ამ სტრუქტურის კონკურენტის - ქართული კომერციული ბანკების საკუთრებაშია, რომლებიც თავის მხრივ, არ დაუშვებენ საქართველოში მათი კონკურენტის - საფონდო ბაზრის რეალურ განვითარებას, რადგან ეს ეწინააღმდეგება მათ არსებულ პრეფერენციულ მდგომარეობას. ბაზარზე დარჩენილი 3 რეგისტრატორი კომპანიიდან 2 კომერციული ბანკების ხელშია: სს „კავკასრეესტი“-ს მფლობელია სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“, რომლის 58%-ს ფლობს კომერციული ბანკების ჯგუფი, ხოლო „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“-ის 100%-იანი წილის მქონე აქციონერია სს „გალტ ენდ თაგარტი“ (მფლობელი საქართველოს ბანკი). მარტივად რომ ვთქვათ, რეგისტრატორებს აკონტროლებს კვლავ კომერციული ბანკები. ამგვარად, ადგილი აქვს საქართველოში ფუნქციონირებადი კომერციული ბანკების სრულ მონოპოლიას საფონდო ბირჟაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანო. თავდაპირველად მარეგულირებელი ორგანო იყო დამოუკიდებელი რეგულატორი – ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც იბრძოდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. შემდეგ მისი

ადგილი ეროვნულმა ბანკმა დაიკავა, რომელიც არეგულირებს ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის კონკურენტ სფეროსაც. საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი - ასეა განმარტებული საქართველოს ორგანულ კანონში ეროვნული ბანკის შესახებ. ფაქტები მეტყველებს და ჩნდება ლოგიკური ეჭვი, ხომ არ იცავს ეროვნული ბანკი უფრო კომერციული ბანკების ინტერესებს. ეკონომიკური, საკანონმდებლო და საბაზრო სიტუაციის გაუარესების კვალდაკვალ საბროკერო კომპანიებს, რომლებიც ისედაც უფუნქციო და შემოსავლის ძირითადი წყაროს გარეშე დარჩნენ, მარეგულირებელი (საქართველოს ეროვნული ბანკი) უზრდის საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს და აუქმებს სამი ტიპის ლიცენზიას. აღიარებს მხოლოდ გენერალურ ლიცენზიას, რომლის დაკმაყოფილების უნარი ფაქტობრივად მხოლოდ კომერციულ ბანკებს და მათ ფილიალებს აქვთ. ამ ეტაპზე ლიცენზიის შენარჩუნებისთვის საბროკერო კომპანიას მოეთხოვება 500,000 ლარი. კაპიტალის აღიარების გართულებული სქემის თანახმად კაპიტალის შევსების წყაროდ მიჩნეულია მხოლოდ ფულადი რესურსი, რაც ბაზრის საერთო დაცემის ფონზე არ აძლევს დამოუკიდებელ საბროკერო კომპანიას კონკურენცია გაუწიონ კომერციული ბანკის ფილიალებს და ადგილი აქვს საფონდო ინდუსტრიის, როგორც საბანკო სესხის ალტერნატივის, გაქრობას. ამ ნაბიჯით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ხელი შეუწყო საფონდო ბაზრის კომერციული საბანკო სექტორისადმი (ანუ კონკურენტული სტრუქტურის) დამორჩილების ტენდენციას. ყურადსაღებია, რომ საფინანსო ბაზრის იმ სეგმენტს, რომელიც მკვეთრ ზრდას განიცდის კრიზისის პირობებში და გაცილებით უფრო რისკიანია - მიკროსაფინანსო კომპანიები - საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მხოლოდ 250,000 ლარის კაპიტალი ესაჭიროება (წყარო: დავით ასლანიშვილი „საფონდო ბაზარი საქართველოში: არსებული რეალიები და მომავალი“, თსუ, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის, საერთაშორისო სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, №3, გვ. 83-96, 2014.)

განსჯის საგნად ქცეული 2007 წელს შემოღებული და 2008 წლიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებები. ამ წლებში უკვე ყოფილმა მთავრობამ მოახდინა ფუნდამენტური ცვლილებები, რის შედეგებსაც დღემდე ვიმკით და რისი მიზანშეწონილობაც სადავოა. დავიწყოთ იმით, რომ უარი ეთქვა ჯგუფ OMX (NASDAQ OMX) ქვეყანაში დამკვიდრებაზე და წინადადებაზე საქართველოს საფონდო ბირჟის შექმნის თაობაზე. (უარის შემდეგ ჯგუფი OMX (NASDAQ OMX) გადადის სომხეთში, სადაც ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკური, საკანონმდებლო და ფინანსური ხელშეწყობით ქმნის ერთიან ფინანსურ ცენტრს NASDAQ OMX ARMENIA). სწორედ 2007 - 2008 წწ მომხდარი „ლიბერალური საკანონმდებლო ცვლილებებით“ გაუქმდა საფონდო ბაზრის აუცილებელი ატრიბუტი - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, მისი ყველა უფლება გადაეცა ქართული კომერციული ბანკების რეგულატორს და მათი ინტერესების გამტარებელ საქართველოს ეროვნულ ბანკს და მისი ქმედებების შედეგები ზემოთ განვიხილეთ. 2007 წელს ბაზარმა მიაღწია პიკს. მაგრამ 2007 წლის შემდეგ ბაზარი იწყებს კლებას, ქრება ლიკვიდურობა და მცირდება ბირჟაზე დადებული გარიგებების რაოდენობა. შემუშავების დღიდან, კანონი 14-ჯერ შეიცვალა. უკანასკნელი ცვლილებების მიხედვით, დაშვებული გახდა ფასიანი ქაღალდებით ბირჟის გარეთ და რეგისტრატორების მეშვეობით ვაჭრობა. შედეგად, ვაჭრობის

დიდი ნაწილი ბირჟის გარეთ გავიდა. 2013 წლის მდგომარეობით, გარიგებების 94% ბირჟის გარეთ, რეგისტრატორების მეშვეობით ხდებოდა. არსებულ კანონმდებლობაში ძირითად პრობლემაა გამჭვირვალობის ნაკლებობა. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების ემიტენტი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ან არ მოიპოვება, ან არასრულია. განსაკუთრებით პრობლემატური საკითხია ფასის გამჭვირვალობა.

ფრაგმენტირებული ვაჭრობის პირობებში ინვესტორისთვის სირთულეს წარმოადგენს ფასის შესახებ ინფორმაციის მოძიება და შედარება, რის შედეგადაც ვაჭრობის პროცესში არ არსებობს კონკურენტუნარიანი და თანაბარი პირობები. არსებულ პირობებში დაბალია ნდობა ინვესტორთა მხრიდან, რაც, თავის მხრივ, ამცირებს მოთხოვნას ფასიან ქაღალდებზე და გარიგებების რაოდენობას. 2007 – 2008 წ.წ. საქართველოს პარლამენტმა განახორციელა ცვლილება კანონში - „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. მანამდე, კანონში არსებობდა ფუნდამენტალური ჩანაწერი – „ფასიანი ქაღალდები, რომელიც დაშვებულია სავაჭროდ ბირჟაზე, ანუ საჯარო სივრცეში, შეიძლება ივაჭრობოდეს მხოლოდ ბირჟაზე“ (საუბარი იყო მხოლოდ იმ ფასიან ქაღალდებზე, რომელიც სავაჭროდ დაშვებული იყო ბირჟაზე). ეს იყო ამ კანონის ფუნდამენტური პრინციპი. კანონში შევიდა ცვლილება და გაქრა ჩანაწერი „მხოლოდ საფონდო ბირჟაზე“. ამ ცვლილებების შემდეგ, გარიგებები იღება არასაბირჟო ე.წ. ნაცრისფერ ბაზარზე და ამით მოგებას იღებენ ის ფინანსური ინსტიტუტები, რომელთაც არ სჭირდებათ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თუ გადავხედავთ 2007-2008 წლებში სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში შეტანილ ცვლილებებს, აკრძალვების მუხლში ხშირად ვკითხულობთ, რომ ეს აკრძალვა ეხება ყველა ფინანსურ ინსტიტუტს და იქვე ფრჩხილებში გვხვდება ჩანაწერი – „გარდა ბანკებისა“.

რა ხდება დღეს? ერთი შეხედვით, დაიწყო შეცდომების გამოსწორება და პარლამენტში შევიდა კანონპროექტი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში, 2007 წლამდე არსებული საკანონმდებლო ნორმების აღდგენის მიზნით. საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც სამი წელია პარლამენტშია, განსახილველად შეტანისას დიდი მითქმა-მოთქმის საბაზი გახდა. საბანკო სექტორი ეწინააღმდეგება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში შესატან საკანონმდებლო ცვლილებების იმ სახეს, რა სახითაც ისაა წარმოდგენილი. კანონის ცვლილებას ჰყავს მოწინააღმდეგეები და მომხრეები. მოწინააღმდეგეები ძირითადად არიან საბანკო სექტორის წარმომადგენლები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ თუ ყველა გარიგება, მათ შორის, ახალი ემისიის აქციების განთავსების გარიგებებიც დაექვემდებარება ბირჟაზე დაფიქსირებას და ბირჟისთვის საკომისიოს გადახდას, ეს ზედმეტი ტვირთი იქნება კომპანიებისთვის. რეალურად კი უფრო სავარაუდოა, რომ არ სურთ არსებული პრივილეგიების დაკარგვა.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი, რა მდგომარეობაში ვარდება ინვესტორი, რომელსაც უკვე აქვს ამ კომპანიის ფასიანი ქაღალდები ან განზრახული აქვს მათი შეძენა და ამ მიზნით თვალყურს ადევნებს ბირჟაზე ვაჭრობას, უცებ აღმოაჩენს, რომ მილიონობით აქცია უკვე გაყიდულია და მას ეს დაუმალებს. კანონში ცვლილების მოწინააღმდეგეთა სწორედ ასეთი მოთხოვნების გამო ჩნდება ეჭვი, რომ მათი მთავარი მიზანი არა კომპანიებისათვის კაპიტალის მოზიდვის გაადვილება, არამედ რამენაირად არსებული სტატუსკვოს შენარჩუნებაა, რითიც ისინი მშვენივრად სარგებლობენ. ამას დაერთო ბანკების მიერ 2014 წლის მიწურულს

საფონდო ბირჟის მენეჯმენტის ცვლილება და ახალმა სამეთვალყურეო საბჭომ უკან გაიწვია კანონპროექტი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“.

პრობლემების გადაჭრის გზები და რეგულირება. ბაზრის განუვითარებლობის მიზეზთა შორის ცენტრალურია რეგულირების საკითხი. მარეგულირებელი ორგანოს ადგილი უნდა დაიკავოს მარეგულირებელმა კომისიამ და ჩამოერთვას ეს უფლება ეროვნულ ბანკს. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა შევიდეს ცვლილება ამ მხრივ და აღდგეს კომისია - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველ და მარეგულირებელ სახელმწიფო ორგანოს. ორგანულ კანონში ეროვნული ბანკის შესახებ უნდა შევიდეს ცვლილებები, მუხლი 48. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კუთხით უნდა ჩამოშორდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონს. აუცილებელია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა საზედამხედველო ფუნქცია გადაეცეს დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიას.

საკანონმდებლო ცვლილებები. ამ მხრივ შესაცვლელია თავი IV - ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობა, მუხლი 18. გარიგებანი საფონდო ბირჟაზე 1. საქართველოში ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ორგანიზატორი შეიძლება იყოს მხოლოდ საფონდო ბირჟა. (საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ). ეს არის ის, რაც გამოასწორებს მდგომარეობას და აღმოფხვრის საექვო გარიგებებს. ჩვენი დასავლელი პარტნიორების მიერ დაწერილ კანონში მითითებული იყო, რომ ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე, არა ყველა ფასიან ქაღალდზე, არამედ მხოლოდ ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე, გარიგებები უნდა დაიდოს მხოლოდ საფონდო ბირჟაზე. ანუ, თუ იყავი დაშვებული სავაჭრო-საფონდო ბირჟაზე, ანუ საჯარო ბიზნესში, მაშინ არ შეიძლება შენი ფასიანი ქაღალდები ასევე ივაჭრებოდეს არასაჯაროდ. ეს ნორმა არის აღსადგენი. კონკურენტი სექტორის მონოპოლიური ქმედება უნდა გაკონტროლდეს. ვინაიდან საფონდო ბირჟა უნდა წარმოადგენდეს „ნეიტრალურ მოედანს“ და მასზე ვინმეს მხრიდან დომინირება და მითუმეტეს, კონკურენტი სექტორის მხრიდან, კონტროლის დაწესება უნდა გამოირიცხოს. ამიტომ 2007 წლამდე მოქმედ კანონმდებლობაში ჩადებული იყო შემზღუდავი ნორმები, რომელიც, ერთი მხრივ, კრძალავდა ერთი პირის მიერ ბირჟის 10%-ზე მეტის ფლობას და, მეორე მხრივ, კონკურენტი სექტორის მხრიდან ერთობლივად ბირჟის ხმათა 50%-ზე მეტის გაკონტროლებას. ამ ცვლილებებით მოხდა ამ ნორმის გაუქმებაც. რა თქმა უნდა, ეს ნორმები უნდა აღდგეს.

ევროკავშირის რეკომენდაციები. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ფინანსური ბაზრის განვითარების ხელშეწყობა უნდა უზრუნველყოს. შეთანხმებაში კონკრეტულად აღნიშნული არ არის საფონდო ბირჟის მოწყობის სქემა და არც ის არის გაწერილი, დასაშვებია თუ არა საფონდო ბირჟის გარეთ აქციებით ვაჭრობა. „ევროკავშირის დირექტივები ითვალისწინებს ე.წ. „საუკეთესო შესრულების“ (best execution) წესს, რაც ნიშნავს, რომ ორგანიზებული ბაზრის მონაწილემ თავის კლიენტებისთვის გარიგების საუკეთესო პირობები უნდა უზრუნველყოს. ობიექტურად საუკეთესო პირობებს მართლაც საფონდო ბირჟაზე გარიგების დადება უზრუნველყოფს, ამიტომ, ამ პირობის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა ბირჟაზე დაშვებულ

ფასიან ქაღალდებზე გარიგებების მხოლოდ ბირჟაზე დადების მოთხოვნა. ეს არის გზა, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს საკანონმდებლო ცვლილებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვან ჰორნი ჯეიმს ს., ვაჰოვიჩი ჯონ მ., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2013.
2. სვანაძე ვ., ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“.
3. www.investgroup.ge.
4. <http://www.gse.ge>.
5. www.nbg.gov.ge.
6. www.forbes.ge.
7. www.georgiacapitalmarket.com.
8. <http://csogeorgia.org>.
9. www.tsu.edu.ge.

რეზიუმე

ამ ეტაპზე საფონდო ბაზარმა დაკარგა თავისი მთავარი ფუნქცია - იყოს აქციებზე ფასწარმოქმნის საბაზრო ფუნდამენტი. შესაბამისად, აქციებით თუ სხვა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საქართველოში აქ ჩამოთვლილი და სხვა მრავალი მიზეზის გამო, ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ბაზარზე დომინირებენ კონკურენტები, ხოლო რეგულირებას ახორციელებს ისეთი ორგანო, რომელიც კონკურენტი სფეროს ინტერესების დაცვას უფრო ემსახურება, ვიდრე კაპიტალის ბაზრის. ფაქტია, რომ საჭიროა ცვლილებები, პირველ რიგში კი, კანონმდებლობაში. საფონდო ბაზარი უნდა დაუბრუნდეს დამოუკიდებელ ბროკერებს. მარეგულირებელმა კომისიამ უნდა ჩაანაცვლოს ეროვნული ბანკი რეგულატორის პოზიციაზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციების დაბანდებს კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, რაც შემდგომში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი იქნება. თუმცა, ცვლილებების ბედი გაურკვეველია.

თამაშთა თეორიის გამოყენება ეკონომიკაში

ანა მერკვილაძე

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი ინტერესით განიხილება თამაშთა თეორია(Game Theory), რომელმაც, ერთი მხრივ, საერთო წონასწორობის და სოციალური არჩევანის მათემატიკური მოდელების შექმნასთან ერთად გადამწყვეტი როლი

ითამაშა თანამედროვე ეკონომიკური თეორიის შექმნაში, მეორე მხრივ, რომელიც მრავალმხრივი ამოცანების ანალიზის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლებიც წარმოიშვა არა მარტო ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკაში, სოციალურ მეცნიერებებში, სამხედრო საქმეში, ბიოლოგიაში და სხვ.

სტატის მიზანია თამაშთა თეორია და მისი მოდელების საზოგადოების ფართო სპექტრისათვის გაცნობა. პირველყოვლისა, გავიგოთ რაში მდგომარეობს თამაშთა თეორიის არსი ეკონომიკური თვალსაზრისით. თამაშთა თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს ეკონომისტებს გაიგონ და ივარაუდონ ის, რაც შეიძლება ხდებოდეს ეკონომიკურ სიტუაციაში. ამჟამად არ მოიძებნება ეკონომიკის სფერო ან დისციპლინა, რომელიც ეკონომიკასთანაა დაკავშირებული, სადაც თამაშთა თეორიის ძირითადი კონცეფციები არ იყოს აუცილებელი თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურის გასაგებად.

თამაშთა თეორია შეისწავლის საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მეთოდებს. მსგავსი პრობლემები ეკონომიკაში ხშირად წარმოიქმნება. მაგალითისათვის შეგვიძლია ავიღოთ ოლიგოპოლია, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემების განხილვისას ყოველთვის ითვალისწინებს და მხედველობაში იღებს იმას, თუ რა გადაწყვეტილება მიიღეს სხვა ფირმებმა. შრომითი საქმიანობა და ფინანსური ეკონომიკაც შეიცავს თამაშთა თეორიის მოდელებს, რომელიც გვიჩვენებს ცალკეული ფირმებისა და მთლიანად ბაზრის ქცევას. თამაშთა თეორია შეგვიძლია განვიხილოთ მაკრო დონეზეც, კონკრეტულად სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაწესებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების კუთხით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში თამაშების შესახებ პირველ გამოკვლევებად ითვლება შემდეგი ავტორების სტატიები: კურნო (1838); ბერტრანი (1883); და ეჯვორტი (1897), რომლებშიც განხილულია ოლიგოპოლიაში წარმოებისა და ფასწარმოქმნის პრობლემები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაშინ განიხილებოდა როგორც ძალიან სპეციფიკური მოდელები და მათ გარკვეული აზრით დროს გაუსწრეს. სხვადასხვა სალონური თამაშის ანალიზი ხდებოდა ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში, მაგრამ პირველი ნაშრომი, რომელშიც თამაშში ოპტიმალური სტრატეგიის პოვნა მათემატიკური ამოცანის სახით იყო ჩამოყალიბებული, გამოჩნდა XVII საუკუნეში.

1994 წლის შემდგომ თამაშთა თეორიამ თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპი განვლო და მის მიმართ ინტერესის რამდენიმე ტალღა გადაიტანა. დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ ეგონათ, რომ თამაშთა თეორია ეკონომიკაში ძალიან დიდ ცვლილებებს მოიტანდა, მაგრამ ასე არ მოხდა, თუმცა მიიღეს რიგი დიდი მათემატიკური შედეგები, რომელიც არამარტო ეკონომისტებისთვისაა საინტერესო. თუ 40 წლის წინ თამაშთა თეორია შეიძლებოდა გეპოვნა ეკონომიკური თეორიის საგნობრივ საძიებელში და მრეწველობის ორგანიზაციის თეორიის ზოგიერთ სახელმძღვანელოში მხოლოდ ოლიგოპოლიის განხილვისას ბოლო 30-35 წლის მანძილზე გადაიდგა გიგანტური ნაბიჯი წინ და ამჟამად, ვერ იპოვით ეკონომიკასთან დაკავშირებულ დისციპლინას როგორცაა: ფინანსები, მარკეტინგი, და სხვა, რომლებშიც თამაშთა თეორიის ძირითადი დისციპლინები და კონცეფციები არ იყოს გამოყენებული და გაანალიზებული.

ხშირად გამოიყენება თამაშთა თეორიის ოთხი ძირითადი განსაზღვრება, რომლებიც, ერთი შეხედვით, განსხვავებულია, მაგრამ თავისი არსითა და შინაარსით აშკარად მსგავსია.

პირველი განმარტების თანახმად: „თამაშთა თეორია არის არათანმხვედრი ინტერესების მქონე ადამიანთა რაციონალური ქცევა“.

მეორე განმარტება გვეუბნება, რომ „თამაშთა თეორია არის მეცნიერება სტრატეგიული აზროვნების შესახებ“.

მესამე განმარტება ხაზს უსვამს თამაშთა თეორიის მათემატიკურ ბუნებას: „თამაშთა თეორია ესაა კონფლიქტების პირობებში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების მათემატიკური მოდელების თეორია“.

მეოთხე განმარტება ხაზს უსვამს თამაშთა თეორიის როლს ეკონომიკურ მოდელირებაში: თამაშთა თეორია უნდა დაეხმაროს ეკონომისტებს გაიგონ და ივარაუდონ ის, რაც მოხდება ეკონომიკური კონტექსტით.

ამრიგად, თამაშთა თეორია ახდენს ეკონომიკური სუბიექტების (მოთამაშეების) მიერ გადაწყვეტილების მიღების ანალიზს იმ სიტუაციაში, როცა ამ გადაწყვეტილების შედეგებზე გავლენა აქვს სხვა ეკონომიკური სუბიექტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. სწორედ ასეთ სიტუაციას თამაშში ჰქვია, გადაწყვეტილების მიმღებ ეკონომიკურ სუბიექტებს კი მოთამაშეებს უწოდებენ.

თამაშთა თეორიის მიზანია რეკომენდაცია გაუწიოს რაციონალურ ქცევას მოთამაშეთა კონფლიქტში და განსაზღვროს ოპტიმალური სტრატეგიები.

თამაშები რეალური კონფლიქტისაგან იმით განსხვავდება, რომ მოქმედებები ხორციელდება განსაზღვრული წესებით :

1. დადგენილი წესები განსაზღვრავს სვლების თანმიმდევრულობას, მოთამაშეთა ქცევასა და სტრატეგიების სიმრავლეს;
2. წესები ასევე განსაზღვრავს თამაშის დასასრულსაც, როდესაც ყველა მოთამაშემ უკვე გააკეთა თავისი სვლა და მეტი სვლის გაკეთების საშუალება აღარ აქვს.

კონფლიქტური სიტუაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ :

1. ურთიერთშეთანხმება მყიდველებსა და გამყიდველებს შორის;
2. განსხვავებული ფირმების კონკურენცია;
3. საბრძოლო მოქმედებები;
4. ჩვეულებრივი თამაშები .

მოთამაშეები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაინტერესებული მხარეები არიან, რომლებიც მონაწილეობენ თამაშში.

მოთამაშეთა სვლა - ეს არის ცალკეული მოთამაშის არჩევანი და განხორციელებული ქმედება იმ პირობებში, რომ თამაშის წესები მკაცრად განსაზღვრულია. აქვე აღვნიშნოთ, რომ სვლა შეიძლება იყოს ორი სახის: **პირადული (განსაზღვრული)** და **შემთხვევითი**;

სტრატეგია ოპტიმალურია - თუ მას მოთამაშისათვის მოაქვს უფრო მეტი მოგება სხვა სტრატეგიებთან შედარებით.

მატრიცული თამაშები

დავუშვათ, თამაშში მონაწილეობს ორი მოთამაშე **A** და **B**

A მოთამაშის მოგება აღვნიშნოთ ასე ----→ **a_{ij}**

B მოთამაშის მოგება აღვნიშნოთ ასე ----→ **b_{ij}**

$$a_{ij} = -b_{ij}$$

A მოთამაშის ამოცანაა გაზარდოს თავისი მოგება.

B მოთამაშის ამოცანაა მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი წაგება, ან მინიმუმამდე დაიყვანოს პირველი მოთამაშის მოგება.

ეს თამაში შეგვიძლია წარმოვადგინოთ მატრიცული ფორმით.

$$| a_{11} a_{12} \dots a_{1n} |$$

$$A = | a_{21} a_{22} \dots a_{2n} |$$

$$| a_{m1} a_{m2} \dots a_{mn} |$$

$a_{11} \dots a_{m1}$ არის **B** მოთამაშის სტრატეგიები. (სვეტები)

$a_{11} \dots a_{1n}$ არის **A** მოთამაშის სტრატეგიები. (სტრიქონები)

მოცემულ მატრიცას ეწოდება „მოგებათა მატრიცა“, რომელშიც თითოეული ელემენტი ასახავს **A** მოთამაშის მოგებებს.

მოდით განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი თვალსაჩინოებისათვის.

$$| 7 \ 9 \ 10 |$$

$$A = | 3 \ 4 \ 8 |$$

$$| 7 \ 5 \ 8 |$$

ახლა ვიპოვოთ საუკეთესო (ოპტიმალური) სტრატეგია მოთამაშე **A** - სთვის. ამისათვის, პირველ რიგში, შევარჩიოთ მინიმალური ციფრი თითოეული სტრიქონიდან.

$$K = \min_{i=1, \dots, m} a_{ij}$$

მოცემულ სტრიქონებში მინიმალურებია: 7, 3, 5.

ამათგან კი, მოთამაშე **A** ირჩევს ისეთ K_i - ს, რომელიც მაქსიმალურია. როგორც ვხედავთ, ჩვენ შემთხვევაში, მოთამაშე აირჩევს 7-ს. ეს გახლავთ აღნიშნული მოთამაშის გარანტირებული მოგება - ყველაზე მინიმალური მოგება, რომლის ქვემოთაც მოგება არ დაიწევს (მას სხვანაირად მაქსიმინომს უწოდებენ).

ანალოგიური ლოგიკით მივუდგებით **B** მოთამაშის საუკეთესო სტრატეგიის არჩევას, ოღონდ ამ შემთხვევაში, მაქსიმალური ციფრები უნდა ავარჩიოთ თითოეული სვეტიდან.

შესაბამისად, ეს ციფრები იქნება 7, 9 და 10.

ახლა ვარჩევთ მათგან მინიმალურს, ეს გახლავთ 7 .

ანუ ჩავთვალოთ, რომ $T = \min \max t_j$.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ $t=7$.

B მოთამაშე გარანტიას იძლევა, რომ მისი წაგება არ იქნება t ზე მეტი. ანუ ეს გახლავთ მისი უმაღლესი დანაკარგი, რომელსაც იგი ვერ გაცდება . (მინიმამქსიმი).

თუკი გვექნება ისეთი შემთხვევა, როცა $K=t$, მაშინ გვაქვს წონასწორული სიტუაცია. ასეთ თამაშს კი ეწოდება უნაგირის წერტილი და აქვე განვმარტავ, რომ წონასწორული სიტუაცია გახლავთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ყველა მოთამაშე ირჩევს მისთვის სასურველ სტრატეგიას იმ პირობებში, რომ სხვა მოთამაშეები არ ცვლიან თავიანთ სტრატეგიებს.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

A მოთამაშის მოგება არ იქნება k -ზე ნაკლები და **B** მოთამაშის დანაკარგი არ იქნება t -ზე მეტი.

გურვიცის კრიტერიუმი. გადაწყვეტილების მიღების დროს განუსაზღვრელობის პირობებში, სტრატეგიათა ნაკრებიდან ყველაზე სასურველი სტრატეგიის ასარჩევად ხშირად იყენებენ ოპტიმალურობის კრიტერიუმს. ამგვარ კრიტერიუმთაგან ერთ-ერთი გამორჩეული, საინტერესო და მნიშვნელოვანი გახლავთ **გურვიცის კრიტერიუმი**.

მოცემული კრიტერიუმი განსაზღვრავს პესიმისტურ და ოპტიმისტურ მიდგომებს, გაურკვეველი სიტუაციების ანალიზის დროს. ალბათ გაინტერესებთ როგორი სიტუაცია შეიძლება იყოს განუსაზღვრელი. განუსაზღვრელობა გულისხმობს სიტუაციას, როდესაც მოწინააღმდეგეებს არ გააჩნიათ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები, მაგრამ მოქმედი მოთამაშის მოგება უმეტესწილად დამოკიდებულია სხვა მოთამაშის მისთვის უცნობ მოქმედებაზე.

განუსაზღვრელობა შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი მიზეზებით:

1. დაეჭვება;
2. ეკონომიკური სიტუაციების არასტაბილურობა;
3. ვალუტის კურსის ცვლილება;
4. ინფლაციის დონის მერყეობა;
5. ბირჟაზე არამყარი სიტუაცია;
6. ამინდი როგორც ბუნებრივი მოვლენა.

გურვიცის კრიტერიუმი განკუთვნილია მოგებათა მატრიცის საშუალო ელემენტისათვის, რომელიც განსხვავდება მინიმალური და მაქსიმალური ელემენტებისაგან.

$$H = \max_i S \max_{aj} a_{ij} + (1 - S) \min_{aj} a_{ij},$$

სადაც, S - არის ოპტიმიზმის კოეფიციენტი, ამასთანავე, $0 < S < 1$.

S კოეფიციენტი რაოდენობრივად გამოხატავს A მოთამაშის „ოპტიმიზმის ზომას“ სტრატეგიების არჩევისას და იგი განისაზღვრება A მოთამაშის მიერ საკუთარი ან სხვათა გამოცდილებიდან, ან დაკვირვებიდან მიღებული სტატისტიკური მოდელების (კვლევების) საფუძველზე. თუ S არის ოპტიმიზმის კოეფიციენტი, მაშინ $(1-S)$ არის პესიმიზმის კოეფიციენტი.

გურვიცის კრიტერიუმი გვხმარება გადაწყვეტილების მიღებისას თავი ავარიდოთ უკიდურეს მდგომარეობას როგორცაა - გაუმართლებელი ოპტიმიზმი ანდა უკიდურესი პესიმიზმი მოგების მოსალოდნელი მოლოდინების მიმართ. იგი ასევე გვხმარება ავარჩიოთ სტრატეგია, რომელიც ყველაზე მეტ მოსალოდნელ ეფექტურობასა და მოგებას გვანიჭებს. ის ასევე ორიენტირებულია ბალანსის დამყარებაზე უკიდურეს პესიმიზმსა და უკიდურეს ოპტიმიზმს შორის სტრატეგიის არჩევისას. ყოველივე ეს ხდება ორივე შედეგის მოსალოდნელი მოგებების შედარებით. ამისათვის კი, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ოპტიმიზმის კოეფიციენტის გამოყენება.

ცხრილი 1

საქონელი	მოთხოვნა		
	Π1	Π2	Π3
A1	20	15	10
A2	16	12	14
A3	13	18	15

ახლა განვიხილოთ ეს მაგალითი და ვიპოვოთ ოპტიმალური სტრატეგია გურვიცის კრიტერიუმის მიხედვით თუ ვიცით, რომ ოპტიმიზმის კოეფიციენტი $S = 0,5$ - ს.

$$H = \max s \max_{aj} a_{ij} + (1-S) \min_{aj} a_{ij}$$

$$H1=(0.5 \times 20) + (1-0.5) \times 10=10+5=15$$

$$H2=(0.5 \times 16) + (1-0.5) \times 12=8+6=14$$

$$H3=(0.5 \times 18) + (1-0.5) \times 13=9+6.5=15.5$$

$$H=\max(15; 14; 15.5)=15.5$$

მიღებული შედეგი შეესაბამება სტრატეგია A3-ს.

ამრიგად, სწორედ ეს არის ოპტიმალური სტრატეგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Т. Шеллинг. «Стратегия конфликта», (1960).
2. Games of Strategy: Theory and Applications by Melvin Dresner, 2007.
3. R. Gibbons. «Game theory for applied economists (1933).

რეზიუმე

თამაშთა თეორიას დღესდღეობით ფართო გამოყენება აქვს. თანდათან საზოგადოების განვითარების კვალობაზე ინტერესი მისდამი სულ უფრო იზრდება და, შესაბამისად, ღრმავდება ცოდნა თამაშთა თეორიის შესახებ.

სულ უფრო მეტი და საინტერესო ნაშრომები იქმნება თამაშთა თეორიის შესახებ და მასში შემავალ თეორიებსაც სულ უფრო მეტად იყენებენ ფირმები ან თუნდაც საზოგადოების წევრები, როდესაც სურთ, რომ მიიღონ რაც შეიძლება რაციონალური და ოპტიმალური გადაწყვეტილებები.

ოლიგოპოლია საქართველოში - ფარმაცევტული ბაზარი

ელენე მინაშვილი

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი

სრულყოფილი კონკურენციის ბაზარი თეორიული აბსტრაქციაა. წმინდა მონოპოლია კი ეკონომიკაში იშვიათად გვხვდება და, როგორც წესი, იგი სახელმწიფოს მიერ რეგულირდება. რეალურ ეკონომიკურ სისტემაში უმეტესად გავრცელებულია არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრები, რომლებსაც ერთდროულად ახასიათებს როგორც სრულყოფილი, ასევე მონოპოლიური ბაზრის თავისებურებები [1]. ოლიგოპოლია საბაზრო სტრუქტურის ფართოდ გავრცელებული ფორმაა. იგი ეკონომიკის ერთ რომელიმე დარგში რამდენიმე მსხვილი ფირმის ბატონობას გულისხმობს [2]. არსებობენ ისეთი ოლიგოპოლიური ბაზრები,

სადაც გრძელვადიან პერიოდში ზოგიერთი, ხან კი ყველა ფირმა, მნიშვნელოვან მოგებას იღებს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ოლიგოპოლიურ ბაზარზე არსებული ბარიერები ართულებს ახალი ფირმების დარგში შესვლას.

საქართველოში ფარმაცევტული ბაზარი ხასიათდება რამდენიმე მსხვილი კომპანიის ხელში ეფექტიანი მართვის ნაკლებობითა და საბაზრო ძალაუფლების მკაფიო კონცენტრირებით. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სამმა კომპანიამ – „ავერსიმ“, „პე-ეს-პე“-მ და „ჯიპისი“-მ ისეთ მდგომარეობას მიაღწია, რომ მათ ფარმაცევტული ბაზრის იმპორტ-დისტრიბუციის, საცალო გაყიდვებისა და წარმოების სექტორებში დომინირება შეუძლიათ.

2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელთა მიზანს კონკურენციისთვის ხელის შეწყობა წარმოადგენდა, ბაზარზე მხოლოდ ნაწილობრივი გავლენა იქონია. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის ის ბარიერები, რომლებსაც ადრინდელი კანონმდებლობა ქმნიდა, მოიხსნა. სხვა პრობლემები, როგორცაა ბაზარზე მსხვილი კომპანიების დომინირება, სათანადოდ არ მოგვარებულა.

ბაზარზე არსებული მდგომარეობა განაპირობებს მაღალ და მზარდ დანახარჯებს ფარმაცევტულ პროდუქტებზე. „საქართველოს 2010 წლის ჯანდაცვის გამოყენებისა და დანახარჯების კვლევა“ აჩვენებს, რომ 2010 წელს ქართული ოჯახების მიერ ფარმაცევტულ პროდუქტებზე გაწეული დანახარჯები ჯანდაცვაზე გაწეული მთლიანი დანახარჯების 60 პროცენტს შეადგენდა. ფარმაცევტულ პროდუქტებზე გაწეული დანახარჯების ოდენობა 2007–2010 წლებში ყოველწლიურად 23.7 პროცენტით იზრდებოდა.

ბაზარზე რამდენიმე კომპანიის დომინირება მედიკამენტებზე მაღალი ფასნამატების არსებობას იწვევს, რაც, თავის მხრივ, ფარმაცევტულ პროდუქტებზე მაღალ დანახარჯებს განაპირობებს. საქართველოში მედიკამენტების ფასზე დამატებული საშუალო ფასნამატი სხვა ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებზე ბევრად მაღალია.

ფონდ „კურაციოს“ მიერ ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევა აჩვენებს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მედიკამენტების ფასების საერთო კლების მიუხედავად, სინამდვილეში წამლების მხოლოდ 30 პროცენტის ფასმა დაიკლო.

როგორც კვლევებმა აჩვენა, ექიმების მიერ წამლების გამოწერისას მიღებულ გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსური ან სხვა სახის წახალისება, რომელსაც მათ მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები სთავაზობენ.

დიდი ფარმაცევტული ქსელები საკუთარი წარმოების მედიკამენტებს მათ აფთიაქებში დასაშვებზე მეტად უწევენ რეკლამირებას. ისინი მედიკამენტების მომხმარებლებისთვის მიყიდვისას ყოველთვის არ ასრულებენ ექიმის დანიშნულებას და თანამშრომლებს საკუთარი წარმოების მედიკამენტების გაყიდვასა და რეკლამირებას ავალბენ.

კომპანიები „ავერსი-რაციონალი“ და „ჯი-ემ-პი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოში ფარმაცევტული წარმოების სექტორის განვითარებაში. ორივე კომპანია ფლობს სერტიფიკატს, რომელიც ევროპული სათანადო წარმოების პრაქტიკასთან შესაბამისობას ადასტურებს და ავტორიტეტული ევროპული კერძო საკონსულტაციო ფირმების მიერაა გაცემული. კომპანია „ჯი-ემ-პი“ ამჟამად საფრანგეთში სერტიფიკატების გამცემი ოფიციალური სააგენტოსგან GMP სერტიფიკატის მიღების პროცესშია. საქართველოში GMP სერტიფიკატების გამცემი სააგენტო არ არსებობს, თუმცა მთავრობა ასეთი სააგენტოს შექმნას

2016 წლისთვის გეგმავს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოში წარმოებული მედიკამენტების უსაფრთხოებასა და სანდოობას.

„სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“, რომელიც პასუხისმგებელია მედიკამენტების ხარისხის შემოწმებაზე, ჯერჯერობით არ გააჩნია საკმარისი რესურსები ამ ფუნქციის ეფექტიანად შესასრულებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგისტრაციის წესში არსებული ხარვეზის გამო, არსებობს შესაძლებლობა, რომ ბაზარზე ფალსიფიცირებული ან უხარისხო მედიკამენტები შემოვიდეს.

საქართველო დღევანდელი მდგომარეობით ფარმაცევტულ პროდუქტებზე მშპ-ის 4%-ს ხარჯავს. ეს ორჯერ მეტია ვიდრე აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებელი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მაჩვენებლად ითვლება.

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტების 70 მწარმოებელი ოპერირებს, მაგრამ წარმოების 90 % ორ კომპანიაზე მოდის: „ავერსი რაციონალი“ და „ჯი-ემ-პი“ („პე-ეს-პე“). „ავერსი“ და „პე-ეს-პე“ ამავდროულად ყველაზე დიდი კომპანიები არიან იმპორტისა და დისტრიბუციის სექტორში, სადაც მათი ერთობლივი წილი 48%-ს შეადგენს. „ავერსისა“ და „პე-ეს-პე“-ს შემდეგ, იმპორტის/დისტრიბუციის სექტორში ყველაზე დიდი კომპანიები „ჯიპისი“ და „ეიბისი ფარმაცია“ არიან, რომელთა ერთობლივი საბაზრო წილი 23 პროცენტს შეადგენს. საქართველოში მედიკამენტების საცალო გაყიდვების დაახლოებით 2400 კომპანიაა, რომელთაგან 46-ს ორი ან მეტი აფთიაქი აქვს, ხუთი ფარმაცევტული ქსელი კი 30 ან მეტ აფთიაქს ფლობს. საცალო გაყიდვების ყველაზე დიდ ქსელებს ბაზარზე ყველაზე მსხვილი იმპორტიორ-დისტრიბუტორები, „ავერსი“, „პე-ეს-პე“, „ჯიპისი“ და „ეიბისი ფარმაცია“ ფლობენ.

კომპანია „ავერსი“ 1994 წელს დაფუძნდა და თავდაპირველად საქმიანობა იმპორტისა და დისტრიბუციის სექტორში დაიწყო. 1998 წელს კომპანია საცალო გაყიდვების სექტორშიც დამკვიდრდა. 2002 წელს კომპანიამ ფარმაცევტული საწარმოების მშენებლობა დაიწყო და პირველი მედიკამენტები ბაზარზე „ავერსი-რაციონალის“ ბრენდით 2005 წელს გამოუშვა. „ავერსი-რაციონალი“ წარმოების პროცესის მხოლოდ ბოლო ეტაპზეა ჩართული, სადაც უკვე დამზადებული ფარმაცევტული პროდუქტების შეფუთვა ხდება. „ავერსი“ საქართველოში გადასახადების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გადამხდელია და ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტში ათობით მილიონი ლარი შეაქვს. კომპანია საქართველოს მასშტაბით შვიდ კლინიკას ფლობს და ამჟამად კიდევ ორ ახალ კლინიკას აშენებს. საავადმყოფოების პრივატიზაციის გეგმის ფარგლებში, „ავერსი“ აშენებს და მართავს სახელმწიფოსაგან შესყიდულ საავადმყოფოებს. „ავერსის“ ასევე აქვს საკუთარი სადაზღვევო კომპანია „ალფა“, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური დაზღვევის მიმწოდებელია.

კომპანია „პე-ეს-პე“ 1995 წელს დაფუძნდა, როგორც მედიკამენტების იმპორტიორი/დისტრიბუტორი კომპანია და საცალო გაყიდვების ბაზარზე ოპერირება 1999 წელს დაიწყო. კომპანიამ მოგვიანებით საკუთარი საწარმოო ბრენდი „ჯი-ემ-პი“ დააფუძნა, რომელმაც პირველი მედიკამენტი 1999 წელს გამოუშვა. „ჯი-ემ-პი“ ასევე წამლების წარმოების ბოლო ეტაპებზეა ჩართული და პროდუქციის ფორმულირებას ახდენს, რაც მზა აქტიური ნივთიერებებისგან ტაბლეტების დამზადებასა და შეფუთვას გულისხმობს. „პე-ეს-პე“ ფლობს მრავალპროფილიან საავადმყოფოს თბილისში, რომელიც მან პრივატიზაციის პროგრამის

ფარგლებში შეიძინა. „ავერსის“ მსგავსად, „პე-ეს-პე“-ც სადაზღვევო კომპანიის – „პე-ეს-პე ჯგუფის“ მფლობელია.

„ჯიპისი“ საქართველოში სიდიდით მესამე ფარმაცევტული კომპანიაა, რომელიც იმპორტიორ-დისტრიბუტორის რანგში ასევე 1995 წელს დაფუძნდა. „ჯიპისი“ საცალო გაყიდვების ბაზარზე დაახლოებით 1999 წელს შემოვიდა. ამჟამად კომპანია თბილისში დაახლოებით 40 აფთიაქის, რეგიონებში კი 10 აფთიაქის მფლობელია. „ჯიპისი“-მ ბოლო პერიოდში საცალო გაყიდვების ახალი ქსელი – ბრენდი „წითელია“ - დააფუძნა.

„ეიბისი ფარმაცია“ 2000 წელს დაფუძნდა როგორც ნიშური პროდუქტების იმპორტიორი და დისტრიბუტორი. კომპანიამ ისარგებლა იმპორტის იმ გაზრდილი შესაძლებლობებით, რომლებიც 2009 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა შექმნა. იმპორტის სექტორში მისი წილი 2004-2012 წლებში 4-დან 12 %-მდე გაიზარდა და, ამჟამად, ის ბაზარზე სიდიდით მეოთხე კომპანიაა. 2009 წელს, „ეიბისი“-მ „ფარმადეპოს“ ბრენდის ქვეშ მოქმედი აფთიაქების ქსელი გახსნა, რომლებიც მომხმარებელს ექიმის რეცეპტით გათვალისწინებულ მედიკამენტებს შედარებით დაბალ ფასად სთავაზობდა, რამაც სხვა კომპანიებსაც ფასების დაწვეისკენ უბიძგა. „ეიბისი ფარმაციას“ „ფარმადეპოს“ ბრენდის ქვეშ მოქმედი დაახლოებით 30 აფთიაქი აქვს, რომლებიც დედაქალაქშია კონცენტრირებული. 2012 წლის ბოლოსთვის კომპანია საქართველოს მასშტაბით მოქმედი აფთიაქების რიცხვის 50-მდე გაზრდას გეგმავს. ბოლო პერიოდში, კომპანიამ 4 მლნ დოლარის ოდენობის სესხი მიიღო „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან“, რომელიც ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ბოლო ათწლეულში „ავერსი“, „პე-ეს-პე“ და „ჯიპისი“ ბაზრის მთავარ მოთამაშეებად იქცნენ. მათი ზრდა განპირობებულია მართვის ეფექტური სტრატეგიით, რაც მათ მოგების მიღების საშუალებას აძლევს, რომელიც შემდეგ კომპანიის განვითარებას ხმარდება. დიდი ოდენობის ფინანსური რესურსები, რომლებიც ამ კომპანიებმა იმპორტის სექტორიდან მიიღეს, ბაზრის სხვა სექტორებში მათი აქტივობის გაფართოებას მოხმარდა. ვინაიდან ბაზარი შედარებით ახალი ჩამოყალიბებული იყო, ამ კომპანიებმა მის ყველა სექტორში დამკვიდრება სწრაფად მოახერხეს. იმპორტის/დისტრიბუციის სექტორში ამ კომპანიების შეღწევას და დამკვიდრებას ხელი სხვა პრაქტიკამაც შეუწყო. ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუები და ადრე ჩატარებული კვლევები გვაჩვენებს, რომ ეს სამი კომპანია ბაზარზე დომინანტ მოთამაშედ მედიკამენტების იმპორტზე ექსკლუზიური წვდომის, ფარული გარიგებებისა და სხვა საცალო მოვაჭრეებისთვის მაღალი ფიქსირებული მარჟების დაწესების წყალობით იქცა. ეს პრაქტიკა დაძლეულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების გზით და მას შემდეგ მნიშვნელობა ნაწილობრივ დაკარგა. ამის მიუხედავად, ამ პრაქტიკამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ბაზარზე ამჟამად არსებული მდგომარეობის შექმნაში, რომლის გაგებაც მხოლოდ ამ პრაქტიკის გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზართან, განსაკუთრებით კი ბაზარზე წინა წლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ხშირად ახსენებენ მსხვილ ადგილობრივ იმპორტიორებსა და უცხოელ მომწოდებლებს შორის ექსკლუზიური კონტრაქტების დადების პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ ექსკლუზიური კონტრაქტები უჩვეულო პრაქტიკას არ წარმოადგენს, მათ ხელი შეუწყვეს ბაზარზე ამჟამინდელი მდგომარეობის შექმნას. „საქართველოში ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის“ აღმასრულებ-

ბელმა დირექტორმა, ირაკლი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედ უცხოურ დისტრიბუტორებსა და მსხვილ ადგილობრივ იმპორტიორებს შორის ე.წ. „ჯენტლმენური შეთანხმება“ არსებობდა, რომლის მიხედვით ერთ ადგილობრივ იმპორტიორს საქართველოში რეგისტრირებულ კონკრეტულ მედიკამენტზე ექსკლუზიური წვდომით უნდა ესარგებლა და, შესაბამისად, ერთადერთი კომპანია უნდა ყოფილიყო, რომელიც მთელ ბაზარს ამ პროდუქტით მოამარაგებდა. მომცრო ფარმაცევტული კომპანიების მფლობელებმა განაცხადეს, რომ ეს მათ ძალზე ურთულეობდა საქართველოში რეგისტრირებული პროდუქტების პირდაპირ უცხოური მომწოდებლებისგან შექმნას. როდესაც ისინი უცხოურ მომწოდებლებს მიმართავდნენ, ეს უკანასკნელნი მათ ეუბნებოდნენ, რომ ქართულ ბაზარზე მათ პროდუქტებს სხვა დისტრიბუტორი უკვე ყიდდა და რომ ისინი, შესაბამისად, ახალ დისტრიბუტორებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებით დაინტერესებულნი არ იყვნენ. ამგვარი მდგომარეობის გამო, ფარმაცევტული კომპანიები დამოკიდებულნი იყვნენ იმ ადგილობრივ იმპორტიორებზე, რომლებიც მედიკამენტების იმპორტზე ექსკლუზიური წვდომით სარგებლობდნენ. ვინაიდან ამგვარი ექსკლუზიური წვდომით მხოლოდ რამდენიმე კომპანია სარგებლობდა, მთელი ბაზარი ხუთამდე იმპორტიორზე იყო დამოკიდებული.

ზემოხსენებული შეზღუდული წვდომის კიდევ ერთ მიზეზად ის საექვო პრაქტიკა სახელდება, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული მედიკამენტების ნუსხას უკავშირდება. ამ ნუსხას მთავრობა ადგენს და საქართველოში მხოლოდ მასში შეტანილი მედიკამენტების იმპორტია შესაძლებელი. ეს ნუსხა მედიკამენტების იმპორტით დაინტერესებული კომპანიებისთვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ადრე ის მხოლოდ „ავერსისა“ და „პე-ეს-პე“-სთვის იყო ხელმისაწვდომი, რომელთაც ის სხვადასხვა ალტერნატიული გზებით მოიპოვეს. როდესაც 2004 წელს წამლის ახალი სააგენტო ამოქმედდა, ნუსხა გამოქვეყნდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. პრობლემას ის წარმოადგენდა, რომ ნუსხის გამოქვეყნების არანაირი სამართლებრივი ვალდებულება არ არსებობდა. როდესაც 2007 წელს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო შეიქმნა, ნუსხა საზოგადოებისთვის კვლავ მიუწვდომელი გახდა. ასეთი პრაქტიკის გამო, ფარმაცევტული პროდუქტების დამოუკიდებლად იმპორტირება ბევრი აფთიაქისთვის რთული იყო. ბევრ კომპანიას ასევე სირთულეები ექმნებოდა იმ რეგისტრირებული მედიკამენტების ნუსხის მოპოვებისას, რომელთა იმპორტიც დაშვებული იყო. კომპანიებს მედიკამენტების დამოუკიდებლად რეგისტრირებაც ძალიან უჭირდათ, რადგან, გაურკვეველი მიზეზების გამო, ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტებზე ხელი სულ რამდენიმე კომპანიას მიუწვდებოდა. ერთ-ერთი მცირე სააფთიაქო ქსელის მფლობელმა ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციის შექმნა სცადა, რათა მათ ბაზარზე მეტი გავლენა მოეხდინათ, მაგრამ მისი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა სხვა კომპანიების მხრიდან ინტერესის არარსებობის გამო. ამის მიზეზად მან ის დაასახელა, რომ სხვა კომპანიებს არ სურდათ უთანხმოებები ადგილობრივ იმპორტიორებთან, რომლებიც მათ საქონლით ამარაგებდნენ ან ის, რომ ისინი ასეთი თანამშრომლობის სარგებლიანობას ვერ ხედავდნენ. ფარმაცევტული პროდუქციის მსხვილი იმპორტიორები ამბობენ, რომ ამგვარი სიის არსებობის შესახებ არაფერი სმენიათ. თუმცა, სხვა (როგორც წესი, უფრო მცირე) კომპანიები ხაზს უსვამენ იმ სირთულეებს, რომლებსაც იმპორტის მცდელობისას აწყდებოდნენ, ხოლო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომლებმა ასევე დაადასტურეს მისი არსებობა.

მედიკამენტების იმპორტირების მსურველი კომპანიებისთვის კიდევ ერთ პრობლემას ხარისხის სერთიფიკატის მოპოვება წარმოადგენდა, რომელიც 2009 წლამდე სავალდებულო იყო და რომელზეც ხელი სულ რამდენიმე კომპანიას მიუწვდებოდა. შესაბამისად, ფარმაცევტულ ბაზარზე მხოლოდ 4-5 კომპანია აქტიურობდა. ის, თუ რატომ არ მიუწვდებოდათ ხელი ამ დოკუმენტებზე სხვა კომპანიებს, ბოლომდე ცნობილი არ არის. გაურკვეველი რჩება, ხსენებული კომპანიების ექსკლუზიური წვდომა იმით იყო განპირობებული, რომ ისინი აუცილებელი დოკუმენტების მისაღებად უფრო პროფესიონალურ სტრატეგიას მიმართავდნენ (მაგალითად, უკეთ იცოდნენ წესები და ასრულებდნენ მათ), თუ უბრალოდ ხელისუფლებასთან საჭირო კონტაქტები ჰქონდათ.

სამ ყველაზე მსხვილ დისტრიბუტორს/საცალო მოვაჭრეს შორის გავრცელებული პრაქტიკაა ერთმანეთთან იმ ფარმაცევტული პროდუქტების ფასების შეთანხმება, რომელთა მომწოდებლებთანაც მათ ექსკლუზიური კონტრაქტები აქვთ გაფორმებული. ამ პრაქტიკამ შექმნა მდგომარეობა, როდესაც სამ ყველაზე მსხვილ კომპანიას ხელი ყველა პროდუქტზე მიუწვდებოდა, ყველა სხვა აფთიაქი კი მათზეა დამოკიდებული.


„სახალხო აფთიაქის“ მფლობელმა, რომელიც ერთ-ერთი შედარებით მცირე ფარმაცევტული ქსელია, განაცხადა, რომ მის კომპანიას სამ ძირითად იმპორტიორთან თანამშრომლობის გარეშე მედიკამენტების საჭირო რაოდენობით შექმნა არ შეუძლია. მან აღნიშნა, რომ ეს კომპანიები ამ ექსკლუზიურ კონტრაქტებს დღემდე ინარჩუნებენ და, მიუხედავად იმისა, რომ „სახალხო აფთიაქი“ მედიკამენტების დამოუკიდებელ იმპორტსაც ეწევა, ის მაინც სამ ძირითად იმპორტიორზეა დამოკიდებული. კომპანიებს შორის ფარული გარიგებების არსებობის დამტკიცება მხოლოდ მყარი მტკიცებულებებით არის შესაძლებელი, როგორცაა კომპანიებს შორის დადებული კონტრაქტები, ხოლო „პე-ეს-პე“ და „ავერსის“ მტკიცებით, ამ კომპანიებს შორის გარიგებას არასოდეს ჰქონია ადგილი და ისინი ერთმანეთის კოკონურენტები არიან.

საქართველოში დაახლოებით 2400 აფთიაქია. ამ აფთიაქებს საცალო გაყიდვებით დაკავებული 2000 კომპანია ფლობს, რომელთა უმეტესობას ერთი ან ორი აფთიაქი აქვს, კომპანია კი ორზე მეტი აფთიაქის მფლობელია. საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში ინვესტირების გზამკვლევი აცხადებს, რომ აფთიაქების ეს რიცხვი ძალზე მაღალია, რადგან ქვეყანაში ყოველ 1500 მოსახლეზე თითო აფთიაქი მოდის. გზამკვლევი, რომელიც „კომსა ინტერნეიშენალმა“ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით მოამზადა, განმარტავს, რომ აფთიაქების სიმრავლე მოგების მაღალი მარჟების არსებობის შედეგია, რაც ამ სექტორში კონკურენციის ნაკლებობითაა გამოწვეული და კომპანიებს ახალი აფთიაქების ფინანსური პრობლემების გარეშე გახსნის საშუალებას აძლევს. „ფარმაცია“ „ფარმადეპოს“ ბრენდის ქვეშ მოქმედი დაახლოებით 27 აფთიაქის მფლობელია. „ავერსი“ და „პე-ეს-პე“ ეს ორი კომპანიაა, რომლებსაც აფთიაქები დედაქალაქთან ერთად რეგიონებშიც აქვთ.

ვინაიდან „ავერსი“, „პე-ეს-პე“ და „ჯიპისი“ ბაზარზე ყველაზე მსხვილი დისტრიბუტორები არიან, ისინი სარგებლობენ იმით, რომ ბაზარი ფრაგმენტირებულია და მცირე საცალო მოვაჭრეებისგან შედგება, რომელთაც მედიკამენტების დამოუკიდებლად იმპორტირება არ შეუძლიათ. შედარებით მცირე ფარმაცევტული ქსელის, „სახალხო აფთიაქის“, მეპატრონემ განაცხადა, რომ მარაგის შესავსებად ყველა აფთიაქი „ავერსის“, „პე-ეს-

პე“-სა და „ჯიპისი“-ს მიერ იმპორტირებულ საქონელზეა დამოკიდებული, მაშინაც კი, თუ თავადაც აწარმოებს მედიკამენტების იმპორტს.

აფთიაქების რიცხვი ფარმაცევტული კომპანიების მიხედვით



ფარმაცევტულ ბაზარზე ინვესტირების გზამკვლევი აცხადებს, რომ მსხვილი იმპორტიორ-დისტრიბუტორები და საცალო მოვაჭრეები სარგებლობენ მცირე მესაკუთრეების მფლობელობაში მყოფი თითქმის 2000 აფთიაქის არსებობით, რომლებსაც იმპორტის დამოუკიდებლად განხორციელება არ შეუძლიათ. მოგების ის მარჟა, რომელსაც „ავერსი“, „პე-ეს-პე“ და „ჯიპისი“ მცირე საცალო მოვაჭრეებთან მიმართებაში იყენებენ, ისეთ მდგომარეობას ქმნის, როდესაც ამ საცალო მოვაჭრეებს მედიკამენტების კონკურენტულ ფასად გაყიდვა არ შეუძლიათ, რაც მათ ბაზარზე დარჩენას ძალიან ურთულებს და ხელს უშლის გაფართოებაში. ამავე დროს, „ავერსის“, „პე-ეს-პე“-სა და „ჯიპისი“-ს თავისუფლად შეუძლიათ პროდუქციის ფასების ადაპტირება საკუთარ აფთიაქებში. საცალო გაყიდვების ბაზარზე 2009 წელს „ეიბისი ფარმაციის“ შესვლამ ფასების საერთო კლება გამოიწვია, რადგან იმპორტის მაღალი წილის წყალობით კომპანიამ შეძლო, რომ თავის აფთიაქებში მედიკამენტების ფასები დამოუკიდებლად განესაზღვრა და ისინი მომხმარებლისთვის დაბალ ფასად შეეთავაზებინა. ამის მიუხედავად, ამ პოზიტიურ მოვლენას („ეიბისი ფარმაციის“ ბაზარზე გამოჩენას) არ შეუცვლია სისტემა, რომელშიც 2000-მდე აფთიაქი საქონლის 60 პროცენტზე მეტს „ავერსის“, „პე-ეს-პე“-სა და „ჯიპისი“-გან ყიდულობს. საცალო გაყიდვების ბაზარზე ამ სამი კომპანიის გავლენა განპირობებულია მათი დომინირებით იმპორტ-დისტრიბუციის დონეზე და ფრაგმენტირებული ბაზრით, რომელიც ძირითადად მცირე ფარმაცევტული კომპანიებისგან შედგება.

ფარმაცევტული ბაზრის განვითარების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ადგილობრივი გენერიკების წარმოება, რაშიც წამყვან როლს „ავერსი“ და „პე-ეს-პე“ ასრულებენ. ამ მოვლენას აქვს პოტენციალი, რომ გაზარდოს მედიკამენტების ხელმისაწვდომობა, როგორც კი ამ გენერიკების ფასი მისაღები გახდება. ამჟამად ეს ასე არ არის, რადგან ყველაზე დაბალფასიანი გენერიკების ფასნამატები 100%-ს უახლოვდება და, როგორც ჩანს, კომპანიები ამ სექტორიდან დიდ მოგებას ღებულობენ. ამ მხრივ შეიშოთებას იწვევს ის გარემოებები, რომ „ავერსისა“ და „პე-ეს-პე“-ს აფთიაქებში დასაქმებულ ფარმაცევტებს სავარაუდოდ ამ კომპანიების მიერ წარმოებული მედიკამენტების გაყიდვას

აიძულებენ, ექიმებს კი სავარაუდოდ ეს კომპანიები მათი მედიკამენტების გამოწერისათვის ანაზღაურებას სთავაზობენ.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა ბაზარზე დადებითი გავლენა მოახდინა და ისინი უნდა შენარჩუნდეს. ამის მიუხედავად, ეს ცვლილებები, აუცილებელი მარეგულირებელი მექანიზმების არარსებობის გამო, ახალ საფრთხეებს ქმნის ხარისხის კონტროლის კუთხით. შესაბამისად, აუცილებელია, ვიპოვოთ სწორი ბალანსი იმპორტის გაადვილებასა და ხარისხის გარანტიების უზრუნველყოფას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., თბ., „უნივერსალი“, 2011.
2. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., 2012.
3. www.aversi.ge.
4. www.gpc.ge.
5. www.psp.ge.
6. www.geostat.ge.

რეზიუმე

საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი სწრაფად ვითარდება და ყველა სექტორში სხვადასხვა ცვლილებას განიცდის. მნიშვნელოვანია, რომ განვითარების პროცესში, მეტი ყურადღება მიექცეს კონკურენციის ზრდასა და ხარისხის გარანტიების შექმნას, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის ხელშემწყობმა ბოლოდროინდელმა მცდელობებმა ბაზარზე დადებითი გავლენა მოახდინა, ბაზარზე არსებული მდგომარეობა მაინც შეიძლება დახასიათდეს, როგორც ოლიგოპოლია და ვერტიკალური მონოპოლია, რომლის ფარგლებში ორ კომპანიას ყველა სექტორში დომინანტური პოზიცია უჭირავს. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა კარგი საწყისი ნაბიჯი იყო, რომელმაც იმპორტის შესაძლებლობები გაზარდა, მაგრამ მან მდგომარეობა მხოლოდ ნაწილობრივ შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მედიკამენტების გარკვეული ჯგუფის საშუალო ფასები შემცირდა, მათი უმეტესობის საშუალო ფასები არ შემცირებულა. ამასთან ერთად, მედიკამენტების საშუალო ფასნამატი კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია ევროპის ქვეყნებში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელზე და ბაზარზე დომინანტური პოზიციები კვლავ რამდენიმე მსხვილ კომპანიას უჭირავს. ქვეყანაში არ არსებობს ხარისხის ადეკვატური გარანტიები, რასაც განაპირობებს როგორც კანონის შესაბამისი დებულებების ნაკლებობა, ასევე ის, რომ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საკმარისი და აუცილებელი რესურსები არ გააჩნია.

მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ საზოგადოებამ სააგენტოს საქმიანობისა და მედიკამენტების შემოწმების პროცესის შესახებ უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს. ეს დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ სააგენტოს პრაქტიკა და განახორციელონ მისი საქმიანობის მონიტორინგი.

სტატისტიკის როლი მარკეტინგულ კვლევებში საქართველოში მინერალური წყლების მომხმარებელთა გამოკვლევის მაგალითზე

გვანცა მიქელაძე

მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი,


მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი ქეთევან მარშავა

მარკეტინგის წარმოშობა და მარკეტინგული თეორიების შემუშავება განპირობებული იყო XIX-XX საუკუნეებში აშშ-სა და ევროპის წამყვანი ქვეყნების ბაზრებზე შექმნილი რთული ვითარებით, რომელსაც ამ ქვეყნების ეკონომიკა მიჰყავდა სტაგნაციამდე. ბაზრის სტიქიურობის დარეგულირების მიზნით შემუშავებული მარკეტინგის თეორიები ბაზრის განვითარების პარალელურად ვითარდებოდა. თანამედროვე პერიოდში, მენეჯერებს უამრავი სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღება უწევთ. ასეთ გადაწყვეტილებებს მიეკუთვნება მიზნობრივი ბაზრის შერჩევა, მარკეტინგული პროგრამის შემუშავება, მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და კონტროლი. მარკეტინგის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია მისი ანალიტიკური ფუნქციის – მარკეტინგული კვლევების გაძლიერება, რომლის მნიშვნელოვანი პირობაა სტატისტიკური მეთოდოლოგიის ფართო გამოყენება წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით ჩატარებული, ობიექტურობაზე დაფუძნებული მარკეტინგული კვლევა გამორიცხავს გაურკვევლობას და აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღებას საკმაოდ რთულ სიტუაციებშიც კი. კვლევებში სტატისტიკური მეთოდებით (დაკვირვება, თავმოყრა, დაჯგუფება, გრაფიკული და სხვ.), ხდება ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა ბაზრის კონიუნქტურის მაჩვენებელთა გაანგარიშება, კონკრეტული საქონლის ბაზარზე მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ამსახველი მონაცემების მოპოვება, დამუშავება და ანალიზი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზრის შესახებ ინფორმაციის დროულად მიღების აუცილებლობას ზრდის ახალი საქონლის გამოტანის სიხშირე, საშინაო და საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერება და მომხმარებელთა ინფორმირებულობა. სწორედ ამიტომ, მარკეტინგულ კვლევებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლის, ფირმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის თვალსაზრისით. კვლევები გამოიყენება მარკეტინგული გადაწყვეტილებებისა და ბიზნესის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისთვის, ასევე მარკეტინგული პრობლემებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და გადაწყვეტის მიზნით. ამისთვის კი, საჭიროა ინფორმაციის სისტემატური და ობიექტური მოძიება, შეგროვება, ანალიზი და გავრცელება. მოცემული კვლევის ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს საქართველოში მინერალური წყლის მომხმარებელთა ელექტრონული გამოკითხვა, რომელიც ჩვენ მიერ იქნა ჩატარებული წინასწარ შემუშავებული კითხვარით. საქართველოში მინერალური წყლის მომხმარებელთა ჩატარებულ კვლევაში („ბორჯომი“- ს მაგალითზე) მონაწილეობა მიიღო 156-მა რესპოდენტმა, რომელთა დაჯგუფება მოვახდინეთ როგორც რაოდენობრივი (ასაკი, შემოსავლები), ისე თვისებრივი ნიშნით (სქესი). ანალიზისთვის გამოვიყენეთ გრაფიკული მეთოდები, კერძოდ კი წრიული, სექტორული და სვეტოვანი დიაგრამები. რესპოდენტების უმრავლესობა მამაკაცია და შეადგენს


გამოკითხულთა 55%-ს, დარჩენილი 45% მდებარეობითი სქესის წარმომადგენელია (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1




იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად შეიძენენ მომხმარებლები „ბორჯომს“, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: მომხმარებელთა 38% კვირაში ერთხელ იძენს აღნიშნულ ბრენდს, 25% თვეში ერთხელ, გამოკითხულთა 13% სამ თვეში ერთხელ და 24% წელიწადში ერთხელ მაინც მოიხმარს ამ მინერალურ წყალს (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2




მოცემული სლოგანი: „ბორჯომი დაგიბრუნებთ ჰარმონიას“, მოსწონს რესპოდენტთა 66%-ს და არ მოსწონს გამოკითხულთა 34%-ს (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3




გამოკითხულთაგან, 87%-თვის ბორჯომის ფასი მისაღებია, 13%-თვის კი მიუღებელი (იხ. დიაგრამა 4).




კითხვაზე, თუ რომელი ფრაზა ან სიმბოლო ახსენდებათ პირველად „ბორჯომი“-ს ხსენებისას, რესპოდენტებისათვის მნიშვნელოვანია ლოგო და სამკურნალო თვისებები, მცირე ნაწილმა გაიხსენა „ბორჯომი“-ს სარეკლამო რგოლებში გამოყენებული სლოგანები.

გამოკითხვის მეშვეობით გაირკვა, რომ რესპოდენტთა 29% ანიჭებს უპირატესობას მინის ბოთლებს და 71% ირჩევს პლასტმასის ბოთლებს (იხ. დიაგრამა 5).




გამოკითხული რესპოდენტების 66%-ს არც კი სმენია „ბორჯომი“-ს ოფიციალური ვებგვერდის შესახებ, 1%-მა აღნიშნა, რომ ეს ვებგვერდი არაა მოსახერხებელი, ხოლო 33%-თვის ვებგვერდი მისაღებია.




„ბორჯომის ახალი რეკლამა გამოკითხულთა 66% – ს არ უნახავს, 33% – ს მოსწონს ახალი რეკლამა და 1%–ს არ მოსწონს. შედეგები მოცემულია მე-7 დიაგრამაზე.

დიაგრამა 7




გამოკითხულ რესპოდენტთა 31%-მა აღნიშნა, რომ არის facebook.com-ის მომხმარებელი, 27% მოიხმარს youtube.com-ს, yahoo.com-ს მომხმარებელთა 9%, 7% იყენებს myvideo.ge-ს და ბოლოს, google.com-ს მომხმარებელთა 26% მოიხმარს.

დიაგრამა 8



რესპოდენტთა 58%-თვის „ბორჯომის“ რეკლამა სასურველია იხილოს ტელევიზიით, 37% ისურვებდა რეკლამის ნახვას ინტერნეტში და 5% პროცენტისთვის სასურველია აღნიშნული ბრენდის რეკლამის ნახვა ჟურნალ-გაზეთებში.


დიაგრამა 9



კვლევის მიხედვით, რესპოდენტთა 43% -მა შეაფასა მინერალური წყალი „ბორჯომი“ და „ლიკანი“ უმაღლესი შეფასებით, 48%-მა უმაღლესი შეფასება მიანიჭა „ნაბეღლავს“, მხოლოდ 9%-მა „საირმეს“.


გამოკითხულთა უმრავლესობა მიეკუთვნება 20-40 წლის ასაკობრივ ჯგუფს, პროცენტულად მათი წილი 70%-ია, 20 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება რესპოდენტთა 6% და 40 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს 24%-ს.

დიაგრამა 10




გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მომხმარებელთა 41%-ს აქვს შემოსავალი 250 ლარამდე, 31%-ის შემოსავალი მერყეობს 250-500 ლარამდე, 17- შემოსავალი 500-750 ლარის ინტერვალშია და რესპოდენტთა 11%-ს აქვს 750 ლარზე მეტი შემოსავალი (იხ. დიაგრამა 11).

დიაგრამა 11



ამდენად, ქართველი მომხმარებლისთვის ყველაზე მეტად ცნობილია შემდეგი მინერალური წყლები: „ბორჯომი“, „ლიკანი“, „ნაბეღლავი“, „საირმე“, „მიტარბი“. მხოლოდ მცირედი ნაწილი ფლობს ინფორმაციას ისეთი მინერალური წყლების შესახებ, როგორცაა „ზვარე“, „ლუგელა“, „ყაზბეგი“ და „წყალტუბო“.

მინერალური წყლების ყიდვისას მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს გემოს და სამკურნალო თვისებებს, ფასი და შეფუთვა მათთვის უმნიშვნელოა.



ამრიგად, გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ქართული მინერალური წყლების მომხმარებელთა უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია. რესპოდენტთა დიდი ნაწილი მიეკუთვნება 20-40 წლის ასაკობრივ ჯგუფს და მათი შემოსავალი მერყეობს 250 ლარიდან 500 ლარამდე. აღმოჩნდა, რომ მომხმარებლები „ბორჯომის“ შექმნისას უპირატესობას ანიჭებენ გემოსა და სამკურნალო თვისებებს, მათთვის აღნიშნული მინერალური წყლის ფასი და შეფუთვა მისაღებია.

იმის მიუხედავად, რომ „ბორჯომის“ სარეკლამო რგოლები აქტიურად მუშავდება საექსპორტო ბაზრებისთვის, ანკეტიდან მიღებული შედეგების ანალიზიდან გამომდინარე ქართველი მომხმარებლების დიდ ნაწილს „ბორჯომი“-ს ახალი სარეკლამო რგოლი არ აქვს ნანახი. რესპოდენტებისთვის არ არის ცნობილი კომპანია „ბორჯომის“ ოფიციალური ვებ – გვერდის შესახებ.

გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ურჩევნია სატელევიზიო და ინტერნეტ – რეკლამა, მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობამ მიანიჭა უპირატესობა რეკლამას ჟურნალ–გაზეთებში. ამ კუთხით საჭიროა კომპანია აქტიურად ჩაერთოს სარეკლამო საქმიანობის შემუშავებაში.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მომხმარებლები ძირითადად სარგებლობენ შემდეგი ვებგვერდებით: facebook.com, youtube.com, google.com. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კომპანიამ საკუთარ მომხმარებლებს ამ საიტების მეშვეობით მიაწოდოს ინფორმაცია, ვინაიდან, სწორედ ასეთი აქტიური სარეკლამო კამპანია უზრუნველყოფს თანამედროვე პირობებში ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ახალი ბაზრების ათვისებას და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა ნ., უროტაძე ე., მარკეტინგული კვლევის პრინციპები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013.
2. მღებრიშვილი ბ., თოდუა ნ., მარკეტინგის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
3. მარშავა ქ., კომერციის სტატისტიკა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009.
4. <http://www.borjomi.com/ge/>
5. <http://www.kvirispalitra.ge/economic/6147-qborjomiq-tselsac-tsarmatebuli-iyo.html>

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია ქართული მინერალური წყლების მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგები. გამოყენებულია კვლევის ისეთი სტატისტიკური მეთოდები, როგორცაა: დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის. ვიზუალურად შედეგების დემონსტრირებისათვის გამოყენებულია სექტორული დიაგრამები. კითხვარის თითოეული მუხლის მიხედვით გაანგარიშებულია სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეები და საბოლოო ანგარიშით, მოცემულია კომპლექსური ანალიზი. მიღებული კვლევის შედეგების მიხედვით გამოტანილია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, ასევე დასახულია მომხმარებელთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები.

რიგების მართვა და მომავალი თაობის ტექნოლოგიები

ნადია მჭედლიძე, ნინო ტალიკაძე

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტები,

მეცნიერ - ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **გიული ქეშელაშვილი**

მომსახურების პროექტირების შესახებ მსჯელობისას ცენტრალური ადგილი უჭირავს რიგებსა და მის მართვას. რიგები ხშირად მომსახურების პროცესის მიმდინარეობისას წარმოიქმნება და მისი ზრდით გამოწვეული პრობლემების დაძლევა უმნიშვნელოვანესია სერვისული კომპანიების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. დღეს ამ პრობლემის დაძლევის მძლავრი მათემატიკური ბაზა არსებობს, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოყენება აქვს.

მაინც რა არის, რეალურად, რიგები და როდის წარმოიქმნება ის? აღნიშნული პრობლემის წინაშე მრავალი ჩვენგანი აღმოჩენილა სხვადასხვა სახის მომსახურებისას, მაგალითად: საგზაო ტრანსპორტით მგზავრობისას, საცობში, თვითმფრინავში, როდესაც საფრენი აპარატი ვერ ახერხებს აეროპორტში დაშვებას საფრენი ზოლის გადატვირთვის გამო და სხვ. გარდა ამისა, თითოეულ ჩვენგანს ხშირად უხდება რიგში ყოფნა ბანკებსა თუ სხვა

სერვისული კომპანიების სალაროებთან. ხშირად რიგების გამო ვერ ვიღებთ საჭირო მომსახურებას. რიგი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სერვისული კომპანიების გამტარუნარიანობა ნაკლებია შემავალი ნაკადის ინტენსიურობაზე. სერვისული კომპანიების გამტარუნარიანობა არის საშუალება, დროის გარკვეულ მონაკვეთში დააკმაყოფილოს მომსახურების სისტემაში შესულ განცხადებათა რაოდენობა. შემავალი ნაკადის ინტენსივობა კი არის სერვისულ სისტემაში დროის ერთეულში შემავალი განაცხადებების რაოდენობა. რიგების ეფექტიან მართვას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება და, შესაბამისად, რიგების მართვის მენეჯერის როლიც ძლიერდება. სერვისული ტიპის ორგანიზაციებში თანდათანობით ინერგება უახლესი ტექნოლოგიური საშუალებები და მოწყობილობები.

რიგების მართვა იუსტიციის სახლში. რიგების მართვის პრობლემა ჩვენ იუსტიციის სახლის მაგალითზე გამოვიკვლიეთ. იუსტიციის სახლის 13 ფილიალი (ბათუმი, რუსთავი, მესტია, ქუთაისი, ოზურგეთი, გურჯაანი, ყვარელი, თელავი, მარნეული, გორი, ახალციხე, ზუგდიდი და თბილისი) შექმნის დღიდან დღემდე მოქალაქეებს 300-ზე მეტი სახის სერვისს სთავაზობს და დღეში 18 000-მდე მომხმარებელს ემსახურება. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, იუსტიციის სახლში ლოდინის საშუალო პერიოდი - 5 წუთს შეადგენს, ხოლო მომსახურების საშუალო პერიოდი - 6-7 წუთს. ამასთან, ყველაზე მოთხოვნადი სერვისების TOP ხუთეული შემდეგია: პირადობის ელექტრონული მოწმობა, ქორწინების რეგისტრაცია, პასპორტი, დაბადების რეგისტრაცია და საკუთრების რეგისტრაცია [<http://psh.gov.ge/>].

იუსტიციის სახლი რიგების მართვისათვის იყენებს კომპანია Next Generation Technologies-ის ტექნოლოგიებს. NGT ჯგუფი არის QMATIC-ის ერთ-ერთი პრემიუმ-პარტნიორი კომპანია, რომელსაც პროფესიონალი IT სპეციალისტების ჯგუფი მართავს. მომხმარებელთა ნაკადების მართვის სისტემა (QMATIC) 1981 წელს დაარსდა და ის პირველად შვედურ ფოსტაში, ბანკებსა და სარკინიგზო სადგურებში გამოიყენეს. 1996 წელს Qmatic-მა მიიღო ISO 9001 სერტიფიკატი. რიგების მართვის აღნიშნულ სისტემას დღეს მსოფლიოს 122 ქვეყანაში 65 000 ორგანიზაცია იყენებს [<http://www.qmatic.com/>].

იუსტიციის სახლი იყენებს NGT-ის შემდეგ ტექნოლოგიებს: ბილეთების პრინტერი, მთავარი საინფორმაციო და, ოპერატორის ტაბლო, მომსახურების ხარისხის შეფასება. NGT კომპანია პასუხისმგებელია აპარატურის გამართულად მუშაობაზე, ხარვეზების შემთხვევაში ოპერატიულად მიეწოდება ინფორმაცია კომპანიას, რათა გამოსწორდეს პრობლემები. თუმცა, იუსტიციის სახლის სამწლიანი მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, აპარატურას მუშაობაში ხარვეზი არ ჰქონია.

იუსტიციის სახლი ისეთი სერვისული დაწესებულებაა, სადაც რთულია მოთხოვნის მართვა. ის შეიძლება მივაკუთვნოთ მრავალარხიან, მრავალფაზიან სტრუქტურას. დაწესებულება მომხმარებელთა მომსახურებისათვის იყენებს პრაქტიკაში გავრცელებულ პრიორიტეტულ წესს - „პირველი მოვიდა, პირველს მოემსახურნენ“. იუსტიციის სახლში მისულ მომხმარებლებს შესასვლელთან სივრცის კონსულტანტები ეგებებიან, რომლებიც მათ აწვდიან სათანადო ინფორმაციას მათთვის საინტერესო საკითხებზე და შესაბამის ოპერატორთან ამისამართებენ. მომსახურების დარბაზი 3 ნაწილადაა დაყოფილი: თვითმომსახურების სივრცე, სწრაფი მომსახურების სივრცე და ხანგრძლივი მომსახურების სივრცე. თვითმომსახურების სივრცეში მოთავსებულია ავტომატიზებული სისტემები, რომელთა საშუალებით მომხმარებელს შეუძლია, დამოუკიდებლად მიიღოს სხვადასხვა სახის

მომსახურება: ამონაწერი ქონების ან ბიზნესის შესახებ, ბიომეტრული ფოტო პასპორტისათვის, თანხის განაღდება ბანკომატიდან, დისტანციური გადახდების წარმოება და ა.შ.

სწრაფი მომსახურების სივრცეში მომხმარებელს შეუძლია ყველა იმ სერვისის მიღება, რომლის ხანგრძლივობა საშუალოდ 5 წუთს არ აღემატება. მაგალითად, აქ გაიცემა: მზა პასპორტი, პირადობის მოწმობა, აპოსტილით ან ლეგალიზაციის გზით დამოწმებული დოკუმენტი, სარეგისტრაციო გადაწყვეტილება და ამონაწერი უძრავ ქონებასა და ბიზნესში. ხანგრძლივი მომსახურების სივრცეში კი მომხმარებელს შეუძლია იმ სერვისის მიღება, რომლის განხორციელებაც 5 წუთზე მეტ დროს მოითხოვს. ასეთებია: პასპორტზე განაცხადის ჩაბარება, ქონებისა და ბიზნესის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების ჩაბარება, არქივიდან ბიოგრაფიული ხასიათის ცნობის მიღება და სხვა ნებისმიერ სერვისზე განაცხადის ჩაბარება.

მომსახურების სივრცის მსგავსი დაყოფა ამცირებს ხანგრძლივი და ქაოსური რიგის წარმოქმნის საშიშროებას, მოქალაქეთა გადაადგილებას უფრო ორგანიზებულს და მოწესრიგებულს ხდის, სერვისის მიღების მსურველთა თანმიმდევრობას კი სპეციალურად ინტეგრირებული მართვის ელექტრონული სისტემა აწესრიგებს. დარბაზში განთავსებული საინფორმაციო-სარეკლამო ბანერები და მანიშნებლები კიდევ ერთი დამატებითი საშუალებაა, რომელიც მაქსიმალურად ამარტივებს მომხმარებელთა გადაადგილებას შენობის შიგნით. თბილისის იუსტიციის სახლის მომხმარებლებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, რომ სახელმწიფო სერვისები Just Drive-ის საშუალებით მიიღონ. Just Drive საშუალებას აძლევს კლიენტებს პასპორტი, დაბადების მოწმობა და სხვა მზა დოკუმენტი შენობაში შეუსვლელად, უფრო მეტიც, ავტომობილიდან გადაუსვლელად, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე Just Drive-ის ფანჯარასთან აიღონ. მაინც როდის წარმოიქმნება რიგები იუსტიციის სახლში? არის პერიოდები, როცა მთავრობის გადაწყვეტილებით ცხადდება სხვადასხვა აქციები. მაგალითად, როდესაც მიმდინარეობს პირადობის მოწმობების უფასოდ გაცემა მოსახლეობაზე, ატესტატების გაცემა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებზე. ამ დროს მომხმარებელთა ნაკადი მატულობს და შესაბამისად იზრდება მათი ლოდინის დროც.

იუსტიციის სახლის მომხმარებელთა მარკეტინგული კვლევა. იუსტიციის სახლის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების გასარკვევად 2015 წლის მაისის თვეში ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა. გამოიკითხა 100 რესპონდენტი, რომელთაგან 63-მდედრობითი, ხოლო 37 მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მათი უმრავლესობა (60%) 21-დან 30-წლამდე ასაკობრივ ჯგუფს ეკუთვნოდა. კვლევამ გვიჩვენა, რომ იუსტიციის სახლის მომსახურებით სრულიად კმაყოფილია გამოკითხულთა 22%, კმაყოფილი - 50%, უკმაყოფილო - 20%, სრულიად უკმაყოფილო - 8%. ამასთან, საკვლევ პერიოდში იუსტიციის სახლის ყველაზე მოთხოვნადი სერვისი პირადობის ელექტრონული მოწმობა აღმოჩნდა. კვლევებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა 54% ყველაზე ხშირად სწრაფი მომსახურების სივრცით სარგებლობს. დასმულ კითხვაზე: „საშუალოდ რამდენ ხანს გიხდებათ იუსტიციის სახლში რიგში ყოფნა?“ ჩვენ არაერთგვაროვანი პასუხი მივიღეთ: გამოკითხულთა 46%-მა დააფიქსირა 0-15 წუთი, 36%-მა - 15-30 წუთი, 12%-მა - 1 საათამდე დროის ინტერვალი, ხოლო 6%-მა - 1 საათზე მეტი. ამასთან, რესპონდენტთა 58% ფიქრობს, რომ იუსტიციის სახლი რიგებს ეფექტიანად მართავს, 42% კი ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

რიგების მოდელის პრაქტიკული გამოყენება იუსტიციის სახლის მაგალითზე. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, მიმდინარე წლის 1-დან 15 მაისამდე სამუშაო დღეების განმავლობაში, 17-დან 18 საათამდე, ვაკვირდებოდით იუსტიციის სახლში რიგების არსებულ მდგომარეობას, რათა გაგვეჩვენა პრობლემები. ამისათვის გამოვიყენეთ რიგების მართვის მარტივი მოდელი და გამოვთვალეთ მომსახურე პერსონალის დატვირთვა, რიგში მდგომ კლიენტთა საშუალო რიცხვი, სისტემაში კლიენტთა საშუალო რიცხვი, რიგში დგომის საშუალო დრო და სისტემაში ყოფნის საშუალო დრო [ხარხელი მ., ოპერაციული მენეჯმენტი, თბილისი, 2010, გვ. 164-169]. იუსტიციის სახლში მომსახურების მისაღებად ხანგრძლივი მომსახურების სივრცეში პასპორტზე განაცხადის ჩასაბარებლად 17-დან 18 საათამდე შემოვიდა 10 ადამიანი. ოპერატორმა ერთი პიროვნების მომსახურებას 5 წუთი მოანდომა, მომსახურების ინტენსივობა $\mu=60:5=12$ -ის ტოლი აღმოჩნდა, მომსახურე პერსონალის დატვირთვა $p = \frac{\lambda}{\mu} = 10/12=83.3\%$, რიგში მდგომ კლიენტთა საშუალო რიცხვი $n_1 = \frac{\lambda^2}{\mu(\mu-\lambda)} = \frac{10^2}{12(12-10)}=4.16$, სისტემაში მყოფ კლიენტთა საშუალო რაოდენობა $n_s = \frac{\lambda}{\mu-\lambda} = \frac{10}{12-10}=5$ კლიენტი, რიგში დგომის საშუალო დრო $t_1 = \frac{\lambda}{\mu(\mu-\lambda)} = \frac{10}{12(12-10)}=0,41$ საათი, 24,9 წუთი, სისტემაში ყოფნის საშუალო დრო $t_s = \frac{1}{\mu-\lambda} = \frac{1}{12-10}=0,5$ საათი ანუ 30 წუთი.

განგარიშების შედეგები წარმოდგენილია 1-ლი ცხრილის სახით.

რიგის პარამეტრები იუსტიციის სახლში

თარიღი	ოპერატორთა დატვირთვა	რიგში მდგომ კლიენტთა საშუალო რიცხვი n_1	სისტემაში კლიენტთა საშუალო რიცხვი n_s	რიგში დგომის საშუალო დრო t_1 (წუთებში)	სისტემაში ყოფნის საშუალო დრო t_s (წუთებში)
01.05.2015	91.6%	10,08	11	54.8	60
04.05.2015	83.3%	4.16	5	24,9	30
05.05.2015	75%	2.25	3	15	19.8
06.05.2015	66.6%	1.3	2	9.9	15
07.05.2015	75%	2.25	3	15	19.8
08.05.2015	83.3%	4.16	5	24,9	30
11.05.2015	66.6%	1.3	2	9.9	15
13.05.2015	58.3%	0.81	1.4	6.9	12
14.05.2015	50%	0.5	1	4.9	9.9
15.05.2015	91.6%	10,08	11	54.8	60

ეკონომეტრიკული მოდელი. მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, ავაგეთ მარტივი რეგრესიული მოდელი, რომელმაც გვიჩვენა დამოკიდებულება რიგში დგომის საშუალო დროსა და რიგში მდგომ კლიენტთა საშუალო რიცხვს შორის, ასევე სისტემაში ყოფნის საშუალო დროსა და სისტემაში კლიენტთა საშუალო რიცხვს შორის. პირველ შემთხვევაში, შედეგობრივ ცვლადად ავიღეთ რიგში დგომის საშუალო დრო (y), ხოლო ფაქტორულ ცვლადად რიგში მყოფ კლიენტთა საშუალო რიცხვი (x) (იხ. რეგრესიის საშედეგო ფანჯარა 1).

მეორე შემთხვევაში შედეგობრივ ცვლადად ავიღეთ სისტემაში ყოფნის საშუალო დრო, ხოლო ფაქტორულ ცვლადად-სისტემაში კლიენტთა საშუალო რიცხვი (რეგრესიის საშედეგო ფანჯარა 2).

რეგრესიის საშედეგო ფანჯარა 1

SUMMARY OUTPUT								
Regression Statistics								
Multiple R	0,999784333							
R Square	0,999568712							
Adjusted R Squa	0,999514801							
Standard Error	0,407463525							
Observations	10							
ANOVA								
	df	SS	MS	F	Significance F			
Regression	1	3078,311788	3078,312	18541,08436	9,46244E-15			
Residual	8	1,328212192	0,166027					
Total	9	3079,64						
	Coefficients	Standard Error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%	Lower 95,0%	Upper 95,0%
Intercept	3,108498785	0,189882891	16,37061	1,95299E-07	2,670628053	3,54636952	2,670628053	3,546369518
X Variable 1	5,148143457	0,037807945	136,1657	9,46244E-15	5,060958179	5,23532874	5,060958179	5,235328735

მივიღეთ განტოლება: $Y=3,11 + 5,15x$, საიდანაც ცხადია, რომ თუ რიგში მდგომ კლიენტთა საშუალო რიცხვი გაიზრდება 1 კაცით, მაშინ რიგში დგომის საშუალო დრო დაახლოებით გაიზრდება 5 წუთზე ოდნავ მეტით. x კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რადგან $t_b > t_{kr}$.

რეგრესიის საშედეგო ფანჯარა 2

SUMMARY OUTPUT								
Regression Statistics								
Multiple R	0,999990633							
R Square	0,999981267							
Adjusted R Square	0,999978925							
Standard Error	0,085267587							
Observations	10							
ANOVA								
	df	SS	MS	F	Significance F			
Regression	1	3104,806836	3104,807	427038,1126	3,36761E-20			
Residual	8	0,058164492	0,007271					
Total	9	3104,865						
	Coefficients	Standard Error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%	Lower 95,0%	Upper 95,0%
Intercept	4,917011242	0,043411722	113,2646	4,12563E-14	4,816903631	5,017118853	4,816903631	5,017118853
X Variable	5,007429901	0,007662695	653,4815	3,36761E-20	4,989759693	5,025100108	4,989759693	5,025100108

მეორე შემთხვევაში მივიღეთ განტოლება: $Y=4,92 + 5x$, რომელმაც გვიჩვენა, რომ თუ სისტემაში კლიენტთა საშუალო რიცხვი შეიცვლება 1 ერთეულით, მაშინ სისტემაში ყოფნის საშუალო დრო გაიზრდება დაახლოებით 5 წუთით. ამ შემთხვევაშიც x კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რადგან $t_0 > t_{kr}$.

ცხადია, რიგების მართვა საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა. იუსტიციის სახლმა რიგების ეფექტიანად მართვისათვის თვალყური უნდა ადევნოს ინოვაციურ ტექნოლოგიებს და დანერგოს ის პრაქტიკაში. სასურველია, ინოვაციური პროექტის - Just drive-ის გამოყენება, რაც მომხარებელს საშუალებას მისცემს მანქანიდან გადაუსვლელად მიიღოს მომსახურება. ამგვარი მიდგომა შეამცირებს რიგებს იუსტიციის სახლში და გაზრდის მომხმარებელთა კმაყოფილების დონეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., ეკონომეტრიკის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიახლე“, თბ., 2009.
2. ხარხელი მ., ოპერაციული მენეჯმენტი, გამომცემლობა „საუნჯე“, თბ., 2010.
3. Basic Queueing Theory. Dr. János Sztrik. University of Debrecen, Faculty of Informatics. 2012. http://irh.inf.unideb.hu/user/jsztrik/education/16/SOR_Main_Angol.pdf
4. Statistical Methods for Analyzing Queuing Models, Thomopoulos. 2012. <http://www.springer.com/us/book/9781461437123>
5. www.cfm.next-gt.com - QMATIC-ის რიგის მართვის სისტემა.
6. <http://psh.gov.ge/>

რეზიუმე

სტატიაში შესწავლილია და გაანალიზებულია რიგების მართვის საკითხები იუსტიციის სახლის მაგალითზე. ნაჩვენებია, რომ რიგების მართვის პრობლემის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესია სერვისული კომპანიების ეფექტიანობის გაზრდისათვის.

კვლევა დაფუძნებულია ათდღიანი დაკვირვების შედეგებზე. კვლევის პროცესში გამოყენებულია რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები. მომსახურების ექსპონენციალური განაწილებისა და პუასონის განაწილებით განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე აგებულია ეკონომეტრიკული მოდელი. ნაჩვენებია ამ მოდელის ვარგისიანობა და ვაკუუმებულია დასკვნები რიგების ეფექტიანი მართვისათვის.

კლიენტების ლოიალობის პროგრამების აღრიცხვის საკითხები

თინათინ ოდილავაძე

მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე

ვაჭრობა ბონუს და ფასდაკლების ბარათებით. თანამედროვე ბიზნესში თანდათანობით გაიზარდა მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამების გამოყენება და ახლა მიმდინარეობს ყველა სახის პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვებში აღნიშნული პროგრამის მონაწილეობა. მსოფლიო პრაქტიკის თანახმად ფასდაკლების ან დაგროვებითი ბარათები ორი ძირითადი მეთოდით ვრცელდება: მათ ან უფასოდ ჩუქნიან მომხმარებელს, ან გარკვეული შენაძენის გაკეთების შემდეგ სთავაზობენ. რა არის ასეთი ტიპის ბარათების ხიბლი? ფასდაკლება, დაგროვების შედეგად მიღებული ფასდაკლება და საჩუქარი, რომლის მიღებაც გარკვეული ბონუს ქულების დაგროვების შედეგად ხდება.

ფასდაკლების მოცულობა ინდივიდუალურია. ბევრი კომპანია მომხმარებელს ერთი ტიპის ბარათის ნაცვლად რამდენიმეს სთავაზობს. ბარათები, თავის მხრივ, ფასდაკლების და დაგროვებით ბარათებად იყოფა. **ფასდაკლების ბარათი** გარკვეული მარკეტინგული ხრიკია. მისი მფლობელი თავიდანვე პრივილეგირებულია, რადგან ფასდაკლების გარდა, მას დამატებით მომსახურებასაც სთავაზობენ, მაგალითად, საქონლის ბინაზე მიტანა. ფასდაკლების ბარათის მფლობელს ყოველთვის აქვს სურვილი, რომ ისევ დაბრუნდეს კომპანიაში და შენაძენი გააკეთოს. ამით კომპანია იღებს მომხმარებლის ლოიალურობას, რითაც გაყიდვების მოცულობა იზრდება. დაგროვებითი ბარათები ადგილობრივ ბაზარზე პირველებმა ფარმაცევტულმა კომპანიებმა გამოიტანეს, შემდეგ - სუპერმარკეტების და ჰიპერმარკეტების ქსელებმა.

დაგროვებითი ბარათი გამოიყენება მომხმარებლების მოსაზიდად და საქონლის რეალიზაციის წახალისების მიზნით. ბარათის მფლობელს საქონლის შესყიდვის დროს ერიცხება დამკვეთის კომპანიის მიერ საქონელზე წინასწარ განსაზღვრული ბონუს ქულები.

დაგროვებითი ბარათის გამოყენებით მიიღწევა შემდეგი მიზანი:

1. კლიენტი, რომელსაც ერიცხება ქულები ყოველთვის ცდილობს მიიღოს (გაანაღლოს) მის მიერ დაგროვებული ქულები და ამით იგი თავისდაუნებურად ხდება მუდმივი მომხმარებელი;
2. გამყიდველი კი, თავის, ახდენს გარკვეული საქონლის წახალისებას და ზრდის იმ საქონლის რეალიზაციას, რომლის რეალიზაციაც მას უძნელდება. მაგალითად, მას აქვს ანალოგიური საქონელი A, B და C, რომელთაც გააჩნია დაახლოებით ერთნაირი სარეალიზაციო ფასები. დავუშვათ, A საქონლის რეალიზაცია ხდება ყოველთვის წარმატებულად, B - იყიდება საშუალოდ, ხოლო C - საქონლის რეალიზაცია მინიმალურია. ამ დროს ბონუს ქულების წინასწარ განსაზღვრისას A საქონლის რეალიზაციას შეიძლება სულაც არ მიენიჭოს ბონუს ქულები, რადგან ის ისედაც კარგად იყიდება, B საქონლის რეალიზაციას მიენიჭება ნაკლები ქულა, ხოლო C საქონელს გაცილებით უფრო მეტი. ამ საქონლის გაყიდვები, ბონუს ქულების მინიჭების შემდეგ, კლიენტის არჩევანის გათვალისწინებით, შეიძლება

შეიცვალოს შემდეგნაირად: A - საქონლის რეალიზაცია შემცირდება მცირედით, B - საქონლის რეალიზაცია დარჩება დაახლოებით იგივე დონეზე ან შემცირდება უფრო მცირედით ვიდრე A საქონლის რეალიზაცია, ხოლო C საქონლის რეალიზაცია გაიზრდება. საერთო ჯამში კი A,B,C საქონლის რეალიზაცია იქნება უფრო მეტი ვიდრე ის იყო ბონუს ბარათების შემოღებამდე. ქულების ასეთი სახით მინიჭება შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს მცირე ვადიანი საქონლის რეალიზაციის მიზნით. ბონუს-ბარათების შემოღებით გამყიდველი კლიენტს უბიძგებს იყიდოს ის საქონელი, რომლის გაყიდვა მას სურს პირველ რიგში, ანუ ახდენს გაყიდვების სტიმულირებას.

გარდა ამისა, გაყიდვების სტიმულირებისთვის შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა ტიპის აქციები, მაგალითად :

- დღის განმავლობაში დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება მოხდეს საქონელზე ბონუს ქულების გარკვეული კოეფიციენტით გადაანგარიშება (გაზრდა). მაგალითად, დღის საათებში გამყიდველს სურს რეალიზაციის გაზრდა, ხოლო საღამოს ისედაც ბევრია მყიდველი (კლიენტი) და მათ უწევთ რიგში დგომა. თუ დღის საათებში გამოცხადდება, რომ კლიენტს დაერიცხება გაორმაგებული ქულები, მაშინ მათი გარკვეული ნაწილი ეცდება საქონლის შეძენა მოახდინოს სწორედ დღის საათებში, რაც ავტომატურად განტვირთავს საღამოს რიგებს;
- სადღესასწაულო დღეებში შესაძლებელია გამოცხადდეს აქცია და გაზარდონ დასარიცხი ქულები საქონელზე და სხვა ასეთი, მარტივი, მაგრამ მომგებიანი აქციის ორგანიზება შესაძლებელი, რაშიც გამყიდველს ეხმარება სწორედ დაგროვებითი ბონუს ბარათები.

ნავთობკომპანიებმა და პარფიუმერულმა ქსელებმა კი მომხმარებელს ერთდროულად ფასდაკლების, **ბონუს და დაგროვებითი ბარათები** შესთავაზეს. მოგვიანებით, ამ პროცესში საბანკო სექტორიც ჩაერთო. როგორც ცნობილია, კომპანიისათვის კლიენტების 20 პროცენტს 80-პროცენტიანი მოგება მოაქვს. ესენი არიან მუდმივი კლიენტები, რომლებიც შესყიდვებს ახორციელებენ. ამიტომ კომპანია მათ სთავაზობს ფასდაკლების, ბონუს, ბრენდულ, სასაჩუქრე და კლუბურ ბარათებს. ბარათების გაცემისას ივსება შესაბამისი ბლანკი, რომელზეც დატანილია მომხმარებლის პირადი ინფორმაცია (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი) და ბარათის გამოყენების მოკლე ინსტრუქცია. მომხმარებელი გააქტიურებული ბარათის გამოყენებას ახდენს გამყიდველის ნებისმიერ ობიექტში და ბარათის გამოყენებით მას ერიცხება შეძენილ საქონელზე წინასწარ განსაზღვრული ბონუს ქულები. მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლის გადახდის მომენტში მოლარე ოპერატორი ახდენს ბარათის წამკითხველ აპარატში ბარათის გატარებას და ჩეკზე ხდება ბარათის „ელექტრონული ნომრის“ მიზმა და ბონუს ქულების დარიცხვა. დაგროვებული ქულებით საჩუქრის მიღებისას, მომხმარებლის მიერ არჩეული საქონლის ღირებულება იფარება დაგროვებული ქულების ხარჯზე.

IFRIC 13 International Financial Reporting Interpretations Committee (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციის კომიტეტის მიერ გამოცემული კომენტარები) განიხილავს მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამების აღრიცხვის საკითხებს, რომელიც გამოიცა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის მიერ. IFRIC 13 განმარტავს, რომ მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები შედგება მრავალი ელემენტისგან, გამომდინარეობს საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული სარგებელით, რომელიც მოიცავს:

- საქონლის ან მომსახურების მიწოდებას;
- სარგებელს, რომელიც მომავალში იქნება მიღებული.

ამდენად, წარმოიქმნება ბონუს-ბარათებზე დაგროვილი ქულების შეფასების პრობლემა. ინტერპრეტაცია იძლევა რეკომენდაციას, რომ დაგროვილი ქულები უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით და ბალანსში უნდა აისახოს როგორც „გადავადებული შემოსავალი“.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია IFRIC 13 (ფასს-ს კომენტარები) ზემოქმედება საერთო არსებულ პრაქტიკაზე

ცხრილი 1

	არსებული პრაქტიკა	IFRIC 13
შემოსავლის ანგარიშგების კლასიფიკაცია	აღიარდება შემოსავლად ან მარკეტინგის ხარჯებად	აღიარდება შემოსავლად
ბალანსის კლასიფიკაცია	ხდება ანარიცხების შექმნა	აღიარდება გადავადებულ შემოსავლად
შეფასება	დაკავშირებული ხარჯების მიხედვით, რომ შეასრულოს კომპანიის ვალდებულება	რეალური ღირებულებით
ჯილდოს აღიარება	სხვადასხვა: გრანტის ან გამოსყიდვის	გამოსყიდვის

როგორ მოქმედებს IFRIC 13 საცალო ვაჭრობაზე? არსებობს ბონუს-ქულების განაღდებას შემდეგი ძირითადი სქემა:

- ბარათის გამცემის მაღაზიაში;
- ბარათის გამცემის ქსელის ნებისმიერ სხვა მაღაზიაში;
- მესამე მხარესთან.

ფასდაკლების ბარათები გაიცემა გაყიდვებიდან დამოუკიდებლად, ტრანზაქცია შემოსავლიდან გამოიქვითება მაშინ, როცა მოხდება საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია და ფასდაკლების ბარათი იქნება გამოყენებული.

IFRIC 13 ასევე განმარტავს განსხვავებებს შემოსავლებსა და მარკეტინგის ხარჯებს შორის. კერძოდ, მარკეტინგის ხარჯები გაწეულია გაყიდვებიდან დამოუკიდებლად, ხოლო შეღავათები და ფასდაკლების ბარათები შეთავაზებულია მომხმარებლებზე გაყიდვების პროცესში და გამოიქვითება შემოსავლიდან. გადავადებული შემოსავალი შეიძლება შეფასდეს მხოლოდ რეალური ღირებულების პრინციპის საფუძველზე, როდესაც საქმე გვაქვს საქონლის ან მომსახურების რეალიზაციასთან ფასდაკლების ბარათის გამოყენებით. სტანდარტი მოითხოვს, რომ მომავალში მომხმარებელზე გასაცემი სარგებელი შეფასდეს რეალური ღირებულებით და არა იმ დანახარჯის ოდენობით, რომლის გაცემაც არის ნავარაუდები. რეალური ღირებულება ინდივიდუალურ ბარათზე მოიცავს აგრეთვე ღირებულებას, რომელშიც გათვალისწინებულია იმ სტიმულის რაოდენობა, რომლითაც მომხმარებელი მომავალში გაანაღდებს ფასდაკლების ბარათს. ყველა მომხმარებელი ნაწილობრივ, ან

სრულად არ იყენებს მათზე გაცემულ საჩუქრებს. ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ მხედველობაში მივიღოთ აღნიშნული ფაქტი და ფასდათმობის შემთხვევაში გასაცემი სარგებელი რეალურად შეფასდეს.

ცხრილი 2

ფაქტორები, რომლებიც რეალური ღირებულების განსაზღვრაში მონაწილეობს, შემდეგია:

ფასდაკლების ტიპი	ღირებულების აღიარება
სხვა მომხმარებელზე მსგავსი ფასდაკლების განხორციელება	ღირებულება დამოკიდებული ორ ფაქტორზე, თუ რა პროდუქტია და ვისზეა შეთავაზებული იგი. თუ ის ნაკლებად პოპულარული პროდუქტია, მასზე გაცემული ფასდაკლება სხვა მომხმარებელზე იქნება გავრცელებული.
მსგავსი ფასდაკლება, რომელიც მომავალში იქნება შეთავაზებული	იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზება განხორციელდა პოპულარულ პროდუქტებზე, მათ ექნებათ ბევრად უფრო რეალური ღირებულება ვიდრე იმ საქონელზე, რომელიც ყოველწლიურადაა შეთავაზებული და აქვს მცირე, ან არანაირი გავლენა მომხმარებელზე.
მსგავსი ფასდაკლება, რეგულარულად იქნება შეთავაზებული	იმ შემთხვევაში, თუ უფასო ბარათი იქნება შეთავაზებული, იმავე დროს რეალური ღირებულება შემცირდება.

ზოგიერთ ბარათს აქვს განსაზღვრულ პერიოდში გამოყენების შესაძლებლობა. გადავადებული შემოსავალი არ უნდა აღიარდეს მანამ, სანამ ბარათის გამოყენების ვადა არ ამოიწურება. ასეთი ტიპის ბარათების აღრიცხვა არის უფრო რთული, რომელთა გამოყენების ვადა არის განუსაზღვრელი. ამ შემთხვევაში, საწარმომ თვითონ უნდა განსაზღვროს მათი შესაძლო გამოყენების პერიოდი. შეფასება რეგულარულად უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოს ბუღალტერიაში აღრიცხული მონაცემების სისწორე.

სტანდარტი მოითხოვს, რომ იდენტიფიცირება მოხდეს მომავალში მომხმარებელზე გასაცემი სარგებლის წყარო აღნიშნული ორგანიზაციაა თუ მესამე მხარე. როდესაც სამეურნეო სუბიექტი იღებს შემოსავალს, იგი გამოიმუშავებს საკომისიო შემოსავალსაც.

- საკომისიო შემოსავალი არის წმინდა ღირებულება (სხვაობა მომხმარებელზე გასაცემ მთლიან სარგებელსა და მესამე მხარის მიერ გადასახდელ თანხას შორის), და
- საკომისიო შემოსავალი უნდა აღიარდეს გადავადებულ შემოსავლად, ვიდრე მესამე მხარე ვალდებულია საჩუქრის გაცემაზე.

როგორ უნდა განვსაზღვროთ ინდივიდუალური რეალური ღირებულება? ქვემოთ მოცემულია საილუსტრაციოდ ცხრილი, რომელიც განმარტავს აღნიშნულს.

ცხრილი 3

სტიმულის ტიპი	ინდივიდუალური რეალური ღირებულების ინდიკატორი
საქონელზე თანდართული ფულადი კუპონი	ბარათის ფულადი ღირებულება

საქონლის შესყიდვიდან გამომდინარე ქულები	დამოკიდებულია საქონლის ქულებიდან მიღებულ ღირებულებაზე
ქულები გამომდინარე ერთ მაღაზიაში, რომელიც სხვაგან უნდა გაიხარჯოს	დამოკიდებულია საქონლის ქულებიდან მიღებულ ღირებულებაზე

მაგალითი 1 - დარიცხული ქულების შედეგად სამეურნეო სუბიექტის მიერ გაცემული საჩუქრები.

კომპანია X ასაჩუქრებს მომხმარებელს 80 ქულით, ყოველ 100 ლარის ღირებულების შემენილ საქონელზე (1 ლარი - 0.8 ქულა). ეს ქულები შესაძლებელია გადაიცვალოს ამავე მაღაზიაში არსებულ პროდუქციაზე. მომხმარებელს აქვს სამწლიანი პერიოდი აღნიშნული ქულების გახარჯვისთვის. ყოველ 1 000 ქულაზე 60 ლარის ღირებულების საქონლის მიღება შესაძლებელია. როცა მაღაზია ყიდის ამ პროდუქციას, მისი ღირებულება არის 12 ლარი. სამეურნეო სუბიექტი აჯილდოებს მყიდველს 120 ქულით 150 ლარის ღირებულების საქონლის შეძენისთვის და მოელის 100 ქულის გახარჯვას მომხმარებლის მხრიდან.

განვიხილოთ ბუღალტრული გატარებები, როგორ უნდა აღირიცხოს მოცემულ შემთხვევაში სამეურნეო ოპერაციები.

ქულის „ინდივიდუალური რეალური ღირებულება“ არის 7.2 ლარი ($60 \cdot (120/1000)$).

საჩუქრის, „მომავალში გასაყიდი საქონლის სრული რეალური ღირებულება“ არის 6 ლარი ($7.2 \cdot (100/120)$) და არა 7.2 ლარი ($12 \cdot (120/1000) \cdot (100/120)$).

საქონლის გაყიდვისას სტიმულის რეალური ღირებულება აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი და ბუღალტერიაში აისახება გატარებით:

დებეტი: 1410 მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით 150

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 144

კრედიტი: 4140 გადავადებული შემოსავალი 6

პირველი წლის დასასრულს მომხმარებლის მხრიდან გახარჯული იქნა 50 ქულა. საწარმო მიმდინარე წლის შემოსავლად გადავადებული 6 ლარი შემოსავლიდან აღიარებს 3 ლარს, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: $6 \cdot (50/100) = 3$

ბუღალტრულ გატარებას ექნება შემდეგი სახე:

დებეტი: 4140 გადავადებული შემოსავალი 3

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 3

მეორე წელს გამოსყიდულ იქნა 10 ქულა. ჯამურად მომხმარებლის მიერ გახარჯული ქულა არის 60 (50+10). კომპანიის მენეჯმენტი ამჟამად ვარაუდობს 90 ქულის გამოსყიდვას. საწარმომ შემოსავალი უნდა აღიაროს 1 ლარის ოდენობით, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: $(60/90) \cdot 6 = 4$ ლარი, რადგან 3 ლარი წინა წელს იქნა შემოსავალში აღებული, მიმდინარე წლის შემოსავალი იქნება 1 ლარი.

ბუღალტრულ გატარებას ექნება შემდეგი სახე:

დებეტი: 4140 გადავადებული შემოსავალი 1

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 1

მესამე წელს ნარჩენი ქულები შესაძლებელია გახარჯოს მომხმარებელმა, ან არ გახარჯოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საწარმო 2 ლარს (6 - 3 - 1) აღიარებს მიმდინარე წლის შემოსავალში.

ბუღალტრულ გატარებას ექნება შემდეგი სახე:

დებეტი: 4140 გადავადებული შემოსავალი 2

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 2

ზემოთ მოცემული მაგალითის გადაწყვეტა მოცემულია სტანდარტებზე დაყრდნობით, მაგრამ საქართველოში კომპანიების უმრავლესობა არ იყენებს სტანდარტების მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს. პრაქტიკაში აღრიცხვის მუშაკები აკეთებენ ვალდებულების აღიარებას დარიცხული ქულების ინდივიდუალური ღირებულების საფუძველზე, რომელიც ბალანსში აისახება.

შპს X-ის საბუღალტრო ჩანაწერებში ფაქტობრივად სამეურნეო ოპერაციები შემდეგნაირად აისახა:

1) საქონლის საწყისი შეძენისას შემოსავლის აღიარება და პირობითი ვალდებულების დარიცხვა ქულების ინდივიდუალური ღირებულების საფუძველზე:

დებეტი: 1410 მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით 150

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 150

2) მომხმარებლის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულება გამოთვლილია 7.2 ლარი (1000/60*120) და ასახული ანგარიშებზე:

დებეტი: 6120 გაცემული ფასდათმობა 7.2

კრედიტი: 3120 ბონუს ბარათებით წარმოქმნილი ვალდებულებები 7.2

3) ქულების განაღდება მომხმარებლის მხრიდან გატარდა შემდეგნაირად:

დებეტი: 3120 ბონუს ბარათებით წარმოქმნილი ვალდებულებები 7.2

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 7.2

მაგალითი 2 - რეალიზაციის დროს გაცემული ფასდაკლების ვაუჩერი

საკვლევი კომპანია X საცალო რეალიზაციისას საქონელს ყიდის 20 ლარად და გასცემს ვაუჩერს 6 ლარის ფასდაკლების შესაძლებლობით, ყოველი მომდევნო იდენტური საქონლის შეძენისას. სხვა კომპანია აღნიშნულ საქონელს ყიდის 18 ლარად ბარათის გარეშე. საწარმოს წინა წლებიდან აქვს გამოცდილება იმის შესახებ, რომ ყოველი ორი გაცემული ბარათიდან ერთი გამოსყიდულია მომხმარებლის მხრიდან.

მომხმარებელმა შეიძინა ორივე, საქონელი და ბარათი. სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ბარათის ინდივიდუალური რეალური ღირებულება იქნება 4 ლარი. ეს თანხა გამოთვლილია კონკურენციის პირობებში ჩვეულებრივი გამყიდველის საქონლის ფასებთან შედარებით, რომელიც 18 ლარია. ბარათის გამოყენებისას კი მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხა არის 14 ლარი (20-6). ღირებულება კი გამოთვლილია პროპორციით (50%), რომლითაც მომხმარებელი იყენებს აღნიშნულ ვაუჩერებს როგორც პირობაშია მოცემული. გაყიდულია 10 სათამაშო და გაცემულია ბარათები. ბუღალტრულად ოპერაცია შემდეგნაირად გატარდა:

დებეტი: 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 200

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 200

როდესაც მომხმარებელმა გამოისყიდა ერთი ვაუჩერი შემდეგ გატარებას ექნება ადგილი:

დებეტი: 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 14

დებეტი: 6120 გაცემული ფასდათმობა 6

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 20

კომპანიის მიერ აღრიცხული სამეურნეო ოპერაციები არ შეესაბამება სინამდვილეს. საწარმომ არ აღიარა გადავადებული შემოსავალი, არ გაითვალისწინა ვაუჩერების განაღდებას წინა წლების გამოცდილება. მიმდინარე პერიოდის შემოსავლად აღიარა სრულად 200 ლარი და ვაუჩერის განაღდებასაც გაცემული ფასდათმობა გაზრდილი ღირებულებით შეაფასა. ქვემოთ მოცემულია სტანდარტების შესაბამისი სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული გატარებები.

საქონლის რეალიზაცია:

დებეტი: 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 200

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 180

კრედიტი: 4140 გადავადებული შემოსავალი 20

როდესაც მომხმარებელი გამოისყიდის ერთ ვაუჩერს შემდეგ გატარებას ექნება ადგილი:

დებეტი: 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 14

დებეტი: 4140 გადავადებული შემოსავალი 4

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 18

პრაქტიკაში არსებობს ლოიალობის ბარათების გამოყენების სისტემა, რომლის დროსაც კომპანია მომხმარებელთან კავშირს ამყარებს მესამე მხარის დახმარებით და მის საწარმოში რეალიზებული საქონლიდან, ან მომსახურებიდან დაგროვებული ქულებით, სხვა ობიექტში შეუძლია მიიღოს ფასდაკლება ან საჩუქარი.

მომხმარებელზე საჩუქრის გაცემა მესამე მხარის მიერ.

კომპანია X-ს გარიგება დადებული აქვს მესამე მხარესთან (კომპანია A) ლოიალობის ბარათებთან დაკავშირებით. საწარმოს შეუძლია აირჩიოს ქვემოთ მოცემული პირობებიდან ერთ-ერთი:

- იყოს ქულების გამცემი;
- იყოს ქულების გამომსყიდველი;
- იყოს ქულების გამცემი და გამომსყიდველი ერთად.

მაგალითი 3 - მომხმარებლებზე გაცემული საჩუქრები მესამე მხარის მიერ

მომხმარებელს აქვს ლოიალობის ბარათი, რომლითაც შეუძლია შეიძინოს საქონელი ან მომსახურება სხვადასხვა ობიექტებში (იგულისხმება კომპანია A-სთან გარიგებაში მყოფი სხვა ორგანიზაციები), მათ შორის საკვლევ ობიექტშიც და მიიღოს ქულების გარკვეული რაოდენობა. ქულის ნომინალური ღირებულება 1 ლარია და თითოეულ გაცემულ ქულაზე საწარმო კომპანია A-ს უხდის 0.98 ლარს, ამ ოპერაციით საკვლევ კომპანია X იღებს 0.02 ლარ შემოსავალს საკომისიოს სახით. მას შემდეგ, რაც საწარმო კომპანია A-ს გადაუხდის კუთვნილ თანხას, მას მომხმარებლის მიმართ შემდგომი ვალდებულება აღარ აქვს. კომპანია X-მა მოახდინა საქონლის რეალიზაცია 10 ლარად, რაზეც გასცა 1 ქულა. ქულის ნომინალური ღირებულება 1 ლარია. მოცემული ოპერაცია ბუღალტრულად აისახა ანგარიშებზე:

დებეტი: 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 10

კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 9
კრედიტი: 8190 საკომისიო შემოსავალი 0.02
კრედიტი: 3190 ვალდებულება (კომპანია A-ს მიმართ) 0.98

როცა ქულები და რისკები დაუყოვნებლივ გადაეცემა მესამე მხარეს, ბუღალტრულად შემდეგ გატარებას ექნება ადგილი:

დებეტი: 3190 ვალდებულება (კომპანია A-ს მიმართ) 0.98
კრედიტი: 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 0.98

1. ქეშ-ბექის (Cash back) აღრიცხვა

ქეშ-ბექი (Cash Back) ნიშნავს ყოველი გახარჯული თანხის ნაწილის უკან დაბრუნებას. ეს მეთოდი ძალიან პოპულარულია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. თუ ორგანიზაცია ეწევა საქონლის რეალიზაციას ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით, მაშინ მას შეუძლია მომხმარებელს შესთავაზოს აღნიშნული პროდუქტი. მომხმარებლისთვის ქეშ-ბექის გამოყენება მომგებიანია იმ მხრივ, რომ მას საქონელში გადახდილი თანხიდან ნაწილი უკან უბრუნდება, ხოლო კომპანიის გადმოსახედიდან მომგებიანი სიტუაციაა, რადგან იზრდება გაყიდვების მოცულობა და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. მეორე მხრივ, მყიდველზე უკან დაბრუნებული თანხა კომპანიისთვის შემოსავლის შემცირებაა.

მაგალითი 4 - გაცემული ქეშ-ბექი (Cash back)

საწარმო ახდენს საქონლის რეალიზაციას ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით, იგი იყენებს ქეშ-ბექ სისტემას მომხმარებლის მოზიდვის მიზნით. კომპანია X-მა მოახდინა საქონლის რეალიზაცია 2 000 ლარად, იურიდიულ პირზე. მომხმარებელს გადახდილი 2 000 ლარიდან უკან უბრუნდება 3% ($(2\ 000 * 3\%) = 60$ ლარი).

საერთაშორისო სტანდარტებით აღნიშნული სამეურნეო ოპერაცია შემდეგნაირად აისახება სააღრიცხვო ჩანაწერებში:

დებეტი: 1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2 000
კრედიტი: 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 2 000
დებეტი: 6120 გაცემული ფასდათმობა 60
კრედიტი: 3190 ვალდებულება ქეშ-ბექით 60

მყიდველის მიერ თანხის ჩარიცხვა და ქეშ-ბექის გატარება:

დებეტი: 1210 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 2 000
კრედიტი: 1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2 000
დებეტი: 3190 ვალდებულება ქეშ-ბექით 60
კრედიტი: 1210 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 60

განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც კომპანია X მომწოდებლისგან იღებს ქეშ-ბექს, გარკვეული მოცულობის საქონლის შეძენის შემდგომ.

მაგალითი 5 - მიღებული ქეშ-ბექი (Cash back)

კომპანია X-მა შეიძინა საქონელი მომწოდებლისგან გარკვეული პერიოდულობით და მისმა მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 20 000 ლარი. ბოლო შესყიდვა განხორციელდა 5 000

ლარზე, რის შემდგომაც კომპანიამ მიიღო ქეშ-ბეჭი მომწოდებლისგან 600 (20 000 * 3%) ლარის ოდენობით როგორც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

აღნიშნული ოპერაცია საწარმოს ბალანსში აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებებით:

დებეტი: 1610 საქონელი 5 000

კრედიტი: 3110 ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან 5 000

ამასთან, რადგან ვიცით რომ გარიგების პირობების შესაბამისად, ჩვენს მიერ განსაზღვრულ პერიოდში შეძენილი საქონლის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 20 000 ლარი და გვეკუთვნის ქეშ-ბეჭი მომწოდებლისგან, შეგვიძლია ვაღიაროთ მომწოდებლის მიმართ მოთხოვნის წარმოქმნა აღნიშნულ თანხაზე და ვაღიაროთ შემოსავალი.

დებეტი: 1490 მოთხოვნა მომწოდებელზე ქეშ-ბეჭით 600

კრედიტი: 6190 შემოსავალი ქეშ-ბეჭით 600

მომწოდებლის დავალიანების დაფარვა და ქეშ-ბეჭის მიღება:

დებეტი: 3110 ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან 5 000

კრედიტი: 1210 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 5 000

დებეტი: 1210 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 600

კრედიტი: 1490 მოთხოვნა მომწოდებელზე ქეშ-ბეჭით 600

ქეშ-ბეჭის სხვა ვარიანტი ხელმისაწვდომია საცალოდ მოვაჭრე მომხმარებლისთვის, როდესაც ისინი სადებეტო ბარათით შეიძენენ საქონელს ან მომსახურებას, შეუძლიათ მოითხოვონ დამატებითი თანხა საქონლის გასაყიდ ფასთან მიმართებაში. მომხმარებელს ბარათიდან ჩამოეჭრება საქონლის ფასს დამატებული მის მიერ მოთხოვნილი თანხა და უბრუნდება ნაღდი ფულის სახით. აღნიშნული ოპერაცია მომხმარებლისთვის მოსახერხებელია იმ მხრივ, რომ მათ შეუძლიათ თავი აარიდონ დამატებით ტრანზაქციებს ბანკში, ან ბანკომატებთან. საცალოდ მოვაჭრე ორგანიზაციებისთვის კი, მომგებიანია იმ მხრივ, რომ იზიდავს უფრო მეტ კლიენტს, იზრდება შემოსავალი და მოგება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები. თბ., 2009.
2. ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. თბ., 2009.
3. ბასს 18 ამონაგები. თბ., 2009.
4. ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები. თბ., 2009.
5. IFRIC 13 (ფასს-ს კომენტარები) მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები.
6. IFRS 13 – „Fair Value Measurement“, Hong Kong Institute of Certified Public Accountants, Issued June 2011.
7. ACCA F7, ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო. თბ., 2011.
8. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ., ფინანსური ანგარიშგება, თბ., 2010.
9. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ფინანსური აღრიცხვა, თბ., 2014.
10. www.accountingtools.com
11. www.inc.com
12. www.nplg.gov.ge

13. <http://support.apex.ge>
14. www.britannica.com
15. www.principlesofaccounting.com
16. www.iasplus.com
17. www.pragenti.wordpress.com
18. www.investopedia.com
19. <http://accountingexplained.com>

რეზიუმე

საქართველოში კომპანიები დღეს ორიენტირებულნი არიან აღრიცხვა აწარმოონ საგადასახადო კუთხით და შესაბამის ორგანოებთან კონფლიქტში არ შევიდნენ, არ დაეკისროთ ჯარიმები და საურავები კანონის შეუსაბამო ქმედებების განხორციელებისას. შესაბამისად, სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის უფრო დიდ ნაწილს აწარმოებენ საგადასახადო კოდექსის მიხედვით. მათ მიერ განხორციელებული ქმედებები წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს საგადასახადო მოთხოვნებთან, რომელიც ავალდებულებს მათ ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ ფასით, ხოლო საგადასახადო დეკლარირება მოახდინონ კოდექსის მოთხოვნებით.

კომპანიები იმარტივებენ საქმიანობას და ფინანსურ ანგარიშგებასაც ამზადებენ კოდექსის მოთხოვნით, რითაც, ფაქტობრივად, ამახინჯებენ საკუთარ ფინანსურ შედეგებს.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ფასდაკლებისა და ქეშ-ბეჭის პროგრამებით მომუშავე კომპანიებმა უნდა აწარმოონ შესაბამისი ოპერაციების აღრიცხვა ფინანსური ანგარიშგების სათანადო სტანდარტების მოთხოვნებით, ხოლო საგადასახადო დეკლარირება მოახდინონ კოდექსის მოთხოვნებით. ისე, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდნენ საქართველოს საგადასახადო კოდექსთან.

სუვერენული ვალუტის და მონეტარული პოლიტიკის როლი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში - ტრანსფორმაციის პროცესი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

ცოტნე ჟღენტი

მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ნაზირა კაკულია**

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პროცესი ვადების განსაზღვრისათვის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევაა, რაც ძირითადად გულისხმობს ინფლაციის დაბალ დონეს და გამოშვების ზრდის დადებით მაჩვენებელს. თითქმის ყველა რესპუბლიკაში ჰიპერინფლაციის დაძლევა წინ უსწრებდა ეკონომიკური

ზრდის მიღწევას, (სომხეთის შემთხვევაში ეს წლები ერთმანეთს ემთხვევა). ეს ემპირიული დადასტურებაა იმისა, რომ ფასების სტაბილურობის გარეშე შეუძლებელია დადებითი ეკონომიკური გამოშვების არსებობა. ქვეყნებს ჯერ უნდა დაეძლიათ ინფლაციური პრობლემები, რათა ეფექტათ მომავალ ეკონომიკურ ზრდაზე.

გრაფიკი

სუვერენულ ეროვნულ ვალუტაზე გადასვლის თარიღი	
რუსეთი	–
ლატვია	მაისი/1991
ესტონეთი	ივნისი/1992
ბელარუსი	ივნისი/1992
აზერბაიჯანი	აგვისტო/1992
ყირგიზეთი	ივნისი/1993
ლიტვა	ივნისი/1993
ყაზახეთი	სექტემბერი/1993
მოლდოვა	ნოემბერი/1993
უზბეკეთი	ნოემბერი/1993
თურქმენეთი	ნოემბერი/1993
სომხეთი	ნოემბერი/1993
ტაჯიკეთი	ივნისი/1995
საქართველო	სექტემბერი/1995
უკრაინა	სექტემბერი/1996

აღსანიშნავია, რომ 1920-იანი წლების ლატვიის რესპუბლიკაში ვალუტად ჯერ ლატვიური რუბლი, შემდეგ კი ლატი გამოიყენებოდა. როგორც ლატვიას, ისე დანარჩენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს საქმეს უადვილებდა ის გარემოება, რომ მათ მიერ 90-იან წლებში მიმოქცევაში გამოშვებული ვალუტა ვერბალურად იმეორებდა მათი პრესაბჭოთა რესპუბლიკის ვალუტას, შესაბამისად, საზოგადოებაში ის უფრო დიდ ნდობას იმსახურებდა. ესტონეთმა, მსგავსად ლატვიისა, ყოველგვარი კუპონიზაციის გარეშე, 1992 წლის ივნისში ჩაანაცვლა საბჭოური რუბლი, ხოლო ლიტვამ 1993 წლის ივნისში ეროვნული ვალუტა ლიტათი ჩაანაცვლა, მანამდე არსებული ტალონები (1991-1993).¹ 1993 წლისათვის ქვეყანათა ნაწილმა შემოიღო ეროვნული ვალუტა, მათ შორის გამოსარჩევია აზერბაიჯანის მიერ მანათის შემოღება 1992 წლის სექტემბერში. დანარჩენი ქვეყნების მიერ ეროვნული ვალუტის შემოღება 1995-1996 წლებში შეიძლება უკვე დაგვიანებულად ჩავთვალოთ. სამწუხაროდ, ასეთი ქვეყანა იყო საქართველოც, სადაც ლარი 1995 წლის 2 სექტემბრიდანაა მიმოქცევაში.

¹ Bank of Lithuania https://www.lb.lt/economy_of_lithuania

ბალტიისპირეთის ქვეყნებთან შედარებით საქართველოს ცენტრალურ ბანკს არსებობის მოკლე, თუმცა საინტერესო ისტორია ჰქონდა. პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919-1921 წლებში მოქმედებდა და მას „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდებოდა, რომლის შექმნამდე მის ფუნქციებს რუსეთის საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება ასრულებდა, რომელსაც; თავის მხრივ, 1917 წლიდან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა საიმპერიო ბანკთან. ბანკის გამგეობა და ზედამხედველობის საბჭო დამოუკიდებელი იყო მთავრობისგან, რაც განსხვავებული იყო რუსეთში არსებულ საბანკო პრაქტიკასთან შედარებით. ფუნქციონირების მხოლოდ ორი წლის მიუხედავად, სახელმწიფო ბანკმა მოასწრო განხორციელებინა ფული რეფორმა, შეექმნა უცხოური ვალუტის რეზერვები, ამოელო მიმოქცევიდან ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები, რომლის თავისუფალი მიმოქცევა ზღუდავდა სუვერენული ქართული სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო სფეროს. საქართველოს სახელმწიფო ბანკის“ პირველი პრეზიდენტი იასონ ლორთქიფანიძე წერდა: „ვერც ოქროს ფონდი, მით უმეტეს სხვა გარანტიები, ემისიას ძირს ვერ გაუმაგრებენ, თუ ბანკის ორგანიზაცია, ან მისი მართვა რაიმე ეჭვს დაბადებს“; ასევე, ის წერს: „ყოველი ბანკის დაარსების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზედაა მიქცეული, თუ რამდენად დაიმსახურებს თავიდანვე ეს ბანკი შინაური და გარეშე კლიენტებისა საზოგადოების ნდობას“.¹ როგორც ჩანს, ახლად შექმნილ რესპუბლიკაში, ცენტრალური ბანკის უმთავრესი ინსტრუმენტი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანი გატარებისათვის მოსახლეობისა და საფინანსო წრეების ნდობა იყო. სწორედ საზოგადოებრივ ნდობასთან და ეფექტიან მართვასთან დაკავშირებით იყო 90-იან წლებში მთავარი პრობლემები, როგორც ფინანსურ სისტემაში, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში. 1991 წელს შექმნილი ცენტრალური ბანკი (საქართველოს ეროვნული ბანკი) პირველ წლებში განიცდიდა მნიშვნელოვან ზეგავლენას მთავრობისგან, რადგან მაშინდელი საბანკო კანონმდებლობა ამაში ხელს ვერ უშლიდა. ამან, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მონეტარული პოლიტიკის გატარების კუთხით და ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ჰიპერინფლაციის.

როგორც აღვნიშნეთ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხელშემწყობი, 1920-1940-იანი წლების ცენტრალური ბანკის ისტორიის გარდა, პოსტ-საბჭოური სუვერენული ვალუტები იყო. საქართველოს 1919-1921 წლების ცენტრალურმა ბანკმა ვერ მოასწრო ეროვნული ვალუტის შემოღება. 1919 წლიდან მიმოქცევაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები იყო, რომლის წინა მხარეს ქართული, ხოლო უკანა მხარეს რუსული და ფრანგული წარწერები ჰქონდა. უკვე არსებობდა სუვერენული ვალუტის ესკიზები, რომლის სახელად მოიაზრებოდა „მარჩილი“ და მიმოქცევაში გერმანულ მარკასთან პარიტეტული კურსით უნდა გაშვებულიყო. ფულადი ერთეული, სახელწოდებით „მარჩილი“ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო მე-16 საუკუნიდან. შემორჩენილია 25 მარჩილის ნომინალის მქონე ფულადი ერთეულის ესკიზი. წითელი არმიის ანექსიამ, როგორც ეროვნული ვალუტის შემოღების, ასევე ყველა სხვა დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის საჭირო პროცესი შეაჩერა, სახელმწიფო განვითარების ბანკი კი საბჭოეთის ცენტრალური

¹ იასონ ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების ძირითადი საკითხი, თბილისი, 1919. „საქართველოს ეროვნული ბანკი. ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები“, 2008. <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/thematicpublications/nbg7.8nbgfunctions.pdf>.

ბანკმა ჩაანაცვლა.¹ სუვერენული ვალუტის თუნდაც რამდენიმე წლით არსებობა, სავარაუდოდ, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას მოუტანდა სრულიად ქართულ საზოგადოებას მომავალში. რამდენად მოქმედებს სუვერენული ვალუტის შემოღება ჰიპერინფლაციის მოთოკვასა და სტაბილური ინფლაციის დონის მიღწევაზე? გრაფიკ2-ზე გამოსახულია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მიერ სუვერენული ვალუტის შემოღება თვის დონეზე სიზუსტით, წელი, როდესაც დაძლეულ იქნა ჰიპერინფლაცია და ასევე წელი, როდესაც მიღწეულ იქნა დაბალი სტაბილური ინფლაცია. მოცემულ მაგალითში, ჰიპერინფლაციად ითვლება, ინფლაცია რომელიც თვეში 50%-ს აღემატება წლის მანძილზე, ხოლო დაბალ ინფლაციად ერთნიშნა წლიური ინფლაცია. ორივე მაჩვენებელი აღებულია საშუალო წლიური ინფლაციის დონით. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ვალუტის შემოღების თარიღიდან უმეტესად 2-4 წელში ხდებოდა ჰიპერინფლაციის დაძლევა, ხოლო ერთნიშნა ინფლაციის მიღწევას უფრო მეტი სჭირდება, დამოკიდებულია უფრო მეტ ეკონომიკურ თუ ინსტიტუციურ ფაქტორზე. ახალი ვალუტა დადებითი შოკია ფულად ბაზარზე, ჰიპერინფლაციათა უმეტესობა ხომ ახალი ვალუტის შემოტანით მთავრდება. დაბალი და სტაბილური ინფლაცია კი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ხელშემწყობია. რომლის მისაღწევად საჭიროა გამართული ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო ორგანოების ნდობა, საზოგადოების რაციონალური ქცევა.

1994 წლის თებერვალში ეროვნულმა ბანკმა გაზარდა მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა ბანკებისათვის 200 მლნ კუპონიდან 500 მლნ კუპონამდე, რაც მხოლოდ 2500 აშშ დოლარს უდრიდა, თუმცა ერთი წლის შემდეგ მისი ღირებულება 385 დოლარამდე დავიდა. 2000 წელს მოხდა ბანკებისათვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ზრდა სამ მლნ ლარამდე, რაც დაახლოებით 1.5 მლნ დოლარის ექვივალენტი იყო. 1995 წლიდან ეროვნული ბანკი იწყებს სხვა ახალი საჭირო რეგულაციების შემოღებას.

- კომერციული ბანკები ვალდებული გახდნენ 5%-ის მაგივრად აქტივების 8% ყოფილიყო უზრუნველყოფილი საკუთარი კაპიტალით;
- შინამეურნეობების მიერ განთავსებული დეპოზიტების მოცულობა არ უნდა ყოფილიყო კომერციული ბანკის კაპიტალის 100%-ზე მეტი;
- ერთი პირზე გაცემული სესხის მოცულობა არ უნდა ყოფილიყო ბანკის კაპიტალის 10%-ზე მეტი, ნაცვლად მანამდე არსებული 50%-ისა;
- სესხები კომერციული ბანკთან დაკავშირებულ პირზე არ უნდა ყოფილიყო ბანკის კაპიტალის 5%-ზე მეტი, ხოლო ჯამური სესხები ყველა დაკავშირებულ პირზე 10%-ზე მეტი;
- ლიკვიდური აქტივების მოცულობის ფარდობა არ უნდა ყოფილიყო მოთხოვნამდე დეპოზიტების მოცულობის 30%-ზე ნაკლები.


¹ „საქართველოს ეროვნული ბანკი. ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები“. თბილისი, 2008.
<https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/thematicpublications/nbg7.8nbgfunctions.pdf>.

კომერციული ბანკების რაოდენობა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ტრანსფორმაციის პერიოდში			
ქვეყანა	კომერციულ ბანკთა მაქსიმალური რაოდენობის დაფიქსირების წელი	კომერციული ბანკების რაოდენობა ხსენებული წლის ბოლოს	მოსახლეობის რაოდენობა ერთ ბანკზე
საქართველო	1994	226	20,947
აზერბაიჯანი	1994	210	36,595
ლატვია	1993	62	40,657
რუსეთი	1996	2,576	57,421
თურქმენეთი	1996	68	63,697
ესტონეთი	1994	22	65,302
სომხეთი	1994	41	78,614
ყაზახეთი	1993	204	78,898
ლიტვა	1993	26	140,659
მოლდოვა	1998	23	158,565
ყირგიზეთი	1998	23	210,452
ბელარუსი	1994	48	212,375
ტაჯიკეთი	1997	28	214,748
უკრაინა	1995	230	220,898
უზბეკეთი	1999	35	704,297

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 2000 წლის ტრანსფორმაციის ანგარიში, „EBRD, Transition Report 2000“ და მსოფლიო ბანკის სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად დავინახოთ დამოკიდებულება ეროვნულ ვალუტის ფუნქციონირებას და მაღალ ინფლაციური პროცესების დაძლევისათვის, შეგვიძლია დავიხმაროთ რეგრესიული ანალიზი და გამოვსახოთ დამოკიდებულება მოცემულ ცვლადებს შორის: $Y=3.48+0.05X$, სადაც Y არის ჰიპერინფლაციის დაძლევის წლის რიგითობა მოყოლებული 1990 წლიდან (მაგალითად: თუ 1991 წელს მოხდა ჰიპერინფლაციის დაძლევა საშედეგო ცვლადის მნიშვნელობა იქნება 1), ხოლო X სუვერენული ვალუტის შემოღების თვის თარიღის რიგითობა 1991 წლის იანვრიდან (მაგალითად თუ ვალუტის შემოღება მოხდა 1991 წლის ივნისში, ფაქტობრივი ცვლადის მნიშვნელობა იქნება 6) მოდელის ეკონომიკური შინაარსი ისაა, რომ დამოუკიდებლად სუვერენული ვალუტის შემოღებისა, ქვეყნებს დაახლოებით 3.5 წელი სჭირდებათ ჰიპერინფლაციის დაძლევისათვის, ხოლო ვალუტის გამოშვების ყოველი დაგვიანებული 12 თვე (ანუ ერთი წელი) იწვევს ჰიპერინფლაციური პროცესების გაგრძელებას 0.68 წლით. ვნახოთ ასევე დამოკიდებულება ვალუტის შემოღების თარიღისა და ერთნიშნა ინფლაციის მიღწევაზე. ანალოგიურად, ერთფაქტორიანი რეგრესიით და $Y=9.61+0.01X$; სადაც Y არის ერთნიშნა ინფლაციის მიღწევის წლის რიგითობა მოყოლებული 1990 წლიდან, ხოლო X სუვერენული ვალუტის შემოღების თარიღის თვის რიგითობა 1991 წლის იანვრიდან. ამ შემთხვევაში, პირველი კოეფიციენტი ბევრად მაღალია, ხოლო მეორე კოეფიციენტი შედარებით დაბალი, რაც მიანიშნებს ზემოთქმულ მოსაზრებებზე, რომ დაბალი და სტაბილური ინფლაციის მიღწევას მხოლოდ რადიკალური მონეტარული პოლიტიკის ზომები არ ყოფნის და დამოკიდებულია მრავალ ეკონომიკურ გარემოებაზე.

სუვერენული ვალუტა და ინფლაციის სტაბილიზაცია



საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ბაზა

IMF Economic Outlook 2015 Database, April 2015

<http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2015/01/weodata/index.aspx>

განხვავებულია ბალტიისპირეთის ქვეყნების მონაცემები, სადაც სხვა ეკონომიკურ უპირატესობებთან ერთად, ეროვნული ვალუტის დაუყოვნებლივმა შემოღებამ, ჰიპერინფლაციურ პროცესებს არ მისცა გაფართოების საშუალება. დანარჩენ ქვეყნებში დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის არარსებობას დაემატა რიგი ინსტიტუციური თუ პოლიტიკური პრობლემა. ქვეყნების უმეტესობამ ჰიპერინფლაციას თავი 1995-1996 წლებში დააღწია. საინტერესოა რუსეთის მაგალითი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ საბჭოურმა რუბლმა გააგრძელა არსებობა როგორც რუსულ ვალუტად, რუსეთს გაუჭირდა ჰიპერინფლაციური სპირალიდან გამოსვლა. ამას დაემატა 1998 წლის კრიზისი, რუბლის რეფორმა და ახალი რუსული რუბლის შემოღება. ინფლაცია კიდევ საკმაო ხანი მაღალ დონეზე რჩებოდა და ერთნიშნა მაჩვენებელს მხოლოდ 2006 წელს მიაღწია. ამავე წელს პირველად მსგავსი მაჩვენებელი ჰქონდა ბელარუსს, თუმცა ბელარუსში ტრანსფორმაციის საწყის და მიმდინარე პერიოდებშიც კლასიკური მონეტარული ინსტრუმენტები (ფულის მასის მართვა მისი ბეჭდვით) აქტიურად გამოიყენება ეკონომიკის მართვისათვის, უკანასკნელ წლებშიც ფიქსირდება ინფლაციის მაღალი დონე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბელარუსში მხოლოდ უმნიშვნელოდ მოხდა საბაზრო ეკონომიკის ელემენტების შეტანა, მისი ტრანსფორმაციის გზა განსხვავებულია, რომელიც ჯერ არც დამთავრებულა და არც აქვს ლიბერალიზაციის კურსი). პიონერები ერთნიშნა ინფლაციის მიღწევაში ლატვია და ესტონეთი იყვნენ (შესაბამისად 1995 და 1996 წლებში). თვალსაჩინოა, რომ 1996 წელს საქართველოში საშუალო წლიური ინფლაციის დონე ჩამოსცილდა ჰიპერინფლაციურ მაჩვენებელს (39.2%), ხოლო ინფლაცია პერიოდის ბოლოსათვის 13.7%. მომდევნო 1997 წელს ქვეყანაში საშუალოწლიური ინფლაციის დონე 7% იყო.¹ 1994-1995 წლებში საქართველოს გადავლილი ჰქონდა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, იწყება გააზრებული ეკონომიკური რეფორმები

¹ IMF Economic Outlook 2015 Database, April 2015. <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2015/01/weodata/index.aspx>

და ამ პერიოდში შემოდის ლარი ქართულ ეკონომიკაში. ორ წელიწადში მიჯრით დამღევა ჰიპერინფლაციისა და დაბალ ინფლაციაზე გასვლა, ხსენებულ ეკონომიკურ ფონზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმის, რომ ლარის რეფორმა საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა, თუმცა მისი დაგვიანებული განხორციელება ძვირად დაუჯდა ქვეყანას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა ვ., ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ – „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბილისი, სმკ.1995.
2. კაკულია ნ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციონალური თავისებურებები და „ეკოლუციური თეორია“. თბ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, 2009.
3. „საქართველოს ეროვნული ბანკი. ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები“. თბ. 2008.
4. IMF country report No:95/112: Republic of Georgia Recent Economic Development.
5. IMF Economic Outlook 2015 Database, April, 2015.
6. „EBRD, Transition Report 2000“.

რეზიუმე

ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ჰიპერინფლაცია პიკს ეროვნული ვალუტის შემოღებამდე აღწევდა და შემდეგ მკვეთრად იკლებდა. ეს პიკი ქვეყნების უმეტესობისათვის 1993-1994 წლებია. მაქსიმალური საშუალოწლიური ინფლაცია ადვილი მისახვედრია, რომ დაფიქსირდა საქართველოში 1994 წელს 18922%-ის ოდენობით. ინფლაციის პიკი ყველაზე მცირე ბალტიისპირეთის ქვეყნებში იყო (48%-413%)¹. თანაც, ეს პიკი დაფიქსირდა ტრანსფორმაციის პირველ სამ წელიწადში. ამ შედარებიდან ჩანს, რომ ქვეყნებმა, რომლებიც მალე გამოვიდნენ მაღალი ინფლაციური პროცესებიდან, დააფიქსირეს მკვეთრად დაბალი ინფლაციური მაქსიმუმი. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჰიპერინფლაცია დროთა განმავლობაში იკრებს ძალებს, ქმნის ინფლაციურ სპირალებს მანამ, სანამ არ იქნება მის წინააღმდეგ მკვეთრი და რადიკალური ზომები გამოყენებული.

¹ IMF country report No:95/112: Republic of Georgia Recent Economic Development

ბიზნეს-პროცესების მართვის სრულყოფა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით კომპანია „APEX“-ის მაგალითზე

ელენე სეთურიძე

ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი **ლეილა ქადაგიშვილი**

თანამედროვე პირობებში კომპანიები, რომლებიც ცდილობენ გაზარდონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა და დაიმკვიდრონ ბაზარზე ლიდერის პოზიციები, უნდა ეცადონ ბიზნეს-პროცესების სისტემის მართვის მუდმივი რეფორმირების პროცესი განახორციელონ. ეს შესაძლებელია არსებული ბიზნეს-პროცესების დეტალური შესწავლის, ბიზნეს-პროცესების სრულყოფისთვის ღონისძიებების შემუშავებისა და კომპანიის სტრატეგიული მიზნის შესაბამისად ეფექტურობის ღრმა ანალიზით.

შესაძლებელია გამსხვილებული სახით გამოვყოთ ბიზნეს-პროცესების სამი ჯგუფი:

- ✓ მართვის პროცესები;
- ✓ საწარმოო (ძირითადი) პროცესები;
- ✓ მხარდამჭერი პროცესები.

მართვის პროცესები განკუთვნილია სამუშაოთა დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანალიზისათვის.

საწარმოო (ძირითადი) პროცესების ხარჯზე კომპანია აღწევს თავის მიზნებს. ესენია: დაგეგმვის, დამზადების, მომსახურების გაწევის, მონტაჟის და სხვ.

მხარდამჭერი პროცესები აუცილებელია საწარმოო პროცესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ესენია: ადამიანური რესურსების მართვის, ინფრასტრუქტურის მართვის და სხვა მხარდამჭერი პროცესები.

დღევანდელ ბიზნეს-რეალობაში შეუძლებელი გახდა ძველი ე.წ. ქაღალდით (Paper work) მუშაობის გაგრძელება და წარმატების მიღწევა. დღეს ტექნოლოგიური პროგრესის საუკეთესო მიღწევები ინერგება ბიზნესში, რათა დაიზოგოს დრო, რესურსი და უფრო ეფექტური გახდეს მართვა. სწორედ ამ რეალობაში ბიზნეს-პროცესების მართვის სრულყოფა შეუძლებელი გახდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების და კომპანიებისთვის კი ERP სისტემების გარეშე. ERP - (ENTERPRISE RESOURCE PLANNING) - ეს არის აღრიცხვასა და დაგეგმარებაზე დამყარებული მართვის ახალი კონცეფცია, რომელიც კომპანიის ინფორმაციის კონსოლიდაციას და ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციას ახდენს და ეფექტური ანალიზის ინსტრუმენტები გააჩნია. ამ სისტემის გარეშე დღევანდელ კონკურენტულ გარემოში შეუძლებელია წარმატების მიღწევა. აღსანიშნავია, რომ ERP სისტემა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს და მსოფლიო მასშტაბით მილიონობით კომპანიაში წარმატებითაა დანერგილი.

პრაქტიკამ გვიჩვენა, იმისათვის, რომ ფეხი ავუწყოთ მართვის თანამედროვე ტენდენციებს და კომპანიების საქმიანობის პროცესში შევინარჩუნოთ კონკურენტუნარიანობა, საჭიროა ERP სისტემების დანერგვა. მსოფლიო ბაზარზე ფუნქციონირებენ კომპანიები, რომლებიც ERP სისტემების დანერგვის კუთხით მუშაობენ და წარმატებებსაც მიაღწიეს. ასეთი

ტიპის კომპანიები წამყვან პოზიციებს იკავებენ, ესენია: SAP, Oracle, Microsoft, 1C და ა.შ.. ქართულ ბაზარზეც გამოჩნდა ასეთი ტიპის ათეულობით კომპანია, ესენია: კომპანია UGT, რომელმაც შემოიტანა Microsoft Navision; პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია Delta Systems-ის მიერ შექმნილია DirectOne ERP სისტემა; კომპანია „APEX“, რომელიც ქართული ბრენდია; კომპანია IBS, რომელიც რუსული კომპანიის 1C-ის პირველი პარტნიორია საქართველოში და ა.შ..

ჩვენი ყურადღება კომპანია „APEX“-ზე შევაჩერეთ, რომელიც 2004 წლიდან ახორციელებს ბიზნეს-პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნასა და დანერგვას. იგი ქმნის თანამედროვე პროგრამულ უზრუნველყოფას - მართვის ავტომატიზებულ სისტემათა კომპლექსს, რომელიც წარმოადგენს წარმოების, საცალო-საბითუმო ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებში აღრიცხვის, ანალიზისა და მართვის მძლავრ ინსტრუმენტს. აღსანიშნავია, რომ მძლავრი ფუნქციური საშუალებების პარალელურად სისტემას აქვს მარტივი ინტერფეისი, რაც მის დანერგვასა და ათვისებას მნიშვნელოვნად ამარტივებს. მოკვლევულმა მასალებმა ცხადყო, რომ საქართველოში, პირველ რიგში, ERP სისტემების დანერგვა მსხვილმასშტაბიან კომპანიებში დაიწყო. ბიზნეს-პროცესების მართვის პროგრამული გადაწყვეტილებები მენეჯმენტს საშუალებას აძლევს:

- ეფექტურად გამოიყენოს შრომითი რესურსები;
- ოპერატიულად მიიღოს ბიზნეს-ანალიზისა და მარკეტინგული კვლევისათვის საჭირო ინფორმაცია;
- ოპტიმიზაცია გაუკეთოს სასაქონლო-მატერიალურ მარაგებსა და ფულად რესურსებს.

პრაქტიკულად კომპანიაში ბიზნეს-პროცესები მოიცავს ფინანსების, მარაგების, წარმოების, შესყიდვების, გაყიდვებისა და მობილური დისტრიბუციის, საცალო გაყიდვების, გაფართოებული აქტივების, ადამიანური რესურსების მართვის და სხვა მოდულებს.

განვიხილოთ APEX ERP სისტემაში (იხ. სურ. 1) შემავალი ზოგიერთი მოდული:




სურ. 1 APEX ERP სისტემაში შემავალი მოდულები

ფინანსების მოდული მოიცავს ბიუჯეტირების, ფულადი სახსრების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების, გადასახადების მართვას. ფინანსური მოდული აწარმოებს ანგარიშგებას როგორც კორპორაციული, ისე IFRS სტანდარტების შესაბამისად;

წარმოების მოდული მოიცავს ნებისმიერი სირთულის დისკრეტული და პროცესული საწარმოო ციკლის ავტომატიზაციას, რაც გულისხმობს პროდუქციის გამოშვების დაგეგმარებასა და აღრიცხვას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფას, საწარმოო-ტექნოლოგიური მარშრუტის ნებისმიერ ეტაპზე თვითღირებულების მართვას, საწარმოო სიმძლავრეების ეფექტურ გამოყენებას;

მარაგების მართვის მოდული საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია, რომელიც საერთაშორისო კლასის სასაწყობო მეურნეობებისთვისაა დამახასიათებელი;



სურ. 2 APEX ERP-ის მონაცემთა ანალიზის მოდული

შესყიდვების მართვის მოდული მოიცავს კომპანიის საოპერაციო და შიგა მოთხოვნების უზრუნველყოფას, მოწოდების ციკლის სრული ავტომატიზაციით;

გაყიდვები და მობილური დისტრიბუციის მოდული მოიცავს ლოგისტიკის პროცესების სრულ ავტომატიზაციას და მიწოდების ოპტიმალურ მარშრუტიზაციას;

საცალო გაყიდვების მოდულის მეშვეობით შესაძლებელია მაღაზიის ან ნებისმიერი სხვა საცალო სავაჭრო წერტილის ავტომატიზაცია, ინტეგრაცია ნებისმიერი ტიპის სავაჭრო მოწყობილობასთან;

პროექტების მართვის მოდული წარმოადგენს კომპლექსურ ინსტრუმენტს, რომელიც პროექტების დაგეგმარების, შესრულების კონტროლის, შედეგების ანალიზისა და ხარჯების კონკრეტულ საპროექტო დავალებებზე გადანაწილების მონიტორინგის საშუალებას იძლევა;


მომხმარებლებთან ურთიერთობის მოდული საშუალებას იძლევა ცენტრალიზებულად შეგროვდეს და იმართოს გაყიდვის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც გულისხმობს მომხმარებლების, მომწოდებლების, პარტნიორების და კონკურენტების მართვისთვის საჭირო ინსტრუმენტების არსებობას;

გაფართოვებული აქტივების მართვის მოდული საშუალებას იძლევა ვმართოთ დანადგარებისა და საწარმოო აგრეგატების ექსპლუატაცია, ტექნიკური მომსახურება და რემონტი. მოდულს შეუძლია ასევე აგრეგატის და მისი კომპონენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, დაგეგმილი და ფაქტიური სარემონტო სამუშაოების მართვა;

ადამიანური რესურსების მართვა და ხელფასების მოდული მოიცავს პერსონალის მართვის სრულ სპექტრს, რაც გულისხმობს თანამშრომლების შერჩევას, განვითარებას, შედეგიანობის შეფასებას, სხვადასხვა სამოტივაციო და საბონუსო სისტემების შემუშავებას;


განსაკუთრებით გამოვყოფთ მონაცემთა ანალიზის მოდულს (იხ. სურ. 2). მისი დანიშნულებაა მომხმარებლისათვის ანალიზური ინფორმაციის მიწოდება, რომელიც გამოიყენება როგორც წარსული საქმიანობის ანალიზისათვის, ასევე შემდგომი პროექტების დაგეგმვისათვის.

ჩვენ გავაანალიზეთ თუ რა ტენდენცია შეიმჩნეოდა კომპანია „APEX“-ში ბოლო 10 წლის მონაცემების მიხედვით. სურ.3-ზე მოცემულია აღნიშნულ კომპანიაში კლიენტების რაოდენობას, ახალ კლიენტებსა და კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობას შორის დამოკიდებულება წლების მიხედვით, რაც კომპანიის ზრდის ტენდენციაზე მიგვანიშნებს.



სურ. 3. კომპანიაში კლიენტების რაოდენობას, ახალ კლიენტებსა და კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობას შორის დამოკიდებულება წლების მიხედვით

საინტერესოა - დღეისთვის - აღნიშნული - კომპანიის - კლიენტების მრავალფეროვნებაც (იხ. სურათი 4).



სურ. 4. APEX ERP-ის მომხმარებლები

ბიზნეს-პროცესების სრულყოფის მიზნით, ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა: საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში მოხდეს ERP სისტემების დანერგვის ხელშეწყობა (მაგალითად, ინვესტორების მხრიდან და ა.შ.), რაც უზრუნველყოფს კომპანიებში

თანამედროვე პრაქტიკისა და სტანდარტების გამოყენებას; ასევე ბიზნეს-პროცესების მართვის სრულყოფისთვის ERP სისტემის პოპულარიზაცია, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან ამ კუთხით კომპანიის ხელშეწყობაში, უმაღლესი სასწავლებლების მიერ ERP სისტემის სწავლების უზრუნველყოფაში და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არტურ ა. ტომსონი, ა. ქ. სტრიკლენდი. სტრატეგიული მენეჯმენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, 2010.
2. ჩოხელი ე., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2009.
3. მაღრაძე მ., ინფორმაციული მენეჯმენტი, გამ. „სამართალი“; თბ.; 2013.
4. Simha R. Magal, Jeffrey Word, Integrated Business Processes with ERP Systems, USA, 2011.
5. www.apex.ge
6. <http://www.slideshare.net/tmatys/business-functions-business-functions-in-erp>

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში კომპანიები, რომლებიც ცდილობენ გაზარდონ კონკურენტუნარიანობა და დაიმკვიდრონ ბაზარზე ლიდერის პოზიციები, უნდა ეცადონ ბიზნეს-პროცესების სისტემის მართვის მუდმივი რეფორმირების პროცესი განახორციელონ. ბიზნეს-პროცესების სისტემის მართვის სრულყოფის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზაა ERP სისტემის დანერგვა. ბიზნეს-პროცესების სრულყოფის მიზნით ჩვენ აღვწერეთ კომპანია APEX-ის მიერ შექმნილი ERP სისტემის ზოგიერთი მოდული, ასევე გავანალიზეთ კომპანიის შესახებ ბოლო 10 წლის მონაცემები: კლიენტების რაოდენობასა და აპექსის თანამშრომელთა რაოდენობას შორის დამოკიდებულება, რამაც ზრდის ტენდენციაზე მიგვანიშნა. საქართველოში კომპანიებმა, რომლებმაც ERP სისტემების დანერგვა დაიწყეს, წარმატებებს მიაღწიეს, ეს კი, თავის მხრივ, საქართველოში ბიზნეს-პროცესების სისტემის მართვის სრულყოფის განვითარებაზე მიგვანიშნებს, თუმცა, ERP სისტემის ხელშეწყობის (როგორც ინვესტირების, ასევე სისტემის პოპულარიზაციის გზით) გარეშე ძნელი იქნება ზრდის ტემპის შენარჩუნება.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი, რეალობა და პერსპექტივები

თამთა სიჭინავა,

მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი, ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, როგორც სადაზღვევო ბაზრის რეგულირების, ასევე ცალკეული სადაზღვევო პროდუქტების ბაზარზე დამკვიდრების მხრივ. დაზღვევის როლისა და მნიშვნელობის გაზრდა განაპირობებს დაზღვევის სფეროს აქტუალურობას, თუმცა საქართველოში დაზღვევის მეცნიერულ კვლევას სათანადო ყურადღება არ ექცევა. აღნიშნული საკითხები საჭიროებს როგორც სადაზღვევო კომპანიების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ერთობლივ მუშაობას. სადაზღვევო ბაზრის კვლევა პერიოდულად პერმანენტულ ხასიათს უნდა ატარებდეს, სხვადასხვა პერიოდის მონაცემების ერთმანეთთან შედარებისა და ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით. აღნიშნულმა განაპირობა საქართველოს სადაზღვევო ბაზრის კვლევა.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, სადაზღვევო კომპანიები, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები, სადაზღვევო ბაზრის კვლევა, ეკონომიკური ზრდა.


საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა. საქართველოში, 2014 წლის მონაცემებით, 15 სადაზღვევო კომპანია ფუნქციონირებს. თუ გავაანალიზებთ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკურ მონაცემებს, ვნახავთ, რომ მოზიდული პრემიის მიხედვით, სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაციამ (5 წამყვანი მზღვეველი - „ალდაგი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“, „ირაო“, „არდი“, „აისი ჯგუფი“) 2014 წლისათვის 79% (30%+26%+9%+8%+6%) შეადგინა, მაშინ როდესაც 2013 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 81%-ს შეადგენდა. შესაბამისად, სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი 2%-ით არის შემცირებული. თუმცა, კონცენტრაციის ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც ნაწილობრივ შეიძლება განპირობებული იყოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული მონოპოლიური ნიშნებით. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მონოპოლიასთან დაკავშირებით მუდმივად ისმოდა კრიტიკა. სადაზღვევო კომპანია „ალდაგს“ საკუთარი კლინიკების ქსელი გააჩნია, სადაზღვევი კომპანია „ალფა“ სააფთიაქო და კლინიკების ქსელის „ავერსის“ შვილობილია.

სადაზღვევო საქმიანობაში მონოპოლია ხელს არ უწყობს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას. სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონკურენციის დონეს. ბუნებრივია, რაც უფრო მეტი სადაზღვევო კომპანია მოქმედებს ბაზარზე, მით მაღალია კონკურენცია. კონკურენციის საზომად შეიძლება განვიხილოთ მიწოდებული სადაზღვევო პროდუქტი. იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მომხმარებელს განსხვავებულ პროდუქტს სთავაზობს, ბაზარზე კონკურენცია დაბალია და პირიქით, როდესაც ერთნაირი მომსახურების პაკეტის მიწოდება ხდება, კონკურენცია მაღალია. საქართველოს ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო კომპანიები სადაზღვევო პროდუქტებით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, აქედან გამომდინარე, კონკურენციაც

მაღალი უნდა იყოს, თუმცა მოსახლეობის დაბალი სადაზღვევო კულტურა და დაბალი ინფორმირებულობა კონკურენციის დაბალ დონეს განაპირობებს.

სადაზღვევო პრემიების და სადაზღვევო ზარალის მოცულობა 2006–2014 წლებში.

დიაგრამა 1



2014 წელს სადაზღვევო კომპანიების სადაზღვევო ზარალის შემცირება შეიძლება განაპირობა სოციალური პროექტების კერძო სექტორისთვის ჩამოშორებამ, რამაც ახალი შესაძლებლობები მისცა სადაზღვევო კომპანიებს. თუმცა, მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამან შეიძლება სახელმწიფოს დომინანტური პოზიცია მიანიჭოს და გახდეს უპირობო ლიდერი სადაზღვევო ბაზარზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სადაზღვევო კომპანიების სოციალური პროექტებისთვის ჩამოშორებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ანაზღაურებული ზარალის მოცულობა. მართალია სადაზღვევო კომპანიებს შეუძლია სადაზღვევო პრემია, მაგრამ იმავდროულად შეუძლია ანაზღაურებული ზარალი და, შესაბამისად, გაეზარდათ მომგებიანობა. სადაზღვევო კომპანიების რეალური სადამფუძნებლო მიზანი სწორედ მოგებაა და არა მაღალი სადაზღვევო პრემიის მიღება.

ამას ადასტურებს ზარალიანობის კოეფიციენტის დინამიკაც (2011 წელი - 75,2%, 2012 წელი - 78,5%, 2013 წელი - 84,4%, 2014 წელი - 75,2%). 2014 წლის ზარალიანობის კოეფიციენტი 2013 წელთან შედარებით 9,2%-ით არის შემცირებული. აღნიშნულზე მეტყველებს ასევე, სადაზღვევო კომპანიების მოგება-ზარალის დინამიკა (2011 წელი - 22 361 414 ლარი ზარალი, 2012 წელი - 7 293 168 ლარი ზარალი, 2013 წელი - 3 282 765 ლარი ზარალი, 2014 წელი - 40 326 088 ლარი მოგება).


2015 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური პრემიის დაახლოებით 46.12% სამედიცინო დაზღვევაზე მოდის, მეორე ადგილი ქონების დაზღვევას უჭირავს 22.82%-ით, მესამე ადგილზეა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა 14.99%-ით.

მრავალი მეცნიერის თეორიული და ემპირიული კვლევა მოწმობს იმას, რომ სადაზღვევო კომპანიები, როგორც ფინანსური შუამავლები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. საქართველოში სადაზღვევო საფინანსო ინსტიტუტების ბაზარზე დაკავებული წილის მიხედვით სადაზღვევო კომპანიებს მეხუთე ადგილი უკავია. საფინანსო ინსტიტუტების ბაზარი შემდეგნაირად გამოიყურება: პირველ ადგილზეა ვალუტის გადამცვლელი პუნქტები - 89,6 %, მეორეზეა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები - 5,6%, მესამეზეა კომერციული ბანკები - 1,7%, მეოთხეზეა არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები - 1.4%, მეხუთეზეა სადაზღვევო კომპანიები - 1,3%, შემდეგ კი მოდის საპენსიო ფონდები 0,4% და საფონდო ბირჟები - 0,1%.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ანალიზი ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის სტატისტიკურ მონაცემებს. გამოკითხულ რესპოდენტთა 29% მამრობითი სქესის წარმომადგენლებია, ხოლო მდედრობითი - 71%.

რესპოდენტთა ასაკობრივი ზღვრები:

დიაგრამა 2




მათ შორის 76.7%-ს უმაღლესი, 20.5%-ს არასრული უმაღლესი, ხოლო 2.8%-ს საშუალო განათლება აქვს.

განსხვავებულია რესპოდენტთა ოჯახის ყოველთვიური შემოსავლებიც. გამოკითხულთა 0.6%-ის ყოველთვიური შემოსავალი 300 ლარამდეა, 8% - 300-500 ლარის ფარგლებშია, 22.7% 501-1000 ლარის ფარგლებში, 39.8% 1001-2000 ლარის ფარგლებში, 20.5% 2000 ლარს ზევით, ხოლო გამოკითხულთა 8.5%-მა უარი განაცხადა პასუხზე.


კითხვაზე - „რამდენ ლარიანი სადაზღვევო პაკეტით სარგებლობთ?“, რესპოდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს (იხ. დიაგრამა 3):

დიაგრამა 3




კითხვაზე - „სარგებლობთ თუ არა სადაზღვევო მომსახურებით?“ - 55.7% (98 რესპოდენტი) უპასუხა „დიახ“, ხოლო 44.3%-მა (78 რესპოდენტი) „არა“.

დიაგრამა 4



რესპოდენტები, რომლებიც ამბობენ, რომ არ არიან დაზღვეულნი, მიზეზად ასახელებენ სხვადასხვა ფაქტორს. მათ შორის 21.8% თვლის, რომ სადაზღვევო მომსახურება 5-ჯერ ძალიან ძვირია, 17.9% არ ენდობა სადაზღვევო კომპანიებს, 10.3% დაუზღვევლობის მიზეზად ასახელებს დამაბნეველ პროცედურებს, 29.5%-მა არ იცის მიზეზი, 20,5% - სხვა ფაქტორებს ასახელებს მიზეზად. დაზღვეულთა 92.9 % სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით, 11.2% სიცოცხლის დაზღვევით, 8.2% სამოგზაურო დაზღვევით, 4.1% უბედური შემთხვევისაგან დაზღვევით, საპენსიო დაზღვევით 1%, ასევე 1% ქონების დაზღვევით, დაზღვევის სხვა სახეებით სარგებლობს რესპოდენტთა 7.1%. დაზღვეულ რესპოდენტთა 9.2%-ს აქვს ინდივიდუალური დაზღვევა, 52%-ს კორპორატიული დაზღვევა, ხოლო 38.8% საყოველთაო დაზღვევით სარგებლობს. სადაზღვევო კომპანიებს შორის დაზღვეულთა რაოდენობის მიხედვით ლიდერობენ: „ალდაგი“ - 20.4%, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ 17.3%, „იმედი L“ - 18.4%. კვლევიდან ჩანს, რომ დაზღვეულთა უმრავლესობა იშვიათად მიმართავს სადაზღვევო მომსახურებას.

რამდენად ხშირად მიმართავთ სადაზღვევო მომსახურებას?



ექიმთან ვიზიტისას დაზღვეულ რესპოდენტთა 4.1%-ის სამედიცინო ხარჯების დაფარვა ხდება ინდივიდუალური დაზღვევით, 50 % - კორპორატიული დაზღვევით, 28% - საყოველთაო დაზღვევით, ხოლო 17% - საკუთარი სახსრებით.

დაზღვეულ რესპოდენტთა 79.6%-ს სადაზღვევო მომსახურებასთან ან/და სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ შექმნია პრობლემა, ხოლო 20.4%-ს კი შეექმნა პრობლემა (მათ შორის 55%-მა განაცხადა აღნიშნული პრობლემის შესახებ, გაცხადებული პრობლემის მხოლოდ 18.2% არ მოყვა შესაბამისი რეაგირება).


დაზღვეულ რესპოდენტთა 17.3%-ს სურს სადაზღვევო კომპანიის შეცვლა. კითხვაზე „ურჩევდით თუ არა თქვენს ახლობელს/ მეგობარს/ კოლეგას რომ იმავე სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეულიყო, რომელთანაც თქვენ გაქვთ ურთიერთობა?“ 44.9%-მა განაცხადა, რომ რეკომენდაციას გაუწევდა, 14.3%-მა უარი განაცხადა, ხოლო 40.8%-მა თავი შეიკავა პასუხისაგან. დაზღვეულ რესპოდენტთა 6.1% თვლის, რომ სადაზღვევო პაკეტი არ არის მორგებული მის საჭიროებებზე, ხოლო 12.2 % თვლის, რომ სადაზღვევო პაკეტი სრულყოფილია. დანარჩენი 71.7% - შუალედურ პასუხს იძლევა. დაზღვეულ რესპოდენტთა 25.5% თვლის, რომ სადაზღვევო პოლისის შექმნის პროცედურა ძალიან მარტივია, მხოლოდ 4.1 % მიიჩნევს, რომ მოცემული პროცედურა ძალიან რთულია.

კითხვაზე - „რომელი ფაქტორების გათვალისწინებით მიანიჭებდით უპირატესობას

სადაზღვევო კომპანიებს?“, რესპოდენტების პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

დიაგრამა 5


რომელი ფაქტორების გათვალისწინებით მიანიჭებდით უპირატესობას სადაზღვევო კომპანიებს?



გამოკითხულთა 42.3% თვლის, რომ საქართველოში სადაზღვევო მომსახურება ხელმისაწვდომია, 23.4% თვლის, რომ არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო 34.3%-ს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

რესპოდენტებმა სადაზღვევო კომპანიების მომსახურების ხარისხი სხვადასხვა კრიტერიუმით 5 ბალიანი შკალით შეაფასეს, სადაც 1 - იყო ყველაზე კარგი, 2 - კარგი, 3 - საშუალო, 4 - ცუდი, 5 - ძალიან ცუდი. შკალაზე ასევე იყო შესაძლებლობა რესპოდენტებს მიეთითებინათ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას და შესაბამისად, თავი შეეკავებინათ შეფასებისაგან.

დიაგრამა 6



რესპოდენტთა 28.6% სადაზღვევო შემოთავაზებების შესახებ ინფორმაციას იღებს ინტერნეტის საშუალებით, 23.5% - სადაზღვევო აგენტების საშუალებით, 22.4% - მედია საშუალებებით, 15.3% - უშუალოდ სადაზღვევო კომპანიაში მისვლით, ხოლო 10.2% - სხვა წყაროებიდან. დაზღვევასთან დაკავშირებულ ყველაზე დამახსოვრებად სარეკლამო რგოლებს შორის ერთპიროვნულად ლიდერობს ჯი პი აი ჰოლდინგის „მისტერ რექსი“ და მეორე ადგილზეა ალდაგის სარეკლამო რგოლი, სადაც ისევ ძალიან ფიგურირებს.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის კვლევა ორიენტირებული იყო ზოგადი ტენდენციების გამოვლენაზე. კვლევის დროს გამოიკვეთა სადაზღვევო ბაზრის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები. კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო ისეთი საკითხები, როგორცაა:

- საყოველთაო დაზღვევის სისტემის ნაკლოვანებები;
- პროვაიდერ კლინიკებში მომსახურების დაბალი ხარისხი;
- სადაზღვევო პაკეტების დახვეწის აუცილებლობა მრავალი მიმართულებით, მათ შორის მედიკამენტების დაფინანსების კუთხით;
- სადაზღვევო პროდუქტების ხელმისაწვდომობა ყველა სოციალური ფენისთვის.

აღნიშნული საკითხები საჭიროებს როგორც კერძო სადაზღვევო კომპანიების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ერთობლივ მუშაობას.

კვლევის საფუძველზე შესამდებელი გახდა საქართველოში სადაზღვევო ბაზრის რეგულირების სრულყოფის პერსპექტივების განსაზღვრა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- მოსახლეობა არაა კარგად გათვითცნობიერებული დაზღვევის არსსა და მნიშვნელობაში, აუცილებელია მეტი ინფორმირებულობა, ვინაიდან რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ არ არის დაზღვეული და მიზეზად ასახელებს იმას, რომ მისთვის „საყოველთაო დაზღვევაც საკმარისია“, რომელიც აქვს. ასევე, რესპოდენტთა გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ არ აქვს არც სამედიცინო, არც სამოგზაურო, არც ქონების, არც პასუხისმგებლობის დაზღვევა, არამედ აქვთ „სტუდენტური დაზღვევა“ და სადაზღვევო კომპანია არ ახსოვთ. ისინი არ არიან ინფორმირებული იმის შესახებ, რომ „სტუდენტური დაზღვევით“ დაზღვეულები საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში ჩაერთვნენ. ასევე გამოვლინდა რესპოდენტები, რომლებიც „არ სარგებლობენ ქონების დაზღვევით“, მაგრამ „სარგებლობენ ავტოდაზღვევით“.
- სადაზღვევო კომპანიებმა დიდი სიფრთხილით უნდა შეარჩიონ სარეკლამო რგოლი, ვინაიდან ზოგიერთი რესპოდენტის მეხსიერებაში უარყოფითადაა აღბეჭდილი ალდაგის შინაური ცხოველების დაზღვევის რეკლამა.
- რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია ახალი სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზება მომხმარებლებისთვის.

კვლევისას გამოიკვეთა საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სრულყოფის პერსპექტივები:

- კერძო სადაზღვევო კომპანიები სახელმწიფო დაზღვევის სისტემაში უნდა ჩაერთონ;
- უნდა ამალდეს მოსახლეობის ინფორმირებულობა;
- ტარიფების ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო დაზღვევის მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- აგროდაზღვევის ბაზრის განვითარება (რეკომენდაციაა რომ სადაზღვევო კომპანიები

სინდიკატების სახით გაერთიანდნენ და ერთობლივი ძალებით მოახდინონ აგრარულ სექტორში დასაქმებული კომპანიების დაზღვევა. ამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა);

- მომსახურების სისწრაფის ამაღლება (არ იყოს ხანგრძლივი რიგები);
- სადაზღვევო კომპანიების მხრიდან მეტი კომუნიკაცია მომხმარებლებთან;
- აუცილებელია გადაიხედოს სადაზღვევო პაკეტის ძირითად მომსახურებებზე. სადაზღვევო პაკეტში შემავალი მომსახურებები მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული მომხმარებლის საჭიროებებზე;
- უნდა განვითარდეს პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- სამედიცინო მომსახურების მიღება არ უნდა იყოს სავალდებულო მხოლოდ და მხოლოდ პროვაიდერ კლინიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოდუა ნ., საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა, საუნივერსიტეტო შორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2009.
2. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2012.
3. ცინცაძე ა., ლლონტი ვ., ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, N3, თბილისი, 2009
4. P.R.Haiss, K. Sumegi, „The Relationship of Insurance and Economic Growth – A Theoretical and Empirical Analysis“, [Emprica, Journal of Applied Economics and Economic Policy](#), 2007.
5. <http://insurance.gov.ge/Statistics.aspx>
6. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსურ-სტატისტიკური მაჩვენებლები დინამიკაში. ყურადღება გამახვილებულია ისეთ ასპექტებზე, როგორცაა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა ფინანსურ მაჩვენებლებსა და სადაზღვევო ბაზარზე მიმდინარე პროცესებს შორის. სადაზღვევო ბაზრის აქტიურობა და განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რაც დასტურდება მეცნიერული კვლევებით. სტატიაში ასევე განხილულია სადაზღვევო ბაზრის კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა სტატისტიკის ავტორის მიერ. აღნიშნული კვლევა დაფუძნებულია რესპოდენტთა შემთხვევითი შერჩევის მეთოდზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკის და პროფესიის 176-მა რესპოდენტმა. კვლევაში დიდი ყურადღება ეთმობა მიღებული შედეგების განხილვას და გრძელვადიან პერიოდში სადაზღვევო ბაზრის განვითარების პერსპექტივების დასახვას.

უძრავი ქონების ბაზრის გავლენა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე

ანა ჩხაიძე,

მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

უძრავი ქონების ფასები მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისთვის, რადგან იგი დიდ გავლენას ახდენს საბანკო სექტორის სასესხო პორტფელის სტაბილურობაზე და მთლიანად ქვეყნის ბიზნეს-ციკლის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია. ინვესტირება უძრავ ქონებაში ფინანსურ აქტივებში ინვესტირებისა ალტერნატივაა. უძრავი ქონების ბაზარი საფინანსო ბაზრის ფუნქციასაც ითავსებს. შესაბამისად, მისი ფასების ცვლილება წააგავს სხვა ფინანსური აქტივების ფასების ცვლილებას. უძრავ ქონებაზე ფასების მკვეთრმა შემცირებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსური ბაზრის სტაბილურობაზე. უძრავ ქონებაზე ფასის ვარდნის შემთხვევაში იზრდება სესხების რისკი-ანობა კომერციული ბანკების ბალანსზე. ამავდროულად, მცირდება საგირავნო აქტივის ღირებულება, რაც კიდევ უფრო ართულებს დეველოპერული კომპანიებისთვის მიმდინარე პროექტების დაფინანსების შესაძლებლობას, ეს ყოველივე კი თავისთავად მათი დეფოლტის რისკს ზრდის. უძრავ ქონებაზე ფასების მკვეთრ ვარდნას ფინანსურ სტაბილურობაზე ნეგატიური გავლენა აქვს შინამეურნეობების მხრიდანაც. კერძოდ კი, იგი უარყოფითად მოქმედებს მსესხებლების როგორც შესაძლებლობებზე¹, ასევე მათ სურვილზე² დაფარონ სესხი.

2008 წლის კრიზისის შემდგომ, მაკროეკონომიკური გაჯანსაღების ფონზე უძრავი ქონების ბაზარზე სტაბილური ზრდის ტენდენციები გამოიკვეთა, რამაც გაზარდა ნდობა უძრავი ქონების ბაზრის მიმართ. ზემოაღნიშნულის ფონზე, შემოსავლების და სესხების ხელმისაწვდომობის ზრდამ და რისკის შემცირებამ მოთხოვნისა და მიწოდების გააქტიურება განაპირობა. უძრავი ქონების ბაზრისადმი ნდობას გრძელვადიან პერიოდში მისი სტაბილური ზრდის მოლოდინი განაპირობებს, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ისეთი ფუნდამენტური ფაქტორები, როგორცაა: დემოგრაფიული ტენდენციები, ეკონომიკური ზრდა, განვითარებული ქვეყნის ფასებთან კონვერგენცია და სხვა.

უძრავ ქონებაზე ფასების სწრაფი ზრდა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობდა სამშენებლო სექტორის განვითარებას. არსებულმა გარემოებამ იგი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად აქცია. 2014 წლის წინასწარი მონაცემებით, სამშენებლო სექტორში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა მთლიანი შიგა პროდუქტის 7,3%-ს შეადგენს, ხოლო მშპ-ს 4,8%-იან ზრდაში მისმა წვლილმა 0.8% შეადგინა. მშენებლობის დარგის რეალურმა ზრდამ კი 13,5% შეადგინა 2013 წელთან შედარებით.³

¹ მიმდინარე შემოსავლების მკვეთრი შემცირება გადახდისუნაროს გახდის მსესხებელს და ის საკუთარი ბინის რეალიზაციითაც კი, ვერ უზრუნველყოფს სესხის დაფარვას.

² მსესხებელს, რომელსაც სესხის მცირე ნაწილი აქვს დაფარული, ეზრდება მოტივაცია უარი თქვას უკვე იაფი ქონების ძვირად შეძენაზე.

³ www.geostat.ge


უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარე ტენდენციებისა და, შესაბამისად, ფინანსური სტაბილურობის შესაძლო რისკების შესაფასებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ფართების ბაზრის მიმოხილვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია კომერციული ფართებისა და სასტუმროების ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გამოვლენა.

საქართველოში საცხოვრებელი ფართების მშენებლობა ძირითადად თბილისსა და ბათუმში მიმდინარეობს. ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში სამშენებლო სექტორი ძალიან დაბალი ტემპით ვითარდება. საცხოვრებელი ფართების მიმდინარე მიწოდება კი ძირითადად 1960-1990-იან წლებში აშენებული ბინებითაა წარმოდგენილი. Colliers International-ის კვლევის¹ თანახმად, თბილისში გასაყიდი საცხოვრებელი ფართების საერთო რაოდენობა, 2014 წლის მონაცემებით, დაახლოებით 344,000 ერთეულს შეადგენს. 2013-2016 წლების განმავლობაში 21,000 ერთეული დაემატება. თბილისში ამჟამად 233 საცხოვრებელი პროექტის მშენებლობა მიმდინარეობს, რაც მოიცავს 1,013,000 კვ.მ მიწის ფართობს და 2,900,000 კვ.მ კონსტრუქციის საერთო ფართობს. ბათუმში 112 საცხოვრებელი პროექტის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც 1,245,000 კვ.მ ფართობს მოიცავს და 12,000 საცხოვრებელი ერთეულითაა წარმოდგენილი. სამშენებლო სექტორი თბილისთან შედარებით ბათუმში ნაკლებად აქტიურია.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და დასრულებული მშენებლობების რაოდენობა ერთ-ერთი ინდიკატორია უძრავი ქონების ბაზარზე მიწოდების მიმდინარე და მოსალოდნელი დონის შესაფასებლად. 2011-2014 წლებში მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი წინა პერიოდთან შედარებით და მოსალოდნელია ამ ტენდენციის მომავალ წლებშიც გაგრძელება. 2013-2014 წლებში დასრულდა გაცემული ნებართვების 27%, მაშინ როცა 2003-2010 წლებში შესაბამისი მაჩვენებელი 17%-ს შეადგენდა.² 2014 წელს მშენებლობაზე გაცემული ნებართვები 13,3%-ით შემცირდა 2013 წელთან შედარებით, შემცირებულია აგრეთვე დასრულებული მშენებლობების რაოდენობა 15,9%-ით. საქართველოში 2014 წელს 9479 მშენებლობის ნებართვა გაიცა, რომელთაგან 6368 საცხოვრებელი სახლის პროექტია, ხოლო დანარჩენი კომერციული ფართების ან სხვა ტიპის მშენებლობაა. საერთო ჯამში, თბილისში 4578 ერთეულის მშენებლობის ნებართვა გაიცა.³

დიაგრამა 1

გაცემული ნებართვები და დასრულებული მშენებლობები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

¹ Colliers International, TBILISI | REAL ESTATE MARKET REPORT 2014

² „საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა“. გრემიკი, 2011.

³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.


მნიშვნელოვანი ანალიტიკური ინდიკატორია უძრავი ქონების სექტორზე გაცემული სესხების მოცულობა, რაც მნიშვნელოვან წილს იკავებს მთლიანი საბანკო სექტორის პორტფელში (25%)¹ (იხ. დიაგრამა 2). თუმცა, 2011 წელთან შედარებით უძრავი ქონების სექტორზე გაცემული სესხების წილი 5 პპ-ით არის შემცირებული, რაც საბანკო სექტორს ნაკლებად მგრძობიარეს ხდის უძრავი ქონების ბაზრის რყევების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ უძრავი ქონების სექტორზე გაცემული სესხები მოიცავს როგორც სამშენებლო სექტორზე გაცემულ სესხებს ასევე იპოთეკურ სესხებსაც. მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხების წლიურმა ზრდამ 2014 წელს 13% შეადგინა, ხოლო, 2015 წლის იანვარსა და თებერვალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სამშენებლო სექტორზე გაცემული სესხების 20%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

სამშენებლო სექტორში გაცემული სესხების წილი მთლიან პორტფელში 2015 წლის თებერვალში 2%-ით არის შემცირებული წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. იპოთეკური სესხების ხელმისაწვდომობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა უძრავ ქონებაზე. 2014 წელს იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო და არასაპროცენტო პირობების შერბილებამ წახალისა მოთხოვნის ზრდა. 2015 წლის თებერვალში, იპოთეკური სესხების წილი მთლიან პორტფელში 15%-მდე გაიზარდა, რაც 2 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა წლის შესაბამისი თვის მაჩვენებელს.

უმოქმედო სესხები ეს არის მთლიანი სესხებიდან ბანკის მიერ არასტანდარტული, საექვო და უიმედო კატეგორიად კლასიფიცირებული სესხების ჯამი, მისი წილის შემცირების დინამიკა უძრავი ქონების ბაზარზე რისკების შემცირებაზე მიუთითებს. 2008 წლის კრიზისის გამწვავებამ უმოქმედო სესხების წილი უძრავი ქონების სექტორზე გაცემულ სესხებში მნიშვნელოვნად გაზარდა, თუმცა 2009 წლიდან უმოქმედო სესხების წილს დაღმავალი ტენდენცია აქვს. 2015 წლის თებერვალში უმოქმედო სესხების წილმა უძრავი ქონების სექტორზე გაცემულ სესხებში 9% შეადგინა, რაც 1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება უმოქმედო სესხების წილი იპოთეკურ სესხებში (1.92%) და სამშენებლო სექტორზე გაცემულ სესხებში (15,7%), თუმცა ორივე მაჩვენებელს შემცირების ტენდენცია აქვს.²

დიაგრამა 2

სესხების წილი მთლიან პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

¹ საქართველოს ეროვნული ბანკი.


² საქართველოს ეროვნული ბანკი.

უძრავი ქონების ბაზრის სტაბილურობამ განაპირობა ქართული ბაზრის მიმართ უცხოური კომპანიების დაინტერესება. 2014 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უძრავი ქონების სექტორში¹ 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 105%-ით არის გაზრდილი. ასევე, გაიზარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ უძრავი ქონების ყიდვის ინტერესი. 2014 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამშენებლო სექტორში 5.9-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.²

უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა გვიჩვენებს რამდენად აქტიურია ბაზარი, კერძოდ კი, მოთხოვნა უძრავ ქონებაზე. 2014 წელს წინა წელთან შედარებით საცხოვრებელ ბინებზე სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 4% გაიზარდა წინა წელთან შედარებით.³ 2015 წლის იანვარში, 2014 წლის იანვართან შედარებით, უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა 12.8%-ით შემცირდა. 15,6% კლება დაფიქსირდა მარტის თვეშიც. 2015 წლის პირველ კვარტალში ტრანზაქციათა რაოდენობა 9,55%-ითაა შემცირებული წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით. რაც შეეხება პირველად და მეორად სარეგისტრაციო ტრანზაქციებს შორის თანაფარდობას, 2014 წლის მარტთან შედარებით, გაიზარდა პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების წილი: 2015 წლის მარტში განხორციელებული სარეგისტრაციო ტრანზაქციების 81.9%-ს მეორადი, ხოლო 18.1%-ს - პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები შეადგენენ (2014 წლის მარტში კი - შესაბამისად 83.1% და 16.9%).⁴

დიაგრამა 3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშენებლობასა და უძრავ ქონებაში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტრანზაქციების რაოდენობა უძრავი ქონების მეორად ბაზარზე 2014 წელს 10%-ით გაიზარდა 2013 წელთან შედარებით. 2015 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, ტრანზაქციები უძრავი ქონების მეორად ბაზარზე წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10%-ით არის შემცირებული,⁵ შესაძლოა, ეს ეროვნული ვალუტის გაუფასურებით იყოს გამოწვეული. პირველი კვარტალი, როგორც წესი, ხასიათდება კლებადაც ტრენდით, შესაბამისად მკვეთრი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. ტრანზაქციების ანალიზზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრენდი სტაბილურია.

¹ ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა.


² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

³ Colliers International, TBILISI | REAL ESTATE MARKET REPORT 2014

⁴ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, <http://napr.gov.ge>

⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო


ტრანზაქციების რაოდენობა უძრავი ქონების მეორად ბაზარზე



წყარო: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრი

უძრავ ქონებაზე არსებული მოთხოვნის სიდიდეზე გავლენას ახდენს: შინამეურნეობების ვალის ფარდობა წლიურ შემოსავალთან, ვალის მომსახურების კოეფიციენტი, ბინის ფასის ფარდობა შემოსავალთან, კაპიტალიზაციის ხარისხი და მიგრაციული ნაკადები. 2015 წლის I კვარტალში გაიზარდა შინამეურნეობების ვალის ფარდობა წლიურ შემოსავალთან, რაზეც იპოთეკური სესხების ზრდამაც იმოქმედა. 2015 წლის პირველ კვარტალში შინამეურნეობების ვალმა მათი შემოსავლის 32% შეადგინა, რაც 2014 წლის საშუალო მაჩვენებელს 2 პროცენტული პუნქტით აღემატება.¹

შინამეურნეობების ვალის ფარდობა წლიურ შემოსავალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ვალის მომსახურების კოეფიციენტმა საქართველოში მიმდინარე წლის I კვარტალში 18.0% შეადგინა, რაც 1%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ვალის მომსახურების ტვირთი სხვა ქვეყნების² მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად არ აღემატება.

¹ საქართველოს ეროვნული ბანკი.

² იგულისხმება ქვეყნები, რომელთაც კოეფიციენტის გაანგარიშების ანალოგიური მეთოდოლოგია აქვთ.

* აღნიშნული ქვეყნები მხოლოდ საპროცენტო ხარჯს ითვალისწინებენ ვალის მომსახურების კოეფიციენტის დათვლისას.

ვალის მომსახურების კოეფიციენტი




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2012-2014 წლებში მიგრაციის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა, რაც გარკვეულწილად შეამცირებს მოთხოვნას უძრავ ქონებაზე. 2014 წელს ემიგრანტების რიცხოვნობა 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6,7%-ით ნაკლებია, ხოლო იმავე პერიოდში იმიგრანტების რიცხოვნობამ წინა წელთან შედარებით 11,1 %-ით დაიკლო. 2014 წელს მიგრაციული სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი -6 543 დაფიქსირდა.¹

გასათვალისწინებელია, რომ ოჯახის ზომა შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც აისახება ბინებზე მოთხოვნის ზრდაზე. ბოლო მონაცემებით საქართველოში ოჯახების საშუალო სიდიდე შეადგენს 3.6 ადამიანს, რაც 0.4 პუნქტით ნაკლებია 2002 წლის შესაბამის მონაცემზე. აღსანიშნავია, რომ ევროპაში ოჯახების საშუალო ზომა 2.5-ს შეადგენს.

2015 წლის პირველ კვარტალში, წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა ბინის ფასის ფარდობა შემოსავალთან, რაც გამოწვეულია დოლარში გამოსახული საშუალო ხელფასის შემცირებით (გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა). თუმცა, ინდექსის მნიშვნელობა 2015 წელს 10.1%-ით ნაკლებია 2007 წელთან შედარებით.² შემოსავლის კლებასთან ერთად, მოსალოდნელია უძრავ ქონებაზე მოთხოვნის კლება.

კაპიტალიზაციის ხარისხი და საბაზრო საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2014 წელს კაპიტალიზაციის ხარისხმა საშუალოდ 9.2% შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი საშუალო მაჩვენებელს 0.3 პროცენტული პუნქტით აღემატება. თუმცა აღსანიშ-

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

² საქართველოს ეროვნული ბანკი


ნავია, რომ 2014 წლის დეკემბერში კაპიტალიზაციის ხარისხი 8,9%-მდე, წინა თვესთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ხოლო, 2015 წლის თებერვალში კი 8,2%-მდე დაეცა, რაც ვალუტის კურსის გაუფასურების შედეგია.

გამომდინარე იქედან, რომ უძრავ ქონებაში ინვესტირება წარმოადგენს ალტერნატივას ფინანსურ აქტივებში ინვესტირებისა, ზოგადად აღნიშნული ინდექსის ზრდა ეკონომიკურ აგენტებს უძრავი ქონების შეძენისაკენ უბიძგებს და უძრავი ქონების სექტორში ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობაა. ინდექსის კლების ტენდენციის მიუხედავად, კაპიტალიზაციის ხარისხი გაცილებით მაღალია უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებზე არსებულ სარგებლის განაკვეთზე (5,0%). რაც მიუთითებს, რომ უძრავ ქონებაში ინვესტირება კვლავ მეტად მომგებიანი იქნება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შედგენილი ინდექსის¹ მიხედვით, ბოლო წლებში ფასები საცხოვრებელ ფართზე სტაბილურად იზრდებოდა, თუმცა 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით შემცირდა ფასების ზრდის ტემპი. 2015 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით საცხოვრებელი ფართის ფასის ინდექსი 4,6%-ით არის გაზრდილი.² საცხოვრებელ ფართებზე ფასების ზრდის ტემპის შემცირება კურსის ეფექტთან ერთად, მშენებლობისთვის საჭირო მასალებზე სტაბილურმა ფასებმა განაპირობა. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი ფართის მიმდინარე ფასი კვლავ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 2008 წლის ფასს. უძრავი ქონების ფასების სტაბილურობა ნიშნავს, რომ ფასების სპეკულაციური მოლოდინებით გაბერვა არ ხდება და ამ გადმოსახედიდან ფასების ბუმტის წარმოქმნის სურათი არ იკვეთება.

დიაგრამა 8

საცხოვრებელი ფართის ფასის ინდექსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საცხოვრებელი ფართები გასაყიდი ფასების მიხედვით, შეგვიძლია დავყოთ სამ სეგმენტად: პრემიუმ, საშუალო და დაბალი კლასის ბინებად. ბინების ფასი მერყეობს \$650-დან \$1,680-მდე 1 კვ.მ-ზე, გამომდინარე ადგილმდებარეობიდან და საცხოვრებელი პირობებიდან. 2014 წელს ბაზარზე დამკვიდრებული გასაყიდი ფასის საშუალოდ \$832 შეადგენს. პრემიუმ კლასის ბინების გასაყიდი ფასი იწყება \$1,200-დან 1 კვ. მ-ზე. საშუალო კლასის ბინების ფასია \$800-დან \$1,200-მდე 1 კვ.მ-ზე. ამ სეგმენტს ბაზრის 45% უკავია. დაბალი კლასის ბინები

¹ მონაცემთა წყაროა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შედგენილი ინდექსი პრესაში გამოქვეყნებული განცხადებების საფუძველზე, თბილისში საბურთალოსა და ვარკეთილის რაიონებში ბინების, ქირის, შავი კარკასებისა და მიწის ნაკვეთების შესახებ.

² საქართველოს ეროვნული ბანკი.

ძირითადად წარმოდგენილია ქალაქის გარეუბნებში. გასაყიდი ფასი 1 კვ.მ-ზე \$400-\$800 შეადგენს.¹

რაც შეეხება კომერციული ფართების ბაზარს, თბილისში საოფისე ფართების მთლიანი ფართობი 912,367 კვ.მ-ს შეადგენს. მათ შორის 46% (328,598 კვ.მ) თანამედროვე მოდერნიზებული შენობაა, რომელთა 54% ქირავდება, ხოლო დანარჩენი მფლობელის სარგებლობაშია. საოფისე ფართების მიწოდება 2008 წლიდან მზარდი ტრენდით ხასიათდება და 2015-2017 წლებშიც ასეთი ტენდენციაა მოსალოდნელი.² უახლოეს მომავალში რამდენიმე ბიზნეს-ცენტრის გახსნა დაგეგმილი და ზოგიერთი ორგანიზაცია აპირებს ააშენოს თავისთვის საოფისე შენობები. ამასთანავე, მიმდინარეობს საუბრები პანორამა თბილისის ბიზნეს-ცენტრის პროექტის მშენებლობაზე.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებს შორის, თბილისში ყველაზე ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი მოდერნიზებული საოფისე ფართები. საშუალოდ ყოველ 1,000 მოსახლეზე 1,510 კვ.მ. კომერციული ფართი მოდის, ხოლო თბილისში-329 კვ.მ. თუ გავითვალისწინებთ, თბილისის მოსახლეობის 3,4%-იან ზრდას ამ მაჩვენებლის სიდიდე 318,3 კვ.მ-მდე შემცირება. თანამედროვე, მოდერნიზირებულ ბიზნეს-ცენტრებზე მოთხოვნას ქმნიან საერთაშორისო კომპანიები და ადგილობრივი ძლიერი ფინანსური კორპორაციები. ქართული კომპანიების უმრავლესობას დაბალი კლასის საოფისე ფართებზე აქვთ მოთხოვნა.

თბილისში საოფისე ფართების ბაზარი განვითარების დაბალ დონეზეა. ინვესტორები საოფისე ფართების უძრავი ქონების ბაზარზე არ არიან აქტიურები და, შესაბამისად, არც დიდი მოცულობის ტრანზაქციები განხორციელებულა ამ მიმართულებით. კაპიტალიზაციის ხარისხი საოფისე ფართების ბაზარზე, 12%-დან იწყება, რაც აღემატება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქების საშუალო მაჩვენებელს(8.2%). 2008 წელს საოფისე ფართების გაქირავების საშუალო ფასი ყველაზე მაღალი იყო, 2010-2012 წლებში კი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2012 წლიდან საოფისე ფართების გაქირავების ფასი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 2014 წელს A კლასის ბიზნეს-ცენტრებში ქირის ფასი \$22 შეადგენს 1 კვ.მ-ზე და CEE-ს საშუალო მაჩვენებელს შეესაბამება. A- და B+ კლასის საოფისე ფართის გასაქირავებელი ფასი \$15 და \$14 -ია.³

აღსანიშნავია, მთავრობის გადაწყვეტილება უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავლის 5%-ით დაბეგვრის შესახებ, ნაცვლად 20%-სა. გადასახადის შემცირება განსაკუთრებით იქონიებს გავლენას კომერციული ფართების ბაზარზე. მოსალოდნელია მიწოდების რაოდენობის გაზრდა და ქირის ფასის შემცირება. უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვისას, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ სასტუმროების ბაზარზე. სასტუმროების გადახდისუნარიანობასა და სესხების დაფარვის შესაძლებლობაზე გავლენას ახდენს ქვეყანაში შემოსული ტურისტებისა და ვიზიტორების რიცხოვნობა.

2011-2014 წლებში არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობა საშუალოდ 27%-ით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობა კი - 21%-ით. 2014 წელს 5.5 მილიონი ვიზიტორი და 2.2 მილიონი ტურისტი შემოვიდა. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი წინა წლებთან შედარებით შენედა, თუმცა, Colliers International-ის პროგნოზით, 2015 წელს ეს

¹ Colliers International, Georgia | Residential Market Report 2014

² Colliers International, Tbilisi | Real Estate Market Report 2014.

³ Colliers International, Georgia | Office Market Report 2014.

მაჩვენებელი 6 მილიონამდე გაიზარდა. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ტურისტების 8-10%-იანი ზრდაა მოსალოდნელი.¹

2014 წლის ივნისში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება მიზნად ისახავს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. აღნიშნული ფაქტორი დადებითად იმოქმედებს ტურიზმის ზრდაზე, რადგან მრავლად დაიგეგმება კონფერენციები, შეხვედრები და ღონისძიებები. 2015 წელს საქართველო მასპინძლობს ახალგაზრდულ ოლიმპიადას, UEFA-ს სუპერ თასის ფინალს და EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრას და ბიზნეს - ფორუმს, რაც, რა თქმა უნდა, ტურიზმის ზრდას შეუწყობს ხელს.

სასტუმროს ოთახებზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდის პარალელურად, მიწოდების მხოლოდ 5%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც ბაზარზე ახალი კომპანიების შემოსვლას და ინვესტიციების განხორციელებას ასტიმულირებს. გაიზარდა სასტუმროს მიერ გაქირავებული ოთახების წილი ოთახების მთლიან რაოდენობაში და სასტუმროების დატვირთულობის მაჩვენებელმა თბილისში საშუალოდ 75%-ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებელი აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქალაქში, როგორცაა: რიგა, ბუქარესტი, ვილნიუსი, ზაგრები საშუალოდ 8%-ს შეადგენს.² სასტუმროები ყველაზე დიდი რაოდენობით თბილისსა და აჭარის რეგიონშია წარმოდგენილი. მომდევნო წლებში საქართველოს სასტუმროების ბაზარზე რამდენიმე ახალი კომპანია აპირებს შემოსვლას (Rixos, Intercontinental, Millennium, Hilton, Kempinski, Park Inn.), რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მიწოდების სიდიდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების ბაზრის ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდეგი სურათი: სამშენებლო სექტორი გააქტიურებულია, ბოლო წლებში გაცემული ნებართვები აღემატება წინა პერიოდის მაჩვენებელს, გაზრდილია დასრულებული მშენებლობების წილი. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი

ფინანსური სტაბილიზაციის უცხოური ინვესტიციები სამშენებლო სექტორში.

მოთხოვნის შესუსტებაზე გავლენა იქონია გაცვლითი კურსის გაუფასურებამ. 2015 წლის I კვარტალში 9,55%-ით შემცირდა განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ამავე პერიოდის განმავლობაში, წინა წლებთან შედარებით გაიზარდა ბინის ფასის ფარდობა შემოსავალთან, რაც გამოწვეულია დოლარში გამოსახული საშუალო ხელფასის შემცირებით. ამავდროულად, გაიზარდა ვალის მომსახურების კოეფიციენტი. მიგრაციული სალდოს უარყოფითი მაჩვენებელი უარყოფით გავლენას ახდენს უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სიდიდეზე.

კაპიტალიზაციის ხარისხსა და უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთს შორის განსხვავება, კვლავ მეტად მომგებიანს ხდის უძრავ ქონებაში ინვესტირებას, რაც მოთხოვნის მასტიმულირებელია. გაზრდილია იპოთეკური სესხების ოდენობა და, ამავდროულად, უმოქმედო სესხების წილი შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

¹ Colliers International, Georgia | Hotel Market Report 2014.

² Colliers International, Georgia | Hotel Market Report 2014.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზღანშარი ო., მაკროეკონომიკა, მეხუთე გამოცემა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
2. <https://www.nbg.gov.ge>, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბოლო ვიზიტი 15.05.2015, 11:45
3. <http://geostat.ge> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბოლო ვიზიტი 14.05.2015, 14:00
4. <http://napr.gov.ge> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ბოლო ვიზიტი 13.05.2015, 16:55
5. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2011, საქართველოს ეროვნული ბანკი.
6. <http://www.colliers.com/en-ge/georgia> ბოლო ვიზიტი: 20.04.2015, 10:30
7. <http://www.colliers.com/-/media/A6078EE509094D2BB1B839E79593D520.ashx?la=en-GE;>
Tbilisi | Real Estate Market Report 2014.
8. <http://www.colliers.com/-/media/E3A35E025102465598DE770AF3F2FA10.ashx?la=en-GE;> Georgia |
HotelMarket Report 2014.
9. <http://www.colliers.com/-/media/7127F4E400E546C28536B39D7DD9E4E2.ashx?la=en-GE;> Georgia | Office
MarketReport, 2014.
10. <http://www.colliers.com/-/media/68B44165406A433885F8E0609E21A425.ashx?la=en-GE;>
Georgia | ResidentialMarket Report, 2014.
11. <http://www.colliers.com/media/464CC228E7DF48349866825D94F58DEB.ashx?la=en-GE;>
12. Tbilisi | Residential | January-February 2015. SNAPSHOT

რეზიუმე

უძრავი ქონების ბაზრის ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია შევავსოთ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის შესაძლო რისკები, რაც საკრედიტო რისკებს უკავშირდება. ლარის კურსის შემცირების გამო, უძრავ ქონებაზე მოთხოვნამ იკლო, რადგან ტრანზაქციები ძირითადად დოლარით ხორციელდება, ასევე მაღალია დოლარიზაციის კოეფიციენტი იპოთეკურ სესხებში, ხოლო შემოსავლები კი - ლარშია. თუ მსესხებლები ვერ შეძლებენ ვალის მომსახურებას და, ამავდროულად, უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სიდიდე არ გაიზრდება, ბანკების საგირავნო აქტივების ლიკვიდობა, მოთხოვნის სიმცირის გამო, შემცირდება.

მოსალოდნელია ბინის გასაყიდი ფასების შემცირება, რაც ბანკის საგირავნო აქტივების ღირებულების შემცირებას ნიშნავს, შესაბამისად გაიზრდება სესხების რისკიანობა.

სასტუმროების ბიზნესში რისკები არ იკვეთება, რადგან ტურიზმი სტაბილურად იზრდება და სასტუმროები მაღალი დატვირთვით მუშაობს.

სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა

მარიამ ჭანტურია,

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი, ასისტენტ პროფესორი მანანა ლობჯანიძე

სიღარიბის ინდიკატორები და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში. საზოგადოება მუდმივად დგას ისეთი სოციალური რისკების წინაშე, როგორცაა სიღარიბე და უმუშევრობა. სახელმწიფოს ვალდებულებაა საზოგადოება დაიცვას აღნიშნული რისკებისგან.


საქართველოსათვის სიღარიბე უმწვავესი სოციალური პრობლემაა. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ბიურო სიღარიბის აბსოლუტურ მაჩვენებლებს მხოლოდ 2007 წლიდან აქვეყნებს. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის მონაცემებით, 2000 წელს საქართველოში სიღარიბის დონე 51,8% იყო, 2001-ში -51,1%, 2002 წელს- 51,2%, ხოლო 2003 წელს მაქსიმუმს მიაღწია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილმა - 54,4%-ით.¹ მოგვიანებით, სიღარიბის დონის გაანგარიშების მეთოდოლოგია შეიცვალა, რამაც გამოიწვია 2004 წელს მკვეთრად შემცირებული მონაცემის ჩვენება, სიღარიბის დონე 24,6%-ს გაუტოლდა. ცვლილების არსი გამოიხატებოდა სიღარიბის დონის გამოთვლისას ღარიბი მოსახლეობის ხვედრითი წილის შეფარდებით მთელს მოსახლეობასთან, წინა მეთოდით კი ღარიბი შინამეურნეობების ხვედრითი წილი გამოითვლებოდა ყველა შინამეურნეობაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მნიშვნელოვნად უარესდებოდა სიღარიბის სიღრმისა და სიმწვავეს მაჩვენებლები 2005 წლამდე, თუმცა 2005 წლიდან მათი შემცირების ტენდენცია შეინიშნება და უკანასკნელი მონაცემების მიხედვით 6.6% და 3.1% -ია (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1

სიღარიბის მაჩვენებლები

(მონაცემები მოყვანილია მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ)



როგორც აღინიშნა, წინა წლებთან შედარებით სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა, თუმცა სიღარიბის პრობლემა დღესაც ძალიან მწვავედ დგას. სიღარიბის დონე საქართველოში მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2012 წელს 14,8%³ იყო, რაც „საქსტატის“ მონაცემებისგან განსხვავდება. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, იმავე წელს, სოფლის მოსახლეობის 18,8%, ხოლო ქალაქის მოსახლეობის 10,5% ადამიანი სიღარიბეში ცხოვრობდა. შესაბამისად, სოფელში სიღარიბის დონე უფრო მაღალია, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სოციალური სააგენტო, რომლის მონაცემებსაც იყენებს „საქსტატი“, მხოლოდ სოციალური შემწეობების მიმღებ პირთა რაოდენობას ასახავს და, შესაბამისად, ღარიბად თვლის მას, ვინც სოციალურ დახმარებას იღებს და მისი მონაცემები განსხვავდება რეალური მაჩვენებლისგან. კერძოდ, 2013 წლის მონაცემების მიხედვით მოსახლეობის 9,7%

¹ ევროპის კომისიის დოკუმენტი, 2011 - “სოციალური დაცვა და სოციალური პოლიტიკა საქართველოში”

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

³ მსოფლიო ბანკის მონაცემი: <http://data.worldbank.org/indicator/SI.POV.NAHC/countries/GE?display=graph>

იღებს სოციალურ შემწეობას, თუმცა, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც მიმართეს სოციალური მომსახურების სააგენტოს შემწეობის დანიშვნის თხოვნით, გაცილებით მაღალია, ანუ იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც თავს ღარიბებად თვლიან, 2013 წლის მონაცემებით, მოსახლეობის დაახლოებით 36.8%-ს შეადგენს.

სიღარიბის ინდიკატორებზე გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სოციალური ინდიკატორები, რომელთა მეშვეობით ვანალიზებთ არსებულ მონაცემებს. მოცემული სოციალური ინდიკატორები თანხვედრაშია ევროკავშირის სოციალური ინდიკატორების სისტემასთან.

ცხრილი 1

სიღარიბის ძირითადი სოციალური ინდიკატორები

მაჩვენებლები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მთლიანი შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე, ლარი	1987.6	2318.5	2728.5	3204.2	3881.1	4294.3	4056.5	4675.7	5447.1	5818.8	5987.6
საშუალო ნომინალური ხელფასი, ლარი	101.5	156.6	204.2	277.9	368.1	534.9	556.8	547.6	636	712.5	773.1
საარსებო მინიმუმი, ლარი	-	84.3	95.6	99.3	120.9	123.1	133.8	134.3	157.8	151.1	149
უმუშევრობის დონე %	11.5	12.6	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15	14.6

როგორც აღვნიშნეთ, სიღარიბის დონე რეალურად დიდად მაღალია იმ მონაცემებთან შედარებით, რასაც ოფიციალური სტატისტიკა გვაწვდის. სიღარიბის დონის მატების ერთ-ერთ მიზეზს საქართველოში უმუშევრობა წარმოადგენს, რომლის შესახებაც მონაცემები მოყვანილია სოციალური ინდიკატორების ცხრილში და Ut¹ 2003 წელთან შედარებით გაზრდილია და 14,6%-ს შეადგენს. ზოგადად, უმუშევრობისა და სიღარიბის დონეს შორის კორელაცია არსებობს, უმუშევრობის ზრდა სიღარიბის ზრდას იწვევს. თუ სიღარიბეზე მსოფლიო ბანკის მონაცემებით ვიმსჯელებთ, საქართველოში ამ ორ მაჩვენებელს შორის დამოკიდებულება ბოლო წლებში უცნაური დინამიზმით ხასიათდება. კერძოდ, მაჩვენებლების კორელირებით 2007-2012 წლებში ჩანს, რომ უმუშევრობის ზრდასთან ერთად მცირდებოდა სიღარიბის დონე, თუმცა რეალური დამოკიდებულების გასაგებად ხანგრძლივი პერიოდის მონაცემები გვჭირდება სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შესახებ ამ უკანასკნელის პოვნა კი შეუძლებელია, ვინაიდან საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში

¹ Ut- უმუშევრობის დონე

უმუშევრობის დონის შესახებ სტატისტიკა არ იწარმოებოდა. თუ 2004-2013 წლების სიღარიბის დონის საარსებო მინიმუმის მიმართ არსებულ მონაცემებს ავიღებთ¹ და ამ მაჩვენებელს უმუშევრობის დონესთან დავაკავშირებთ, რეგრესიის შეფასებული მოდელი ასე ჩაიწერება: $Y=0,2581+0,8451U$ ანუ, უმუშევრობის დონის (U) 1%-ით ზრდა საშუალოდ სიღარიბის 0,8451%-ით ზრდას იწვევს.

ცხრილი 2

უმუშევრობისა და სიღარიბის დონე (%)

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
უმუშევრობის დონე%	12,6	13,8	13,6	13,3	16,5	16,9	16,3	15,1	15	14,6
სიღარიბის დონე %	35,7	39,4	38,5	38,9	39,2	39,4	39,7	38,5	36,7	36,9

აღსანიშნავია, რომ რეალური რეგრესიის შეფასების მოდელის ასაგებად აღნიშნული მონაცემების რაოდენობა საკმარისი არ არის, თუმცა, ცალსახად ჩანს, რომ ბოლო პერიოდში უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წილი იზრდება. ამასთანავე, დღეს ერთ დასაქმებულზე საშუალოდ 3 სოციალურად დაუცველი პირი მოდის. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ რეალური ხელფასების ზრდის მიუხედავად, სიღარიბის დონე მწვავე პრობლემაა ისევ. 1998 წელთან შედარებით 9-ჯერ გაიზარდა რეალური ხელფასების დონე. მიუხედავად ამისა, რეალური ხელფასები არ მიმართულა სიღარიბის წინააღმდეგ და ეს განპირობებული იყო დასაქმების დონის შემცირებითა და თვითდასაქმების დონის ზრდით. ამასთანავე, ხელფასების ზრდა დაკავშირებული იყო მხოლოდ რამდენიმე სექტორთან და არ არსებობდა ზრდით მიღებული სარგებლის დაბალშემოსავლიან (ხშირ შემთხვევაში სოფლის) მოსახლეობაზე გადანაწილების ეფექტური მექანიზმები. სოფლებში თვითდასაქმების დონის ზრდა კი შემოსავლების კუთხით საქართველოში უთანასწორობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

შემოსავლების უთანასწორობის ამსახველ კრიტერიუმს ჯინის კოეფიციენტი წარმოადგენს, საქართველოში 2013 წლის მონაცემებით იგი 0,40-ს შეადგენს. აქედან მთლიანი შემოსავლების მიხედვით იგი 0,42 - ია, მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით- 0,46, მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით -0,40, მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით- 0,47, ხოლო მთლიანი ხარჯების მიხედვით - 0,44. ეს უკანასკნელი კი, სტატისტიკოსების აზრით, თუ 0,40-ზე მეტია, სერიოზულ პრობლემებზე მიუთითებს ქვეყანაში, კერძოდ, ქონებრივი და საშემოსავლო დიფერენციაციის მაღალ დონეზე.²


ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა შემოსავლების უთანასწორობის გამომწვევი მიზეზების შესახებ 2009 და 2011 წლების მაჩვენებლების მიხედვით და გარკვეული დასკვნებიც გამოიტანა, მაგალითად, 2011 წელს ჯინის კოეფიციენტის 10%-ით შემცირება იქნებოდა შესაძლებელი თუ ტრანსფერების მიმღებთა შემოსავალი 1%-ით გაიზრდებოდა.

¹ წყარო: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

ასევე, უთანასწორობა დაახლოებით 5%-ით შემცირდებოდა, თუ სოფლის მეურნეობიდან ნატურით მიღებული შემოსავლები 1%-ით გაიზრდებოდა.¹

სიღარიბის დონის განხილვისას მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ფონდების კოეფიციენტიც, იგი ასახავს ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10%-ს, ყველაზე ღარიბი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლებთან ფარდობას. 2011 წლის საშუალო შემოსავლების მიხედვით ეს კოეფიციენტი 16:1 იყო, რაც ნორმირებულზე მაღალია (10:1). აღნიშნული ფაქტი კი თვალნათლივ ჩანს ლორენცის მრუდის მეშვეობით.



გაეროს ფონდის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, უთანაბრობა შემოსავლებში გარკვეულწილად მსოფლიოს ყველა რეგიონში შემცირდა.

მნიშვნელოვანია, რომ გაეროს ფონდის მონაცემებით, ბავშვთა სიღარიბის დონე განსაკუთრებით აქტუალური პრობლემაა საქართველოში, კერძოდ, ბავშვების 6% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.²


საქართველოში არსებული ფისკალური პოლიტიკა. ფისკალური პოლიტიკა სიღარიბეზე მოქმედ ინსტრუმენტთაგან უმნიშვნელოვანესია. სახელმწიფოს მიერ გატარებული ფისკალური პოლიტიკა დაფუძნებული უნდა იყოს გარკვეული ბალანსის შენარჩუნებაზე მოსახლეობის სოციალურ დაცვასა და კრიზისიდან გამოსვლის აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკას შორის.

საქართველოში არსებული სოციალური პოლიტიკის სისტემა მოიცავს: სოციალურ დაზღვევას, სოციალურ დახმარებებს, შეღავათებს, შემწეობებსა და სოციალურ სერვისებს. ზოგადად, სოციალური ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში 2014 წლის ბიუჯეტის მიხედვით 34% იყო, ხოლო 2015 წლის გეგმის მიხედვით 33,6%, თუმცა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით სოციალური ხარჯების მოცულობა 127 მილიონით ლარით(4,77%) იზრდება.

¹ ISET კვლევითი ინსტიტუტი, სტატია „უფრო თანასწორი საქართველოსკენ“


² ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი ” ბავშვთა სიღარიბე და სოციალური დაცვის სისტემა”

სოციალური ხარჯების წილი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების მიმართ



ზოგადად, ბიუჯეტი საქართველოში სულ უფრო მეტად სოციალურად ორიენტირებული ხდება. სოციალური ხარჯების ზრდის ტემპის მატება ეკონომიკური ზრდის ტემპსაც აღემატება ბოლო პერიოდში.

მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა შედარება მსოფლიო ბანკის სიღარიბის კვლევასთან




აღსანიშნავია, რომ 2009 წელს ეკონომიკური ზრდის კუთხით რეგრესი იყო, თუმცა სოციალური ხარჯების მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ბრიტანელი მეცნიერ-ეკონომისტების ალან პეკოკისა და ჯეკ ვაისმანის თეორია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ხარჯები ომისა და კრიზისების პერიოდში ნახტომისებურად იზრდება.

საქართველოში სოციალური პოლიტიკის უმთავრეს ასპექტს სოციალური დახმარებები წარმოადგენს, რომელიც ყველაზე ღარიბი ფენებისკენაა მიმართული. შექმნილია მოწყვლადი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ღარიბ ოჯახებზე,

რომლებმაც სახელმწიფოსგან სოციალური დახმარება მოითხოვეს. დღეს არსებული მეთოდოლოგიით თითოეულ ოჯახს შესაბამისი ქულის მინიჭების საფუძველზე ენიშნება დახმარება. არსებული სოციალური პოლიტიკის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამა, კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვა, განსაკუთრებით წარმატებულია.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საზოგადოებას, სოციალური პოლიტიკა დახვეწას საჭიროებს, რადგან მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით სოციალურ დახმარებას რეგიონებში ღარიბი მოსახლეობის მცირე ნაწილი იღებს. მიზნობრივი სოციალური დახმარების მონაცემების მიხედვით შიდა ქართლი ყველაზე ღარიბი რეგიონია.

მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა შედარება მსოფლიო ბანკის სიღარიბის კვლევასთან



საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამების საკანონმდებლო ბაზა, სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლისას, გათვალისწინებულია „დასაქმების შესახებ კანონში“, რომლითაც განისაზღვრა დასაქმების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. თუმცა, ამ კანონმა მოქმედება შეწყვიტა „საქართველოს შრომის კოდექსის“ ძალაში შესვლისთანავე. ეს უკანასკნელი კი დაქირავებულთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე არსებითად ზრდიდა დამქირავებლის უფლებებს. მართალია, ეს ბიზნესის განვითარებას უწყობდა ხელს, თუმცა დაქირავებულები თავს დაუცველად გრძნობდნენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, არა მარტო უმუშევართა სოციალური დაცვის სისტემის დახვეწა, არამედ დასაქმებულთა უფლებების დაცვა, რათა შედეგად არ მივიღოთ გაზრდილი უმუშევრობა.

ფისკალური პოლიტიკის როლი სიღარიბის დაძლევაში მნიშვნელოვანია სხვა კუთხითაც. ეფექტური ფისკალური პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს კერძო სექტორის განვითარებას, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რაც რეალური დასაქმების ადგილებს შექმნის და სიღარიბის ღონის შემცირებას შეუწყობს ხელს. მსგავსი ფისკალური პოლიტიკა საქართველოში ტარდება „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის

სამთავრობო პროგრამის” შესაბამისად, რომლის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარია.¹ სიღარიბეზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკის შემდეგ უმთავრეს ინსტრუმენტს საგადასახადო სისტემა წარმოადგენს. ცხოვრების დონის გაუარესება და სიღარიბის ზრდა ბევრი ფაქტორითაა განპირობებული. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ბაზარი შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას ვერ უზრუნველყოფს. ამ კუთხით საქართველოში მოქმედებს დაუბეგრავი მინიმუმი, რომელსაც იღებს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა შემოსავალი წლის განმავლობაში 6000 ლარზე ნაკლებია.

სიღარიბეზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის გზები. მიმდინარე სოციალური პოლიტიკის გამოკვლევამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნები საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის შესახებ, გამოგვეკვეთა პრობლემები და დაგვესახა მათი გადაჭრის გზები. დასკვნები კი ასეთია: პირველ რიგში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება ავალდებულებს საქართველოს ევროკავშირთან სოციალური კონვერგენციის კუთხით მოახდინოს გარკვეული რეფორმები, როგორცაა: შრომის ბაზრის სრულყოფა, სოციალური დაცვის სისტემის მოდერნიზება, ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრა, განათლების სისტემის ცვლილება, მოქალაქეთა უზრუნველყოფა შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით და სხვა ტიპის ცვლილებები.

უკვე აღვნიშნეთ, რომ სოციალური დახმარებების გაცემის პროგრამა გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს. სისტემა, რომლის მიხედვითაც ფუნქციონირებდა დღემდე სოციალური დახმარებების გაცემა და სოციალურად დაუცველთა განსაზღვრა, არაგამჭვირვალე და სუბიექტურობით გამოირჩეოდა, ასევე, აქამდე არსებული სოციალური პოლიტიკით სეზონური დასაქმების შემთხვევაში ადამიანებს დახმარებები უუქმდებოდათ, რაც დასაქმების სტიმულს ამახინჯებს. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით გარკვეული რეფორმა ტარდება და დაგეგმილია არსებული სისტემის მოდიფიცირება.

ზოგადად, სიღარიბის დაძლევისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს მოსახლეობის განათლების დონე, დასაქმება და ჯანმრთელობის დაცვა. განათლების დაბალი დონე სიღარიბის დონის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ დამატებითი ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით, სახელმწიფომ ხარჯების ზრდა უზრუნველყო, თუმცა სოციალური პოლიტიკა არ იყო სრულად ეფექტური, მნიშვნელოვანია იმ ოჯახების უფრო მეტად დახმარება, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა შესაბამისი საოჯახო ნივთების შეძენის. ოჯახებს, რომელთაც აქვთ საკმაოდ მაღალი შემოსავალი სახელმწიფოს მხრიდან ნაკლებად ესაჭიროებათ აღნიშნული დახმარება.

საქართველო იმ იშვიათ ქვეყნებში შედის, სადაც უმუშევრობის დაზღვევა და მინიმალური ხელფასი არ არის განსაზღვრული. საქართველოში სიღარიბეს, მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, სწორედ უმუშევრობა იწვევს, ამიტომ, მნიშვნელოვანია უმუშევრობის დაზღვევის სისტემის არსებობა და მინიმალური ხელფასის დადგენა საარსებო მინიმუმის დონეზე. საქართველოში, შემოსავლების გადანაწილების მოდელის ტრანსფორმაცია აუცილებელია, დაუბეგრავი მინიმუმი საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, პროგრესული

¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, <http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelosi-mikro-da-mcire-mewarmeobis-xelsewyobis-samtavrobo-programa-amogmedda>

დაბეგვრის შემოღება, რადგან გარდამავალ პერიოდში ფაქტობრივად მდიდრებად და ღარიბებად დაიყო საზოგადოება და საშუალო ფენა სადღაც გაქრა. აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია შემოსავლების იმ ტიპების დადგენა, რომლებიც ძლიერ ზემოქმედებს უთანასწორობაზე. სუბსიდიების, გადასახადებისა და სხვა ხერხებით უთანასწორობაზე მძლავრად მოქმედი შემოსავლების კომპონენტების მანიპულირებაც მარტივია.

ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას მნიშვნელოვანია არა მარტო სოციალური პროგრამების განხორციელება, არამედ ისეთი პროექტების დაფინანსება, რომელიც საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებასა და სტაბილურობას, მაგალითად, ინოვაციური პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, ფუნდამენტური მეცნიერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა.

ნებისმიერი ტიპის სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობის დონის ზრდა, ვინაიდან, საზოგადოების კრიტიკის საფუძველს წარმოადგენს ნებისმიერი ტიპის სოციალური პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2014 წლის სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში; „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“.
2. გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF -ის კვლევა „ბავშვთა სიღარიბე საქართველოში“ -2013.
3. შუალედური ანგარიში საქართველოს შესახებ, „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება 2007 წელს“. ევროკომისიის დოკუმენტი-SEC (2008).
4. საქართველოს მთავრობა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი - საქართველოს 2020“
5. გელიტაშვილი ნ., „ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში“, თბ., 2011.
6. ევროპის კომისიის შემაჯამებელი დასკვნა სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, თბ., 2011.
7. საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო, თბ., 2020.
8. მესხია ი., „სიღარიბის დაძლევა, როგორც სოციალური უსაფრთხოების მთავარი ინდიკატორი“. თბ., 2000.
9. UNU-WIDER Institute’s research about“ Fiscal Policy For Poverty Reduction, Reconstruction, and Growth“.
10. The Brookings Institution; Laurenze Chandy and Geoffrey Gertz; Research about „Poverty In Numbers : The Changing State of Global Poverty From 2005 To 2015“
11. Caucasian Institute For Economic And Social Research: „აღმოსავლეთის პარტნიორობა და საქართველოს სოციალური პოლიტიკა“.
12. The World Bank Group, პრესრელიზი
13. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo
14. <http://www.worldbank.org/en/country/georgia>
15. <http://mof.ge/>
16. <http://ssa.gov.ge/>

რეზიუმე

საქართველოში სიღარიბე უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. მის გამომწვევ მიზეზებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია - უმუშევრობა. არსებულ მონაცემთა

ბაზაზე დაყრდნობით და ჩვენი გამოთვლებით, უმუშევრობის 1%-ით ზრდა დაახლოებით 0.85%-ით ზრდის სიღარიბის დონეს საქართველოში. ამჟამინდელი ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით გარკვეულწილად სიღარიბის ნეგატიური ეფექტების კომპენსირება ხერხდება, თუმცა მისი დახვეწა აუცილებელია. მნიშვნელოვანია, რომ ფისკალური პოლიტიკა დაფუძნებული იყოს მოსახლეობის სოციალურ დაცვასა და კრიზისიდან გამოსვლის აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკას შორის ბალანსის შენარჩუნებაზე.

ტრანსნაციონალური კომპანიების როლი ეკონომიკის გლობალიზაციაში

გიორგი ხასაია

მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი

მსოფლიოში, ნებისმიერ მოვლენასა და პროცესზე დღითი-დღე იზრდება ეკონომიკის გლობალიზაციის გავლენა, რასაც ამ უკანასკნელის საყოველთაო განაპირობებს. ამ პროცესს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები გააჩნია. შეიძლება ითქვას, რომ დადებითი მხარეები მთლიანობაში აჭარბებს მის უარყოფით მხარეებს, ამ შემთხვევაში ძირითადად ვისაუბრებთ იმ ძირითად გარემოებასა და პროცესზე, რამაც ეკონომიკის გლობალიზაციამდე მიგვიყვანა. ტრანსნაციონალური ომპანიები, მთელი ამ პროცესების ბირთვი და მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მათ ინტერესებში შედის, ეკონომიკის გლობალიზაცია, რათა მთელ რიგ უპირატესობებს დაეუფლონ. ეს კომპანიები არსებობდნენ მანამ, სანამ ეკონომიკის გლობალიზაციის ინტენსიური ზრდა და დაჩქარება დაიწყებოდა. სწორედ მათმა ქმედებებმა შეუწყვეს ხელი ამ პროცესის დაჩქარებას და განვითარებას. პ.დიკენის მიხედვით, ტრანსნაციონალური კომპანიები გლობალური ეკონომიკის უპირველესი მამოძრავებელი და ჩამომყალიბებელი არიან.

ეკონომიკის გლობალიზაციის არსი. ეკონომიკის გლობალიზაცია, ზოგადი გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილი, საფუძველი და მთავარი განმსაზღვრელი მომენტი¹. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით „გლობალიზაციის“ ცნება წარმოიშვა ინგლისური სიტყვისგან „Globe“, რაც ნიშნავს დედამიწას, სფეროს, გლობუსს. გლობალიზაციის მსგავსია „მონდიალიზაცია“, რომელიც წარმოიშვა ფრანგული სიტყვისგან „Monde“ და ნიშნავს მსოფლიოს. „გლობალური“ ნიშნავს ყოვლისმომცველ, მსოფლიო, ზოგადპლანეტარული ხასიათის მქონე მოვლენას.

ამერიკელი მეცნიერი თ.ფრიდმანი გლობალიზაციას განსაზღვრავს, როგორც „ბაზრების, ეროვნული სახელმწიფოებისა და ტექნოლოგიების უკიდურეს ინტეგრაციას, რომელიც საშუალებას აძლევს ინდივიდებს, კორპორაციებსა და ეროვნულ სახელმწიფოებს მიაღწიონ

¹ მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009, გვ.5.

მსოფლიოს ნებისმიერ წერტილს უფრო სწრაფად, ღრმად და იაფად“.¹

ტერმინი „ეკონომიკის გლობალიზაცია“ პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა თ. ლევიტმა 1983 წელს და გულისხმობდა ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების ურთიერთშერწყმის ფენომენს. გლობალიზაციის ცნება ფართო გაგებით გამოიყენება 1990 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის იაპონელმა კონსულტანტმა კ.ომემ გამოაქვეყნა წიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე“. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ლ.ტუროუს სიტყვებით, ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს, რომ „დღეს შეგიძლია აწარმოო რაც გინდა, სადაც გინდა და წარმოებული პროდუქტი გაყიდო ნებისმიერ სხვა ადგილას“. გლობალური ეკონომიკა კი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაა, განხილულია არა როგორც მასში შემავალი ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობა, არამედ რეალური დროის რეჟიმში ფუნქციონირებადი ერთიანი ეკონომიკური სისტემა. კალიფორნიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი მ. კასტელი აღნიშნავს: „გლობალური ეკონომიკა ეს არის ეკონომიკა, რომელსაც როგორც ერთიან სიტემას, შეუძლია მუშაობა რეალურ დროში და მთელი პლანეტის მასშტაბით“. ცნობილი ფინანსისტის ჯ. სოროსის აზრით, ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს „ეროვნულ ეკონომიკაზე გლობალური ფინანსური ბაზრებისა და ტრანსეროვნული კორპორაციების მზარდ და დომინირებად ზეგავლენას“. რუსი ეკონომისტი მ.დელიაგინი ეკონომიკის გლობალიზაციის განმარტებაში ყურადღებას ამახვილებს ერთიანი ფინანსურ-ინფორმაციული სივრცის ფორმირებაზე და აღნიშნავს, „გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილება მოიცავს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქონლის, კაპიტალის, შრომისა და ინფორმაციის მრავალჯერ გაზრდილ ნაკადებს ქვეყნებს შორის“. იგი გულისხმობს აგრეთვე საწარმოო პროცესების ინტერნაციონალიზაციის ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების საერთაშორისო დანაწილების ჩათვლით. მთლიანობაში გლობალიზაცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც ეროვნული ეკონომიკის ურთიერთკავშირის, ურთიერთზემოქმედებისა ურთიერთ- გადაჯაჭვის გაძლიერების პროცესი². სხვადასხვა მეცნიერის მიერ, გლობალიზაციის შესახებ გაკეთებული განმარტებების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკის გლობალიზაცია არის საზღვრების გარეშე მსოფლიოში, დროისა და სივრცის შეკუმშულობის პროცესში, საქონლისა და მომსახურების წარმოების, გაყიდვისა და გადაადგილების პროცესის უწყვეტი ციკლის განმაპირობებელი ფაქტორი, რომელშიც ტრანსეროვნული კორპორაციების მზარდი და დომინირებადი ზეგავლენა დღითიდღე იზრდება.

გლობალური ეკონომიკა ეროვნულ ეკონომიკებთან ერთად მოიცავს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებს, აქედან კი განუზომლად დიდია ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი ეკონომიკის გლობალიზაციაში.

ტრანსნაციონალური კომპანიების რაობა. ტრანსნაციონალური კომპანია არის ფირმა, რომელიც ერთზე მეტ ქვეყანაში მუშაობის შედეგად იღებს კვლევისა და განვითარების, წარმოების, მარკეტინგულ და ფინანსურ უპირატესობას, ხარჯებისა და რეპუტაციის მხრივ, რაც მხოლოდ ქვეყნის შიგნით მოქმედი კონკურენტებისათვის მიუწვდომელია.

¹ Fridman Th., Understanding Globalization. The Lexus and the Olive Tree, NY, 2000, P. 67.

² მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009., გვ.11-12.

გაეროს მიერ შემუშავებული ტრანსნაციონალური კორპორაციების კოდექსის თანახმად, მათთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- კომპანიის წლიური გაყიდვების მოცულობა 1 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი;
- კომპანიის ფილიალები არანაკლებ 6 ქვეყანაში;
- კომპანიის უცხოური აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებთან არანაკლებ 25-30%;
- კომპანიის რეალიზაციაში საგარეო ბაზრის წილი არანაკლებ 20-30%.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებში, ისევე როგორც ქვეყანათა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ტრანსნაციონალური კომპანიების როლი და ადგილი მნიშვნელოვნად იზრდება. ასეთი კომპანიები გლობალიზაციის პროცესს აღრმავებენ და უფრო მასშტაბურს ხდიან. ტრანსნაციონალური კომპანიების უმეტესობას საზღვარგარეთ აქვს ფილიალებისა და გაყიდვების დიდი ნაწილი, სწორედ ასეთი კომპანიებია გლობალური ურთიერთობების ნაწილი. მსოფლიოს უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების გაყიდვების მოცულობა, ხშირ შემთხვევაში, ბევრჯერ აღემატება ზოგიერთი ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობას. მსოფლიოს 20 უდიდესი ტრანსნაციონალური კომპანიის ბრუნვა ბევრჯერ მეტია, ვიდრე მსოფლიოს 80-ზე მეტი განვითარებადი ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი. ეს კომპანიები თანამედროვე მსოფლიოში განვითარებული ქვეყნების გავლენის სფეროების გაფართოების ერთ-ერთ ინსტრუმენტად ითვლება და მათი უდიდესი ნაწილი, ხუთ ქვეყანაზე მოდის: აშშ, გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი სუბიექტები არიან ტრანსნაციონალური კომპანიები, ისინი მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ექსპორტის, ერთობლივი წარმოების თუ პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით. ნებისმიერი ტრანსნაციონალური კომპანია საერთაშორისო ვაჭრობას, საგარეო ბაზრებზე ექსპორტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ბოლო პერიოდში, ამ კომპანიების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, გეოგრაფია და მასშტაბები მნიშვნელოვნად იზრდება. აღსანიშნავია, რომ წამყვანი ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ წარმოებულ საქონელს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყოფითი მნიშვნელობაც კი აქვს, როგორც განვითარებულ, ასევე ყველაზე დაბალგანვითარებად ქვეყნებში. მოცემული კომპანიების რეალიზაციის ყველაზე დიდი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, მოსახლეობის მაღალი მსყიდველობითუნარიანობიდან გამომდინარე. ასეთი კომპანიებია: „ჯენერალ მოტორსი“, „კოკა-კოლა“, „სიმენსი“, „მაკდონალდსი“, „ნოკია“, „დაიმლერ-კრაისლერი“, „პროქტერ ენდ ქემბელი“, „აი ბი ემი“, „ქსეროქსი“, „ჯილექტი“, „ნესტლე“, „ფილიპსი“, „ალკატელი“, „ჰონდა“, „სონი“, „ბე ემ ვე“, „ვოლვო“, „მოტოროლა“, „ბოში“, „პორშე“, „ბი პი“, „ფორდი“, „კოდაკი“ და მრავალი სხვა. ამ კომპანიების „ეროვნულობა“ პირობით ხასიათს ატარებს და მასში იგულისხმება მისი მიკუთვნება რომელიმე სახელმწიფოსადმი. კომპანიის „ეროვნულობის“ განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმია პერსონალური სტატუსის განსაზღვრა.

ტერმინს „პერსონალური სტატუსი“ ცნობილი გერმანელი მეცნიერი ლეო რააპე განმარტავს, როგორც „იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის მიხედვითაც კომპანია წარმოიშობა, ფუნქციონირებს და კოტრდება“. არ არსებობს ერთიანი კრიტერიუმი, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავენ, რომელი ქვეყნის კუთვნილებაა ესა თუ ის კომპანია. გასული

საუკუნის გავლენიან ამერიკულ გამოცემაში „ვოლ სტრიტ ჯორნალ“-ში (Wall Street Journal), გამოქვეყნდა სტატია სათაურით - „მითი შექმნილი ამერიკის შეერთებულ შტატებში“ (The Myth of Made in the USA), სადაც აღნიშნულია, რომ იმ 10 250 დოლარიდან, რომელსაც „ჯენერალ მოტორსი“ ყოველი გაყიდული ავტომობილიდან იღებს, აშშ-ს რჩება მხოლოდ 4 000 დოლარი. დანარჩენი თანხა კი ასე ნაწილდება: 3 000 დოლარი მიდის სამხრეთ კორეაში, 1850 დოლარი - იაპონიაში, 700 დოლარი - გერმანიაში, 400 დოლარი სინგაპურსა და ტაივანში, 250 დოლარი - ინგლისში, 50 დოლარი - ირლანდიაში. ეს არის მოწოდებული ნაწილები და გაწეული მომსახურების ანაზღაურება. სად არის ეს მანქანა სინამდვილეში აწყობილი? - აშშ-ში თუ სხვა ყველა ჩამოთვლილ ქვეყანაში ერთად? დასმულია კითხვა გაზეთში. ამჟამად სულ უფრო მეტ პროდუქციას ადევს დამლა „დამზადებულია X კომპანიაში“ და არა დამზადებულია „X ქვეყანაში“. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ტრანსნაციონალურ კომპანიებს ფართოდ აქვთ ფესვები გადმული მთელს მსოფლიოში და ძნელია, ასეთი კომპანიის მიკუთვნება რომელიმე ქვეყნისადმი, თუმცა ამის მიუხედავად მაინც ხდება განსაზღვრა, რომელი ტრანსნაციონალური კომპანია, რომელ ქვეყანას ეკუთვნის.

2008 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ფუნქციონირებდა 82 ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კომპანია, 810 ათასი შვილობილი კომპანიით. მათზე მოდის ახალი პატენტებისა და ლიცენზიების 80%, ხორბლით, ყავით, სიმინდით, ხე-ტყით, თამბაქოთი მსოფლიო ვაჭრობის 90%. თანამედროვე ტრანსნაციონალურ კომპანიებში, გამოიყოფა გიგანტების მცირე, თუმცა უზარმაზარი პოტენციალისა და გავლენის მქონე ჯგუფი, რომელსაც ამოდრავებს გლობალური ინტერესები. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, მსოფლიო ბიზნესის გიგანტების „ჯენერალ მოტორსის“, „ფორდის“, „მიცუბისის“ და სხვა კომპანიების გაყიდვების მოცულობა აღემატებოდა მალაიზიის, ისრაელის, კოლუმბიის, ვენესუელას და ფილიპინების მთლიან შიგა პროდუქტს. უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე, ბევრი ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოს წარმოშობა, პირდაპირ უკავშირდება იმ ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას, რომლებმაც ამ ქვეყნებში განლაგეს საშუალო დონის ტექნოლოგიებზე დამყარებული თანამედროვე ტიპის საწარმოები. ტრანსნაციონალური კომპანიები, ისეთი ტიპის საწარმოებია, რომელთათვისაც უცხო ქვეყანაში საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. თანამედროვე ტრანსნაციონალური კომპანიების პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა „ზინგერი“, რომელმაც 1878 წელს პირველი ფილიალი გახსნა შოტლანდიაში. ტრანსნაციონალური კომპანიების წარმოშობა განხორციელდა ორი გზით: პირველი იყო ეროვნული საწარმოების ისეთი მასშტაბით ზრდა და გაძლიერება, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრები ვიწრო აღმოჩნდა მათთვის და საერთაშორისო მასშტაბით ექსპანსია დაიწყო. ამ ტიპის საუკეთესო მაგალითებია ამერიკული წარმოშობის კომპანიები: „ფორდი“, „ჯენერალ მოტორსი“, „მაგდონალდისი“, „კოკა-კოლა“ და სხვ. მეორე გზა არის სხვადასხვა ფირმების გაერთიანება და ამ გზით ე.წ. „მულტიეროვნული“ კორპორაციების შექმნა.

ტრანსნაციონალური კომპანიების ძირითადი თავისებურებანი. თანამედროვე, XXI საუკუნის ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურებანი:

- ქვეყანათაშორისი უპირატესობების გამოყენება;

- კაპიტალის მოძრაობა ტრანსნაციონალური კომპანიების ბაზირების ქვეყანაში მიმდინარე პოზიციებისგან დამოუკიდებლად;
- მაღალტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად დარგებში შეღწევა, რომლებიც დიდ ინვესტიციებსა და მაღალკვალიფიციურ პერსონალს საჭიროებენ;
- მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნა;
- გლობალური საწარმოო-სავაჭრო პოლიტიკა;
- საქმიანობის დივერსიფიკაცია;
- სტრატეგიული დაგეგმვა;
- კომპანიის შიგა ვაჭრობის გაძლიერება¹;
- რესურსების გამოყენების მაღალი ეფექტიანობა²;
- კაპიტალის სწრაფი აკუმულირების შესაძლებლობა;
- მრავალი ქვეყნის ფინანსური რესურსების, ფართო გამოყენების შესაძლებლობა;
- რესურსების ოპერატიულად მიმართვა იმ ქვეყნებში, სადაც მაქსიმალური მოგების მიღების ხელსაყრელი პირობებია³;
- გლობალური მასშტაბით, მარკეტინგული პოლიტიკის კოორდინაცია⁴.

ტრანსნაციონალური კომპანიები იღებენ დიდ მოგებას ეკონომიის ხარჯზე, რომელიც მიიღწევა შუალედური პროდუქციის მოცულობისა და მასშტაბების გაფართოების ან მისი ფუნქციური რგოლების მუშაობის ოპტიმიზაციის მეშვეობით. მსგავსი სტრატეგია საშუალებას აძლევს ფირმებს საწარმოო და ფუნქციური რგოლი განათავსოს იმ ადგილას, სადაც თვითღირებულებისა და შრომის მწარმოებლურობის შეფარდება შედარებით მისაღებია.

ტრანსნაციონალური კომპანიების დადებითი და უარყოფითი მხარეები. როგორც ვიცით, ყველა „მედალს“ აქვს ორი მხარე. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ტრანსნაციონალური კომპანიები არიან. ჩამოვყალიბოთ დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომელსაც ამ კომპანიის რეციპიენტი ქვეყნები იღებენ.

დადებითი მხარეებია:

- თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის დანერგვა;
- მმართველობითი გამოცდილების გაზიარება;
- თანამედროვე საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა;
- მოსახლეობის შემოსავლების ზრდა;
- მომხმარებლების გემოვნების დახვეწა;
- განათლების დონის ამაღლება;
- მონათესავე და ხელშემწყობი დარგების განვითარება;
- ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაჩქარება.
- უარყოფითი მხარეებია:
- ტრანსნაციონალური კომპანიის მიმღები ქვეყნის ეკონომიკა, დამოკიდებული ხდება ამ კომპანიების სიძლიერეზე;

¹ ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2006, გამ. უნივერსალი, გვ. 52.

² ჯამაგიძე ლ. ტრანსნაციონალური კომპანიების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, გამ. უნივერსალი, თბ., 2010, გვ. 184.

³ შენგელია თ. საერთაშორისო ბიზნესი გამ., უნივერსალი, თბ., 2011, გვ.134-135.

⁴ აზრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ., 2014, გვ. 182.

- გარემოს მზარდი დაბინძურება;
- ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლობა;
- ადგილობრივი კომპანიების ჩაძირვა ან მოგების მკვეთრი შემცირება, კონკურენციის ნიადაგზე;
- სოციალური პასუხისმგებლობისგან თავის არიდება.

რაც შეეხება პრობლემის გადაჭრის გზებს, მნიშვნელოვანია, რომ ამ კომპანიებს სახელმწიფოს მხრიდან დაეკისროს სოციალური პასუხისმგებლობის და გარემოს დაცვის ვალდებულების ტვირთვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს საზოგადოებას და გარემოს, მნელი აღმოსაფხვრელი იქნება. ნებისმიერი ბიზნესის სტემა, ბუნებრივ გარემოსთან კავშირში მოქმედებს და ამიტომ მისი დაარსებიდანვე უნდა განისაზღვროს გარემოსთან ურთიერთქმედების პრინციპები, სადაც უნდა დომინირებდეს ეკოლოგიური მიდგომა.

ტრანსნაციონალური კომპანიები საქართველოში. ისტორიულად, საქართველოში ევროპული კომპანიების დაინტერესების ძირითადი მიზეზი მისი გეოგრაფიული მდებარეობა იყო. ამიერკავკასიაში დამკვიდრების თვალსაზრისით, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნოდა გერმანული კომპანიების კაპიტალს. უცხოელთა შორის გერმანული კომპანიების წარმომადგენლებმა პირველებმა დაიწყეს კონკურენციული ბრძოლა ჭიათურის მანგანუმის წარმოებაში დასამკვიდრებლად. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურის მანგანუმს საერთაშორისო მასშტაბით. პირველ მსოფლიო ომამდე, ჭიათურა იძლეოდა მანგანუმის მსოფლიო ექსპორტის 30-50%-ს. გერმანიის მზარდი მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული ჭიათურის მანგანუმზე. 1912 წლისათვის, ჭიათურის მანგანუმის მთელი ექსპორტის 38% გერმანიაზე მოდიოდა. მანგანუმის მადანზე, გერმანიის მრეწველობის მოთხოვნის 60%-ს, ჭიათურა აკმაყოფილებდა.

2004 წლიდან, საქართველოს ბაზარზე აქტიურად შემოვიდა ბევრი საერთაშორისო კომპანია. დიდი ბრიტანეთის კომპანიებმა შეიძინეს მანგანუმის საბადოები და ბათუმის პორტი. ჩეხურმა კომპანიებმა ინვესტიციები განახორციელეს ელექტრო-განმანაწილებელ ქსელსა და ჰიდროელექტროსადგურებში; ყაზახური ინვესტიციები განხორციელდა სატელეკომუნიკაციო პროექტებში; არაბული ინვესტიციებია უძრავი ქონების მსხვილ პროექტებში; უდიდეს საზღვარგარეთულ საბანკო კომპანიებს ფილიალები აქვთ საქართველოში და გეგმავენ ქსელების კიდევ უფრო გაფართოებას.

საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობები აქვთ ისეთ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, როგორცაა „მაიკროსოფტი“, ფრანგული სატელეკომუნიკაციო კომპანია „ალკატელი“, კომპანია „სამსუნგი“.

ასე რომ, საქართველოს ბაზრით მსოფლიოში ცნობილი კომპანიების დაინტერესება სულ უფრო იზრდება. მიუხედავად ამისა, სრულყოფილი მონაცემები საქართველოში წარმოდგენილი ტრანსნაციონალური კომპანიების შესახებ არ არსებობს. „UNCTAD“-ის ყოველწლიური მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშში წარმოდგენილია მონაცემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი უცხოური ტრანსნაციონალური კომპანიების ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების შესახებ. საქართველოსთვის მონაცემები არსებობს მხოლოდ 2005 წლის მდგომარეობით და აღნიშნულია, რომ ქვეყანაში მოქმედებს უცხოური ტრანსნაციონალური კომპანიების 190 განყოფილება.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის დაჩქარება, შეუქცევადი და სწრაფად პროგრესირებადი მოვლენაა, რადგან ეს კომპანიები გამუდმებით ცდილობენ მოგების ზრდას, რისთვისაც მათ თავიანთი რესურსების ეფექტიანად გამოყენება ესაჭიროებათ. ამისთვის კი, უნდა გამოიყენონ სხვადასხვა ქვეყნის პოტენციალი. ეს პროცესი ხელს შეუწყობს ეკონომიკის გლობალიზაციას. ჩვენი აზრით, ამ კომპანიების განვითარებასა და გავრცელებას ესაჭიროება მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან, ვინაიდან მათი მიღწევებით ვისარგებლებთ ყველანი. გვექნება უკეთესი ხარისხის პროდუქციაზე ხელმისაწვდომობა, კიდევ უფრო განვითარდება სატრანსპორტო, სატელეკომუნიკაციო სისტემები, ვისარგებლებთ უფრო მაღალი კლასის სამედიცინო მომსახურებით, საზოგადოებაში ამაღლება ცოდნისა და ინფორმირებულობის დონე და ა.შ. არსებობს მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ეს ფირმები არიან ექსპანსიონისტიები და ყველა კარი უნდა მიუხუროთ მათ, ჩვენი აზრით ეს მიდგომა არ არის სწორი, რადგან დავკარგავთ მრავალ შესაძლებლობას ანუ უარს ვიტყვით განვითარებაზე. ასეთი პოლიტიკით რომ ესარგებლათ ქვეყნებს, სავარაუდოდ არ გვეცოდინებოდა „კოკა-კოლას“ გემო, ვერ ვისარგებლებდით „პროქტერ ქემბელის პროდუქციით“, „ფორდის“, „მიცუბიშის“, „ბე ემ ვე“-ს, „მერსედეს“-ის და სხვა ცნობილი ფირმების ავტომანქანებით და ა.შ.

როგორც განხილულიდან ჩანს, ტრანსნაციონალური კომპანიები ყველანაირი კანონიერი მეთოდებითა და ხერხებით ცდილობენ გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, ფილიალების ქსელი და გაზარდონ მოგება. ამ კომპანიების გადმოსახედიდან, მსოფლიო ერთიან ბაზრად აღიქმება. ამიტომ, ამ კომპანიების ფილიალების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური კავშირების ზრდასა და ეკონომიკურ გადაჯაჭულობას, ეს კი ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მექვაბიშვილი ე., ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009.
2. ყორღანაშვილი ლ., საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები, თბ., გამ. უნივერსალი, 2009.
3. ჯამაგიძე ლ., ტრანსნაციონალური კომპანიების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, გამ. უნივერსალი, თბ., 2010.
4. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ., 2014.
5. შენგელია თ., საერთაშორისო, გამ., უნივერსალი, თბ., 2011.
6. ფუტკარაძე რ., ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2008.
7. Fridman Th., Understanding Globalization. The Lexus and the Olive Tree, NY, 2000.

რეზიუმე

ტრანსნაციონალური კომპანიებს პრობლემა რთული და მრავალწახნაგოვანია. სტატიაში, ჩვენი აზრით, რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს შევხებით, კერძოდ: ჩამოვყალიბეთ ეკონომიკის გლობალიზაციის არსი და მოვიყვანეთ სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებები ეკონომიკის გლობალიზაციის შესახებ, განვსაზღვრეთ ტრანსნაციონალური კომპანიების

რაობა და მათი ტრანსნაციონალური კომპანიებისადმი მიკუთვნების კრიტერიუმები, დავახასიათეთ ამ კომპანიების საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, სადაც უმნიშვნელოვანეს დადებით მხარედ მივიჩნევთ რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, უარყოფით მხარედ კი - მიმღები ქვეყნის ბუნებრივი გარემოს გაუფრთხილებლობას და მოკლედ მიმოვიხილეთ საქართველოში ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება.

ორგანიზაციული ცვლილებები და ორგანიზაციული განვითარება

თამარ ხვისტანი

ბაკალავრიატის II კურსის სტუდენტი,

მეცნიერ ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი

ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც ნებისმიერ ორგანიზაციაში, სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა მასშტაბით გამუდმებით მიმდინარეობს. ეს ასეც უნდა იყოს. თუმცა ის მოტივები, რის გამოც ცვლილებების ინიცირება ხდება, ან ის გზები, რომლითაც ამას მენეჯმენტი აკეთებს, ხშირად უფრო აზიანებს ხოლმე ორგანიზაციას, ვიდრე აუმჯობესებს და სიცოცხლისუნარიანს ხდის მას.

რას გულისხმობს ორგანიზაციული ცვლილებები? მას განმარტავენ როგორც ორგანიზაციის მიმდინარე მდგომარეობიდან სასურველ მდგომარეობაში გადაყვანის დინამიკურ პროცესს. ცვლილებებში იგულისხმება ხელმძღვანელის მიერ ორგანიზაციის მიზნების, სტრუქტურის, ამოცანების, ტექნოლოგიისა და ადამიანისეული რესურსებისთვის დამახასიათებელი ერთი ან მეტი შინაგანი ცვლადის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. კომპანიათა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება თანამედროვე ბიზნეს გარემოში მოითხოვს ცვლილებათა მუდმივ განხორციელებას. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ბიზნესის გლობალიზაცია და ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება მათ ბიძგს აძლევს რათა უპასუხონ თანამედროვე მოთხოვნებს.

კომპანიები სტრუქტურული ხასიათის ცვლილებებს უნდა ითვალისწინებდნენ უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობათა დელეგირების სისტემაში, საკოორდინაციო და ინტეგრაციულ მექანიზმებში, იერარქიულ სტრუქტურაში. ამ ტიპის ცვლილებები ყველაზე უფრო მეტადაა გავრცელებული და ის მიზნებსა და სტრატეგიაში განხორციელებული ცვლილებების ობიექტური შედეგია. განვითარების ახალი მიმართულებები ორგანიზაციებს ჰკარნახობს შექმნან ახალი ქვედანაყოფები, რომლებსაც დაეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ახალ პირობებში. ტექნოლოგიასა და ამოცანებში განსახორციელებელი ცვლილებები მოითხოვს ახალი მოწყობილობების ან მეთოდების დანერგვას სამუშაოთა წარმოების პროცესსა და სამუშაოთა წარმოების გრაფიკში, ნორმატივებსა და უშუალოდ სამუშაოს ხასიათში გასატარებელ ცვლილებებს. ტექნოლოგიაში განსახორციელებელმა ცვლილებებმა შეიძლება მოითხოვოს სტრუქტურისა და სამუშაო ძალის მოდიფიკაცია.

სტრუქტურული ცვლილებები მკაფიო გავლენას ახდენს ადამიანისეულ ფაქტორზე, ვინაიდან იწვევს ორგანიზაციაში ახალი თანამშრომლების მოსვლას და გარკვეულწილად დაქვემდებარების სისტემის შეცვლასაც.

შედარებით სუსტია სტრუქტურული ცვლილების გავლენა ტექნოლოგიაზე. ადამიანისეულ ფაქტორში განსახორციელებელი ცვლილებები გულისხმობს არსებული ქცევის წესების შეცვლას, ცვლილებებს ადამიანთა შესაძლებლობებში. ასეთი სახის ცვლილებები შეიძლება შეეხოს ტექნიკურ მომზადებას, პიროვნებათაშორის, ან ჯგუფურ ურთიერთობებს, მოტივაციას, სამუშაოს შესრულების ხარისხს, კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვა ასპექტებს.

ცვლილებების ეფექტიანი განხორციელება ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ყველაზე რთული, მაგრამ ამავე დროს ყველაზე პრესტიჟული ამოცანაა. ორგანიზაციული ცვლილებების დაგეგმვისას აუცილებელია დაზუსტდეს ის მიზეზები, რის გამოც ხდება ცვლილება. ცვლილებათა საჭიროება ყველაზე მეტად განსაზღვრულია პრიორიტეტების ცვლილებით. პრიორიტეტების ცვლილებას, თავის მხრივ, კონკურენტულ გარემოში მიმდინარე ცვლილებები, ორგანიზაციის ზომასა და საქმიანობის მასშტაბში მომხდარი ცვლილებები განაპირობებს. მეორე მიზეზი, რაც აუცილებლად ითხოვს სტრუქტურულ ცვლილებებს ორგანიზაციაში, მენეჯერული პოტენციალის ზრდაა, რომელიც ჩვენდა უნებურად, გვინდა თუ არ გვინდა, უწყვეტად მიმდინარეობს. იმის გამო, რომ იზრდება ლიდერული უნარ-ჩვევები, იხვეწება მართვის უნარები, ეს მენეჯერების მხრიდან ახალ როლს, გაზრდილ პასუხისმგებლობას საჭიროებს. მესამე - არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საჭირო ხდება სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება არის მუშაობის მეთოდებში, მიდგომებში, გამოყენებულ ტექნოლოგიებში მიმდინარე ცვლილებები. ის მიდგომა, ან ტექნოლოგია, რომლითაც ხორციელდება ესა თუ ის პროცესი, გავლენას ახდენს სტრუქტურაზე. როდესაც ამ მიდგომაში, ან ტექნოლოგიაში, მნიშვნელოვანი ცვლილება, ან ცვლილებები მიმდინარეობს, ეს მთელი სამსახურების მნიშვნელობას, დატვირთვას, დანიშნულებას ცვლის, ზრდის მას, ან საგრძნობლად ამცირებს. ამ ცვლილებებს აუცილებლად მოყვება გარკვეული შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებების საჭიროებაც.

ცვლილებათა განხორციელების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია პრობლემის დიაგნოსტიკა. ამ დროს მენეჯერი აგროვებს შესაბამის ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით განსაზღვრავს პრობლემის წარმოშობის რეალურ მიზეზებს, შემდეგ კი ეძებს სიტუაციის გამოსწორების გზებს. ჯერ უნდა განისაზღვროს მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილებების საჭიროება და შემდეგ შემუშავდეს ის მეთოდები, რომლითაც უნდა განხორციელდეს ორგანიზაციული ცვლილებები.

ქართულ კომპანიებში თვალში საცემია რეორგანიზაციის პროცესის ხანგრძლივობის ზრდის ტენდენცია. ჩვენთან კომპანიათა მენეჯერები ცვლილებათა განხორციელების საჭიროებას მხოლოდ პიროვნულ დონეზე აღიქვამენ. ცვლილებები არ ხდება მანამ, სანამ არ გამოიკვეთება კონფლიქტები, დაძაბულობის ზრდა და თანამშრომელთა ინიციატივიანობის შემცირება. სტრუქტურული ცვლილებები უმეტესად შემდეგი მიზეზების გამო ხორციელდება:

1. ტოპ-მენეჯმენტში ახალი კადრის მიღების ან ახალი მიმართულების შექმნისას (ეს ცვლილება შესაძლოა იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგის მომტანი);
2. მაღალი დონის მენეჯერის სამსახურიდან წასვლისას, რომლის დროსაც მენეჯმენტი ხშირად მიმართულების გაუქმების ან სხვა სამსახურთან მისი გართიანების შესახებ

გადაწყვეტილებას იღებს;

3. კონკურენტების მიერ განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები კომპანიას ჰკარნახობს განხორციელოს ანალოგიური, რაც უმეტეს შემთხვევაში არ ამართლებს.

ქართულ კომპანიებში მიმდინარე ასეთი ცვლილებები უმეტესად ორგანიზაციული გაუგებრობების, გადაწყვეტილებების მიუღებლობის პროცესის მიზეზი ხდება და თანამშრომლები უფრო მეტად დემოტივირებულები, დაძაბულები, ნაკლებად ინიციატივიანები და კონფლიქტურნი ხდებიან, ორგანიზაცია კი შესაბამისად უფრო მძიმე შედეგებს იღებს.

ზოგადად აღიარებულია, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ცვლილებებს ეწინააღმდეგება შედეგის განუსაზღვრელობისა და დანაკარგის მოლოდინის გამო, ცვლილებებისადმი დაქვემდებარებულთა წინააღმდეგობის დაძლევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლება და ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობა, დაქვემდებარებულთა ჩართვა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, დაქვემდებარებულთა მხარდაჭერა, მატერიალური სტიმულირება და, საჭიროების შემთხვევაში, იძულებაც კი.


ორგანიზაციული ცვლილებები შეიძლება იყოს ევოლუციური და რევოლუციური ხასიათის. ევოლუციური გარდაქმნები მიმდინარეობს ნელა და თანდათანობით, არ მოითხოვს ორგანიზაციული სტრატეგიისა და სტრუქტურის მკვეთრ ცვლილებებს. როცა აუცილებელი ხდება რევოლუციური ცვლილებები, ორგანიზაციები მიმართავენ რეინჟინინგს, რესტრუქტურირებას და ინოვაციას.

რეინჟინინგი წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტურ გადაფასებას და რადიკალურ ორგანიზაციას თანამედროვე ბიზნესის ისეთი საკვანძო მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, როგორცაა დანახარჯები, ხარისხი, მომსახურების დონე და ოპერატიულობა. მოცემულ განსაზღვრებაში ოთხი საკვანძო სიტყვა გვხვდება: ფუნდამენტური, რადიკალური, არსებითი და პროცესები. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს: 1. ფირმის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას; 2. წარმოების უფრო დახვეწილი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას; 3. ფირმის „მიახლოებას“ საბოლოო მომხმარებელთან. რეინჟინინგი შეიძლება განხორციელდეს როგორც მთლიანად ორგანიზაციის, ისე მისი ცალკეული ქვედანაყოფების მასშტაბით. სარგებელი, რომელიც ორგანიზაციამ შეიძლება მიიღოს რეინჟინინგის ხარჯზე, შემდეგია: იხვეწება მართვის სისტემები, იზრდება ეკონომიკური ეფექტიანობა, იზრდება საწარმოს სოციალური მნიშვნელობა, საწარმოს მიერ ინერგება მართვის ავტომატიზირებული სისტემა [ქეშელაშვილი გ., რეინჟინინგი და მისი გავლენა კომპანიის წარმატებაზე, საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა“, შრომების კრებული II, თბილისი, 2009, გვ. 269-275].

ორგანიზაციები, რომლებიც დროულად არ ატარებენ რეინჟინინგს, იძულებული ხდებიან მიმართონ რესტრუქტურირებას (ორგანიზაციული ინტეგრაციის დონის დაქვეითება, იერარქიული დონეებისა და ქვედანაყოფების გაუქმება, მომუშავეთა შემცირება და ა.შ რათა შემცირდეს ოპერაციული ხარჯები) ან ინოვაციას (ინოვაციათა კომერციალიზაცია, რომელიც ემყარება ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქტის შექმნა-დანერგვას) [ხომერიკი თ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2007, გვ. 105-106].

ორგანიზაციული ცვლილებები და ორგანიზაციული განვითარება არის პროცესი, რომელიც აერთიანებს ქვევის მეცნიერების ცოდნასა და პრაქტიკას, რათა დაეხმაროს ორგანიზაციას მიაღწიოს ეფექტიანობას როგორც ფინანსური, ისე სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ორგანიზაციის განვითარება ლოგიკური შედეგია ორგანიზაციაში გატარებული ცვლილებებისა, თუ ეს ცვლილებები სწორად იქნა დაგეგმილი და გატარებული. ორგანიზაციული განვითარება განსხვავდება სხვა დაგეგმილი ცვლილებებისგან, მაგალითად როგორცაა ტექნოლოგიური ინოვაცია, ტრენინგები, ან ახალი პროდუქციის განვითარება, რადგანაც ის ფოკუსირებას ახდენს ორგანიზაციის უნარის შეფასებაზე, მის მიმდინარე ფუნქციებსა და მიზნებზე. ორგანიზაციული განვითარება და ცვლილებები ორიენტირებულია მთლიანი ორგანიზაციული სისტემის გაუმჯობესებაზე. ორგანიზაციული განვითარება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ცვლილებების სურვილი, პრობლემის გამოკვლევა, გადაწყვეტილების შესწავლა, მოსალოდნელი შედეგების შეფასება, გადაწყვეტილების განხორციელება, შესრულებული სამუშაოს შეფასება.

ორგანიზაციული ცვლილებებისა და რეორგანიზაციის საკითხების შესწავლამ „დავით გაგუას კლინიკის“ მაგალითზე ჩვენ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა. ჯერ შევისწავლეთ თუ ცვლილებების რომელ გზას ირჩევდა აღნიშნული კლინიკა. აღმოჩნდა, რომ კლინიკაში ცვლილებები ხორციელდება რესტრუქტურისაციის, რეინჟინინგისა და ინოვაციების ხარჯზე. ინტერვიუს დროს მენეჯერმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ კლინიკაში რამდენიმე თვეში ერთხელ ხდება ჯგუფების გადახარისხება და პერსონალის გადანაცვლება სხვადასხვა ჯგუფში სამუშაოდ (იხ. ნახაზი 1).



ნახ. 1. ორგანიზაციული ცვლილებები დავით გაგუას კლინიკაში

მნიშვნელოვანია ის ინოვაციები, რომელიც დავით გაგუას კლინიკაში მუდმივად ინერგება. აქ გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საშუალებას იძლევა. ბოლო პერიოდის გამორჩეული ინოვაციაა 4D რენტგენის აპარატი, რომელმაც გარკვეული ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება მოითხოვა. პირველ რიგში, ახალი განყოფილების შექმნა და ახალი კადრების მიღება. ეს ტექნოლოგია კლინიკისთვის საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა, რაც მისი შემოსავლების

მნიშვნელოვან ზრდაში აისახა. ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე: რამდენად არის შესაძლებელი, რომ ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვიოს რეორგანიზაცია, კლინიკის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, ხდება ხელფასის შემცირება და არა კვალიფიციური კადრების დათხოვნა სამსახურიდან. ამასთან, აღნიშნულ ორგანიზაციაში რეორგანიზაციის ჩატარებაზე პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები არ ახდენს გავლენას. ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი მისი აუცილებლობის განსაზღვრა და მოსალოდნელი შედეგების გაანალიზებაა.

ჩვენს მიერ შეწავლილ კომპანიაში ცვლილებათა განხორციელების მნიშვნელოვან მიზეზად მომსახურების ხარისხის ამაღლების აუცილებლობა გამოიკვეთა. მედიცინა საკმაოდ კონკურენტული დარგია და მუდმივად მიმდინარეობს ზრუნვა ხარისხის გაუმჯობესებაზე. დავით გაგუას კლინიკის მისიის შესრულება _ „ზრუნვა მომავალზე“ მოითხოვს ორგანიზაციის მუდმივ განვითარებას, რაც შესაბამისად მიზნობრივად განხორციელებული ცვლილებების შედეგია.

ცხადია, ორგანიზაციაში მიმდინარე ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ფუნქციონირებაზე, ცვლის ძალთა ბალანსს და მიმდინარე პროცესებს. როგორც ცხადიც არ უნდა იყოს ცვლილებათა დადებითი ეფექტები, უნდა გვახსოვდეს, რომ მას შესაძლოა ორგანიზაციისათვის საზიანო ცვლილებებიც მოჰყვეს. ამიტომ საჭიროა, ნებისმიერ ცვლილებას მენეჯერები დიდად უფრო სერიოზულად მოეკიდონ. როდესაც ორგანიზაციის პრიორიტეტებში, მმართველ გუნდში, მუშაობის მეთოდებში, მიდგომებსა და ტექნოლოგიაში რაიმე არსებითი ცვლილება ხდება, მენეჯმენტმა დაუყოვნებლივ უნდა შექმნას სამუშაო ჯგუფი და მას შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებებისათვის პროექტის მომზადება დაავალოს, შესაბამისი არგუმენტებითა და ცვლილებათა მოსალოდნელი ეფექტის ანალიზით. რამდენადაც კარგი არ უნდა იყოს ორგანიზაციული მოწყობის სქემა, მაინც საჭირო ხდება პერიოდული რადიკალური ცვლილებების განხორციელება, რადგან გუნდის პოტენციალის ზრდა, გარემოს პრიორიტეტების ცვლილება და მუშაობის მიდგომებში შეტანილი სიახლეები მოითხოვს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვას, რასაც უნდა ითვალისწინებდეს კომპანიათა ხელმძღვანელობა მართვის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეშელაშვილი გ., რეინჟინინგი და მისი გავლენა კომპანიის წარმატებაზე, საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა“, შრომების კრებული II, თბილისი, 2009.
2. ხომერიკი თ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, გვ.105, 2007.
3. <http://www.innovationexcellence.com/blog/2012/02/13/managing-innovation-is-about-managing-change-2/>
4. <http://www.innovation-management.org/managing-change-and-innovation.html>
5. [http://www.giz.de/akademie/de/downloads/Lehrbrief 15 Managing Change and Innovation.pdf](http://www.giz.de/akademie/de/downloads/Lehrbrief%2015%20Managing%20Change%20and%20Innovation.pdf)
6. http://www.iriweb.org/Public_Site/RTM/Volume_56_Year_2013/July-August_2013/Innovation_is_Change_Management.aspx
7. <http://www.slideshare.net/awe2885/organizational-development-change>
8. <http://aom.org/Divisions-and-Interest-Groups/Organization-Development-and-Change/Organization-Development-and-Change.aspx>
9. <http://managementhelp.org/organizationalchange/>

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ორგანიზაციული ცვლილებებისა და ორგანიზაციული განვითარების არსი. შესწავლილია ორგანიზაციული ცვლილებების ტიპები და ის დადებითი და უარყოფითი შედეგები, რაც შესაძლოა ცვლილებათა განხორციელებას მოყვეს. ორგანიზაციული ცვლილებებისა და ორგანიზაციული განვითარების საკითხები გაანალიზებულია დ. გაგუას კლინიკის მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ ცვლილებათა განხორციელების ძირითადი მიზეზი პაციენტთა მომსახურების ხარისხის მუდმივი ზრუნვაა. მართობულად განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, აღნიშნული კლინიკა ერთ-ერთი ლიდერი გახდა ქართულ ბაზარზე.

უცხოური ინვესტიციების როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში

ნანა ხიდემელი

ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ლელა ბახტაძე**

დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მეტად მწვავედ დგას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა. საინვესტიციო სახსრების დეფიციტი გარდუვალს ხდის მათ უცხოურ ფინანსურ წყაროებზე დამოკიდებულობის საკითხს.

კაპიტალის მოზიდვასთან დაკავშირებით აუცილებლად გასათვალისწინებელია არა მარტო საკუთარი, არამედ უცხოელ პარტნიორთა ინტერესები. ქვეყანაში არსებული პირობები, რომლებიც ზემოქმედებენ კაპიტალის მოზიდვაზე, ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორების მოქმედების საფუძველზე და თავის თავში აერთიანებს: იდეოლოგიას, პოლიტიკას, ეკონომიკურ მდგომარეობას, კულტურას, სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობას და სხვა საკითხებს, რომელთაც აფასებს ინვესტორი კაპიტალდაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და რომლებიც საშუალებას აძლევენ მას გააკეთოს გარკვეული დასკვნები მოსალოდნელი რისკის შესახებ. ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკა კაპიტალდაბანდებებთან მიმართებაში; ქვეყნის მონაწილეობა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებიც არეგულირებენ მოცემულ საკითხს და ამ ხელშეკრულებების პირობების დაცვის ტრადიციები; სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების ფუნქციონირების სტაბილურობა და ერთგვაროვნება, ეკონომიკაში მათი ჩარევის დონე და მეთოდები; სახელმწიფო აპარატის მოქმედების ეფექტიანობა; ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თანმიმდევრულობა და ა.შ. ქვეყნებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, დიდ მნიშვნელობას იძენს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობა, რომლებიც უზრუნველყოფს ინვესტორთა უფლებების დაცვას და ქვეყანაში კაპიტალის ჩადებასთან დაკავშირებული შესაძლებელი რისკის შემცირებას. იმის გამო, რომ საინვესტიციო პროცესი

გრძელვადიანი ხასიათის მატარებელია, მისთვის დამახასიათებელია გარკვეული სტატიკურობა და არ განიცდის ძალიან სწრაფ ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა შეირჩეს საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, რომლებიც გარკვეული მდგრადობით ხასიათდება და რეალურ გავლენას ახდენს ქვეყანაში კაპიტალის მოდინებაზე. მათ შორის აღსანიშნავია:

- მაკროეკონომიკური პარამეტრები;
- ფინანსური მდგომარეობა;
- კერძო საკუთრება;
- საგარეო ვალი და მათი მომსახურება;
- საგადასახადო რეჟიმი;
- პოლიტიკური რისკები და ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროება;
- გეოპოლიტიკური მდებარეობა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს. ბოლოდროინდელი გამოცდილება ცხადყოფს, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი ვაჭრობასა და უცხოური ინვესტიციების თავისუფალ შემოდინებას შორის, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების ზრდასა და შემოსავლის უთანაბრობის შემცირებას. ტრანსფორმაციული ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდისა და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების სტრატეგია აირჩია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში უზრუნველყოფს დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასა და ნოუ-ჰაუს შემოტანის სტიმულირებას. აღნიშნული კი, ხელს უწყობს ახალ საექსპორტო ბაზრებში შეღწევას. წარმოების სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ქვეყნის მწარმოებლურობის ზრდას და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას იწვევს. ეს კი უცხოური ექსპორტიორი ფირმისთვის ისეთი სიძნელეების გადალახვის საშუალებაა, როგორცაა სავაჭრო ბარიერები და საიმპორტო კვოტები.

ასევე უნდა აღინიშნოს, თუ უცხოელების საკუთრებაში მყოფი სექტორი იზოლირებული იქნება დანარჩენი მსოფლიოსაგან, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება დაბალი ტექნოლოგიური ეფექტი მოჰყვეს. ეს ტენდენცია უფრო ძლიერია მაშინ, როდესაც მიმდებ ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების უფლებები არ არის სათანადოდ დაცული. ამასთან, თანამედროვე ეტაპზე რიგ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მრეწველობის დარგში დაბანდებაზე ორიენტირებული არ არის, იგი ინფრასტრუქტურაში (ტელეკომუნიკაციების) ან მომსახურებაში (საცალო ვაჭრობა, დაზღვევა და საბანკო სექტორი) იდება. მაგალითად, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნახევარზე მეტი არასაწარმოო სექტორშია თავმოყრილი.

საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, განსაკუთრებით ისეთ სექტორში, როგორცაა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (საავტომობილო გზები, რკინიგზა, საზღვაო პორტები და აეროპორტი), ტურიზმი (სასტუმროები), სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წარმოება და მრეწველობის სხვა დარგები. ისეთ მცირე ქვეყანას როგორც საქართველოა, არც ის მასშტაბები აქვს, რომ ინვესტორებისათვის მიმზიდველ

ბაზრად იქცეს და არც იმის უნარი შესწევს, რომ შეთანხმებას მიაღწიოს ნოუ-ჰაუს შემოტანაზე. მცირე ქვეყნებს შანსი გაერთიანდნენ აღნიშნული მიზნის მისაღწევად და ინტეგრირება მოახდინონ ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანასთან, ვთქვათ, აშშ-თან, ALENAA-ში (ჩრდილოეთ ამერიკის ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) ან ევროკავშირთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში შეიძლება გაგრძელდეს: აზიაში, სამხრეთ ამერიკასა თუ აფრიკაში რეგიონული ქვე-ინტეგრირება ამ რეგიონების მიმზიდველობის ხარისხის ზრდის გათვალისწინებით, რათა ისინი ინვესტიორებისათვის უფრო დიდ ბაზრებად იქცნენ. ეს ვარიანტი საქართველომ სერიოზულად უნდა განიხილოს, ვინაიდან ევროკავშირში ინტეგრაცია დაკავშირებულია შავი ზღვის აუზის, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ინტეგრირებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უცხოური ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით, მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, ჯერჯერობით უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებითა და ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი. ამასთან, ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიურ, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. საქართველოს საინვესტიციო გარემოს გააჩნია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. კერძოდ, ნეგატიურ ფაქტორებს განეკუთვნება მცირე სამომხმარებლო ბაზარი, დაბალკვალიფიკაციური სამუშაო ძალა, კონფლიქტური რეგიონების არსებობა, პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვ. პოზიტიურ მხარედ კი შეიძლება მივიჩნიოთ საკანონმდებლო ბაზის მუდმივი გაუმჯობესება, ეკონომიკური ლიბერალიზაცია (ევონომიკის თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართველომ 2014 წელს გამოკვლეულ 152 ქვეყანას შორის მე-16 ადგილი დაიკავა), ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა და სხვ.

საქართველოში 2006 წლიდან 2012 წლის ჩათვლით განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 8 270. 9 მლრდ დოლარი შეადგინა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა ყველაზე მაღალ ნიშნულს - 2 015 მლნ დოლარს 2007 წელს მიაღწია, რაც 69.3%-ით აღემატებოდა წინა წლის მონაცემს. ინვესტიციების მაღალი ტემპი შენარჩუნებული იყო 2008 წლის აგვისტომდე. 2012 წელს, საქართველოში 911,6 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 18.4-ით ნაკლები იყო 2011 წლის მაჩვენებელზე, ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ 2012 წლის არჩევნები.

საქართველოში 2014 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები არიან: ჩინეთი, აზერბაიჯანი, ნიდერლანდები, პანამა, მალტა, გაერთიანებული სამეფო, აშშ, თურქეთი და რუსეთი. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2014 წელს ყველაზე მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია - 181 მლნ დოლარის ოდენობით, მშენებლობის სფეროში განხორციელდა. მას მოსდევს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი - 109 მლნ დოლარით, მესამე ადგილი კი უძრავ ქონებაში დაბანდებულ ინვესტიციებს - 61 მლნ დოლარი ეკავა. აღსანიშნავია ის, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საფრთხეს უქმნის არასასურველი მაკროეკონომიკური პირობები, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არამდგრადობა და სამთავრობო კრიზისი, სადაზღვევო პოლიტიკის არათანმიმდევრულობა,

რეგიონების არასაკმარისი საინვესტიციო საშუალებები, ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტების არახელსაყრელი პირობები და ა.შ.

ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედება ხელს შეუწყობს ევროკავშირიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც, ერთი მხრივ, უდაოდ მისასალმებელი ფაქტია, თუმცა მეორე მხრივ, ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას ერთ კონკრეტულ რეგიონზე – ევროკავშირზე, რაც ამ რეგიონში მოსალოდნელი ეკონომიკური სირთულეების შემთხვევაში, აუცილებლად ჰპოვებს ასახვას საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბებზეც.

მართალია, ღია ეკონომიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების უმთავრესი ფაქტორებია, მაგრამ საქართველოს დიდი და მზარდი სავაჭრო დეფიციტი იმის მაჩვენებელია, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციას ავტომატურად არ მოაქვს სარგებელი, თუ საინვესტიციო და ბიზნეს-კლიმატი მეწარმეებისათვის ისეთ პირობებსა და სტიმულებს არ ქმნის, რომ ახალ შესაძლებლობებზე ადეკვატური რეაგირება მოახდინონ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ, ამავედროულად, არ უნდა მოხდეს ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს როგორც უცხოურ, ისე შიგა ინვესტიციების ზრდას.

საქართველოში განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკა მიუხედავად გარკვეული გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან სრულყოფას საჭიროებს. პირველ რიგში, აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის შემდგომი დახვეწა, საინვესტიციო სტიმულების შექმნა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ბიზნესმენებისთვის, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება, ინვესტორთათვის მეტი პიარ-ღონისძიებების გამართვა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამასთან, გრძელვადიანი ეფექტის გასაუმჯობესებლად საჭიროა ქვეყანაში მეცნიერებატევადი და ტექნოლოგიატევადი ინვესტიციების მოზიდვა და ამ მიმართულებით ინვესტორთათვის სპეციალური წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, თბ., 2010.
2. IMF. Internationai Financial Statistics.2006.
3. www.nplg.gov.ge
4. www.ttimes.ge
6. www.economy.ge
7. www.ici.ge
8. www.geostat.ge
9. www.factcheck.ge

რეზიუმე

სტატიაში განზოგადებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. გამოვლენილია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე უცხოური ინვესტიციების გავლენის პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში. დასაბუთებულია ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სალდოს გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საოპტიმიზაციო მოდელი

ერეკლე ხუროძე

ბაკალავრიატის II კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

ნაშრომში განვიხილავთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნის ფუნქციის აგების და მისი რეალიზაციის საკითხებს მაკროეკონომიკურ დონეზე, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების მიზნების მიღწევის მაქსიმიზაციაზე გამოშვების და ყველა მიმართულებით მისი გამოყენების მიხედვით. განსახილველი მოდელის აგების, დამუშავების და შესწავლის აუცილებლობა გამოიწვია მოსაზრებამ, რომლის მიხედვითაც მაკროეკონომიკური მოდელი უფრო თანმიმდევრულ სახეს მიიღებს თუ ოპტიმიზაცია მიმართულია არა წმინდა საწარმოო, არამედ კარგად გამოხატულ სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებზე. საწარმოო მიზნების მაქსიმიზაციაზე ორიენტაცია დამახასიათებელი იყო დარგობრივი მეთოდებით მართვის პროცესისათვის, ხოლო სოციალური მიმართულების დაფინანსება ნარჩენობითი პრინციპით ხორციელდებოდა. ცნობილია, რომ ამან წარმოების პრიმატის მიზნობრივი მიმართულებისაკენ გადახრა გამოიწვია. ამჟამად, საქართველოში აქცენტი სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე კეთდება, რომელზედაც გადასვლის პროცესი ჯერ არ დამთავრებულია. სამეცნიერო დონეზე ეს მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური მიზნების გამოხატვის ინსტრუმენტების შექმნას და შესაძლებლობის მიხედვით მათ კვალიფიკაციას, რომელიც საწარმოო სისტემის განვითარების ორიენტირების ფორმირებისათვის საჭირო ბაზა შეიძლება გახდეს.

გადავიდეთ უშუალოდ **მოდელის აგებაზე**. პირველ რიგში, ჩამოვყალიბოთ (შევარჩიოთ) ცვლადები, რომელსაც ჩავრთავთ მოდელში (ცვლადების შერჩევისას გავითვალისწინეთ, რომ მოდელში უნდა აისახოს ეკონომიკური მიზნები (მაჩვენებლები), ასევე სოციალურიც და, ამასთან, ისინი რაოდენობრივ გაზომვას უნდა ექვემდებარებოდნენ). (ცვლადებს ვიხილავთ რაიმე t პერიოდისთვის).

1. პირველი ცვლადი, რომელსაც ჩავრთავთ მოდელში ყველაზე ბუნებრივია და იგი წარმოადგენს – მოხმარებას (c^t), ოღონდ რამდენადმე გაფართოებული გაგებით (მასში მოვიაზრებთ როგორც საკუთრივ მოხმარებაზე, ასევე ინვესტიციებზე გაწეულ დანახარჯებს).
2. მეორე და მესამე ცვლადით ჩვენ ვცდილობთ მოდელში ჩავრთოთ სოციალური ასპექტის ამსახველი ყველაზე რეპრეზენტატიული ცვლადები, ერთ–ერთის როლში გვევლინება საშუალო მუშაკის სამუშაო დროის ფონდი კალენდარული დროის წილის სახით (χ^t).
3. მესამე ცვლადად კი განვიხილოთ სოციალური კეთილდღეობის და სულიერი განვითარების კიდევ ერთი თვალსაჩინო დეტერმინანტი: სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მმართველობით სფეროში, ანუ ინტენსიფიკაციის დარგებში დასაქმებულთა წილი (λ^t). ამ ცვლადის მოდელში ჩართვის აუცილებლობა ეფუძვნება მსჯელობას, რომელიც შეეხება საზოგადოების წევრების ყოველმხრივ განვითარებას. პირველ რიგში შევნიშნავთ, რომ რეგულარული სწავლების ფორმით განვითარება მომსახურების ერთ–ერთ ფორმას შეიძლება მივაკუთვნოთ და მომსახურების მოხმარების კატეგორიაში, ე.ი. არასაწარმოო მოხმარებაში იქნეს ჩართული. არსებობს საკუთრივ სოციალური ასპექტი ყოველმხრივი, ახლა უკვე შეიძლება ითქვას - უპირატესად სულიერი განვითარების კატეგორიის მიმართ. იგი სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მმართველობითი საქმიანობის განვითარების ხარისხით იზომება. მართლაც, რაც მეტია ასეთი საქმიანობის მიმართ მიდრეკილების მქონეთა წილი, მით უფრო მეტი საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალი იქნება მოყვანილი მოქმედებაში, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც სულიერი განვითარების უმნიშვნელოვანესი, ეკონომიკურად ხელშესახები ასპექტი.

ამგვარად, საკმაოდ ზოგად ფორმაში მიზნის ფუნქციის სახე მაკროდონეზე ასეთი იქნება:

$$U^t = U(c^t, \chi^t, \lambda^t) \quad (1)$$

შემდგომ, საჭიროა ფუნქციის სპეციფიკაცია, ანუ ფუნქციის მათემატიკური ფორმის შერჩევა. პირველ რიგში აღვნიშნოთ, რომ ამ მოდელში ჩვენი მიზანია შევარჩიოთ მაჩვენებელთა რაიმე გაგებით შესადარი, მისაბამი, სასურველი (თუ რა გაგებით, ამას ცოტა ქვემოთ შევეხები) დონეები, ანუ ნორმატივები. მოხმარების შემთხვევაში ნორმატიულ დონეს აღვნიშნავთ \bar{c} სიმბოლოთი, სამუშაო დროის წილის შემთხვევაში კი - $\bar{\chi}$ სიმბოლოთი. მესამე ცვლადისათვის, (სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მმართველობით სფეროში ანუ ინტენსიფიკაციის დარგებში დასაქმებულთა წილი (λ^t) ჩვენ არ შემოგვაქვს ნორმატივი, არამედ ამ ცვლადს მოდელში ვრთავთ კლასიკური ფორმით. მიზეზს ცოტა დაბლა განვიხილავთ. საიდან ვიღებთ ნორმატივებს: **პირველი წყარო** ეს არის შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, რომელიც ადგენს მოხმარების ფიზიოლოგიურ ნორმებს, თუ რა რაოდენობის ესა თუ ის პროდუქტია ადამიანისთვის საჭირო, რომ იგი კვლავ იყოს შრომისუნარიანი. **მეორე წყაროდ** კი შეგვიძლია მივიჩნიოთ რამდენადმე უფრო განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლები, რომლებმაც გარკვეული აზრით უკვე მიაღწიეს ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს. ცხადია, მესამე ცვლადის შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი შინაარსიდან გამომდინარე, ცოტა არაბუნებრივი იქნებოდა მისთვის რაიმე ნორმატივის დადგენა (მაგრამ, რადგან მოდელი ახლა მუშავდება არ არის გამორიცხული არსებობდეს განსხვავებული შეხედულებაც λ ცვლადის ნორმატიურ დონესთან დაკავშირებით), რაც შეეხება უშუალოდ სპეციფიკაციას, მიზნის ფუნქციის სპეციფიკაცია

იქედან უნდა გამოდიოდეს, რომ სოციალური მიზნები ორადი ბუნებისაა: სამომხმარებლო, რომელიც მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარების დონით განისაზღვრება (თავისუფალი დროის მოხმარების ჩათვლით) და სულიერი, რომელიც მთლიანად საზოგადოების სოციალური სტრუქტურით და არა მისი ცალკეული ინდივიდებით განისაზღვრება - ისინი განუსაზღვრელი ზრდის თეორიული შესაძლებლობებით ხასიათდებიან, რომელიც გენფონდით და ეკონომიკითაა მოცემული. საბოლოოდ ჩვენ მოდელს შემდეგ სპეციფიკაციას მივცემთ:

$$U^t = \bar{U} + b \lambda^t - d \left(1 - \frac{c^t}{\bar{c}}\right)^2 - e \left(1 - \frac{x^t}{\bar{x}}\right)^2 \quad (2)$$

განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე ბუნებრივი წერტილი, რომლის დროსაც სრულდება „საკმაოდ მისაღები“ ტოლობა $U^t = \bar{U}$ (\bar{U} კეთილდღეობის ნორმატიული დონეა), ეს წერტილია $(\bar{c}, \bar{x}, 0)$. უნდა ვეცადოთ თუ არა რომ მივაწიოთ ამ წერტილს? პირველი ორი კოორდინატის შემთხვევაში პასუხი დადებითია. ჩვენ მოდელის ფარგლებში, მივისწრაფით ნორმატიული დონეებისკენ, რაც შეეხება მესამე კოორდინატს, მისი ნულობა ჩვენს ქვაკუთხედს სულაც არ უნდა წარმოადგენდეს შემდეგი ორი მიზეზის გამო: 1) სანამ პირველი და მეორე კოორდინატები მიაღწევენ ნორმატიულ დონეს, საჭიროა გარკვეული დრო, ამიტომ λ^t -ს დადებითობამ შეიძლება რამდენადმე კომპენსაცია გაუწიოს მათ და კეთილდღეობა მიუახლოვოს ნორმატიულ დონეს; 2) ჩვენი ძალისხმევა მხოლოდ და მხოლოდ ნორმატიული დონის მიღწევისკენ სულაც არ არის მიმართული. თუ მიმდინარე კეთილდღეობა (U^t) გადააჭარბებს ნორმატიულს, ამით სულაც არაფერი დაშავდება. ამასთან ერთად, „კეთილდღეობის ნორმატიული დონე“ აბსტრაქტული ცვლადია და გასაზომად საკმაოდ პრობლემატური. ამ ორი მიზეზის გამო მიზნის ფუნქცია შეგვიძლია განვიხილოთ პირველი შესაკრების გარეშე და მიზნად დავისახოთ მიღებული გამოსახულების მაქსიმიზაცია.

ამგვარად, ჩვენი მიზანია $(c^t - \bar{c})$, $(x^t - \bar{x})$ სხვაობათა მინიმიზაცია და $\lambda^t - \bar{\lambda}$ მაქსიმიზაცია. ამასთან, შევნიშნოთ კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც საფუძველს დაუდებს ერთ დაშვებას; განვიხილოთ მოხმარების მაგალითზე (აქვე აღვნიშნოთ, რომ ცვლადების შინაარსიდან გამომდინარე c^t ჩამორჩება მის ნორმატიულ მნიშვნელობას, x^t კი აღემატება). შევნიშნოთ, რომ როდესაც მოხმარების ფაქტიური მნიშვნელობა მის ნორმატიულს უახლოვდება, მოდელის სპეციფიკაციიდან გამომდინარე, კეთილდღეობა იზრდება, მაგრამ მაშინვე, როცა ფაქტორული მნიშვნელობა გადააჭარბებს ნორმატიულს, კეთილდღეობა იწყებს კლებას, რაც შინაარსობრივად არასწორია (ბუნებაში კეთილდღეობა მოხმარების მონოტონურად ზრდადი ფუნქციაა), ამიტომ დავუშვათ, რომ მოდელი სამართლიანია მხოლოდ მანამ, სანამ ცვლადთა ფაქტიური მნიშვნელობები მიაღწევენ ნორმატიულს, ამის შემდეგ უკვე მოდელი კარგავს ძალას და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა აიგოს ახალი მოდელი. χ ცვლადის შემთხვევაში მსჯელობა სიმეტრიულია, უბრალოდ, ამ შემთხვევაში ნორმატიული დონისკენ მივისწრაფით მარჯვნიდან და არა მარცხნიდან, როგორც მოხმარების შემთხვევაში.

უფრო მეტიც, მოდელის კოეფიციენტები შეიძლება შეიცვალოს მანამდღე, სანამ მივალწევთ ნორმატიულ დონეებს. მიზეზი შემდეგია: დავუშვათ არც მოხმარებას და არც სამუშაო დროის წილს არ მიუღწევია ნორმატიულ დონემდე, მაგრამ ფაქტობრივი მოხმარება უფრო „ახლოსაა“ ნორმატივთან, ვიდრე ფაქტობრივი სამუშაო დროის შეფარდებითი მაჩვენებელი. (მათემატიკურად უფრო ზუსტად ეს ასე ჩაიწერება $|(\bar{c} - c^t)/\bar{c}| > |(x^t - \bar{x})/\bar{x}|$), ამ დროს

სამუშაო დროის წილი უფრო პრიორიტეტულია საზოგადოებისთვის, ვიდრე მოხმარება. თუ ადგილი აქვს საპირისპირო სიტუაციას: $|(\bar{c}-c^t)/\bar{c} < (\chi^t-\bar{\chi})/\bar{\chi}|$, ამ დროს უკვე მოხმარებაა პრიორიტეტული. ამ პრიორიტეტულობის მაჩვენებლებია სწორედ d და e კოეფიციენტები, ე.ი. ისინი მგრძობიარები არიან დროის მიმართ, სანამ ფაქტობრივი ცვლადები ნორმატიულს მიაღწევენ. ამიტომ, მოდელი ასე ჩავწეროთ:

$$U^t = \bar{U} + b^t \lambda^t - d^t \left(1 - \frac{c^t}{\bar{c}}\right)^2 - e^t \left(1 - \frac{\chi^t}{\bar{\chi}}\right)^2 \quad (3)$$

რამდენადმე განვაზოგადოთ და შევავსოთ ეს მიდგომა. როგორც ვნახეთ, არასაწარმოო მოხმარების კატეგორია არაერთგვაროვანია: იგი მოიცავს რიგ კომპონენტებს, რომელთაგან ზოგს აქვს მიმდინარე, ზოგს - ფაზური ხასიათი. არასაწარმოო მოხმარების მოცულობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

$$c^t = c_T^t + c_P^t + K_D^t + c_E^t + K_E^t, \quad (4)$$

სადაც, c_T^t - მიმდინარე (ძირითადად სასურსათო) მოხმარებაა, c_P^t - ნახევრად გრძელვადიანი სიკეთის მოხმარება (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ა.შ.),

K_D^t - გრძელვადიანი მოხმარების სიკეთის შექმნა (დაბანდება კერძო ქონებაში), c_E^t - სოციალური ინფრასტრუქტურის ფონდების ექსპლოატაციის მიმდინარე დანახარჯები, K_E^t - კაპიტალდაბანდება მათ განვითარებაში. მოხმარების ნორმების ცნების გამოყენებით მოსახლეობის არასაწარმოო მოხმარების კომპონენტისათვის გვექნება:

$$c_T^t = p_T^t Y^t; \quad c_P^t = p_P^t Y^t; \quad K_D^t = \pi_D^t Y^t; \quad c_E^t = p_E^t Y^t; \quad K_E^t = \pi_E^t Y^t, \quad (5)$$

სადაც, p_T^t, p_P^t, π_D^t - შესაბამისად მიმდინარე, ნახევრად გრძელვადიანი და გრძელვადიანი მოხმარების ნორმებია;

p_E^t - საექსპლოატაციო დანახარჯების ნორმა სოციალურ ინფრასტრუქტურაში;

π_E^t - კაპიტალური დაბანდებაების ნორმა სოციალურ ინფრასტრუქტურაში.

ახლა გადავიდეთ ამ მაჩვენებელთა 1 სულზე გამოხატულებაში და შევადაროთ შესაბამის ნორმატიულ დონეებთან. თუმცა, ცხადია, ინვესტიციური ტიპის K_D^t და K_E^t კომპონენტებთან მიმართებაში უშუალოდ ეს არ შეიძლება გაკეთდეს, რადგან ნორმირებას ექვემდებარება არა ნაზრდი სიდიდეები, არამედ საფონდო F_D^t და F_E^t მაჩვენებლები. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტიპის ცვლადებს შორის კავშირი დაფიქსირებულია მოდელის ბალანსურ თანაფარდობებში, საფუძვლად შეიძლება ავიღოთ მახასიათებლების სისტემის მონაცემთა ნაკრები არასაწარმოო მოხმარებიდან (და უზრუნველყოფიდან):

$$c_T^t = p_T^t Y^t; \quad c_P^t = p_P^t Y^t; \quad F_D^t; \quad c_E^t = p_E^t Y^t; \quad F_E^t \quad (6)$$

ამავე დროს კავშირი, ერთი მხრივ, F_D^t და F_E^t -ს და, მეორე მხრივ, K_D^t და K_E^t -ს შორის მოცემულია შემდეგი განტოლებებით:

$$\begin{aligned} \Delta F_D^t &= K_D^t - \mu_D^t F_D^{t-1} = \pi_D^t Y^t - \mu_D^t F_D^{t-1} \\ \Delta F_E^t &= K_E^t - \mu_E^t F_E^{t-1} = \pi_E^t Y^t - \mu_E^t F_E^{t-1}, \end{aligned} \quad (7)$$

სადაც, μ_D^t - გრძელვადიანი მოხმარების საგნების მწყობრიდან გამოსვლის ნორმა t პერიოდში;

μ_E^t - სოციალური ინფრასტრუქტურის ფონდების მწყობრიდან გამოსვლის ნორმა t პერიოდში.

მოხმარების სულობრივ მაჩვენებელზე გადასვლისათვის და მათი მოხმარების და უზრუნველყოფის დონესთან შეპირისპირებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ: პირველი, მოსახლეობის ზრდის პროგნოზი H^t და მეორე, ფასების ან ფონდტევადობის (ფონდური კომპონენტისათვის) ინდექსების პროგნოზი $Y_T^t, Y_P^t, Y_D^t, Y_C^t$. ამავე დროს ჩავთვლით, რომ სოციალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე მიმდინარე ხარჯები ამ სექტორის ფონდებთან უშუალოდაა დაკავშირებული:

$$c_c^t = k_c^t F_c^t \quad (8)$$

და არ მოითხოვს მიზნის ფუნქციაში სპეციალურ ასახვას. ფასების ინდექსის და ფონდტევადობათა შემოტანა საშუალებას იძლევა სიკეთის მოხმარების ფიზიკური მოცულობა და პირადი საკუთრების და სოციალური ინფრასტრუქტურის ფონდების განვითარება ასე გამოვთვალოთ:

$$\frac{c_T^t}{Y_T^t} = \frac{p_T^t Y^t}{Y_T^t}; \quad \frac{c_P^t}{Y_P^t} = \frac{p_P^t Y^t}{Y_P^t}; \quad \frac{F_D^t}{Y_D^t} = \frac{F_D^t}{Y_D^t}; \quad \frac{F_C^t}{Y_C^t} = \frac{F_C^t}{Y_C^t} \quad (9)$$

რომელთა სულადობრივი გამოხატულება:

$$c_T^t = \frac{c_T^t}{Y_T^t H^{t-1}} = \frac{p_T^t Y^t}{Y_T^t H^t}; \quad c_P^t = \frac{c_P^t}{Y_P^t H^{t-1}} = \frac{p_P^t Y^t}{Y_P^t H^t}; \quad \zeta_D^t = \frac{F_D^t}{Y_D^t H^{t-1}} = \frac{F_D^t}{Y_D^t H^t}; \quad \zeta_C^t = \frac{F_C^t}{Y_C^t H^{t-1}} = \frac{F_C^t}{Y_C^t H^t} \quad (10)$$

უშუალოდ ფლობს მოხმარების საბოლოო დონეებს $\overline{c_T}, \overline{c_P}, \overline{\zeta_D}, \overline{\zeta_C}$, რომლებიც შესაბამისი ჯგუფის სიკეთის მოხმარების, ან პირადი საკუთრების და სოციალური ინფრასტრუქტურის ელემენტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ნორმატივებითაა განსაზღვრული:

$$\overline{c_T} = \sum_{i=Y_T} c_i^0 \bar{x}_i; \quad \overline{c_P} = \sum_{i=Y_P} c_i^0 \bar{x}_i; \quad \overline{\zeta_D} = \sum_{i=Y_D} c_i^0 \bar{y}_i; \quad \overline{\zeta_C} = \sum_{i=Y_C} c_i^0 \bar{y}_i \quad (11)$$

სადაც, c_i^0 – მატერიალური სიკეთის და ინფრასტრუქტურის ფონდების უცვლელი ფასებია; \bar{x}_i – მოხმარების ნორმატიული დონეები; \bar{y}_i – პირადი ქონების და სოციალური ინფრასტრუქტურის ელემენტებით უზრუნველყოფა.

ახლა ნათელია, რომ $d(1 - \frac{c^t}{\overline{c}})^2$ ერთი შესაკრების ნაცვლად (3) ფუნქციონალში წარმოდგენილი უნდა იყოს 4 შესაკრები:

$$d_T^t (1 - \frac{c_T^t}{\overline{c_T}})^2 + d_P^t (1 - \frac{c_P^t}{\overline{c_P}})^2 + d_D^t (1 - \frac{\zeta_D^t}{\overline{\zeta_D}})^2 + d_C^t (1 - \frac{\zeta_C^t}{\overline{\zeta_C}})^2 \quad (12)$$

რაც საშუალებას იძლევა სრულად აისახოს არასაწარმოო მოხმარების სხვადასხვა კომპონენტების სპეციფიკა. (10)-ის თანახმად ფუნქციონალის შესაკრებათა ეს ჯგუფი შეიძლება ასე ჩავწერთ:

$$d_T^t (1 - \frac{p_T^t Y^t}{Y_T^t H^t \overline{c_T}})^2 + d_P^t (1 - \frac{p_P^t Y^t}{Y_P^t H^t \overline{c_P}})^2 + d_D^t (1 - \frac{F_D^t}{Y_D^t H^t \overline{\zeta_D}})^2 + d_C^t (1 - \frac{F_C^t}{Y_C^t H^t \overline{\zeta_C}})^2 \quad (13)$$

მეორე, (3) ფუნქციონალის შესაკრები $b^t \lambda^t$ გამოვსახოთ ინტენსიფიკაციის დარგებში (სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მართვის სფეროები) დასაქმებულთა წილებით: l_F^t, l_L^t, l_M^t . მაშინ მას შემდეგი სახით ჩავწერთ: $b_i^t (l_F^t + l_L^t + l_M^t)$.

ბოლოს, მიზნის ფუნქციონალში ავსახოთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივი (საგარეო) მიზნები. ამისათვის, სახელმწიფო მოხმარების სიდიდეს გამოვიყენებთ:

$$c_G = p_G^t Y^t \quad (14)$$

სადაც, p_G^t - სახელმწიფო მოხმარების ნორმაა. ასე, ფუნქციონალში დავამატებთ შემდეგ შესაკრებს:

$$B_G^t c_G^t = B_G^t p_G^t Y^t \quad (15)$$

სადაც, B_G^t - საგარეო მიზნების პრიორიტეტულობის მაჩვენებელია, რომელიც პრიორიტეტულობის სხვა კოეფიციენტებთან ერთადაა შეფასებული.

ამრიგად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ოპტიმიზაციის განზოგადებული და შევსებული ფუნქციონალი მაკრომაჩვენებლებით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

$$U = \sum_{t=1}^T (B_G^t p_G^t Y^t + b_I^t (l_F^t + l_L^t + l_M^t) - d_T^t (1 - \frac{p_I^t Y^t}{Y_I^t H^t c_I^t})^2 - d_P^t (1 - \frac{p_P^t Y^t}{Y_P^t H^t c_P^t})^2 - d_D^t (1 - \frac{F_D^t}{Y_D^t H^t c_D^t})^2 - d_C^t (1 - \frac{F_C^t}{Y_C^t H^t c_C^t})^2) + e^t (1 - \frac{x^t}{\bar{x}})^2 \rightarrow \max \quad (16)$$

მაკროეკონომიკური დინამიკის ოპტიმალობის პირობები და მიზნის ფუნქციის პარამეტრების შეფასება. როგორც ვნახეთ, აიგო მიზნის ფუნქცია და მაკროეკონომიკური განვითარების ოპტიმალობის ინტეგრალური სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმი. მიზნის ფუნქციის პარამეტრების შეფასება მოხდა ტრაექტორიის საბაზო უბნის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ პერსპექტიული ტრაექტორია გაგრძელდება იმავე ტემპით.

ოპტიმალობის კრიტერიუმი ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიას შემდეგი ორი მიმართულებით შეაფასებს:

კეთილდღეობა შეიძლება დავაკონკრეტოთ როგორც მატერიალური სიკეთის არასაწარმოო მოხმარების გარკვეული საბოლოო დონის მიღწევა. მიზნის ფუნქციაში ამ კატეგორიის ასახვის მიზნით აიგო მიმდინარე და ნახევრად გრძელვადიანი საგნების ფაქტობრივი მოხმარების მათი ნორმატიულ დონესთან მიმართებით გადახრის კვადრატების შეწონილი თანხის ალგორითმი და ამას უნდა დაემატოს ანალოგიური თანხა, რომელიც გრძელვადიანი მოხმარების საგნების და ფიზიკურ გამოხატულებაში სოციალური ინფრასტრუქტურის ფონდების ეფექტიან, უზრუნველყოფის დონის შესაბამისი ნორმატიული დონისგან გადახრის სოციალურ ეფექტს გაზომავს.

სულიერი განვითარების პირობა პირველი მიახლოებით შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ ორ მაჩვენებლამდე: სამუშაო დროის ფონდი ერთ მუშაკზე გაანგარიშებით და საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული და მართვის სფეროების განვითარება (მათში ფარდობითი დასაქმების დონის მიხედვით). ამას გარდა, ეკონომიკის განვითარების საერთო მიზანს შეიძლება მიეკუთვნებოდეს სახელმწიფო მოხმარების მაქსიმიზაცია (გარკვეულ პროპორციებში).

მიზნის ფუნქციის აგება ნორმატიული და გენეტიკური ელემენტების შეუღლების პრინციპის რეალიზაციას უზრუნველყოფს. ნორმატიული ელემენტის მოქმედება მიზნის ფუნქციის ფორმაშია ასახული, რომელიც მოიცავს \bar{c} და \bar{x} ნორმატივებს, როგორც მოსახლეობის სრული კეთილდღეობის მახასიათებლებს. გენეტიკური ელემენტი ჩნდება მიზნის ფუნქციის პარამეტრების და მისი შესაბამისი ოპტიმალობის კრიტერიუმის შეფასებისას. სწორედ ისინი ისეთნაირად არიან განსაზღვრულნი, რომ რეტროსპექტივაში ექსტრემალური ტრაექტორია

მაქსიმალურად მიუახლოვდეს ფაქტიურს, რაც მისი პერსპექტიული და რეტროსპექტიული უბნების შეუღლებას უზრუნველყოფს.

ოპტიმალობის კრიტერიუმის ასაგებად საკმარისი არაა სხვადასხვა თაობების „დაუკმაყოფილებლობის“ ლოკალური შეფასებების $(\bar{U} - U)$ შეჯამება, რადგან ამ დროს შესაძლებელია მათ შორის „დაუკმაყოფილებლობის ტვირთის“ არათანაბარი გადანაწილება. რიგ ამოცანებში მიზნობრივი ფუნქციონალის აგებისას ყველა „თაობას“ მიეწერება ერთნაირი, ან ზოგჯერ თავისუფალი „წონა“, ოპტიმალური სტრატეგიის სახით მიიღება ესტაფეტური დაგროვების S ნორმის მიხედვით შემდეგი ამონახსნი:

$$S = \begin{cases} 1 & \text{თუ } 0 \leq t \leq t_1 \\ 0 & \text{თუ } t_1 \leq t \leq \infty \end{cases}$$

სადაც, t_1 პროგნოზირების პერიოდის განსაზღვრული დროის მომენტია.

ასეთი ტიპის გადაწყვეტა მოითხოვს „დაუკმაყოფილებლობის ტვირთის“ ყველაფრის, ან თითქმის ყველაფრის მიმართვას უახლოესი მომავლის „თაობებზე“. ასეთ სოციალურად არასამართლიან მიდგომაზე უარი რომ ვთქვათ, საჭიროა ოპტიმალობის კრიტერიუმში შევიტანოთ დისკონტირების მამრავლი. თუმცა დასაწყისში დავუშვებთ, რომ იგი შედის თვითონ მიზნის ფუნქციის პარამეტრებში. იგი შეიძლება დავაყენოთ ამ პარამეტრების დინამიკის შეფასების შემდეგ. იგი შეიძლება განხორციელდეს იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომ ექსტრემალი საბაზო ინტერვალზე საუკეთესოდ იყოს შეთანხმებული ფაქტიურ ტრაექტორიასთან.

ამრიგად, ასეთი შეფასებისათვის უნდა ამოიხსნას საწყისი საოპტიმიზაციოს შებრუნებული ამოცანა: ფუნქციონალის სახე უნდა განისაზღვროს მოცემული ექსტრემალის მიხედვით, რომელსაც დროის საბაზო ინტერვალში ფაქტობრივი ტრაექტორია წარმოადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში, ამოცანას შეიძლება ჰქონდეს ამონახსნი, რომელიც ოპტიმალური და ფაქტობრივი ტრაექტორიის თანხვედრას უზრუნველყოფს საბაზო პერიოდში, თუმცა, ამ შემთხვევაში საოპტიმიზაციო მოდელი ზედმეტად განსაზღვრულია და მისთვის შებრუნებულ ამოცანას ასეთი ამონახსნი შეიძლება არ ჰქონდეს. შესაძლებელია პარამეტრების არც ერთი მნიშვნელობისას მოცემული(ფაქტიური) ტრაექტორია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამოცანის ექსტრემალი. ამიტომ ფუნქციონალის პარამეტრების შეფასებისას გამოვალთ საბაზო ინტერვალზე ექსტრემალის ფაქტიურ ტრაექტორიასთან საუკეთესო მიახლოების მოთხოვნიდან.

მოდელი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უშუალო გამოთვლებისათვის, თუ შეფასებული არ იქნება ოპტიმალურობის კრიტერიუმის პარამეტრები. ამ კოეფიციანტების მნიშვნელობა აირჩევა ისე, რომ საბაზო ინტერვალში ექსტრემალი ყველაზე უკეთესად შეეთანხმება ფაქტიურ ტრაექტორიას. ამისათვის რეტროსპექტივაში საწყისი საოპტიმიზაციოს შებრუნებული ამოცანა ამოიხსნება. ტრაექტორიის საბაზო მონაკვეთად აღებულია 1995-2015 წლების მონაცემები „საქსტატის“ ოფიციალური გამოცემებიდან და მისი ვებ-გვერდიდან. ხშირ შემთხვევაში, მოდელის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო იყო რიგი სტატისტიკური მონაცემების გასუფთავება, იყო ისეთი შემთხვევები, როცა ექსპერტულ შეფასებებს დავეყრდენით. როგორც შებრუნებული, ისე პირდაპირი ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულ იქნა არაწრფივი საოპტიმიზაციო ეკონომიკური მოდელების ანალიზის პაკეტი (Math Lab).

პირდაპირი ამოცანის ძირითადი და ორადული ცვლადების რაოდენობა და, შესაბამისად, მისი ოპტიმალობის პირობები ბევრად აღემატება მიზნის ფუნქციის უცნობ პარამეტრებს. ამიტომ შებრუნებული ამოცანა არის ზედმეტად განსაზღვრული. ამ გარემოების გამო პარამეტრები მოიძებნა იმ პირობით, რომ პირდაპირი ამოცანის ლაგრანჟის ფუნქციის წარმოებულთა კვადრატების ჯამი მისი ძირითადი და ორადული ცვლადების მიხედვით აღწევდეს მინიმუმს. მიზნის ფუნქციის პარამეტრების შეფასების პერსპექტივაში პროლოგირების შედეგად ძირითადი ამოცანა არაწრფივი პირობითი ოპტიმიზაციის კლასიკურ ამოცანად გარდაიქმნა, რომელიც ამოიხსნა ზემოთ მითითებული პაკეტის გამოყენებით. პირდაპირი საოპტიმიზაციო ამოცანის ამოხსნით მიღებულ იქნა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური საპროგნოზო მაჩვენებლები 2030 წლამდე, რომლებმაც საშუალება მოგვცა გავაანალიზოთ ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

საოპტიმიზაციო მოდელის რეალიზაციის შედეგები:

პირველი, სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაცია აშკარად ჩამოაყალიბებს რა ეკონომიკის განვითარების სამომხმარებლო მიზნებს, საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ საწარმოო ოპტიმიზაციის დიდი დეფექტი მშპ-ის და მოხმარების ფონდის ჭარბი ზრდის სახით. სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაციის შედეგების მიხედვით მოხმარების ფონდის 17 მლრდ. ლარამდე გაზრდით შესაძლებელი იქნება საქართველოს მოსახლეობის რაციონალური მოხმარების დაკმაყოფილება მატერიალური სიკეთითა და მომსახურებით. საწარმოო ოპტიმიზაცია კი დაგროვების იმავე ნორმისას მოგვცემდა 20 მლრდ. ლარის ოდენობის მოხმარების ფონდს, ანუ საქმე გვაქვს სრულიად გაუმართლებელ ჰიპერტროფიასთან სამომხმარებლო მიმართულების კუთხით.

მეორე, სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაცია უზრუნველყოფს ინდივიდთა განვითარებისათვის საჭირო სივრცის გაფართოებას მუშაობისგან თავისუფალი დროის სახით. გამოთვლების შედეგების მიხედვით საქართველოში 2030 წელს შეიძლება უზრუნველყოფილ იყოს 4-დღიანი სამუშაო კვირა 7 - საათიანი სამუშაო დღით. ასეთი გრძელვადიანი გაანგარიშებები საზოგადოების მიზნების აშკარა ფორმალიზაციისას არსებით ძვრებს უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური მახასიათებლების ინსტიტუციურ გარდაქმნებში.

მესამე, სოციალურ-ეკონომიკური საოპტიმიზაციო გაანგარიშებების რეალიზაცია საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ცვლილებები მოხმარების სტრუქტურაში. მიმდინარე მოხმარების ხვედრითი წონა მშპ-ში, სასურსათო საქონლით გაჯერების შესაბამისად, შემცირდება 19%-დან 12%-მდე, ხოლო ნახევრად გრძელვადიანი საგნების მოხმარების ხვედრითი წილი დასტაბილიზირებულ იქნა უმნიშვნელო აბსოლუტური ზრდის კვალდაკვალ. გრძელვადიანი საგნების მოხმარების წილი მოხმარების სტრუქტურაში გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მეოთხე, სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაციის მოდელიდან შეიძლება მიღებულ იქნეს წარმოებაში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ნორმა. გაანგარიშებებმა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ნორმის ასეთი დინამიკა აჩვენა: 7.7%-დან 2014 წელს, 9.1%-მდე 2030 წელს.

და ბოლოს, რადგან ტრადიციულ მაკრომოდელებს, ჩვეულებრივი კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქცია ავტონომიური ტექნოლოგიური პროგრესით, მივყავართ კლებად კაპიტალუკუების დინამიკასთან, რაც მისი პრინციპული ნაკლია. საინტერესო იყო გაგვეანალიზებინა კაპიტალუკუების დინამიკა განზოგადებული მაკრომოდელის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ საოპტიმიზაციო ვარიანტისათვის, რომელიც მის ტრაექტორიას გვიჩვენებს, რეალურად დამახასიათებელი ზრდადი კაპიტალუკუებია, რაც საწარმოო ფაქტორების ხარისხობრივ ზრდას უნდა მიეწეროს, რომელთა ასახვა თინბერგჰენის მამრავლების ნეიტრალური ტექნოლოგიური პროგრესით შეუძლებელია. ზრდადი კაპიტალუკუებით ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიის შესაძლებლობათა თეორიული განზოგადება უნდა განვიხილოთ როგორც განზოგადებული მაკრომოდელის **ხარისხობრივი** მიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯულაყიძე მ., საქართველოს მაკროსისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საოპტიმიზაციო მოდელი და მისი რეალიზაციის შედეგები, გლობალიზაცია და სტატისტიკა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, თსუ., შრომების კრებული, 2014.
2. ჯულაყიძე მ., წარმოების და მომსახურების სფეროთა უკუების მოდელირება ბიზნესში, გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის პრობლემები და ტენდენციები, საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, თსუ. 2012.
3. ჯულაყიძე მ., ადამიანური კაპიტალი და გლობალიზაცია, ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია, თსუ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ტომი 1, 2012.
4. ჯულაყიძე მ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკრომოდელი და მისი გამოყენება ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის, თეუსუ ჟურნალი „კომერსანტი“, №3(8), 2009.
5. ჯულაყიძე მ., საქართველოს მშპ-სა და ძირითადი მაკროეკონომიკური აგრეგატების (დაზოგვა, მოხმარება, ინვესტიციები) ანალიზი და პროგნოზი გრძელვადიან პერიოდში, თეუსუ სამეცნიერო შრომების კრებული, 2009.
6. Julakidze M. A., Macro Model of Georgia's Socioeconomic Development and its use in forming Economic Policy. „Central Asia and The Caucasus“, Journal of Social and Political Studies, Volume 11, Issue 1, 2010, CA&CC Press, SWEDEN, 2010.
7. David N. Weil, Economic Growth, Brown University, Second Edition, 2008.
8. Wooldridge M. Jeffrey, Introductory Econometrics, A Modern Approach, Fifth Edition, 2013.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნის ფუნქციის აგების და მისი რეალიზაციის საკითხები მაკროეკონომიკურ დონეზე, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების მიზნების მიღწევის მაქსიმიზაციაზე გამოშვების და ყველა მიმართულებით მისი გამოყენების მიხედვით. განხილული მაკრომოდელი და მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა კონკრეტული პარამეტრებით შეფასდეს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დღევანდელი მდგომარეობა და მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის დრო და საშუალებები - საკუთარი და მოზიდული რესურსების გამოყენების საფუძველზე ზრდის ტრაექტორიის კორექტირების გზით.

**საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში განხორციელებული
ექსპორტის სტატისტიკური ანალიზი
და პროგნოზირება**

გიორგი ხუციშვილი

მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი,
მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი **სიმონ გელაშვილი**

ექსპორტი და იმპორტი, ქვეყანაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციები, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. მიმდინარე გლობალური ეკონომიკური ცვლილებების პირობებში, ქვეყნებს შორის ურთიერთობებში, სავაჭრო ურთიერთობებს არსებითი და, შეიძლება ითქვას, უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც სწორედ ვაჭრობაზეა აგებული ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური ფუნქციონირების თითქმის მთელი სისტემა. ეს კი, მთლიანობაში, ხელს უწყობს ქვეყნების განვითარებას და ვაჭრობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას.

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა შეუძლებელია საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდოს გაუმჯობესების გარეშე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია როგორც საექსპორტო პოტენციალის განუხრელი ზრდა, ასევე გარკვეული ზომით იმპორტჩანაცვლება. საექსპორტო პოტენციალის განუხრელი ზრდა დამოკიდებულია ექსპორტის ხელშემწყობ ღონისძიებებზე. შესაბამისად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ამ ღონისძიებების მოქმედების არეალი, მისი კონკრეტული ინსტრუმენტები და მათი ეფექტიანობის განმსაზღვრელი პირობები.

საგარეო ვაჭრობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტი იმპორტს აბალანსებს ან აჭარბებს, საქართველოში კი იმპორტი ექსპორტს 3,5-ჯერ აღემატება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქართული პროდუქცია საგარეო ბაზარზე არ არის კონკურენტუნარიანი, შესაბამისად, ქვეყანას არ აქვს ე.წ. „მეორე ეკონომიკა“ და საერთაშორისო სარგებლიანობა. მეორე მხრივ, სამომხმარებლო კალათას 75% იმპორტირებული საქონელია, ეს კი მიუთითებს, რომ ქართული პროდუქცია საშინაო ბაზარზეც არ არის კონკურენტუნარიანი, ჩვენი ქვეყნის მიწოდების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ იქმნება. საქართველოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის, მნიშვნელოვანია საგარეო ურთიერთობის ლიბერალიზაცია, რაც ექსპორტისა და იმპორტის გახსნილობას გულისხმობს. ექსპორტის ზრდა ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და უცხოური ვალუტის შემოდინებას, რაც აადვილებს წარმოების იმ რესურსების იმპორტირებას, რაც ადგილობრივ ბაზარს სჭირდება. ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა ხელს უწყობს პუი-ს შემოდინებას, რადგანაც განვითარებულ ქვეყნებში პუი ხშირად ისეთ დარგებში იდება, რომლებშიც იაფი ადგილობრივი რესურსები საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად გამოიყენება.

2015 წლის საწყის თვეებში, მოხდა ეროვნული ვალუტის გაუფასურება. ვალუტის გაუფასურებაში, შესაძლებელია გარკვეული პოზიტიური ელემენტების დანახვაც. ეროვნული ვალუტის გაუფასურება, როგორც წესი, ხელს უწყობს ადგილობრივი წარმოებისა და

ექსპორტის ზრდას, გამომდინარე იქედან, რომ ქართველებისთვის უცხოური პროდუქცია ძვირდება, ხოლო უცხოელებისთვის კი პირიქით – იაფდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნული ვალუტების დევალვაცია დოლართან მიმართებით საქართველოს ყველა პარტნიორ ქვეყანაში მოხდა, პერსპექტივა ნაკლებად მიმზიდველად გამოიყურება. ბოლო პერიოდში, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური პრობლემიდან გამოსავალი, ადგილობრივი წარმოების ზრდაში, იმპორტირებული საქონლის ადგილობრივ ჩანაცვლებასა და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების წახალისებაში იმალება. თუმცა, ბოლო თვეების განმავლობაში, სამწუხაროდ, საპირისპირო მოვლენები და ტენდენციები იჩენს თავს. 2015 წლის იანვარ-თებერვალში საგრძნობლადაა შემცირებული ექსპორტის მაჩვენებელი, ხოლო ისედაც უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კიდევ უფრო გაზრდილი. ეს მოვლენები არაქართული წარმოების შემცირების და ეკონომიკური სირთულეების, არამედ საგარეო შოკების შედეგია. მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია: რუსულ-უკრაინული კონფლიქტი, მეზობელ ქვეყნებში ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული მსყიდველობითი უნარის შემცირება და ახალი რეგულაციების შემოღება ქართულ ექსპორტზე სომხეთის მხრიდან (2015 წლის 2 იანვრიდან). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი აქვს საზღვარგარეთიდან მოთხოვნის შემცირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპორტის სტატისტიკური შესწავლა და შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშება მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია.

ცხრილი 1

**საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის
სტატისტიკური მაჩვენებლები**

წელი	სულ ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	მათ შორის დსთ-ს წილი %
2001	317.2	45
2002	345.7	49
2003	461.3	49
2004	646.9	51
2005	865.5	47
2006	936.4	42
2007	1232.1	37
2008	1495.3	36
2009	1133.6	37
2010	1677.5	40
2011	2189.1	48
2012	2375.4	52
2013	2908.5	56
2014	2861.2	51

როგორც ვხედავთ, 2007 წლამდე და 2010 წლის შემდეგ, დსთ-ს ქვეყნების ბაზარს საქართველოს მთლიან ექსპორტში თითქმის ნახევარი ეჭირა და ამ წლებს შორის ჩავარდნა აშკარაა, რაც რუსეთ-საქართველოს ომის შედეგია.


2014 წლის მონაცემებით, საქართველოდან დსთ-ს ქვეყნებში განხორციელებულმა ექსპორტმა პროცენტულ მაჩვენებლებში შეადგინა: აზერბაიჯანი - 37,15%; სომხეთი - 19,67%; რუსეთი - 18,76%; უკრაინა - 9,57%; ყაზახეთი - 6,04%; უზბეკეთი - 3,72%; ბელარუსი - 2,37%; თურქმენეთი - 0,98%; ტაჯიკეთი - 0,73%; ყირგიზეთი - 0,68%; მოლდოვა - 0,32%, შედარებისათვის, ამ ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში ამავე წელს არის: აზერბაიჯანი - 19,03%; სომხეთი - 10,07%; რუსეთი - 9,61%; უკრაინა - 4,9%; ყაზახეთი - 3,09%; უზბეკეთი - 1,91%; ბელარუსი - 1,22%; თურქმენეთი - 0,50%; ტაჯიკეთი - 0,38%; ყირგიზეთი - 0,35%; მოლდოვა - 0,16%;

საქართველოს გააჩნია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რადგან ჭარბობს იმპორტის წილი, 2001 წლიდან მოყოლებული, ექსპორტს ყოველწლიურად უჭირავს დაახლოებით 20-30% საგარეო ვაჭრობაში, რაც ნეგატიური პროცესია საქართველოსთვის, რადგან უცხოეთიდან გადმორიცხვების შემცირება თავისთავად ამცირებს უცხოურ ვალუტას, ეს კი ეროვნული ვალუტის გაუფასურებას იწვევს.


აღსანიშნავია, რომ საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბრუნვა არ გააჩნია დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, 2013 და 2014 წლებში დადებითი სავაჭრო ბალანსი საქართველოს ჰქონდა ბელარუსთან, სომხეთთან, ტაჯიკეთთან, უზბეკეთთან, ყირგიზეთსა და ყაზახეთთან.

საინტერესოა, გრაფიკულად ვნახოთ, 2001-2014 წლებში რა წილი ეჭირა 4 უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორ ქვეყნას მთლიანი ექსპორტის მოცულობაში, სადაც ორდინატა ღერძზე მოცემულია პროცენტული მაჩვენებლები, აბსცისაზე კი - წლები.


გრაფიკი 1




გრაფიკი 2



გრაფიკი 3



გრაფიკი 4



საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო ჯგუფს მიეკუთვნება: მსუბუქი ავტომობილები (რაც რეექსპორტის ხარჯზე ხორციელდება), თხილი, ფეროშენადნობები, სამკურნალო საშუალებები, სპილენძის მადნები.

2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, ზრდა დაფიქსირდა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ხარჯზე: ღვინის ექსპორტმა შეადგინა 47%-ით მეტი. ძირითადი საექსპორტო ბაზრები იყო: რუსეთი (71%), უკრაინა (13%), ყაზახეთი (10%) და ბელარუსი (4%); მინერალური წყლები - ექსპორტმა შეადგინა 28%-ით მეტი. ძირითადი საექსპორტო ბაზრები იყო: რუსეთი (53%), უკრაინა (23%), ყაზახეთი (10%) და ბელარუსი (8%);

უალკოჰოლო გაზიანი სასმელები - ექსპორტმა შეადგინა 70%-ით მეტი. ძირითადი საექსპორტო ბაზრები იყო: აზერბაიჯანი (37%), ყაზახეთი (29%) და რუსეთი (14%); კლება დაფიქსირდა: ხორბალი - ექსპორტმა შეადგინა 74%-ით ნაკლები. ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა სომხეთში; თხილი და კაკალი - ექსპორტმა შეადგინა 35%-ით ნაკლები. ძირითადი საექსპორტო ბაზრები იყო: ყაზახეთი (54%), უკრაინა (17%), რუსეთი (15%) და აზერბაიჯანი (7%); მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი შემცირდა 24%-ით, აქედან 62% გავიდა აზერბაიჯანში და 30% სომხეთში.

2015 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემების მიხედვით, საექსპორტო ათეულში პირველ-მეორე ადგილებს ერთნაირი მაჩვენებლებით იკავებს მსუბუქი ავტომობილები (მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი შემცირებისა სომხეთის მიმართულებით) და კაკლის ექსპორტი \$41 მლნ-ით და მთლიანი ექსპორტის 13%-ით თითოეული პროდუქტისთვის. აღსანიშნავია, რომ მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით \$77 მლნ-დან \$40 მლნ-მდე (48%-იანი კლება) შემცირებული. თხილისა და კაკლის შემთხვევაში კი პირიქით, ექსპორტი გაზრდილია \$16-დან \$41 მლნ-მდე (156%-იანი მატება). მესამე ადგილზე მყოფი ფეროშენადნობების მაჩვენებელი კი \$57-დან \$34 მლნ-მდე (40%-იანი კლება) შემცირებული, ძირითადად, უკრაინაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია მინერალური წყლების ექსპორტის \$21-დან \$15 მლნ-მდე (29% კლების ტემპი) და ღვინის \$32-დან \$10 მლნ-მდე (69% კლების ტემპი) დაცემა. ეს ყველაფერი ძირითადად ამ პროდუქტებზე რუსულ ბაზარზე მოთხოვნის შემცირებითაა გამოწვეული.

ცხრილი 2

**2015 წლის იანვარ-აპრილის თვეებში, დსთ-ს ქვეყნებში
ექსპორტის მაჩვენებლები (მლნ დოლარი)**

ქვეყანა	ექსპორტი	ხვედრითი წონა %-ში
აზერბაიჯანი	88.57	35.47
ბელარუსი	6.70	2.68
თურქმენეთი	2.89	1.16
მოლდოვა	2.40	0.96
რუსეთი	39.79	15.93
სომხეთი	47.53	19.03
ტაჯიკეთი	1.80	0.72
უზბეკეთი	26.82	10.74
უკრაინა	17.93	7.18
ყაზახეთი	12.50	5.01
ყირგიზეთი	2.77	1.11

როგორც ჩანს, დსთ-დან უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ჯგუფი რიგითობას ისევ ისე ინარჩუნებს და ლიდერობს აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი. აღსანიშნავია, რომ ამ 3 თვის მონაცემებით, ექსპორტის მოცულობამ უზბეკეთში გადააჭარბა უკრაინასა და ყაზახეთს.

თუ 2015 წლის იანვარი-აპრილის მაჩვენებლებს შევადარებთ 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებს, ვნახავთ რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ს ქვეყნებთან შემცირებულია, გარდა მოლდოვისა და უზბეკეთისა. ჯამში ექსპორტი (დსთ-ს ბაზარზე) შემცირდა 51%-ით 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ქვემოთ მოცემულია 2015 და 2014 წლების ერთი და იგივე პერიოდის (პირველი ოთხი თვის) შედარების შედეგად მიღებული მატებისა და კლების ტემპები თითოეულ ქვეყანასთან (იხ. ცხრილი 3).


ცხრილი 3

ქვეყანა	მატების/კლების ტემპი
აზერბაიჯანი	-53.00
ბელარუსი	-47.52
თურქმენეთი	-40.29
მოლდოვა	102.48
რუსეთი	-54.38
სომხეთი	-54.50
ტაჯიკეთი	-43.52
უზბეკეთი	134.99
უკრაინა	-72.94
ყაზახეთი	-53.96
ყირგიზეთი	-6.13

2015 წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლის მთლიანმა საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 3015 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 13 %-ით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 689 მლნ დოლარი იყო (26 %-ით ნაკლები).


2015 წლის იანვარ-აპრილის ოფიციალური მონაცემებით, დადებითი სავაჭრო ბრუნვა საქართველოს ჰქონდა ბელარუსთან, ტაჯიკეთთან, უზბეკეთთან, ყირგიზეთსა და ყაზახეთთან. აღსანიშნავია, რომ სომხეთთან უკვე დაფიქსირდა უარყოფითი სავაჭრო ბრუნვა, რაც სომხეთის მიერ ექსპორტზე ახალი რეგულაციების შემოღების შედეგია.

ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში
2015* წლის იანვარ-აპრილში



როგორც 1 დიაგრამიდან ჩანს, დსთ-ს და ევროკავშირის ბაზრების წილმა მთლიან ექსპორტში 2015 წლის პირველი 4 თვის მანძილზე შეადგინა 36% და 30%, ხოლო თუ შევადარებთ 2014 წლის ანალოგიურ პერიოდს, გასულ წელს (პირველი 4 თვე) დსთ-ს წილმა შეადგინა 55%, ევროკავშირის ქვეყნებმა 21%, ხოლო დანარჩენმა ქვეყნებმა 24%. როგორც ვხედავთ, ტენდენცია ისეთია, რომ ექსპორტი იზრდება ევროკავშირის ქვეყნებში, ხოლო დსთ-ს ბაზარზე ექსპორტი მცირდება. ბოლო ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-აპრილში, დსთ-ს ქვეყნებთან განხორციელებულ ექსპორტს (პროცენტული მაჩვენებლები) თუ გამოვსახავთ დიაგრამაზე, მივიღებთ (იხ. დიაგრამა 2):

დიაგრამა 2



როგორც დიაგრამიდან ჩანს, დსთ-ს ბაზარზე განხორციელებული ექსპორტის 35,89 % მოდის აზერბაიჯანზე, სომხეთზე-18,61%, რუსეთზე- 15,93%. ჯერჯერობით ტენდენცია შენარჩუნებულია და პირველ ხუთეულში კვლავ აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უზბეკეთი და უკრაინა შედის.

საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშება. ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს 2001-2014 წლებში დსთ-ს ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის დინამიკას და ასევე მთლიანად ექსპორტს.

ცხრილი 4

მონაცემები: (მლნ დოლარი)

წელი	სულ ექსპორტი	მათ შორის დსთ-ს ქვეყნებში
2001	317.2	143.8
2002	345.7	168.5
2003	461.3	224.7
2004	646.9	327.6
2005	865.5	407.2
2006	936.4	391.1
2007	1 232.1	461.9
2008	1 495.3	540.9
2009	1 133.6	416.2
2010	1 677.5	676.7
2011	2 189.1	1052.7
2012	2 375.4	1244.1
2013	2 908.5	1620.9
2014	2 861.2	1465.5

გავიანგარიშოთ საპროგნოზო მაჩვენებლები 2015-2020 წლებისთვის. მონაცემები დაახლოებით წრფივადაა განლაგებული, რადგან მისი გრაფიკი სწორხაზოვანია.

ექსპორტის დინამიკის პროგნოზირება ერთფაქტორიანი სტატისტიკური მოდელით: საპროგნოზო ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, დინამიკის პროგნოზირებისას შეიძლება გამოვიყენოთ საშუალო აბსოლუტური მატების კოეფიციენტი. ამ შემთხვევაში, პროგნოზული მაჩვენებლის გაანგარიშება მოხდება შემდეგი ფორმულით: $\hat{y} = y_1 + \bar{\Delta}(t - 1)$, ზოგიერთი მოვლენის დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირება შეიძლება განხორციელდეს ზრდის საშუალო ტემპის კოეფიციენტის გამოყენებით, ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც მოცემული დინამიკური მწკრივის დონეები ასახავენ მზარდ ტენდენციას. ექსპორტის ცხრილის მონაცემების საფუძველზე მოვახდინოთ დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტის პროგნოზირება.

$$\bar{\Delta} = \frac{y_n - y_1}{n - 1} = \frac{1465,5 - 143,8}{14 - 1} = 101,7$$

მოვახდინოთ ტრენდის გამოვლენა, რისთვისაც გავიანგარიშოთ მოსწორებული დონეები, ამისათვის ვიხელმძღვანელოთ ფორმულით:

$$\hat{y} = y_1 + \bar{\Delta}(t - 1),$$

გვექნება:

$$\begin{aligned} \hat{y}_{2001} &= 143.8; \hat{y}_{2002} = 245.5; \hat{y}_{2003} = 347.2; \hat{y}_{2004} = 448.9; \hat{y}_{2005} = 550.6; \hat{y}_{2006} = 652.3; \\ \hat{y}_{2007} &= 754; \hat{y}_{2008} = 855.7; \hat{y}_{2009} = 957.4; \hat{y}_{2010} = 1059.1; \hat{y}_{2011} = 1160.8; \hat{y}_{2012} = 1262.5 \\ \hat{y}_{2013} &= 1364.2; \hat{y}_{2014} = 1465.9; \end{aligned}$$

გავიანგარიშოთ საპროგნოზო მაჩვენებლები 2015-2020 წლებისთვის:

$$\hat{y}_{2015} = 1567.6; \hat{y}_{2016} = 1669.3; \hat{y}_{2017} = 1771; \hat{y}_{2018} = 1872.7; \hat{y}_{2019} = 1974.4; \hat{y}_{2020} = 2076$$

ტრენდის გამოსავლენად გამოვიყენოთ წრფივი ფუნქცია: ეკონომიკური პროცესების დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირებისას ტრენდის გამოსავლენად ხშირად გამოიყენება წრფივი ფუნქცია, რომელსაც აქვს შემდეგი სახე: $\hat{y}_t = a_0 + a_1 t$, სადაც \hat{y}_t - დინამიკური მწკრივის მოსწორებული დონეებია, a_0 და a_1 - განტოლების პარამეტრები, t - დრო.

მოსწორებისათვის a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობები უნდა განვსაზღვროთ. ძირითადი მიზანია ის, რომ მოსწორებული დონეები ძლიერ განსხვავებული არ უნდა იყოს ემპირიული დონეებისაგან.

$$a_0 = \frac{\sum y}{n} = 653 \quad a_1 = \frac{\sum yt}{\sum t^2} = 96$$

გამოთვლების შემდგომ მივიღებთ განტოლებას: $Y = 653 + 96t$; ახლა კი გავიანგარიშოთ საპროგნოზო მაჩვენებლები 2015-2020 წლებისთვის:

$$\hat{y}_{2015} = 1421; \hat{y}_{2016} = 1517; \hat{y}_{2017} = 1613; \hat{y}_{2018} = 1709; \hat{y}_{2019} = 1805; \hat{y}_{2020} = 1901$$

ჩვენს მაგალითზე: $\sum y = \sum \hat{y}_t = 9142$, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ზუსტად ასახავს ტრენდს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს., ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012.
2. ხადური ნ., ჩიქობავა მ., კაკულია ნ., ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება (ლექციების კურსი).
3. <http://analytica.tsu.ge/ka/category/economics/>.
4. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade&type=print>.
5. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade>.
6. http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo.
7. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#sagareoseqtori>.

რეზიუმე

საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპორტ-იმპორტს. კერძოდ, ექსპორტის გაზრდას, რადგან მის საფუძველზე ხდება წმინდა ექსპორტის ზრდა, რაც დადებითად მოქმედებს მიმდინარე ანგარიშების ბალანსზე. როგორც გამოთვლებიდან ჩანს, 2015 წლიდან ექსპორტი მცირედით, მაგრამ მაინც მზარდი ტენდენციით იცვლება. 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, მცირე მატებას უნდა ველოდოთ, თუმცა, 2020 წლისათვის თითქმის მის 41%-იან მატების ტემპს ვაღწევთ. ორივე მეთოდით გამოთვლილმა პროგნოზებმა დაახლოებით ერთნაირი შედეგები მოგვცა, ყოველ წელს წინა წელთან შედარებით 5-6 % იანი მატების ტემპი გვაქვს.

საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, ვაჭრობის დივერსიფიცირება და რაც შეიძლება მეტ უცხოურ ბაზარზე გასვლა. გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყნების საფუძველზე ჩამოყალიბებული რეგიონული სავაჭრო შეთანხმების სიკეთეების მიუხედავად, სამწუხაროდ, რუსეთი ვერ იქცა საქართველოს საიმედო სავაჭრო პარტნიორად, რადგან მის დამოკიდებულებაში კვლავ პოლიტიკური მოტივი დომინირებს. მაგრამ უნდა გავიაზროთ, რომ რუსეთის ბაზრის მნიშვნელობა და მთლიანად დსთ-ს ბაზარი, ჯერჯერობით საქართველოსთვის და ექსპორტის მაჩვენებლის ზრდისთვის, ერთმნიშვნელოვნად მაღალია, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა მივისწრაფვოდეთ სხვა ბაზრებზე, იგივე ევროკავშირის ქვეყნების ბაზარი იქნება ეს თუ სხვ. საბოლოოდ, როდესაც საქართველოს ეკონომიკური ორიენტაციის საკითხი დგება, ქვეყნის ეკონომიკური ვექტორი იქით უნდა გადაიხაროს, საიდანაც მეტი ეკონომიკური სარგებელი ექნება. უნდა აღინიშნოს უარყოფითი მომენტი, რომ დსთ-სთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას გრძელვადიან პერიოდში შეიძლება მოჰყვეს საქონლის დაბალი ხარისხი (თუ, რა თქმა უნდა, ამ სივრცეში არ ამალღდება პროდუქციის სტანდარტები). დსთ-ს ბაზრის დაბალი მომთხოვნელობა საქონლის ხარისხისადმი სამამულო საწარმოებს უბიძგებს მაგრად ჩაებლაუჭონ ამ ბაზრებს, ვინაიდან აქ იოლია საქონლის გასაღება, ვიდრე ევროკავშირისა თუ სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე.

**ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება ინფორმაციული
ტექნოლოგიების გამოყენებით ფარმაცევტული კომპანია
„ავერსის“ მაგალითზე**

ილია ჯიმშელიშვილი

ბაკალავიატის I კურსის სტუდენტი,

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ პროფესორი **რუსუდან სეთურიძე**

ეკონომიკური ამოცანების უმეტესობის მიზანია უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობის ძებნა (მაგალითად, მაქსიმალური მოგების, მაქსიმალური წარმოების მოცულობის ან მინიმალური ხარჯების პოვნა). კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად მარტივი ამორჩევა არ არის ეფექტური. ასეთი ტიპის ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია სპეციალური ინსტრუმენტის საშუალებით. ამოცანის მიზანი - ფუნქციაა, რომელსაც ემახიან მიზნის ფუნქციას. მიზნის ფუნქცია ამორჩეული სამიზნე პარამეტრის ექსტრემალური (მინიმალური, მაქსიმალური) მნიშვნელობაა. მიზნის ფუნქცია შეიძლება იყოს წრფივი და არაწრფივი. წრფივ მიზნის ფუნქციას აქვს ექსტრემუმები მხოლოდ გარკვეულ პირობებში (შეზღუდვებში), ხშირად კი შეზღუდვების სისტემებში.

ნაშრომი ეხება მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება ყველა სფეროში წარმატებული

საქმიანობის საწინდარია. ნაშრომის მთავარი მიზანია, ნათელი გახადოს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების როლი და პრაქტიკული გამოყენება. კომპანიებს ხშირად უწევთ ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შესახებ მსჯელობა. ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება განიმარტება, როგორც მოცემული ალტერნატივებიდან ან ვარიანტებიდან ერთის შერჩევა ოპტიმალურად უზრუნველყოფილი შედეგის მისაღებად. კომპანიები სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ითვლიან თავიანთ მოგებას, აანალიზებენ საწარმოს საქმიანობას, მდგომარეობას და ხსნიან მის მიმართ დასმულ ამოცანებს.

ოპტიმიზაციის მეთოდით შესაძლებელია მაგალითად, განისაზღვროს რომელი ელექტროსადგურებიდან მიეწოდოს ელექტროენერგია სხვადასხვა ქალაქებს, რომ ენერჯის ტრანსპორტირების ხარჯები იყოს მინიმალური; შესაძლებელია გამოითვალოს, რამდენი თანამშრომელია საჭირო სამუშაოს შესასრულებლად, იმისათვის, რომ ჰქონდეთ ხელფასებზე მინიმალური დანახარჯები; საწარმოებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სხვადასხვა პროდუქტის დასამზადებელი რაოდენობა, რომ მოგება ჰქონდეთ მაქსიმალური და ა.შ..

საქონლის რაოდენობების განსაზღვრის, დანახარჯების მინიმიზაციის, ტრანსპორტირების საკითხის გადაწყვეტის, ოპტიმალური ფასის დაწესების, დახარჯული რესურსების შემცირების და სხვა ასეთივე ტიპის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას იძლევა Microsoft Excel-ის სპეციალური ინსტრუმენტი solver.

სურათი 1

	A	B	D	E	F	G	H
1							
2		პრეპარატის რაოდენობები (კგ)	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
3		პრეპარატის კოდი	10010	10011	10012	10013	10014
4		შრომითი დანახარჯები (სთ)	0,8	0,4	0,8	0,9	2,4
5		ნედლეული (კგ)	0,3	0,7	0,5	0,4	0,9
6		საბაზრო ფასი (ლარი)	282	230	620	136	1360
7		თვითღირებულება (ლარი)	202	170	440	100	1002
8		მოთხოვნა (კგ)	62,5	78,5	20,4	33,7	6,6
9		მოგება ერთეულზე (ლარი)	80	60	180	36	358
10							
11							
12		მოგება	0,00				
13							
14		გამოყენებული სამუშაო საათები	0,00	<=	160		
15		გამოყენებული ნედლეული (კგ)	0,00	<=	50		


ხშირად კომპანიებს სჭირდებათ პროდუქტის იმ რაოდენობის განსაზღვრა, რომლის წარმოება უნდა მოახდინონ თვის განმავლობაში. პროდუქტის ასორტიმენტის ამორჩევის ამოცანა მარტივი ფორმით მოიცავს მაქსიმალური მოგების მისაღებად თითოეული პროდუქტის რაოდენობის განსაზღვრას, რომელთა წარმოება უნდა მოხდეს თვის განმავლობაში. პროდუქტის ასორტიმენტი მჭიდროდაა დამოკიდებული შემდეგ შეზღუდვებთან:

- ✓ პროდუქტის ასორტიმენტის წარმოებისას არ უნდა დაიხარჯოს იმაზე მეტი რესურსი, რაც გააჩნია საწარმოს;
- ✓ თითოეულ პროდუქტს შეზღუდული მოთხოვნა აქვს. თვის განმავლობაში არ უნდა მოხდეს იმაზე მეტი პროდუქტის წარმოება, რასაც გვერდობს მათზე მოთხოვნა, ვინაიდან საქონლის ნამეტი მიგვიყვანს არასაჭირო რაოდენობის პროდუქტის წარმოებასთან (მაგალითად, მალფუჭებადი პრეპარატი და ა.შ.).

ზემოთ აღნიშნული ამოცანა განვიხილოთ ფარმაცევტული კომპანია „ვერსის“ მაგალითზე, რომელსაც გააჩნია წარმოება და ახდენს პრეპარატების დამზადებას. ამოცანა განვიხილოთ მხოლოდ ექვსი სხვადასხვა სახის პრეპარატზე. თითოეული პრეპარატის დამზადებას სჭირდება შრომითი დანახარჯები და ნედლეული. ასევე გავითვალისწინოთ, რომ ამ პრეპარატებს ერთი და იგივე სახის ნედლეული სჭირდებათ. 1 სურათზე მოცემულია პრეპარატების კოდები (სახელები კონფიდენციალურობიდან გამომდინარე არ არის დასახელებული), მოცემულია ასევე ერთი კილოგრამი თითოეული პრეპარატის დამზადებისთვის საჭირო შრომითი რესურსები საათებში, თითოეული პრეპარატის შესაბამისი ნედლეული ერთ კგ-ზე, პრეპარატების ერთი კილოგრამის ღირებულება, ერთი კილოგრამის საბაზრო ფასი და თითოეულ პრეპარატზე მოთხოვნა.

ჩამოვყალიბოთ შეზღუდვები: ამ პრეპარატების დასამზადებლად თვეში კომპანიას აქვს მხოლოდ 50 კგ-ი ნედლეულის გამოყენებისა და 160 სამუშაო საათის დახარჯვის საშუალება. მოცემული მონაცემების საფუძველზე თავდაპირველად, საჭიროა, თითოეული პრეპარატის ერთ ერთეულზე განისაზღვროს წმინდა მოგება (ვინაიდან თვითღირებულებაა - 202 ლარი, საბაზრო ფასია - 282ლარი, ამიტომ წმინდა მოგებამ შეადგინა - ფასისა და თვითღირებულების სხვაობა - 80 ლარი). N10010 პრეპარატზე შრომის დანახარჯები შეადგენს 0,8 საათს, საჭირო ნედლეულია 0,3 კგ, მოთხოვნა კი 62,5 კგ.

სურათი 2



წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე კომპანიას აინტერესებს, რომელი ასორტიმენტის პრეპარატი რა რაოდენობით დაამზადოს თვეში, რომ მიაღწიოს მოგების მაქსიმუმს. ამ ინფორმაციის მიღება რთულია Excel-ის ერთ-ერთი სპეციალური ინსტრუმენტის solver-ის გამოყენების გარეშე, solver-ი კი, მარტივად და სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას. იმისათვის, რომ solver-ით მივიღოთ საბოლოო შედეგი, საჭიროა, პირველ რიგში, Excel-ის ფურცელზე გამოიყოს ცარიელი სტრიქონი, სადაც გაანგარიშების შემდეგ

ჩაიწერება პრეპარატების ოპტიმალური რაოდენობები. ჩვენ ცხრილში ეს არის მეორე სტრიქონი (იხ.სურ.N1). პირველ ეტაპზე ჯერ უნდა მომზადდეს პირველადი ინფორმაცია, რომელიც ჩაიწერება გარკვეულ ველებში. გასათვალისწინებელია, რომ solver-ი მხოლოდ მაშინ იღებს გადაწყვეტილებებს, როცა მასში მითითებული ველები შესაბამისი ფორმულებით არიან დაკავშირებული ამ ოპტიმალური რაოდენობების სტრიქონთან.


დავუშვათ, რომ ფირმამ თითოეული პრეპარატი უნდა აწარმოოს $x_1, x_2, x_3 \dots x_6$ რაოდენობებით, მაშინ იმისათვის, რომ გავიგოთ საერთო ნედლეულისა და შრომითი რესურსების დანახარჯები, თითოეული X რაოდენობა უნდა გავამრავლოთ მის შესაბამის დანახარჯებზე და მიღებული შედეგები შევკრიბოთ. საბოლოო შედეგი, რომელიც მოთავსებულია C14 უჯრასა და C15 უჯრაში, ნათელია, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს კომპანიის მიერ დაწესებული შეზღუდვები. როდესაც თითოეული X-ის რაოდენობა დადგინდება, უკვე არსებული ფორმულის დახმარებით, ავტომატურად გამოითვლება C14 უჯრასა და C15 უჯრის მნიშვნელობები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ უჯრებში საჭიროა თითოეული პრეპარატისა და X-ების (რაოდენობების) ნამრავლთა ჯამის დათვლა მოხდეს და გამოსათვლელად ვიყენებთ ფუნქციას Sumproduct (იხ. სურ. N2). საჭიროა, მხოლოდ სტრიქონების მითითება. კერძოდ, მთლიანი გამოყენებული შრომის დასათვლელად C14 უჯრაში Sumproduct-ში ვუთითებთ C2:H2 დიაპაზონსა და C4:H4 დიაპაზონს, ხოლო მთლიანი გამოყენებული რესურსების დასათვლელად C15 უჯრის Sumproduct ფუნქციაში ვუთითებთ C2:H2 დიაპაზონს და C5:H5 დიაპაზონს. შედეგად, დაითვლება ექვსივე პრეპარატის სხვადასხვა X რაოდენობებით დამზადებისას მთლიანი დანახარჯები.

მოგების დასათვლელად (C12 უჯრა) ასევე ვიყენებთ ფუნქციას Sumproduct. წინასწარი გაანგარიშებების შემდეგ, ფაქტობრივად, ყველა მონაცემი მზადაა და შესაძლებელია ოპტიმალური რაოდენობების დადგენა solver-ის საშუალებით.

განვიხილოთ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად solver-ის დიალოგური ფანჯრის შევსების ეტაპები:


1. კომპანიის მთავარი ამოცანაა მოგების მაქსიმიზაცია, ამიტომ პირველად სოლვერის ფანჯარაში Set Option-ის ველში ვუთითებთ C12 უჯრის მისამართს, რომელშიც Sumproduct ფუნქციით გაანგარიშებულია მთლიანი მოგება. ამოცანიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს Max ალამი, რათა სოლვერმა შეარჩიოს საუკეთესო მაქსიმალური ვარიანტი (C12) (იხ.სურ.N4)
2. მოგების ველის განსაზღვრის შემდეგ უნდა აღინიშნოს დასამზადებელი პრეპარატების ოპტიმალური რაოდენობის ცვლილების არე, რაც არის C2:H12 დიაპაზონის სტრიქონი, ანუ Solver-მა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დასამზადებელი რაოდენობების სტრიქონში, თავდაპირველად არსებული 0-ები ოპტიმალური რაოდენობებით (პირობითი X-ებით) უნდა შეცვალოს. ეს აღნიშვნა კეთდება ველში By Changing Cell.
3. შემდეგ საჭიროა შეივსოს შეზღუდვების ველები (იხ.სურ.N3) Add დილაკზე მოქმედებით.

სურათი 3



4. ამ ფანჯარაში, ველში Cell Reference შრომითი რესურსებისა და ნედლეულისთვის იწერება პირობა C14:C15<=E14:E15. გარდა ამისა, თითოეული პრეპარატისთვის უნდა უნდა მოხდეს შეზღუდვის პირობის დაფიქსირება (რაოდენობები ნაკლები ან ტოლია მოთხოვნაზე - C2:H2<=C8:H8).
5. შემდეგ ეტაპზე მიეთითება, რომ საძიებო მონაცემები არ უნდა იყოს გამოსახული უარყოფითი რიცხვებით, რისთვისაც ფანჯარაში უნდა მოინიშნოს Non-Negative ალამი. თუ ეს ალამი არ არის მონიშნული, მაშინ შესაძლოა, ზოგ რაოდენობაში უარყოფითი რიცხვები დაიწეროს, რადგან თეორიულად უარყოფითი რიცხვების გამოყენებით შესაძლებელია მოგების მნიშვნელობის გაზრდა, თუმცა პრაქტიკულად ეს არარეალურია - პრეპარატების რაოდენობა ვერ იქნება უარყოფითი.
6. რადგან ამოცანის მოდელი არის წრფივი, საჭიროა ამოირჩეს წრფივი მოდელი - Simplex LP. ამ დროს გამოიყენება სიმპლექს მეთოდის ეფექტური ალგორითმი. თუ წრფივი ამოცანის დროს ჩართულია ეს ალამი, solver-ი აუცილებლად იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში solver-ი გამოიყენებს არაეფექტურ ალგორითმს და გაურთულდება გადაწყვეტილების მიღება.

სურათი 3



საბოლოოდ, Solve ღილაკზე მოქმედებით ავტომატურად გამოითვლება შერჩეული ასორტიმენტის ოპტიმალური რაოდენობები მაქსიმალური მოგების მისაღებად, რასაც არსებული შეზღუდვების პირობებში გვთავაზობს solver-ი.

მე-5 სურათზე მოცემულია პრეპარატების შერჩეული ასორტიმენტი და რაოდენობები. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კომპანია ავერსი იღებს მაქსიმალურ მოგებას მაშინ, როცა აწარმოებს 62,5 კგ N10010 პრეპარატს, 0 კგ N10011 პრეპარატს, 20,4 კგ N10012 პრეპარატს, 30,08 კგ N10013 პრეპარატს, 6,6 კგ N10014 პრეპარატს და 7,7 კგ N10015 პრეპარატს. ამ დროს ის იყენებს 125,4 სამუშაო საათს და 50 კგ ნედლეულს (სრულად) და თითოეული მათგანის რაოდენობები არ სცდება საწარმოს შესაძლებლობებს. რაც შეეხება მოთხოვნებს, საწარმოს არ აქვს ნამეტი პროდუქცია და ყველა დამზადებული პრეპარატის რეალიზაციას შეძლებს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ თუ კომპანია გაითვალისწინებს ამ გადაწყვეტილებას, მას N10011 პრეპარატი შეუძლია საერთოდ არ დაამზადოს (მოძებნოს ალტერნატიული გზები, მაგალითად, დაიგეგმოს ამ პრეპარატის იმპორტი, შეირჩეს ანალოგიური ტიპის სხვა პრეპარატი და ა.შ.), ხოლო N10013 პრეპარატზე მოთხოვნას მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილებს. ზემოაღნიშნულის შედეგად, კომპანიას შეუძლია ასორტიმენტის შერჩევისას

არჩევანის გაკეთება ისეთ პრეპარატებზე, რომელთაც ოპტიმალური დანახარჯებით კომპანიისთვის მეტი მოგება მოაქვთ.

სურათი 5

A	B	C	D	E	F	G	H
	პრეპარატის რაოდენობები (კგ)	62,50	0,00	20,40	30,08	6,60	7,70
	პრეპარატის კოდი	10010	10011	10012	10013	10014	10015
	შრომითი დანახარჯები (სთ)	0,8	0,4	0,8	0,9	2,4	2,1
	ნედლეული (კგ)	0,3	0,7	0,5	0,4	0,9	0,4
	საბაზრო ფასი (ლარი)	282	230	620	136	1360	700
	თვითღირებულება (ლარი)	202	170	440	100	1002	496
	მოთხოვნა (კგ)	62,5	78,5	20,4	33,7	6,6	7,7
	მოგება ერთეულზე (ლარი)	80	60	180	36	358	204
	მოგება	13688,30					
	გამოყენებული სამუშაო საათები	125,40	<=	160			
	გამოყენებული ნედლეული (კგ)	50,00	<=	50			

ამრიგად, Excel-ის სპეციალური ინსტრუმენტი solver საკმაოდ პრაქტიკული მექანიზმია და დიდ დახმარებას უწევს ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში არა მარტო კომპანიებს, საწარმოებს, და ა.შ., არამედ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებსაც.

პროცესების ოპტიმიზაცია არის პროცესების ეფექტურად აწყობის მეთოდოლოგია. მისი დახმარებით პროცესები ხდება ნათელი, გამოირიცხება ფუჭი დანახარჯები, რაც უზრუნველყოფს კომპანიის ეფექტურობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიჭინავა დ., Microsoft Excel 2010 (ინგლისური და რუსული ვერსიებისთვის), თბილისი, ივერიონი, 2013.
2. Wayne L. Winston- Microsoft Excel 2010: Data Analysis and Business Modeling, Washington, 2011.
3. Пакулин В.Н., Решение задач оптимизации управления с помощью MS Excel 2010, ИНТУИТ, Москва, 2012 .
4. <https://support.office.com/en-ca/article/Using-Solver-to-solve-transportation-or-distribution-problems-1523eb04-337f-4e0c-88aa-392b3bfd0ccf>

რეზიუმე

სტატია ეხება მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს - ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება ყველა სფეროში წარმატებული საქმიანობის საწინდარია. ნაშრომის მიზანია ნათელი გახადოს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების როლი და პრაქტიკული გამოყენება.

საქონლის რაოდენობის განსაზღვრის, დანახარჯების მინიმიზაციის, ტრანსპორტირების საკითხის გადაწყვეტის, ოპტიმალური ფასის დაწესების, დახარჯული რესურსების შემცირების და სხვა ასეთივე ტიპის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების

შესაძლებლობას იძლევა Excel-ის სპეციალური ინსტრუმენტი solver. მისი საშუალებით განვიხილეთ ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ მაგალითზე ასორტიმენტის შერჩევის ოპტიმიზაციის ამოცანა. გაანგარიშებების ჩატარების შემდეგ კომპანიას შესაძლებლობა მიეცა ასორტიმენტის შერჩევისას არჩევანის გაკეთება მოახდინოს ისეთ პრეპარატებზე, რომელთაც ოპტიმალური დანახარჯებით კომპანიისთვის მეტი მოგება მოაქვთ. სხვა პრეპარატების წარმოებისას შესაძლებელია განხორციელდეს ალტერნატიული გზების მოძებნა.

პროცესების ოპტიმიზაცია არის მისი ეფექტურად აწყობის მეთოდოლოგია. მისი დახმარებით პროცესები ხდება ნათელი, გამოირიცხება ფუჭი დანახარჯები, რაც უზრუნველყოფს კომპანიის ეფექტიანობის ზრდას.

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში
Printed in Tsu Press

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36
www.press.tsu.edu.ge